

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

მარიამ ლუტიძე

დედათა და ჩვილთა მოკვდაობა საქართველოში

დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დემოგრაფიისა და მოსახლეობის
გეოგრაფიის მიმართულების მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ანზორ სახვაძე

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2017

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომის, „დედათა და ჩვილთა მოკვდაობა საქართველოში“, მიზანია ერთ-ერთი იმ მწვავე დემოგრაფიული პრობლემის წარმოჩენა, რომელიც დღესაც საგრძნობლადაა გავრცელებული საქართველოში და აუცილებელ ყურადღებას საჭიროებს. აგრეთვე მისი მიზანია გამოკვეთოს განსახილველი საკითხის არსი, აჩვენოს თუ განვითარების რა ეტაპზეა ამ მხრივ საქართველო ახლა და როგორი მდგომარეობაა მსოფლიოში.

სამწუხაროდ, ყოველდღიურად ასობით და ათასობით ქალი და ჩვილი (0-დან 1 წლამდე ასაკის ბავშვი) იღუპება მსოფლიოში სხვადასხვა მიზეზის გამო, იქნება ეს ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური თუ სხვა. დემოგრაფიის შესწავლის ობიექტს წარმოადგენს ზოგადად მოსახლეობა. ეს არის ცოცხალი ორგანიზმი, სადაც ვითარდება მნიშვნელოვანი დემოგრაფიული მოვლენები და პროცესები. ხოლო ნაშრომის კვლევის ობიექტია მოსახლეობის გარკვეული სეგმენტი, კერძოდ, ის ქალები, რომლებიც გარდაიცვალნენ ორსულობასთან დაკავშირებული პრობლემებით ან მშობიარობის დროს წარმოქმნილი გართულებებით. ასევე ჩვილები, რომლებიც 1 წლის ასაკის მიღწევამდე გარდაიცვალნენ სხვადასხვა მიზეზით.

ნაშრომის ამოცანაა შეძლებისდაგვარად აღწეროს დედათა და ჩვილთა მოკვდაობის დინამიკა საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში და აჩვენოს მისი სპეციფიკა საქართველოში. ხოლო არსებული ვითარებიდან გამომდინარე დასახოს პრობლემის გადაჭრისა და შემსუბუქების გზები. ხაზი გაუსვას იმ ძირითად ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს ვითარების ჩამოყალიბებაზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში, მხოლოდ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ეგიდით ტარდება დედათა და ჩვილთა მოკვდაობის გამოკვლევები (ისიც მხოლოდ ბოლო პერიოდში), რომლებიც საკითხს მხოლოდ ჯანდაცვის კუთხით აშუქებს, ამიტომაც ჩვენი ნაშრომის ძირითად მიზანს პრობლემის დემოგრაფიული ანალიზი წარმოადგენს, რადგან დედებისა და ჩვილების სიკვდილი ყოველთვის ჯანმრთელობის მდგომარეობით ან სამედიცინო დაწესებულების მომსახურების დაბალი

ხარისხით არ არის გამოწვეული. მნიშვნელოვანია გარემო ფაქტორების, პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობის, ეკოლოგიისა და ცხოვრების წესის გავლენა.

ნაშრომში განხილულია საანალიზო საკითხის არსი, მისი მაჩვენებლები და მათი გამოთვლის გზები. ჩატარებული ბიომეტრიული ანალიზი კი საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ ჩვილთა მოკვდაობის მიზეზთა განაწილება გარეგან (ეგზოგენურ) და შინაგან (ენდოგენურ) ფაქტორებზე დამოკიდებულების მიხედვით.

Mariam Ghutidze

Maternal and infant mortality in Georgia

Abstract

The following paper deals with one of the burning problem of *Maternal and infant mortality in Georgia*, that is still significantly widespread in Georgia, requiring an urgent attention. It also aims to reveal the essence of the issue, at what level of development Georgia is and what is the situation in the world.

Unfortunately, hundreds and thousands of women and babies (a child the age of 0 to 1) die every day in the world for various reasons, whether it is economic, political, social or other. Generally, the object of the demographic study is the population. This is a living organism where develops significant demographic processes. While researching the thesis, there is a certain segment of the population, in particular, women who died of pregnancy problems or complications arising during childbirth as well as infants who have died before the age of 1 for various reasons.

The paper aims to describe the dynamics of maternal and infant mortality over a long period of time and show its specifics in Georgia and determine the ways of solving and mitigating the problem, emphasizing the key factors influencing the situation.

The maternal and infant mortality studies are the subject only to Disease Control and Prevention National Center (and only recently) up to present, highlighting the issue only to health perspective, that's why our purpose is the demographic analysis of the problem as maternal and infant mortality is always caused by health condition or low quality of medical institution services. The impact of environmental factors, political and social conditions, ecology and lifestyle is important.

The essence of issue, its indicators and the ways of calculation are discussed in the paper. Conducted biometric analysis allows us to determine the distribution of the causes of maternal and infant mortality according to independence of external (exogenous) and the internal (endogenous) factors.

შინაარსი

შესავალი	6
თავი 1: დედათა და ჩვილთა მოკვდაობის არსი	8
1.1. დედათა და ჩვილთა მოკვდაობა - საკითხის პრობლემატიკა და აქტუალობა	8
1.2. დედათა და ჩვილთა მოკვდაობის არსი და მაჩვენებლები	12
1.3. საქართველოში არსებული ჩვილთა მოკვდაობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული და სამედიცინო-დემოგრაფიული წყაროების მიმოხილვა საქართველოში	21
თავი 2: ჩვილთა მოკვდაობა გარდაცვალების მიზეზების მიხედვით	31
2.1. ჩვილთა მოკვდაობის ბიომეტრიული ანალიზი	31
2.2. დედათა სივდილიანობის გამომწვევი მიზეზები და ტენდენციები საქართველოში	41
2.3. ჩვილთა მოკვდაობის ტენდენციები და მიზეზები საქართველოში	51
თავი 3: დედათა და ჩვილთა მოკვდაობის შემცირებისთვის	59
3.1. დედათა და ჩვილთა მოკვდაობის შემცირების პერსპექტივები.	59
დასკვნა	61
ბიბლიოგრაფია.....	64
დანართი.....	67

შესავალი

მსოფლიო მასშტაბით არსებულ უამრავ პრობლემათა შორის, ერთ-ერთი ყველაზე მწვავე, დემოგრაფიული პრობლემაა. მოსახლეობის კვლავწარმოებასთან დაკავშირებული გამოწვევები ყველა ქვეყნისთვის ინდივიდუალურ ხასიათს ატარებს და განსხვავდება ერთმანეთისგან. ერთ-ერთი საკვანძო საკითხია დედათა და ჩვილთა მოკვდაობა, რომელიც ზოგიერთი ქვეყნისთვის დიდ ტკივილს წარმოადგენს, განსაკუთრებით კი ისეთი მცირერიცხოვანი ერებისთვის, როგორც საქართველოა. მოკვდაობის განხილვა შობადობისგან დამოუკიდებლად შეუძლებელია. მართალია, დიდ რიცხვთა კანონიდან გამომდინარე, რაც უფრო მაღალია შობადობა, მით მეტი იქნება მოკვდაობაც, მაგრამ რა ხდება მაშინ, როცა შობადობა არც ისე მაღალია, ხოლო მოკვდაობა არც ისე დაბალი? განსაკუთრებით კი დედათა და ჩვილთა მოკვდაობა? თუ ჩვილებზე ვისაუბრებთ, ისინი სწორედ ის პოტენციალია ქვეყნისთვის, რომელთა შენარჩუნებით, გარკვეული წლების განმავლობაში, შესაძლოა მოსახლეობის სასურველი რაოდენობის მიღწევა. რაც შეეხება დედების სიცოცხლის შენარჩუნებას, ისინი უმთავრეს როლს თამაშობენ გამრავლების საკითხში.

ნაშრომის მიზანი, პირველ რიგში, ვითარების გაცნობაში მდგომარეობს. სამწუხაროდ, ამჟამად, დემოგრაფები ნაკლებად მუშაობენ აღნიშნულ საკითხზე. საკმაოდ მწირია გამოკვლევები, რომლების საქართველოში არსებულ მდგომარეობას ახასიათებს, ხოლო რომელიც არსებობს, ისინიც ძირითადად ჯანდაცვის კუთხით შუქდება და მათ მთავარ მიმართულებას სწორედ ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნებაზე ზრუნვა წარმოადგენს. თუმცა, როგორც ცნობილია, დედათა და ჩვილთა მოკვდაობა მხოლოდ ჯანმრთელობის მდგომარეობით არ არის გამოწვეული. აუცილებელია პრობლემის ფართო ჭრილში დანახვა და გაანალიზება. ფაქტობრივად, 1935 წლიდან 21-ე საუკუნის დასაწყისამდე, მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარებული ერთიანი კვლევა არ გვაქვს ჩვილთა მოკვდაობის საკითხებზე. 1935 წელს ა. ჯიჯაძის ავტორობით გამოიცა წიგნი „შობადობა და ბავშვთა სიკვდილიანობა კაპიტალისტურ ქვეყნებში და ჩვენში“. რა თქმა უნდა, მასალა ძლიერ მოძველებულია, მაგრამ რეტროსპექტული თვალსაზრით

ღირებულება არ დაუკარგავს და სწორედ ამ კუთხით შეიძლება მისი გამოყენება. სამწუხაროდ, თანამედროვე მდგომარეობის ამსახველი კვლევების რაოდენობა მწირია. რაც შეეხება დედათა მოკვდაობას, აღნიშნულთან მიმართებით 2000-იანი წლებიდან იწყება კვლევების ჩატარება. ჯანდაცვის მიერ იყო ორგანიზებული პერინატალური და ეპიდკვლევები. 2005 წელს ჩატარდა „ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა საქართველოში“, რომელმაც იმ პერიოდისთვის სასარგებლო ინფორმაცია მოგვაწოდა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე და იმის დამატებით, რომ დედათა და ჩვილთა მოკვდაობა არაპირდაპირ ახასიათებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეს, გვიხასიათებს ჯანდაცვის მომსახურების ხარისხს, იგი მეტად აქტუალური საკითხია. სწორედ ამიტომ დაიმსახურა მან ჩვენი ყურადღება. ქვემოთ მოცემულ ნაშრომში საკითხი გაანალიზებულია ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული თანამედროვეობამდე. თუმცა, რა თქმა უნდა, სათანადო მასალების უკმარობის გამო, საკითხი სრულად ამოწურული არ არის და გარკვეულ კითხვის ნიშნებს ტოვებს. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ბოლო პერიოდის (2000 წლებიდან შემდეგ) საქართველოს მდგომარეობაზე. მას შემდეგ, რაც ქვეყანაში შეიქმნა შედარებით სტაბილურობის განცდა, ეს აისახა განსახილველი საკითხის დამახასიათებელ მაჩვენებლებზეც, რომლებმაც შემცირება დაიწყო. როგორც ცნობილია, პოლიტიკური სტაბილურობა, ასევე ცხოვრების დონის გაუმჯობესება, ჰიგიენურ-სანიტარული ნორმების მოწესრიგება და ა.შ. დადებითად მოქმედებს დედათა და ჩვილთა მოკვდაობის შემცირებაზე. ჩვენი ნაშრომის მთვარი მიზანი, გარდა პროგრამის აღწერილობისა, გახლავთ იმ ზოგადი ტენდენციების წარმოჩენა, რაც განაპირობებს მოკვდაობის არსებულ დონეს და შეძლებისდაგვარად, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

„მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა არის ქალთა და ბავშვთა ფუნდამენტური უფლება და არა პრივილეგია“ (ჰორტონი რ, პამეფი ჯ., 2014). ჩვენი მიზანიც, სწორედ ამ უფლების რეალიზაციის მიღწევაა.

თავი 1: დედათა და ჩვილთა მოკვდაობის არსი

1.1. დედათა და ჩვილთა მოკვდაობა - საკითხის პრობლემატიკა და აქტუალობა

თანამედროვე მსოფლიო მრავალი პრობლემისა და გამოწვევის წინაშე დგას. კონტინენტის სხვადასხვა მხარეში ფიქრობენ თუ როგორ გადაჭრან თითოეული მათგანი. დემოგრაფიული საკითხები კი განსაკუთრებით მწვავეა ბოლო ათწლეულების განმავლობაში. თუ გავითვალისწინებთ მოსახლეობის სწრაფი ზრდის ტენდენციებს, სასურსათო მომარაგებას, სიღარიბეს და აქედან გამოწვეულ მოკვდაობას, გასაკვირი არ არის, რომ დღის წესრიგში დადგა მთელი რიგი პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. სხვა მრავალთან ერთად, დღესდღეისობით აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს დედათა და ჩვილთა მოკვდაობის საკითხი. ზოგადად, დემოგრაფიის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბებაც სწორედ მოკვდაობის პრობლემების შესწავლით დაიწყო და მას აქტუალობა დღემდე არ დაუკარგავს.

დედათა და ჩვილთა მოკვდაობის საკითხს შეისწავლის თითქმის ყველა ქვეყანა, აღრიცხვას აწარმოებენ სტატისტიკის სამსახურები, მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია გამოყოფებს ფონდებს აღნიშნული პრობლემის მოსაწესრიგებლად. 1 წლამდე ასაკის ბავშვების გარდაცვალების რისკი ძალიან მაღალია. მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის ინფორმაციით, ყოველწლიურად 5 წლამდე ასაკის ბავშვების გარდაცვალებათა 45%, მოდის სწორედ 0-დან 1 წლამდე ასაკის ბავშვებზე. ხოლო გარდაცვალებათა $\frac{3}{4}$ დგება სიცოცხლის პირველ კვირაში.¹ რაც შეეხება დედებს, ყოველდღიურად დაახლოებით 830 ქალი კვდება ორსულობასთან და მშობიარობასთან დაკავშირებული პრობლემებით. დედათა გარდაცვალების 99%, ისევე როგორც ჩვილთა მოკვდაობის უმეტესი შემთხვევები განვითარებად ქვეყნებზე მოდის.² სწორედ ეს სტატისტიკა განაპირობებს საკითხის

¹ <http://www.who.int/mediacentre/factsheets/fs333/en/>

² <http://www.who.int/mediacentre/factsheets/fs348/en/>

აქტუალურობას. დედათა და ჩვილთა მოკვდაობა პირდაპირ კავშირშია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან და მისი დონის ერთ-ერთ საზომს წარმოადგენს.

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსოფლიოს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია ცდილობს პრობლემის მოწესრიგებას და მათ გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევას. სხვადასხვა ქვეყანებში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესები დაკავშირებულია ერთმანეთთან, რაც განაპირობებს მათი კომპლექსური და პროფესიონალური შესწავლის აუცილებლობას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, 2000 წელს შეიმუშავა და ჩამოაყალიბა ათასწლეულის განვითარების მიზნები (Millennium Development Goals), სადაც საუბარია უმწვავესი პრობლემების აღმოფხვრაზე (სიღარიბისა და შიმშილის დაძლევა, დაწყებით განათლებაზე ხელმისაწვდომობა, გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებების დაცვა, ბავშვთა მოკვდაობის შემცირება, დედათა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, აივ ინფექციის, მალარიის და სხვა ინფექციების წინააღმდეგ ბრძოლა, გარემოს მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა, გლობალური ურთიერთობების განვითარება). როგორც ვხედავთ, მსოფლიოს წინაშე მდგარი ძირითადი გამოწვევებიდან ორი უმნიშვნელოვანესი საკითხი (დედათა და ჩვილთა სიცოცხლის შენარჩუნების საკითხი) დემოგრაფიულია.³

2015 წლის 25 სექტემბერს, მსოფლიოს სახელმწიფოთა ლიდერები შეიკრიბნენ მდგრადი განვითარების სამიტზე ნიუ იორკში (აშშ) და შეთანხმდნენ მსოფლიოს განვითარების ახალი დღის წესრიგის - მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) შესახებ. განვითარების ახალი დღის წესრიგი მოიცავს 17 გლობალურ მიზანს, რომლებმაც უნდა განსაზღვრონ მსოფლიოს განვითარების პრიორიტეტები 15 წლის მანძილზე, 2016 წლიდან 2030 წლამდე. მდგრადი განვითარების მიზნებმა ჩაანაცვლეს ათასწლეულის განვითარების მიზნები.⁴ ახალი მიზნების მე-3 მიზანი არის „ჯანმრთელობა და კეთილდღეობა“, რომელიც დემოგრაფიულ და ჯანდაცვის საკითხებს, კერძოდ კი დედათა და ჩვილთა მოკვდაობის საკითხს აერთიანებს. მიუხედავად იმ პროგრესისა, რაც 2000

³ http://www.undp.org/content/undp/en/home/sdgoverview/mdg_goals.html

⁴ <http://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/post-2015.html>

წლიდან დღემდე განიცადა მსოფლიომ, აღნიშნული თემები ისევ პრიორიტეტულ და აქტუალურ პრობლემად რჩება, ისევ ასობით ქალი იღუპება ყოველდღიურად მშობიარობის დროს და ბავშვის დაბადების შემდგომი პერიოდის გართულებებით. ჩვილები სხვადასხვა ასაკში, სხვადასხვა მიზეზით იღუპებიან, იქნება ეს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული თუ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებით გამოწვეული (მაგალითად, შიმშილი) მიზეზები.⁵

მე-20 საუკუნის 80-იან წლებში, ჩვილთა მოკვდაობის მაჩვენებელი განსხვავდებოდა ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით. განვითარებულ ქვეყნებში მისი სიდიდე 10%-ზე ნაკლები იყო, ხოლო აზიისა და აფრიკის რიგ ქვეყნებში (ლაოსი, პაკისტანი, ომანი, ეთიოპია, ჩადი და სხვა) აღემატებოდა 100%-ეს.⁶ განსხვავებულობის მხრივ სიტუაცია დიდად არც ახლანდელ პერიოდში შეცვლილა.

რაც შეეხება საქართველოს, თუ თვალს გადავავლებთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს ბოლო 15 წლის განმავლობაში, ვნახავთ, რომ შობადობა იზრდება (2001 წელს შობადობის ზოგადი კოეფიციენტი იყო 10,9‰ (47 589 ცოცხლად დაბადებული), ხოლო 2016 წელს - 15,2‰ (56 569 ცოცხლად დაბადებული). იზრდება მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტიც. თუ 2011 წელს ის 10,5‰-ს შეადგენდა (46 218 გარდაცვალება), უკვე 2016 წელს მან 13,2‰ შეადგინა (50 771 გარდაცვალება). მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის ზრდის მიუხედავად ამავე პერიოდში ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი მცირდება და 2007 წელს არსებული 13,3‰-ეს ნაცვლად 2016 წელს მან 9,0‰ შეადგინა.⁷

კონკრეტულად დედათა და ჩვილთა მოკვდაობის შემცირების თვალსაზრისითაც შეინიშნება პროგრესი, თუმცა მისი მაჩვენებლები ჯერ კიდევ საგრძნობლად განსხვავდება ევროპის განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებისგან. საქართველო ერთგვარ პარადოქსს წარმოადგენს, იგი თავისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით განვითარებადი ქვეყანაა, თუმცა დემოგრაფიულად ის იმეორებს ბევრი განვითარებული ქვეყნის ტოლ მაჩვენებლებს. საქართველოში არსებული სიტუაცია ემთხვევა დემოგრაფიულად

⁵ <http://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/post-2015/sdg-overview/goal-3.html>

⁶ დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი; თბ. 2012, გვ. 170.

⁷ http://www.geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo

განვითარებული ქვეყნებისთვის დამახასიათებელ დემოგრაფიულ სურათს (დაბალი შობადობა, დემოგრაფიული დაბერება, ხანდაზმულთა მაღალი ხვედრითი წილი). თუმცა ჩვილთა და დედათა მოკვდაობის მაჩვენებელი ნამდვილად განვითარებადი ქვეყნებისთვის დამახასიათებელია. რაც შეეხება დედათა მოკვდაობას, საქმე უფრო რთულადაა. საქართველოსთვის დედათა ჯანმრთელობა და სიკვდილიანობა ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. ბოლო 6 წლის განმავლობაში, დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი მატების ტენდენციას ინარჩუნებს. 2010 წელს დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელმა ყოველ 100 000 ცოცხალშობილზე 14,9 შეადგინა, ხოლო 2014 წელს ეს მაჩვენებელი გახდა 31.1 ყოველ 100 000 ცოცხალშობილზე,⁸ რაც სახარბიელო ნამდვილად არ არის.

იმ მიზეზების გამო, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია პრობლემის სიღრმისეული შესწავლა და ანალიზი. თუ სახელმწიფოს დაგეგმილი აქვს დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, აუცილებელია პირველ რიგში ფლობდეს ინფორმაციას თავისი ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობის, შემადგენლობის, სქესობრივი და სხვა სტრუქტურების შესახებ. განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც დემოგრაფიული კრიზისია, ერი, ფაქტობრივად დაბერებულია, აუცილებელია ყველა იმ ახალშობილის მაქსიმალურად შენარჩუნება, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში არსებული დაბალი შობადობის პირობებში, ისედაც მცირე რაოდენობით იბადებიან. ერის უწყვეტობის პირობა დედათა და ჩვილთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლის შენარჩუნებაზე გადის. ამიტომაც ავირჩიეთ სამაგისტრო თემად აღნიშნული საკითხის შესწავლა, რათა გამოვავლინოთ მასზე მოქმედი ფაქტორები, მათი მოქმედების მექანიზმი და აქედან გამომდინარე დავსახოთ მათი გამოსწორების გზები.

⁸http://www.ncdc.ge/AttachedFiles/%E1%83%94%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%93%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%202014_e9b1a930-a408-4498-b221-4f1830b7109b.pdf

1.2. დედათა და ჩვილთა მოკვდავობის არსი და მაჩვენებლები

დედათა და ჩვილთა მოკვდავობის საკითხი ორი მეცნიერების, დემოგრაფიისა და მედიცინის ზღვარზე გადის. ფაქტია, რომ ორივე დისციპლინა დიდი გულისყურითა და ინტერესით იკვლევს აღნიშნულს. ნაშრომში მოყვანილი მონაცემები სწორედ ამ ორი დარგის მასალებს ეყრდნობა. მართალია, წამყვანი ხასიათი სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, დემოგრაფიის განყოფილების მონაცემებს აქვს, მაგრამ შეუძლებელია უყურადღებოდ დავტოვოთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემები, რომლებიც ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. არის შემთხვევები, როდესაც ორი მომწოდებლის ინფორმაცია ერთმანეთს არ ემთხვევა. შესაძლოა ამის მიზეზი მეთოდოლოგიურ მიდგომებსა და განსხვავებებში უნდა ვეძებოთ. მაგრამ აუცილებელია მონაცემების დასტაბილურება და გასწორება, მით უფრო, როდესაც მუდმივად ხდება ინფორმაციის გაცვლა და ერთი წყარო ეყრდნობა მეორეს. არ უნდა გამოვიწვიოთ დაბნეულობა არც ადგილობრივი მეცნიერების და დაინტერესებული პირებისა და არც საერთაშორისო ორგანიზაციების.

ამა თუ იმ ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, ჩვილთა მოკვდავობის დონეა. ჩვილთა მოკვდაობა ესაა ბავშვთა გარდაცვალება სიცოცხლის პირველ წელს (0-12 თვე). იგი მნიშვნელოვნად სჭარბობს მომდევნო ასაკობრივი ჯგუფების მოკვდავობას გარდა ხანდაზმული და მოხუცებულობის ასაკისა. ჩვილთა მოკვდაობა წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებელს, რომელიც ახასიათებს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. ამ მაჩვენებლის შემცირება ხელს უწყობს მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდას.⁹ მის შესახებ მონაცემების შეგროვება ხდება ყოველწლიურად, გარდაცვალების მიზეზების მიხედვით.¹⁰

ჩვილთა მოკვდაობის შესახებ მონაცემებს აგროვებს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, რომელიც, თავის მხრივ, ინფორმაციას იღებს სახელმწიფო

⁹ დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი; თბილისი 2012, გვ. 169.

¹⁰ პერინატალური ჯანმრთელობის ანალიზი; მოკლე მიმოხილვა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2016 წელი, გვ. 26.

სერვისების განვითარების სააგენტოდან. ჩვილთა გარდაცვალების შესახებ ინფორმაციის მიღება ხდება არა მხოლოდ სამედიცინო დაწესებულებებიდან, არამედ თვითმმართველობის ადგილობრივი ერთეულებიდანაც¹¹, რადგანაც არის შემთხვევები, როდესაც მშობიარობა ხდება სახლში და, შესაბამისად, ამ დროს სტატისტიკის სამსახურს ინფორმაციას აწვდიან თვითმმართველი ორგანოები და არა სამედიცინო დაწესებულებები.

მონაცემებს ჩვილთა გარდაცვალების შესახებ, ასევე, აგროვებს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი. ყოველწლიური და ყოველთვიური ანგარიშგების ფორმების საშუალებით, იგი აგრეგირებულ მონაცემებს იღებს სამედიცინო დაწესებულებებიდან. ცენტრი ასევე აგროვებს ინფორმაციას ჩვილთა გარდაცვალების შემთხვევების შესახებ დაავადებათა ზედამხედველობის ელექტრონული ინტეგრირებული სისტემის (EIDSS) საშუალებით, სადაც ინფორმაციას ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრები აგზავნიან.¹²

ჩვილთა მოკვდაობის ყველაზე მარტივი მახასიათებელია წლის განმავლობაში 0-დან 1 წლამდე ასაკში გარდაცვლილ ბავშვთა რიცხვი, რომელიც თავისი არსით ჩვილთა მოკვდაობის ექსტენსივობის მაჩვენებელია. ამიტომაც ჩვილთა მოკვდაობის აბსოლუტური სიდიდე, შესადარისობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, არ გამოდგება. რის გამოც, დემოგრაფიასა და მოსახლეობის სტატისტიკაში ფართოდ გამოიყენება ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი.

მოკვდაობის ასაკობრივ კოეფიციენტებს შორის ერთ-ერთია ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი, რომლითაც იზომება ერთ წლამდე ასაკში მყოფი ბავშვების მოკვდაობის ინტენსივობა. სანამ უშუალოდ მაჩვენებლების განხილვაზე გადავიდოდეთ, უპრიანია შევხვით თავად ტერმინის წარმოშობას. საბჭოთა კავშირში აღნიშნული მაჩვენებელი ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტად იწოდებოდა. ისტორიული კონტექსტიდან გამომდინარე, მე-20 საუკუნის საქართველოს საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლად

¹¹ პერინატალური ჯანმრთელობის ანალიზი; მოკლე მიმოხილვა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2016 წელი, გვ. 26.

¹² პერინატალური ჯანმრთელობის ანალიზი; მოკლე მიმოხილვა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2016 წელი, გვ. 26.

განხილვა უსამართლოა. იგივე ტერმინი გამოიყენებოდა ჩვენ ქვეყანაშიც. ქართულ ენაზე ტერმინი „ჩვილთა მოკვდაობა“ პირველად შემოიტანა, დემოგრაფმა, ანზორ სახვაძემ, რომელმაც ჯერ კიდევ 1990 წელს ჟურნალ „ეკონომისტი“ გამოაქვეყნა სტატია, წორედ ამ ტერმინის შემოღების აუცილებლობის შესახებ. მეცნიერი განმარტავს, რომ ბავშვთა ასაკში იგულისხმება 0-14 წლამდე პერიოდი. მისი თქმით, თუ არ მოხდებოდა ტერმინის დავიწროვება და 0-1 წლამდე ასაკის გარდაცვალებათა მაჩვენებელს არ დაერქმეოდა „ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი“, ამას შეიძლება გამოეწვია ასაკობრივი ჯგუფების აღრევა. ბავშვთა მოკვდაობაში ეგულისხმათ არა მხოლოდ 0-1 წლამდე გარდაცვლილები, არამედ 0-14 წლამდე გარდაცვლილებიც. საქართველოში ზოგიერთი ავტორის მიერ იყო მცდელობა, დაემკვიდრებინათ ტერმინი „ყრმათა მოკვდაობა“, თუმცა ამ მცდელობამ ფეხი ვერ მოიკიდა. გამოიცა ნაშრომი „სოციოლოგიისა და დემოგრაფიის პრობლემები II“, რომელსაც დამატებად დართული ჰქონდა რუსულ-ქართული ლექსიკონი „დემოგრაფიული ტერმინოლოგია“, სადაც “Младенческая смертность” განმარტებული იყო, როგორც „ყრმათა მოკვდაობა“.¹³ 1988 წლის მარტში, საბჭოთა კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის სამეცნიერო მეთოდოლოგიური საბჭოს სოციალური სტატისტიკის სექციამ დაამტკიცა ძირითად დემოგრაფიულ ტერმინთა სისტემა და მაჩვენებელთა სახელწოდებები, სადაც არ იყო ნახსენები „ბავშვთა მოკვდაობის მაჩვენებელი“. ეს კი იმის ნიშანი იყო, რომ იგი ამოიღეს სტატისტიკური პუბლიკაციებიდან. მას შემდეგ გამოიყენება ტერმინი „ჩვილთა მოკვდაობა“,¹⁴ რომელიც სრულიად სამართლიანად ეწოდა ზემოთ ხსენებულ კოეფიციენტს.

კიდევ ერთი განსხვავება ჩვილთა მოკვდაობასთან დაკავშირებით, რაც იმ პერიოდის მსოფლიოსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებობდა, ესაა ცოცხლადდაბადების პირობების განსხვავებული აღიარება. შესაბამისად ამ პერიოდის მონაცემები შესაძლოა რეალურად ვერც ასახავდეს არსებულ სურათს. კერძოდ, 1996 წლამდე, რუსეთის, მანამდე კი საბჭოთა კავშირის სტატისტიკაში ცოცხლად დაბადებულად ითვლებოდა 28 კვირისა და მეტი ხნის ფეხმძიმობის შემდეგ დაბადებული ბავშვი, რომელის წონაც დაბადებისას 1000 გრამი და

¹³ სოციოლოგიისა და დემოგრაფიის პრობლემები, II, დემოგრაფიული ტერმინოლოგია, 1984, გვ. 306.

¹⁴ სახვაძე ა. „ერთი დემოგრაფიული მაჩვენებლის დასაზუსტებლად“, ჟურნალი „ეკონომისტი“; 1990 წ.

მეტი იყო (ან თუ წონა უცნობი იყო, სხეულის სიგრძე 35 სმ და მეტი უნდა ყოფილიყო და გაჩენის შემდეგ თუნდაც ერთხელ დამოუკიდებლად ამოესუნთქა). ფეხმძიმობის აღნიშნულ ვადაზე ადრე გაჩენილი ან 1000 გრამზე ნაკლები წონის დაბადებული ბავშვები ცოცხლადდაბადებულად მხოლოდ მაშინ ითვლებოდნენ, თუკი მათ 7 დღე-ღამეზე მეტი იცოცხლეს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დადგენილი ცოცხლადდაბადებულობის კრიტერიუმები კი სხვაგვარი იყო. მათ მიხედვით, ბავშვი ცოცხლადდაბადებულად ითვლებოდა, თუკი გაჩენის შემდეგ (ფეხმძიმობის ვადის მიუხედავად) იგი სუნთქავდა ან ავლენდა სიცოცხლის სხვა ნიშნებს, ისეთებს, როგორცაა ჭიპის ჰულსაცია, ან კუნთების თავისუფალი მოძრაობა.¹⁵

მოკვდაობის სხვა მაჩვენებლებს შორის, ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი გამოირჩევა, როგორც თავისი სიდიდით, ასევე გაანგარიშების მეთოდით და თავისი სოციალური მნიშვნელობით.¹⁶ მეორე დემოგრაფიულ მაჩვენებლთან, მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობასთან ერთად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი წარმოადგენს მოსახლეობის ცხოვრების პირობებისა და კულტურული დონის უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს.

ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტის გაანგარიშების მეთოდები განსხვავდება ყველა სხვა ასაკობრივი კოეფიციენტების გაანგარიშების მეთოდისგან. რადგანაც სიცოცხლის პირველ წელს ჩვილთა საშუალო წლიური რიცხოვნობის გამოთვლა სირთულეს წარმოადგენს, ამიტომ ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტების ნაცვლად ანგარიშობენ პირველი წლის განმავლობაში გარდაცვალების ალბათობას, ე.ი. ერთ წლამდე ბავშვების გარდაცვალების შემთხვევათა არა მათ საშუალო წლიურ რიცხოვნობასთან, არამედ დაბადებულთა მთლიან რიცხვთან შეფარდებით. საწყისი ინფორმაციის ხასიათისა და გაანგარიშების სიზუსტისადმი მოთხოვნის მიხედვით ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტის გაანგარიშების ძირითადად სამი ხერხი გამოიყენება.

¹⁵ ვ.ა. ბორისოვი, რუსულიდან თარგმნა ანზორ სახვაძემ, თბ. 2001, გვ. 359.

¹⁶ ვ.ა. ბორისოვი, რუსულიდან თარგმნა ანზორ სახვაძემ, თბ. 2001, გვ. 352.

1) რადგანაც საანგარიშო „t“ წელს ერთ წლამდე ასაკში გარდაცვლილი ბავშვები ეკუთვნიან დაბადებულთა ორ მომიჯნავე თაობას (მათი ნაწილი დაიბადა იმავე „t“ წელს, რომელშიც ისინი გარდაიცვალნენ, ხოლო მეორე - წინა „t-1“ წელს), ამიტომ თუ კი გვაქვს მონაცემები ერთ წლამდე ასაკში გარდაცვლილი ბავშვების თავიანთი დაბადების წლის მიხედვით განაწილების შესახებ, მაშინ 0 წლის ასაკში გარდაცვლილი ბავშვების თითოეული ერთობლიობა შეეფარდება შესაბამისი წლის დაბადებულთა რიცხვს. გაანგარიშება ხდება შემდეგი ფორმულით:

$$m_0^t = \left[\frac{M_0^t}{N^t} + \frac{M_0^{t-1}}{N^{t-1}} \right] \times 1000$$

სადაც m_0^t - ჩვილთა მოკვდავობის კოეფიციენტი საანგარიშო „t“ წელს; M_0^t და M_0^{t-1} - ერთ წლამდე ასაკში გარდაცვლილი ბავშვების რიცხვი „t“ და წინა „t-1“ წელს დაბადებული ბავშვებიდან; N^t და N^{t-1} - დაბადებულთა რიცხვი შესაბამისად საანგარიშო „t“ და წინა „t-1“ წელს.¹⁷

ამ ფორმულის გამოყენებისთვის აუცილებელია მონაცემები ერთ წლამდე ასაკში გარდაცვლილი ბავშვების დაბადებულთა თაობების მიხედვით განაწილების შესახებ. ეს ხერხი იმ შემთხვევაში გამოიყენება, როცა საჭიროა ჩვილთა მოკვდაობის განსაკუთრებით ზუსტი მაჩვენებლები ათწილადებში მძიმის შემდეგ რამდენიმე ნიშნით. ეს აუცილებლობა კი წარმოიშობა მოკვდაობის ცხრილების აგებისას.¹⁸

2) გარდაცვლილთა თაობების მიხედვით განაწილების შესახებ მონაცემების არ არსებობის შემთხვევაში კი შეგვიძლია გამოვიყენოთ ჩვილთა მოკვდაობის დონის მიახლოებითი შეფასების მეთოდი, რომელიც 1920-იანი წლების დასაწყისში შემოიტანა გერმანელმა დემოგრაფმა და მათემატიკოსმა იოჰანეს რატსმა.

¹⁷ ვ.ა. ბორისოვი, რუსულიდან თარგმნა ანზორ სახვაძემ, თბ. 2001, გვ. 355.

¹⁸ ვ.ა. ბორისოვი, რუსულიდან თარგმნა ანზორ სახვაძემ, თბ. 2001, გვ. 355.

$$m_0^t = \frac{M^t}{2/3N^t + 1/3N^{t-1}} \times 1000$$

სადაც ყველა პირობითი აღნიშვნა იგივეა, რაც წინა ფორმულაში.

3) ხშირად გამოიყენებენ ასევე უხემ მეთოდად წოდებულ, მარტივ ფორმულას. ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტის ამ ხერხით გამოთვლა მაშინაა გამართლებული, როდესაც სრულდება რამდენიმე პირობა. ესენია: შობადობის დონის მუდმივობა ორ მომიჯნავე წელს, რომელთაგანაც ერთი საანგარიშო წელია, ე.ი. ის რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ჩვილთა მოკვდაობის დონე, ხოლო მეორე - მისი წინა წელი. ამ მეთოდის გამოყენებისას საკმარისია საანგარიშო „1“ წელს „0“ წლის ასაკში გარდაცვლილი ბავშვების რიცხვი უბრალოდ გავყოთ იმავე წელს დაბადებულთა რიცხვზე. მაგრამ თუ შობადობის დონეები მომიჯნავე წლებში არსებითად განსხვავდება, მაშინ უმჯობესია გამოვიყენოთ რატსის ფორმულა.¹⁹ ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტის უხეში მეთოდით გამოსაანგარისებელი ფორმულა კი შემდეგნაირად გამოისახება:

$$m_0^t = \frac{M_0^T}{N^t} \times 1000$$

აღნიშნულ ფორმულაშიც ყველა პირობითი აღნიშვნა ცნობილია.

სამედიცინო დემოგრაფიასა და სტატისტიკაში ჩვილთა, ანუ 1 წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდაობაში განასხვავებენ სამ ძირითად პერიოდს. ესენია: პერინატალური, ნეონატალური და პოსტნეონატალური პერიოდები.

პერინატალური პერიოდის მოკვდაობა ესაა ნაყოფთა ან ჩვილთა მოკვდაობა ორსულობის 28 კვირიდან დაწყებული ახალდაბადებულის სიცოცხლის მეშვიდე დღემდე (0-6 დღე). პერინატალური პერიოდის მოკვდაობა თავის თავში მოიცავს მკვდრადშობადობასა და ადრეულ ნეონატალურ მოკვდაობას.²⁰

¹⁹ ვ.ა. ბორისოვი, რუსულიდან თარგმნა ანზორ სახვამემ, თბ. 2001, გვ. 356.

²⁰ დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბილისი 2012, გვ. 175.

ნეონატალური პერიოდის მოკვდაობა მოიცავს ჩვილთა მოკვდაობას ბავშვის დაბადების მომენტიდან სიცოცხლის 28-ე დღემდე. ის იყოფა ადრეულ და გვიან ნეონატალურ მოკვდაობად. ადრეული ნეონატალური პერიოდის მოკვდაობა გულისხმობს ჩვილთა გარდაცვალების შემთხვევებს დაბადების მომენტიდან სიცოცხლის პირველ კვირაში. ხოლო გვიანი - ჩვილთა მოკვდაობას სიცოცხლის 2-4 კვირის განმავლობაში.²¹

პოსტნეონატალური პერიოდის მოკვდაობა კი არის გარდაცვალება სიცოცხლის 28-ე დღიდან ერთ წლამდე ასაკში. ²²

ჩვილთა მოკვდაობის სიდიდეზე გავლენას ახდენს გარდაცვალებათა სხვადასხვა მიზეზები და ფაქტორები. დემოგრაფიაში დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვილთა მოკვდაობის დიფერენცირებულ შესწავლას. ჩვილთა გარდაცვალების მიზეზები თავის მხრივ, შეიძლება იყოს, როგორც ეგზოგენური, ასევე ენდოგენური. ეგზოგენური, ანუ გარეგანი ფაქტორები, რომლებიც ძირითადად პოსტნეონატალურ პერიოდში ფიქსირდება, შეიძლება იყოს უბედური შემთხვევები და ინფექციები. ხოლო ენდოგენური, ანუ შინაგანი ფაქტორები ძირითადად ნეონატალურ პერიოდში იჩენს თავს და მას მიეკუთვნება თანდაყოლილი ანომალიები და ა.შ.

რაც შეეხება დედათა მოკვდაობას, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით, „დედათა მოკვდაობა გულისხმობს ქალის სიკვდილს ორსულობისას ან ორსულობის შეწყვეტიდან 42 დღის განმავლობაში, მიუხედავად ორსულობის ვადისა, დაკავშირებულს ან გამოწვეულს ორსულობასა ან მის მართვასთან, მაგრამ არაა დაკავშირებული უბედურ შემთხვევასთან ან სხვა მიზეზებთან, რომელიც არ არის ასოცირებული ორსულობასთან“. ICD-10 განმარტავს ასევე დედათა გვიან სიკვდილს, როგორც „დედის სიკვდილი პირდაპირი ან არაპირდაპირი სამეანო მიზეზით ორსულობის შეწყვეტიდან 43 დღიდან 365 დღემდე“.²³

დედათა მოკვდაობა შესაძლებელია განპირობებული იყოს შემდეგი მიზეზებით: პირდაპირი სამეანო მიზეზები, არაპირდაპირი სამეანო მიზეზები და ორსულობასთან

²¹ დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბილისი 2012, გვ. 175.

²² დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბილისი 2012, გვ. 176.

²³ http://www.ncdc.ge/AttachedFiles/account_2def1b4a-7df1-42a1-8d21-f2c5d355aafe.pdf

ასოცირებული სიკვდილის შემთხვევები. ICD-10-ის მიხედვით დედათა სიკვდილის პირდაპირი მიზეზი არის „დედის სიკვდილი, რომელიც გამოწვეულია სამედიცინო გართულებებით ორსულობის, მშობიარობის და მშობიარობის შემდგომ პერიოდში.“ ეს შეიძლება მოხდეს სამედიცინო ჩარევების, სამედიცინო შეცდომების, არასწორი მკურნალობის ან მთელი რიგი პრობლემების ჯაჭვით, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ნებისმიერ ზემოთ ჩამოთვლილს. „არაპირდაპირი სიკვდილი“ განიმარტება, როგორც „გამოწვეული ნებისმიერი დაავადებით, რომელიც შეიძლება არსებობდა ორსულობის პერიოდში ან განვითარდა ორსულობისას, მაგრამ არ არის გამოწვეული სამედიცინო მიზეზებით ან ორსულობის ფიზიოლოგიური ეფექტით“.²⁴

დედათა მოკვდავობა იანგარიშება, როგორც ფეხმძიმობის, მშობიარობის ან მშობიარობის შემდგომი 42 დღის დღის განმავლობაში გარდაცვლილი ქალების რიცხვი ყოველ 100 000 ცოცხლადდაბადებულზე. ზოგჯერ მას ანგარიშობენ 1000 ან 10000 დაბადებულზე, ან დაბადებულთა საერთო რიცხვზე (ცოცხლადდაბადებულებს დამატებული მკვდრადდაბადებულები). ასევე შეიძლება იანგარიშებოდეს რეპროდუქციული ასაკის ყოველ 100 000 ქალზე გაანგარიშებით.

საქართველოში დედათა სიკვდილის კლასიფიცირება ხდება ჯმო-ის (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია) საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მეშვეობით. ამჟამად, სულ არსებობს დაავადებათა 21 ძირითადი კლასი, რომელთაგანაც მე-15 არის „ორსულობა, მშობიარობა და ლოგინობის ხანა“, რომელშიც სწორედ დედათა გარდაცვალებების შემთხვევები იგულისხმება.²⁵

დედათა სიკვდილიანობის შესახებ მონაცემთა შეგროვება, ჩვილთა მოკვდაობის მსგავსად, ხდება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ. ასევე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის, გაეროს დედათა სიკვდილიანობის შეფასების სააგენტოთაშორისი ჯგუფის (MMEIG) მიერ;

²⁴ პერინატალური ჯანმრთელობის ანალიზი; მოკლე მიმოხილვა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2016 წელი, გვ. 36.

²⁵ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები

ამასთანავე არსებობს შესწავლასთან დაკავშირებული კვლევებიც. რეპროდუქციული ასაკის ქალთა სიკვდილიანობის (GERAMOS-2008) და დედათა სიკვდილიანობის კვლევა (MMS-2011)²⁶, რომლებიც მნიშვნელოვანია დედათა მოკვდაობის ტენდენციების გამოსავლენად.

რაც შეეხება სტატისტიკური აღრიცხვის მოწესრიგებისთვის საჭირო რეგულაციებს სახელმწიფოს მხრიდან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, 2013 წელს შემუშავდა მკვდრადშობადობის, დედათა და 5 წლამდე ასაკის ბავშვთა გარდაცვალების სასწრაფო შეტყობინების სისტემა, რომლის საფუძველზეც დედათა და ჩვილთა სიკვდილის თითოეული შემთხვევა ექვემდებარება შეტყობინებას 24 საათის ვადაში, ხოლო სამედიცინო დოკუმენტაცია სამინისტროში წარდგენილი უნდა იყოს 5 სამუშაო დღის ვადაში. სამედიცინო დაწესებულება, თავის მხრივ, ახდენს დედის გარდაცვალების სერტიფიცირებას და სერტიფიკატი იგზავნება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში. ეს უკანასკნელი ინფორმაციას აგროვებს მთელი ქვეყნის მასშტაბით, როგორც სამედიცინო დაწესებულებებიდან, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობებიდან (იმ შემთხვევების გათვალისწინების გამო, როცა მშობიარობა სამედიცინო დაწესებულებაში არ ხდება). სწორედ აღნიშნული საფეხურების გავლის შემდეგ გადაეცემა ინფორმაცია საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს.

დედათა და ჩვილთა გარდაცვალების ტენდენციებზე საქართველოში, შემდეგ თავებში ვისაუბრებთ.

²⁶ http://www.ncdc.ge/AttachedFiles/ეპიდკვლევის%20შედეგები%202014_e9b1a930-a408-4498-b221-4f1830b7109b.pdf

1.3. საქართველოში არსებული ჩვილთა მოკვდაობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული და სამედიცინო-დემოგრაფიული წყაროების მიმოხილვა საქართველოში

ჩვილთა სიკვდილიანობის შესახებ ცნობები საქართველოს ისტორიაში უძველესი დროიდან მოიპოვება. მონაცემები ეყრდნობა არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ და სხვა ისტორიულ წყაროებს. მათი გაანალიზება გვაძლევს შესაძლებლობას, მეტ-ნაკლები სიზუსტით ვისაუბროთ თუ როგორი მდგომარეობა იყო ჩვილთა მოკვდაობის თვალსაზრისით ადრინდელ პერიოდში. ანტიკური ხანის საქართველოში, როგორც ა. კახიძე და რ. სურმანიძე წერენ სტატიაში „ბავშვთა სიკვდილიანობა ანტიკური ხანის საქართველოში“²⁷, მაშინ ჩვილთა გარდაცვალებათა შემთხვევები გავრცელებული ყოფილა. დაკრძალვის წესი კი მსგავსი იყო ბერძნული ტრადიციისა, რომელიც სწორედ ამ უკანასკნელთ შემოუტანიათ კოლხეთში. ეს გახლდათ ახალშობილთა ამფორაში დაკრძალვის წესი (6 თვის ასაკამდე გარდაცვლილების), რომელსაც ადგილი ჰქონდა ციხისძირში, ფიჭვნარსა და ბიჭვინთაში. სწორედ ამ სამარხებზე დაკვირვებით და შემდგომ მათი რაოდენობის განსაზღვრითაა შესაძლებელი დავადგინოთ თუ ჩვილთა მოკვდაობის როგორი ტენდენციები იყო დაახლოებით იმ პერიოდის საქართველოში. 1983-1987 წლებში აღმოჩენილია 314 სამარხი, მათ შორის ამფორასამარხები.²⁸ ციხისძირის სამაროვანზე აღმოჩენილია გვიან-არქაული, ელინისტური და გვიანანტიკური-ადრეფეოდალური ხანის ამფორა სამარხები. სულ 29 და მათგან დიდი ნაწილი, 21 სამარხი, ამფორასამარხი გვიანარქაული ხანისაა (ძვ. წ. VI ს-ის ბოლო V ს-ის დამდეგი).²⁹ აღნიშნულ მასალაზე და ზემოთ მოხსენიებულ მეცნიერებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ პერიოდისთვის კოლხეთში ახალშობილთა სიკვდილიანობა მაღალი იყო. შემდეგ პერიოდებში კი შეინიშნება მისი კლება. დარჩენილი სამარხები გვიანანტიკურ, ადრეფეოდალურ ხანას მიეკუთვნება. მიუხედავად ყველაფრისა, საქართველოს მთელ

²⁷ „ბავშვთა სიკვდილიანობა ანტიკური ხანის საქართველოში“, ჟურნალი „საბჭოთა მედიცინა“, 1989, №2, გვ. 63

²⁸ ამფორა - ძველ საბერძნეთსა და რომში თიხის ვიწროყელიანი ორყურა დიდი ჭურჭელი ღვინის, ზეთის და სხვა სითხის შესანახად (იხ: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=3267>)

²⁹ „ბავშვთა სიკვდილიანობა ანტიკური ხანის საქართველოში“, ჟურნალი „საბჭოთა მედიცინა“, 1989, №2, გვ. 64

ტერიტორიაზე მსგავსი ტიპის სამარხები აღმოჩენილი არაა, ამიტომ რთულია ვისაუბროთ იმაზე, თუ როგორი მდგომარეობა იყო მთელი ქვეყნის მასშტაბით.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მუცლის მოშლისა და სეპტიკური მოვლენების განვითარების შედეგად დედა და ნაყოფი ერთად უნდა დაკრძალულიყო. ნაპოვნია შესაბამისი სამარხებიც.³⁰

მეტად საინტერესო ფაქტები გამოავლინა ფიჭვნარის სამაროვანის გათხრებმა. გათხრების მიხედვით ჩანს, რომ აქ ახალშობილთა ამფორაში დაკრძალვის რიტუალი პირველ ხანებში თვით ელინურ წრეებში იყო გავრცელებული. ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე შესწავლილია 156 სამარხი და რამდენიმე საადაპო³¹ მოედანი. მათ შორის ამფორასამარხი ერთადერთია. დადგინდა, რომ ახალშობილთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი საკმაოდ დაბალი იყო და დაახლოებით 0,6%-ს შეადგენდა.³²

ამფორასამარხები აღმოჩენილია საქართველოს ზღვისპირეთის გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ცნობილი ციხე-ქალაქის და კულტურულ-რელიგიური ცენტრის „დიდი პიტუნტის“-ბიჭვინთის გათხრებისას.³³

საქართველოს ზღვისპირა ზოლში აღმოჩენილი უახლესი ნივთიერი კულტურის ძეგლების მიხედვით ჩანს, რომ ჩვილი ბავშვის ამფორაში დაკრძალვის წესი პირველ ხანებში გავრცელებული იყო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თვით ელინურ წრეებს შორის. ადრეელინისტური ხანიდან ეს რიტუალი დამახასიათებელია კოლხური მოსახლეობისთვის. ჩვილთა მოკვდავობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია გვიანარქაული (ძვ. წ. VI ს. ბოლო Vს-ის დამდეგი) და გვიანანტიკური ხანისთვის (ჩვ. წ. ა. I-VI სს). ძუძუთა ბავშვების სიკვდილიანობის შემთხვევები დადასტურებულია კლასიკური და ელინისტური ეპოქებისათვის (ძვ.წ. V-IIIსს). ასეთივე სურათი შეინიშნება ჩრდილო შავიზღვისპირეთის მაგალითზე.³⁴

³⁰ „ბავშვთა სიკვდილიანობა ანტიკური ხანის საქართველოში“, ჟურნალი „საბჭოთა მედიცინა“, 1989, №2, გვ. 65

³¹ ალაპი - იგივეა, რაც ქელები (იხ: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=14&t=19144>)

³² იქვე, გვ. 65.

³³ იქვე, გვ. 65.

³⁴ იქვე, გვ. 65.

არქეოლოგიურ ძეგლებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ზოგადი წარმოდგენა შევიქმნათ ჩვილთა მოკვდაობის ტენდენციებზე ანტიკური ხანის საქართველოში. გარდა ამისა, ძალზედ საინტერესოა ეთნოგრაფიული და ისტორიული წყაროები, რომლებიც ადასტურებს ჩვილების სხვადასხვა მიზეზებით მოკვდინების ფაქტებს, რომელთაგანაც აღსანიშნავია სამი ძირითადი მიზეზი: 1. უკანონოდ შობილი ჩვილების (ახალშობილების) მკვლელობა; 2. სქესის სელექციის გამო ჩვილების მკვლელობა და 3. ჩვილების ცოცხლად დამარხვის გზით მათი მკვლელობა.³⁵ მკვლელის როლში კი ძირითადად დედები გვევლინებოდნენ. აღნიშნულ ფაქტებს შეიძლება დიდი გავლენა მოეხდინა დემოგრაფიული სურათის ცვლილებაში. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

„ქართული ფეოდალური საოჯახო სამართლის“ მიხედვით, მრუშობა „საქალე“ დანაშაულად გამოცხადდა, რის გამოც დანაშაულის შედეგად გაჩენილი პრობლემის „მოგვარება“ ქალის მოვალეობად განისაზღვრა.³⁶ სწორედ ამიტომ ბავშვის მკვლელობას ქალი ახორციელებდა. მაშინ ზნეობრიობის დაცვა უფრო პრიორიტეტული იყო ვიდრე უკანონოდშობილი შვილის სიცოცხლე. შედეგად კი, როგორც წყაროები გვეუბნება, ქართულ ჩვეულებით სამართალში ბუშის მკვლელობა მხოლოდ ზნეობრივ დანაშაულად აღიქმებოდა და არა ცალკე ჩადენილ დანაშაულად. იურისტების კომპეტენციაში ვერ ჩავერევით, მაგრამ შესაძლოა ჩვილთა მკვლელობის წინააღმდეგ უფრო მკაცრი ზომების მიღების შემთხვევაში, ბევრი ხევსური ბავშვის სიცოცხლე გადარჩენილიყო (რადგანაც მსგავსი ფაქტები სწორედ ხევსურეთში შეინიშნებოდა). ანალოგიურად ხდებოდა „გაბიჭიანების“ (როცა ერთი გვარის ქალ–ვაჟს გაუჩნდებოდათ ნაბიჭვარი; გაუპატიურების ფაქტი) შემთხვევაშიც. ამ დროს აუცილებელი იყო შედეგი, დაორსულება და შვილის დაბადება. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საქართველოს მთაში გავრცელებული იყო წაწლობა–სწორფერობის ტრადიცია, რომელიც არც თუ იშვიათად ირღვეოდა (მიუხედავად აკრძალვისა), მას შედეგად სწორედ ჩვილთა მკვლელობები მოჰყვებოდა ხოლმე.

³⁵ მათიაშვილი მ. „შვილის მკვლელობა ძველ ქართულ სამართალში“, სამართლის ჟურნალი, 2015, №2, გვ. 39.

³⁶ მათიაშვილი მ. „შვილის მკვლელობა ძველ ქართულ სამართალში“, სამართლის ჟურნალი, 2015, №2, გვ. 40.

ეთნოგრაფიული და ისტორიული ძეგლები არ ინახავს ინფორმაციას თუ როგორი ვითარება იყო მთელი საქართველოს მასშტაბით ჩვილთა სიკვდილიანობის თვალსაზრისით. თუმცა სვანეთში დადასტურებულია ჩვილთა მოკვლის ჩვეულება სქესის სელექციის გამო. რაც შეეხება ოსეთს, აქ განურჩევლად სქესისა, მატერიალური უსახსრობის გამო ხოცავდნენ თურმე ჩვილებს.³⁷ დავუბრუნდეთ სვანეთის მაგალითს, რომელიც მეტად ყურადსაღებია. მკვლელობის ფაქტებს საკმაოდ მრავალფეროვანი სარჩული ჰქონდათ, დაწყებული მატერიალურით და კულტურულით დასრულებული. აღსანიშნავია კოვალევსკის მიერ გამოვლენილი მიზეზები. იმ პერიოდისთვის გავრცელებული ყოფილა თავადების მიერ გლეხის შვილების გაყიდვა. მშობლებს კი ერჩივნათ თავად მოეკლათ საკუთარი შვილი, ვიდრე თავადი გაყიდდა მას. შესაბამისად, მათი აზრით, რა აზრი ჰქონდა ქალიშვილების გაზრდას, თუკი მაინც უნდა გაეყიდათ ისინი. ეკონომიკური ფონი, როგორც წესი, ერთგვარად განაპირობებდა ცხოვრების სტილის ფორმირებას. სწორედ ეკონომიკური სიდუხჭირის გამოა, რომ აღნიშნული ფაქტის ერთ-ერთ მიზეზად, სვანების მიერ მოსახლეობის რიცხოვნობის ხელოვნური შემცირება სახელდება. ეს არის იმის დასტური, თუ როგორ მოქმედებს ეკონომიკური მდგომარეობა ჩვილთა მოკვდაობაზე. ქალი ოჯახისთვის მატერიალური ზარალის მომტანად ითვებოდა, რადგან მას სჭირდებოდა მზითვი. გვარის გამგრძელებელიც მამაკაცი იყო და არა ქალი. მთის ხალხზე საუბრისას ვერ გავუქცევით ტრადიციებსა და რწმენა-წარმოდგენებს. მაგალითად, სვანებს სწამდათ, რომ თუ ახალდაბადებულ ქალს მოკლავდნენ, შემდეგ ღმერთი მათ ვაჟს მისცემდა. დემოგრაფიული თვალსაზრისით, სქესის სელექციის მიზნით ჩადენილი მკვლელობები (აბორტებიც), უდიდეს გავლენას ახდენს დემოგრაფიულ მაჩვენებლებზე და, რა თქმა უნდა, მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობაზეც. სვანეთში არსებული მდგომარეობა კი ნეგატიურ გავლენას ახდენს მოსახლეობის ფორმირებაზე. ზემოთ აღნიშნული ჩვეულების არსებობამ გავლენა მოახდინა სვანეთის მოსახლეობის რაოდენობაზეც. 1897 წელს საქართველოში ჩატარებული აღწერის მიხედვით, რომელმაც მოსახლეობის მთელი რიგი სტრუქტურები გამოავლინა, მათ შორის, სქესობრივი თანაფარდობებიც გამოავლინა, დადგინდა, რომ

³⁷ მათიაშვილი მ. „შვილის მკვლელობა ძველ ქართულ სამართალში“, სამართლის ჟურნალი, 2015, №2, გვ. 42.

ქვეყანაში იყო მამაკაცების სიჭარბე (53,3%) ქალების რიცხვთან შედარებით (46,7%).³⁸ ამის მიზეზად მიიჩნეოდა ქალების სიკვდილიანობა და ზოგადად „ქალის არათანაბარი სოციალურ–უფლებრივი მდგომარეობა საზოგადოებასა და ოჯახში“.³⁹ ამათგან, ჩვენთვის ეს უკანასკნელი დებულება უფრო მისაღებია. რაც შეეხება ქალთა სიკვდილიანობას, ბუნებრივი კანონზომიერებიდან გამომდინარე, ზოგადად, ზრდასრულ ასაკში უფრო მეტი მამაკაცი იღუპება, ვიდრე ქალი, ამიტომ სასურველია, მოხდეს იმ მიზეზების შესწავლა თუ რატომ კვდებოდა უფრო მეტი ქალი. რადგან ჩვილთა მოკვლა სქესობრივი სელექციის მიზნით მხოლოდ სვანეთშია დადასტურებული, უფლება არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ მხოლოდ ეს მიზეზი განაპირობებდა მთელი საქართველოს მასშტაბით მამაკაცთა სიჭარბეს, მაგრამ რეგიონულ დონეზე, რა თქმა უნდა, გარკვეულ გავლენას ახდენდა. „ცნობილია, რომ სწორედ ამ სასტიკი ჩვეულების არსებობას მიაწერდნენ სვანეთში XIX საუკუნეში ქალთა მცირე რაოდენობას, რამაც, საბოლოო ჯამში ცოლთა წაგვრის დანაშაულის განსაკუთრებული გავრცელება გამოიწვია“ (მათიაშვილი მ. 2015წ.), რაც გულისხმობდა უკვე გათხოვილი ქალის, სხვისი ცოლის მოტაცების ტრადიციას. შეუძლებელია აღნიშნულს არ დავეთანხმოთ, რადგანაც დემოგრაფიული ვითარება და პრობლემები ხშირად ხდება სხვა, უფრო მასშტაბური და საშიში დანაშაულების საფუძველი. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი მათი დასაწყისშივე გაანალიზება და თუ შესაძლებელია აღმოფხვრაც. კონკრეტულად ჩვილთა მოკვდავობაზე თუ ვისაუბრებთ, ეს არის ის გენოფონდი, რომელმაც შემდგომ წლებში უნდა მოახერხოს თაობათა უწყვეტობის გაგრძელება და ზოგადად, ერის შენარჩუნება. როგორც ვიცით, ქალების როლი გამრავლების საკითხში ფასდაუდებელია. თუ კი ბალანსი დაირღვევა და მეტ–ნაკლებად ქალებისა და მამაკაცების რიცხვი არ გათანაბრდება, ამან შეიძლება კრიტიკულ შედეგებამდე მიგვიყვანოს. ქალების სიმცირის გამო ბევრი მამაკაცი დარჩება პარტნიორის გარეშე, რაც გარდაუვლად აისახება შობადობაზე.

ერთ–ერთ დემოგრაფიულ საკითხს ეხმიანება სამეგრელოში ჩადენილი ჩვილთა მკვლევლობები (ჩვილის ცოცხლად დამარხვა). არ. ლამბერტის ცნობით, ერთ–ერთი მიზეზი

³⁸ მათიაშვილი მ. „შვილის მკვლელობა ძველ ქართულ სამართალში“, სამართლის ჟურნალი, 2015, №2, გვ. 44.

³⁹ მათიაშვილი მ. „შვილის მკვლელობა ძველ ქართულ სამართალში“, სამართლის ჟურნალი, 2015, №2, გვ. 44.

ამ გაუგონარი დანაშაულისა, გახლდათ ქვრივების მიერ წინა ქორწინებიდან დარჩენილი შვილის მოცილება.⁴⁰ ადგილობრივი მმართველი ამ საკითხს არ აგვარებდა და მიზეზად ბავშვების აღრიცხვის არარსებობას ასახელებდა.⁴¹ მართლაც, რომ ყოფილიყო მოწესრიგებული სააღრიცხვო სისტემა, ინფორმაციის სრულყოფის თვალსაზრისით და შემდგომ სასჯელის დაკისრებით, შესაძლოა ქალებს უარი ეთქვათ საკუთარი შვილის მოკვლაზე. არაფერს ვამბობთ კულტურასა და ტრადიციებზე. სამეგრელოში, ორივე მათგანი ფაქტობრივად ჩვილთა მკვლელობის სტიმულატორად გვევლინება. განათლების დონეზე საუბარი კი ამ კონტექსტში ყოველგვარ საღ აზრს მოკლებულია.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული ჩვეულებებით ჩვილთა მოკვდინება თითქმის ყველგან იყო გავრცელებული და დასჯას არ ექვემდებარებოდა. არავის უფიქრია თუ რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა აღნიშნულს. მართალია, ვერ ვიტყვით რომ მხოლოდ ეს უკანასკნელი ახდენდა გავლენას მოსახლეობის ფორმირებასა და სტრუქტურაზე, მაგრამ შეიძლება სწორედ ამ და სხვა მსგავსი უმეცრების შედეგად შემცირდა საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა კრიტიკულამდე მე-18-19 საუკუნეებში და დაახლოებით ნახევარ მილიონს გაუტოლდა, რასაც თან დაერთო უმძიმესი სოციალურ – ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა.

მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში, მოკვდაობის რეგისტრაცია შედარებით გამოსწორდა, რამაც საშუალება მისცა იმ პერიოდის მკვლევარებს შეესწავლათ ჩვილთა მოკვდაობა. ამ მხრივ, აღსანიშნავია ა. ჯიჯაძის შრომა „შობადობა და ბავშვთა სიკვდილიანობა კაპიტალისტურ ქვეყნებში და ჩვენში“. ავტორი ძირითადად ეყრდნობა ქალაქის მოსახლეობის მონაცემებს. რაც შეეხება სოფლის მოსახლეობას, იქ არ იყო მოწესრიგებული აღრიცხვის სისტემა და ამიტომ ვერ შეძლო გაეანალიზებინა. თუმცა იგი იქვე დასძენს, რომ თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და სოხუმის გარდა, სხვა ქალაქებისგან დიდად არ განსხვავდებოდა სოფლის მოსახლეობა და შეიძლებოდა მოგვეხდინა შედეგების განზოგადება.

⁴⁰ მათიაშვილი მ. „შვილის მკვლელობა ძველ ქართულ სამართალში“, სამართლის ჟურნალი, 2015, №2, გვ: 47.

⁴¹ მათიაშვილი მ. „შვილის მკვლელობა ძველ ქართულ სამართალში“, სამართლის ჟურნალი, 2015, №2, გვ. 46.

იმ პერიოდის აღრიცხვის სისტემაში, მიუხედავად იმისა, რომ იყო შესაბამისი გრაფა ბავშვთა დედ-მამის სოციალური მდგომარეობის აღსანიშნავად, მას არ ავსებდნენ და შესაბამისად არც ანუშავებდნენ ინფორმაციას თუ როგორი სოციალური მდგომარეობის მშობლების შვილები კვდებოდნენ. იმ პერიოდის სტატისტიკა ჩვილთა მოკვდაობას ანგარიშობდა ყოველ 100 დაბადებულ ბავშვზე.

ცხრილი 1.

ჩვილთა სიკვდილიანობა 1 წლამდე ასაკში, მე-19-20 საუკუნის საქართველოში⁴²

წლები	1895-1899	1900-1904	1905-1909	1910-1914	1915-1919	1925-1929
ჩვილთა გარდაცვალების რიცხვი ყოველ 100 დაბადებულზე	12.9	12.9	12.2	12.4	13.4	10.5

ცხრილიდან ჩანს, რომ გასაბჭოების პერიოდიდან იწყება ჩვილთა მოკვდავობის მაჩვენებლის შემცირება. რთული სათქმელია რითი იყო განპირობებული აღნიშნული ფაქტი, მართლაც ცხოვრების პირობების გაუმჯობესებით, რაზეც ავტორი საუბრობს და რაც საბჭოთა კავშირის შექმნას შეიძლება მიეწეროს, თუ ამას უბრალოდ პოლიტიკური სისტემის პროპაგანდა ედო საფუძვლად.

თვალი მივადევნოთ ჩვილთა სიკვდილიანობას სქესის მიხედვით იმავე წლებში.

ცხრილი 2.

ჩვილთა სიკვდილიანობა 1 წლამდე ასაკში სქესის მიხედვით, მე-19-20 საუკუნის საქართველოში⁴³

წლები	1895-1899	1900-1904	1905-1909	1910-1914	1915-1919	1925-1929
ბიჭები (ბიჭების გარდაცვალებათა რიცხვი ყოველ 100 დაბადებულზე)	13.3	13.6	12.8	12.9	14.4	11.1
გოგონები (გოგონების გარდაცვალებათ რიცხვი ყოველ 100 დაბადებულზე)	12.4	11.7	11.6	11.8	12.3	9.7

⁴² ა. ჯიჯაძე, „შობადობა და ბავშვთა სიკვდილიანობა კაპიტალისტურ ქვეყნებში და ჩვენში“, თბ. 1935, გვ. 66.

⁴³ ა. ჯიჯაძე, „შობადობა და ბავშვთა სიკვდილიანობა კაპიტალისტურ ქვეყნებში და ჩვენში“, თბ. 1935, გვ. 68.

როგორც ცხრილი 2 გვიჩვენებს, იმ პერიოდის საქართველოშიც, ისევე როგორც, ზოგადად, ყველგან და ყოველთვის, 0-დან 1 წლამდე ასაკში მყოფი გოგონების გარდაცვალებათა რიცხვი შედარებით უფრო ნაკლები იყო, ვიდრე ბიჭების.

თანამედროვე საქართველოში, როგორც წესი, არ არის ინფორმაცია ჩვილთა გარდაცვალების შესახებ, ეთნიკურ ჭრილში. მე-20 საუკუნის დასაწყისში კი, ამ კუთხით, ვითარება შეემდეგნაირი გახლდათ:

ცხრილი 3.

ჩვილთა მოკვდავობა 1 წლამდე ასაკში ეროვნების მიხედვით⁴⁴

წლები	ეროვნება			
	ქართველი	სომეხი	რუსი	სულ
1900-1904	10.2	14.1	16.5	12.9
1905-1909	10	12.4	15	12.2
1910-1914	10.4	12.8	16.6	12.4
1915-1919	11.3	13.5	22.1	13.4
1925-1929	9.5	9.9	10.7	10.5

ცხრილი 3-ის მიხედვით ირკვევა, რომ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჩვილების გარდაცვალებისა იყო რუსი ეროვნების მოსახლეობაში, რომელსაც მოსდევდა სომხები და ბოლოს ქართველები. ჯიჯაძე ამ ფაქტს მიგრაციით ხსნის და ამბობს, რომ რუსებში და სომხებში ჩვილთა მოკვდაობის მაღალი მაჩვენებელი განპირობებულია იმით, რომ საქართველოში ღარიბი, ღატაკი და უმუშევარი გლეხები ჩამოდიოდნენ. მათი სოციალური მდგომარეობა არ იყო ქართველების მსგავსი და სწორედ ეს განსაზღვრავდა შესაბამის მაჩვენებლებს. იმ დროს საქართველოში შედარებით უკეთესი სოციალური პირობების მქონე ხალხი ცხოვრობდა, რადგან ვინც ქვეყანაში რჩებოდა და რუსეთში ან სხვაგან მიგრაციაში არ

⁴⁴ ა. ჯიჯაძე, „შობადობა და ბავშვთა სიკვდილიანობა კაპიტალისტურ ქვეყნებში და ჩვენში“, თბ. 1935, გვ. 69.

მიდიოდა, მათ შედარებით უკეთესი ცხოვრების პირობები ჰქონდათ. ამასთან, ამ განსხვავებულობის მიზეზებს შორის, ავტორი გამორიცხავს გენეტიკურ ფაქტორს. მართალია, ბატონი ა. ჯიჯაძის მსჯელობა, უდავოდ, ლოგიკურია და შეიძლება აღნიშნული მიგრაციული პროცესები გავლენას ახდენდა ჩვილთა მოკვდაობაზე, მაგრამ გასათვალისწინებელია ასევე ბიოლოგიურ-გენეტიკური ფაქტორები და ადაპტაციის უნარი.

საინტერესო იქნება გავაანალიზოთ თუ რა იყო ძირითადად ჩვილთა გარდაცვალების მიზეზები ადრინდელ პერიოდში. ესენი იყო გადაძვლები სნეულებები, ბავშვთა ინფექციები, მალარია, ნერვული სისტემის დაავადებები და ა.შ. ყველაზე ხშირად, გარდაცვალების მიზეზი ხდებოდა თანდაყოლილი სისუსტეები და განვითარებული მანკები და კუჭ-ნაწლავის დაავადებები. გარდაცვალება კი ძირითადად ხდებოდა პოსტნეონატალურ პერიოდში (დაბადებიდან 28 დღის შემდეგ), რაც ცოტა არ იყოს და გასაკვირია, რადგან ვიცით, რომ პოსტნეონატალურ პერიოდში გარდაცვალების მიზეზი ძირითადად ეგზოგენური ფაქტორებითაა გამოწვეული და სოციალურ-ეკონომიკურ ხასიათს ატარებს. თუმცა, როგორც ირკვევა, გასული საუკუნის დასაწყისში, საქართველოში, პოსტნეონატალურ პერიოდში ენდოგენური მიზეზებითაც ბევრი ბავშვი კვდებოდა. 1895 წლიდან 1914 წლამდე პერიოდში, მონაცემები თითქმის არ შეცვლილა, ხოლო 1925 წლიდან, მათ გარკვეულ პროგრესს მიაღწიეს და ფაქტობრივად ენდოგენური მიზეზებით გარდაცვლილების წილი, როგორც ნეონატალურ, ასევე პოსტნეონატალურ პერიოდშიც საგრძნობლად შემცირდა (1895 წელს კუჭ-ნაწლავის დაავადებებით 1 თვემდე ასაკში გარდაიცვალა 2,8 ბავშვი 1000 ცოცხალ დაბადებულზე, ხოლო 1 წლამდე – 41,7 ბავშვი. იგივე მაჩვენებელი 1925 წელს 1 თვის ასაკში იყო – 2,8 ხოლო 1 წლამდე ასაკში – 21,2).⁴⁵ თუმცა ეს არ შეხება გარდაცვალების ყველა მიზეზს. მაგალითად, თანდაყოლილი სისუსტეებით გარდაცვლილთა წილი იგივე დარჩა, გაიზარდა სასუნთქი ორგანოების დაავადებებით გარდაცვლილთა რიცხვი, რაც შეიძლება ჯანდაცვის განუვითარებლობას მივაწეროთ.

საინტერესოა, თუ როგორი იყო ჩვილთა გარდაცვალების ტენდენციები სეზონურად, წელიწადის თვეების მიხედვით. მე-20 საუკუნის დასაწყისში გარდაცვალების ძირითადი

⁴⁵ ა. ჯიჯაძე, „მოზაობა და ბავშვთა სიკვდილიანობა კაპიტალისტურ ქვეყნებში და ჩვენში“, თბ., 1935, გვ. 70.

თვეები გახლდათ მარტი და აგვისტო, ე.ი. გაზაფხული და ზაფხული. რაც შეეხება აპრილს, ამ თვეს დიდი იყო სასუნთქი გზების დაავადებების გავრცელება, ხოლო აგვისტოში – კუჭ-ნაწლავის დაავადებების. ამის მიზეზი კი გახლდათ როგორც სამედიცინო მოუმზადებლობა, ასევე მშობლების მხრიდან პრობლემების არ ცოდნა, სანიტარული განათლების არქონა, ბავშვის მოვლის დარგში ჰიგიენური ჩვევების არქონდა⁴⁶ და ა.შ.

საბჭოთა საქართველოში, სხვადასხვა რეგიონში, განსხვავებული ღონისძიებები ტარდებოდა დედათა და ჩვილთა სიცოცხლის შესანარჩუნებლად. მაგალითად, 1921-24 წლებში, აფხაზეთში ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატთან ჩამოყალიბდა დედათა და ბავშვთა განყოფილება გაიხსნა ჩვილ ბავშვთა სახლი, ბავშვთა კაბინეტი, პედიატრიული საწოლები, საბავშვო ბაგები და ბაღები.⁴⁷ სამწუხაროდ, რა ხდებოდა სხვა რეგიონებში ამაზე ინფორმაცია არ გვაქვს.

ა. ჯიჯაძე მიიჩნევდა, რომ ბრძოლა სოციალ-კულტურული პრობლემების წინააღმდეგ და განათლების დონის ასამაღლებლად, ფაქტობრივად არის ბრძოლა ბავშვთა სიკვდილიანობის წინააღმდეგ. ეს დებულება დღემდე აქტუალურია და დედათა და ჩვილთა სიკვდილიანობის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს.

⁴⁶ ა. ჯიჯაძე, „შობადობა და ბავშვთა სიკვდილიანობა კაპიტალისტურ ქვეყნებში და ჩვენში“, თბ. 1935, გვ. 72.

⁴⁷ ჯანგველაძე მ. „ბავშვთა სიკვდილიანობის წინააღმდეგ ბრძოლა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში“, საბჭოთა მედიცინა, 1989 წ, №4, გვ. 56.

თავი 2: ჩვილთა მოკვდაობა გარდაცვალების მიზეზების მიხედვით

2.1. ჩვილთა მოკვდაობის ბიომეტრიული ანალიზი

ჩვილთა, ანუ 1 წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდაობა, ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად შესწავლილი დემოგრაფიული პრობლემაა საქართველოში. მისი შესწავლის და გაანალიზების აუცილებლობა განსაკუთრებით კარგად ჩანს ისეთ მცირერიცხოვან ერებში, როგორც ჩვენ ვართ. მით უფრო მაშინ, როცა ქვეყანაში არც შობადობის ინტენსივობის მაჩვენებელი არ არის მაღალი და ამიტომაც ჩვილთა მოკვდაობის დონის შემცირება მოსახლეობის კვლავწარმოების არსებული ტიპის შენარჩუნების ერთგვარ რეზერვსაც კი წარმოადგენს.

უაღრესად საინტერესოა, ამ მხრივ, რა რეზერვებზეა საუბარი საქართველოში. იმისთვის, რომ მდგომარეობა ნათლად დავინახოთ, აუცილებელია თვალი მივადევნოთ ჩვილთა მოკვდაობის მაჩვენებლის (კოეფიციენტის) დინამიკას. მაგალითად, 2016 წელს, საქართველოში 1 წლამდე ასაკის 507 ჩვილი გარდაიცვალა, რაც კოეფიციენტის სახით 9‰-ს ტოლია.⁴⁸ განვიხილოთ იგივე მაჩვენებელი მსოფლიო კონტექსტში. ჩვილთა გარდაცვალებათა რიცხვი ყველაზე დაბალი არის მონაკოში - 1,8‰, მას მოსდევს იაპონია - 2‰. რაც შეეხება ყველაზე მაღალ მაჩვენებელს ამ მხრივ ლიდერობს ავღანეთი, 112‰.⁴⁹ საინტერესოა, რა შედეგი გვექნებოდა საქართველოში ჩვილთა მოკვდაობის დონე მონაკოს ან იაპონიის მსგავსი რომ ყოფილიყო? მაგალითად განვიხილოთ მონაკო. მართალია, მოსახლეობის რაოდენობით და ქვეყნის ტერიტორიის ფართობით საგრძნობი განსხვავებაა, ასევე ცხოვრების წესითა და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობითაც, მაგრამ რახან ყველაზე დაბალი მაჩვენებელი სწორედ ზემოთ ხსენებულ ქვეყანაშია, საჭიროდ მივიჩნიეთ შედარება ამ კუთხით გაგვეხორციელება. თუ 2016 წელს, საქართველოში ჩვილთა მოკვდაობის მაჩვენებელი იქნებოდა 1,8‰, მაშინ დამატებით შევინარჩუნებდით 406 ბავშვის სიცოცხლეს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მსგავსი განსხვავება საკმაოდ დიდი ხანია არსებობს, მივხვდებით თუ რა მასშტაბის რეზერვებზეა საუბარი.

⁴⁸ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები

⁴⁹ <https://www.cia.gov/library/Publications/the-world-factbook/rankorder/2091rank.html>

რაც შეეხება შედარებით ანალიზს რეგიონულ ჭრილში, 2015 წელს აზერბაიჯანში აღნიშნული მაჩვენებელი გახლდათ 11%-ეს ტოლი, სომხეთში - 8,86%-ეს, რუსეთში - 6.50%-ეს⁵⁰, ხოლო თურქეთში - 10.1%-ეს.⁵¹ თუ მეზობელი ქვეყნებიდან მოწინავე რუსეთის მაჩვენებელს გავუთანაბრდებით, დამატებით 140 ჩვილის სიცოცხლეს შევინარჩუნებთ. ჩვენ კი ისეთ დემოგრაფიულ მდგომარეობაში ვართ, რომ ჩვილთა ყოველ გარდაჩენილ სიცოცხლეს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

ცხრილი 4.

ჩვილთა მოკვდაობის დინამიკა საქართველოში.⁵²

წლები	1980	1985	1990	1995	2000	2005	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
1 წლის ასაკამდე გარდაცვალებები (აბსოლუტურ რიცხვებში)	2275	2339	1910	1600	1100	916	701	703	715	640	578	507	507
ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი (‰)	25.4	23.9	20.6	28.2	22.5	19.7	11.2	12.1	12.5	11.1	9.5	8.6	9

ცხრილი 4 გვიჩვენებს, რომ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტის 2-ჯერ შემცირებას, თითქმის 26 წელი დასჭირდა (1989 წელს 20.6 პრომილედან 9 პრომილემდე 2016 წელს). თუკი შემცირების იგივე ტემპი იქნება შენარჩუნებული ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი 4-5 ‰-ს 2042 წლისათვის მიაღწევს. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ვერ შევინარჩუნებთ მრავალი ათასი ცოცხლად დაბადებული ბავშვის სიცოცხლეს. განსაკუთრებით მტკივნეულია საკითხი მაშინ, როცა ქვეყანას აქვს ვითარების გამოსწორების პოტენციალი, იქნება ეს ექიმებით უზრუნველყოფა მთელ ტერიტორიაზე, ბუნებრივ-გამაჯანსაღებელი რესურსების არსებობა თუ სხვა. მთავარია მათი დროული და მიზანმიმართული გამოყენება. რა თქმა უნდა, ჩვილთა მოკვდაობაზე

⁵⁰ http://demoscope.ru/weekly/ssp/sng_imr.php

⁵¹ <http://www.turkstat.gov.tr/UstMenu.do?metod=temelist>

⁵² http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/population/Demografiuli%20Vitareba%20SaqartveloSi%20Krebuli%202016.pdf

კიდევ მრავალი სხვა ფაქტორიც მოქმედებს, მაგრამ მათ შორის მნიშვნელოვანია სოციალური ფაქტორები.

ჩვილთა მოკვდაობის მაჩვენებელი განსხვავებულია როგორც სქესის, ასევე ტერიტორიის (სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის) მიხედვითაც. თუ სქესის მიხედვით განვიხილავთ, კანონზომიერებააა ქცეული, რომ 0-დან 1 წლამდე ასაკში უფრო მეტი ბიჭი კვდება, ვიდრე გოგო. ეს ალბათ ბიოლოგიური ფაქტორებით უნდა აიხსნას. თუმცა მსოფლიოში არის გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც აღნიშნული კანონზომიერება ირღვევა ხოლმე და ვაჟების ჭარბმოკვდავობას ცვლის გოგონების ჭარბმოკვდაობა.

ამ მხრივ, არც საქართველო წარმოადგენს გამონაკლისს და აქაც ადგილი აქვს ზემოთ აღნიშნულ კანონზომიერებას ვაჟთა ჭარბმოკვდაობის შესახებ. თუ კი ჩვილთა მოკვდაობას სქესის მიხედვით შევისწავლით ვნახავთ, რომ 1980 წლიდან (ადრინდელ პერიოდშიც) ჩვენს ქვეყანაში ჩვილ ვაჟთა მოკვდაობა მუდმივად სჭარბობდა გოგონებისას. მაგრამ დროთა განმავლობაში 0-დან 1 წლამდე ასაკში გარდაცვლილი ბიჭებისა და გოგონების რიცხვებს შორის სხვაობა იცვლება და 2015 წლისთვის 43-ს მიაღწია, მაშინ, როცა 1980 წელს იგივე სხვაობა 337-ის ტოლი იყო, 2000 წელს - 212-ის, ხოლო 2013 წელს - 118-ის. ბიჭების ჭარბმოკვდაობის აბსოლუტური მაჩვენებელი გოგონების მოკვდაობის მაჩვენებელთან შედარებით საანალიზო პერიოდში შემცირდა და პროცენტულად 1,34%-დან 1,18%-მდე დავიდა. რთული სათქმელია რა განაპირობებს ამ ცვლილებას, ის შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც ბიოლოგიური, ასევე სოციალური ფაქტორებითაც. ქვემოთ მოცემულია 1 წლამდე ასაკის გარდაცვლილ ბავშვთა რიცხოვნობის დინამიკა სქესობრივ ჭრილში.⁵³


⁵³http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/population/Demografiuli%20Vitareba%20SaqartveloSi%20Krebuli%202016.pdf

ცხრილი 5.

1 წლამდე ასაკის გარდაცვლილ ბავშვთა რიცხოვნობის დინამიკა საქსობრივ ჯრილში.⁵⁴

წლები	ბიჭები	გოგონები
1980	1306	969
1985	1324	1015
1990	1108	802
1995	955	645
2000	656	444
2005	482	434
2010	406	295
2015	275	232


ქვემოთ მოტანილი გრაფიკი თვალნათლივ გვიჩვენებს თუ როგორ იცვლებოდა ჩვილთა მოკვდავობის რიცხოვნობა საქსის მიხედვით 1980 წლიდან 2015 წლამდე პერიოდში.



გრაფიკი 1. 1 წლამდე ასაკის გარდაცვლილ ბავშვთა რიცხოვნობის დინამიკა საქსობრივ ჯრილში.

⁵⁴ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები

განვიხილოთ ჩვილთა მოკვდაობის დინამიკა ტერიტორიულ ჭრილში, სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის მიხედვით.



გრაფიკი 2. ჩვილთა მოკვდაობის დინამიკა საქართველოში, ტერიტორიულ ჭრილში (%).⁵⁵

2010 წლამდე პერიოდში ჩვილთა მოკვდაობა ნაკლები იყო სოფლად, თუმცა წლიდან წლამდე ის განუხრელად იცვლებოდა. 2000 და 2005 წელს, სოფლად გარდაცვალებათა მინიმალური რაოდენობა (8.5%) დაფიქსირდა. 2006 წლიდან იწყება ზრდა და 2011 წელს სოფელში გარდაცვლილი ჩვილების რიცხოვნობამ გადააჭარბა ქალაქისას და ჩვილთა გარდაცვალების საერთო რაოდენობის 51.4% შეადგინა. შემდეგი წლებიდან კი იწყება კლება, თუმცა მცირე რაოდენობით და 2015 წლისთვის კვლავ შემცირდა 48.9%-მდე.

მიზეზთა საკმაოდ ფართო სპექტრია, რასაც შეიძლება აღნიშნული ვითარება გამოეწვია. 90-იანი წლების დასაწყისში და ბოლოს დაფიქსირებული მაჩვენებელი გასაკვირი არ არის. იმ პერიოდისთვის საკმაოდ დამაბული პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაციის გამო ქვეყანაში იყო, როგორც გარე, ასევე შიდა მიგრაციები, სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი ქალაქში გადავიდა საცხოვრებლად უკეთესი სამსახურის და

⁵⁵http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/population/Demografiuli%20Vitareba%20SaqartveloSi%20Krebuli%202016.pdf

საარსებო წყაროს პოვნის იმედით. შესაბამისად დაიცალა სოფლები და მოსახლეობის რიცხოვნების შემცირებამ გამოიწვია ზემოთ ხსენებული მაჩვენებლის შემცირებაც. შესაძლოა ამასთან ერთად მიზეზი ყოფილიყო აღრიცხვიანობის პრობლემები. 2010-2011 წლამდე ფაქტობრივად არ აღრიცხებოდა შინმშობიარობის ბევრი შემთხვევა, რაც ბუნებრივია არ ხვდებოდა ოფიციალურ სტატისტიკაში. მიზეზთა შორის შეიძლება იყოს ჯანდაცვის მომსახურების ხელმიუწვდომლობაც და მრავალი სხვა.

მნიშვნელოვანი შედეგის მომცემია დროის მიხედვით ჩვილთა მოკვდაობის დიფერენცირებული ანალიზი, რაც გულისხმობს მოკვდაობის ინტენსივობის შესწავლას ნეონატალურ და პოსტნეონატალურ პერიოდში.

ცხრილი 6.

ჩვილთა ნეონატალური და პოსტნეონატალური მოკვდაობა საქართველოში 1995-2014 წლებში.⁵⁶

წლები	ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი (‰)	ნეონატალური მოკვდაობის კოეფიციენტი (0-27 დღე) ‰	პოსტნეონატალური მოკვდაობის კოეფიციენტი (28-365 დღე) ‰
1995	28.2	18.25	9.95
2000	22.4	17.55	4.85
2005	19.7	18.45	1.25
2010	11.2	8.1	3.1
2011	12.1	8.55	3.55
2012	12.5	9.35	3.15
2013	11.1	7.75	3.35
2014	9.5	6.4	3.1


⁵⁶ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები

ცნობილია, რომ ნეონატალური მოკვდაობა ძირითადად განპირობებულია ენდოგენური ფაქტორებით, თანდაყოლილი მანკებითა და ე.წ. ბავშვთა ადრეული ასაკის ავადმყოფობებით (0-27 დღე), რომლებიც თითქმის არ არიან დამოკიდებული გარემო პირობებზე. ამ მიზეზით გამოწვეული მოკვდაობა დაკავშირებულია მშობიარობის არასასურველ მიმდინარეობასთან, ნაყოფის პათოლოგიასთან ან მშობიარობის პროცესის პათოლოგიასთან. საერთო ჯამში, იგი გამოწვეულია ანტენატალური ფაქტორებით ე.ი. ისეთი ფაქტორებით, რომლებიც უშუალოდ კი არ მოქმედებენ ბავშვის ორგანიზმზე, არამედ მოქმედებენ დედის ორგანიზმის მეშვეობით ბავშვის გაჩენის და მუცლადყოფნის პერიოდის განმავლობაში.⁵⁷

ცხრილი 6 გვიჩვენებს, რომ ჩვილთა მოკვდაობის როგორც ნეონატალური, ასევე პოსტნეონატალური მოკვდაობის კოეფიციენტები მცირდება. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ მცირდება როგორც, ენდოგენური ფაქტორებით გამოწვეული მოკვდაობა, ასევე ეგზოგენური ფაქტორებით გამოწვეულიც. სავარაუდოა, რომ ენდოგენური მიზეზებით გარდაცვალებათა რიცხვის შემცირება გამოიწვია ჯანდაცვის სფეროს განვითარებამ და მისმა მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომობამ, ასევე ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებამ, რომელიც აისახება დედის ჯანმრთელობაზე. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მხოლოდ ამ მიზეზებით ვერ ავხსნით კოეფიციენტის შემცირებას. ცნობილია, რომ ნეონატალურ მოკვდაობაში გარდა ენდოგენური ფაქტორებისა, მოქმედებენ ეგზოგენური ფაქტორებიც, რომელთა წილიც 25%-ით განისაზღვრება, ეს კი ცოტას არ ნიშნავს. რაც შეეხება პოსტნეონატალურ მოკვდაობას, აქ ენდოგენური მიზეზები თითქმის აღარ მოქმედებენ.⁵⁸ ეგზოგენური მიზეზების შემცირება პირდაპირპროპორციულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა. გამოდის, რომ დროის ცვლილებასთან ერთად საქართველოში მით უფრო სტაბილური გარემო იქმნება. პროცესის უკეთ წარმოდგენაში დაგვეხმარება ქვემოთ მოცემული გრაფიკი.

⁵⁷ ა. სახვაძე, „ჩვილთა მოკვდაობის ბიომეტრიული ანალიზი“, თანამედროვე ეთნოსოციალური პროცესები ქ. თბილისში, თბ. 1989, გვ: 73.

⁵⁸ ა. სახვაძე, „ჩვილთა მოკვდაობის ბიომეტრიული ანალიზი“, თანამედროვე ეთნოსოციალური პროცესები ქ. თბილისში, თბ. 1989, გვ: 73.



გრაფიკი 3. ჩვილთა მოკვდაობის ნეონატალური და პოსტნეონატალური კოეფიციენტების დინამიკა საქართველოში (1995-2014 წლები)

თუ ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტს დავშლით ენდოგენური და ეგზოგენური მიზეზებით გამოწვეული მოკვდაობის კოეფიციენტების ჯამის სახით, ვნახავთ, რომ ენდოგენური მიზეზებით გარდაცვალება უფრო ხშირია და საკითხის სწორედ ამ კუთხით შესწავლასა და გაანალიზებას უნდა მიექცეს ყურადღება. აუცილებელია მიზეზების შესწავლა თუ რა არის კონკრეტული საბაზი ამ პერიოდში ჩვილთა გარდაცვალებებისა. მოცემულ მონაცემებს თუ 80-იანი წლების მონაცემებს შევადარებთ, სურათი რადიკალურად იცვლება. იმ პერიოდში ჭარბობდა ჩვილთა ეგზოგენური მიზეზებით გარდაცვალება, თუმცა იგი შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა, ხოლო ენდოგენური მიზეზებით გარდაცვალება იზრდებოდა წლიდან წლამდე. რა შეიძლება ამაზე ითქვას? რახან ვიცით, რომ ენდოგენური მიზეზებით გარდაცვალება დაკავშირებულია ბიოლოგიურ და გენეტიკურ ფაქტორებთან, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სოფლიდან ქალაქში მიგრაციამ, გაუარესებულმა ეკოლოგიურმა პირობებმა და ულტრათანამედროვე სამედიცინო დანადგარების არარსებობამ (ჩვილთა რეანიმაცია) გამოიწვია დაავადება გაახალგაზრდავება და პათოლოგიები როგორც დედებში (რომელიც აისახება შემდგომ

ჩვილებში) ასევე ჩვილებში. 2015 წლიდან კი იწყება ენდოგენური მიზეზებით გამოწვეული მოკვდაობის შემცირება.

ცხრილი 7.

ენდოგენური და ეგზოგენური მოკვდაობის დინამიკა საქართველოში 2005-2015 წლები

წლები	ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტები	ენდოგენური მოკვდაობის კოეფიციენტები	ეგზოგენური მოკვდაობის კოეფიციენტები
2005	19.7	18.5	1.2
2010	11.2	8.1	3.1
2011	12	8.5	3.5
2012	12.5	9.4	3.1
2013	11.1	7.9	3.2
2014	9.5	6.5	3
2015	9	6.1	2.9

ცხრილი 8.

ენდოგენური და ეგზოგენური მოკვდაობის დინამიკა საქართველოში 1980-1987 წლები⁵⁹

წლები	ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტები	ენდოგენური მოკვდაობის კოეფიციენტები	ეგზოგენური მოკვდაობის კოეფიციენტები
1980	25.4	5.7	19.7
1981	29.7	7.5	22.2
1982	25.4	7	18.4
1983	23.9	7	16.9
1984	23.9	7.2	16.7
1985	23.9	7.6	16.3
1986	25.5	8.3	17.2
1987	24.5	9.1	15.4

⁵⁹ ა. სახვაძე, „ჩვილთა მოკვდაობის ბიომეტრიული ანალიზი“, თანამედროვე ეთნოსოციალური პროცესები ქ. თბილისში, თბ. 1989, გვ. 74.

ამრიგად, ჩვილთა მოკვდაობის შემდგომი შემცირებისთვის აუცილებელია ნეონატალური მოკვდაობის გათვალისწინება და ფატალური შედეგების მაქსიმალურად აღმოფხვრა, რაც არც თუ ისე იოლია.

საინტერესოა, ერთ წლამდე ასაკში გარდაცვალებათა დაჯგუფება თვეების მიხედვით.

ცხრილი 9.

ერთ წლამდე ასაკში გარდაცვლილები თვეების მიხედვით⁶⁰

წლები	თვეები												სულ
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
1995	119	119	124	115	143	158	147	106	98	61	154	256	1601
2000	83	84	141	97	97	90	83	99	61	95	70	100	1100
2005	71	81	74	67	81	59	80	105	88	81	77	52	916
2010	56	51	63	66	57	41	60	68	53	62	60	64	701
2013	53	56	55	49	48	33	67	42	54	52	59	72	640
2014	54	47	56	48	53	47	46	38	60	43	46	40	578
2015	48	39	47	40	51	47	43	47	32	33	48	32	507

როგორც ვხედავთ გარდაცვალება თვეების მიხედვით მეტ-ნაკლები თანაბრობით ხდება. ოდნავი განსხვავებით, უფრო ხშირად ზამთრისა და გაზაფხულის თვეებში კვდებიან, თუმცა არის გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც ზაფხულის თვეებშიც მაღალია ჩვილთა მოკვდაობის ინტენსივობა. საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ჩვილთა მოკვდაობა დიდწილად არ არის დამოკიდებული სეზორ ცვლილებებზე.

ასე შეიძლება შეფასდეს, მოკლედ, საქართველოში ჩვილთა მოკვდაობის ბიომეტრიული მდგომარეობა.

⁶⁰ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები

2.2. დედათა სიკვდილიანობის

გამომწვევი მიზეზები და ტენდენციები საქართველოში

დედათა მოკვდაობის მიზეზების კვლევა ოდითგანვე იპყრობდა არა მხოლოდ დემოგრაფთა, არამედ სამედიცინო სფეროს მუშაკების, ფსიქოლოგების, ეკონომისტებისა თუ სხვა პროფესიის წარმომადგენლების ყურადღებასაც. 2016 წლის ნოემბრის მონაცემებით, ჯმო ავრცელებს ინფორმაციას, რომ ორსულობისა და მშობიარობასთან დაკავშირებული გართულებების გამო, ყოველდღიურად, დაახლოებით 830 ქალი კვდება. დედათა მოკვდაობის 99% განვითარებად ქვეყნებზე მოდის.⁶¹ ამ უკანასკნელში დედათა სიკვდილიანობის შემთხვევები 19-ჯერ მეტია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. სამწუხაროდ, რისკის დროული გამოვლენისა და შესაბამისი ჩარევის პირობებში, მათი უმრავლესობის პრევენცია შესაძლებელი იყო.⁶² უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან სასოფლო დასახლებებში და ღარიბ ადგილებში მცხოვრები ქალები. 1990 წლიდან 2015 წლამდე პერიოდში დედათა მოკვდაობა 44%-ით შემცირდა. დედათა მოკვდაობის მაჩვენებელი ის ინდიკატორია, რომელიც გვიჩვენებს ფართო განსხვავებებს მდიდარ და ღარიბ, საქალაქო და სასოფლო არეალებს შორის.⁶³ ჩვილთა მოკვდაობის მსგავსად, იგი ახასიათებს ქვეყნის განვითარების დონეს და მნიშვნელოვანია საერთაშორისო დონეზე გარკვეული იმიჯის შესაქმნელად.

როგორია დედათა მოკვდაობის ტენდენციები საქართველოში და რა არის მათი გარდაცვალების ძირითადი მიზეზები ამაზე დაბლა ვისაუბრებთ. ქალების ჯანმრთელობის მდგომარეობა რისკ-ფაქტორების არსებობით განისაზღვრება. ესენია ის კონკრეტული მიზეზები და სიტუაციები, რომლებიც ხელს უწყობს ან ქმნის დაავადებათა წარმოშობისა და განვითარების პირობებს. აღნიშნული რისკ-ფაქტორები რამდენიმე ჯგუფად იყოფა: პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური, ბიოლოგიური და სამედიცინო ფაქტორები. ერთი ან რამდენიმე რისკ-ფაქტორის არსებობა ზრდის დაავადების

⁶¹ <http://www.who.int/mediacentre/factsheets/fs348/en/>

⁶² პერინატალური ჯანმრთელობის ანალიზი; მოკლე მიმოხილვა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2016 წელი, გვ: 34.

⁶³ http://www.who.int/gho/maternal_health/en/

განვითარების ალბათობას.⁶⁴ დედათა მოკვდაობა ჩვილთა მოკვდაობასთან ერთად ინტეგრირებული მაჩვენებელია და ეკონომიკური, ბიოლოგიური, ჰიგიენური, სამედიცინო-სოციალური ფაქტორების ფართო სპექტრით განისაზღვრება.⁶⁵ ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ოჯახის მატერიალურ მდგომარეობას, საყოფაცხოვრებო პირობებს,⁶⁶ მშობლების დასაქმებას და სხვა სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს. სხვადასხვა გამოკვლევით დასტურდება, რომ დედის ორსულობასა და შესაბამისად ნაყოფზე უარყოფილად მოქმედებს ეკოლოგიური ფაქტორები: შხამ-ქიმიკატები, რადიაცია, ჰაერის დაბინძურება.⁶⁷ აღსანიშნავია, რომ ქალთა ჯანმრთელობის მდგომარეობას უპირატესად სწორედ გარემო, ბიოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები განსაზღვრავს, სამედიცინო ფაქტორების გავლენა კი მხოლოდ 15%-ია. ⁶⁸

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ეკოლოგიური მდგომარეობის როლი. გამონაბოლქვთან ერთად გამოიყოფა ტყვია, რომელიც მავნე ზემოქმედებას ახდენს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. სისხლმზად ორგანოებზე, კარდიოვასკულარულ სისტემაზე, აზიანებს თირკმლებს და იწვევს ქალთა რეპროდუქციული ფუნქციის შეცვლას.⁶⁹ თუ საქართველოში არსებულ ჰაერის დაბინძურების მდგომარეობას გავითვალისწინებთ, არაა გასაკვირი, რომ იგი ერთ-ერთ ძირითად მოქმედ ფაქტორად გვევლინებოდეს დედათა მოკვდაობის საკითხში. მხოლოდ ავტოტრანსპორტის მიერ გამოფრქვეული მავნე ნივთიერებებიდან 69% ნახშირჟანგია, 18% – აზოტის დიოქსიდი, 10% – ნახშირწყალბადები, 3% – სხვა ნივთიერებები.⁷⁰ მანქანების რაოდენობა კი საგრძნობლად გაზრდილია.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით დედათა მოკვდაობის დინამიკა საქართველოში შემდგომია:

⁶⁴ ნ. ყაზახაშვილი, „გარემო და ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობა“, ჟურნ. „დემოგრაფია“, 2001 №1(3), გვ:22

⁶⁵ იქვე, გვ. 22.

⁶⁶ იქვე, გვ. 22.

⁶⁷ იქვე, გვ. 22.

⁶⁸ იქვე, გვ. 23.

⁶⁹ იქვე, გვ. 23.

⁷⁰ http://geostat.ge/?action=page&p_id=430&lang=geo

ცხრილი 10.

დედათა მოკვდაობის დინამიკა საქართველოში.

წლები	კოეფიციენტი (100000 ცოცხლად დაბადებულზე)
1989	46.7
1990	41.5
1991	39.9
1992	49
1993	38.6
1994	33.7
1995	54.3
1996	48
1997	70.8
1998	68.6
1999	51.3
2000	49.2
2001	58.7
2002	46.6
2003	52.2
2004	45.3
2005	21.6
2006	27.2
2007	20.2
2008	14.3
2009	51.9
2010	12.9
2011	39.7
2012	22.9
2013	27.7
2014	31.5

როგორც ცხრილი 10 გვიჩვენებს 1989 წლიდან სახეზეა დედათა მოკვდაობის კოეფიციენტის კლება, თუმცა იგი გარკვეული ვარიაციითაც ხასიათდებოდა. მაგალითად, თუ დედათა მოკვდაობის მაჩვენებელი 1994 წელს 33,7 იყო, 1996 წლისთვის მან 54,3-ს მიღწია, ხოლო 1997 წლისთვის კი 70,8-ს. 1998 წლიდან კი იწყება განუხრელი კლება, თუ

რამდენი წელიწადს არ ჩავთვლით. აღნიშნულ წლებში უეცარი მატება შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო, როგორც სარეგისტრაციო სისტემის მოწესრიგებით, ასევე იმ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ გარემოებებით, რომელიც მაშინ ქვეყანაში იყო. 2014 წლისთვის მაჩვენებელი 31,5 მდე ჩამოდის. აღსანიშნავია 2009 წელი, როდესაც მონაცემი 51,9 გაუტოლდა. ბოლო 5 წლის განმავლობაში დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი ინარჩუნებს მატების ტენდენციას, 2016 წლისთვის მან 36 მიაღწია. ფაქტი შეიძლება დავაკავშიროთ, რეგისტრაციის გაუმჯობესებასთან. თუმცა მხოლოდ ამ მიზეზით მაჩვენებელი ზრდის გამართლება დაუშვებელია. საჭიროა სიღრმისეული კვლევა, თუ როგორი მდგომარეობა იყო ჯანდაცვის კუთხით აღნიშნულ წლებში, ხომ არ იყო კონკრეტული წლისთვის დამახასიათებელი რაიმე განსაკუთრებული ინფექციები და ა.შ.

სამწუხაროდ, საქართველოში, კვლევები მხოლოდ ბოლო რამდენიმე წელია ტარდება და ისიც მხოლოდ ჯანდაცვის სამინისტროს ეგიდით. მართალია ეს კვლევები დიდ ინფორმაციას გვაძლევს, მაგრამ მხოლოდ სამედიცინო თვალსაზრისით. დედათა მოკვდაობა კი, როგორც ზემოთ ვნახეთ, სულაც არ არის მხოლოდ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე დამოკიდებული. მაგრამ, რადგანაც არ არსებობს აღნიშნული თემატიკის ფართომასშტაბიანი დემოგრაფიული კვლევა, იძულებულნი ვართ მხოლოდ ჯანდაცვის კვლევებს დავეყრდნოთ, რომელზეც ქვემოთ იქნება საუბარი.

2005 წელს ჩატარდა „ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა საქართველოში“, სადაც გამოვლინდა ზოგადი ტენდენციები დედათა მოკვდაობასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ 1999 და 2005 წლების კვლევის მონაცემებით, სახლში მშობიარობდა ყოველი მე-12 ქალი (დაახლოებით 8 %). ამ მხრივ განსხვავება იყო ეთნიკურ ჭრილშიც. აზერბაიჯანელი ქალების რიცხვი, რომლებიც სახლში მშობიარობდნენ, ზრდადობით ხასიათდებოდა. ახალშობილთა 80%-მა გაიარა პროფილაქტიკური გასინჯვა, თუმცა რეგიონულ ჭრილში ვითარება არც თუ სახარბიელო იყო. ამ მხრივ, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა გურიაში - 58%, ხოლო ყველაზე მაღალი თბილისში - 88%.

პრობლემას წარმოადგენდა მშობიარობის რეგისტრაციაც სახლში მშობიარობის შემთხვევაში.⁷¹

დღესდღეობით ვითარება საგრძნობლად გამოსწორებულია რეგისტრაციის მხრივ და სახლში მშობიარობებიც აღირიცხება, რომელსაც თვითმმართველი ორგანოები გადასცემენ სტატისტიკის სამსახურს. ასევე შემცირდა სახლში მშობიარობათა რიცხვიც. სამწუხაროდ, ბოლო წლებში, ეთნიკურ ჭრილში მონაცემების მოძიება დიდ სირთულეს წარმოადგენს. უფრო ზუსტად შეუძლებელია, რადგან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტიდან ამოღებულია ეროვნების შესახებ მონაცემები.

2014 წელს საქართველოში ჩატარდა რეპროდუქციული ასაკის ქალთა სიკვდილიანობის კვლევა (GERAMOS), რომელმაც შეისწავლა 2012 წელს გარდაცვლილი რეპროქუქციული ასაკის ქალთა ყველა შემთხვევა ქვეყნის მასშტაბით. კვლევის მონაცემებით, 2012 წელს დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელმა ყოველ 100 000 ცოცხლადდაბადებულზე შეადგინა 26,3, მაშინ როცა იგივე მაჩვენებელი GERAMOS-ის 2008 წლის კვლევის მიხედვით, ყოველ 100 000 ცოცხლადდაბადებულზე. მკვლევარების გამოთვლით, მაჩვენებელი 2006 წლიდან 2012 წლამდე 40%-ით შემცირდა 44,4-ს შეადგენდა. 2012 წლის GERAMOS-ამ აჩვენა, რომ დედათა სიკვდილიანობის შემთხვევათა 39% ოფიციალური სტატისტიკით არ იყო რეგისტრირებული, მაშინ როცა 2006 წელს ეს სხვაობა 65%-ს ტოლი იყო.⁷² დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში გაუმჯობესდა როგორც დედათა სიკვდილიანობის, ასევე ზოგადად რეპროდუქციული ასაკის ქალთა გარდაცვალების აღრიცხვიანობა.⁷³ რეგისტრაციის გაუმჯობესება და დახვეწა კი, საბოლოოდ, დადებით შედეგს გამოიღებს და შესაძლებლობას მოგვცემს, რომ მოხდეს ამა თუ იმ საკითხის სიღრმისეული და დეტალური შესწავლა.

⁷¹ ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა საქართველოში, თბ., 2005, გვ. 7.

⁷² http://www.ncdc.ge/AttachedFiles/%E1%83%93%E1%83%94%E1%83%93%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90%20%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%99%E1%83%95%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_d878ee3d-8616-440f-8aa3-c49605f0b615.pdf დედათა სიკვდილიანობის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2015, გვ. 4.

⁷³ იქვე, გვ. 4.

აღსანიშნავია, რომ 2009 წლიდან დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (NCDC) მიერ წარმოებს დედათა სიკვდილიანობის მიზეზების ანალიზი, რომლის შედეგების მიხედვითაც დედათა სიკვდილიანობის სტრუქტურის დინამიკა შემდეგნაირია: დაუზუსტებელი მიზეზებით 2009 წელს გამოწვეული დედათა სიკვდილიანობის წილი (27%) მაღალი იყო, რომელიც ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა. ერთ–ერთი წამყვანი მიზეზი დედათა გარდაცვალებისა იყო მელოგინეთა ინფექციები/სეფსისი, სასუნთქი სისტემის დაავადებები. აღნიშნული კლინიკური დაავადებები ართულებს ორსულობას, მშობიარობას, ლოგინობის ხანას და წარმოადგენს არაპირდაპირ სამეანო მიზეზებს. 2009 წელს, დედათა სიკვდილიანობის განსაკუთრებული მატება განპირობებული იყო როგორც რეგისტრაციის გაუმჯობესებით, ასევე გრიპოზულ ინფექციათა გავრცელებით.⁷⁴

დედათა სიკვდილიანობის ერთ–ერთი წამყვანი მიზეზია მელოგინეთა ინფექციები/სეფსისი, რომლის წილიც განსაკუთრებით გაიზარდა 2010 წელს, თუმცა 2011 წელს თითქმის 3–ჯერ შემცირდა. ასევე ამავე წელს, 4,5%–ით შემცირდა სასუნთქი სისტემის დაავადებებით გარდაცვლილ დედათა პროცენტული წილიც.⁷⁵ აღსანიშნავია, რომ 2011 წელს, გამოიკვეთა ისეთი დაავადებები, რომლებიც ადრე არ ფიქსირდებოდა. მაგალითად, ანტიფოსფოლიპიდური სინდრომი (1 შემთხვევა), ვენური გართულებები 1 შემთხვევა, რესპირატორული დისტრეს სინდრომი (1 შემთხვევა).⁷⁶

2015 წელს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ბაზაზე ჩატარდა ეპიდემიოლოგიური კვლევა 2014 წელს გარდაცვლილ დედათა სიკვდილის მიზეზების შესწავლის მიზნით. შესწავლილი დედათა სიკვდილის 28 სავარაუდო შემთხვევიდან დადასტურდა 25. აქედან, 19 დედის ადრეული გარდაცვალება (დედის სიკვდილი ორსულობისას ან ორსულობის შეწყვეტიდან 42 დღის განმავლობაში,

⁷⁴http://www.ncdc.ge/AttachedFiles/%E1%83%93%E1%83%94%E1%83%93%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90%20%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%99%E1%83%95%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_d878ee3d-8616-440f-8aa3-c49605f0b615.pdf

დედათა სიკვდილიანობის ტენდენციები საქართველოში, თბ. 2015, გვ. 4.

⁷⁵ იქვე, გვ. 4.

⁷⁶ იქვე, გვ. 4.

მიუხედავად ორსულობის ვადისა, ნებისმიერი მიზეზით, რომელიც დაკავშირებულია ან გამოწვეულია ორსულობით ან მისი მართვით, მაგრამ არა უბედური შემთხვევით ან არა სხვა მიზეზით, რომელიც არ არის დაკავშირებული ორსულობასთან) და 6 დედის გვიანი გარდაცვალების შემთხვევა (დედის სიკვდილი ორსულობის ან ორსულობის შეწყვეტიდან 43 დრიდან 1 წლის განმავლობაში, მიუხედავად ორსულობის ვადისა, ნებისმიერი მიზეზით, რომელიც დაკავშირებულია ან გამოწვეულია ორსულობით ან მისი მართვით, მაგრამ არა უბედური შემთხვევით ან არა სხვა მიზეზით, რომელიც არ არის დაკავშირებული ორსულობასთან). 3 შემთხვევა ჩაითვალა, როგორც დედობასთან ასოცირებული დანაკარგი, რადგან დედის გარდაცვალება გამოწვეული იყო უბედური შემთხვევით ან სხვა მიზეზით, რომელიც არ არის დაკავშირებული ორსულობასთან, მშობიარობასთან ან ლოგინობის ხანასთან.⁷⁷

დედის ადრეული გარდაცვალების 19 შემთხვევიდან პირდაპირი სამეანო (დედათა სიკვდილის პირდაპირი მიზეზი არის დედის სიკვდილი, რომელიც გამოწვეულია სამეანო გართულებებით ორსულობის, მშობიარობის და მშობიარობის შემდგომ პერიოდში. ეს შეიძლება მოხდეს სამედიცინო ჩარევების, სამედიცინო შეცდომების, არასწორი მკურნალობის ან მთელი რიგი პრობლემების ჯაჭვით, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ნებისმიერ ზემოთ ჩამოთვლილს. მაგალითად, დედის სიკვდილი სამეანო სისხლდენის შედეგად ან ჰიპერტენზიის გამო ორსულობისას, ან ანესთეზიის გართულებისას, ან საკეისრო კვეთისას კლასიფიცირდება, როგორც დედის სიკვდილის პირდაპირი მიზეზი) მიზეზით გარდაიცვალა 12 ქალი. მათგან გარდაცვალების მიზეზებს შორის შორის სისხლდენა იყო 42% (5 შემთხვევა), ეკლამფსია/პრეეკლამფსია 42% (5 შემთხვევა), სამეანო თრომბოემბოლია 16% (2 შემთხვევა).⁷⁸ დანარჩენი 7 ქალი გარდაიცვალა არაპირდაპირი სამეანო მიზეზებით (არაპირდაპირი სიკვდილი შეიძლება გამოწვეული იყოს ნებისმიერი

⁷⁷http://www.ncdc.ge/AttachedFiles/%E1%83%93%E1%83%94%E1%83%93%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90%20%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%99%E1%83%95%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_d878ee3d-8616-440f-8aa3-c49605f0b615.pdf

დედათა სიკვდილიანობის ტენდენციები საქართველოში, თბ. 2015, გვ: 6

⁷⁸ იქვე, გვ: 6

დაავადებით, რომელიც შეიძლება არსებობდა ორსულობამდე ან განვითარდა ორსულობისას, მაგრამ არ არის გამოწვეული სამეანო მიზეზებით ან ორსულობის ფიზიოლოგიური ეფექტით. მაგალითად, სიკვდილი არსებული კარდიალური ან რენალური დაავადებით). გარდაცვალების მიზეზებს შორის სჭარბობდა: ვირუსული და ბაქტერიული ინფექციები 58% (4 შემთხვევა), ფილტვის ფიბროზულ-კავერნოზული ტუბერკულოზი 14% (1 შემთხვევა), სუიციდი 14% (1 შემთხვევა, დიაგნოზი: მშობიარობის შემდგომი ფსიქიკური აშლილობა), გენიტალური ორგანოების სიმსივნური პროცესი 14% (1 შემთხვევა).⁷⁹

როგორც აღნიშნეთ, ხშირია განსხვავებები ქვეყნის ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებსა და სხვადასხვა შეფასებით მონაცემებს შორისაც, ასევე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მონაცემებს შორის. სამწუხაროდ, მხოლოდ ჯანდაცვის სამინისტრო შეისწავლის ამ მონაცემებს და აქვეყნებს შესაბამის ანგარიშებს, სადაც ასახულია აღნიშნული საკითხის მდგომარეობა. დემოგრაფები კი რატომღაც აღნიშნულ საკითხზე აღარ მუშაობენ. სწორედ ამიტომ, ანალიზისთვის უპრიანია დავეყრდნოთ სწორედ ჯანდაცვის მონაცემებს. განსხვავებულობის თვალსაზრისით, 2006 წლის რეპროდუქციული ასაკის ქალთა სიკვდილიანობის კვლევის მონაცემებით, დედათა გარდაცვალების შემთხვევები ორჯერ აღემატებოდა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს. 2012 წლისთვის ეს სხვაობა შემცირდა და თანაფარდობა იყო 26/23. აღნიშნული ფაქტი ოფიციალური სტატისტიკის მნიშვნელოვან გაუმჯობესებაზე მიუთითებს.⁸⁰

სამწუხაროდ, 2014 წლის დედათა გარდაცვალების აქტიურმა ეპიდემიოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ რისკის დროული გამოვლენისა და შესაბამისი ჩარევის პირობებში, დედათა გარდაცვალების შემთხვევების უმრავლესობის პრევენცია შესაძლებელი იყო.

⁷⁹http://www.ncdc.ge/AttachedFiles/%E1%83%93%E1%83%94%E1%83%93%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90%20%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%99%E1%83%95%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_d878ee3d-8616-440f-8aa3-c49605f0b615.pdf
დედათა სიკვდილიანობის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2015, გვ. 6.

⁸⁰ პერინატალური ჯანმრთელობის ანალიზი; მოკლე მიმოხილვა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2016 წელი, გვ. 37.

სწორედ აღნიშნული კვლევის შედეგების შესწავლის საფუძველზე გამოთვლილი მაჩვენებელი არის 31,3 გარდაცვალება ყოველ 100 000 ცოცხალშობილზე.⁸¹ ამავე პერიოდში სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით დედათა მოკვდაობა 31,5-ის ტოლი იყო, რაც დიდად არ განსხვავდებოდა კვლევის შედეგად მიღებული მონაცემისგან.

კვლევამ გამოავლინა ქვეყანაში ანტენატალური მომსახურების კრიტიკულად დაბალი ხარისხი. მიუხედავად იმისა, რომ ანტენატალურ გამოკვლევებზე მიმსვლელ ორსულთა რაოდენობა საკმაოდ მაღალია, ორსულობასთან დაკავშირებული რისკების გამოვლენა დროულად ვერ ხდება. მაგალითად, ერთ–ერთ შემთხვევაში, მიუხედავად ხშირი ანტენატალური ვიზიტებისა ვერ მოხერხდა ტუბერკულოზის დიაგნოსტიკა და ადეკვატური მკურნალობის დანიშვნა. მსოფლიო მასშტაბით, დედათა გარდაცვალების ერთ–ერთ ძირითად მიზეზს სისხლდენა წარმოადგენს. იგი ერთ–ერთი ძირითადი მიზეზია საქართველოშიც. კვლევის მიხედვით, მთავარ გამოწვევად სისხლის დანაკარგის ადეკვატური შევსება რჩება.⁸²

მნიშვნელოვანი გამოწვევაა ქვეყნისთვის ტრანსპორტირებისა და მიღების სისტემა. ბოლო წლებში გახშირდა სუიციდის შედეგად დედათა გარდაცვალების შემთხვევები. ეს უკანასკნელი უკავშირდება ძალადობასა და ფსიქოლოგიურ ზეწოლას. იგი მიეკუთვნება დედათა სიკვდილის არაპირდაპირ მიზეზებს. 2014 წელს, ისევე როგორც 2012 წელს დედის ადრეული გარდაცვალება თვითმკვლელობის გზით, გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ მისი მოლოდინი ახალშობილის სქესთან დაკავშირებით არ გამართლდა. მას ექოსკოპიური კვლების დროს უთხრეს, რომ ნაყოფი იყო მამრობითი სქესის, მაგრამ დაიბადა მდედრობითი. თავისთავად, სქესის “ამოცნობა“ ორსულობის ადრეულ ეტაპზე მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა ქვეყნისთვის. იგი დაკავშირებულია სელექციურ

⁸¹http://www.ncdc.ge/AttachedFiles/%E1%83%93%E1%83%94%E1%83%93%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90%20%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%99%E1%83%95%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_d878ee3d-8616-440f-8aa3-c49605f0b615.pdf დედათა სიკვდილიანობის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2015, გვ. 6.

⁸² იქვე, გვ. 7.

აბორტთან. ამ მიმართულებით აუცილებელია სახელმწიფოს მიერ რეგულაციის შემუშავება, თუ რა ვადაზე და რა შემთხვევაშია საჭირო ნაყოფის სქესის გამჟღავნება.⁸³

ეპიდკვლევით გამოვლინდა, რომ დედათა სიკვდილის შემთხვევების აბსოლუტური უმრავლესობა გამოწვეული იყო, როგორც შემთხვევათა მართვის დეფექტებით, ასევე რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ მოსახლეობის გათვითცნობიერების კრიტიკულად დაბალი დონით. 2014 წელს გარდაცვლილ დედათა აბსოლუტური უმრავლესობა იყო საშუალო ან არასრული საშუალო განათლებით, მათი უმრავლესობა იყო დიასახლისი. დედის განათლება კი კავშირშია დედის ავადობასა და სიკვდილიანობასთან. რაც ასევე დასტურდება საქართველოში 2000, 2005 და 2010 წლებში ჩატარებული რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევებით.⁸⁴

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, 2015 წელს, საქართველოში, დედათა მოკვდაობა 36-ის ტოლი იყო ყოველ 100 000 ცოცხლად დაბადებულზე. საქართველოს მომიჯნავე ადგილს იკავებს უზბეკეთი ანალოგიური მონაცემებით, ასევე მექსიკა 38-ით და შემდეგ კუბა 39-ით. ამ სტატისტიკით არც ისე სახარბიელო მდგომარეობაში ვართ. მაშინ როცა რეგიონული მასშტაბით, ყველა მეზობელი ქვეყანა უკეთეს მდგომარეობაშია. მაგალითად, თურქეთში ანალოგიური მაჩვენებელი 16-ის ტოლია, რუსეთში და სომხეთში 25-ის, აზერბაიჯანშიც ასევე 25-ის.⁸⁵ ყველაზე დაბალი მაჩვენებელი განვითარებულ ევროპულ ქვეყნებშია (ფინეთი 3, ისლანდია 3 და ა.შ), ხოლო ყველაზე მაღალი კი განვითარებად ქვეყნებში (ლიდერობს აფრიკის კონტინენტი; სიერა ლეონე 1360).⁸⁶ გაუმართლებელი იქნება აფრიკის ქვეყნებს რომ შევედაროთ. ხოლო რაც შეეხება ევროპის განვითარებულ ქვეყნებს, ამ მხრივ, ისინი მნიშვნელოვნად გვისწრებენ.

⁸³ დედათა სიკვდილიანობის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2015, გვ. 8.

⁸⁴ http://www.ncdc.ge/AttachedFiles/%E1%83%93%E1%83%94%E1%83%93%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90%20%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%99%E1%83%95%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_d878ee3d-8616-440f-8aa3-c49605f0b615.pdf
დედათა სიკვდილიანობის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2015, გვ. 9.

⁸⁵ http://gamapserver.who.int/gho/interactive_charts/mdg5_mm/atlas.html

⁸⁶ http://gamapserver.who.int/gho/interactive_charts/mdg5_mm/atlas.html

საქართველოში დედათა სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზები 2015 წლისთვის იყო სისხლდენა (21%), ინფექციები (10,5%), პრეეკლამპსია (5,3%), ემბოლია (5,3%), სხვა პირდაპირი მიზეზები (15,8), არაპირდაპირი მიზეზები (26,3%), ხოლო 15,8% გარდაცვალების მიზეზი უცნობი გახლდათ. არაპირდაპირ სამედიცინო მიზეზთა შორის (26,3%, 5 შემთხვევა) წარმოდგენილი იყო რესპირატორული და სხვა ინფექციური დაავადებები (4 შემთხვევა) და კარდიო-ვასკულარული სისტემის დაავადება (1 შემთხვევა). დედათა გვიანი გარდაცვალების მიზეზთა შორის წარმოდგენილი იყო თვითმკვლევლობა მშობიარობის შემდგომი დეპრესიის გამო და ცერებრული ანევრიზმა.⁸⁷

ამრიგად საჭიროა, ყურადღება მივაქციოთ როგორც სამედიცინო, ასევე სოციალურ და ფსიქოლოგიურ ფაქტორებს, რომლებიც დედათა მოკვდაობაზე, ძირითადად, არაპირდაპირი გზით მოქმედებენ.

2.3. ჩვილთა მოკვდაობის ტენდენციები და მიზეზები საქართველოში

ჩვილთა მოკვდაობაზე, ისევე როგორც დედათა მოკვდაობაზე გარდა გენეტიკური ფაქტორებისა და სამედიცინო მომსახურების ხარისხისა, მოქმედებს გარემო და ცხოვრების წესი. „ცხოვრების წესი – ეს არის ადამიანთა მატერიალური პირობებისა და ქცევის დიალექტიკური შერწყმა გარკვეულ სოციალურ სფეროში, საზოგადოებაში. ჯერ კიდევ გერმანელი იდეოლოგები ცხოვრების წესს განსაზღვრავდნენ, როგორც მოსახლეობის კვლავწარმოებასთან უწყვეტად დაკავშირებულ საზოგადოებრივ მოვლენას.“⁸⁸ სწორედ ამიტომ დემოგრაფთა ყურადღებას იმსახურებს ცხოვრების წესისა და გარემოს გავლენის შესწავლა ისეთ დემოგრაფიულ მაჩვენებლებზე, როგორცაა მოკვდაობა, შობადობა, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და ა.შ. ჩვენ შემთხვევაში ყურადღება გამახვილებული იქნება ჩვილთა მოკვდაობაზე მოქმედ ფაქტორებზე.

⁸⁷ პერინატალური ჯანმრთელობის ანალიზი; მოკლე მიმოხილვა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2016 წელი, გვ. 39.

⁸⁸ ნ. ჭანტურია, „ცხოვრების წესის გავლენა შობადობასა და ჩვილთა მოკვდაობაზე საქართველოში“, დემოგრაფია, თბ.2001 №1(3), გვ. 49.

ჩვილთა მოკვდაობის მიზეზები განსხვავდება ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით. მასზე უშუალო გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა ცუდი კვება, სიღარიბე, ძუძუთი კვების შემცირება, ჰიგიენური ნორმების უგულვებელყოფა, ცუდი სამედიცინო მომსახურება და სხვა. ჩვილების ჯანმრთელობა ასევე უკავშირდება მშობლების ჯანმრთელობას და მათ მიერ ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვას, ინტერგენეტიკურ ინტერვალებს და მათ რაოდენობას, დედათა რეპროდუქციული ჯანმრთელობის მდგომარეობას და ა.შ.⁸⁹ მეცნიერები და ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ადრეული, ხანდაზმული და ხშირი მშობიარობა ჩვილთა მოკვდაობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. ასევე სერიოზულ გავლენას ახდენს ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, პროსტიტუცია და სხვა.⁹⁰ ჩვილის ფსიქიკის ჩამოყალიბებაზე ჯერ კიდევ ემბრიონულ სტადიაზე ახდენს გავლენას ის, სასურველია თუ არა იგი ოჯახში. მეცნიერთა აზრით, კონფლიქტურ ოჯახებში ბავშვის კუჭის წყლულით დაავადების რისკი 2-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე ნორმალურ გარემოში. ფსიქოლოგიურად დამაბულ ოჯახებში ჩვილთა პერინალატურ ასაკში მოკვდაობის მაჩვენებელი გაცილებით მაღალია.⁹¹

ჩვილთა ჯანმრთელობისთვის (ასევე დედათა ჯანმრთელობისთვის) აუცილებელია დედების მხრიდან კონსულტაციებზე დროულად სიარული, რაზეც უკვე ვისაუბრეთ დედათა მოკვდაობის მიზეზების გაანალიზებისას. როდესაც ისინი შესაბამის ვადებში არ იღებენ სამედიცინო კონსულტაციებს. ასეთ შემთხვევებში ჩვილთა პერინალატურ ასაკში მოკვდაობა 5-ჯერ უფრო ხშირია, იმათთან შედარებით, ვისი დედებიც ორსულობის პერიოდში რეგულარულად აკითხავდნენ ექიმს კონსულტაციისთვის.⁹²

ჩვილთა სიცოცხლისათვის გადამწყვეტად მნიშვნელოვანია დედის ასაკი. ცხოვრების წესი კი შვილოსნობის ასაკის სწორად შერჩევასაც გულისხმობს. მრავალი კვლევა ადასტურებს, რომ შთამომავლობისთვის ერთნაირად სახიფათოა როგორც ნაადრევი ანუ 18

⁸⁹ ნ. ჭანტურია, "ცხოვრების წესის გავლენა შობადობასა და ჩვილთა მოკვდაობაზე საქართველოში", ჟურნალი „დემოგრაფია“, თბ., 2001 №1(3), გვ. 49.

⁹⁰ იქვე, გვ. 49.

⁹¹ იქვე, გვ. 49.

⁹² იქვე, გვ. 50.

წლამდე, ასევე დაგვიანებული, ანუ 35 წელს ზემოთ პირველი ორსულობა და მშობიარობა.⁹³ 18 წლამდე ასაკში, თავად დედის ორგანიზმია ჩამოუყალიბებელი და იგი მზად არ არის ბავშვის გაჩენისთვის. საფრთხის ქვეშაა როგორც ჩვილის, ასევე დედის ჯანმრთელობაც. ასეთ დროს ხშირია ნაადრევი მშობიარობა და ბავშვის მცირე წონით გაჩენის რისკი, ასევე დღენაკლულობაც (მათი მოკვდაობა, დროულად დაბადებულებთან შედარებით, სიცოცხლის პირველ კვირაში 20-ჯერ მეტია, თანდაყოლილ გულსისხლძარღვთა დაავადებების შემთხვევებისა კი 3-ჯერ მაღალია, 1 წლის ასაკამდე მიღწევისა კი 5-ჯერ ნაკლები).⁹⁴

მნიშვნელოვანია მშობიარობათაშორისი ინტერვალების დაცვაც, ოპტიმალურად მიჩნეულია 2-3 წელი. 1 წელზე ნაკლები ინტერვალით დაბადებულ ბავშვებში ხშირია 7 თვიანთა წილი, ხოლო მოკვდაობის მაჩვენებელი 2-ჯერ უფრო მაღალია ორი და მეტი წლის ინტერვალით დაბადებული ბავშვების შესაბამის მაჩვენებელზე (თუმცა სასურველია ეს ინტერვალი არ აღემატებოდეს 4 წელს).⁹⁵

ორსული ქალის მიერ თამბაქოს მოხმარებამ შეიძლება გამოიწვიოს მემკვიდრული გენეტიკური პათოლოგიის გადაცემა შვილისთვის. ესაა ყურადღების დეფიციტის პათოლოგია, მეტყველების პრობლემები, სიმსივნისადმი წინასწარ განწყობა და ა.შ. მეცნიერთა გარკვეული ჯგუფის აზრით, მოწვეისადმი მიდრეკილებაც გენეტიკურად გადაიცემა. სწორედ ამიტომ, ზოგიერთი ადამიანი უკვე ბავშვობიდანაა წინასწარგანწყობილი მოწვეისადმი, რადგან იგი მემკვიდრულად მგრძნობიარეა ნიკოტინის ეფექტის მიმართ (დედის მუცლიდან).⁹⁶

ჩვილების ფიზიკური და ფსიქოლოგიური სრულყოფისთვის, ასევე სიცოცხლისუნარიანობის ამაღლებისთვის, აუცილებელი კომპონენტია მისი ბუნებრივი კვება. ქალის რძე, სისხლის მსგავსად, როგორც თავისი ქიმიური შემადგენლობით, ასევე

⁹³ ნ. ჭანტურია, „ცხოვრების წესის გავლენა შობადობასა და ჩვილთა მოკვდაობაზე საქართველოში“, ჟურნალი „დემოგრაფია“, თბ., 2001 №1(3), გვ. 50

⁹⁴ იქვე, გვ. 50.

⁹⁵ იქვე, გვ. 50.

⁹⁶ იქვე, გვ. 50.

იმუნოლოგიური თვალსაზრისით, უნიკალური და შეუცვლელია შვილის ორგანიზმისთვის. მასში შემავალი ფერმენტები და ანტისხეულები აადვილებენ მეტაბოლიზმის პროცესს შვილის ორგანიზმში, ასევე ანიჭებენ მას იმუნოლოგიურ გამძლეობას სხვადასხვა ინფექციის მიმართ. ბუნებრივი კვებით გაზრდილ ბავშვებში, გაცილებით იშვიათია ე.წ. აუტოაგრესიის გამოვლინებები (ფრჩხილების კვნეტა, თმების წიწვნა და ა.შ) და მავნე ჩვევები.⁹⁷

საქართველოში რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა 2000-იანი წლებიდან დაიწყო. 2005 წელს ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ მკვდრადშობადობის შემთხვევები ყველაზე ხშირი იყო 35-44 წლის ასაკის ქალებს შორის, ვისაც პერინატალური მომსახურება არ მიუღია და გართულებული ორსულობის მქონდე ქალებს შორის.⁹⁸ გარდაცვალების ალბათობა ყველაზე მაღალი იყო იმ ბავშვებში, ვისი დედებიც იყვნენ მოზარდები, ჰქონდათ ნაკლები განათლება, დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი. ასევე განსხვავდებოდა ეთნიკურ ჯგუფში, სომეხი და აზერბაიჯანელი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებში. ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი მაღალი იყო მამრობითი სქესის, მესამე ან მეოთხე მშობიარობის შედეგად დაბადებულ, 24 თვეზე ნაკლებ ინტერვალში დაბადებულ ჩვილებში.⁹⁹

დღეს ვითარება შეცვლილია, ფაქტობრივად 10-12 წელიწადში განათლების დონე მეტ-ნაკლებად ამაღლდა და იგი ისეთ გავლენას ვერ ახდებს ჩვილთა მოკვდაობაზე როგორც ადრე. ნაადრევი ქორწინებების როცხვმა იკლო, შედარებით გაუმჯობესდა სამედიცინო მომსახურების ხარისხი და ხელმისაწვდომობა, რამაც, რა თქმა უნდა, თავისი შედეგი გამოიღო და შემცირდა ჩვილთა მოკვდაობა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვილთა მოკვდაობის ერთ-ერთი დროის მიხედვით დიფერენცირებული მაჩვენებელი პერინატალური მოკვდაობაა, რომელიც თავის თავში მკვდრადშობადობასაც მოიცავს. შესაბამისად, მიზანშეწონილია, რამდენიმე სიტყვის თქმა მკვდრადშობაზეც. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით,

⁹⁷ ნ. ჭანტურია, „ცხოვრების წესის გავლენა შობადობასა და ჩვილთა მოკვდაობაზე საქართველოში“, ჟურნალი „დემოგრაფია“, თბ., 2001 №1(3), გვ. 51.

⁹⁸ ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა საქართველოში, თბ. 2005, გვ. 7.

⁹⁹ ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა საქართველოში, თბ. 2005, გვ. 8.

მკვდრადშობადობის 97-99% საშუალო და დაბალი განვითარების ქვეყნებში აღირიცხება. მიზეზებს შორის ყველაზე ხშირად გვხვდება ნაადრევი შობადობა, თანდაყოლილი ანომალიები, დედისმიერი ინფექციები (სიფილისი, აივ-ინფექცია და სხვა), სისხლდენა მშობიარობისას, პლაცენტის ნაადრევი აცლა და სხვა დედისმხრივი გართულებები, მათ შორის ჰიპერტენია, სიმსუქნე და დიაბეტი, ნაყოფის განვითარების შეფერხება და ჯანმრთელობის სხვა მდგომარეობები.¹⁰⁰

რაც შეეხება მკვდრადშობადობის მაჩვენებელს საქართველოში, იგი ბოლო ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა, როგორც სხვა მაჩვენებლების უმრავლესობა, ესეც განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით მაღალია. მათი მიზეზების შესწავლა კი ერთ-ერთ გამოწვევად რჩება, როგორც ჯანდაცვის, ასევე დემოგრაფთა მხრიდანაც. მკვდრადშობადობის მიზეზების კვლევაში ასევე დიდ პრობლემას წარმოადგენს აუტოფსიისა და პათოლოგანატომიური კვლევების ნაკლებობა.¹⁰¹ კვლევების ჩატარების მხრივ, საქართველოში რთული მდგომარეობაა. დემოგრაფთა უმრავლესობა არ მუშაობს აღნიშნულ საკითხებზე, შესაბამისად ინფორმაციას მხოლოდ ციფრობრივი მონაცემების შესახებ ვფლობთ, რომელსაც სტატისტიკის ეროვნული სამსახური გვაწვდის. ანალიზზე საუბარი ზედმეტია. სამწუხაროდ, იძულებულნი ვართ ისევ დავეყრდნოთ ჯანდაცვის მონაცემებს. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ბოლო პერიოდში დაიწყო გარკვეული კვლევების ანგარიშების გამოქვეყნება. რადგანაც ნაშრომის წამყვანი იდეა დედათა და ჩვილთა მოკვდაობის მიმოხილვაა 21-ე საუკუნის საქართველოში, გარკვეულ ტენდენციებზე სწორედ ჯანდაცვის კვლევებზე დაყრდნოთ უნდა ვისაუბროთ.

დავუბრუნდეთ მკვდრადშობადობას. ICD - 10 – ის მიხედვით, იგი არის ნაყოფის სიკვდილი დედის ორგანიზმიდან სრულ გამოსვლამდე ან გამოყოფამდე. ორსულობის ვადის მიუხედავად. გამოსვლის შემდეგ მკვდრად დაბადების კრიტერიუმებია სუნთქვის ან

¹⁰⁰ პერინატალური ჯანმრთელობის ანალიზი; მოკლე მიმოხილვა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2016 წელი, გვ. 9.

¹⁰¹ პერინატალური ჯანმრთელობის ანალიზი; მოკლე მიმოხილვა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2016 წელი, გვ. 9.

სიცოცხლის სხვა ნიშნების არარსებობა, იქნება ეს გულისცემა, ჭიპლარის პულსაცია ან შეკუმშვა. მკვდრადშობადობის კოეფიციენტი განისაზღვრება, როგორც მკვდრადშობილი ბავშვების რაოდენობა ყოველ 1000 დაბადებულზე. საქართველოში მკვდრადშობადობის გამომანგარიშება ხდება 22 კვირიდან.¹⁰²

აღსანიშნავი ფაქტია ის, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან ერთად გაეროს ბავშვთა ფონდის ტექნიკური დახმარებით, 2016 წლის 1 იანვრიდან ქვეყანაში დანერგა ორსულთა და ახალშობილთა მეთვალყურეობის მოდული, ე.წ. „დაბადების რეგისტრი“, რაც წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. მოდული გვაძლევს შესაძლებლობას მივიღოთ სრულყოფილი ინფორმაცია ორსულობასა და მშობიარობაზე, რაც შემდგომში დაგვეხმარება სწორი დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებაში დედათა და ბავშვთა მოკვდაობის წინააღმდეგ. ნამდვილად კარგი იქნებოდა მსგავსი პროგრამა დემოგრაფიის, როგორც მეცნიერების, ფარგლებში, რომ შემუშავებულიყო.

საქართველოში, 2015 წელს, მკვდრადშობადობის 589 შემთხვევა დაფიქსირდა და მკვდრადშობადობის მაჩვენებელმა ყოველ 1000 დაბადებულზე 9,8 შეადგინა.¹⁰³ შედარებისთვის, 2001 წელს ის 15,2 პრომილეს უდრიდა. რაც შეეხება დინამიკას, იგი შემდეგნაირია.

ცხრილი 11.

მკვდრადშობადობის დინამიკა საქართველოში

წლები	2001	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
მკვდრადშობადობის მაჩვენებელი ყოველ 1000 დაბადებულზე	15,2	16	16,8	14,7	12,6	10,7	10,9	9,5	11,2	9,4	10,5	9,8

¹⁰² პერინატალური ჯანმრთელობის ანალიზი; მოკლე მიმოხილვა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2016 წელი, გვ. 9.

¹⁰³ პერინატალური ჯანმრთელობის ანალიზი; მოკლე მიმოხილვა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2016 წელი, გვ. 11.

2006-დან 2015 წლამდე პერიოდში, საქართველოში მკვდრადშობადობის მაჩვენებელი 42%-ით და 16,8-დან (2006 წელს) ანუ 9,8-მდე 42%-ით შემცირდა (2015 წელს). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ თვალსაზრისით, რთულია ქვეყნების შედარება, რადგან თითოეულ მათგანს ამ მაჩვენებლის გაანგარიშების განსხვავებული მეთოდი აქვს. ზოგიერთ ქვეყანაში აქვთ განსხვავებული რეგულაცია ორსულობის შეწყვეტასთან დაკავშირებით, რაც თავის მხრივ, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს მკვდრადშობადობასა და ნეონატალურ მოკვდაობაზე.¹⁰⁴

მნიშვნელოვანია ნეონატალური მოკვდაობის მიზეზების შესწავლაც, რადგან იგი სამედიცინო სერვისებისა და ხარისხის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორია.¹⁰⁵ როგორც ვიცით ნეონატალური მოკვდაობა გულისხმობს 0-27 დღის ასაკში გარდაცვალებათა შემხვევებს და იგი იყოფა ადრეულ (0-6) და გვიან (7-27 დღე) ნეონატალურ მოკვდაობად. საქართველოში 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობაში ნეონატალური მოკვდაობის წილი 60%-ს შეადგენს, მაშინ, როცა ანალოგიური მაჩვენებელი განვითარებულ ქვეყნებში 43%-ის ტოლია. მაგრამ ბოლო წლებში, ისევე როგორც პერინატალური მოკვდაობა, ნეონატალური მოკვდაობაც შემცირდა. 2015 წელს 2012 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 36%-ით შემცირდა და 2015 წლისთვის ყოველ 1000 ცოცხალშობილზე 6,1 შეადგინა. ადრეული და გვიანი ნეონატალური მოკვდაობის კოეფიციენტთა სიდიდე შესაბამისად შემდეგნაირად ნაწილდება 3,6/2,2.¹⁰⁶ 2015 წელს ნეონატალური მოკვდაობის წილმა 0-დან 1 წლამდე ასაკის ბავშვთა გარდაცვალებაში შეადგინა 70%.¹⁰⁷ სამწუხაროდ, კვლევების სიმწირისა და რიგ შემთხვევებში საერთოდ არარსებობის გამო, ძირითადი აქცენტების გაკეთება გვიწევს მხოლოდ ბოლო წლების მონაცემებზე დაყრდნობით. 2015 წელს ნეონატალური მოკვდაობის 75% ნაადრევად დაბადებულ ახალშობილთა შორის დაფიქსირდა. მათი 75% დაიბადა მრავალნაყოფიანი ორსულობის შედეგად. ადრეული ნეონატალური მოკვდაობის წილი

¹⁰⁴ პერინატალური ჯანმრთელობის ანალიზი; მოკლე მიმოხილვა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2016 წელი, გვ. 15.

¹⁰⁵ იქვე, გვ. 17.

¹⁰⁶ იქვე, გვ. 18.

¹⁰⁷ იქვე, გვ. 19.

ნეონატალურ გარდაცვალებათა შორის შემცირდა და 2015 წელს 57,8% შეადგინა.¹⁰⁸ რეალურად, ნეონატალური მოკვდაობის მიზეზების გაანალიზება საქართველოში სწორედ 2015 წელს დაიწყო. გარდაცვალებების მიზეზებში ნახევარზე მეტი, 51,8%, დაიკავა დღენაკლულობამ და მასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა. შემდეგი იყო თანდაყოლილი ანომალიები 21,1%, SIDS (უეცარი გარდაცვალების სინდრომი) 0,3%, სხვა ინფექციები 5,8%; ასფიქსია დაბადებისას 5,8%; პერინატალური ინფექცია 4,4% და ა.შ.¹⁰⁹ თანდაყოლილ ანომალიებში ყველაზე მეტად გავრცელებულია სისხლმზადი ორგანოებისა და ნერვული სისტემის ანომალიები. ნელ-ნელა, ეტაპობრივად საქართველოში ნეონატალური მოკვდაობის მაჩვენებელი (6,1) ევროპულ დონეს უახლოვდება (4,47).¹¹⁰

კლების ტენდენცია აქვს პოსტნეონატალურ მოკვდაობასაც. იგი ძირითადად ასოცირებულია სოციალურ და გარემო ფაქტორებთან. 2015 წელს პოსტნეონატალურ პერიოდში ჩვილთა გარდაცვალების წილი 28% იყო. პოსტნეონატალურ მოკვდაობაში სისხლის მიმოქცევის სისტემის თანდაყოლილი ანომალიები წარმოადგენენ სიკვდილიანობის მთავარ მიზეზს.¹¹¹ მნიშვნელოვანია გარდაცვლილ ჩვილთა სქესობრივი თანაფარდობაც. მათ შორის 51,5 % იყო ბიჭი, ხოლო 42,5% – გოგონა.¹¹²

საქართველოში, რეგიონულ ჭრილში, 2015 წელს ჩვილთა მოკვდაობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო თბილისში, 16 ყოველ 1000 ცოცხლადშობილზე, ასევე მაღალი იყო კახეთში 9,5 ყოველ 1000 ცოცხალშობილზე და იმერეთში 8 ყოველ 1000 ცოცხალშობილზე. 2015 წელს, ჩვილთა სიკვდილის შემთხვევათა 85% გამოწვეული იყო პრევენტაბელური მიზეზებით, როგორცაა, მაგალითად, უბედური შემთხვევა და ინფექციები.¹¹³

¹⁰⁸ პერინატალური ჯანმრთელობის ანალიზი; მოკლე მიმოხილვა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2016 წელი, გვ. 20.

¹⁰⁹ იქვე, გვ. 23.

¹¹⁰ იქვე, გვ. 24.

¹¹¹ იქვე, გვ. 29.

¹¹² იქვე, გვ. 29.

¹¹³ იქვე, გვ. 31.

თავი 3: დედათა და ჩვილთა მოკვდაობის შემცირებისთვის

3.1. დედათა და ჩვილთა მოკვდაობის შემცირების პერსპექტივები.

როგორც ვნახეთ, დედათა და ჩვილთა მოკვდაობის საკითხი ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა საქართველოსთვის. აუცილებელია ვეძებოთ მისი გადაჭრის გზები, რადგან ჩვენი ქვეყანისთვის იგი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ჩვენი აზრით, პირველ რიგში, აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან დაინტერესება და საკითხის მასობრივი შესწავლა. ამისათვის კი უნდა ჩატარდეს სხვადასხვა ტიპის კვლევა, რომელიც უშუალოდ მიმართული იქნება იმ დეტერმინანტების გამოსაყოფად, რომლებიც გავლენას ახდენს დედათა და ჩვილთა მოკვდაობაზე. ეს შეიძლება იყოს ქცევითი, კულტურული და სოციალური დეტერმინანტები. თუ კი მოხდება საკითხის სრულად შესწავლა, უფრო მარტივად დავსახავთ მათი გამოსწორების გზებს. ბოლო პერიოდში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ შეიმუშავა მრავალი პროგრამა ორსულთათვის. მათ შორის აღსანიშნავია ორსულებში B და C ჰეპატიტის, აივი ინფექცია/შიდსის და სიფილისის განსაზღვრისა და დედიდან შვილზე B ჰეპატიტის გადაცემის პრევენციის უზრუნველყოფა. ასევე ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევა, რაც გულისხმობს სმენის დარღვევის გამოვლენას ახალშობილებში სმენის პირველადი და მეორეული სკრინინგული გამოკვლევის გზით.¹¹⁴ თუმცა ეს ყველაფერს არ ნიშნავს.

აუცილებელია გართულებების დროული აღმოჩენა. ბიომეტრიული ანალიზის შედეგად ჩანს, რომ მცირდება როგორც ნეონატალური პერიოდის, ასევე პოსტნეონატალური პერიოდის მოკვდაობა. კლებაა დამახასიათებელი პერინატალური მოკვდაობისთვისაც. მაგრამ სამედიცინო პროცესის მართვის გაუმჯობესებამ და ხელმისაწვდომობის გაზრდამ რეგიონული მასშტაბით, შესაძლოა დადებითი ასახვა ჰპოვოს მაჩვენებლის შემცირებაზე. იგი გავლენას მოახდენს როგორც დედის, ასევე ბავშვის ჯანმრთელობის შენარჩუნებაზე.

¹¹⁴ <http://www.ncdc.ge/ka-GE/ProgramsAndProjects/StatePrograms/MaternalandChildHealth>

ყურადღება უნდა მიექცეს რეგიონულ განვითარებას. თბილისში მეტ-ნაკლებად მოსახლეობა ინფორმირებულია სხვადასხვა პროგრამების შესახებ და წვდომაც სამედიცინო პროცედურებთან უფრო გამარტივებულია. რაც შეეხება რეგიონებს, ვითარება მეტად რთულია, თუნდაც მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ, ბოლო პერიოდში, ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტის ზრდა სოფლებში.

ყურადღება უნდა მიექცეს განათლების ამაღლებას, რომელიც პირდაპირ კავშირშია დედათა და ჩვილთა მოკვდაობასთან. რთულია ხელაღებით ვისაუბროთ ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე მაშინ, როცა ქვეყანაში უამრავი სოციალური პრობლემაა, მაგრამ თუ გვსურს ღირსეული ადგილის დამკვიდრება ევროპულ, განვითარებულ საზოგადოებაში, მაშინ აუცილებელია ვიზრუნოთ მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებაზე. აქ უკვე ვცდებით დემოგრაფთა ცოდნის არეს. აღნიშნული პრობლემა ყველა დარგის სპეციალისტის მიერ კომბინირებული მუშაობის საფუძველზე უნდა გაანალიზდეს და დაისახოს გადაჭრის გზები. მაგრამ ის, რაც გარდაუვლად გასაკეთებელია დემოგრაფთა მხრიდან, ესაა საკითხის სიღრმისეული შესწავლა და ანალიზი, განსაკუთრებით კი გარდაცვალებათა მიზეზების დეტალური შესწავლა.

დასკვნა

დედათა და ჩვილთა მოკვდაობა საქართველოში დღემდე პრობლემად რჩება. მოცემული ნაშრომის მიზანი გახლდათ დღევანდელი ვითრების წარმოჩენა და საკითხის რეტროსპექტული დახასიათება, მოკვდაობის ძირითადი მიზეზების განხილვა და შესაბამისი ანალიზის გაკეთება.

ისტორიას თუ გადავხედავთ და გასულ პერიოდს თანამედროვეობას შევადარებთ, რა თქმა უნდა, უდიდეს პროგრესს დავინახავთ. დღეს თითქმის არავინ კლავს უკვე დაბადებულ შვილს მატერიალური თუ გენდერული თვალსაზრისით, როგორც ამას მე-17-18 საუკუნის საქართველოში სჩადიოდნენ. განვითარდა სამყარო და მათ შორის საქართველოც. დღეს შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ჩვენმა ქვეყანამ შეძლო გაეროს ათასწლეულის განვითარების მე-4 მიზნის შესრულება, რაც მიზნად ისახავდა ჩვილთა მოკვდაობის შემცირებას. 2003 წელს ეს მაჩვენებელი 18,3 პრომილეს შეადგენდა, ხოლო 2015 წელს შეადგინა 8,6 პრომილე. თუმცა, სამწუხაროდ, იმავეს ვერ ვიტყვით დედათა მოკვდაობაზე. აღნიშნული მაჩვენებელი ისევ მაღალია (36 გარდაცვალება ყოველ 1000 ცოცხალშობილზე) და ბოლო წლებში მატების ტენდენციაც აქვს.

როგორც ვიცით, ყველაფერი შედარებითია და სწორედ შედარებისას, ნათლად გამოჩნდება რეალობა და დაგვეხმარება მდგომარეობის გაანალიზებაში. მართალია, საქართველოში შემცირდა როგორც დედათა, ასევე ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტიც, თუმცა ევროპის განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით მაინც საკმაოდ მაღალია. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული მაჩვენებელი არის ერთ-ერთი კარგი ინდიკატორი ქვეყნის განვითარების, როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ასევე სამედიცინო მოსახურების ხარისხის კუთხით, ამ მხრივ, საქართველოს ჯერ-ჯერობით ვერ ექნება პრეტენზია განვითარებულობაზე.

როგორც ვნახეთ, სამედიცინო დემოგრაფიასა და სტატისტიკაში ჩვილთა, ანუ 1 წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდაობაში განასხვავებენ სამ ძირითად პერიოდს. ესენია: პერინატალური, ნეონატალური და პოსტნეონატალური პერიოდები. თითოეულ მათგანში განსხვავებულია გარდაცვალებათ მიზეზები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია

ნეონატალურ და პოსტნეონატალურ პერიოდში გარდაცვალებათა მიზეზების შესწავლა. როგორც უკვე მრავალგზის აღვნიშნეთ, ნეონატალური მოკვდაობა ძირითადად განპირობებულია ენდოგენური ფაქტორებით, ანუ შინაგანი ფაქტორებით, გენეტიკური დაავადებებით და ა.შ. ამ დროს მნიშვნელოვანია სამედიცინო მომსახურების ხარისხის დონე, განვითარებულობა და ულტრათანამედროვე აპარატურით აღჭურვა. საქართველოში კი, სწორედ ნეონატალური მოკვდაობის წილი უფრო მაღალია ვიდრე პოსტნეონატალური მოკვდაობისა. მართალია სამედიცინო მომსახურების დონე სწრაფად უმჯობესდება, მაგრამ ჯერ კიდევ წინ გვაქვს მთელი რიგი გამოწვევები. რაც შეეხება პოსტნეონატალურ მოკვდაობას, ამ კატეგორიაში, გარდაცვალების მიზეზების ძირითად ფაქტორად, გვევლინება ეგზოგენური გარემოებები. გავლენას ახდენს ეკოლოგიური მდგომარეობა, განათლების დონე, ცხოვრების ხარისხი, სიღარიბე, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მთელი თავისი დამახასიათებელი ნიშნებით. საბედნიეროდ, საქართველოში, ამ მხრივ, გარდაცვალებათა რაოდენობა მცირდება, თუმცა ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მხოლოდ ერთი ფაქტორის გაუმჯობესებით არა ყველასი. მაგალითად, ამაღლდა განათლების დონე და გაუმჯობესდა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, რამაც შეამცირა ამ კატეგორიაში ჩვილთა გარდაცვალება, თუმცა მზარდი ნეგატიური გავლენა აქვს გარემოს დაბინძურებას და ეკოლოგიას. ამიტომაც, მომავალში საკითხი ისევ მრავალმხრივ შესწავლას საჭიროებს.

გარდაცვალების მიზეზების შესწავლისას გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი ფაქტორი, როგორც ჩვილების, ასევე დედების მოკვდაობაში. ჩვილებში ეს არის დღენაკლულობა და მასთან დაკავშირებული მდგომარეობები, თანდაყოლილი ანომალიები, სხვადასხვა ინფექციები და ა.შ. ხოლო დედათა გარდაცვალების ძირითადი მიზეზებში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სისხლდენა. სირთულეს წარმოადგენს დაკარგული სისხლის დროულად ჩანაცვლება, ანუ დგას სისხლით მომარაგების პრობლემა. ასევე პრობლემატურია სხვადასხვა ინფექციებიც.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში გასულ საუკუნესთან შედარებით მრავალი წინ გადადგმული ნაბიჯი შეინიშნება. მცირდება როგორც დედათა, ასევე ჩვილთა მოკვდაობა. თუმცა ჩვენს მთავარ მიზანს წარმოადგენს, რომ ეს მაჩვენებლები

რეალურად იმ ნიშნულამდე ჩამოვიდეს, რომელიც განვითარებული ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი, რათა შევძლოთ მრავალი დედისა თუ ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნება და ეს იქცეს ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ წინაპირობად. როგორც შესავალში ვთქვით, „მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა არის ქალთა და ბავშვთა ფუნდამენტური უფლება და არა პრივილეგია“. თუ საქართველო შეძლებს, რომ აღნიშნული „პრივილეგია“ მართლაც ფუნდამენტურ უფლებად აქციოს, ნამდვილად შეიქმნება თანასწორუფლებიანი და ჯანსაღი სახელმწიფო.

ბიბლიოგრაფია

ბორისოვი ვ.ა., რუსულიდან თარგმნა სახვაძე ა., 2001, თბილისი.

დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი, მე-3 გამოცემა, 2012, თბილისი, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისი.

თანამედროვე ეთნოსოციალური პროცესები ქ. თბილისში (რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები), 1989, თბილისი, საბჭოთა საქართველო.

კახიძე ა. სურმანიძე რ. 1989, „ბავშვთა სიკვდილიანობა ანტიკური ხანის საქართველოში“, საბჭოთა მედიცინა, გვ. 63.

მათიაშვილი მ. 2015, „შვილის მკვლელობა ძველ ქართულ სამართალში“, სამართლის ჟურნალი, №2. გვ. 39-47.

სოციოლოგიისა და დემოგრაფიის პრობლემები, II, დემოგრაფიული ტერმინოლოგია, 1984, დანართი.

სახვაძე ა. 1990, „ერთი დემოგრაფიული მაჩვენებლის დასაზუსტებლად“, ჟურნალი „ეკონომისტი“.

ყაზახაშვილი ნ., 2001, „გარემო და ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობა“, დემოგრაფია, №1 (3), გვ. 23-25.

ჭანტურია ნ., ცხოვრების წესის გავლენა შობადობასა და ჩვილთა მოკვდაობაზე საქართველოში“, №1 (3), გვ. 42-45.

ჯიჯაძე ა, 1935, შობადობა და ბავშვთა სიკვდილიანობა კაპიტალისტურ ქვეყნებში და ჩვენთან.

დედათა სიკვდილიანობი ეპიდკვლევის შედეგები, 2014, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი:

http://www.ncdc.ge/AttachedFiles/%E1%83%94%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%93%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%202014_e9b1a930-a408-4498-b221-4f1830b7109b.pdf

დედათა სიკვდილიანობის ტენდენციები საქართველოში, 2015, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი:

http://www.ncdc.ge/AttachedFiles/%E1%83%93%E1%83%94%E1%83%93%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90%20%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%99%E1%83%95%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_d878ee3d-8616-440f-8aa3-c49605f0b615.pdf

ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა საქართველოში, 2005, თბილისი, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი:

http://www.ncdc.ge/AttachedFiles/RHS05_GEO_Geo_3b5ed60d-2f05-4534-bc27-a6bf426e6cbb.pdf

პერინატალური ჯანმრთელობის ანგარიში, 2016, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

http://www.ncdc.ge/AttachedFiles/account_2def1b4a-7df1-42a1-8d21-f2c5d355aafe.pdf

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, 2016.

<http://www.who.int/mediacentre/factsheets/fs333/en/>

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, 2016.

<http://www.who.int/mediacentre/factsheets/fs348/en/>

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, 2016.

http://www.who.int/gho/maternal_health/en/

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, 2015.

http://gamapserver.who.int/gho/interactive_charts/mdg5_mm/atlas.html

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 2015.

http://www.undp.org/content/undp/en/home/sdgoverview/mdg_goals.html

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველო, 2015.

<http://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/post-2015.html>

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველო, 2015.

<http://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/post-2015/sdg-overview/goal-3.html>

სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოსახლეობა, ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები, 2016

http://www.geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo

Central Intelligence Agency, 2016,

<https://www.cia.gov/library/Publications/the-world-factbook/rankorder/2091rank.html>

Институт демографии Национального исследовательского университета “Высшая школа экономики”

http://demoscope.ru/weekly/ssp/sng_imr.php

თურქეთის სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2016.

<http://www.turkstat.gov.tr/UstMenu.do?metod=temelist>

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური., სტატისტიკური კრებული, თბილისი, 2016.

http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/population/Demografiuli%20Vitareba%20SaqartveloSi%20Krebuli%202016.pdf

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, გარემო, 2016.

http://geostat.ge/?action=page&p_id=430&lang=geo

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Mariam Ghutidze

Maternal and Infant Mortality in Georgia

Demography and Population Geography

Master's thesis is submitted to obtain the degree of Master in Demography and
Population Geography

Supervisor: Anzor Sakhvadze

Associated Professor

TBILISI

2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ლანა ალანია

დეპოპულაცია საქართველოში 90-იანი წლებიდან დღემდე

დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის მიმართულება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დემოგრაფიისა და მოსახლეობის
გეოგრაფიის მიმართულების მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ანზორ სახვაძე

ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2017

ანოტაცია

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია დეპოპულაციის ანალიზი საქართველოში 90-იანი წლებიდან დღემდე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დემოგრაფიულ ლექსიკონებში დეპოპულაცია განიმარტება, როგორც მოსახლეობის რაოდენობის რეალური ან სავარაუდო შემცირება. 1985 წლის “დემოგრაფიულ ლექსიკონში” დეპოპულაცია განიმარტება, როგორც “რომელიმე ქვეყანაში ან ტერიტორიაზე მოსახლეობის რაოდენობის შემცირება, როცა შემდეგი თაობის რიცხოვრივი რაოდენობა უფრო ნაკლებია ვიდრე წინა თაობისა. დასახული მიზნიდან გამომდინარე ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია შემდეგი საკითხების განხილვაზე: საქართველოში მოსახლეობის ცვლილებასთან დაკავშირებით მოკლე ისტორიული მიმოხილვა, დეპოპულაცია - ტერმინის განმარტება, დეპოპულაციის დონის და კოეფიციენტის განსაზღვრა წლების მიხედვით და შედარება მეზობელ ქვეყნებთან (რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი). ნაშრომში ასევე განხილულია დემოგრაფიული პოლიტიკის მიმართულებები სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე. დასასრულს განხილულია ასევე პრობლემის მოგვარების გზები. განაშრომს ერთვის დასკვნა და გამოყენებული ლიტერატურის სია.

ზოგადად, შობადობის კვლევა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან თაობათა განახლების პროცესში სწორედ ეს დემოგრაფიული მოვლენა თამაშობს გადამწყვეტ როლს. ჩვენს რეალობაში ბევრი ნაშრომი მიემდგნა შობადობის ბიოლოგიური, დემოგრაფიული, სოციალური თუ ეკონომიკური კუთხით შესწავლას. ბევრი მათგანი ეხმიანება შობადობის კლების მიზეზებს, ბევრი ავტორი საუბრობს ეფექტიანი და მიზანმიმართული დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე. საგულისხმოა, რომ ბოლო წლების განმავლობაში პირველად იქნა შემუშავებული დემოგრაფიული პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტი, რომელიც კიდევ ერთხელ ამტკიცებს საკითხის მნიშვნელოვანებას.

ამ ნაშრომში განხილულია შობადობა განსხვავებული რაკურსით, კერძოდ წარმოდგენილია შობადობის პრობლემა რეგიონულ ჭრილში, კახეთის მაგალითზე. სიახლეს წარმოადგენს აქ მოცემული უახლესი სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, რომელიც განზოგადებულია მთელი საქართველოსთვის. ასევე, ნაშრომში წარმოდგენილი

და თავმოყრილია ყველა თეორიული მიდგომა თუ მეცნიერული შეხედულება, რომლებიც დაეხმარება მკითხველს უკეთ გაერკვეს შობადობის არსსა და მნიშვნელობაში.

Depopulation in Georgia from 1990s until Today

Abstract

The purpose of the presented thesis is to analyze the depopulation in Georgia from the 90s until today. Depopulation is defined as a real or probable reduction of the number of population into the demographic dictionaries of the United Nations terms. In the “demographic dictionary” depopulation has following definition: “ Decrease of the number of population in any country or area when the number of next generation is less compared with the number of previous generation”. Depending on the set out purpose the thesis focuses on reviewing following issues: a brief historical overview of the population change in Georgia, depopulation – definition of terms, Defining the level and coefficients of depopulation according to years and comparison with neighbouring countries (Russia, Armenia, Azerbaijan). The thesis also deals with the directions of demographic policy in different countries. Conclusion and list of references is attached to the thesis.

შესავალი

XIX საუკუნის ბოლოს დადგენილ იქნა, რომ შობადობისა და მოკვდაობის დონეები ძირითადად განპირობებულია არა ბიოლოგიური კანონებით, არამედ სოციალური პირობებით. ამასთან, ისტორიული განვითარების პროცესში მიმდინარეობს მოსახლეობის აღწარმოების ტიპის მნიშვნელოვანი თვისებრივი ცვლილებები.

გამოყოფენ მოსახლეობის აღწარმოების ოთხ ტიპს: არქეტიპს, ტრადიციულს, თანამედროვესა და ბოლო პერიოდში – უახლესს (დეპოპულაციურს).

მოსახლეობის აღწარმოების არქეტიპი დამახასიათებელი იყო კაცობრიობის ისტორიის ადრეული ეტაპისათვის, კლასობრივადელი საზოგადოებისათვის. ის ჩამოყალიბდა პალეოლითის ხანაში და დაკავშირებული იყო პალეოლითის ეკონომიკასთან და იმ საზოგადოებრივ ურთიერთობებთან, რომლებიც მის ბაზაზე ვითარდებოდა. არქეტიპის დროს მოკვდაობა ძალიან მაღალი იყო და პრაქტიკულად უცვლელი რჩებოდა ათასწლეულების მანძილზე. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა შეადგენდა დაახლოებით 20 წელს.

მოსახლეობის აღწარმოების ტრადიციული ტიპი დამახასიათებელი იყო კაპიტალისტურადელი, აგრარული კლასობრივი საზოგადოებისათვის და კაპიტალისტური განვითარების საწყისი სტადიისათვის.

მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპი თავდაპირველად წარმოიქმნა XVIII საუკუნის ბოლოს დასავლეთ ევროპის ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში (საქართველოში – XIX საუკუნეში). ამ დროიდან მოყოლებული იწყება მოკვდაობის ფაქტორების შეზღუდვა. იზრდება მედიცინის როლი, თავი იჩინა ახალმა სანიტარულ-ჰიგიენურმა პირობებმა, რაც გამომდინარეობდა მრეწველობის განვითარებიდან და მასთან დაკავშირებული მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული პროგრესიდან.

თანამედროვე ტიპის დროს წინასთან (ტრადიციულთან) შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. თვისებრივი

თვალსაზრისით მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპისათვის არსე-ბითია ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირება, რომელიც უცხოა წინა ტიპე-ბი-სათვის. სწორედ ამ უკანასკნელმა განაპირობა შობადობის დონეებში რაოდე-ნობრივი სხვაობა მოსახლეობის აღწარმოების ტრადიციულ და თანამედროვე ტიპებს შორის.

მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის ფარგლებში შობადობისა და მოკვდაობის მაჩვენებელთა გარკვეული პირობითი საფეხურები გამოიყოფა, რომლებსაც მოსახლეობის აღწარმოების ფაზებს (სტადიებს) უწოდებენ.

მოსახლეობის აღწარმოების უახლესი (დეპოპულაციური) ტიპი ეს ის ტიპია, რომელიც დადგება მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის შემდეგ. მოსახლეობის აღწარმოების უახლესი ტიპისათვის დამახასიათებელია შობა-დობაზე მოკვდაობის მეტობა, რომელიც დეპოპულაციის სახით ჩამოყალიბდება.

შინაარსი

შესავალი	5
1. მოკლე ისტორიული ექსკურსი - საქართველოში მოსახლეობის ცვლილებასთან დაკავშირებით7	
თავი 2. დეპოპულაცია - ტერმინის განმარტება	8
2.1. გამომწვევი მიზეზები	19
2.2. პროგნოზები და საფრთხეები.....	20
2.3. რეპროდუქციული ქცევა საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში.....	22
3. დეპოპულაციის დონე ევროპასა და მეზობელ ქვეყნებში.....	24
5. დეპოპულაციის დონე და კოეფიციენტები საქართველოში და მის მეზობელ ქვეყნებში	34
6. დემოგრაფიული პოლიტიკა საზღვარგარეთის ქვეყნებში	36
7. რა უნდა გაკეთდეს დეპოპულაციის დასაძლევად საქართველოში.....	66
დასკვნა	69

1. მოკლე ისტორიული ექსკურსი - საქართველოში მოსახლეობის ცვლილებასთან დაკავშირებით

თანამედროვე საქართველოს ტერიტორია ადამიანის მიერ,ჯერ კიდევ ათეულ ათასობით წლის წინ იქნა ათვისებული.უმველესი წერილობითი წყაროებით ცნობილია,რომ მის ზოგიერთ ისტორიულ პროვინციაში,მრავალრიცხოვანი ქართველური ტომები,ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ცხოვრობდნენ.საქართველოს მოსახლეობა ისტორიულად ყველაზე ბევრი მე-13საუკუნის პირველ ნახევარში იყო.როგორც იმ დროს ჩატარებული აღწერებიდან ირკვევა საერთო ჯამში 8მილიონს აღწევდა.გამუდმებული ომებისა და შემოსევების შედეგად კი,მე-18საუკუნეში 761ათასამდე შემცირდა.მე-19საუკუნის დასაწყისში კი ქვეყანაში არსებული შავი ჭირის გამო,მანამდე არნახული რაოდენობა 400 000შეადგინა.მე-19საუკუნის ბოლოს კი სიტუაცია არსებითად შეიცვალა,რუსეთის იმპერიის საყოველთაო აღწერით,საქართველოს მოსახლეობა იმდროინდელ საზღვრებში,5-ჯერ გაიზარდა და დაახლოებით 2მილიონი გახდა.

უკანასკნელ წლებში საქართველოს მოსახლეობა ყველაზე მრავალრიცხოვანი 1989-1992წლებში იყო და 5მილიონ 400ათასს შეადგენდა.ამ დროიდან მოყოლებული საქართველოს მოსახლეობა განუხრელად მცირდება და ბოლო მონაცემებით მხოლოდ 3მილიონ 718ათასია.

თავი 2. დეპოპულაცია - ტერმინის განმარტება

თეორიული თვალსაზრისით, დროის განსაზღვრულ პერიოდში, მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკამ შეიძლება სამიდან ერთ-ერთ შედეგამდე მიგვიყვანოს:

- მცხოვრებთა რიცხოვნობის გაზრდასთან;
- მცხოვრებთა რიცხოვნობის შენარჩუნებასთან;

- მცხოვრებთა რიცხოვნობის შემცირებასთან.

სწორედ ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში ამბობენ, რომ საქმე გვაქვს დეპოპულაციასთან.

პირდაპირი მნიშვნელობით ტერმინი „დეპოპულაცია“ მომდინარეობს ფრანგული *depeupler*-სგან და ნიშნავს, რომელიმე ტერიტორიის მცხოვრებთაგან დაცარიელებას. პირველად ამ ტერმინს ვხვდებით მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ისეთი საგანგებო მდგომარეობის აღსანიშნავად როგორცაა (ომები, ეპიდემიები, შიმშილობა და სხვა).

ამჟამად დეპოპულაცია აღნიშნავს „გაუკაცრიელებას“, დეგენერაციას, რაც უფრო ემოციური განსაზღვრაა, ვიდრე მეცნიერული, ვინაიდან ასეთი გაგება არ შეიცავს რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს. რუსი დემოგრაფი, პროფესორი ა. კვამა მართებულად მიიჩნევს, რომ დეპოპულაციის უფრო დეტალურად და პროფესიულად განსაზღვრას იძლევა უკრაინელი დემოგრაფი ვ. ს. სტეშენკო მის მიერ დეპოპულაცია განმარტებულია შემდეგნაირად „რომელიმე ქვეყნის ან ტერიტორიის მოსახლეობის აბსოლუტური რიცხოვნების შემცირება ანდა მისი შეკვეცილი კვლავწარმოება, რომლის დროსაც მომდევნო თაობის რიცხოვნობა ნაკლებია წინაზე“

როგორც ვხედავთ ტერმინის განმარტება დემოგრაფიულ ლიტერატურაში და შესაბამისად სხვადასხვა მეცნიერთა მიერ განსხვავებულად არის გაგებული, განმარტებული და გადმოცემული.

უმეტესობას დეპოპულაცია ესმის როგორც მხოლოდ და მხოლოდ შობადობაზე მოკვდავობის დონის გადაჭარბების წმინდა სტატისტიკური პროცესი, რაც მთლად ზუსტი არაა და საჭიროებს სიღრმისეულ დემოგრაფიულ უფრო ზუსტად კი დემოლოგიურ გააზრებას.

დავეთანხმები ბატონ ანზორ სახვაძის მოსაზრებას, რომელიც თვლის რომ დეპოპულაციის ანუ რომელიმე ტერიტორიის მცხოვრებთაგან დაცარიელება შეიძლება მოხდეს მხოლოდ უარყოფითი ბუნებრივი მატების ანუ ფაქტობრივად ბუნებრივი კლების გზით, მაშინ, როცა საქმე გვაქვს ჩაკეტილ მოსახლეობასთან (როგორც იყო საბჭოთა

კავშირი)თუმცა ღია მოსახლეობაში, როგორცაა საქართველო დეპოპულაციის ბუნებრივმატების ზომასთან ერთად განსაზღვრავს მისი მიმართება გარე მიგრაციულ სალდოსთან.

რეალურად დეპოპულაცია იწყება მაშინ, როდესაც სიკვდილიანობის ზოგადი კოეფიციენტი სჭარბობს შობადობის ზოგად კოეფიციენტს, ანუ ადგილი აქვს მოსახლეობის შემცირებას, მაგრამ დემოგრაფიული ანალიზისას გამოიყენება აგრეთვე ჰიპოთეტური თაობის მეთოდი, რომლის დროსაც დეპოპულაციის ტერმინით ჩვეულებრივ გამოიხატება მოსახლეობის კვლავწარმოების ისეთი რეჟიმი, როდესაც კვლავწარმოების ნეტო კოეფიციენტი 1-ზე ნაკლები სიდიდისაა.

დემოგრაფიულ სტატისტიკაში დეპოპულაციაში გულისხმობენ, რომელიმე ქვეყნის ან ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირებას მისი დონისგან (დედამიწის, კონტინენტის, რეგიონის და ა.შ.) დამოუკიდებლად.

უძველესი დროის დემოგრაფიული პროცესების დამახასიათებელი ცალკეული წყაროების გაცნობა, მეტყველებს ცნობების წყვეტილ და უკიდურესად მწირ ხასიათზე. დეპოპულაცია, როგორც საზოგადოებრივი მოვლენა, როგორც ჩანს, სათავეს უძველესი --პირველყოფილი წყობილებიდან იღებს და ამა თუ იმ ფორმით (დონეზე, ხანგრძლივობაზე, გავრცელებულობასა და ა.შ. დამოკიდებულებით) თან სდევდა კაცობრიობას მისი არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე. ისტორიამდელი ცხოვრების უმძიმესი პირობების გათვალისწინებით, ძნელია არ დავეთანხმოთ ვარაუდს, რომ ავადმყოფობების, შიმშილისა და სხვა მიზეზების ძალით, ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე, როგორც ცალკეული თემების ან ტომების, ისე მთელი ტერიტორიების მცხოვრებთა რიცხოვნობას შეიძლებოდა შემცირების მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი ტენდენცია ჰქონოდა. ერთობ სავარაუდოა სიტუაცია, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისისთვის ჰუნების გამაუკაცრიელბელი და დაუნდობელი თავდასხმები თანამედროვე ევროპის ტერიტორიაზე თავისუფალ დემოგრაფიულ არეალებს ტოვებდნენ. მაგალითად, ისტორიკოსების შეფასებით, XIV საუკუნეში, შავი ჭირის ეპიდემიამ ევროპის მთელი მოსახლეობის არანაკლებ მეოთხედი ნაწილი შეიწირა. ჩვენს ქვეყანაშიც დაფიქსირებული

იყო დეპოპულაციის პერიოდები, რომლის ცალკეულ მაგალითებსაც XVII საუკუნის დასაწყისში, თათარ-მონღოლთა შემოსევები (პოლონელთა ინტერვენცია, შიმშილი და ა.შ.), ასევე სამოქალაქო და მსოფლიო ომების შედეგები წარმოადგენს.

ვფიქრობთ, რომ უსამართლობა იქნებოდა დეპოპულაციური პროცესები კაცობრიობის ისტორიის მხოლოდ და მხოლოდ ექსტრაორდინალურ შემთხვევებთან (ომებთან, ეპიდემიებთან და ა.შ.) დაგვეკავშირებინა. დეპოპულაციას, როგორც საზოგადოების დემოგრაფიული განვითარების შედეგს, ადგილი ჰქონდა დროის მშვიდობიან პერიოდებშიც, მაგალითად XX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც გამოვლინდა საფრანგეთში, გერმანიასა და მსოფლიოს ზოგიერთ სხვა ქვეყანაში, 90 წლების დასაწყისიდან რუსეთის ფედერაციის ჩათვლით. ნახატ 3.1-ზე მოტანილია დიაგრამა, რომელიც ასახავს დეპოპულაციის დინამიკას რუსეთში 1992 წლიდან დაწყებული.

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან მსოფლიოში ორი “დემო-გრაფიული პოლუსი” წარმოიქმნა. ერთი, ქვეყნები მოსახლეობის ახალგაზრდული სტრუქტურით და მაღალი აღწარმოების მაჩვენებლებით და მეორე, მოსახლეობის დაბერებული სტრუქტურის პირობებში, დაბალი შობადობითა და დეპოპულაციით. ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ანატოლი ანტონოვი, რომელმაც მრავალი გამოკვლევა მიუძღვნა ევროპასა და რუსეთში დეპოპულაციის საკითხს წერს, რომ დეპოპულაციას პირველად შეეხო მონტესკიე, სხვა მეცნიერებთან ერთად, საფრანგეთსა და ევროპაში შობადობის კლებასთან დაკავშირებით. დეპოპულაციის შესახებ კვლევები დაიწყო მას შემდეგ რაც შეამჩნიეს, რომ XIX საუკუნის დასაწყისში საფრანგეთში დაიწყო შობადობის შემცირება. 1846-1872 წლებში 89 დეპარტამენტიდან 44-ში დარეგისტრირდა მოსახლეობის შემცირება.

დღეისათვის, მსოფლიოს უკვე ოც ქვეყანაში, მოკვდაობამ შობადობის მაჩვენებელს გადააჭარბა და, ამდენად, სულ რაღაც 30 წელიწადში “დემოგრაფიული ბომბი” “დეპოპულაციის ბომბის” საშიშროებამ შეცვალა.

საქართველოში დეპოპულაციის ნიშნები ჯერ კიდევ 1970-იანი წლების ბოლოს რაჭა-ლეჩხუმში დაფიქსირდა, რაც მომდევნო წლებში, მიუხედავად დემოგრაფთა არაერთი გაფრთხილებისა, არათუ გადაწყდა, არამედ კიდევ უფრო გამწვავდა და დღეისათვის,

ჯერჯერობით აჭარის, სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის გარდა, დეპოპულაციის სინდრომი საქართველოს ყველა კუთხეს მოედო. ამ თვალსაზრისით სასიკეთოს არც დემოგრაფიული პროგნოზები გვიჩვენებს. საქმე ისაა, რომ მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისთვის აუცილებელია 100 ქალზე მოდიოდეს მინიმუმ 210 დაბადებული ბავშვი, ანუ შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი 2,1 ბავშვზე ნაკლები არ უნდა იყოს. ასეთი მაჩვენებელი კი საქართველოში 1991 წლის შემდეგ აღარ დაფიქსირებულა და 2005 წლისთვის მან 1,722 შეადგინა. დეპოპულაციაზე მეტყველებს მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი, რომელიც 1-ის ზემოთ (რაც აუცილებელია მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისთვის), ასევე 1991 წლის შემდეგ აღარ დაფიქსირებულა და 2000_2005 წლებში 0,8-ის ფარგლებში იყო. პოპულარულ ენაზე რომ ვთქვათ, დღეს დაბადებულ 14 გოგონათაგან დედის ასაკს 2025 წლისთვის დაახლოებით 20%-ით ნაკლები მიაღწევს, მაშინ, როცა 1970-იანი წლების ბოლოსთვის დედათა თაობა 10%-ით მეტით აღიწარმოებოდა, ხოლო 1980_1990 წლებში კი 5_7%-ის ფარგლებში. ამიტომ, ზოგიერთი დემოგრაფისგან განსხვავებით, დეპოპულაციაზე არა მხოლოდ შობადობისა და მოკვდაობის ზოგადი მაჩვენებლებით, არამედ მოსახლეობის აღწარმოების სპეციალური მაჩვენებლებითაც უნდა ვიმსჯელოთ.

ორასი წლის მანძილზე მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის პირველი სამი ფაზის რეალიზაციის ფონზე, მეოთხე ფაზაში მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის სტაბილიზაცია ნულოვან დონეზე, კარგა ხნის ლოდინის შემდეგ, არც ერთ განვითარებულ ქვეყანაში არ აღნიშნულა და მესამე ფაზას დეპოპულაციის პროცესი მოჰყვა. აღნიშნული დემოგრაფთა კამათის საგანი გახდა. კერძოდ, დეპოპულაცია მიეკუთვნება მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის მეოთხე ფაზას, რაზეც თავის დროზე, როგორც მოსახლეობის აღწარმოების რეგრესზე, ა. ლანდრი მიანიშნებდა¹.

მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის ყველა ფაზა დასრულდა და ცალკეულ ქვეყნებში აღინიშნება წინა ტიპისაგან თვისებრივად განსხვავებული უახლესი ტიპი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ერთი მხრივ, შობადობისა და მოკვდაობის

¹ Landry A. La revolution demographique. P., 1934, p. 203

დაბალი დონე, მეორე მხრივ, მოსახლეობის მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის შედეგად, დემოგრაფიულად დაბერებული მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა. კანადელი დემოგრაფის ს. ივანოვის აზრით, მსოფლიოს ქვეყნები დემოგრაფიული გადასვლის სხვადასხვა ფაზაშია, ხოლო ზოგიერთ მათგანში დემოგრაფიულ გადასვლას დამთავრებულად მიიჩნევენ. მისი აზრით, იმ ქვეყნებში, სადაც დამთავრდა დემოგრაფიული გადასვლა, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი კარგა ხანია 2.0-ს ჩამოსცილდა². ასეთია ევროპის ყველა ქვეყანა (ალბანეთის გარდა), ჩრდილოეთ ამერიკა, აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყანა, ავსტრალია და ახალი ზელანდია. ოთხი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკა, კარიბის აუზის ექვსი და აფრიკის სამი ქვეყანა. მსოფლიოს იმ ქვეყნების რიცხვი, რომელთაც თაობათა შეკვეცილი აღწარმოება ახასიათებთ, 1970_2002 წწ. პერიოდში 13-დან 66-მდე გაიზარდა. ა. ვიშნევსკი, ს. კაპიცა და სხვა დემოგრაფები რუსეთში მიმდინარე დემოგრაფიულ პროცესებს ასევე მიიჩნევენ მოსახლეობის აღწარმოების უახლეს “ცივილიზებულ ტიპზე” გადასვლის მსოფლიო ზოგად კანონზომიერებად. მათგან განსხვავებით, ი. გუნდარევი თვლის, რომ რუსეთის მაგალითზე არსებობს მრავალი ფაქტი, რომელიც არ ჯდება ამ ჰიპოთეზაში, კერძოდ, მოკვდაობა რუსეთში კი არ შემცირდა, გაიზარდა და მისი დონე მნიშვნელოვნად აღემატება განვითარებული ქვეყნების დონეს; მოკვდაობის ზრდის უმეტესი ნაწილი მოდის არა მოხუცებულთა, არამედ საშუალო და ახალგაზრდულ ასაკებზე. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი დასავლეთ ევროპულის და აშშ-ის ანალოგიურ მაჩვენებლებზე დაბალია. ი. გუნდარევი ასკვნის, რომ რუსეთში მიმდინარეობს არა ნორმალური დემოგრაფიული გადასვლა, არამედ დემოგრაფიული დეგრადაცია. ჩვენი აზრით კი არსებული დემოგრაფიული ვითარება, როგორც რუსეთსა და საქართველოში, ისე დსთ და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში უფრო შეესაბამება მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვედანი უახლეს ტიპზე გარდამავალ ტიპთაშორის პერიოდს, ე.ი. დამთავრდა მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპი, ხოლო უახლესი ტიპი ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია და, შესაბამისად, მიმდინარეობს მოსახლეობის აღწარმოების

² Иванов С. Новое лицо брака в развитых странах. Информационный бюллетень Центра демографии и экологии человека Института народнохозяйственного прогнозирования РАН, № 63, июнь, 2002, с. 525-526.

ტიპთაშორისი პერიოდი, რომელიც ცალკეულ ქვეყანაში შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა დროს და სხვადასხვა _ ფარული ან ღია ფორმით. ამ ასპექტში, მოსახლეობის აღწარმოების ტიპის არსიდან გამომდინარე³, თეორიულად არ არის მართებული დღემდე დამკვიდრებული ე. წ. მოსახლეობის აღწარმოების შუალედური ტიპი. უფრო მართებულია ტიპთაშორისი გარდამავალი პერიოდი. დემოგრაფიულ თეორიაში ცნობილია და დემოგრაფიულ ლექსიკონებში განმარტებულია, რომ მოსახლეობის აღწარმოების ტიპი არის “კატეგორია, რომელიც ასახავს მოსახლეობის აღწარმოების ყველაზე მნიშვნელოვან თვისებრივ მხარეებს მეტ-ნაკლებად მსგავს ისტორიულ, ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა პირობებში. მოსახლეობის აღწარმოების ტიპი მჭიდროდ არის დაკავშირებული მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმთან და განსაზღვრავს იმ საზღვრებს, რომელშიც შეიძლება იცვლებოდეს აღწარმოების პროცესის რაოდენობრივი მახასიათებლები...”, ხოლო მოსახლეობის აღწარმოების შუალედური ტიპი “წარმოიქმნება მოსახლეობის აღწარმოების ერთი ძირითადი ტიპის მეორეთი შეცვლის პერიოდში. იგი თავის თავში აერთიანებს როგორც წარმავალ, ასევე მომავალი ტიპებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. ძირითადი ტიპებისგან განსხვავებით, მოსახლეობის აღწარმოების შუალედური ტიპი მდგრადი არ არის და არ შეუძლია ხანგრძლივი დროის მანძილზე არსებობა”⁴.

მოყვანილი ციტატებიდან ნათელია, რომ მოსახლეობის აღწარმოების ერთი ძირითადი ტიპის მეორეთი შეცვლის პერიოდი არ შეიძლება განიხილოს, როგორც მოსახლეობის აღწარმოების ტიპი. გარდა იმისა, რომ ეს პერიოდი ტიპის ხანგრძლივობასთან შედარებით მნიშვნელოვნად მცირე დროით გრძელდება (დაახლოებით 20_25 წელი), ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის აღწარმოების ტიპისთვის დამახასიათებელ ძირითად კრიტერიუმებს. ამდენად, იგი უწინარესად წარმოგვიდგება, როგორც მოსახლეობის აღწარმოების ტიპთაშორისი გარდამავალი პერიოდი და არა როგორც აღწარმოების ტიპი⁵.

³ Народонаселение. Энциклопедический словарь. М., 1994, с. 691.

⁴ დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი (შემდგენელი გ. წულაძე), თბ., 2005, გვ. 184.

⁵ ა. სულაბერიძე, ვ. სულაბერიძე. მოსახლეობის აღწარმოების უახლესი ტიპის ფაზათაშორისი და ტიპთაშორისი გარდამავალი პერიოდის შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის შრომების კრებული: “დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები”, ტ. II, თბ., 2004, გვ. 69.

აღნიშნულის თაობაზე შეიძლება სხვა დემოგრაფებმაც გამოთქვას მოსაზრება, მაგრამ მოსახლეობის აღწარმოების ისტორიულ ტიპებს, მით უფრო ფაზებს შორის არსებული გარდამავალი პერიოდის შესახებ გამოქვეყნებული ნაშრომი ჯერჯერობით არ შეგვხვედრია. დემოგრაფიულ ენციკლოპედიაში კი, ამ უკანასკნელის თაობაზე საერთოდ არაფერია ნათქვამი. ამიტომ საჭიროდ მივიჩნიეთ ტიპთაშორის და ფაზათაშორის გარდამავალი პერიოდის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საკითხზე წარმოგვედგინა ჩვენი შეხედულება.

ქართველთა რიცხოვრივი რაოდენობა, როგორც ვხედავთ სამწუხაროდ მცირდება. არაერთი ევროპული კვლევითი ცენტრის გამოთვლით უკვე 2050 წლისათვის საქართველოში ახალგაზრდების მკვეთრი დეფიციტური დანაკლისის გამო წარმოიქმნება მნიშვნელოვანი პრობლემები. ქართველთა დეპოპულაცია - ყველაზე საშიში მოვლენა ერის ცხოვრებაში, შეცვლის საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურ სახეს⁶.

XIX ს. მეორე ნახევარში ევროპის ქვეყნებში ამოქმედდა მთავრობათა შესაბამისი დემოგრაფიული პოლიტიკა, რამაც თავისი დადებითი შედეგი გამოიღო. ამჟამად დეპოპულაცია აღინიშნება მსოფლიოს ოც ქვეყანაში, მათ შორისაა საქართველოც. დეპოპულაცია საქართველოში თავისი განსაკუთრებული ნიშნებით გამოირჩევა, კერძოდ საქართველოში დაბალი შობადობის გამო მცირდება არა ზოგადად მოსახლეობა, არამედ მასში მცირდება ქართველთა რაოდენობრივი წილი.

ქართველთა რაოდენობრივი კლება საქართველოს მოსახლეობაში გამოწვეულია იმით, რომ ქართველთა ჯგუფში შობადობის დონე უფრო დაბალია სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან შედარებით და მათში სიკვდილიანობა ჭარბობს შობადობას. დემოგრაფიულ მეცნიერებაში დადგენილია – მოსახლეობის მიღწეული რაოდენობა რომ არ შემცირდეს, საჭიროა 2,7 - 3 ბავშვის ყოლა. დაბალი შობადობის გამო ევროპის დიდ ქალაქებში (პარიზში, ლონდონში და სხვა) მკვიდრ ქალაქელთა რაოდენობა მკვეთრად შემცირდა და გაქრობის პირას მივიდა, ამ ქალაქების ზრდა მხოლოდ სხვა რეგიონებიდან შესულთა ხარჯზე ხდება.

მსგავს სურათს ხატავს საქართველოში ქართველთა რაოდენობრივი კლება,

⁶ მეუფე ანანია, საქართველოს დეპოპულაცია გვ. 241 <http://meufeanania.info/depopulacia-1/>

საქართველოს მოსახლეობა შეიძლება მხოლოდ არაქართველთა ხარჯზე გაიზარდოს. ანტონოვისა და სხვა მეცნიერთა თვალსაზრისით დეპოპულაცია შეიძლება რუსეთის ბედის განმსაზღვრელი იყოს XXI-საუკუნის პირველ ნახევარში, მით უფრო მძიმე შეიძლება იყოს ის საქართველოსათვის და შეიძლება ქართველი ხალხის ბედი XXI საუკუნეში კარდინალურად შეიცვალოს, რადგანაც მისი დეპოპულაციის დონე რუსებისას აჭარბებს.

საქართველოში ქართველთა რაოდენობა უფრო სწრაფად მცირდება, ვიდრე რუსეთში რუსებისა. ვარაუდობენ, რომ 2050 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა შემცირდება ერთ მილიონით, უფრო ზუსტად კი ერთი მილიონ ას სამოცდაათი ათასი კაცით. ამიერკავკასიაში და საერთოდ კავკასიაში კი დემოგრაფიული ბალანსი დაირღვევა ქართველთა ხარჯზე. 1926 წლის მონაცემებით კავკასიაში ყოველი მესამე ადამიანი იყო ქართველი, ამჟამად მხოლოდ ყოველი მეცხრამეტე არის ქართველი. გაეროს მონაცემებით, როგორც აღინიშნა, 2050 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა მკვეთრად შემცირდება, მაგრამ გაიზრდება სომხეთის მოსახლეობა, განსაკუთრებით გაიზრდება აზერბაიჯანის მოსახლეობა, 9 მილიონიდან 11 მილიონამდე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XIX საუკუნეში ქართველთა რიცხვი 5-ჯერ გაიზარდა. XX საუკუნეში მისი რაოდენობა გაორმაგდა და “1989 წლის აღწერის შედეგად საქართველოში მუდმივი მოსახლეობის რაოდენობამ შეადგინა 5400 ათასი ადამიანი, 2002 წლის აღწერამ მხოლოდ 4372 ათასი ადამიანი დააფიქსირა, ამ 13 წლის განმავლობაში ქვეყნის მოსახლეობა 1029 ათასი ადამიანით შემცირდა. 1989 წლის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობის ყოველწლიური საშუალო ზრდის ტემპი შეადგენდა 40,8 ათასს კაცს, ანუ უხეში გაანგარიშებით საქართველოს მოსახლეობა 13 წლის განმავლობაში უნდა გაზრდილიყო 530 ათასი კაცით, მაშინ 2002 წლისათვის საერთო რაოდენობა იქნებოდა 5 930 ათასი კაცი და არა 4372 ათასი; ჰიპოთეტიკური გათვლებით, საქართველოს მოსახლეობა შემცირდა არა 1029 ათასი, არამედ 1559 ათასი ადამიანით, ანუ 1989-2002 20 წლებში საქართველოს მოსახლეობის ყოველწლიური დემოგრაფიული დანაკარგი 120 ათასი კაცი იყო. რადგანაც 1989-2002 წლებში საქართველოში დაეცა შობადობის ზოგადი კოეფიციენტი

(16,8%-დან 10,7%-მდე)⁷, გაიზარდა მოკვდაობის კოეფიციენტი (9,2%-დან 10,7%-მდე)” და გარე მიგრაციულ ნაკადთა ინტენსივობა, ამან საგრძნობლად შეამცირა მოსახლეობის ყოველწლიური საშუალო ზრდის ტემპი. 2002 წელს შობადობისა და სიკვდილიანობის კოეფიციენტების სხვაობის შედეგად მიღებული ბუნებრივი მატების კოეფიციენტმა 0% შეადგინა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს მოსახლეობა აღარ იზრდება და მიმდინარეობს დეპოპულაციის პროცესი, ამას ემატება გარე მიგრაციის უარყოფითი სალდოც. 1926 წელს საქართველოს მოსახლეობა სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის 45,5% შეადგენდა. ამჟამად შეადგენს 26,5%, აზერბაიჯანისა არის 53,9%, მკვეთრად გაიზრდება აზერბაიჯანელთა რაოდენობა გაეროს მონაცემებითაც, ის საქართველოში მილიონს გადააჭარბებს და 2050 წლისათვის თითქმის გაუტოლდება ქართველთა რაოდენობას⁸.


ქვემოთ მოტანილ დიაგრამაზე (1) წარმოდგენილია დემოგრაფიული გადასვლა საქართველოში ფაზების მიხედვით ისე, როგორც ის გამომდინარეობს სადღეისოდ არსებული დემოგრაფიული გადასვლის კლასიკური მოდელიდან.

მსოფლიოს არაერთი ქვეყანა დგას დემოგრაფიული პრობლემის და ამ პრობლემებით გამოწვეული შედეგების საფრთხის წინაშე. გაეროს მონაცემებით, საქართველო მსოფლიოს იმ 20 ქვეყანას შორისაა, სადაც მოსახლეობის დეპოპულაცია მიმდინარეობს. შობადობის მიხედვით კი საქართველო მსოფლიოს 196 ქვეყნიდან 164-ე ადგილზეა. ფერტილობის კოეფიციენტი, რომელიც შვილოსნობის უნარის მქონე ერთი ქალის მიერ (15-49 წლის) სიცოცხლის განმავლობაში დაბადებული ბავშვების საშუალო რაოდენობას გულისხმობს 1,4 – 1,7-ის ფარგლებშია, მაშინ, როცა მოსახლეობის განვითარებისა და თაობათა აღდგენისათვის, ეს კოეფიციენტი მინიმუმ 2-ის ტოლი უნდა იყოს.

⁷ მაია შამუგია საქართველოში მიმდინარე მოსახლეობის მიგრაციული პროცესები მსოფლიო გლობალიზაციის ფონზე//კრებული მიგრაციული პროცესები თანამედროვე გლობალიზებად მსოფლიოში თსუ, თბ. 2005 გვ.20-21

⁸ მეუფე ანანია, საქართველოს დეპოპულაცია გვ. 251-257 <http://meufeanania.info/depopulacia-1/>

დიაგრამა 1. დემოგრაფიული გადასვლა საქართველოში გაეროს მონაცემების საფუძველზე (1950-2050 წწ.)



დიაგრამაზე შობადობა და მოკვდაობა მოტანილია გაეროს მონაცემებით.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქართველოში შვილების თაობა მათი მშობლების თაობის დაახლოებით 70-80%-ს განაახლებს. ამავე მონაცემებით, მსოფლიოში მხოლოდ 14 ქვეყანა ასეთი დაბალი მაჩვენებლით.

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტმა („საქსტატმა“) 2011 წლის 1 იანვარს გამოაქვეყნა 2010 წლის დემოგრაფიული მონაცემები. ამ სტატისტიკის მიხედვით, გასულ წელს მოსახლეობის მზარდი ტენდენცია დაფიქსირდა: ქალაქებში 2 350 500 კაცი, ხოლო სოფლად – 2 085 500 კაცი. საქართველოს მთლიანმა მოსახლეობამ კი 2010 წელს 4 436 400 კაცი შეადგინა, რაც 51 000-ით მეტია 2009 წლის მონაცემებთან შედარებით (4 385 400). საჯარო რეესტრის მონაცემებს თუ დავეყრდნობით, გაიზარდა შობადობაც – 64 000 ცოცხლად დაბადებული ბავშვი, რაც დაახლოებით 1 000 ბავშვით მეტია 2009 წლის მონაცემებთან შედარებით.

დემოგრაფიული თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველო სპეციფიკურობით ხასიათდება. იგი ეკონომიკურად განვითარებადი, დემოგრაფიული თვალსაზრისით კი, განვითარებულ ქვეყანათა შორისაა. როგორც დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე პროფესორი გიორგი

წულაძე აღნიშნავს, დემოგრაფიული განვითარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად განსხვავდებიან განვითარებული და ნაკლებად განვითარებული ქვეყნები. განვითარებული ქვეყნების შობადობის დონე თითქმის 2-ჯერ ნაკლებია განვითარებად ქვეყნებთან შედარებით და ვერ უზრუნველყოფს თაობათა განახლებას. ჯანდაცვის სისტემის უფრო სრულყოფილი მდგომარეობის მიუხედავად კი დემოგრაფიული დაბერების მაღალი დონის გამო, განვითარებულ ქვეყნებში მოკვდაობის საერთო მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში. რაც შეეხება მიგრაციას, რომელიც დემოგრაფიული მდგომარეობის განსაზღვრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, განვითარებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელია გარე მიგრაციის დადებითი სალდო (როცა შემოსულთა რაოდენობა მეტია ქვეყნიდან გასული მოსახლეობის რაოდენობაზე გარკვეულ პერიოდში), ხოლო ნაკლებად განვითარებულისათვის – უარყოფითი (როცა გასული მოსახლეობა ჭარბობს დაბრუნებულს). შეიძლება ითქვას, რომ განვითარებული ქვეყნებისათვის გარე მიგრაცია დაბალი ბუნებრივი მატების გარკვეულ კომპენსაციას იძლევა.

მსოფლიოს ზოგადი დემოგრაფიული ვითარებასთან შედარებით, საქართველოში განსხვავებული მდგომარეობა ჩამოყალიბდა. შობადობის, მოკვდაობისა და მოსახლეობის აღწარმოების თვალსაზრისით, საქართველო განვითარებული ქვეყნების მსგავსია, ხოლო გარე მიგრაციის თვალსაზრისით – ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისა, რაც კიდევ უფრო ძაბავს შექმნილ დემოგრაფიულ ვითარებას.

. 2.1. გამომწვევი მიზეზები

ერთ-ერთ ასევე მნიშვნელოვან ფაქტორად სქესთა შორის დარღვეულ თანაფარდობა სახელდება. დღეს საქართველოს მოსახლეობის 53% ქალია, 47% კი – მამაკაცი. შობადობის მიხედვით კი ცოცხლად დაბადებულებიდან 100 გოგოზე 115 ბიჭი მოდის, თუმცა აქ

ადგილი აქვს სტატისტიკურ არტეფაქტს – ცოცხლად დაბადებული ბიჭების უმეტესობა რეპროდუქციულ ასაკს ვერ აღწევს. გამომდინარე აქედან, ჩვენს ქვეყანაში მაღალია ნაადრევად გარდაცვლილთა რაოდენობაც და სიცოცხლის ხანგრძლივობა სტატისტიკის განიცდის – ქალთა შორის საშუალო ასაკი არის 75, მამაკაცთა შორის კი – 68 წელი; რაც შეეხება სიკვდილიანობის მაღალი დონის გამომწვევ მიზეზებს, პირველ-მეორე ადგილს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, იკავებს გულ-სისხლძარღვთა (ბოლო მონაცემებით, წელიწადში 25 700 კაცი) და სიმსივნური დაავადებები (ბოლო მონაცემების მიხედვით წელიწადში 5039 კაცი).

შობადობის და შესაბამისად მოსახლეობის გაზრდას მნიშვნელოვნად აფერხებს აბორტების დიდი რაოდენობა ქვეყანაში.

2.2. პროგნოზები და საფრთხეები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემათა განყოფილებამ სათანადო კვლევების შემდეგ, მიმდინარე წლის დასაწყისში გამოაქვეყნა 2050 წლამდე პერიოდისათვის მსოფლიოში დემოგრაფიული სიტუაციის ახალი პროგნოზი.

გაეროს კვლევის მიხედვით თუ საქართველოში დემოგრაფიული პოლიტიკა და სტრატეგიები არ შეიცვალა, მომავალი დემოგრაფიული პერსპექტივა ასეთია – თუ დღეს ჩვენი მოსახლეობა 4 436 400 კაცია, 2025 წლისათვის – 3,917 მლნ.-მდე, ხოლო 2050 წლისათვის – 2,985 მლნ.-მდე შემცირდება⁹.

რეალურად, დეპოპულაციური პროცესი საქართველოში დღეს არ დაწყებულა და იგი უკვე 15 წელზე მეტია მიმდინარეობს; ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველო კარგა ხანია “დემოგრაფიულად დაბერებულ” ქვეყანას მიეკუთვნება (დღეისთვის ქვეყნის საერთო მოსახლეობაში 65 წელს გადაცილებულთა რაოდენობა 13%-ს აღემატება, გაეროს

⁹ ქეთევან ნადიბაიძე, საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა დღეს.
<https://qilipa.wordpress.com/2011/05/30/%E1>

კლასიფიკაციით კი დაბერების მინიმალური ზღვარი 7%-ია.), ახლო მომავალში მოკვდაობა კიდევ უფრო მეტად გადააჭარბებს შობადობას და დეპოპულაციის პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდება.

დეპოპულაცია კი, მრავალრიცხოვან ერებთან შედარებით, მცირერიცხოვანი ერისათვის ბევრად უფრო საშიში და დამღუპველია. მისი ზრდის ტენდენცია, თუნდაც, მინიმუმ 2 დემოგრაფიული თაობის (საქართველოსთვის – თაობა – 28 წელი) მანძილზე გაგრძელების შემთხვევაში, მცირერიცხოვან ერს “გაქრობას”, “უკეთეს” შემთხვევაში კი სხვა ერთან ასიმილირებას უქადის. ასეთი ხვედრი წინა საუკუნეებში ბევრ სახელოვან ერს უკვე ხვდა, თუნდაც ალბანებს და უბიხებს, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვებზე. საქმე ისაა, რომ ინტენსიური ემიგრაციის და დეპოპულაციის პირობებში, საქართველოს სხვა სახის უსაფრთხოების გვერდით, ერთობ მწვავედ დგას ქვეყნის დემოგრაფიული უსაფრთხოება.

ეს პრობლემა საქართველოზე ბევრად უფრო მრავალრიცხოვანმა, რუსმა ერმა წამოიწია წინ. ამ მიზნით, ცნობილი დემოგრაფისა და სოციოლოგის, პროფ. ა. ანტონოვის მეცადინეობით, დაფუძნდა დეპოპულაციასთან ბრძოლის ლიგა, ხოლო პრეზიდენტის აპარატში შეიქმნა დემოგრაფთა სახელმწიფო კომისია, რომლის რეკომენდაციებს ქვეყნის მთავრობა ითვალისწინებს. ამის შედეგია ბოლო წლებში რუსეთში სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის ცალკეულ ღონისძიებათა აქტიურად გატარება. ეს მომენტი მით უფრო საგულისხმოა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ 1990_2005 წწ. მოსახლეობა თითქმის 16,0%-ით შემცირდა, ხოლო რუსეთში კი მხოლოდ 1,5%-ით. საქართველოს მოსახლეობის საშუალო წლიური ზრდის ტემპი 1965 წლიდან 1,0%-ზე დაბალია, მაშინ, როდესაც ანალოგიური მაჩვენებელი თურქეთში 2,0%-ს მხოლოდ 1990-იან წლებში ჩამოსცილდა და დღეისთვის 1,5%-ის ფარგლებშია. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ დღეისთვის, საქართველოსთან შედარებით, მოსახლეობის საშუალო წლიური ზრდის მაღალი ტემპი გააჩნია აზერბაიჯანს, ჩვენს გეოპოლიტიკურ არეალში მუსულმანური რელიგიის მქონე მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდა გასაკვირი აღარ უნდა იყოს. მეზობელ ქვეყნებთან (ერებთან) მიმართებაში, საქართველოს დემოგრაფიული პოტენციალის შემცირებაზე მეტყველებს ის, რომ თურქეთში 20 წლის

შემდეგ, დღევანდელთან შედარებით, კიდევ 10%-ით მეტი გოგონა შევა დედის ასაკში, მაშინ, როცა საქართველოში 20 წლის შემდეგ არსებულთან შედარებით დაახლოებით 30%-ით ნაკლები დედაა მოსალოდნელი, ანუ, თურქეთთან შედარებით, საქართველოს დემოგრაფიული პოტენციალი მინიმუმ 40%-ით დაბალია.

2.3. რეპროდუქციული ქცევა საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში

ქვეყნის დემოგრაფიულ უსაფრთხოებაში არსებით როლს მოსახლეობის რეპროდუქციული ქცევა თამაშობს, სადაც გადამწყვეტად ბავშვთა ყოლის მოთხოვნილება გვევლინება. ქართველებში ამ უკანასკნელმა, ჯერ კიდევ 1970-იან წლებში დაუთმო ადგილი სხვა სოციალურ-ეკონომიკურ და ყოფით მოთხოვნილებებს და მკვეთრად დაეცა, რის შედეგადაც ოჯახში მრავალშვილ-ლიანობა (5 და მეტი შვილი), ჯერ საშუალოშვილიანობით (3_4 შვილი), 16 ხოლო შემდეგ, მცირეშვილიანობით (1_2 შვილი) შეიცვალა. აღნიშნულის შედეგად, დღეისთვის, საქართველოსთან შედარებით, აზერბაიჯანში დაბადებულ ბავშვთა საერთო რაოდენობაში მეოთხე და მეხუთე ბავშვთა წილი თითქმის 2-ჯერ, ხოლო სომხეთში 1,5-ჯერ მეტია. თუ აზერბაიჯანულ და სომხურ ოჯახებში მხოლოდ 1990-იანი წლების შუა ხანებიდან დაიწყო საშუალოშვილიანობაზე გადასვლა, ამ დროისათვის ქართულ, აფხაზურ და ოსურ ოჯახებში ფაქტობრივად უკვე მცირეშვილიანობა იყო ფორმირებული. მართალია, დემოგრაფიული განვითარების კანონზომიერებათა კვალობაზე, ჩვენი მეზობელი ქვეყნების მოსახლეობის დემოგრაფიულ ქცევაშიც მიმდინარეობს არსებითი ცვლილებები, მაგრამ ქართველთა დემოგრაფიული უსაფრთხოების თვალსაზრისით, ეს მაინც და მაინც დიდ ნუგეშს არ იძლევა. ვერც ის, რომ 1980 წელთან შედარებით, 2005 წლისთვის აზერბაიჯანში დაბადებულთა საერთო რაოდენობაში 6-ჯერ შემცირდა მეხუთე და შემდგომი რიგითობის ბავშვთა წილი ან თუნდაც ის, რომ, საქართველოს მსგავსად,

სომხეთშიც და აზერბაიჯანშიც დაბადებულთა საერთო რაოდენობაში თითქმის თანაბარია მეორე ბავშვის წილი (30%-ის ფარგლებში), ჩვენთვის “დემოგრაფიულ ამინდს” ვერ ქმნის. საქმე ისაა, რომ ამ ქვეყნების შობადობის სტრუქტურათა შედარებისას ირკვევა, რომ, თუ საქართველოში მესამე და შემდგომი ბავშვის შემცირების ფონზე იზრდება მხოლოდ ერთ და ორშვილიან ოჯახთა რაოდენობა, მისგან განსხვავებით, აზერბაიჯანსა და სომხეთში მეხუთე და შემდგომი ბავშვის შემცირების სანაცვლოდ, გაიზარდა 3 და 4 ბავშვიან ოჯახთა რაოდენობა. ამასთან, საქართველოში მესამე და შემდგომი ბავშვის წილი უკვე 1995 წლიდან ჩამოსცილდა 15%-ს, რომ აღარაფერი ვთქვათ მარტივი აღწარმოებისთვის აუცილებელ 30-35%-ზე. ამასთან, 2003 წლიდან დაბადებულთა საერთო რაოდენობაში მხოლოდ მესამე ბავშვის წილი ჩამოსცილდა 10%-ს და შედეგად პირველ და მეორე ბავშვთა წილმა 88%-ს გადააჭარბა. პრობლემას კიდევ უფრო ამძაფრებს ის, რომ ორბავშვიან სტრუქტურაში პირველმა ბავშვმა 2003 წლისთვის 62%-ს გადააჭარბა, ანუ, პრაქტიკულად ოჯახში მეორე ბავშვსაც “ვკარგავთ”, მესამე კი კარგა ხანია “დავკარგეთ”. ოჯახი, ძის შეძენის შემთხვევაში მეორე შვილის გაჩენაზე ხშირად თავს იკავებს და მის ყოლაზე უკეთესი მერმისისთვის ფიქრობს, რაც ზრდის შვილთა შორის პროტოგენეტიკურ ინტერვალს და ამ პერიოდში, უმეტეს შემთხვევაში, მეორე შვილზე უარს ამბობს. მხოლოდ გოგოს დაბადებისას მცირდება მეუღლეთა შორის პროტოგენეტიკური ინტერვალი და ძის ყოლის იმედად აჩენს მეორე შვილს. ასეთი კონტრასტული დემოგრაფიული ქცევის პირობებში, რაღა გასაკვირია სამხრეთ კავკასიის საერთო მოსახლეობაში ქართველთა რაოდენობის შემცირება. ეს ნათლად ჩანს მოყვანილ ცხრილში, რომლის ანალიზი და კომენტარი მკითხველისთვის მიგვინდია. საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების მიზნით, აუცილებელია გავითვალისწინოთ სხვა დემოგრაფიული მაჩვენებლებიც. კერძოდ, მეზობელ ქვეყნებთან შედარებით: _ საქართველოს მოკვდაობის შედარებით მაღალი დონე და მისი ზრდის პერსპექტივა; _ გარდაცვლილთა სტრუქტურაში მაღალი ინტენსივობით ხასიათდება 65 წლამდე ასაკის მოსახლეობა, განსაკუთრებით საგანგაშოა ჩვილთა და რეპროდუქციული ასაკის მოსახლეობის მოკვდაობის მაჩვენებლები. ჩვენთან ყოველ 1000 დაბადებულ ბავშვზე, 1 წლის ასაკის მიღწევამდე 25 ბავშვი კვდება, რაც განვითარებული ქვეყნების

ანალოგიურ მაჩვენებელს 6-ჯერ აღემატება; – 2010_2020 წლებში, დღევანდელთან შედარებით, დემოგრაფიული ტალღის გამო კიდევ უფრო გაუარესდება ქართველთა დემოგრაფიული პოტენციალი, რამდენადაც ამ დროისთვის ფერტილურ ასაკში შევა 1990-იან წლებში დაბალი შობადობის გამო, დღევანდელთან შედარებით უფრო მცირერიცხოვანი თაობა¹⁰.

3. დეპოპულაციის დონე ევროპასა და მეზობელ ქვეყნებში

მსოფლიოს მოსახლეობის დინამიკა მთლიანად დაკავშირებულია მოსახლეობის ბუნებრივმატებაზე. ზოგადად მოსახლეობის ბუნებრივი მატება არის შობადობისა და სიკვდილიანობის კოეფიციენტებს შორის სხვაობა, რომელსაც ანგარიშობენ ყოველ 1000 კაცზე და გამოსახავენ პრომილებით. მსოფლიოში 2012 წლისათვის შობადობა შეადგენდა 19,14 პრომილეს, ხოლო სიკვდილიანობა -7,99 პრომილეს, შესაბამისად, ბუნებრივი მატება 11,15 პრომილეა, ანუ მსოფლიოს ყოველ 1000 კაცზე ბუნებრივი მატება შეადგენს 11,15 კაცს. მსოფლიოს მასშტაბით ყოველ ერთ წამში იბადება 4,6, ხოლო კვდება 2,5 ადამიანი.

ბუნებრივმატებაზე ბევრი ფაქტორი ახდენს გავლენას, მათ შორის უმთავრესია სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, ცხოვრების დონე, ურბანიზაციის დონე, რელიგიური კუთვნილება და სხვა. აქედან გამომდინარე, ქვეყნები ბუნებრივი მატების მიხედვით ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავდებიან. შესაბამისად განასხვავებენ მოსახლეობის ბუნებრივი მატების, ანუ აღწარმოების სამ ტიპს: გაფართოებულ, მარტივსა და შეზღუდულს. გაფართოებული აღწარმოების ტიპი დამახასიათებელია აფრიკის და აზიის

¹⁰ ა. სულაბერიძე, ფიქრები ქართულ ოჯახსა და დემოგრაფიაზე. თბილისი, 2007, გვ. 14-18

ქვეყნებისათვის. მათ შორის ყველაზე მაღალია უგანდაში - 34,2, მალში - 32,7, ნიგერიაში - 25,8, ავღანეთში - 24,8 და სხვა ქვეყნებში. ბუნებრივი მატების შეზღუდული ტიპი დამახასიათებელია ძირითადად ევროპის ქვეყნებისათვის, სადაც საშუალოდ 1-2 პრომილეა, ხოლო ცალკეულ ქვეყანაში (გერმანიაში, შვეიცარიაში, ავსტრიაში, რუსეთში, იტალიაში, ბალტიის ქვეყნებში) დამახასიათებელია „დეპოპულაცია“, ანუ უფრო მეტი კვდება, ვიდრე იზადება. საქართველოში ბუნებრივი მატება 2011 წლისათვის იყო 1,8 პრომილე.

რუს მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ოჯახური პოლიტიკის გარეშე რუსეთი როგორც ქვეყანა მოკვდება. ა. ანტონოვის კვლევით 1920-იან წლებში ამერიკის მოსახელობაში 80 პროცენტი იყო თეთრკანიანი, ამჟამად კი მხოლოდ 50 პროცენტია. ამერიკის მოსახლეობის ზრდა ხდება, მაგრამ მასში რაოდენობრივი წილი თეთრკანიანებისა მცირდება. მსგავსია ვითარება რუსეთში, აქ, ა. ანტონოვის სიტყვით, ყოველწლიურად კვდება ერთ მილიონი რუსი ეროვნების ადამიანი, უფრო მეტი ვიდრე იზადება. მოსკოვში ყოველწლიურად ასი ათასი რუსი ეროვნების ადამიანი კვდება, რომლის ადგილს იჭერს არარუსი. ამავე დროს ერთ შვილიანი ოჯახი თავის შვილს ნებას არ აძლევს იმუშაოს მძიმე სამუშაოზე. მის ადგილს იჭერს დედაქალაქებში შემოსული სტუმარი. ყოველივე ამის გამო, ა. ანტონოვის სიტყვით, შემოსულებისა და ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობრივი შემცირება ქმნის დისბალანსს, რომელიც თავის თავში მალავს აფეთქებასაშიმ ერთა შორის ნაციონალურ კონფლიქტს. ანტონოვისა და ბესტუჟევ-ლადას თვალსაზრისით დეპოპულაციის პრობლემის გადასაჭრელად მრავალი პროგრამის ამოქმედებაა საჭირო, მათ შორის სულ მცირეა - გაეწიოთ დახმარება ახალგაზრდებს 20-წლის ასაკში, რათა მათ შექმნან სამ-ოთხ ბავშვიანი ოჯახი, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება ბინით და მრავალი სოციალური შეღავათით, ასევე საჭიროდ მიაჩნიათ შეიქმნას საგანგებო სოციალური კლასი დედადიასახლისებისა, შესაბამისი ბავშვების რაოდენობით, რომელთაც მოემსახურებიან დაქირავებული მუშაკები და ექნებათ ყოველგვარი სოციალური უზრუნველყოფა, მსოფლიომ იცის რუსული მამტაბები და რუსეთი შეძლებს საგანგებო სახელმწიფო და სახალხო პროექტების ამუშავებას ამ პრობლემის გადასაჭრელად, მაგრამ რა ეშველება საქართველოს? მეცნიერი ლ. ფოკევა თავის სტატიაში “შეხედულებათა სისტემა

მოსახლეობის დეპოპულაციის პრობლემების შესახებ” მსოფლიოს იმ ქვეყნებს, რომლებიც დეპოპულაციას განიცდიან ჰყოფს ხუთ კატეგორიად და ფაზებად, მისი კვლევით დეპოპულაციის ღრმა პროცესში არიან შემდეგი ქვეყნები ევროპისა - გერმანია, ლატვია, ესტონეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, რუმინეთი, უკრაინა, რუსეთი და იტალია.

დეპოპულაციის კიდევ უფრო ღრმა ფაზაში იმყოფებიან ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა – დიდი ბრიტანეთი, დანია, შვეცია, ავსტრია, ბელგია, ესპანეთი, სლოვაკეთი, საქართველო და იაპონია. ამ ქვეყნებში დემოგრაფიული სიტუაცია ხასიათდება, როგორც დეპოპულაციის ლატენტური სტადია ანუ სტაგნაციის პერიოდი. დეპოპულაციის საკითხს რუსეთში იხილავენ ძალზე აქტიურად. ამ ქვეყნებში ყოველწლიურად ტარდება კონფერენციები, რომელიც ეძღვნება დეპოპულაციასა და ასაკობრივ დისპროპორციას. მეცნიერები, პოლიტიკოსები და რელიგიური მოღვაწეები გამოთქვამენ წუხილს და აფრთხილებენ საზოგადოებას, რომ საჭიროა აუცილებელი ზომების მიღება ნეგატიური პროცესების აღმოსაფხვრელად. საჭიროა განხილვა საკითხისა, რომ ახალგაზრდობა სულ უფრო ნაკლებად აძლევს სიცოცხლეს ახალ თაობას. მათ არა აქეთ სამუშაო, არ იციან რა აკეთონ და მხოლოდ იმაზე ოცნებობენ, რომ ქვეყანა დატოვონ, უბედურია ის ქვეყანა, სადაც ხალხს აღარ სურს შთამომავლობის ყოლა, რომლისაგანაც გარბიან პირველი შემთხვევისთანავე. ბალკანეთის ქვეყნებში დემოგრაფიულ პრობლემას ეძახიან “თეთრ ჭირს”, შავი ზღვიდან ადრიატიკის ზღვამდე მდებარე ქვეყნებში მოსახლეობის რაოდენობა მცირდება და როგორც იქ წერენ, ეს ქვეყნები “ვარდებიან დემოგრაფიულ ორმოში” ამ ქვეყნების რიცხვს უნდა მიემატოს საქართველოც. დეპოპულაციის გამო 50 წლის შემდეგ საქართველო სულ სხვა ქვეყანა იქნება. აქ მკვეთრად შემცირდება ქართველთა რიცხვი და ზოგადად მკვიდრი მოსახლეობა. ვაშინგტონის ვილსონის ცენტრის გამოცემა აღნიშნავს, რომ რუსეთში მოსახლეობის შემცირებას აღრმავებს მამაკაცების ჰიპერსიკვდილიანობა და ამის შედეგად შრომისუნარიანი მოქალაქეების ყოველწლიური მკვეთრი კლება. რუსეთში მოსახლეობა 143000000-დან 2030 წლისათვის დაიკლებს 115000000-მდე ამით შეშფოთებული კვლევითი ცენტრი წერს, რომ მსოფლიო შესაძლოა რუსეთის გაქრობის მოწმე გახდეს. თუკი რუსეთის გაქრობად მიიჩნევა ამ

ქვეყანაში 115000000-მდე მოსახლეობის შემცირება, მაშინ რაღა უნდა ვთქვათ საქართველოზე, რომლის ისედაც მცირე მოსახლეობა თითქმის მილიონ ნახევრით დაიკლებს. ამის გამო შესაძლოა ამჟამინდელი თაობა საქართველოს გაქრობის მოწმე გახდეს. ეს პროცესი იწოდება როგორც სიცოცხლის მასობრივი განლევა, ამ პრობლემით დაინტერესებულმა ჯგუფმა შეადგინა საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკის კონცეფციის წინასწარი ვარიანტი, მასში აღნიშნულია რომ 1259 წლის აღწერით საქართველოს მოსახლეობა 8000000 კაცს შეადგენდა, 1770 წლის აღწერით ის შემცირდა და გახდა 761000 კაცი. კავკასიაში რუსების შემოსვლის წინ, 1800 წლის აღწერით, საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 675000 კაცს, მაგრამ იმჟამად ეს არ იყო მცირე რაოდენობა, რადგანაც კავკასიის მოსახლეობა ზოგადად მცირე იყო, მათ ზოგად რიცხვში ქართველების რაოდენობა ძალზე ჭარბობდა, 1800 წლისათვის სამხრეთ კავკასიაში ყოველი მეორე მცხოვრები ქართველი იყო და ის სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის 44% შეადგენდა. დეპოპულაცია შეინიშნება რუსეთში, სარ-ში, იტალიაში, იაპონიაში, აღმოსავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში, საქართველოში.

დეპოპულაციის საფრთხის წინაშეა ფინეთი, ისლანდია, საბერძნეთი, კუბა, ურუგვაი¹¹. ქვეყნების დემოგრაფიულ მდგომარეობაზე პირდაპირ მოქმედებს მათი ეკონომიკური განვითარების დონე. განვითარებულ ქვეყნებში მაღალ დონეზეა ჯანდაცვა, ქალები მეტად აქტიურად არიან ჩაბმულნი სხვადასხვა საქმიანობაში და სხვ., რის გამოც ამ ქვეყნებში შობადობის მაჩვენებელი დაბალია. 4. რელიგია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ვატიკანი, ისლამური ქვეყნები.


რუსეთის მოსახლეობის რიცხოვნობა 1992-დან 2007 წლის ჩათვლით პერიოდში 6,3 მლნ. კაცით, ანუ 4,2%-ით შემცირდა. საკვლევ პერიოდში საშუალოდ ყოველწლიურად მოსახლეობის რიცხოვნობის კლება 370 ათას კაცს შეადგენდა. მოსახლეობის მთელ რიცხოვნობაში შემცირების უფრო სწრაფი ტემპები ქალაქის მოსახლეობის რიცხოვნობაში შეიმჩნევა (მოსახლეობის რიცხოვნობის კლებამ საკვლევ პერიოდში 5,6 მლნ. კაცი, ანუ 5,1% შეადგინა), სოფლის მცხოვრებთა რიცხოვნობის კლების ტემპებთან შედარებით. 2007

¹¹ Гундарев И.А. Демографическая катастрофа в России: причины, механизм, пути преодоления. М., 2001, с. 205.

წლისთვის სოფლები 714 ათასი კაცი (ანუ 1,8%-ით) შემცირდნენ და 38,4 მლნ. კაცი შეადგინეს.

ნახ. 3.1.

რუსეთის მოსახლეობის რიცხოვნობა 1992-დან 2008 წლამდე, წლის დასაწყისში, მლნ. კაცი. როსსტატის მონაცემებით.



მოსახლეობის რიცხოვნობის კლების პროცესი შეიძლება რამდენიმე დონეზე იქნეს განხილული, რომელთა შორისაც გამოიყოფა:

გლობალური (დედამიწა მთლიანად და მისი ცალკეული კონტინენტები);

საერთაშორისო (მსოფლიოს ქვეყნები);

რეგიონული (მსოფლიოს ქვეყნების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები);

ლოკალური (ცალკეული ქალაქები, საქალაქო და სასოფლო დასახლებული პუნქტები).

მოსახლეობის დეპოპულაციის სახესხვაობების კლასიფიკაციის მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი ნიშნები:

1) გამოვლენის ფორმაზე დამოკიდებულების მიხედვით:

ა) ერთჯერადი (დინამიკის განსახილველ მწკრივში მცხოვრებთა რიცხოვნობის კლება შეიმჩნეოდა მხოლოდ ერთხელ),

ბ) არაერთჯერადი (დინამიკის განსახილველ მწკრივში მოსახლეობის რიცხოვნობის კლება შეიმჩნეოდა რამდენჯერმე)

გ) მთლიანი (დინამიკის განსახილველ მწკრივში შეიმჩნეოდა მცხოვრებთა რიცხოვნობის გამუდმებული კლება);

2) ხასიათზე დამოკიდებულების მიხედვით:

ა) მდგრადი (დინამიკის განსახილველ მწკრივში, დაწყებული გარკვეული დონიდან, გამუდმებით შეიმჩნეოდა მცხოვრებთა რიცხოვნობის კლება),

ბ) წყვეტილი (დინამიკის განსახილველ მწკრივში მცხოვრებთა რიცხოვნობის კლება ნებისმიერ თავისუფალ თანამიმდევრობაში მონაცვლეობდა ადამიანური საზოგადოების რაოდენობრივი ზომების შენარჩუნებასთან ან გადიდებასთან);

3) ხანგრძლივობაზე დამოკიდებულებით:

ა) მომენტური (1_2 წელი),

ბ) მოკლევადიანი (3_5 წელი),

გ) საშუალოვადიანი (6_9 წელი),

დ) გრძელვადიანი (10 და მეტი წელი);

4) ტიპზე დამოკიდებულების მიხედვით:

ა) თანაბარი (მცხოვრებთა რიცხოვნობის კლების მუდმივი ინტენსივობის შენარჩუნება),

ბ) მზარდი (მცხოვრებთა რიცხოვნობის კლების ინტენსივობის გადიდება),

გ) კლებადი (მცხოვრებთა რიცხოვნობის კლების ინტენსივობის შემცირება).

მოსახლეობის დეპოპულაციის როგორც დემოგრაფიული სტატისტიკის ობიექტის თავისებურებებს პრაქტიკულად ყოველთვის მისი შეზღუდული ხასიათი (დედამიწის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ რუკაზე არცთუ ყოველ-თვის საყოველთაო და მასობრივი გავრცელება) და შედარებით ხანგრძლივი დინამიკური მწკრივების, _რომლებიც საშუალებას მოგვცემდა განგვეხორცი-ელებია ადამიანთა საზოგადოების წევრთა

რიცხოვნობის შემცირებასთან დაკავშირებული დემოგრაფიული პროცესის კლასიკური სტატისტიკური გამოკვლევა, _ არქონა წარმოადგენს.

დეპოპულაციური პროცესის გამოკვლევაში დემოგრაფიული სტატისტიკის უმნიშვნელოვანეს ამოცანებს შორის საჭიროა გამოვყოთ: ზომის დახასიათება; სტრუქტურისა და დინამიკის შეფასება; განვითარების ფაქტორების მოდელირება; მოსახლეობის დეპოპულაციის მასშტაბებისა და შედეგების პროგნოზირება.

დეპოპულაციური პროცესის განვითარების რაოდენობრივი დახასიათებისთვის ყველაზე ხშირად გამოიყენება ორი მაჩვენებელი:

1) დეპოპულაციის ზომა _ დროის განსაზღვრულ პერიოდში მოსახლეობის რიცხოვნობის კლების აბსოლუტური სიდიდე (პერიოდის ბოლოს და პერიოდის დასაწყისში მოსახლეობის რიცხოვნობებს შორის სხვაობა)

$$D=S_n-S_1$$

სადაც D _ დეპოპულაციის ზომაა; S_n _ მოსახლეობის რიცხოვნობა პერიოდის ბოლოსთვის; S₁ _ მოსახლეობის რიცხოვნობა პერიოდის დასაწყისისთვის.

2) დეპოპულაციის კოეფიციენტი _ დროის განსაზღვრულ პერიოდში მოსახლეობის რიცხოვნობის კლების შეფარდებითი სიდიდე (დეპოპულაციის ზომის შეფარდება განსახილველ პერიოდში მოსახლეობის საშუალო რიცხოვნობასთან)

$$K_d=(S_i-S_0)/S \times 100$$

სადაც K_d _ მოსახლეობის დეპოპულაციის კოეფიციენტი; S_i _ მოსახლეობის ფაქტობრივი რიცხოვნობა; S₀ _ მოსახლეობის საბაზისო რიცხოვნობა; S _ მოსახლეობის საშუალოწლიური რიცხოვნობა.

დეპოპულაციური პროცესის დონის თვისებრივი დახასიათება მხოლოდ სპეციალური დემოგრაფიული სკალების საფუძველზეა შესაძლებელი, რომელიც გამოყენებული მაჩვენებლების კონკრეტულ სიდიდეებს აკავშირებს მათი შინაარსის ამა თუ იმ სიტყვიერ ინტერპრეტაციასთან. ცხრილი 3.1-ში მოყვანილია დეპოპულაციური პროცესის სიღრმის სკალა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია ქვეყნის მცხოვრებთა შემცირების შედეგიანობის შინაარსობრივი სტატისტიკური ანალიზის ჩატარება.

მოსახლეობის დეპოპულაციის განვითარების სიღრმის სკალა

დეპოპულაციის სიღრმის კოეფიციენტის დონე, %-ით	პროცესის დახასიათება
($-0,25$)-მდე	სუსტი დეპოპულაციის საწყისი დონე
($-0,25$) _ ($-0,50$)	სუსტი დეპოპულაციის დაბალი დონე
($-0,50$) _ ($-0,75$)	სუსტი დეპოპულაციის მაღალი დონე
($-0,75$) _ ($-1,00$)	სუსტი დეპოპულაციის დაწინაურებული დონე
($-1,00$) _ ($-1,25$)	საშუალო დეპოპულაციის საწყისი დონე
($-1,25$) _ ($-1,50$)	საშუალო დეპოპულაციის დაბალი დონე
($-1,50$) _ ($-1,75$)	საშუალო დეპოპულაციის მაღალი დონე
($-1,75$) _ ($-2,00$)	საშუალო დეპოპულაციის დაწინაურებული დონე
($-2,00$) _ ($-2,25$)	ძლიერი დეპოპულაციის საწყისი დონე
($-2,25$) _ ($-2,50$)	ძლიერი დეპოპულაციის დაბალი დონე

(-2,50) _ (-2,75)	ძლიერი დეპოპულაციის მაღალი დონე
(-2,75) _ (-3,00)	ძლიერი დეპოპულაციის დაწინაურებული დონე
(-3,00) და ნაკლები	უძლიერესი დეპოპულაცია

ამჟამად რუსეთის ფედერაციაში შეიმჩნევა დეპოპულაციის დონის ზრდა. 1992-დან 2008 წლამდე პერიოდში დეპოპულაციის დონე 208,35%-ით გაიზარდა და 2007 წელს -0,42% შეადგინა, რაც ჩვენს ქვეყანაში სუსტი დეპოპულაციის დაბალ დონეზე მეტყველებს. მაგრამ საკვლევ დინამიკურ მწკრივში 2004 წელს რუსეთში დაფიქსირებული იყო სუსტი დეპოპულაციის მაღალი დონე, დეპოპულაციის კოეფიციენტი უდრიდა 0,55%-ს _ ეს იყო პერიოდს განმავლობაში მაჩვენებლის მაქსიმალური მნიშვნელობა. 2005 წლიდან დაწყებული, დაფიქსირებულია დეპოპულაციის დონის შენელება და უმნიშვნელო კლება, რაც უშუალოდ უკავშირდება რუსეთის მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების ტემპების შენელებას.

იმისთვის რომ დაწვრილებითი და ყოველმხრივი წარმოდგენა მივიღოთ მოსახლეობის დეპოპულაციის მახასიათებლებზე, საჭიროა გამოვიყენოთ მაჩვენებელთა სისტემა, რომლის შემადგენლობაშიც მიზანშეწონილია გამოვიყენოთ შემდეგი განყოფილებები:

1) დეპოპულაციის ზომის მაჩვენებლები:

- მოსახლეობის რიცხოვნობის საერთო კლება,
- მოსახლეობის რიცხოვნობის კლება სქესის, ასაკის, ტერიტორიის, ეროვნებისა და სხვათა მიხედვით;

2) დეპოპულაციის სტრუქტურისა და დინამიკის მაჩვენებლები:

- მოსახლეობის რიცხოვნობის კლების სტრუქტურა სქესის, ასაკის, ტერიტორიის, ეროვნებისა და სხვათა მიხედვით,
- მოსახლეობის დეპოპულაციის სტრუქტურის თანაბარზომიერება,

- სტრუქტურული ძვრები მოსახლეობის დეპოპულაციის შემადგენლობაში და სხვ.,
- მოსახლეობის დეპოპულაციის ზომისა და სტრუქტურის ცვლილების ტემპები;

3) დეპოპულაციის სიღრმისა და შედეგების მაჩვენებლები:

- მოსახლეობის დეპოპულაციის ზოგადი კოეფიციენტი,
- მოსახლეობის დეპოპულაციის კერძო კოეფიციენტები,
- მოსახლეობის ფიზიკური სიმჭიდროვისა და განსახლების დინამიკა,
- შრომითი რესურსების რიცხოვნობისა და სხვათა დინამიკა.

მსოფლიოს ნებისმიერ სახელმწიფოში, მოსახლეობის დეპოპულაციის მართვასთან დაკავშირებული ღონისძიებების შემუშავება და ფაქტობრივი რეალიზება მთელ რიგ პრობლემებთანაა დაკავშირებული. უპირველეს ყოვლისა ამას მიეკუთვნება საკუთრივ საზოგადოების რიცხოვნობის დინამიკის მართვის პრობლემები, რომლებიც გამოიხატება მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის მაჩვენებელთა ოპტიმალური პარამეტრების ფორმირების აუცილებლობაში. მათვე მიეკუთვნება მმართველობითი გადაწყვეტილებების სტატისტიკური უზრუნველყოფის პრობლემებიც. ისინი ვლინდება საერთაშორისო შედარებების განხორციელების შეზღუდულ შესაძლებლობაში, დეპოპულაციური პროცესის სიღრმის თვისებრივი მახასიათებლების სუბიექტივიზმსა და პრაქტიკის საჭიროებებთან შედარებით მოსახლეობის კლების სტატისტიკური ანალიზის მეთოდოლოგიის გარკვეულ ჩამორჩენილობაში.

მთლიანობაში მოსახლეობის დეპოპულაციის სტატისტიკური გამოკვლევის საკითხებისა და პრობლემების სრულ ან ნაწილობრივ იგნორირებას შეუძლია ნებისმიერი საზოგადოების განვითარების გზაზე სერიოზული სირთულეები წარმოშვას.

5. დეპოპულაციის დონე და კოეფიციენტები საქართველოში და მის მეზობელ ქვეყნებში

დედამიწის მოსახლეობის დაჩქარებული ტემპით ზრდამ დასაბამი მისცა არაერთ მეცნიერულ ნაშრომს, დებატსა და სპეკულაციას იმის შესახებ, თუ რა შეიძლება გამოიწვიოს პლანეტის მოსახლეობის სწრაფმა მატებამ. ჯერ კიდევ მე-18-19-ე საუკუნეების ბრიტანელი ეკონომისტი და სოციოლოგი ტომას რობერტ მალთუსი, თავის 1798 წლის ნაშრომში, "თხზულება მოსახლეობის პრინციპებზე", ამტკიცებდა, რომ მოსახლეობის რაოდენობის ზრდა გადააჭარბებდა კაცობრიობის აგრარული პროდუქციის წარმოების შესაძლებლობებს, რაც გაართულებდა მოსახლეობის გამოკვებას, თანამდები კატასტროფული შედეგებით. მაშინ, როდესაც მსოფლიოს უმეტეს ნაწილს მოსახლეობის სწრაფი მატების პრობლემა აწუხებს, საქართველოში სრულიად საწინააღმდეგო პრობლემა დგას. ჩვენს ქვეყანაში მოსალოდნელია დემოგრაფიული კატასტროფა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხალხთმოსახლეობის ფონდის კვლევის მიხედვით, 2050 წლისთვის საქართველოს მოსახლეობა 28%-ით შემცირდება. შედარებისათვის, იმავე კვლევის მიხედვით, 2050 წლისთვის სომხეთის მოსახლეობა მცირედით შემცირდება, ხოლო აზერბაიჯანის მოსახლეობა 9 მილიონიდან 11 მილიონამდე გაიზრდება.

საქართველო, დემოგრაფიული თვალსაზრისით, მსოფლიოს ყველაზე უპერსპექტივო ერების სიაში იმყოფება. ბოლო 20 წელიწადში ქვეყნის მოსახლეობა მილიონით შემცირდა, მილიონამდე საქართველოს მოქალაქე კი საზღვარგარეთ გადახვეწილია. შობადობის მიხედვით, საქართველო მსოფლიოს 196 ქვეყანას შორის 164-ე ადგილზეა. გაზრდილია სიკვდილიანობის დონე, განსაკუთრებით - ჩვილ ბავშვთა ასაკობრივ ჯგუფებში. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი (ერთი ქალის მიერ სიცოცხლის განმავლობაში დაბადებული ბავშვების საშუალო რაოდენობა) 1,4-1,7-ის ფარგლებშია (მსოფლიოში მხოლოდ 14 ქვეყანაა ასეთი დაბალი მაჩვენებლით), ანუ

საქართველოში შვილების თაობა მათი მშობლების თაობის დაახლოებით 70-80%-ს განაახლებს¹². გაეროს მონაცემებით, 1950 წლიდან 1990 წლამდე საქართველოს მოსახლეობა 3.527 მილიონიდან 5.460 მილიონამდე, 54.8%-ით გაიზარდა. 1990 წლიდან დაიწყო საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის სწრაფი კლება. ამ მოვლენის უმთავრეს მიზეზს, საქართველოდან მიგრაციისა და სიკვდილიანობის მაღალი, ხოლო შობადობის დაბალი მაჩვენებელი წარმოადგენდა. 1990 წლიდან 2000 წლამდე, ერთი ათწლეულის განმავლობაში, საქართველოს მოსახლეობამ იკლო 715 ათასი ადამიანით. 2000 წლიდან 2010 წლამდე კი – 526 ათასი ადამიანით. მთლიანობაში, სულ რაღაც ორი დეკადის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობა შემცირდა 1.241 მილიონით (22.72%-ით) და 2010 წელს კი, 4.219-მდე დავიდა. შესაბამისად, უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობა წელიწადში საშუალოდ 59 ათასი ადამიანით მცირდებოდა¹³. მსოფლიო ბანკის მაჩვენებლებით, 1990 წელს საქართველოს მოსახლეობა შემცირდა 0.11%-ით; მომდევნი წლებში, საქართველოს მოსახლეობის კლება კიდევ უფრო დაჩქარდა. 1998 წლიდან 2008 წლამდე საქართველოს მოსახლეობა ყოველწლიურად სტაბილურად მცირდებოდა, მაქსიმუმ 1.25%-ით და მინიმუმ 1.17%-ით. წლიური პროცენტული მაჩვენებელი ოდნავ მერყეობდა. 2009 წელს საქართველოს მოსახლეობის კლება ყველაზე დაბალი იყო ბოლო 18 წლის განმავლობაში და 1.09%-ით შეადგინა, რაც დადებითი მოვლენაა¹⁴. გაეროს მონაცემებით, უკვე დღეისათვის საქართველოს მოსახლეობის 19 პროცენტზე მეტი 60 წლის ასაკს გადაცილებულია და ეს პროცესი მომდევნო ათწლეულებში უფრო დაჩქარდება. საქართველოს დემოგრაფიული მაჩვენებლები დანარჩენ მსოფლიოსთან შედარებით მართლაც სავალალოა. აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ვებგვერდზე წარმოდგენილი 2011 წლის მონაცემებით, საქართველო მოსახლეობა, მატების ტემპის მიხედვით, აღრიცხულ მსოფლიოს 232 ქვეყანასა და დამოკიდებულ ტერიტორიას შორის 217 ადგილზეა, ანუ მოსახლეობის კლების ტემპით საქართველო მსოფლიოში ერთ-

¹² საქართველო მსოფლიოს ყველაზე უპერსპექტივო ერების სიაში http://www.sazogadoeba.ge/index.php?post_id=16

¹³ საქართველო მსოფლიოს ყველაზე უპერსპექტივო ერების სიაში http://www.sazogadoeba.ge/index.php?post_id=16

¹⁴ იქვე

ერთ მოწინავე მე-16 ადგილზეა. ამავე ორგანიზაციის მონაცემებით, შობადობის მხრივ, საქართველო მსოფლიოში 179-ე, ანუ ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა. ერთ ქალზე ცხოვრების განმავლობაში აბორტების მთლიანი რაოდენობით (საშუალოდ 3.7 აბორტი) საქართველო აშშ-ის ორგანიზაციის United States Agency For International development (USAID) მონაცემებით, პირველ ადგილზეა, არა მარტო ყოფილი საბჭოთა კავშირის რეგიონში, არამედ, სავარაუდოდ, ასევე მთელს მსოფლიოში¹⁵.

6. დემოგრაფიული პოლიტიკა საზღვარგარეთის ქვეყნებში

თანამედროვე პერიოდში მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, ერთის მხრივ” დემოგრაფიულმა აფეთქებამ”, ხოლო მეორეს მხრივ „დემოგრაფიულმა კრიზისმა” ამ ქვეყნებს გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური და ეთნოდემოგრაფიული პრობლემები შეუქმნა. ამ პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთ საშუალებას „დემოგრაფიული პოლიტიკის” შემუშავება და განხორციელება წარმოადგენს. „დემოგრაფიული პოლიტიკის” წარმოადგენს ღონისძიებათა სისტემას, რომლის მიზანია მოსახლეობის აღწარმოების პროცესებზე ზემოქმედების მეშვეობით ხელი შეეწყოს მოსახლეობის რაოდენობის გაზრდას, ან შემცირებას. დემოგრაფიული პოლიტიკა ევროპის ქვეყნებში ევროპის განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში ისტორიულად შედარებით ადრე შეიქმნა დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებისათვის აუცილებელი წინაპირობები, ვინაიდან მათ უფრო ადრე იწვნიეს საკუთარ თავზე დემოგრაფიული გადასვლის შედეგად წარმოშობილი

¹⁵ საქართველო მსოფლიოს ყველაზე უპერსპექტივო ერების სიაში http://www.sazogadoeba.ge/index.php?post_id=16

დემოგრაფიული პრობლემები, პირველ რიგში – შობადობის შემცირება. რადგან დღევანდელი საქართველო საბაზრო ეკონომიკის გზას დაადგა, ხოლო პოლიტიკურ სისტემებს შორის დემოკრატია აირჩია, ჩვენთვის მეტად ფასეულია ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების გამოცდილება დემოგრაფიულ პროცესებთან მიმართებაში. ამ მხრივ ძალზე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ომისშემდგომ ევროპაში შობადობის შემცირების კვალობაზე ნელ-ნელა იცვლებოდა წარმოდგენები დემოგრაფიული განვითარების შესახებ. კერძოდ, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის ფუძემდებლური კონცეფციიდან გამომდინარე, თანამედროვე დასავლური ცივილიზაციის სამეცნიერო წრეებში დიდი სიფრთხილით ეკიდებიან თვით ცნებას "დემოგრაფიული პოლიტიკა". დღეს ამ ფენომენის მიმართ ორგვარი დისკურსი არსებობს.

დემოგრაფიული პოლიტიკა საფრანგეთში

ისტორიული თვალსაზრისით, დემოგრაფიული პრობლემის გააზრებასა და შესაბამისი სახელისუფლებო ზომების გატარებას პირველად ადგილი ჰქონდა XVIII საუკუნის საფრანგეთში. საფრანგეთი ერთგვარ გამონაკლისადაც კი შეიძლება მოვიაზროთ დიდ ევროპულ სახელმწიფოებს შორის, რადგან ინგლისის ხელისუფლება ყოველთვის უფრო ინდიფერენტული იყო საკუთარ ქვეყანაში ფაქტობრივად შექმნილი დემოგრაფიული სიტუაციის მიმართ და არ თვლიდა საჭიროდ რაიმე პირდაპირ ჩარევას დემოგრაფიულ პროცესებში. რაც შეეხება გერმანიას, აქ ხელისუფალთა დაინტერესება გაცილებით ძლიერი იყო,

მაგრამ XX საუკუნეში ნაციტურმა პრაქტიკამ თვით ცნება "დემოგრაფიული პოლიტიკის" ისეთი დისკრედიტაცია მოახდინა, რომ 1945 წლის შემდეგ დასავლეთ გერმანიაში მის ხსენებასაც კი გაურბოდნენ. სხვა ვითარება შეიქმნა საფრანგეთში. შობადობის შემცირების საკითხის განხილვა იქ იწყება XIX საუკუნის შუაწლებიდან, რამაც მომდევნო ხანაში ქვეყანაში პრონატალისტური განწყობები განაპირობა. 1870–1940 წლების მთელი პერიოდის განმავლობაში არ წყდებოდა მწვავე მსჯელობები "დეპოპულაციის" პრობლემაზე, რომლებშიც მეცნიერებთან ერთად ღებულობდნენ მონაწილეობას მწერლები, ჟურნალისტები, საზოგადოების სხვა წარმომადგენლები.

საფრანგეთში ჯერ კიდევ 1896 წელს დაარსდა ეროვნული კავშირი მოსახლეობის ზრდის მხარდასაჭერად. ხსენებული პერიოდის გავლის შემდეგ, 1945 წელს შეიქმნა მოსახლეობისა და ოჯახის პრობლემათა უმაღლესი საკონსულტაციო კომიტეტი, რომლის დაარსება დე გოლის პიროვნებას უკავშირდება. იმავე 1945 წელს საფრანგეთში შეიქმნა დემოგრაფიული კვლევების ეროვნული ინსტიტუტი (INED) – თანამედროვე დასავლეთის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ორგანიზაცია დემოგრაფიულ კვლევათა საკითხში.

საფრანგეთი გახდა პირველი განვითარებული სახელმწიფო, რომელმაც საკუთარი დემოგრაფიული ევოლუციის მართვა სპეციალური საკანონმდებლო ზომების მეშვეობით სცადა. ვინაიდან დემოგრაფიული პოლიტიკის ფარგლებში სხვადასხვა პრონატალისტური ზომების გატარება ამ ქვეყანაში ასზე მეტ წელს ითვლის, საფრანგეთი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ერთგვარი დემოგრაფიული პოლიგონი, რომლის წყალობით

მიღებულია დიდძალი დემოგრაფიული მასალა, რაც დემოგრაფიულ ტენდენციებში სახელმწიფო ჩარევის სხვადასხვა მეთოდის ეფექტიანობის შეფასებას გვაძლევს. საფრანგეთში გატარებულ ღონისძიებათა შორის აღსანიშნავია მატერიალურ დახმარებათა სისტემა. ორსული ქალები, რომლებმაც განაცხადეს თავისი ორსულობის შესახებ და გაიარეს რამდენიმე სამედიცინო შემოწმება, ღებულობენ გარკვეულ მატერიალურ დახმარებას. ორსულობის შემდგომი დახმარება გაიცემა ნაწილ-ნაწილ: პირველად ბავშვის სიცოცხლის 8 დღის შემდეგ, ხოლო თუ ეს ბავშვი რიგით მესამეა – თანხა ორკეცდება; დახმარება გაიცემა ბავშვის სიცოცხლის მე-9 მე-10 თვის და ასევე ორი წლის ასაკის მიღწევისას. მრავალნაყოფიანი მშობიარობისას დახმარებათა სიდიდე იზრდება. ყოველთვიური დახმარებათა სიდიდე მეორიდან მესამე ბავშვის გაჩენისას ორმაგდება (ისე, როგორც შემდგომი ბავშვების ყოლისას). დახმარებები გაიცემა ბავშვის 16 წლის ასაკის მიღწევამდე, ხოლო სწავლის გაგრძელების შემთხვევაში – 23 წლის ასაკამდე. ამასთან, ოჯახები, რომლებსაც 3 წლის ასაკამდე ერთი ბავშვი მაინც ჰყავთ, ღებულობენ ყოველთვიურ დამატებით მატერიალურ დახმარებას. მარტოხელა მშობლებს მიეცემათ ყოველთვიური დახმარება ბავშვის 3 წლის ასაკის მიღწევამდე. შვებულება ორსულობისა და მშობიარობისათვის 16 კვირას შეადგენს და ანაზღაურდება ხელფასის 90%-ის ფარგლებში. აღნიშნულის გარდა სახელმწიფო ითვალისწინებს დახმარებათა სხვა კატეგორიებს, რომლებსაც მოცემულ შემთხვევაში არ განვიხილავთ.

დემოგრაფიული პოლიტიკა გერმანიაში

გერმანიის მაგალითი – საფრანგეთისაგან განსხვავებით – განსაკუთრებულია, ვინაიდან მეორე მსოფლიო ომში დამარცხებას გერმანიაში გაბატონებული პრონატალისტურ-რასისტული დემოგრაფიული პოლიტიკის სრული კრაზი მოყვა. შედეგად, ამ ქვეყანაში დემოგრაფიულმა აზროვნებამ დიდი წყვეტა განიცადა, ხოლო თვით ეს დისციპლინა კარგა ხნით დისკრედიტირებული აღმოჩნდა. ისტორიულად საზოგადოებრივი აზრის რეაქცია შობადობის შემცირებაზე გერმანიაში პირველად აღინიშნა XIX საუკუნის ბოლოს. პირველი მსოფლიო ომის დანაკარგების ფონზე პრონატალისტური განწყობები შემდგომშიც ძლიერდებოდა და 1921 წელს გერმანიაში დაარსდა დიდი ოჯახების ასოციაციათა ეროვნული კავშირი. 1930-იან წლებში გერმანიაში იმარჯვებს ფაშიზმი. ფაშისტების მილიტარისტულ პროპაგანდას საფუძვლად "დიდი გერმანიის" კონცეფციიდან გამომდინარე თეორიულად გამართლებული დემოგრაფიული მოსაზრებები დაედო. გერმანიის სპეციფიკა ის იყო, რომ ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლამ განაპირობა ბავშვთა შობაზე შიგაოჯახური ტრადიციული კონტროლის მორღვევა. ნაცისტების დემოგრაფიული პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ლოზუნგი გახდა ნაციონალისტურ-რასისტული პრონატალიზმი (რაიხს ბევრი ჯარისკაცი სჭირდებოდა). 1941 წლიდან ფაშისტური მთავრობის დემოგრაფიული კურსი უკვე ოფიციალურადაც გულისხმობდა ბავშვთა შობის შიგაოჯახური კონტროლის შესუსტებას, რამაც ტრადიციული გერმანული საოჯახო ფასეულობების ნიველირება გამოიწვია. ასე მაგალითად, მამაკაცი

აღარ იყო ვალდებული ცოლის ერთგული ყოფილიყო და სრული უფლება ჰქონდა ბავშვები – რაიხის მომავალი ჯარისკაცები – სხვა ქალთან (ან ქალებთან) გაეჩინა. "არასრულფასოვან" გერმანელებს ეკრძალებოდა შთამომავლობის შექმნა. "მეორეხარისხოვანი" ერების გამრავლება მკაცრად უნდა დარეგულირებულიყო, ებრაელები კი საერთოდ განადგურებას ექვემდებარებოდნენ. რასაკვირველია, ასეთ ფონზე ომისშემდგომ, დემოკრატიის გზაზე მდგარ გერმანიაში, დემოგრაფიის, როგორც მეცნიერული დისციპლინის, რეაბილიტაცია დიდი ხნის მანძილზე ძალზე დიდ სირთულეებს აწყდებოდა.

ბოლო დროს მდგომარეობა გერმანიაში გარკვეულწილად შეიცვალა, რასაც ხელი შეუწყო უაღრესად მძიმე დემოგრაფიულმა ვითარებამ. 2007 წლის 1 იანვრიდან შემოღებულ იქნა ფულადი დახმარებები. ბავშვის დაბადებიდან 1 წლის განმავლობაში მშობლები სახელმწიფოსაგან მიიღებენ დახმარებას ხელფასის 67%-ის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 1800 ევროსი თვეში. ბავშვის მოვლასთან დაკავშირებით მამის მხრიდან სამუშაოს 2 თვით მიტოვების შემთხვევაში ოჯახი ლეზულობს დამატებით დახმარებას 2 თვის ოდენობით. მარტოხელა დედები და მამები ასევე ლეზულობენ მატერიალურ დახმარებას 14 თვის განმავლობაში.

დემოგრაფიული პოლიტიკა ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში

XIX საუკუნის ბოლოს პრონატალისტური განწყობები დაფიქსირდა აგრეთვე შვედეთში. XX საუკუნის 30-იან წლებში აქ ოფიციალურად ჩამოყალიბდა სახელისუფლებო დემოგრაფიული კურსი, რომლის ფარგლებში ბავშვთა შობის მატერიალური სტიმულირება შეხამებული იყო შობადობის რეგულირებისადმი ლიბერალურ მიდგომასთან. ამგვარად, შვედეთის ხელისუფლების ამ საკითხებისადმი მიდგომა განსხვავდებოდა თანადროულ საფრანგეთსა და გერმანიაში გატარებული დემოგრაფიული პოლიტიკისაგან.

მსგავსი პრონატალისტური ღონისძიებები გატარდა აგრეთვე ბელგიასა და დანიაში. უნდა დავეთანხმეთ ცნობილი ახალზელანდიელი დემოგრაფის ქ-ნ კ. ალისონ მაკინტოშის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ომთაშორის და კიდევ უფრო ადრეულ პერიოდებში საზოგადოებრივი აზრის პრონატალისტური განწყობები ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ. საფრანგეთში), უკავშირდებოდა ამ 320 ქვეყნების ეროვნულ-სტრატეგიულ და თავდაცვით ინტერესებს. ამავე დროს აღსანიშნავია ისიც, რომ ევროპის ერთერთ ყველაზე დიდი და განვითარებული სახელმწიფო – დიდი ბრიტანეთი – XIX საუკუნეში ფაქტობრივად დემოგრაფიული პოლიტიკის გარეშე დარჩა. ინდიფერენტული დამოკიდებულება დემოგრაფიული ვითარებისადმი აქ მთელი XX საუკუნის განმავლობაშიც მძლავრობდა.

საზოგადოდ, დღევანდელი ევროკავშირისათვის დამახასიათებელი დემოგრაფიული ტენდენციები სათავეს იღებენ დასავლეთ ევროპაში XX

საუკუნის ბოლოს (80- იანი წლებიდან მოყოლებული) შობადობის მიმართ წარმოქმნილ განწყობებში. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საბოლოო ჯამში სწორედ საზოგადოებრივი აზრი აპირობებს ამა თუ იმ ქვეყანაში კონკრეტული დემოგრაფიული პოლიტიკის საჭიროებას. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპული ქვეყნების საზოგადოებრივი აზრი დემოგრაფიული სიტუაციის შეფასებისას მეტწილად სიფრთხილესა და ზომიერებას იჩენდა. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთშიც კი – სხვა, უფრო ტოლერანტულ ქვეყნებზე რომ არაფერი ვთქვათ – უსაფუძვლო იქნებოდა მთელი მოსახლეობის "არადიფერენცირებული პრონატალიზმის" მხარდამჭერად განხილვა. იმასაც კი აღნიშნავდნენ, რომ გერმანიაში მოსახლეობის ზრდის მხარდამჭერებს პრაქტიკულად ვერ შეხვდები ვერც საზოგადოებრივ წრეებში და ვერც მეცნიერებს შორის, რაც აიხსნება გერმანელების კარგი ინფორმირებულობით იმის თაობაზე, თუ რა პრობლემები გაჩნდა განვითარებად ქვეყნებში დემოგრაფიული აფეთქების შედეგად. როგორც უკვე აღინიშნა, გერმანიის შემთხვევა განსაკუთრებულია. ნაცისტური გერმანიის უარყოფითი ისტორიული გამოცდილების შედეგად ომის შემდგომ წლებში დემოგრაფია გერმანიაში დისკრედიტირებული, ხოლო თვით ტერმინი "დემოგრაფიული პოლიტიკა" კარგა ხნით ტაბუირებული აღმოჩნდა. შესაბამის სპეციალისტებს უნივერსიტეტებში თითქმის არ ამზადებდნენ. დემოგრაფიულ მოვლენებზე ყურადღების ოდნავი გამახვილება ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკურ წრეებში შეიმჩნეოდა მხოლოდ 1976 წლის შემდგომ პერიოდში,

მაგრამ ამ მხრივ რაიმე აქტიური ზომების გატარებაზე მცირედი მინიშნებაც კი მეტისმეტად მტკივნეულად აღიქმებოდა.

დღემდე გერმანიაში არსებულ დემოგრაფიულ ტენდენციებზე საუკეთესო რეაგირებად მათთან ადაპტაციაა მიჩნეული. XX საუკუნის 80-იან წლებამდე არსებული განწყობების გათვალისწინებით მოსახლეობის რაოდენობის სტაბილიზაცია უნდა მომხდარიყო მიმდინარესთან შედარებით გაცილებით დაბალ დონეზე. მას შემდეგ შეხედულებები მცირეოდენ შეიცვალა, თუმცა დემოგრაფიული პოლიტიკა მაინც "არ არსებობს", სათანადო სოციალურ-ეკონომიკური ზომები კი საოჯახო პოლიტიკის ფარგლებშია განსახილველი. იმასაც კი აღნიშნავენ, რომ თუკი გერმანიის მთავრობა და პარლამენტი (ბუნდესტაგი) ოდესმე მიაღწევენ შეთანხმებას დემოგრაფიული პოლიტიკის ერთობლივი მიზნის თაობაზე, ასეთი მიზანი მხოლოდ მოსახლეობის ნულოვანი ზრდა შეიძლება იყოს.

ისტორიული ფაქტორიდან გამომდინარე დასავლეთი ევროპის ქვეყნებთან შედარებით განსხვავებულ დემოგრაფიულ სტილს ვხვდებით აღმოსავლეთ ევროპაში, ანუ ევროკავშირის ე.წ. "ახალ" ქვეყნებში. აღმოსავლეთი ევროპა წინა საუკუნეში ორი უმოწყალო მსოფლიო ომის თეატრი გახლდათ, ხოლო მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ამ რეგიონის ქვეყნები ერთიანად სოციალისტურ ბანაკში აღმოჩნდნენ, რამაც თავის მხრივ დემოგრაფიული ქცევის სპეციფიკა განაპირობა. ამ ქვეყნების დემოგრაფიული პოლიტიკა ორიენტირებული იყო მოსახლეობის ზრდაზე, რაც აიხსნებოდა როგორც წმინდა დემოგრაფიული, ისე ეკონომიკური და იდეოლოგიური მოტივაციით. პრონატალისტურ პოლიტიკას საფუძვლად

დაედო როგორც ობიექტური სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნები, ისე სოციალიზმის ზოგადი იდეოლოგიური თეზისი იმის თაობაზე, რომ პროგრესულ წყობას ძალუმს, როგორც ეთნოსის ზრდის უზრუნველყოფა, ისე ეკონომიკურ დაგეგმვასთან შესაბამისობაში მისი რაოდენობის გეგმიანი რეგულირება.

დემოგრაფიული პოლიტიკა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში

საკუთრივ პრონატალისტური დემოგრაფიული პოლიტიკის ჩამოყალიბებულ სახეს აღმოსავლეთი ევროპის ხელისუფლების მიერ წარმოებული პოლიტიკა ღებულობს XX საუკუნის 60-იან წლებში. მანამდე ცალკეული ზომების მიღება ამ სფეროში, მაგ., მრავალშვილიანი ოჯახებისათვის დახმარების გაწევა, სპორა-დიული ხასიათისა იყო, სოციალური დახმარების ფუნქციას ასრულებდა და დემოგრაფიულ განვითარებაზე ზემოქმედებას არ ახდენდა. აღმოსავლეთი ევროპის სოციალისტური ქვეყნების დემოგრაფიული პრაქტიკა გულისხმობდა როგორც აკრძალვითი, ისე მასტიმულირებელი ზომების გატარებას. ამ ზომების ეფექტიანობა მეტად ხანმოკლე იყო, ხოლო ამ ქვეყნების გამოცდილება მიგვითითებს როგორც დემოგრაფიული პოლიტიკის შესაძლებ-ლებზე, ისე მის ობიექტურად არსებულ შეზღუდულობაზე. ქვემოთ მაგალითისათვის მოკლედ განვიხილავთ დემოგრაფიულ პოლი-ტიკას, რომელიც შობადობის სტიმულირებისაკენ იყო მიმართული ბულგარეთში, უნგრეთსა და გდრ-ში (გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკა)

1970-იან წლებში. 1960-იანი წლების ბოლოს და 1970-იანი წლების დასაწყისში ბულგარეთში დაიწყო დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება, რომელიც პირველ რიგში მიმართული იყო შობადობის ზრდისაკენ. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის აღწარმოების ისეთი განმაზოგადებელი მაჩვენებელი, როგორცაა აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი, ბულგარეთში სულ კლებულობდა. მცირდებოდა აგრეთვე ერთი ქალის მიერ დაბადებული ბავშვების საშუალო რაოდენობა (2,01-დან 1965 წელს. 1,87-მდე 1975 წელს). არსებული შობადობის დონე ვერ უზრუნველყოფდა მოსახლეობის მარტივ 323 აღწარმოებასაც კი. კვლევის მონაცემები უჩვენებდნენ, რომ ბულგარული ოჯახები სულ უფრო მეტად იყვნენ ორიენტირებული 1-2 ბავშვზე. შობადობის შემცირებამ ბულგარეთში განაპირობა სხვა დემოგრაფიული პროცესებისა და სტრუქტურის მნიშვნელოვანი ცვლილება. კერძოდ, გაიზარდა იმ პირთა აბსოლუტური რაოდენობა და წილი, რომლებიც შრომისუნარიან ასაკს აღემატებოდნენ და შემცირდა დაბალი და შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის წილი.

იმდროინდელი ბულგარეთის ხელისუფლების მიერ გამოტანილ იქნა დასკვნა – ნათელია, რომ ის სიტუაცია, რომელშიც ბულგარეთი აღმოჩნდება გარკვეული დროის შემდეგ, კერძოდ კი მოსახლეობა დაიწყებს კლებას, არასასურველია. მიუხედავად ზემოთ მოყვანილისა, ზოგჯერ, რატომღაც ბულგარეთი იმ ქვეყნებს შორის მოიხსენიებოდა, რომლებშიც დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებას შედეგი მოჰყვა. შედარებით უფრო ეფექტური აღმოჩნდა შობადობის სტიმულირებისაკენ მიმართული დემოგრაფიული პოლიტიკა უნგრეთში.

დემოგრაფიული პოლიტიკა უნგრეთში პირველად 1950-იანი წლების დასაწყისში გატარდა, ხოლო შემდეგ 1970-იანი წლების პირველ ნახევარში. ორივე შემთხვევაში მას მოჰყვა შობადობის შემცირების შეჩერება და შემდგომ მისი ერთგვარი ზრდა. თუმცა საბოლოოდ ამანაც ვერ იქონია სტაბილური ხასიათი და 1976 წლიდან დაწყებული შობადობა უნგრეთში განაგრძობდა კლებას. არსებული გაანგარიშებით 1978 წელს გათხოვილმა ქალებმა საშუალოდ გააჩინეს 2 ბავშვზე ნაკლები. ამგვარი ტენდენციის შენარჩუნებას უნდა მოჰყოლოდა მოსახლეობის შეკვეცილი რეჟიმის დამკვიდრება და მომავალში მოსახლეობის კლება.

უკვე 1960-იანი წლების ბოლოს შობადობის დონე გდრ-ში ძალიან დაბალი იყო, ხოლო 1970-იანი წლების დასაწყისში ის საკმარისი არ იყო მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისათვისაც კი. ამიტომ, ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ოჯახში ბავშვების რაოდენობის საშუალოდ 2-3 ბავშვამდე გაზრდა. განსაზღვრულ იქნა დემოგრაფიულ პოლიტიკის ამოცანები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ოჯახის განმტკიცებასა და შობადობის გადიდებას. გათვალისწინებული იყო: ბინით უზრუნველყოფა, საბავშვო დაწესებულებათა გაფართოება, მატერიალური დახმარება ბავშვის გაჩენისას, ახალგაზრდების მომზადება ოჯახური ცხოვრებისათვის, მრავალშვილიანი ოჯახებისა და იმ ოჯახების დახმარება, რომლებშიც სკოლანდელი ასაკის ორი და მეტი ბავშვია და სხვა.

1976 წლიდან მეორე და ყოველი შემდგომი ბავშვის გაჩენის შემთხვევაში მშობიარობიდან ერთი წლის განმავლობაში ქალებს ენახებოდათ სამუშაო ადგილი. ასეთ დროს, მშობიარობის შემდგომი შვებულების დამთავრების

შემდეგ, ბავშვის ერთ წლამდე შესრულებამდე, დედას უხდიდნენ თანხას, რომელიც ავადმყოფობის დახმარების ტოლი იყო. მარტოხელა, სამუშაოთი დაკავებული დედები, იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის მოწყობა სხვადასხვა მიზეზის გამო შეუძლებელი იყო საბავშვო დაწესებულებაში, იღებდნენ ხელფასის დამატებით ავადმყოფის დახმარების ოდენობის თანხას.

1972 წლიდან ახალდაქორწინებულებს (26 წლის ასაკამდე) ეძლეოდათ უპროცენტო 8 წლიანი კრედიტი 5000 მარკის ოდენობით. კრედიტის დაფარვა შემდეგნაირად წარმოებდა: პირველი ბავშვის გაჩენისას ახალდაქორწინებულები თავისუფლდებიან 1000 მარკა გადასახადისაგან, მეორე ბავშვის გაჩენისას კიდევ – 1500 მარკა გადასახადისაგან, მესამე ბავშვის გაჩენისას კიდევ – 2500 მარკა გადასახადისაგან, ანუ ამით იფარებოდა მთელი კრედიტი. ე. ი. თუ ქალი გააჩენდა 3 ბავშვს, სახელმწიფო მას (ოჯახს) უხდიდა 1500 მარკას (სხვა დახმარების გარდა). 1977 წლის 30 ივნისამდე გაცემული იყო 398117 კრედიტი. ზემოთ მოტანილ ღონისძიებათა გატარებამ გამოიწვია შობადობის ზრდა. 1974-1977 წლებში შობადობა 1974 წლამდე არსებულ დონესთან შედარებით გაიზარდა 1,5-14,2%-ით, თუმცა შემდგომში (1977-1979 წწ.) ისევ დაიკლო და 1979 წელს შობადობის მატების ტემპმა დაიწია 1974 წლის დონემდე, ე.ი. ჩატარებულმა ღონისძიებებმა დადებითი ეფექტი იქონია შობადობაზე მხოლოდ მცირე დროის განმავლობაში. წინანდებურად ოჯახების დიდ უმრავლესობას ერთი-ორი ბავშვი ჰყავდა. გადასაწყვეტი დარჩა მესამე ბავშვის პრობლემაც. მესამე და შემდგომი ბავშვების წილი მხოლოდ 10%-ს შეადგენდა, ხოლო მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისათვის საჭირო იყო უახლოეს წლებში სამბავშვიანი ოჯახების წილის 18-20%-მდე გაზრდა.

როგორც ვხედავთ, ერთი შეხედვით მნიშვნელოვან ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია .

რატომ განვითარდა მოვლენები ასე?

საქმე ისაა, რომ, როგორც ჩანს, ზემოთ მოტანილ ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავებისას მხოლოდ ლოგიკური, აპრიორული დასკვნებით ხელმძღვანელობდნენ, რომელიც მოცემულ შემთხვევაში საკმარისი არ აღმოჩნდა. მხოლოდ შემდგომში დაისვა რეპროდუქციული განწყობის, ბავშვების სასურველი რაოდენობის, რეალური ქცევის მოტივაციისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების სრული და ღრმა შესწავლის ამოცანა. ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნებოდა ჯერ ეს საკითხები შესწავლილიყო და მას შემდეგ, მიღებული ცოდნის გამოყენებით განხორციელებულიყო შობადობის სტიმულირების ღონისძიებათა მთელი ზემოთ აღწერილი კომპლექსი. რატომ არ იქონია პრაქტიკულად გავლენა მიღებულ ღონისძიებათა კომპლექსმა შობადობაზე? მოცემულის შესახებ შეიძლება ზოგიერთი მოსაზრების გამოთქმა. როგორც ჩანს, გატარებულ ღონისძიებათა კომპლექსმა არავითარი გავლენა არ იქონია “ბავშვების ყოლის მოთხოვნილებაზე”, არ გამოიწვია მისი ზრდა და შესაბამისი განწყობის ფორმირება. შობადობის ნაწილობრივი მომატება აღნიშნულ პერიოდში გამოწვეული იყო იმით, რომ ახალდაქორწინებულები თავისი “ბავშვების ყოლის მოთხოვნილებიდან” გამომდინარე, მაინც აპირებდნენ ბავშვების გარკვეული რაოდენობის ყოლას. გატარებულ ღონისძიებათა ნაწილი კი ბავშვების გაჩენისათვის

ითვალისწინებდა მატერიალურ წახალისებას. ახალდაქორწინებულებმაც “ისარგებლეს” ამ მდგომარეობით და იყოლიეს ბავშვების ის რაოდენობა რომელიც სურდათ (შესაძლებელია უფრო ნაადრევად, ვიდრე დაგეგმილი ჰყონდათ). თან ამისათვის მატერიალურ “ჯილდოს” იღებდნენ. მაშინ როდესაც საქმე შეეხო იმ ბავშვების გაჩენას, რომლის “მოთხოვნილებაც” არ ჰქონდათ, საქმის ვითარება შეიცვალა და მათ უარი თქვეს არასასურველი ბავშვის ყოლაზე. სხვანაირად რომ ვთქვათ, ახალდაქორწინებულების უდიდესმა ნაწილმა მაინც იმდენი ბავშვი იყოლია, რამდენი ბავშვის ყოლას აპირებდა და ყოველგვარი მატერიალური წახალისების გარეშე მათი უდიდესი ნაწილი მაინც იმდენივე ბავშვს იყოლიებდა.

გარკვეული გაანგარიშებებიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფო 1977 წლის 30 ივნისამდე დაახლოებით 500-600 მილიონი მარკა (მარტო კრედიტის სახით გამოყოფილი) პრაქტიკულად უშედეგოდ დახარჯა, რადგან ამ თანხის მიუღებლადაც ახალდაქორწინებულები მაინც იყოლიებდნენ ბავშვებს. ჩვენი ვარაუდით, “ბავშვების ყოლის მოთხოვნილება” გდრ-ში იმდენად დაბალი იყო, რომ მისი სრული დაკმაყოფილებაც კი მაინც არ იქნებოდა საკმარისი მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისათვის. ისეთი სპეციალისტების აზრით, როგორც ბერელსონი, ელდრიჯი, ბორი და გლასია, იმ ეფექტის შესახებ, რომელიც შეიძლება მოგვცეს დემოგრაფიულმა პოლიტიკამ, არსებითად არაფრის თქმა არ შეიძლება. მონაცემები, რომლებიც მისი მოქმედების სასურველ შედეგებზე მეტყველებს, არადამაჯერებელია. არ შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, თითქოსდა გატარებულ ღონისძიებებს მოჰყოლია შობადობის დონეზე რაიმე არსებითი ზემოქმედება მისი ზრდის

მიმართულებით. მართალია, ისტორიას დემოგრაფიული პოლიტიკის ბევრი მაგალითი ახსოვს, მაგრამ არ არსებობს მონაცემები, რომლებიც მისი წარმატების შესახებ მეტყველებდნენ. შეიძლება დავასკვნათ, რომ სადღეისოდ ჩვენ არ გაგვაჩნია არც ერთი მაგალითი, რომელიც იმას გვიჩვენებს, რომ შობადობის ზრდისაკენ მიმართულ დემოგრაფიულ პოლიტიკას მოჰყოლოდა შობადობის სტაბილური მატება მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი დროის განმავლობაში. უმეტეს შემთხვევაში ადგილი ჰქონდა არა შობადობის ფაქტობრივ ზრდას, არამედ მის კონცენტრაციას მოკლე პერიოდში, დაბადებათა კალენდრის გადმოტანას. ამავე დროს, დემოგრაფიული პოლიტიკა უნდა იყოს მოქნილი, მრავალმხრივი, ღრმად გააზრებული და განსაზღვრული ხანგრძლივ პერიოდზე. სწორედ დემოგრაფიული პროცესების სფეროშია მეტად მნიშვნელოვანი ისეთი ღონისძიებების ჩატარების გათვალისწინება, რომელთა ეფექტს ექნება ადგილი არა რამდენიმე წლის განმავლობაში, არამედ მრავალი ათწლეულის მანძილზე.

დემოგრაფიული პოლიტიკა აშშ-ში

აშშ-ში ხანგრძლივი დროის განმავლობაში დემოგრაფიული ვითარება არ წარმოადგენდა რაიმე საზოგადოებრივი შეშფოთების საგანს, შობადობის დონის გადაფარვა კი იმიგრაციის შედეგად ხდებოდა. ამერიკას ყოველთვის "იმიგრანტების" ქვეყანად მიიჩნევდნენ, რომლის ხელისუფლება კმაყოფილი იყო მოსახლეობის ზრდის ტემპებით და ამ პროცესში რაიმე ხელოვნურ ჩარევას საჭიროდ არ მიიჩნევდა.

XX საუკუნის 70-იან წლებში იმიგრაციის ზრდის პრობლემამ მაინც იქონია გარკვეული ზეგავლენა აშშ-ს საზოგადოებრივ აზრზე. 1970-იანი წლების დასაწყისში ამერიკის კონგრესმა შექმნა კომისია "მოსახლეობის ზრდა და ამერიკის მომავალი" (სხვაგვარად "როკფელერის კომისია"). კომისიამ გაანალიზა ამერიკის დემოგრაფიული წარსული და მივიდა იმ დასკვნამდე (1974 წ.), რომ მოსახლეობის ზრდა უფრო მაღალი ტემპებით, ვიდრე წარსულში (აწმყოზე ექსტრაპოლაციის გათვალისწინებით), ვერ მოუტანს შეერთებულ შტატებს ვერც ეკონომიკურ, ვერც ეკოლოგიურ, ვერც სოციალურ და ვერც სახელმწიფო მოგებას და ამიტომ უფრო სასურველია მოსახლეობის სტაბილიზაციაზე ზრუნვა. კომისიის რეკომენდაციები ეხებოდა აბორტების ლეგალიზებას, კონტრაცეპტივების მოხმარებაზე დაწესებული შეზღუდვების გაუქმებას, სქესობრივი განათლების შემოღებას, არალეგალური მიგრაციის შეწყვეტის ფონზე ლეგალური მიგრაციის კვოტის წელიწადში 400 ათასი მიგრანტით შეზღუდვას. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტ ნიქსონის დამოკიდებულება კომისიის რეკომენდაციებისადმი ნეგატიური აღმოჩნდა, მათი უმრავლესობა (იმიგრაციის გარდა) მაინც განხორციელდა. დღეისათვის აშშ-ს ხელისუფლებას არ გააჩნია რაიმე კონკრეტული, ზუსტად ჩამოყალიბებული დემოგრაფიული პილიტიკა. ერთადერთი სფერო, რაშიც ამერიკული ადმინისტრაცია უამრავ შეზღუდვას აწესებს – იმიგრაციაა. მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივი მატების ფონი აქ რამდენადმე მაღალია სხვა ინდუსტრიულ ქვეყნებთან შედარებით, დღევანდელ აშშ-ში მოსახლეობის ზრდის ნახევარი იმიგრაციაზე მოდის. გასათვალისწინებელია, რომ 1965 წელს მიგრაციის კანონში შეტანილი შესწორების შედეგად,

იმიგრაციის შესაძლებლობა ყველა დონორი ქვეყნისთვის გახდა მისაწვდომი (ადრე უპირატესობა ევროპულ ქვეყნებს ეძლეოდა). ამჟამად აშშ-ს მოსახლეობა შედგება მრავალრიცხოვანი ეთნიკური და ეროვნული ჯგუფებისგან, რომლებიც აქ მიგრაციული პროცესის სხვადასხვა ტალღებს ჩამოყვნიან. დროდადრო სახელმწიფო დაინტერესებას იჩენს არალეგალური იმიგრაციის მიმართ, მაგრამ რადგანაც არალეგალი იმიგრანტები ასრულებენ ისეთ სამუშაოს, რომლის შესრულება თავად ამერიკელებს აღარ უნდათ, არალეგალების წინააღმდეგ მკაცრი ზომების გატარებამ შესაძლოა ეკონომიკური და პოლიტიკური სირთულეები გამოიწვიოს. ამიტომაც, რომ მიუხედავად გაზრდილი ტერორისტული საფრთხისა და სასაზღვრო კონტროლის გაძლიერებისა, არალეგალური იმიგრაციის პრობლემის რადიკალურად გადაჭრა დღევანდელ აშშ-ში პრაქტიკულად შეუძლებელია, თუმცა ბიუროკრატიული ზომები ამ მიმართულებით 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის გამო შესამჩნევად გამკაცრდა. ამჟამად აშშ-ში მოქმედი საიმიგრაციო კანონი იმიგრანტების ორ ფართო კატეგორიას განსაზღვრავს: მუდმივსა და დროებითს. ამასთან, იმიგრანტის ლეგალურ სტატუსს მხოლოდ მუდმივებს ანიჭებენ – მათ აძლევენ მუდმივ საცხოვრებელ ვიზებს, რომელთაც პოპულარულ ენაზე "მწვანე ბარათი" ეწოდებათ. ასეთი ტიპის იმიგრანტებს უფლება აქვთ 5 წლის შემდეგ მიმართონ ხელისუფლებას თხოვნით აშშ-ის მოქალაქეობის მინიჭებაზე. დროებითი იმიგრანტების დიდ ნაწილს კი ტურისტები და ქვეყანაში საქმიანი ვიზიტით ჩასულები შეადგენენ (მაგალითად 2003 წელს ასეთი 27,8 მლნ. კაცი იყო). აშშ-ს რეალური დემოგრაფიული პოლიტიკის (გინდაც მას ოფიციალურად ასე არ

ეწოდებოდეს) უმნიშვნელოვანესი კომპონენტი განვითარებული ჯანდაცვის სისტემაა. პროგრამები Medicare (სამედიცინო დაზღვევის პროგრამა) და Medicaid (ღარიბებისთვის სამედიცინო დახმარების პროგრამა) პრაქტიკულად უზრუნველყოფენ ჯანმრთელობის დაცვას დაბალშემოსავლიანი პირებისათვის. ყოველივე ამან კი საბოლოო ჯამში უდავოდ დიდი ეფექტი მოახდინა სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ზრდაზე. ამრიგად, თუმცა აშშ-ს არ გააჩნია ოფიციალურად აღიარებული დემოგრაფიული პოლიტიკა, ქვეყანაში მოქმედი კანონები და პროგრამები საკმაოდ ეფექტიანად ემსახურება შედარებით ოპტიმალური დემოგრაფიული პარამეტრების მიღწევასა და შენარჩუნებას. შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ს იმიგრაციული კანონმდებლობა ერთერთი ყველაზე ლიბერალურია მსოფლიოში. მართალია, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ვიზების გაცემის პროცედურა ქვეყანაში გამკაცრდა და გაცემული ვიზების რაოდენობა შემცირდა, ამას საფუძვლად არა დემოგრაფიული, არამედ პოლიტიკური უსაფრთხოების მოსაზრებები დაედო.

დემოგრაფიული პოლიტიკა თანამედროვე ჩინეთში

თანამედროვე მსოფლიოში სწორედ ჩინეთი წარმოადგენს ისეთი ქვეყნის მაგალითს, სადაც ცნების "დემოგრაფიული პოლიტიკა" ხმარებას თან არავითარი კომპლექსები არ მოსდევს. ეს მართლაც პოლიტიკაა თავისი კონკრეტული შედეგებით. ამ პოლიტიკას ყველა ეტაპზე ახორციელებდა და ახორციელებს მძლავრი, ტოტალიტარული მეთოდების მოყვარული და

ძლიერ ცენტრალიზებული ხელისუფლება. რა თქმა უნდა, პოლიტიკური ხერხებით მსგავსი დემოგრაფიული ზომების პირდაპირი გატარება კლასიკური დემოკრატიის ქვეყნებში უბრალოდ შეუძლებელია, მაგრამ მსოფლიოს იმ ნაწილისათვის, სადაც დღესაც დედამიწის მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი ცხოვრობს, ჩინეთის მიერ გატარებულმა დემოგრაფიულმა პოლიტიკამ მართლაც ფრიად ღირებული მაგალითის როლი შეიძლება შეასრულოს. 1945 წელს ქვეყნის სათავეში იარაღის ძალით მოსულ ჩინელ კომუნისტებს ჩან კაიშის განდევნილი რეჟიმისაგან გაჩანაგებული და დაუძღურებული ქვეყანა ერგოთ. კომუნისტური მმართველები ქადაგებდნენ თანასწორობას, რესურსებისა და წარმოებების საშუალებებზე უმკაცრესი სახელმწიფო კონტროლის დაწესებასა და სამართლიანი განაწილების საფუძველზე ეკონომიკის ჰარმონიულ განვითარებას. ასევე მათ მიერ პროკლამირებულ მიზნებს შორის სათანადო ადგილი ეკავა მოსახლეობის ხარისხის გაუმჯობესებას მოკვდავობის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებით. ამ მხრივ წვლილი უნდა შეეტანა აგრეთვე მასების ცნობიერების ამაღლებას საყოველთაო განათლების მეშვეობით. სახალხო რესპუბლიკის არსებობის პირველ წლებში კომუნისტური იდეოლოგიები ქვეყნის უზარმაზარ მოსახლეობას ეკონომიკური აყვავების წინაპირობად მიიჩნევდნენ. სოციალიზმთან შეუთავსებელი უმუშევრობის პრობლემა მათ არ აშინებდათ; კოლექტივიზაციის შედეგად საკვები, ჯანდაცვა და განათლება ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა გამხდარიყო. ერთი სიტყვით, იმ პერიოდში ჩინეთის კომუნისტური ხელისუფლება აშკარა პრონატალისტურ პოლიტიკას მისდევდა (1949 წელს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსებისას,

ხელისუფლების შეფასებით ჩინეთის მოსახლეობა 500 მლნ. იყო, თუმცა ოფიციალურად 800 მლნ-ს აცხადებდნენ), რასაც თან ღია პრონატალისტური რიტორიკაც მოსდევდა. პირველმა აღწერამ ჩინეთში აჩვენა, რომ მოსახლეობამ 1940-1950-იანი წლების დასაწყისში 590 მილიონს მიაღწია, რაც მოსალოდნელზე 100 მილიონით მეტი იყო. მოსახლეობის გადაჭარბებულად სწრაფ ზრდაში კომუნისტებმა ეკონომიკური ზრდის შესაძლო შეჩერების საფრთხე დაინახეს. ამის შედეგად მათს წინადადებით უკვე 1956 წელს ქვეყანაში დაიწყო შობადობაზე კონტროლის დაწესების (გარდა ეროვნული უმცირესობებისა) კამპანია. ამ კამპანიის ფარგლებში ჩინეთში დაიწყო კონტრაცეპტივების წარმოება, სტერილიზაციისა და აბორტების მიმართ ლიბერალური დამოკიდებულების პროპაგანდა. მაგრამ მასობრივი კონტრაცეპციის ეფექტიანი მეთოდების არარსებობის, კვალიფიცირებული პერსონალის მწვავე ნაკლებობისა და ჩინურ ოჯახში სექსუალური საკითხების მიმართ ტრადიციული მიდგომის პირობებში ოჯახის დაგეგმვის პროპაგანდა ძირითადად ქალაქებით შემოიფარგლა. რეგულირების თავდაპირველ მცდელობებს შობადობაზე შესამჩნევი გავლენა არ მოუხდენია. მალე აღნიშნული კამპანია შეაჩერეს. დემოგრაფია, სხვა ჰუმანიტარული დისციპლინების მსგავსად, ტაბუდადებული მეცნიერება აღმოჩნდა, მოსახლეობის ზრდაზე კონტროლი გამოცხადდა რეაქციულ შეხედულებად, შობადობის რეგულირების მცდელობები აღიკვეთა და კონტრაცეპტივების წარმოება შეწყდა. 1959-1961 წლებში განხორციელებული და ჩავარდნილი "დიდი ნახტომის" პოლიტიკის უმთავრესი შედეგი საშინელი შიმშილობა გახდა, რამაც დაახლოებით 30 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ამ

ტრაგიკული მოვლენების ფონზე დღის წესრიგში კვლავ აღმოჩნდა შობადობაზე კონტროლის დაწესების საკითხი. შობადობის დონე ამ წლებში მერყეობდა. 1960 წელს მოკვდავობამ შობადობას 3 მილიონით გადააჭარბა, მაგრამ შემდეგ აღდგენის პერიოდი დადგა. სწორედ "დიდი ნახტომის" პოლიტიკაზე ფაქტიური უარის შემდეგ, 1960-იანი წლების პირველ ნახევარში, დაიწყო ჩინური "ბები-ბუმი", რაც ყოველწლიურად 25–30 მილიონი ბავშვის დაბადებაში გამოიხატა. 1962 წელს დაიწყო მოსახლეობის შობადობაზე კონტროლის მეორე კამპანია. ამჯერად, შობადობის რიცხვის შესამცირებლად კამპანიის ავტორებმა უფრო "რბილ" მეთოდებს მიმართეს, კერძოდ, ქორწინების გადავადებასა და კონტრაცეპტივების ფართოდ გავრცელებას. ოჯახში ბავშვთა რაოდენობა ორით, ზოგიერთ შემთხვევაში სამით, შემოიფარგლა, ხოლო მათ გაჩენებს შორის სავალდებულო გახდა 3–5 წლიანი ინტერვალის დაცვა. აბორტი იყო უფასო, კონტრაცეპციის მიზნით ქალები ხშირად მიმართავდნენ სპირალს, კვლავ ამოქმედდა პროპაგანდის მექანიზმი. ახალგაზრდებს აფრთხილებდნენ, რომ ადრეული სექსუალური აქტივობა არათუ უარყოფითად აისახებოდა მათ ფიზიკურ და ინტელექტუალურ ჯანმრთელობაზე, არამედ მიუღებელი იყო იდეოლოგიური თვალსაზრისითაც. 1960-იან წლებში შობადობაზე კონტროლის ეს მცდელობა უკეთ იყო ორგანიზებული, ვიდრე პირველი. იგი შედარებით წარმატებულად ჩატარდა დიდ ქალაქებში, მაგრამ სასოფლო რეგიონებში მის გავრცელებას ხელი შეუშალა 1966 წელს დაწყებულმა ე.წ. "დიდმა კულტურულმა რევოლუციამ" თანმდევი არეულობითა და სასტიკი ექსცესებით. 1970-იანი წლების დასაწყისიდან მოკვდავობამ შემცირება დაიწყო, სიცოცხლის

მოსალოდნელი ხანგრძლივობა 20 წლით გაიზარდა – 41 წლიდან (1950– 1958) 60 წლამდე (1965–1970), თუმცა შობადობის მაჩვენებელი კვლავაც იზრდებოდა. ამის შედეგად მოსახლეობის ყოველწლიური ზრდა 2%-ს აღწევდა (1968წ. – 2,8%), რაც წელიწადში მოსახლეობის ოცმილიონიან მატებას (ან ცოტა მეტს) ნიშნავდა. ბუნებრივია, რომ შობადობაზე კონტროლი კვლავ ეროვნული პრიორიტეტების რიცხვში შევიდა. 1971 წელს გაჩაღდა შობადობაზე კონტროლის მესამე კამპანია, ხოლო 1973 წელს უმაღლესი ხელისუფლების მიერ გამოიცა მორიგი სამი დირექტივა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რამაც ასახვა ჰპოვა ლოზუნგში “გვიან, ცალ-ცალკე, ცოტ”, რაც გულისხმობდა: დაქორწინდი გვიან, დაიცავი ინტერვალი ბავშვთა დაბადებებს შორის და იყოლიე ცოტა ბავშვი. შემოღებულ იყო კვოტა შობადობის წლიურ რაოდენობებზე. მოსახლეობა დაიყო სამ ნაწილად: ქალაქისა და სოფლის მოსახლეობად და ეროვნულ უმცირესობებად. ამ კამპანიამ თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია. 10 წელიწადში შობადობა განახევრდა – ერთ ქალზე 5,7 ბავშვიდან 1970 წელს 2,8-მდე შემცირდა . ეს იყო მსოფლიოში შობადობის არნახულად სწრაფი შემცირება ასეთ მოკლე ვადაში. მაგრამ საკმარისი არც ეს აღმოჩნდა. 1978 წელს დენ სიაოპინის თაოსნობით გატარებული რეფორმები გულისხმობდნენ შობადობაზე შემდგომი შეზღუდვების დაწესებას, რაც 1979 წელს აისახა ოჯახში მხოლოდ 334 ერთი ბავშვის ყოლის უფლებაში. შესაბამისი კანონი ქალაქის მოსახლეობის 95%-ს და სოფლის მოსახლეობის 90%-ს შეეხო . ამ ღონისძიების წახალისებისათვის შემოიღეს სხვადასხვა ჯილდოები, პრემიები და სოციალური კომპენსაციები, ხოლო დამრღვევებისათვის – უმძიმესი ჯარიმები, საოჯახო ნაკვეთების

ნაწილობრივი კონფისკაციის ჩათვლით. 1982 წელს შობადობის შეზღუდვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეთათვის კონსტიტუციური მოვალეობა გახდა (თუმცა ქვეყნის ზოგიერთ პროვინციაში ამ მხრივ დღესაც მოქმედებენ გარკვეული შეღავათები – ეროვნული უმცირესობების მიმართ). ეს პოლიტიკა იმდენად ეფექტიანი აღმოჩნდა, რომ 2002 წლის სექტემბერში ჩინეთმა მიიღო მოსახლეობისა და შობადობის კონტროლის აქტი, რომელშიც კვლავაცაა დადასტურებული მკაცრი შეზღუდვა ოჯახში ბავშვების რაოდენობაზე, თუმცა ახალ პროგრამაში მაინც ხაზი გაესვა მის ნებაყოფლობითობას ორი მიზეზის გამო:

1. სახელმწიფოს სულ უფრო მეტად უჭირს წყვილთა პირად ცხოვრებაში ჩარევა
2. მოსახლეობის უწყვეტი ზრდის საფრთხე უკვე გამოირიცხა და ყურადღება ჯანმრთელობის დაცვაზეა გადატანილი: რეპროდუქციული ჯანმრთელობა, განათლება და სათანადო ინფორმაციის მოსახლეობისათვის მიწოდება ძირითადი პრიორიტეტების რიცხვში შევიდნენ.

დემოგრაფიული პოლიტიკის ეფექტიანობა ჩინეთში იმან განაპირობა, რომ მკაცრ კონტროლს თავს ვერავინ აღწევს. მთავრობის მასებზე ზემოქმედების არსენალი შეიცავდა და შეიცავს კერძო სახლებში გამაფრთხილებელ ვიზიტებს, დამრღვევების სახალხოდ განსჯასა და დასჯას, კოლექტიურ ზეწოლას, შემოსავლიდან პროცენტის ჩამოჭრას, მძიმე ჯარიმებს, ორსულობაში ეჭვმიტანილი ქალების სამსახურიდან დათხოვნას და სხვა. რასაკვირველია, დემოკრატიულ ქვეყნებში მსგავსი დრაკონული მეთოდების

არათუ გამოყენების, არამედ თეორიული დაშვების მცდელობებიც კი განწი-რულია .

დემოგრაფიული პოლიტიკა ინდოეთში და აზიისა და აფრიკის განვითარებად ქვეყნებში

განვითარებადი ქვეყნები კოლონიური მსოფლიოს მემკვიდრენი არიან. სწორედ კოლონიური ულლიდან დახსნისა და პოლიტიკური განთავისუფლების მიღწევის შემდეგ მათი მთავრობების წინაშე მთელი აქტუალობით დაისვა ცვლად დემოგრაფიულ მაჩვენებლებზე, პირველ რიგში კი მოკვდავობასა და შობადობაზე აქტიურად ზემოქმედების ამოცანა. აღსანიშნავია, რომ მოკვდავობის წინააღმდეგ ბრძოლა კოლონიურ პერიოდშიც მიმდინარეობდა, მაგრამ მხოლოდ პოლიტიკურმა განთავისუფლებამ და მედიცინის ომისშემდგომმა მიღწევებმა ერთად უზრუნველყვეს ამ ბრძოლის შედეგიანობა. სწორედ მოკვდავობის დონის შემცირება უცვლელი, ზოგჯერ კი ზრდადი შობადობის ფონზე გახდა ე.წ. დემოგრაფიული აფეთქების ძირითადი მიზეზი. დემოგრაფიულმა აფეთქებამ უკიდურესად გაამწვავა განვითარებადი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და ითამაშა მძლავრი კატალიზატორის როლი დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ეტაპებზე. ამ პოლიტიკის ძირითადი შინაარსი დღეს უკვე შობადობის შემცირების გზით მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაღალ ტემპებთან შებრძოლება გახდა. დემოგრაფიული პრობლემები იმდენად გამწვავდა, რომ როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 1974 წელს ბუქარესტის

მოსახლეობის მესამე მსოფლიო კონფერენციაზე ხაზგასმით ითქვა: "რა წარმატებებსაც არ უნდა აღწევდნენ განვითარებადი ქვეყნები ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში გეგმიური განვითარების შედეგად, ყველა ეს წარმატება არარაობად იქცევა მოსახლეობის სწრაფი ზრდის გამო". განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ამ მხრივ ინდოეთი, როგორც ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოსახლეობის მქონე ქვეყანა მსოფლიოში. სწორედ ინდოეთი, რომლის მოსახლეობამ 1947 წელს 343 მილიონი ადამიანი შეადგინა, იყო პირველი განთავისუფლებული ქვეყანა, რომელმაც შობადობის შეზღუდვის პოლიტიკა გამოაცხადა (1952 წ.). პირველი ოცი წლის განმავლობაში ამ პოლიტიკის ეფექტიანობა ძალზე დაბალი იყო. მხოლოდ 1970-იან წლებში, როდესაც სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ინდოეთში მეტისმეტად დამძიმდა, ხელისუფლებამ და საზოგადოებამ ყურადღება მიაქცის არსებულ უმწვავეს დემოგრაფიულ პრობლემებს. თითქოსდა საქმე პარადოქსთან გვაქვს: დემოგრაფიული პოლიტიკის მესვეურებმა სხვებზე ადრე დაიწყეს მისი გატარება, ლოზუნგებიც კარგი მოიგონეს, გონივრული მიზნებიც დასახეს, განშტოებული ინფრასტრუქტურაც შექმნეს, საბოლოოდ კი დემოგრაფიული ვითარების მუდმივი და უწყვეტი გაუარესება მიიღეს. მაგრამ კარგი დაკვირვებისას ეს პარადოქსი ადვილად იხსნება: საწყისი ფაზა ძალზე დუნე იყო, ფინანსური ბაზა მოიკოჭლებდა, ლოზუნგები სრულიად მოწყდა არსებულ რეალობას, სიტყვასა და საქმეს შორის ღრმა უფსკრული გაჩნდა, მძლავრი ინფრასტრუქტურა კი ძვირადღირებულ ბიუროკრატიულ აპარატად გადაიქცა. ყოველივე ამის შედეგად, ინდოეთის დემოგრაფიულმა პოლიტიკამ

1970-იანი წლების მეორე ნახევარში დრამატული ცვლილებები განიცადა. IV ხუთწლედში შობადობის შემცირების გეგმის სრული ჩავარდნით გამწარებული ინდირა განდის მთავრობამ 1976 წლის აპრილში მიიღო ახალი და მეტად შორს მიმავალი დემოგრაფიული პროგრამა: "მოსახლეობის ეროვნული პოლიტიკა". არსებული პრობლემის უფრო თანმიმდევრულად გადაჭრის აუცილებლობის დასაბუთებისას ჯანდაცვის მინისტრმა ჯ. სინგჰმა განაცხადა: "არარეალისტურია ველოდოთ იმას, რომ განათლება და ეკონომიკური ზრდა თავისთავად გამოიწვევენ შობადობის შემცირებას. ამ მანკიერი წრიდან ჩვენ უნდა გავაღწიოთ პრობლემაზე პირდაპირი შეტევის გზით". ამის შემდეგ სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნა ორ და მეტწვილიან ოჯახებში ერთ-ერთი მეუღლის სტერილიზაციაზე. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ინდოეთს გეზი არა ტოტალიტარული სოციალიზმის (ჩინეთის მსგავსად), არამედ სტანდარტული დემოკრატიის განვითარებაზე ჰქონდა (და აქვს) აღებული. ამ დროს კი სტერილიზაციების რიცხვი გაიზარდა 942 ათასიდან 1974/75 წლებში 8261 ათასამდე 1976/77 წლებში . ესოდენ მკვეთრი ზრდა, ცხადია, ვერ ჩაივლიდა ადამიანის უფლებათა მასობრივი შელახვის გარეშე. ამით ისარგებლეს ოპოზიციურმა პარტიებმა, რომლებმაც რიგითი ამომრჩეველი ძალისმიერი ქირურგიული ჩარევის პერსპექტივით დააშინეს. მომდევნო არჩევნებში გაიმარჯვა (დროებით) ოპოზიციურმა "ჯანათა პარტიმ", რასაც დემოგრაფიული პოლიტიკისათვის კატასტროფული შედეგები მოყვა. მისი ბიუჯეტი შემცირდა ორჯერ, სტერილიზაციების რაოდენობა – 8,7- ჯერ. საბოლოოდ შვილების ფაქტობრივმა საერთო რაოდენობამ ოჯახებში 4-ს გადააჭარბა, მაშინ როცა სასურველი დაგეგმილი

რაოდენობა 3-ს არ აღემატებოდა. ეს სხვაობა ვერც 1990-იან წლებისთვის შემცირდა. დემოგრაფიული ვითარება ინდოეთში რთული რჩება.

რაც შეეხება აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებს, თითოეულ ასეთ ქვეყანაში დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების დასაწყისის ზუსტი თარიღის დასახელება შეუძლებელია, ვინაიდან ასეთ ოფიციალურ გამოცხადებას ყოველთვის წინ უძღოდა რაღაც კერძო ან ნახევრადსახელმწიფო ორგანიზაციების აქტივობა. მაინც შეგვიძლია ვთქვათ, რომ დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება სამხრეთ კორეაში, ტაივანში, სიანგანში (ჰონკონგში) და სინგაპურში იწყება 1960-იანი წლების პირველ ნახევარში, რეგიონის დანარჩენ ქვეყნებში კი 1970-იანი წლების პირველი ნახევრიდან. ოთხ ქვეყანაში (ბრუნეი, კამპუჩია, ლაოსი და მيانმა) ეს პროცესები გაცილებით გვიან დაიწყო. შობადობის შემცირებასთან დაკავშირებული პროგრამები შედარებით წარმატებით მიმდინარეობდა ისეთ დემოგრაფიულ "გიგანტებში" როგორც ინდონეზია და ტაილანდია.

ცალკე უნდა გამოიყოს დემოგრაფიული კატასტროფა კამპუჩიაში 1970-იანი წლების მეორე ნახევარში პოლ პოტის ბარბაროსული რეჟიმის მმართველობის წლებში. 1975-1978 წლებში 8-მილიონიანმა კამპუჩიამ სხვადასხვა მონაცემით 1,5 მილიონიდან 3 მილიონ ადამიანამდე დაკარგა .

დემოგრაფიული თვალსაზრისით ცალკე გამოსაყოფია ისლამური ქვეყნები. ისლამის ფორმირებისა და გავრცელების თავისებურებებმა იგი ყველაზე "პრონატალურ" რელიგიად აქცია. XX საუკუნის მეორე ნახევრამდე ისლამის "აღმატებული" პოპულაციონიზმის კომპენსირება მხოლოდ მაღალი

მოკვდავობის ხარჯზე ხდებოდა. მაჰმადიანურ ქვეყნებში დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებისას ყველაზე დიდ სირთულეს ქალის დამცირებული მდგომარეობა წარმოადგენს – ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური თუ კულტურული თვალსაზრისით. ასეთ ვითარებაში დემოგრაფიული პოლიტიკის ეფექტიანობა ძირითადად მამაკაცის პოზიციაზე დამოკიდებული, ვინაიდან ოჯახის უფროსი და, როგორც წესი, გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიმღები სწორედ მამაკაცია. მაინც უნდა აღინიშნოს, რომ რეპროდუქციული ქცევის რეგულირების წინაშე აღმართული "ისლამური ბარიერი" სამუდამო არ უნდა იყოს. ამის მაგალითებია კონტრაცეპციის ტრადიციულად მაღალი დონე ტუნისში, მისი სწრაფი გავრცელება მაროკოში, გარკვეული ძვრები რომლებიც შეიმჩნევა თურქეთსა და ეგვიპტეში.

რაც შეეხება აფრიკის ქვეყნებს, განსაკუთრებით ტროპიკულ ზონაში, აქ მაღალი შობადობა უსასტიკესი სიღატაკის ფონზე ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად რჩება. კონტინენტის მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაზე შეიძლება ითქვას, რომ იქ გადაიდგა რამდენადმე გააზრებული ნაბიჯები დემოგრაფიული პოლიტიკის წარმოების კუთხით. ეს პოლიტიკა ყველაზე წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს პატარა კუნძულ მავრიკიზე, სადაც 1980-1985 წლებში ბუნებრივი მატების ტემპი 3,2%-დან 1,9%-მდე შემცირდა .

დემოგრაფიული პოლიტიკა ლათინურ ამერიკაში

დემოგრაფიული განვითარების თვალსაზრისით ლათინური ამერიკა ძალზე არაერთგვაროვანი რეგიონია. დემოგრაფიული პროგრამებისა და ინსტიტუტების შექმნის ისტორია ამ კონტინენტზე ძალზე ხანმოკლეა, ხოლო 1980-იანი წლების მეორე ნახევრამდე იგი საერთოდ არ ვრცელდებოდა მის ყველა ქვეყანაზე. დემოგრაფიული ზომების მიღებას აქ ამუხრუჭებდა კათოლიკური ეკლესია, რომელიც ყველა დონეზე – საკანონმდებლოდან მასობრივ შეგნებამდე – უპირისპირდებოდა რაიმე დემოგრაფიული პოლიტიკის წარმოებას. მაგრამ 1970-იან წლებში აქაც მოხდა არსებული რეალობის გათვალისწინებაზე დაფუძნებული გარდატეხა. კერძოდ, კონტრაცეპციის ფართო გავრცელებას ადგილი ჰქონდა მექსიკაში, სადაც დემოგრაფიული პოლიტიკა აღმავლობას განიცდის. გარკვეული დემოგრაფიული ზომები გატარდა ასევე კოლუმბიასა და ბრაზილიაში. კონტინენტის მთელ რიგ ქვეყნებში (პერუ, გვატემალა, გაიტი, ბოლივია, პარაგვაი და სხვა) XX საუკუნის ბოლოსთვისაც კი საერთოდ არ წარმოებდა რაიმე დემოგრაფიული პოლიტიკა.

7. რა უნდა გაკეთდეს დეპოპულაციის დასაძლევად საქართველოში

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, შესაძლოა უტოპიურად ჟღერდეს არსებული ვითარების დაძლევისთვის რაიმე გამოსავლის შესაძლებლობა, თუმცა ჩემი როგორც დემოგრაფის ვალია ვისაუბრო შესაძლებლობებზე და ვიმედოვნო, რომ ჩვენ ყველანი შევძლებთ და სრულად თუ არა ნაწილობრივ მაინც გავითვალისწინებთ ქვემოთ ჩამოთვლილ რეკომენდაციებს. იმ ფაქტორთა შორის, რომელთაც ძალუძთ, როგორც საქართველოში მთლიანად, ისე მის თითოეულ რეგიონში დემოგრაფიული ვითარების რამდენადმე მაინც გაჯანსაღება აღსანიშნავია:

- ოჯახში ოპტიმალური ოდენობით ბავშვთა ყოლის მოთხოვნების ფორმირება და შესაბამისი რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის ჩამოყალიბება, რაც თავის მხრივ უაღრესად ძნელად მისაღწევი და შედეგის მოგვიანებით მომტანი, მაგრამ ამავე დროს შობადობის ოპტიმიზაციის ყველაზე ეფექტიანი მიმართულებაა.

- შობადობის რიცხოვნობის გაზრდის მატერიალური წახალისება, რომელშიც ძირითადად შობადობის გაზრდისთვის სახელმწიფოს მხრიდან ერთჯერადი და ყოველთვიური ფულადი დახმარების გაწევა იგულისხმება. რაც საკმაოდ ეფექტურია საქართველოს მსგავსი ქვეყნებისთვის, რომლებიც ბავშვების სასურველი რაოდენობის გაჩენისგან თავს ძირითადად მატერიალური მიზეზის გამო იკავებენ თავს.

- საცხოვრებელი უზრუნველყოფა. ცხადია ოჯახები, რომლებიც განიცდიან საცხოვრებელი ფართის დეფიციტს რამდენიმე თაობის წარმომადგენლებს ერთ ოჯახად უწევთ ცხოვრება, ამ ვითარებასთან დაკავშირებული სირთულეების გამო, დიდი სურვილის არსებობის შემთხვევაშიც თავს იკავებენ მრავალშვილიანობისგან და კმაყოფილდებიან ერთი ან ორი შვილით. ეს კი რაღა თქმა უნდა სახელმწიფოს პრეოგატივაა, რაც ნათლად უნდა აისახოს მის სამოქმედო პროგრამაში

- ასევე კანონის მიღება იმის თაობაზე, რომ დედეებს, რომლებიც ზრდიან სამ და მეტ შვილს, მოთხოვნისამებრ, ნება დაერთოთ, რომ ისარგებლონ შეკვეცილი სამუშაო დღით ან კვირით, მცოცავი გრაფიკით. შვებულება და პენსიაზე გასვლის ასაკი განესაზღვროთ შვილების ოდენობის გათვალისწინებით და მიეცეთ შინ მუშაობის უფლება

- სახელწიფოს მხრიდან სპეციალური პროგრამების შემუშავება, რომელიც დაასაქმებს მოსახლეობის უმუშევარ პირებს სპეციალობის მიხედვით, რაც მინიმუმამდე შეამცირებდა ახალგაზრდების გარე შრომით მიგრაციას.

- უშვიალობის შემთხვევაში სახელწიფოს მხრიდან მატერიალური დახმარება დამკურნალობასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის საკუტარ თავზე აღება.

- მშობიარეთათვის უფასო მომსახურების შემოღება უკლებლივ ყველა სოციალური ჯგუფისთვის.

- ოჯახში შვილების რაოდენობასთან მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის მიზმა. როცა ადამიანს ეცოდინება, რომ მისი პენსია

დამოკიდებულია შვილების რიცხოვნობაზე. ამით უფრო მეტი შვილის გაჩენისა და აღზრდის სტიმული მიეცემა მას

- სოფლად ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, რომელიც ხელს შეუწყობს უმაღლესი და საშუალო განათლების მქონდე ახალგაზრდა კადრების ადგილზე დამაგრებას და ჯანსაღ გარემოში შვილების სასურველი ოდენობით აღზრდას

- ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის მეთოდების (აბორტების) ჩვენი ცხოვრების პრაქტიკიდან აღმოფხვრა, გარდა ობიექტური მიზეზებით განპირობებული გამონაკლისებისა.

როგორც მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, ამ მწვავე პრობლემის შედარებით უმტკივნეულოდ გადაჭრის ერთადერთი გზაა ოჯახში ბავშვთა რიცხოვნობის კონტრაცეპტივების გამოყენებით დარეგულირება. ქმედით ღონისძიებათა განხორციელება მოსახლეობის გენოფონდის გამანადგურებელი სოციალური ანომალიების (ნარკომანია, პროსტიტუცია, ლოთობა) წინააღმდეგ, რომლებიც ხელს უწყობენ, არა მხოლოდ შობადობის შემცირებას, არამედ არაჯანსაღი ბავშვების დაბადებას და ადრეულ ასაკში მათ გარდაცვალებას.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით და შესაბამისად შემუშავებული დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებით ნამდვილად შესაძლებელია არსებული პრობლემების შემცირება და შემდგომ უკვე მოსახლეობის ზრდაზე ფიქრი.

დასკვნა

როგორც ნაშრომში მოტანილი ფაქტობრივი მასალის ანალიზი ცხადყოფს, დღეისთვის საქართველო განიცდის ღრმა დემოგრაფიულ კრიზისს. ეს პროცესი ნათელ გამოხატულებას პოულობს შობადობის მკვეთრად დაცემასა და მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის სწრაფი ტემპებით ზრდაში, რომლის გარდაუვალი შედეგია დეპოპულაცია (მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოება). ნაშრომში შევეცადეთ განხილულიყო ამის განმსაზღვრელი ძირითადი მიზეზები და დემოგრაფიული კრიზისის შენელების გზები: ეკონომიკის აღორძინება, მრავალ-შვილ-ლიანობის მატერიალური სტიმუ-ლირება, ინფრასტრუქტურის განვი-თარება, სამუშაო ძალის მიგრაციის შეჩერება და სხვ.წარმოდგენილ მასალებსა და ექსპერტთა შეფასებებზე დაყრდნობით, საქართველოს, ერთი მხრივ, გააჩნია დაბალგანვითარებული ქვეყნებისათვის დამახასი-ათებელი პრობლემები და, მეორე მხრივ, ხასიათდება განვითარებული ქვეყნისათვის დამახასიათებელი დემოგრაფიული ქცევით, რაც ქვეყნის დემოგრა-ფიულ პრობლემებს კიდევ უფრო აღრმავებს. საქართველოში მდგომარეობას ართულებს ის, რომ დღეისათვის ერთდროულად დგას როგორც მოსახლეობის შემცირების, ისე დაბერების ზრდის პრობლემა. ეს ხდება მაშინ, როცა საქართველოს ეკონომიკის მსგავსი ქვეყნებისათვის დამახასიათებელია მოსახ-ლეობის სიჭარბე, ხოლო დაბერება განვითარებული ეკონომიკური ქვეყნების მახასიათე-ბელია.

ქვეყანაში დარღვეულია შიდა და გარე მიგრაციული პროცესები, მაღალია იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა და მძიმეა მათი

უმრავლესობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, აღინიშნება უარყოფითი მიგრაციული საღდო, მძიმეა საქართველოდან გასული მიგრანტების უდიდესი ნაწილის ხვედრი, აღინიშნება მოსახლეობის ეკონომიკურად აქტიური ნაწილის შემცირება, იზრდება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის სივრცული განაწილების დისბალანსი, ხდება მთიანი რეგიონის დეპოპულაცია (2002 წლის აღწერით 162 საზღვრისპირა სოფელი პრაქტიკულად ცარიელია). ჩვენი გამოთვლით მოსახლეობის დეპოპულაციის განვითარების სიღრმის სკალის მიხედვით საქართველოში აღინიშნება ძლიერი დეპოპულაციის საწყისი დონე და შეადგენ -2,2, ხოლო დეპოპულაციის კოეფიციენტი საქართველოში 2016-2017 წლების მიხედვით, -0,059. ამასთან, ბოლო მონაცემები ცხადყოფს, რომ საქართველოში არსებული დემოგრაფიული მდგომარეობა გაცილებით მეტად გაუარესდა, ვიდრე ამას უცხოელი სპეციალისტები მოელოდნენ. გაეროს ყველაზე პესიმისტური გათვლებით, 2030 წლისთვის საქართველოს მოსახლეობა 4 მილიონ 900 ათასზე ქვემოთ არ უნდა ჩამოსულიყო, არსებული მონაცემებით კი, მოსახლეობის საერთო რაოდენობა დღეისათვის უკვე 4 მილიონ-ნახევრამდეა შემცირებული. გაუარესებულია გაეროს მიერ პროგნოზირებული სხვა დემოგრაფიული მაჩვენებლებიც. მოსახლეობის შემცირების წლიურმა საღდომ 5 ათასის ნაცვლად 27 ათასი შეადგინა, ბუნებრივი მატება, რომელიც 3%-ით უნდა გაზრდილიყო, მხოლოდ 0,2%-ით გაიზარდა. მოსახლეობის გარემიგრაცია წლიურად 20 ათას გამსვლელზე მეტი არ უნდა ყოფილიყო, არსებული მონაცემებით კი ქვეყნიდან გამსვლელთა ყოველწლიური საღდო 27 ათასია. არსებული ვითარების შეცვლა, დეპოპულაციასთან ბრძოლა

მხოლოდ სწორად შემუშავებული და განხორციელებული დემოგრაფიული პოლიტიკის გზითაა შესაძლებელი.

გამოყენებული ლიტერატურა

დემოგრაფიული სტატისტიკა სახელმძღვანელო თბ. 2016, 174

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები საქართველოში 2016

სულაბერიძე ა., ფიქრები ქართულ ოჯახსა და დემოგრაფიაზე. თბილისი, 2007, 14-18

სულაბერიძე ა., ვ. სულაბერიძე. მოსახლეობის აღწარმოების უახლესი ტიპის ფაზათაშორისი და ტიპთაშორისი გარდამავალი პერიოდის შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის შრომების კრებული: “დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები”, ტ. II, თბ., 2004, 69.

ფუტკარაძე მ., მსოფლიოს მოსახლეობის ზრდა _ პერსპექტივა თუ პრობლემა? შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი N1. იანვარი. 2013. .9

შამუგია მ., საქართველოში მიმდინარე მოსახლეობის მიგრაციული პროცესები მსოფლიო გლობალიზაციის ფონზე//კრებული მიგრაციული პროცესები თანამედროვე გლობალიზებად მსოფლიოში თსუ, თბ. 2005, 20-21

წულაძე, გ. (2012), დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 2005, გვ. 184.

წულაძე, გ. და სულაბერიძე, ა. დემოგრაფიის საფუძვლები სახელმძღვანელო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი თბ. 2015, 316-339

მეუფე ანანია, საქართველოს დეპოპულაცია გვ. 251-257<http://meufeanania.info/depopulacia-1/>

ქეთევან ნადიბაძე, საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა დღეს.
<https://qilipa.wordpress.com/2011/05/30/%E1>

საქართველო მსოფლიოს ყველაზე უპერსპექტივო ერების სიაში
http://www.sazogadoeba.ge/index.php?post_id=16

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [www. Geostat.ge](http://www.Geostat.ge)

Landry A. La revolution demographique. P., 1934, p. 203

Иванов С. Новое лицо брака в развитых странах. Информационный бюллетень Центра демографии и экологии человека Института народнохозяйственного прогнозирования РАН, № 63, июнь, 2002, с. 525-526.

Гундарев И.А. Демографическая катастрофа в России: причины, механизм, пути преодоления. М., 2001, с. 205.

Народонаселение. Энциклопедический словарь. М., 1994, с. 691.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Lana Alania

Depopulation in Georgia from the 90s till to now

Demography and Population Geography

Master's thesis is submitted to obtain the degree of Master in Demography and
Population Geography

Supervisor: Anzor Sakhvadze
Associated Professor

Tbilisi 2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

მარიამ ღამბაშიძე

რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის ევოლუცია საქართველოში

დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის მიმართულება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დემოგრაფიისა და მოსახლეობის
გეოგრაფიის მიმართულების მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ანზორ სახვაძე
ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2017

ანოტაცია

მოცემულ სამაგისტრო ნაშრომში, „რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის ევოლუცია საქართველოში“, განხილულია რეპროდუქციული ორიენტაციების ცვლილება, გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დღემდე. თემა არჩეულია საკითხის აქტუალობის გათვალისწინებით. საქართველოს მოსახლეობისთვის დამახასიათებელი დემოგრაფიული მაჩვენებლები მოწმობს, რომ ქვეყანა განიცდის მწვავე დემოგრაფიულ კრიზისს. გასული საუკუნის მიწურულიდან, საქართველოში დემოგრაფიული სიტუაცია ძალიან დამძიმდა, რამაც გამოხატულა ჰპოვა, უწინარეს ყოვლისა, შობადობის მკვეთრად შემცირებაში. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად, საჭიროა მისი საწყისების ძიება, პროცესის ევოლუციისთვის თვალის გადავლება და იმ ფაქტორების გამოვლენა რომლებიც განაპირობებს შობადობის ფაქტობრივ მდგომარეობას. ამ ყოველივეს კი რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის ცვლილება უდევს საფუძვლად.

მოსახლეობის რეპროდუქციული ორიენტაციების შესწავლა შესაძლებელია სოციო-დემოგრაფიული კვლევებისა და მათი შედეგების ანალიზის მეშვეობით. შესაბამისად, ნაშრომის მიზანს, ერთი მხრივ, წარმოადგენს რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის თემატიკაზე ჩატარებული კვლევების განხილვა და მათი შეპირისპირებული ანალიზი, არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ჩვენება და ახსნა; მეორე მხრივ კი, ნაშრომის მიზანია, 2017 წელს, ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის - „რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის კვლევა ახალგაზრდებში“ შედეგების ჩვენება და გაანალიზება, ახალგაზრდების (18-35 წლის კატეგორია) რეპროდუქციული ორიენტაციებისა და მათი დამოკიდებულების გამოვლენა/შეფასება შობადობის, ქორწინების, ბავშვის სქესის, გენდერული როლის, ქორწინების გარეშე ბავშვის გაჩენისა და შობადობაზე მოქმედი სხვა ფაქტორების მიმართ და შობადობის საკითხებში სახელმწიფოს როლის განსაზღვრა.

ახალგაზრდების რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის კვლევა ძალზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან სწორედ ისინი არიან / გახდებიან XXI საუკუნის საქართველოში სოციალურ-კულტურული და პოლიტიკურ-ეკონომიკური ცხოვრებისა და რაღა თქმა უნდა თაობათა აღწარმოების მთავარი სუბიექტები / აქტორები. ვინაიდან შობადობა მოსახლეობის

აღწარმოების ერთ-ერთი წარმმართველი და უმნიშვნელოვანესი შემადგენელი კომპონენტია, შესაბამისად, ახალგაზრდების რეპროდუქციული განწყობებისა და ქცევის შესწავლა, მიმდინარე პროცესების ანალიზი და სამომავლო ტენდენციების განსაზღვრა, ყველა დროში არსებითია, განსაკუთრებით კი დღეს, როდესაც მოსახლეობის კლება ასე თვალშისაცემია. დღის წესრიგში დგება ეფექტიანი და მიზანმიმართული დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, რაც წარმოდგენელია მოსახლეობის რეპროდუქციული ორიენტაციების სიღრმისეული შესწავლის გარეშე. სამწუხაროდ, დღეს დღეობით, აღნიშნულ საკითხს სათანადო ყურადღება არ ექცევა და უგულვებელყოფილია სახელმწიფოს მხრიდან.

წარმოდგენილი ნაშრომის სიახლედ უნდა ჩაითვალოს კვლევის შედეგად მიღებული (2017 წლის კვლევა) და არსებული შედეგების შეპირისპირებით პარალელების გავლება წარსულსა და დღევანდებობას შორის, იმ ძირითადი ტენდენციებისა და ასპექტების გამოყოფა, რომლებმაც განიცადეს ცვლილებები ნახევარი საუკუნის მანძილზე და რამაც შედეგად მოგვცა ის სურათი, რომელმაც საქართველო დემოგრაფიული კრიზისის წინაშე დააყენა. არსებულ კრიზისს კი, მისი გამომწვევი მიზეზების კვლევა, გადაუდებელი ჩარევა და დაძლევა სჭირდება.

The Evolution of Reproductive Disposition and Behaviour in Georgia

Abstract

The purpose of the master's thesis "The Evolution of Reproductive Disposition and Behaviour in Georgia" is to analyze the changes of reproductive orientations from the 70s of the last century to the present day. The topic was chosen due to its actuality. Demographic indicators of Georgian population show that the country is in a severe demographic crisis. From the end of the last century, the demographic situation in Georgia has been worsened, that, first of all, has dramatically reflected in the decrease of the childbirth. To find the solution, it is essential, to find the source of the problem, to trace the evolution of the process and to display the factors determining the actual condition of fertility and the changes of the reproductive disposition and behaviour are the bases for it.

The study of reproductive orientations of the population is possible with the help of the social-demographic researches and analysis of their results. Accordingly, the aim of this thesis, on the one hand, is to analyze and compare the existing researches about the issues of reproductive disposition and behaviour, showing and explaining their causal connections. On the other hand, the thesis aims to demonstrate and examine the results of the research "Survey of Reproductive Disposition and Behaviour of the Youth" (conducted by me, in 2017) to reveal the reproductive orientations and attitudes of the youth (18-35 age category) towards to childbirth, marriage, gender of child, gender roles, extra-marital birth and other factors effecting on the childbirth, as well as to define the role of the state in this area.

The study of the youth reproductive disposition and behaviour is very important, because this generation will become/already is the main actor of social-cultural and political-economic life and the renewal of generation of XXI century's Georgia. Studying the youth reproductive dispositions and behaviours, analyzing the current processes and determining the future tendencies are essential in any time because the childbirth is one of the most important and leading component in generation

renewal, especially today, when the decrease in population is so striking. Developing and implementing an effective and purposeful demographic policy is becoming urgent, although doing so would be impossible without an in-depth study of reproductive orientations of the population. Unfortunately, nowadays, this issue is not under the proper consideration and is ignored by the state.

The novelty and innovation demonstrated by the thesis are making the comparable parallels between the results of the present (conducted in 2017) and former surveys, between past and present and underlining the main tendencies and aspects that have been changed during the half century and that drove Georgia into the demographic crisis. The existing crisis needs a deep research of its causes and an urgent intervention to solve and overcome it.

შინაარსი

1. შესავალი	8
1.1. საკითხის აქტუალობა.....	8
1.2. ნაშრომის მიზანი	9
2. რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის რაობა	10
2.1. განწყობა და განწყობის თეორია	10
2.2. რეპროდუქციული განწყობა.....	12
ბავშვების იდეალური რაოდენობა.....	14
ბავშვების სასურველი რაოდენობა.....	14
ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა.....	15
2.3. რეპროდუქციული ქცევა	16
2.4. რეპროდუქციული ქცევისა და მისი ევოლუციის სქემა.....	18
3. რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის თემატიკაზე ჩატარებული კვლევების მიმოხილვა 1969 წლიდან დღემდე	20
1969 წელი, რეპროდუქციული განწყობის პირველი რესპუბლიკური კვლევა.....	21
1972 წლის კვლევა.....	23
1969-1972 წლების სტუდენტების კვლევა.....	23
1980 წლის კვლევა.....	25
1984-1990 წლების მოსწავლეთა რეპროდუქციული ორიენტაციების კვლევები.....	26
1984 წლის მოსწავლეთა I კვლევა, თბილისი	27
1990 წლის მოსწავლეთა კვლევა, თბილისი.....	27
1987-1990 წლების მოსწავლეთა რეპროდუქციული ორიენტაციების პანელური კვლევები, თბილისი	28
1990-იანი წლები	30
1996 წლის კვლევა.....	32
1998 წლის კვლევა.....	35
2002 წლის სტუდენტების კვლევა	35
2003 წლის კვლევა, გორის რეგიონი.....	38
1999-2005-2010 წლების რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევები.....	40
2013 წლის კვლევა.....	45
4. „რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის კვლევა ახალგაზრდებში“ (2017 წელი)	49
4.1. საკითხის აქტუალობა და კვლევის მიზანი	49
4.2. მეთოდოლოგია.....	50

კვლევის მეთოდი და ინსტრუმენტი.....	50
შერჩევა.....	51
ანალიზის ტექნიკა.....	51
კვლევის შეზღუდვები	51
ეთიკური საკითხები	52
5. „რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის კვლევა ახალგაზრდებში“ - შედეგები.....	53
5.1. დემოგრაფიული ბლოკი	53
5.2. ქორწინების მიმართ დამოკიდებულება	56
ქორწინების ასაკი.....	58
ქორწინებისა და სქესის ურთიერთმიმართება.....	60
5.3. რეპროდუქციული განწყობა და ქცევა.....	61
ბავშვების იდეალური რაოდენობა.....	61
ბავშვების სასურველი რაოდენობა.....	63
ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა.....	64
ბავშვების ფაქტობრივი რაოდენობა.....	66
ბავშვების მოსალოდნელი (კიდევ) რაოდენობა (ბავშვიანი ოჯახებისთვის)	66
5.4. დამოკიდებულება ბავშვების რაოდენობასთან მიმართებაში	67
5.5. ბავშვების ყოლის ხელისშემშლელი ფაქტორები.....	68
5.6. თაობებს შორის რეპროდუქციული ქცევის ევოლუცია	71
5.7. დამოკიდებულება ქორწინების გარეშე ბავშვის ყოლის მიმართ.....	73
5.8. გენდერული როლი ბავშვების ყოლისა და ბავშვების სქესის მიმართ	78
5.9. დამოკიდებულება აბორტის მიმართ.....	80
5.10. დემოგრაფიული ვითარებისა და მასში სახელმწიფოს როლის შეფასება	82
5.11. სახელმწიფოს მიერ შობადობის წასახალისებლად გასატარებელი ღონისძიებები.....	84
5.12. 2017 წლის კვლევის შედეგების შემაჯამებელი ანალიზი.....	89
6. რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის ევოლუცია - კვლევების შედარებითი ანალიზი	93
7. დასკვნები და რეკომენდაციები.....	104
ბიბლიოგრაფია	109
დანართი.....	112

1. შესავალი

1.1. საკითხის აქტუალობა

თანამედროვე მსოფლიოს წინაშე მდგარ გლობალურ პრობლემათა შორის ერთ-ერთ პრობლემას დედამიწის მოსახლეობის სწრაფი ზრდა წარმოადგენს. მსოფლიო მოსახლეობის მაღალი ზრდის ტემპის ფონზე, საქართველოში საპირისპირო ტენდენციაა - მოსახლეობა სწრაფი ტემპით კლებულობს.

დემოგრაფიული განვითარების თვალსაზრისით, სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობა სხვადასხვა ფაზაში იმყოფება, რომელთა გავლასაც განსხვავებული პერიოდები სჭირდება. დემოგრაფიაში, მოსახლეობის აღწარმოების მნიშვნელოვანი თვისებრივ-რაოდენობრივი ცვლილებების ასახსნელად გამოიყენება დემოგრაფიული გადასვლის კონცეფცია. აღნიშნული კონცეფციის მიხედვით, საქართველო 60-იანი წლებიდან მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის მესამე ფაზაში იმყოფებოდა, რომლისთვისაც დამახასიათებელია შობადობის შემცირება და მოკვდაობის ზრდა (ეს უკანასკნელი უმეტესად გამოწვეულია ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებით, მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერებით). შობადობის შემცირება თანდათან ნელდება და მესამე ფაზის ბოლოს მარტივი აღწარმოებისთვის¹ საჭირო დონეს (შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი უტოლდება 2.1-ს, შობადობის ზოგადი კოეფიციენტი კი - 13.7‰-ს) აღწევს. თუმცა მოკვდაობა მაინც შობადობაზე ნაკლებია. მომდევნო მეოთხე ფაზისთვის კი დემოგრაფიული სიტუაციის კიდევ უფრო გაუარესებაა მოსალოდნელი (წულაძე, მელაძე და გაჩეჩილაძე, 1997). მოსახლეობის აღწარმოების მეოთხე ფაზის დროს მოკვდაობა იზრდება და აღწევს შობადობის დონეს (დაახლოებით 13‰-ს), რითაც დემოგრაფიული

¹ მოსახლეობის აღწარმოების ისეთი რეჟიმი, როდესაც მომდევნო და წინა თაობის რაოდენობა ტოლია (დაახლოებით) (წულაძე გ., 2012).

სტაბილიზაციის პროცესი უნდა დამთავრდეს, მოსახლეობის ზრდა უნდა შეწყდეს და ერთ უცვლელ დონეზე დარჩეს² (წულაძე გ. , 2012).

2010 წელს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდმა, საქართველოში ჩაატარა კვლევები, რომლის მიხედვითაც 2050 წლისთვის, საქართველოს, დემოგრაფიული კატასტროფა ემუქრება. ქვეყნის მოსახლეობა 28%-ით, ანუ 1 170 000 კაცით შემცირდება. კავკასიაში საგრძნობლად ირღვევა დემოგრაფიული ბალანსი. ამ დროისთვის, აზერბაიჯანის მოსახლეობა 33%-ით, ხოლო სომხეთის მოსახლეობა 7%-ით გაიზრდება. USAID-ის მონაცემებით, 232 ქვეყანას შორის, საქართველო, მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების ტემპით, მე-16 ადგილზეა, შობადობის დონით კი - 174-ზე (დლონტი, 2013).

საქართველოს მოსახლეობის შობადობის, მოკვდაობის, ბუნებრივი მატების, ქორწინებისა და გარე მიგრაციის მონაცემები მოწმობს, რომ საქართველოს მოსახლეობა განიცდის მწვავე დემოგრაფიულ კრიზისს. დღის წესრიგში დგება ეფექტიანი და მიზანმიმართული დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება.

1.2. ნაშრომის მიზანი

სამაგისტრო კვლევა ორ მიზანს მოიცავს: პირველი - რეპროდუქციული განწყობისა და რეპროდუქციული ქცევის ევოლუციის შესწავლა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული - დღემდე, ჩატარებული კვლევების განხილვისა და ანალიზის საფუძველზე; და მეორე - ამ კუთხით, დღეს არსებული სიტუაციის შესწავლა ჩემს მიერ ჩატარებულ კვლევაზე - „რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის კვლევა ახალგაზრდებში“ (2017 წ.) - დაყრდნობით.

წარმოდგენილი ნაშრომი ითვალისწინებს, არსებული და მიღებული შედეგების შეპირისპირებით წარსულსა და დღევანდელობას შორის პარალელების გავლებას; იმ

² დემოგრაფების ნაწილი მიიჩნევს, რომ IV ფაზის დასრულების შემდეგ მოსალოდნელია V ფაზის დადგომა (რომლის დროსაც შობადობის ძლიერი კლების შედეგად იწყება მოსახლეობის რაოდენობის შემცირება); ნაწილი კი მიიჩნევს, რომ IV ფაზის დასრულების შემდეგ მოსალოდნელია მოსახლეობის თვისებრივად ახალი აღწარმოების ტიპი, რომლის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანიც იქნება დეპოპულაცია (წულაძე გ. , 2012).

ძირითადი ტენდენციებისა და ასპექტების გამოყოფას, რომლებმაც განიცადეს ცვლილებები, და რამაც შედეგად მოგვცა ის სურათი/რეალობა, რომელმაც საქართველო დემოგრაფიული კრიზისის წინაშე დააყენა. კრიზისს კი, მისი გამომწვევი მიზეზების კვლევა, გადაუდებელი ჩარევა და დამლევა სჭირდება.

2. რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის რაობა

ნებისმიერი საკითხის შესწავლისას - ჩვენ შემთხვევაში კი რეპროდუქციული ორიენტაციების შესასწავლად, უმნიშვნელოვანესია, ძირითადი ტერმინების/ცნებებისა და დებულებების შინაარსის წვდომა, რათა ცხადი და გასაგები გახდეს კვლევის შინაარსი, გამოთქმული მოსაზრებები, შედარებითი ანალიზი და დასკვნები, რომლებზე დაყრდნობითაც წარმოდგენილი იქნება ნაშრომში დასმული პრობლემები და რეკომენდაციები.

ამ თავში მიმოვიხილავ რეპროდუქციული განწყობისა და რეპროდუქციული ქცევის არსს და იმ ძირითად კატეგორიებსა და ტერმინებს, რომლებიც ასახავს დემოგრაფიულ პროცესებს: განწყობა და განწყობის თეორია, რეპროდუქციული განწყობა და მისი გამომხატველი კატეგორიები (ბავშვების იდეალური, სასურველი და მოსალოდნელი რაოდენობა), „ბავშვის ყოლის მოთხოვნილება“, რეპროდუქციული ქცევა, რეპროდუქციული ქცევისა და მისი ევოლუციის სქემა.

2.1. განწყობა და განწყობის თეორია

ტერმინი „განწყობა“ შემოიღო და დანერგა ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებელმა, დიმიტრი უზნაძემ (1886-1950). XX საუკუნის 30-40-იან წლებში ის ამუშავებდა და 1940 წელს გამოსცა ნაშრომი „განწყობის ფსიქოლოგია“, რომელშიც

ექსპერიმენტული კვლევების საფუძველზე გამოიკვლია ადამიანის მიზანმიმართული აქტივობის (ქცევის) დინამიური საწყისი.

დიმიტრი უზნაძემ იკვლია და გამოავლინა ამ საწყისის ერთ-ერთი განზომილება - ქცევის გარკვეული ფორმისადმი ინდივიდის წინასწარი მზაობის მდგომარეობა, რომელსაც განწყობა უწოდა. განწყობის ერთიანი ბუნების შესწავლა დიმიტრი უზნაძის მიერ შექმნილი ფსიქოლოგიური სკოლის კვლევის სპეციფიკური საგანი გახდა. დადგინდა განწყობის სახეები; ამავდროულად გაირკვა, რომ ამა თუ იმ ინდივიდს ახასიათებს განწყობის ცალკეულ განზომილებათა სხვადასხვაგვარი ერთობლიობა.

განწყობის თეორიის მიხედვით, განწყობის წარმომქმნელი ფაქტორები გახლავთ: მოთხოვნილება და სიტუაცია. მოთხოვნილებისა და მისი დაკმაყოფილების სიტუაციის თანხვედრის შედეგად წარმოიქმნება განწყობა გარკვეული ქცევის შესრულებისადმი. ამრიგად, ქცევა წარმოდგენილია როგორც განწყობის ფაქტორებით განსაზღვრული და ამავდროს მიზანმიმართული მოქმედება (უზნაძე, 1949). განწყობის თეორიის შემდგომ განვითარებასა და სრულყოფაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა შ. ნადირაშვილმა.

რომ შევაჯამოთ, განწყობა ეწოდება შინაგან მზაობას რაიმე ქცევის განსახორციელებლად, რომლის დროსაც ხდება საჭირო უნარების გააქტიურება და მობილიზება, ფსიქიკის გადაწყობა, რათა ინდივიდმა საჭირო ქცევის განხორციელება მოახერხოს. განწყობა რამდენიმე ფაქტორისგან შედგება, ესენია: სუბიექტური მოთხოვნილება (S) ანუ ის, თუ რისი დანაკლისი აქვს ორგანიზმს, რა სურს და ობიექტური გარემო (O), რომელიც ორგანიზმის უშუალო, ობიექტურ გარემოს გულისხმობს. მოგვიანებით, შოთა ნადირაშვილმა, ასევე გამოყო მესამე ფაქტორი (F) - იგივე ოპერაციული შესაძლებლობები. აქ მოიაზრება ის უნარები და ფუნქციური შესაძლებლობები, რომლებიც აქვს ან არა აქვს ინდივიდს მიზნის მისაწევად.

არსებობს განწყობის სხვადასხვა ცნებები: ფსიქოლოგიური განწყობა, სოციოლოგიური განწყობა, მოტორული განწყობა და სხვა. განწყობის თეორია, დემოგრაფიული პროცესების სპეციფიკის გათვალისწინებით, გამოყენებულ იქნა დემოგრაფიულ კვლევებში და შესაბამისად დამკვიდრდა დემოგრაფიული განწყობის ცნებაც.

დემოგრაფიული განწყობა წარმოადგენს პიროვნების დამოკიდებულებას დემოგრაფიული პროცესების მიმართ. მათ შორის გამოიყოფა რეპროდუქციული განწყობა (დამოკიდებულება შობადობის მიმართ), საქორწინო განწყობა, მიგრაციული განწყობა და სხვა. დემოგრაფიული განწყობისა და დემოგრაფიული ქცევის ცენტრალური საკითხი გახლავთ რეპროდუქციული განწყობა და რეპროდუქციული ქცევა. აღნიშნული კატეგორიები ახასიათებს ადამიანების შეხედულებებს ბავშვთა რაოდენობისა და მათი დაბადების დროის შესახებ (ხმალაძე, 1981).

2.2. რეპროდუქციული განწყობა

რეპროდუქციული განწყობის გამოვლენა და შესწავლა შესაძლებელია საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის საფუძველზე - სოციოლოგიურ-დემოგრაფიული კვლევებით, რომლის დროსაც დგინდება რესპონდენტების აზრი ოჯახში ბავშვთა იდეალური, სასურველი და მოსალოდნელი რაოდენობის შესახებ. ასეთი კვლევებიდან მიღებული მასალის საშუალებით შესაძლებელია, როგორც შობადობის სოციალურ-ფსიქოლოგიური მექანიზმებისა და თანამედროვე რეპროდუქციული სიტუაციის შესწავლა და შეფასება, აგრეთვე წარმოადგენს მნიშვნელოვან კრიტერიუმს შობადობის დინამიკის მოსალოდნელი ტენდენციების განსაზღვრაში (ხმალაძე, 1981).

დემოგრაფიული განწყობა შეიძლება განვმარტოთ როგორც პიროვნების დამოკიდებულება დემოგრაფიული პროცესების მიმართ, რომელშიც განასხვავებენ საქორწინო განწყობას, რეპროდუქციულ განწყობას (დამოკიდებულება შობადობის მიმართ) და სხვა (ხმალაძე, 1981). რეპროდუქციული განწყობა კი წარმოადგენს ადამიანის მზადყოფნას ფსიქოფიზიკური აქტივობისთვის, რომელიც მიმართულია „ბავშვის ყოლის მოთხოვნილების“ დაკმაყოფილებისაკენ. რეპროდუქციული განწყობა წინ უსწრებს რეპროდუქციულ ქცევას, წარმოადგენს გარკვეული სახის მზადყოფნას და განსაზღვრავს რეპროდუქციული ქცევის მიმდინარეობას. რეპროდუქციული განწყობის აღმოცენების აუცილებელ პირობებს წარმოადგენს „ბავშვის ყოლის მოთხოვნილება“, შესაბამისი

სიტუაციისა და ოპერაციული შესაძლებლობების არსებობა, მათი ურთიერთდამთხვევა და ერთდროული ზემოქმედება. რეპროდუქციულ განწყობაში ასახულია ყველა ეს ფაქტორი და შესაბამისად, მის საფუძველზე განხორციელებული ქცევა მიზანშეწონილობით ხასიათდება (წულაძე გ. , 2012). განვიხილოთ თოთოეული ეს ფაქტორი.

„ბავშვის ყოლის მოთხოვნილება“ დემოგრაფიაში განიმარტება, როგორც ადამიანის მდგომარეობა, რომელიც წარმართავს მას ბავშვების ყოლისთვის. „ბავშვის ყოლის მოთხოვნილებამ“ ძველი დროიდან დღემდე ევოლუცია და ტრანსფორმაცია განიცადა. აზროვნება, რომელიც ადამიანისთვის ხდება დამახასიათებელი, განასხვავებს მას ცხოველისგან და გაჩენის მოთხოვნილებას (გაჩენის ფუნქციური მექანიზმის აქტივობის ქმედებაში მოყვანა) სხვა საფუძველიც უჩნდება. ადამიანი იწყებს გაჩენის მოთხოვნილების გაცნობიერებას, რაც საზოგადოების განვითარებასთან ერთად სულ უფრო დიდ როლს თამაშობს. საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და სოციალური მემკვიდრეობის განვითარების კვალდაკვალ, გაჩენის მოთხოვნილება ტრანსფორმაციას განიცდის და იცვლება ბავშვების ყოლის მისწრაფებით. ეს უკანასკნელი კი, ადამიანს სოციალური გარემოს ზემოქმედებით უყალიბდება და ერთგვარ შექმნილ ტენდენციას წარმოადგენს. ადამიანი ხედავს რა, რომ მის გარშემომყოფთ ბავშვები ჰყავთ, თვითონაც იძენს შესაბამის გამოცდილებას და უმუშავდება შესაბამისი გაცნობიერებული მისწრაფება. „ბავშვის ყოლის მოთხოვნილების“ ჩამოყალიბება ადრეულ ასაკში იწყება. განსაზღვრულ, დასრულებულ სახეს კი დაქორწინებისა და ცოლ-ქმრული ცხოვრების რამდენიმე წელიწადში (1-2) ღებულობს, რის შემდეგაც აღარ იცვლება (წულაძე გ. , 2012).

რაც შეეხება რეპროდუქციული განწყობის აღმოცენებისთვის საჭირო სიტუაციასა და ოპერაციულ შესაძლებლობას, არსებული სინამდვილიდან გამომდინარე, ისინი საკმაოდ ფართო საზღვრებში ვარირებს. სიტუაციაში იგულისხმება მეუღლეებს შორის ურთიერთობა, სხვადასხვა ყოფითი და ცხოვრებისეული პირობები. ოპერაციული შესაძლებლობა კი შეიძლება განსაზღვრულ იქნას ასაკით და მისგან გამომდინარე თავისებურებებით, ჯანმრთელობის მდგომარეობითა და რაღა თქმა უნდა ბავშვთა შობის უნარით (წულაძე გ. , 2012).

ბავშვების იდეალური რაოდენობა

ბავშვების იდეალური რაოდენობა გულისხმობს ადამიანის წარმოდგენას, ოჯახში ბავშვების საუკეთესო რაოდენობის შესახებ საერთოდ, პირადი უპირატესობის მინიჭებისა და ცხოვრების კონკრეტული პირობების გაუთვალისწინებლად. სპეციალისტების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ოჯახში ბავშვების იდეალური რაოდენობა დაკავშირებულია რეპროდუქციული ქცევის სოციალურ ნორმებთან და შესაბამისად, მის გამოხატულებას წარმოადგენს. ბავშვების იდეალური რაოდენობის დასადგენად გამოიყენება შემდეგი კითხვა: „თქვენი აზრით, რამდენი ბავშვი უნდა იყოს საერთოდ ოჯახში?“ (წულაძე გ. , 2012).

ვინაიდან ბავშვების იდეალურ რაოდენობაზე სოციალური გარემოს გავლენა დიდია, ზოგიერთი კვლევის დროს, რესპონდენტებს აღნიშნულ შეკითხვას უსვამენ თავისი გარემოს, წრისა და მდგომარეობის ოჯახისათვის - „როგორია ბავშვების იდეალური რაოდენობა თქვენთვის და თქვენისთანავე შემოსავლის მქონე ოჯახში?“. ასეთი კითხვა ფართოდ არის გავრცელებული საფრანგეთში ჩატარებულ კვლევებში, სადაც ერთმანეთისგან მიჯნავენ ზოგადად ბავშვების იდეალურ რაოდენობასა და იდეალურ რაოდენობას თავისი გარემოსათვის (წრისათვის). საინტერესოა, რომ ბავშვების იდეალური რაოდენობა თავისი გარემოსათვის ნაკლებია ზოგადად ბავშვების იდეალურ რაოდენობასთან შედარებით. წლების მანძილზე ეს სხვაობა სტაბილურ ხასიათს ატარებდა და მერყეობდა 0.20-0.22-ის ფარგლებში. შეიძლება დავუშვათ, რომ ბავშვების იდეალურ რაოდენობაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს ზოგადი სოციალური ნორმები, მაშინ როდესაც ბავშვების იდეალურ რაოდენობაზე თავისი გარემოსათვის, უფრო მეტად ჯგუფური სოციალური ნორმები მოქმედებს (წულაძე გ. , 1981).

ბავშვების სასურველი რაოდენობა

ბავშვების სასურველი რაოდენობა გულისხმობს ბავშვების იმ რაოდენობას, რომლის ყოლასაც ამჯობინებდა ადამიანი თავის ოჯახში პირადი მისწრაფებებიდან გამომდინარე, ცხოვრების კონკრეტული პირობების გაუთვალისწინებლად. ბავშვების სასურველი

რაოდენობა წარმოადგენს „ბავშვის ყოლის მოთხოვნილების“ გამოხატულების მაჩვენებელს. მის გამოსავლენად მიზანშეწონილია კითხვის შემდეგი სახით ფორმულირება - „პირადად თქვენ სულ რამდენი ბავშვის ყოლა გსურთ?“ (წულაძე გ. , 2012). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბავშვების სასურველ რაოდენობად ითვლება ინდივიდის სურვილი, იყოლიოს ბავშვი/ბავშვები (გარკვეული რაოდენობით), რაც ბავშვების ყოლისადმი პიროვნების ინდივიდუალურ მოთხოვნილებას წარმოადგენს (ბავშვების იდეალური რაოდენობისგან განსხვავებით). მისი საშუალებით შესაძლებელია გავიგოთ რეპროდუქციული განწყობის ის მხარე, რომელიც დაკავშირებულია რესპონდენტის პირად დახასიათებასთან, პიროვნების სოციალიზაციის ისტორიასთან, მისი ხასიათისა და მიდრეკილებების ჩამოყალიბებასთან, გენეტიკურ თავისებურებებთან და პიროვნების თვისებებთან (წულაძე გ. , 1981).

ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა

ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა წარმოადგენს ბავშვების იმ რაოდენობას, რომლის ყოლასაც აპირებს ადამიანი საერთოდ, „ბავშვის ყოლის მოთხოვნილებიდან“ გამომდინარე და კონკრეტული ცხოვრებისეული პირობების გათვალისწინებით. ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა წარმოადგენს ბავშვების რაოდენობის ინდივიდუალურ ოპტიმუმს კონკრეტულ პირობებში (წულაძე გ. , 2012). აღნიშნული მაჩვენებელი ბავშვების იმ რაოდენობას გვიჩვენებს, რომელიც საბოლოოდ ეყოლება ოჯახს. ოჯახში ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობის დახმარებით შესაძლებელია განისაზღვროს რეპროდუქციული მოლოდინები, რაც შობადობის მომავალი ტენდენციების წარმოდგენისა და მოსახლეობის პროგნოზირების საშუალებას იძლევა (წულაძე, ცხოვრებაძე და მელაძე, 1993).

ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობის განსაზღვრის სხვადასხვა ხერხი არსებობს. თუმცა ყველაზე მიზანშეწონილია ამ მაჩვენებლის დადგენა ბავშვების ფაქტობრივი (ბავშვების ის რაოდენობა, რომელიც ადამიანს ჰყავს გარკვეული მომენტისთვის) და ბავშვების მოსალოდნელი (კიდევ) რაოდენობის (ბავშვების რაოდენობა, რომლის ყოლასაც

კიდევ აპირებს ადამიანი) კითხვებზე მიღებულ პასუხთა ჯამით. ბავშვების ფაქტობრივი რაოდენობის დასადგენად გამოიყენება შემდეგი კითხვა: „რამდენი ბავშვი გყავთ ამჟამად?“, ხოლო ბავშვების მოსალოდნელი (კიდევ) რაოდენობის დასადგენად - „კიდევ რამდენი ბავშვის ყოლას აპირებთ?“. სწორედ ამ ორ კითხვაზე გაცემულ პასუხთა რაოდენობრივი ჯამი, მოგვცემს ოჯახში ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობის მაჩვენებელს (წულაძე გ. , 1981).

ამგვარად, ნათლად ჩანს, რომ ოჯახში ბავშვების რაოდენობის განმსაზღვრელი კატეგორიები (ბავშვების იდეალური, სასურველი, მოსალოდნელი რაოდენობა), მართალია, ერთმანეთისგან შინაარსობრივად განსხვავდება, მაგრამ ყველა გაერთიანებულია რეპროდუქციულ განწყობაში და მისი შესწავლისთვის გამოიყენება. მათ გამოსავლენად ფრომულირებული კითხვები, კი მრავალგზის აპრობირებულია სხვადასხვა კვლევებში. პირველად აღნიშნული მაჩვენებლების შესახებ მონაცემები მიღებულ იქნა აშშ-ში XX საუკუნის პირველ ნახევარსა და 50-იანი წლების შუა პერიოდისთვის. საქართველოში კი - 1969-1972 წლებში (წულაძე გ. , 2012).

2.3. რეპროდუქციული ქცევა

რეპროდუქციული ქცევა არის აქტივობა, რომელიც მიმართულია „ბავშვის ყოლის მოთხოვნილების“ დასაკმაყოფილებლად. რეპროდუქციული ქცევა განისაზღვრება „ბავშვის ყოლის მოთხოვნილებით“ და იმ სიტუაციით, რომელშიც შესაძლებელია ამ „მოთხოვნილების“ დაკმაყოფილება. რეპროდუქციული ქცევა წარმოადგენს შესაბამისი რეპროდუქციული განწყობის რეალიზაციას.

რეპროდუქციული ქცევა შეიძლება იყოს შემდეგი სამი ტიპის: მრავალშვილიანობა, საშუალოშვილიანობა, მცირეშვილიანობა. თითოეული რეპროდუქციული ქცევის ტიპს ახასიათებს შესაბამისი რეპროდუქციული ნორმები, რომლებიც დაკავშირებულია ბავშვების გარკვეული რაოდენობის ყოლასთან და მიღებულია მოსახლეობის სხვადასხვა

ჯგუფში. მრავალშვილიანობა წარმოადგენს იმპულსური დონის რეპროდუქციულ ქცევას, რომელიც განპირობებულია ან ობიექტივაციის არარსებობის შედეგით, ან 5 და მეტი ბავშვის ყოლის გაცნობიერებული მოთხოვნილებით და ძირითადად განისაზღვრება ნაყოფიერების თავისებურებებით. მრავალშვილიანობის რეპროდუქციული ნორმები ჩვილთა და საერთო მოკვდაობის მაღალი დონის შემთხვევაში იყო გაბატონებული და მათზე შესაბამის რეაქციას წარმოადგენდა. თუმცა, მოკვდაობის კლების პირობებში აღარ აღმოჩნდა საჭირო, რასაც დაემატა ოჯახის ფუნქციების ცვლილება და გარეოჯახური ორიენტაციების გამძლიერება. შესაბამისად, მრავალშვილიანობის ნორმები ჯერ საშუალოშვილიანობის, შემდგომ კი მცირეშვილიანობის ნორმებით ჩანაცვლდა. აღნიშნულ პროცესს თან სდევდა ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებისა და აბორტის ფართოდ გავრცელება. საშუალოშვილიანი რეპროდუქციული ქცევა განპირობებულია 3-4 „ბავშვის ყოლის მოთხოვნილებით“. მცირეშვილიანი რეპროდუქციული ქცევა კი - 1-2 „ბავშვის ყოლის მოთხოვნილებით“. ამ უკანასკნელისთვის დამახასიათებელია ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებისა და ხელოვნური აბორტების ინტენსიური გამოყენება.

რეპროდუქციული ქცევა, რომელიც “ბავშვის ყოლის მოთხოვნილებას“ ეფუძნება, მნიშვნელოვნად განიცდის ცხოვრებისეული გარემო პირობების გავლენას. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმ რეპროდუქციულ ფაქტორებს, რომლებიც რეპროდუქციული ქცევის განმსაზღვრელ, ადამიანის ან ოჯახისთვის დამახასიათებელ სხვადასხვა მაჩვენებლს (ფიზიოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური და სხვა) გულისხმობს. რეპროდუქციული ქცევის შესწავლაში გარკვეული წარმატებების მიუხედავად, მისი ფაქტორების ერთიანი, საყოველთაოდ მიღებული კლასიფიკაცია არ არსებობს. ჩვეულებრივ, გამოიყოფა რეპროდუქციული ქცევის შემდეგი ფაქტორები: ფიზიოლოგიური, საქორწინო-საოჯახო, ასაკი, ქორწინების ხანგრძლივობა, ბავშვის რაოდენობა მშობლების ოჯახში, განათლება, მატერიალური კეთილდღეობა, საბინაო პირობები, დაბადების ადგილი, საცხოვრებელი ადგილი (ურბანიზაციის დონე), სოციალიზაციის ადგილი, ეროვნული კუთვნილება.

რეპროდუქციული ქცევის შესწავლა შესაძლებლობას იძლევა გარკვეულ იქნას ობიექტივაციისა³ და ნებელობის⁴ გავლენა რეპროდუქციის პროცესზე, მრავალშვილიანობის აღმოცენებისა და შემდგომში მისი მცირეშვილიანობით შეცვლის პირობები, დღევანდელი მდგომარეობა და მოსალოდნელი ტენდენციები (წულაძე გ. , 2012).

2.4. რეპროდუქციული ქცევისა და მისი ევოლუციის სქემა

ქართული ფსიქოლოგიის სკოლის წარმომადგენლის, შ. ნადირაშვილის მიერ შემუშავებული სქემა ასახავს რეპროდუქციულ ქცევას, მის ევოლუციასა და შვილიანობის ტიპების ტრანსფორმაციას. მასში გადმოცემულია ადამიანის ფსიქიკური აქტივობის სამი დონე - დაბლიდან უმაღლესამდე, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფებიან. ადამიანი, აქტივობის დროს, საჭიროების მიხედვით, ფსიქიკური აქტივობის შესაბამის დონეზე მოქმედებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რეპროდუქციული ქცევის განხორციელებისთვის სულაც არ არის საჭირო მოყვანილი ციკლის სამივე დონის გავლა (სქემა 1).


რეპროდუქციული ქცევისა და მისი ევოლუციის სქემა დაედო საფუძვლად გ. წულაძის მიერ შემუშავებულ შობადობის განწყობისეულ კონცეფციას, რომელიც დემოგრაფიული გადასვლის კონცეფციის ნაირსახეობას წარმოადგენს. შობადობის განწყობისეული კონცეფცია შობადობის ევოლუციასა და რეპროდუქციული ქცევის ერთი დონიდან მეორეზე გადასვლას, მოკვდაობის დინამიკასა და მის ცვალებადობას უკავშირებს. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ის დემოგრაფიული გადასვლის კონცეფციის ნაირსახეობას წარმოადგენს (წულაძე გ. , 2012).

³ ობიექტივაციას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ადამიანი რეპროდუქციული განწყობის წარმოშობის დროს თეორიული მსჯელობის საგნად გახდის ბავშვებს. ადამიანის წინაშე წარმოქმენა გადასაჭრელი საკითხი, თუ რამდენი ბავში იყოლიოს მან. ობიექტივაციის შემდეგ ადამიანი განსაზღვრავს ბავშვების თავისთვის მისაღებ რაოდენობას (წულაძე გ. , 2012).


⁴ ადამიანის უნარი წარმართოს თავისი ქცევა და საქმიანობა პიროვნულად მისაღები სოციალურ ფასეულობათა სისტემის მიხედვით (წულაძე გ. , 2012).

III დონე


რეპროდუქციული ქცევისა და მისი ევოლუციის სქემა



II დონე



I დონე



წყარო: წულაძე გ., დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2012

3. რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის თემატიკაზე

ჩატარებული კვლევების მიმოხილვა 1969 წლიდან დღემდე

იმისათვის, რომ მომეხდინა რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის დღევანდელი სიტუაციის ანალიზი (ამ ნაშრომში მოყვანილი, 2017 წელს, ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების საფუძველზე), აუცილებელად ჩავთვალე, ამ საკითხის დროში მიმდინარეობისა და ევოლუციის შესწავლა, რათა მიმეკვლია იმ სოციო-დემოგრაფიული ასპექტებისთვის, რომლებმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ამჟამინდელი საქართველოს ეგზომ სავალალო დემოგრაფიული ვითარების ფორმირებაზე.

ნაშრომის ეს ნაწილი ეთმობა საქართველოში ჩატარებული კვლევების ანალიზს, რომლებიც მოგვიანებით შედარებული იქნება ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებთან. ამ შეპირისპირებით კი, შევეცდები პარალელები გავავლო და ვაჩვენო დროში მომხდარი ცვლილებების (ევოლუციის) სურათი.

შობადობის სტატისტიკას, შეუძლია პასუხი გაგვცეს კითხვაზე - რამდენი? მაგრამ ვერ გაგვცემს პასუხს კითხვაზე - რატომ? კერძოდ, რა ფაქტორებია წარმმართველი შობადობის შემცირებაში? რა ფაქტორები ზემოქმედებს „ბავშვის ყოლის მოთხოვნლებაზე“ და როგორაა ისინი დიფერენცირებული?

შობადობის კლების რეალური მიზეზების შესწავლა ყოველთვის წარმოადგენდა მეცნიერთა ინტერესის საგანს. წლების მანძილზე, სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ საკითხთან ერთად, დემოგრაფების კვლევის ობიექტს წარმოადგენდა ამა თუ იმ საზოგადოების რეპროდუქციული ქცევა და ორიენტაციები. უფრო კონკრეტულად, მოსახლეობის მოსაზრება იმის შესახებ, თუ ბავშვების რა რაოდენობა არის იდეალური, სასურველი და მოსალოდნელი მათი და ზოგადად ოჯახებისთვის (შუმტაკაშვილი და წიკლაური, 2014). რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის გამოვლენა და შესწავლა შესაძლებელია საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის საფუძველზე - სოციო-დემოგრაფიული კვლევებით. ასეთი კვლევებიდან მიღებული მასალის საშუალებით

შესაძლებელია, როგორც შობადობის სოციალურ-ფსიქოლოგიური მექანიზმებისა და თანამედროვე რეპროდუქციული სიტუაციის შესწავლა და შეფასება, აგრეთვე წარმოადგენს მნიშვნელოვან კრიტერიუმს შობადობის დინამიკის მოსალოდნელი ტენდენციების განსაზღვრაში (ხმალაძე, 1981).

1969 წელი, რეპროდუქციული განწყობის პირველი რესპუბლიკური კვლევა

საქართველოს სსრ მოსახლეობის რეპროდუქციული განწყობის პირველი კვლევა 1969 წელს სსრკ ცსს-ს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დემოგრაფიის განყოფილების მიერ ჩატარდა. კვლევა ემსახურებოდა საბჭოთა კავშირის მოსახლეობის რეპროდუქციული განწყობის შესწავლას, რომელმაც მოიცვა საქართველოს სსრ-ს მოსახლეობაც. მიღებული შედეგებით, საქართველოს შუალედური ადგილი ეჭირა შობადობის მაღალი და დაბალი დონის მქონე რესპუბლიკებს შორის (ცხრილი 1) (ხმალაძე, 1981).

ჩვენთვის კარგად ცნობილია ის ფაქტი, რომ შობადობის პერსპექტივების შესწავლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვების იდეალური და მოსალოდნელი რაოდენობების ურთიერთმიმართებას. მოყვანილი ცხრილიდან ცხადად ჩანს, რომ იმ ოჯახების ხვედრითი წილი, სადაც ბავშვთა მოსალოდნელი რიცხვი ემთხვევა იდეალურს, უმცირესია საქართველოს სსრ-ში - 30.2%, თითქმის ყველა სხვა დანარჩენი რესპუბლიკისთვის კი აღნიშნული მაჩვენებელი 50%-ზე მეტი იყო.

კვლევის მონაცემების თანახმად, 1969 წლისთვის, ქართველთა რეპროდუქციული ორიენტაციები საკმაოდ მაღალი იყო. ბავშვების იდეალური რაოდენობა მრავალშვილიანობის რეპროდუქციულ ნორმებზე მიუთითებდა. 4-ბავშვიან ოჯახებზე მოსახლეობის თითქმის ნახევარი იყო ორიენტირებული, სასურველი ბავშვების რაოდენობის მაჩვენებელიც - 3.9 ბავშვი, თითქმის უტოლდებოდა ბავშვების იდეალურ რაოდენობას - 3.95 ბავშვს (სამწუხაროდ, კვლევა მხოლოდ ქმრის მიერ სასურველი ბავშვების საშუალო რაოდენობის მონაცემს იძლევა). მაგრამ ეს მაჩვენებლები არ არის შობადობის მაღალი დონის გარანტი. ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა - 2.88 მნიშვნელოვნად ჩამორჩება ბავშვების იდეალურსა და სასურველ რაოდენობებს. შესაბამისად, ბავშვების

ფაქტობრივი რაოდენობა კიდევ უფრო ნაკლები იქნებოდა. ეს ყოველივე კი საშუალოშვილიანობის რეპროდუქციულ ნორმებსაც⁵ კი ვერ აკმაყოფილებს. სამწუხაროდ, გამოკითხვაში არ იყო ჩართული რეპროდუქციულ განწყობაზე მოქმედი ფაქტორების კვლევა, რაც მის მინუსად უნდა ჩავთვალოთ.

ცხრილი 1

**შეხედულებანი ოჯახის განვითარების შესახებ ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკაში
1969 წელი**

რესპუბლიკები	ბავშვების რაოდენობა			ქალების % რომლებსაც ბავშვებთან მოსალოდნელი რაოდენობა ემთხვევა იდაელურს	ოჯახები, სადაც ქმრის მიერ ბავშვთან სასურველი რაოდენობა ემთხვევა მოსალოდნელს
	იდეალური	მოსალოდნელი	ქმრის მიერ სასურველი		
საქართველოს სსრ	3.95	2.88	3.9	30.2	47.0
ყირგიზეთის სსრ	3.94	3.72	4.35	53.0	60.5
თურქმენეთის სსრ	4.10	3.79	4.34	57.1	62.4
სომხეთის სსრ	4.10	3.42	4.44	40.4	48.0
ტაჯიკეთის სსრ	4.18	4.08	4.62	55.5	60.2
აზერბაიჯანის სსრ	4.52	4.25	4.70	54.3	60.7
უზბეკეთის სსრ	4.55	4.31	4.84	59.1	62.0

წყარო: ხმალაძე, საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული განწყობის შესახებ, 1981

⁵ რეპროდუქციული ქცევის ერთ-ერთი ტიპი, რომელიც განპირობებულია 3-4 „ბავშვის ყოლის მოთხოვნილებით“ (წულაძე გ., 2012).

1972 წლის კვლევა

1972 წელს, სსრკ ცსს-ის დემოგრაფიის განყოფილების მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, საქართველოში გათხოვილი ქალებისთვის ბავშვების საშუალო მოსალოდნელი რაოდენობა წინა კვლევასთან შედარებით მცირედით გაიზარდა და 2.99 შეადგინა (1969 წლის მონაცემებით ის შეადგენდა 2.88-ს). მოცემული მაჩვენებელი ქალაქში უფრო დაბალი (2.56) იყო, ვიდრე სასოფლო დასახლებებში (3.28). აღნიშნული კვლევის შედეგების თანახმად საქართველოს კვლავ შუალედური ადგილი ეჭირა შობადობის მაღალი და დაბალი დონის მქონე რესპუბლიკებს შორის.

რეპროდუქციულ განწყობასა და ქცევაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. რეპროდუქციული ორიენტაციები ქართველებში, ქვეყნის ზოგად მაჩვენებლებზე ნაკლები აღმოჩნდა. კვლევის შედეგების მიხედვით, გათხოვილი ქართველი ქალებისთვის ბავშვთა საშუალო მოსალოდნელმა რიცხვმა 2.83 შეადგინა, რაც უფრო მცირეა, ვიდრე მთელი ქვეყნის მოსახლეობისთვის დამახასიათებელი ანალოგიური მაჩვენებელი (2.99). გამოკითხულ რესპონდენტთა ნახევარს კი სურდა მე-3 და მე-4 ბავშვი. მოცემული კვლევის შემთხვევაშიც კვლავ გამოვლინდა ტენდენცია, რომ ქართველთა რეპროდუქციული ორიენტაციების სხვადასხვა მაჩვენებელს შორის დიდი სხვაობებია და რეალურად არ ხდება არსებული განწყობების რეალიზება (ხმალამე, 1981).

1969-1972 წლების სტუდენტების კვლევა

1969-1972 წლებში, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მიერ ჩატარებული კვლევა მიმართული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა აზრის შესწავლაზე. ოჯახში ბავშვთა იდეალურ რაოდენობად ორი ბავშვი გამოკითხულთა უმცირესობამ - 7.1%-მა დაასახელა, სამი ბავშვი - 34.2%-მა, ოთხი ბავშვი თითქმის ნახევარმა - 49.4%, ხოლო ხუთი ბავშვი - 9.3%-მა. რესპონდენტთა უმრავლესობა მრავალშვილიან ოჯახს (სამი და მეტი ბავშვით) პოზიტიურად თვლიდა. უფრო კონკრეტულად კი 30.3% მიიჩნევდა რომ მრავალშვილიანი ოჯახი „სასურველია“,

33.5% - „კარგია“, 28.8% - „ძალიან კარგია“, მხოლოდ 7.4% მიიჩნევდა, რომ მრავალშვილიანი ოჯახი „არ არის საჭირო“. ამავე პერიოდში, ქ. თბილისში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის მიხედვით, დედაქალაქის მოსახლეობასაც საკმაოდ მაღალი რეპროდუქციული მაჩვენებლები ახასიათებდა. გამოკითხულთა საერთო რიცხვში, იმ ქალების 36.8%-მა, რომელთაც ჰყავდათ 3 შვილი, ბავშვების კიდევ მოსალოდნელ რაოდენობად დაასახელეს ერთი, ორი (9%), სამი და მეტი ბავშვი (17.9%) (ხმალაძე, 1981).


მოტანილი მასალა საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ 60-იანი წლების მიწურულსა და 70-იან წლებში, საქართველოს მოსახლეობას ახასიათებდა რეპროდუქციული განწყობის მაღალი მაჩვენებლები. მოსახლეობის ორიენტაცია კი მიმართული იყო 3-4 ბავშვზე. ამის მიუხედავად, შობადობის ფაქტობრივი დონე ქვეყანაში დაბალი იყო და არ შეესაბამებოდა რეპროდუქციულ განწყობას (ხმალაძე, 1981).

კიდევ ერთხელ გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ქართველთათვის რეპროდუქციული განწყობა და მისი რეალიზაციის ხარისხი (შობადობის ფაქტობრივი მაჩვენებლები) მნიშვნელოვნად იყო (და რჩება) ერთმანეთისგან დაშორებული. იდეალური და რეალური (განხორციელებული, შემდგარი) - ეს ორი აქტორი მუდმივად საკმაოდ დაშორებულია ერთმანეთისგან. მართალია ქართველები განწყობილნი არიან რეპროდუქციული ორიენტაციების საკმაოდ მაღალი მახასიათებლებისკენ, მაგრამ რეალურად რეპროდუქციულ ქცევაში მათი ეს სურვილები არ/ვერ აისახება. რატომ? სწორედ ეს საკითხია საკვლევი, სწორედ ეს საკითხი არის საქართველოს დემოგრაფიული კრიზისის „აქილევსის ქუსლი“. დემოგრაფიული კრიზისის დაძლევისთვის საჭიროა ფუნდამენტური თვისებრივი კვლევების ჩატარება, რაშიც დემოგრაფიასთან ერთად ჩართული იქნება ისეთი დარგები, როგორებიცაა ეთნო და სოციალური ფსიქოლოგია, სოციოლოგია, კულტუროლოგია და სხვა.

1980 წლის კვლევა

დემოგრაფიულ მეცნიერებაში ცნობილია, რომ მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისთვის ოჯახების საერთო რაოდენობიდან უბავშვო და ერთბავშვიანი ოჯახები შესაბამისად უნდა შეადგენდნენ 4% და 10%-ს; ორი და სამბავშვიანი ოჯახები კი შესაბამისად - 35-35%-ს, ხოლო ოთხი და მეტბავშვიანი ოჯახები - 16%-ს (წულაძე და სხვ., 1997).

1980 წლის კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობის მიხედვით, საქართველოში რესპონდენტთა ნახევარზე მეტი ორბავშვიან ოჯახებზე, მეხუთედი სამბავშვიანზე, დანარჩენი კი ერთბავშვიან და ოთხბავშვიან ოჯახებზე იყო ორიენტირებული, რაც საშუალოშვილიანობიდან მცირეშვილიანობის რეპროდუქციული ქცევის ტიპზე გადასვლას მიუთითებს (გრაფიკი 1).



გრაფიკი 1. შვილიანობის ტიპები ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობის მიხედვით
წყარო: წულაძე და ცხოვრებაძე, შობადობის ოპტიმიზაციისკენ მიმართული დემოგრაფიული პოლიტიკა, 1989

კვლევის შედეგების მიხედვით, ერთი თაობის მანძილზე, ოჯახში ბავშვების რაოდენობა დაახლოებით 30%-ით შემცირდა. მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ისეთმა მაჩვენებელმა როგორცაა „ბავშვების ფასეულობა“ (ოჯახში ბავშვების რაოდენობისადმი დადებითი დამოკიდებულების ხარისხი). ერთი თაობის მანძილზე 2.4-ჯერ შემცირდა ოჯახში ოთხი „ბავშვის ფასეულობა“, ხოლო ხუთი და მეტი ბავშვის - 33-ჯერ (წულაძე და ცხოვრებაძე, 1989).

სამწუხაროდ, ბავშვების რაოდენობისა და „ბავშვების ფასეულობის“ მიმართ დამოკიდებულების ხარისხის მკვეთრი შემცირების ეს სახიფათო ტენდენცია (ოჯახებში ბავშვების რაოდენობის 30%-იანი კლება), იმ პერიოდის საქართველოს სსრ-ს მთავრობის მიერ არ იქნა ყურადღებული, რამაც ვარდნის ეს პროცესი კიდევ უფრო გააღრმავა.

1984-1990 წლების მოსწავლეთა რეპროდუქციული ორიენტაციების კვლევები

რეპროდუქციული ქცევისა და შესაბამისად შობადობის სამომავლო ტენდენციების დასადგენად მნიშვნელოვანია იმ ჯგუფების რეპროდუქციული განწყობის შესწავლა, რომლებიც რეპროდუქციულ ქცევას მომავალში შეუდგებიან. ამისთვის მნიშვნელოვანია სკოლის ასაკის მოსახლეობის რეპროდუქციული ორიენტაციების კვლევა. როგორც ცნობილია, შეხედულებები ბავშვების იდეალურ და სასურველ რაოდენობაზე ადრეულ ბავშვობაში ყალიბდება. რეპროდუქციულ ორიენტაციებზე გავლენას ახდენს რელიგია, ეთნიკური წარმომავლობა, სკოლა, საზოგადოება, ოჯახის ზომა (რომელშიც ბავშვს უწევს ყოფნა) და ა.შ. ზიგმუნდ ფროიდის ფსიქოანალიზის თეორიის თანახმად, 5-6 წლის ასაკის ბავშვებს უკვე აქვთ თავიანთი შეხედულებები საგნებისა და მოვლენების ფარულ თვისებებზე. ამასთან, გოგონები უფრო ადრეულ ასაკში იწყებენ ფიქრს ბავშვების იდეალურ რაოდენობაზე, ვიდრე ბიჭები. ხოლო ბიჭების მიერ დასახელებული ბავშვების საშუალო იდეალური რაოდენობა უფრო მაღალია, ვიდრე გოგონების (შუმტაკაშვილი და წიკლაური, 2014).

პირველად, მსგავსი კვლევა აშშ-ში 1968 წელს, ამერიკელი დემოგრაფის, ს. გუსტავუსის მიერ განხორციელდა. ბავშვების რეპროდუქციული ორიენტაციების შესწავლის გარკვეული ცოდნა და გამოცდილება საქართველოშიც არსებობს. გასული საუკუნის 80-90-იან წლებში დაიწყო სკოლის ასაკის ჯგუფების რეპროდუქციული ორიენტაციის კვლევები საქართველოსა და თბილისის მაშტაბით (წულაძე და სხვ., 1993).

1984 წლის მოსწავლეთა I კვლევა, თბილისი

საქართველოში, სასკოლო ასაკის მოსახლეობის რეპროდუქციული ორიენტაციების კვლევა, პირველად, 1984 წელს ჩატარდა, რომლის ფარგლებშიც თბილისის სკოლებში პირველი, მე-4, მე-7 და მე-10 კლასების 1841 მოსწავლე და 758 მათი დედა გამოიკითხა. კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა იმ ასაკის დადგენა, რომელშიც ხდება ოჯახში ბავშვების რაოდენობის შესახებ წარმოდგენის ფორმირება, მოსწავლეებსა და დედებს შორის იმ განსხვავებათა გამოვლენა, რომელიც ოჯახში ბავშვების რაოდენობას უკავშირდება. კვლევის შედეგებმა დაადასტურა ზემოთ აღნიშნული, რომ პირველადი წარმოდგენა ოჯახში ბავშვების რაოდენობის შესახებ 5 წლის ასაკში აღმოცენდება. თანდათანობით კი, ობიექტივაციის პროცესი ოჯახში ბავშვების რაოდენობის მიმართ სულ უფრო და უფრო გამოიკვეთება და 16-17 წლის ასაკისთვის, დაახლოებით 70%-ს, უკვე ჩამოყალიბებული რეპროდუქციული ორიენტაციები აქვს. საინტერესოა, რომ მოსწავლეების მიერ დასახელებული ბავშვების იდეალური და სასურველი რაოდენობა საშუალოდ მნიშვნელოვნად ნაკლებია მათი დედების მიერ დასახელებული ბავშვების იგივე რაოდენობაზე, რაც გამოწვეულია ბავშვების ფასეულობის შემცირებით (წულაძე და სხვ., 1993).

1990 წლის მოსწავლეთა კვლევა, თბილისი

1990 წელს, თბილისში კვლავ ჩატარდა კვლევა ბავშვების რეპროდუქციული ორიენტაციების შესწავლის მიზნით, რომლის ფარგლებშიც გამოიკითხა 6-17 წლის ასაკის 1918 მოსწავლე. აღნიშნული კვლევა თავისი წინამორბედებისგან იმით განსხვავდებოდა, რომ ის „უწყვეტი/მიყოლებითი“ ხასიათის იყო, ანუ, გამოიკითხა ყველა კლასის მოსწავლე.

ამ კვლევის ფარგლებშიც, კიდევ ერთხელ გამოიკვეთა, რომ ოჯახში ბავშვების რაოდენობის შესახებ წარმოდგენის ფორმირება ადრეულ ასაკში იწყება. ასაკის მატებასთან ერთად კი ძლიერდება სოციალიზაციის გავლენა, რასაც საბოლოო ჯამში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მაღალკლასელ მოსწავლეთა რეპროდუქციული ორიენტაციების ჩამოყალიბებაში (წულაძე და სხვ., 1993).

დასკვის სახით შემიძლია ვთქვა, რომ ბავშვის განვითარების ყველა საფეხური, მათი წარმოდგენები და განწყობები უნივერსალურია და ის ქართველ ბავშვებშიც ისევე მიმდინარეობს, როგორც ნებისმიერი სხვა კულტურისა თუ ეთნოსის ბავშვებში. საინტერესო იქნებოდა სოციალიზაციის ფაქტორის კვლევა, რაც „ფრთებს უკვეცავს“ იდეალიზმსა და პირველად განწყობებს. რაც უფრო იზრდება ბავშვი, მით მეტად რეალური ხდება მისი წარმოდგენები, მით უფრო მეტად იკვეთება პრიორიტეტები და მისი, როგორც მოქმედი პიროვნების მზაობა ამა თუ იმ აქტივაციისათვის, ჩვენს შემთხვევაში რეპროდუქციული ქცევისთვის.

1987-1990 წლების მოსწავლეთა რეპროდუქციული ორიენტაციების პანელური კვლევები, თბილისი

საქართველოში ჩატარდა ბავშვების რეპროდუქციული ორიენტაციების ორი პანელური კვლევა. ერთ შემთხვევაში, 1987 წელს, თბილისში, რეპროდუქციული ორიენტაციების სტაბილურობის შესწავლის მიზნით, ჩატარდა პირველი, მე-4 და მე-7 კლასის მოსწავლეების პანელური კვლევა, რომლებიც პირველად 1984 წელს იყვნენ გამოკითხულნი. მეორედ კი - 1990 წელს, თბილისში, გამოიკითხა პირველი და მე-4 კლასის ის მოსწავლეები, რომლებიც პირველად 1984 წელს იყვნენ გამოკითხულნი. ორივე პანელური კვლევის შედეგები იმაზე მეტყველებს, რომ რესპონდენტების მიერ დასახელებულ ბავშვების სასურველ რაოდენობას სტაბილური ხასიათი აქვს. ამდენად, ბავშვების რეპროდუქციული ორიენტაციების საფუძველზე დაყრდნობით, შესაძლოა გარკვეულწილად განისაზღვროს მომავალი რეპროდუქციული ქცევის ტენდენციები (წულაძე და სხვ., 1993).

როგორც კვლევის ავტორები აღნიშნავენ, საქართველოში ჩატარებულმა მოსწავლეთა რეპროდუქციული ორიენტაციების კვლევის (რომლის დროსაც გამოიკითხა 6 წლისა და უფროსი ასაკის მოსწავლეები) შედეგებმა აჩვენა, რომ გამოკითხული მოსწავლეების მშობლებს საშუალოდ ჰყავდათ 2.2 ბავშვი, ხოლო თავად მოსწავლეების მიერ

დასახელებულმა ბავშვების სასურველმა რაოდენობამ საშუალოდ შეადგინა – 2.9 ბავშვი. როგორც წესი, ბავშვების სასურველი რაოდენობა სჭარბობს ბავშვების მოსალოდნელ და შესაბამისად ფაქტობრივ რაოდენობასაც. მოცემული კვლევის შემთხვევაშიც, ბუნებრივია, რომ სკოლის მოსწავლეების მიერ დასახელებული ბავშვების სასურველი რაოდენობა აღემატებოდა ოჯახებში არსებულ ბავშვების ფაქტობრივ რაოდენობას. როგორც წესი, ბავშვები ვერ ითვალისწინებენ შობადობის დონის განმსაზღვრელ სხვადასხვა ხელისშემშლელ პირობებსა (მატერიალური, საბინაო, სამუშაო და სხვ.) და რეპროდუქციული ქცევის განმსაზღვრელ იმ ფაქტორებს (განათლების დონე, დემოგრაფიული პოლიტიკა, უნაყოფობა და სხვ.), რომლებიც მათ მიერ დასახელებულ ბავშვების სასურველ რაოდენობაზე შემცირების მიმართულებით იმოქმედებენ. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გამოკითხულ მოსწავლეებს ეყოლებათ იმაზე ნაკლები ბავშვი, ვიდრე სურთ და საშუალოდ იმაზე ნაკლები, ვიდრე მათ მშობლებს ჰყავთ, რადგან მათ ჯერ არ შეუძლიათ ისეთი ნეგატიური ფაქტორების გათვალისწინება, რომელთაც შეუძლიათ უარყოფითი გავლენა მოახდინონ მათსავე სურვილებზე (შუმტაკაშვილი და წიკლაური, 2014).


ნამდვილად ვეთანხმები კვლევის ავტორების სულისკვეთებას იმაში, რომ ბავშვების რეპროდუქციული ორიენტაციების კვლევის პროგნოსტიკული მნიშვნელობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან მათი რეპროდუქციული ორიენტაციების შესწავლამ შესაძლოა აჩვენოს, მოსალოდნელია თუ არა შობადობის დონის შემცირება/გაზრდა და თუ მოსალოდნელია, როდის და რა დონემდე (წულაძე და სხვ., 1993).

სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლებისა და საზოგადოების ზედმეტად ჭარბი პოლიტიზირება არ ტოვებს ადგილს ამ მეტად საშური კვლევების ჩასატარებლად, რომელთა მნიშვნელობაც ძალზე დიდია როგორც სამეცნიერო, ისე პროგნოსტიკული თვალსაზრისით. დრო სწრაფად გადის, უმოქმედობა კი უფრო და უფრო აღრმავებს დემოგრაფიულ კრიზისს, რაც სამომავლოდ, შეუქცევად და სავალალო შედეგებამდე მიიყვანს საქართველოს ისედაც მცირერიცხოვან მოსახლეობას.

1990-იანი წლები

1990-იან წლებში საქართველოს ეკონომიკურ და სოციალურ სტრუქტურებში მიმდინარე ცვლილებებმა, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კატაკლიზმებმა, დიდი გავლენა იქონია ქვეყნის დემოგრაფიულ ვითარებაზე, რომელმაც უპირველეს ყოვლისა შობადობის მკვეთრად შემცირებაში ჰპოვა გამოხატულება. აგრეთვე გაჩნდა როგორც დაბადებათა აღრიცხვასთან, ასევე შობადობის დონის განსაზღვრასთან დაკავშირებული პრობლემები.

საქართველოში, 1990-იანი წლებიდან შობადობის დონე მნიშვნელოვნად კლებულობს. 1989 წლისთვის შობადობის დონემ მარტივი აღწარმოების ზღვარს მიაღწია და შობადობის ჯამობრივმა კოეფიციენტმა 2.113 შეადგინა (გრაფიკი 2). 1991-1993 წლებში, ერთი ქალის მიერ გაჩენილი ბავშვების საშუალო რაოდენობა 2.1-დან 1.5-მდე შემცირდა და მთელი მომდევნო პერიოდის განმავლობაში საკმაოდ დაბალ მნიშვნელობას იღებდა. 1992 წლიდან შობადობის დონე საკმარისი არ არის მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისთვისაც კი, რის შედეგადაც გარკვეული დროის შემდეგ მომავალი თაობა წინაზე ნაკლები აღმოჩნდება (წულაძე და ხმალაძე, 2001).



გრაფიკი 2. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის დინამიკა (1970-2015)

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ამავდროულად, შემცირდა შობადობის დონის განმსაზღვრელი სხვა ინდიკატორები და რეპროდუქციული ორიენტაციები. 1990-იან წლებში გაიზარდა პირველი რიგითობის ბავშვების ხვედრითი წილი, ნაკლები ცვალებადობა განიცადა მეორე რიგითობის ბავშვების წილმა და შემცირდა მესამე და მომდევნო რიგითობის ცოცხლად დაბადებულების წილი ყველა დაბადებულთა შორის, რაც ასევე შობადობის კლებაზე მიგვანიშნებს. 1990 წლიდან 1999 წლისთვის შვილიანობის სტრუქტურული კოეფიციენტი⁶ 1.86-დან 1.70-მდე შემცირდა. აღნიშნული ცვლილებები იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში ოჯახებს ჰყავდათ და ძირითადად ორიენტირებულნი იყვნენ ორბავშვიან ოჯახებზე და პრობლემა უკავშირდება მესამე და მომდევნო რიგითობის ბავშვების ყოლას. ამავ პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა კოულის ინდექსებმა (საერთო შობადობის, ქორწინებითი შობადობის, ქორწინების გარეშე შობადობის, ფერტილური ასაკის გათხოვილ ქალთა წილის).⁷ კოულის ინდექსებიდან გამომდინარეობს, რომ 1990-იან წლებში, საქართველოში შობადობის კლება ძირითადად გამოწვეული იყო უფრო მეტად რეპროდუქციულ ქცევაში მომხდარი ცვლილებებით და ნაკლებად მოსახლეობის ქორწინებითი სტრუქტურის გაუარესებით. რამდენადაც პარადოქსული არ უნდა იყოს, 1990-იან წლებში ჩატარებული სოციოლოგიურ-დემოგრაფიული გამოკვლევების შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ რეპროდუქციული გეგმების - „ბავშვის ყოლის მოთხოვნილების“ რეალიზაციის დონე 1980-იან წლებთან შედარებით პრაქტიკულად არ შემცირებულა, მცირდება თავად რეპროდუქციული ორიენტაციები (წულაძე და ხმალაძე, 2001).

დემოგრაფიული ქცევა წარმოადგენს მოქმედებათა ურთიერთდაკავშირებულ სისტემას, რომელიც განცალკევებულად კი არა, არამედ ქვეყნის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ფორმაციის ჭრილში უნდა განვიხილოთ. საქართველოში 90-იან წლებში

⁶ შვილიანობის დონის მაჩვენებელი. გამოიყენება შობადობის ანალიზისას და უჩვენებს დაბადებულთა ერთობლიობაში ბავშვების საშუალო რიგითობას (წულაძე გ., 2012).

⁷ ახასიათებენ შობადობის არსებული დონის გადახრას შესაძლებელი მაქსიმუმიდან. მაქსიმუმის სტანდარტად აღებული იქნა ჰუტერიტების (რელიგიური სექტა) 1921-1930 წლების ქორწინებითი შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები, რადგან მათი რეალური ნაყოფიერება ძალიან მაღალი იყო და მათში პრაქტიკულად არ იყო გავრცელებული ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირება. ინდექსები შემოთავაზებულ იქნა ამერიკელი (აშშ) დემოგრაფის ე. კოულის მიერ, 1965 წელს (წულაძე გ., 2012)

შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების ანალიზი მეტად მძიმე სურათს გვაძლევს: ქვეყანა დიდი ძალისხმევით შედეგად გამოდის სსრკ-ს შემადგენლობიდან; ამ პროცესს თან სდევს სამოქალაქო და აფხაზეთის ომები, მატერიალური სიდუხჭირე, ფულის გაუფასურება; სტრუქტურებისა და სამუშაო ადგილების მოშლა და ქაოსი. უამრავი სასიცოცხლო პრობლემის წინაშე ოჯახები მარტო რჩებიან. შესაბამისად, შობადობა დიდი დარტყმის ქვეშ დგება. ქვეყანაში შექმნილი კრიზისული სიტუაცია პირდაპირ ზემოქმედებს შობადობაზე - შობადობის დონე მცირდება, 1 ქალის მიერ გაჩენილი ბავშვების საშუალო რაოდენობა კი მარტივი აღწარმოების ზღვარს ქვევით - 1.5-მდე კლებულობს; მესამე და მომდევნო რიგითობის ბავშვის ყოლა პრობლემის წინაშე დგება. ეს კრიზისი თავის გამოუსწორებელ კვალს დატოვებს საქართველოს დემოგრაფიულ განვითარებაზე.

1996 წლის კვლევა

1996 წლის აგვისტო-დეკემბერში, საერთაშორისო ფონდმა „კურაციომ“ საქართველოს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტთან თანამშრომლობით ჩაატარა კვლევა, რომლის ფარგლებშიც გამოკითხულ იქნა ორივე სქესის, სხვადასხვა ასაკის, ქორწინებითი და სიციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის 1455 რესპონდენტი. სხვადასხვა საკითხთან ერთად, კვლევა ითვალისწინებდა რეპროდუქციულ ქცევასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლასაც.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ უბავშვო ოჯახები იდეალს არ წარმოადგენს და რესპონდენტთა მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილს (1.4%) მიაჩნია იდეალურად ერთბავშვიანი ოჯახი. საშუალოდ კი, საქართველოში, რეპროდუქციულ ნორმად სამბავშვიანი ოჯახია მიღებული. ოჯახში ბავშვების იდეალურმა რაოდენობამ საშუალოდ 3 ბავშვი შეადგინა, ბავშვების სასურველმა რაოდენობამ - 2.68, ხოლო ბავშვების მოსალოდნელმა რაოდენობამ - 2.15 ბავშვი. „ბავშვის ყოლის მოთხოვნილება“ (ბავშვების სასურველი რაოდენობა), რომელიც არსებულ რეპროდუქციულ ნორმაზე (ბავშვების იდეალურ რაოდენობაზე)

ნაკლები აღმოჩნდა, მოსახლეობის მარტივი აღწარმოების ზღვარზე იმყოფებოდა (წულაძე და სხვ., 1997).

თაობებში „ბავშვის ყოლის მოთხოვნების“ რეალიზაცია, გარკვეულწილად წარმოდგენას გვაძლევს ბავშვის ფასეულობის შინაარსის ცვლილების ევოლუციაზე, რაც ბავშვების რიცხვისადმი საზოგადოების, ოჯახისა და ინდივიდის დამოკიდებულებაში ვლინდება.

გამოკითხვის მომენტისთვის, ქორწინებაში მყოფ ქალებს, საშუალოდ ჰყავდათ 1.77 ბავშვი და უახლოეს 5 წელიწადში კიდევ აპირებდნენ 0.38 ბავშვის ყოლას. ამასთან, ქორწინებაში მყოფ ქალებს საშუალოდ ეყოლებათ იმაზე ნაკლები ბავშვი, ვიდრე მათ მშობლებს ჰყავდათ (3.09). განსხვავება მათ შორის ძალიან მნიშვნელოვანია და თითქმის ერთ ბავშვს შეადგენს. კიდევ უფრო დიდ განსხვავებას აქვს ადგილი ქორწინებაში მყოფი ქალების ბავშვების მოსალოდნელ რაოდენობასა და მათი ბებია-ბაბუების ბავშვების ფაქტობრივი რაოდენობის (3.72) შედარებისას. ბებია-ბაბუებს თავის შვილებთან (ე.ი. გამოკითხული ქალების მშობლებთან) შედარებითაც გაცილებით მეტი ბავშვი ჰყავდათ, ხოლო შვილიშვილებთან შედარებით კიდევ უფრო მეტი. ქორწინებაში მყოფი რესპონდენტები ძირითადად მცირეშვილიანობით შემოიფარგლებოდნენ, მაშინ როდესაც მათი ბებია-ბაბუებისთვის უმთავრესად დამახასიათებელი იყო საშუალოშვილიანობა და მრავალშვილიანობა (28%) (წულაძე და სხვ., 1997). 1980 წელთან შედარებით, შემცირდა როგორც ბავშვების იდეალური და სასურველი, ისე მოსალოდნელი რაოდენობა. ამასთან კლება იმ დროს გამოთქმული პროგნოზის შესაბამისად წარიმართა. ბავშვების იდეალური რაოდენობა (ანუ რეპროდუქციული ნორმები) უფრო მეტად შემცირდა, ვიდრე ბავშვების სასურველი რაოდენობა („ბავშვის ყოლის მოთხოვნის“) (წულაძე და ხმალაძე, 2001).

საინტერესოა, 1990-იან წლებში მომხდარი შობადობის შემცირება ამ პერიოდში მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუარესებაზე პირდაპირ რეაქციას წარმოადგენდა, თუ მისი დასაწყისი უფრო ადრე ჩაისახა? ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევს 15-49 წლის ასაკის ქორწინებაში მყოფი ქალების კოჰორტული ანალიზი თაობების მიხედვით, რომელმაც აჩვენა, რომ გარდატეხა მათ რეპროდუქციულ ნორმებსა და „ბავშვის ყოლის

მოთხოვნილებაში“ 1962-1966 წლებში დაბადებულთა კოჰორტიდან იწყება და ადგილი აქვს „ბავშვის ყოლის მოთხოვნილების“ მუდმივ შემცირებას. სწორედ ამ თაობის ქალების „ბავშვის ყოლის მოთხოვნილება“ შემცირდა მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისთვის საჭირო ზღვრამდე, ხოლო შემდგომი თაობების ბავშვების სასურველი რაოდენობა ამ ზღვარზე დაბლა იმყოფებოდა, რაც მოსახლეობის შეკვეცილ აღწარმოებაზე მიგვითითებს (წულაძე და სხვ., 1997). 1967-1976 წლებში დაბადებულ ქალთა თაობის რეპროდუქციული ორიენტაციები (ბავშვების იდეალური, სასურველი და მოსალოდნელი რაოდენობა) მკვეთრად განსხვავდება და დაბალია 1967 წლამდე დაბადებულ ქალთა თაობის რეპროდუქციულ ორიენტაციებზე. იმის გათვალისწინებით, რომ ამ პერიოდში, პირველი ქორწინების ასაკი ქალებისთვის საშუალოდ 24 წელი იყო, მაშინ ისინი ძირითადად 1991-1992 წლებში უნდა დაქორწინებულიყვნენ და დაეწყოთ ბავშვთა შობა. შესაბამისად, გასაგები ხდება შობადობის დონის ის მკვეთრი კლება, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1990-იან წლებში (წულაძე და ხმალაძე, 2001). 1975 წლის შემდეგ დაბადებულთა თაობების რეპროდუქციული ნორმები, „ბავშვის ყოლის მოთხოვნილება“ და ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა იმაზე მიუთითებს, რომ შობადობის მოსალოდნელი დონე საქართველოში მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისთვის საკმარისი არ იქნება (წულაძე და სხვ., 1997).

აღნიშნული კვლევა, ჩემი აზრით, ერთ-ერთი ფუნდამენტური და ყურადსაღებია, რადგან აქ ცხადად ჩანს როგორც რეპროდუქციულ ქცევის ამსახველი სურათი, ასევე მისი დინამიკა და საუკუნის მიწურულს შობადობის კლების მიზეზთა მიკვლევა: თუ ერთი თაობის მანძილზე როგორ მცირდება „ბავშვის ყოლის მოთხოვნილება“ და შედეგად, ჩვენდა სავალალოდ, 90-იან წლებში, დადის მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისათვის საჭირო ზღვრამდე. ამასთან, სახეზეა ბავშვების ფასეულობის შემცირება - მრავალშვილიანი და საშუალოშვილიანი ოჯახის ფასეულობის კლება და მცირეშვილიანი ოჯახის ფასეულობის ზრდა, რაც შობადობის შემცირების ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორია.

1998 წლის კვლევა

მეოცე საუკუნის მიწურულს, კიდევ უფრო დაბალი აღმოჩნდა ბავშვების იდეალური და სასურველი რაოდენობა. 1998 წელს ჩატარებული კვლევებისას ამ მაჩვენებლებმა საშუალოდ შეადგინეს შესაბამისად 2.6 და 2.3 ბავშვი (წულაძე და ხმალაძე, 2001).

კვლევის შედეგებისა და ბავშვთა შობის მოტივების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ თანამედროვე ეტაპზე თანდათან მცირდება ეკონომიკური და სოციალური მოტივების როლი და წინა პლანზე გამოდის ფსიქოლოგიური მოტივები, რასაც მცირეშვილიანობისკენ მივყავართ. შესაბამისად, შობადობის შემცირება უმთავრესად განპირობებულია „ბავშვის ყოლის მოთხოვნილებისა“ და „ბავშვების ფასეულობის“ შემცირებით. ამასთან, ბოლომდე არ ხდება არსებული „ბავშვის ყოლის მოთხოვნილების“ რეალიზება. აღნიშნულ პროცესს კიდევ უფრო ამწვავებს მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება და თუ ყოველივე ამას ახალგაზრდების ინტენსიურ მიგრაციულ პროცესებსაც დავუმატებთ, გასული საუკუნის მიწურულიდან მოყოლებული დღემდე, საქართველო დეპოპულაციის საფრთხის წინაშე დგას.

2002 წლის სტუდენტების კვლევა

მოსახლეობის დემოგრაფიული ორიენტაციების შესწავლაში დიდი მნიშვნელობა აქვს სტუდენტთა რეპროდუქციული ორიენტაციებისა და ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობის მიმართ მათი დამოკიდებულების შესწავლას. რადგან ეს ჯგუფი, 21-ე საუკუნეში საქართველოში სოციალურ-კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების ერთ-ერთი შემოქმედი და თაობათა აღწარმოების სუბიექტი გახდება. ეს გარკვეულწილად საშუალებას მოგვცემს, სწორად განვსაზღვროთ დემოგრაფიული პროცესების შემდგომი განვითარების ტენდენციები; გავარკვიოთ რამდენად აქტიურია/პასიურია (თუ უბრალოდ გარედან მეთვალყურის პოზიცია უჭირავს) სტუდენტობა არსებული დემოგრაფიული ვითარების მიმართ. სწორედ ამ საკითხების

კვლევას ემსახურებოდა 2002 წელს ჩატარებული დემოსოციოლოგიური კვლევა, რომელმაც 1300 რესპონდენტი მოიცვა (მენაბდიშვილი და გვრიტიშვილი, 2004).


საინტერესოა, თუ საუკუნეების მიჯნაზე, როგორ შეიცვალა ბავშვებზე მოთხოვნილება თაობათა შორის. ოჯახში ბავშვებზე მოთხოვნილება გარკვეულწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია აღწარმოების რეჟიმი თითოეულ თაობაში. ბებია-ბაბუების თაობაში უფრო მეტად საშუალოშვილიანი ოჯახები იყო გავრცელებული (43.2%), ვიდრე მცირეშვილიანი (40.5%). საკმაოდ მაღალი იყო აგრეთვე მრავალშვილიანი ოჯახების ხვედრითი წილი (16.3%). ოჯახში ბავშვთა საშუალო რაოდენობამ ბებია-ბაბუების თაობაში დაახლოებით - 3.06 ბავშვი შეადგინა (მენაბდიშვილი და გვრიტიშვილი, 2004).

მოცემული მონაცემები გვაძლევს შემდეგი დასკვნის გამოტანის საშუალებას - ბებია-ბაბუების თაობისთვის დამახასიათებელი მრავალშვილიანობა და „ბავშვის ყოლის მოთხოვნილება“ უზრუნველყოფდა ქვეყნის მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას. ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა რესპონდენტთა მშობლების თაობაში. სტუდენტი რესპონდენტების მშობლების 67.2%-ს მცირეშვილიანი ოჯახები აქვთ, 30.3%-ს - საშუალოშვილიანი, ხოლო 2.5%-ს - მრავალშვილიანი. მშობლების ოჯახებში ბავშვთა საშუალო რიცხვი 2.34-ს შეადგენდა. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ როგორც შვილიანობის ტიპის ხვედრითი წილით, ისე ოჯახში ბავშვთა საშუალო რაოდენობით, სტუდენტთა მშობლების თაობა უკვე მოსახლეობის მხოლოდ შეკვეცილ აღწარმოებას უზრუნველყოფდა. კვლევის შედეგების მიხედვით, მშობლების თაობასთან შედარებით უმნიშვნელო ცვლილებები აღინიშნება სტუდენტთა მიერ ბავშვების ყოლის განზრახვათა რეალიზაციაში. მცირეშვილიანი იქნება სტუდენტთა ოჯახების 65.1%, საშუალოშვილიანი - ოჯახების 34.4% და ამასთან თითქმის არ იქნება მრავალშვილიანი ოჯახები. ოჯახში ბავშვების საშუალო რიცხვი კი 2.27-მდე შემცირდება (ცხრილი 2; გრაფიკი 3) (მენაბდიშვილი, 2004).

შვილიანობის ტიპის ცვლილება თაობათა შორის, 2002 წლის სტუდენტების კვლევა

შვილიანობის ტიპი	შვილები	მშობლები	ბებია-ბაბუა
მცირეშვილიანობა	65.1%	67.2%	40.5%
საშუალოშვილიანობა	34.4%	30.3%	43.2%
მრავალშვილიანობა	0.5%	2.5%	16.3%

წყარო: მენაბდიშვილი, ბავშვებზე მოთხოვნილების დინამიკა ქართულ მოსახლეობაში, 2004



გრაფიკი 3. შვილიანობის ტიპის ცვლილება თაობათა შორის, 2002 წლის სტუდენტების კვლევა

წყარო: მენაბდიშვილი, ბავშვებზე მოთხოვნილების დინამიკა ქართულ მოსახლეობაში, 2004

„ბავშვის ყოლის მოთხოვნილების“ ევოლუცია 3 თაობის მანძილზე ცხადად გვიჩვენებს, რომ რესპონდენტთა რეპროდუქციული განწყობის სრული რეალიზაციის შემთხვევაშიც კი (რაც პრაქტიკულად შეუძლებელია), მოსახლეობის მხოლოდ მარტივი აღწარმოება იქნება შესაძლებელი, რაც XXI საუკუნის პირველ ოცწლეულში მოსახლეობის რაოდენობის შემცირების პროცესის გაგრძელებას გამოიწვევს.

2003 წლის კვლევა, გორის რეგიონი

2003 წელს ჩატარებული კვლევის საფუძველზე მოხდა გორის რეგიონის მოსახლეობის რეპროდუქციული ორიენტაციების შესწავლა. კვლევის შედეგების მიხედვით, ბავშვთა იდეალურმა რაოდენობამ 3.05 შეადგინა, რაც საშუალოშილიანობის რეპროდუქციულ ნორმებს შეესაბამება და პასუხობს მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების მოთხოვნებს.

მოსახლეობაში „ბავშვის ყოლის მოთხოვნილებას“ გვიხასიათებს რეპროდუქციული ქცევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი - ბავშვების საშუალო სასურველი რაოდენობა, რომელიც, როგორც წესი, ნაკლებია ბავშვთა იდეალურ რაოდენობაზე. კვლევის შედეგების მიხედვით, ბავშვების სასურველმა რაოდენობამ შეადგინა 2.6 (რაც ოჯახში ბავშვების იდეალურ რაოდენობაზე 14.8%-ით ნაკლებია). მოცემული მაჩვენებელი აღემატება მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისთვის საჭირო ბავშვების რაოდენობას (2.1-ს). კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ მცირეშილიანი ოჯახები სასურველად მიაჩნია რესპონდენტთა - 53%-ს, საშუალოშილიანი ოჯახები - 41.9%-ს, მრავალშილიანი ოჯახები კი მხოლოდ - 4.5%-სთვისაა სასურველი (ახალაია, 2005).

ბავშვების მოსალოდნელმა რაოდენობამ 1.9 შეადგინა. ეს უკანასკნელი კი, წინა მაჩვენებლებისგან განსხვავებით, ჩამორჩება მოსახლეობის მარტივი აღწარმოების ზღვარს (კაცი რესპონდენტების შემთხვევაში იმყოფება მარტივი აღწარმოების ზღვარზე - 2.1, ქალებში კი მნიშვნელოვნად დაბალია აღნიშნულ ზღვარზე -1.7) (ახალაია, 2005).

რეპროდუქციულ ორიენტაციებზე და შესაბამისად მის მახასიათებელ მაჩვენებლებზე გავლენას ახდენს რიგი დემოგრაფიული, სოციალურ-დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური, ეთნიკური, რელიგიური და სხვა ფაქტორები. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები, რომ ბავშვების იდეალური, სასურველი, მოსალოდნელი და ფაქტობრივი რაოდენობის სიდიდეები დამოკიდებულია მათზე მოქმედ ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა: რესპონდენტთა ასაკი, განათლების დონე, მატერიალური მდგომარეობა და მისი თვითშეფასება, საბინაო პირობები და სხვა. ბავშვთა იდეალური რაოდენობიდან ბავშვთა სასურველ რაოდენობაზე გადასვლისას და შემდგომ ბავშვთა

ფაქტობრივი რაოდენობის გაანალიზებისას, ანუ მდგომარეობის დაკონკრეტების ხარისხის მატებისას, გაცილებით მკაფიოდაა გამოკვეთილი რეპროდუქციული ორიენტაციების მაჩვენებლების პირდაპირპროპორციული ან უკუპროპორციული კავშირი მათზე მოქმედ ფაქტორებზე.

კვლევის შედეგების მიხედვით, რეპროდუქციული ქცევის ისეთი დემოგრაფიული ფაქტორი როგორცაა ასაკი, მჭიდრო კორელაციას ამჟღავნებს როგორც ბავშვთა იდეალურ, ასევე ბავშვთა სასურველ რაოდენობასთან. რაც იმაში გამოიხატება, რომ რესპონდენტთა ასაკის ზრდის პარალელურად იზრდება ბავშვთა როგორც იდეალური, ისე სასურველი რაოდენობა (ყველაზე მაღალი რიცხვი დაასახელეს 40 წელს გადაცილებულმა რესპონდენტებმა - 3.4) (ახალაია, 2005).

რეპროდუქციული ნორმები და შესაბამისად შობადობის დონე მცირდება მოსახლეობის განათლების დონის ზრდის პარალელურად და მათ შორის კარგად გამოხატული უკუპროპორციული ურთიერთდამოკიდებულებაა (ახალაია, 2005).

რეპროდუქციული ქცევის ისეთი ეკონომიკური ფაქტორები, როგორებიცაა ოჯახის მატერიალური მდგომარეობა და საბინაო პირობები, მკვეთრად გამოხატულ უკუკავშირში იმყოფებიან ბავშვების იდეალურ და სასურველ რაოდენობებთან მიმართებაში. შესაბამისად, ოჯახის მატერიალური მდგომარეობისა და საბინაო პირობების გაუმჯობესებას თან სდევს რეპროდუქციული ნორმების შემცირება და პირიქით.

კვლევის შედეგების მიხედვით, ბავშვთა იდეალურ რაოდენობაზე ქორწინებითი მდგომარეობა არ მოქმედებს. აღმოჩნდა, რომ დაუქორწინებული, დაქორწინებული და განქორწინებული რესპონდენტებისთვის ბავშვთა იდეალური რაოდენობა არ შეცვლილა და 3.05 შეადგინა. თუმცა ამ მაჩვენებლებზე პირდაპირპროპორციულად მოქმედებს ქორწინების ხანგრძლივობა (რაც განსაკუთრებით გამოკვეთილია კაცებში) (ახალაია, 2005).

ბავშვის ყოლის მოთხოვნის კვლევამ ეროვნულ ჭრილში აჩვენა, რომ ქართველების რეპროდუქციული ორიენტაციები (როგორც ქალების, ისე კაცების შემთხვევაში) ჩამორჩება ანალოგიურ მაჩვენებლებს არაქართველ მოსახლეობაში (მაგ:

ბავშვების სასურველმა რაოდენობამ ქართველებისთვის შეადგინა - 2.6, არაქართველ მოსახლეობაში კი - 3.05 ბავშვი) (ახალაია, 2005).

საინტერესოა ბავშვების ფაქტობრივი რაოდენობის ტრანსფორმაცია ორ თაობას შორის - მშობლებისა და შვილების თაობის მიხედვით. მშობლების თაობაში მცირეშვილიანი ოჯახების ხვედრითი წილი შეადგენდა 40.8%-ს, შვილების თაობაში კი მოსალოდნელია რომ მან მიაღწიოს 82.3%-ს; თუ მშობლების თაობაში საშუალოშვილიანი ოჯახები აღწევდა 53.8%-ს, შვილებისაში მიაღწევს - 14.6%-ს; რაც შეეხება მრავალშვილიან ოჯახებს, მშობლების თაობაში ასეთი ოჯახების ხვედრითი წილი შეადგენდა 3.1%-ს, შვილების თაობაში კი მრავალშვილიანი ოჯახები პრაქტიკულად აღარ მოიაზრება. დასკვნა ერთია - ერთი თაობის განმავლობაში, რეგიონში და შესაძლებელია მთლიანად საქართველოში, მოსახლეობის არა თუ გაფართოებული, არამედ მარტივი აღწარმოების ბაზაც აღარ არსებობს (ახალაია, 2005).

მოცემული კვლევა მეტად საინტერესოა იმ კუთხით, რომ მისი მიზანი გახლდათ როგორც რეპროდუქციული ორიენტაციების, ისე მათზე მოქმედი ფაქტორების (ასაკი, განათლების დონე, მატერიალური მდგომარეობა, საბინაო პირობები და სხვა) შესწავლა. ასაკის გარდა, ყველა ფაქტორი უკუპროპორციულ დამოკიდებულაშია ბავშვების იდეალურ და სასურველ რაოდენობებთან. მართალია, კვლევამ მხოლოდ გორის რეგიონი მოიცვა, მაგრამ ჩემი აზრით, მოცემული ტენდენციები მეტ-ნაკლებად მთელი ქვეყნისთვის იყო დამახასიათებელი.

1999-2005-2010 წლების რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევები

უკანასკნელი წლების განმავლობაში, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) და სხვა მულტილატერალური და ბილატერალური დონორები მხარს უჭერდნენ ოჯახის დაგეგმვისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სხვადასხვა სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას საქართველოში.

1999 წლიდან USAID-ის და UNFPA-ს, ხოლო 2010 წელს კი დამატებით UNICEF დაფინანსებით ჩატარდა რეპროდუქციული ჯანმრთელობის ეროვნული მასშტაბის სამი კვლევა (1999, 2005 და 2010 წლებში). სამივე კვლევა განხორციელდა ქვეყნის მასშტაბით და შეგროვდა ინფორმაცია 15-44 წლის ასაკობრივი ჯგუფის ქალებში. კვლევების მიზანი იყო დემოგრაფიული და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ძირითადი ინდიკატორების მაჩვენებლების მოპოვება და მათი შედარება წინა კვლევების შედეგებთან; აგრეთვე კვლევის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა შობადობის არსებული დონისა და ტენდენციების განსაზღვრა და რეპროდუქციულ ქცევაზე გავლენის მქონე შესაძლო ფაქტორების დადგენა (დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, 2010).

შობადობის შემდგომ განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს ცოცხლადშობილი ბავშვების რაოდენობა და ბავშვების ყოლის სურვილი. შესაბამისად, რეპროდუქციული ჯანმრთელობის სამივე კვლევის მიზანი გახლდათ, მეტი ბავშვის ყოლის სურვილის შესწავლა. ბავშვების ყოლის სურვილის დინამიკაში შემდეგი ტენდენციები ვლინდება: იმ ქალების რაოდენობა, რომლებმაც განაცხადეს, რომ სურთ მეტი შვილის ყოლა, გაზრდილია 1999 წლიდან - 25%-დან 2010 წლისათვის - 35%-მდე, რაც 40%-იან ზრდას შეადგენს. ბავშვების ფაქტობრივი რაოდენობის ზრდასთან ერთად მეტი ბავშვის გაჩენის სურვილი მცირდება, თუმცა განსაკუთრებით აღსანიშნავია იმ ორი და მეტშვილიანი ქალების რაოდენობა - 21%, რომლებმაც 2010 წელს განაცხადეს, რომ სურთ მეტი შვილი; მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი გაცილებით ნაკლები იყო 1999 წელს და მხოლოდ 12%-ს შეადგენდა (ცხრილი 3; გრაფიკი 4). შვილების ყოლის სურვილი განსაკუთრებით მაღალია ახალგაზრდა ქალებს შორის - 89% 15-19 წლის ასაკობრივ ჯგუფში და 73% - 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში, აღნიშნული მაჩვენებელი იკლებს 47%-მდე 25-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში და კიდევ უფრო ნაკლებია 30 და მეტი წლის ასაკის ქალთა შორის (დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, 2010).

მეტი ბავშვის გაჩენის სურვილი ბავშვების ფაქტობრივი რაოდენობის მიხედვით ქორწინებაში
 მყოფ 15-44 წლის ქალებში (%). 1999, 2005, 2010

წლები	სულ	ბავშვების ფაქტობრივი რაოდენობა			
		არცერთი	ერთი	ორი	სამი და მეტი
1999	25	63	66	12	3
2005	27	65	64	13	4
2010	35	70	71	21	8

წყარო: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, 2010

შვილების ყოლის სურვილისა და ასაკის უკუპროპორციული დამოკიდებულება ადასტურებს, რომ ასაკის მატებასთან ერთად, იზრდება რეპროდუქციულ ორიენტაციებზე მოქმედი ხელისშემშლელი ფაქტორების ზეგავლენა (იმ ფაქტორების, რომლებიც წინამდებარე მოსწავლეთა კვლევების ანალიზისას განვიხილეთ). ცნობილია, რომ პიროვნების სიმწიფის ასაკად მიჩნეულია 25-28 წელი. იდეალიზმს რეალიზმი და პრაგმატიზმი ცვლის. ამიტომ, ამ ასაკში, რესპოდენტთა სურვილები მეტად კონკრეტიზირდება გარემო პირობებისა და საკუთარი შესაძლებლობების შეფასებისა და გათვალისწინებითა კუთხით.

აღნიშნულის საპირისპიროდ, გადაწყვეტილება რომ მეტი შვილი აღარ გაეჩინათ, ბავშვების ფაქტობრივი რაოდენობის ზრდასთან ერთად სწრაფად გაიზარდა. მთლიანად, ქართველი ქალების 54% (რომელთაც შეუძლიათ შვილოსნობა), აცხადებს, რომ არ სურთ მეტი შვილის გაჩენა. აღნიშნული მაჩვენებელი ერთშვილიან დედებს შორის შეადგენს 18%-ს, სამ და მეტშვილიან დედებს შორის კი - 87%-ს (ცხრილი 4; გრაფიკი 5). კვლევები აგრეთვე მიმართული იყო შვილოსნობის შეწყვეტის სურვილის შესწავლაზე რესპოდენტთა საცხოვრებელი ადგილისა (ქალაქი/სოფელი) და განათლების დონის მიხედვით. ერთშვილიან დედებს შორის, მეტი შვილის არყოლის სურვილი უფრო მაღალი იყო ქალაქში მცხოვრებ ქალებში (21%), ვიდრე სოფელში მცხოვრებელთა შორის (15%). აგრეთვე, აღნიშნული მაჩვენებელი იზრდება განათლების დონის ზრდასთან ერთად. ნებისმიერ



დროს შვილოსნობის შეწყვეტის სურვილი უშუალოდ იყო დაკავშირებული ასაკთან (დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, 2010).

ცხრილი 4

გადაწყვეტილება, მეტი ბავშვი ადარ იყოლიოს ბავშვების ფაქტობრივი რაოდენობის მიხედვით ქორწინებაში მყოფ შობადობის უნარის მქონე 15-44 წლის ქალებში (%). 1999, 2005, 2010

წლები	სულ	ბავშვების ფაქტობრივი რაოდენობა			
		არცერთი	ერთი	ორი	სამი და მეტი
1999	64	1	18	78	91
2005	63	1	19	78	92
2010	54	1	18	68	87

წყარო: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, 2010



გრაფიკი 4. მეტი ბავშვის გაჩენის სურვილი, ბავშვების ფაქტობრივი რაოდენობის მიხედვით ქორწინებაში მყოფ 15-44 წლის ქალებში

გრაფიკი 5. გადაწყვეტილება, მეტი ბავშვი ადარ იყოლიოს ბავშვების ფაქტობრივი რაოდენობის მიხედვით ქორწინებაში მყოფ შობადობის უნარის მქონე 15-44 წლის ქალებში

წყარო: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, 2010


კვლევა ითვალისწინებდა საქართველოში ახალგაზრდა ოჯახისათვის ბავშვების იდეალური რაოდენობის დადგენას. გამოკითხული ქალების თითქმის 2/3-მა (67%) აღნიშნა, რომ ახალგაზრდა წყვილს უნდა ჰყავდეს ორი ან სამი შვილი (2005 წელს ანალოგიური მაჩვენებელი შეადგენდა 74%-ს), 47%-მა კი უპირატესობა სამ შვილს მიანიჭა (2005 წელს – 46%-მა) (ცხრილი 5; გრაფიკი 6). როგორც 2010, ისე 2005 წელს გამოკითხულ ქალთა 10%-მა მიუთითა, რომ ახალგაზრდა წყვილს უნდა ჰყავდეს რაც შეიძლება მეტი შვილი, ხოლო 6%-ის აზრით, ახალგაზრდა წყვილს უნდა ჰყავდეს იმდენი შვილი, რამდენსაც ღმერთი მისცემს (2005 წელს 4%-მა დააფიქსირა იგივე პასუხი). ბავშვების იდეალური რაოდენობა კიდევ უფრო მაღალი იყო იმ რესპონდენტთა პასუხებში, რომლებსაც უკვე ჰყავდათ სამი ან მეტი შვილი, რაც ალბათ მათ ცხოვრებისეულ გამოცდილებას ასახავს. 2005 წლის რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის შედეგების თანახმად, ოჯახში ბავშვების იდეალური რაოდენობის საშუალო მაჩვენებელმა 2.8 ბავშვი შეადგინა. ანალოგიურმა მაჩვენებელმა 2010 წლის მონაცემებით მოიმატა და - 3.0 ბავშვი შეადგინა (დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, 2010).

ცხრილი 5

ბავშვების იდეალური რაოდენობა ახალგაზრდა ოჯახისათვის 2005-2010 წლის რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევების მიხედვით

წლები	ბავშვების იდეალური რაოდენობა					
	0-1	2	3	4	5 +	სხვა
2005	1.2%	28.1%	46.0%	9.0%	1.1%	14.5%
2010	0.7%	19.8%	47.1%	12.3%	2.3%	17.8%

წყარო: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, 2010



გრაფიკი 6. ბავშვების იდეალური რაოდენობის დინამიკა (2005-2010)

წყარო: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, 2010

მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი დაინტერესდა საქართველოში შობადობის არსებული მდგომარეობისა და მისთვის დამახასიათებელი ტენდენციების შესწავლით და ამავე დროს, შეეცადა ეკვლია რეპროდუქციულ ქცევაზე მოქმედი შესაძლო ფაქტორების გავლენა.

2013 წლის კვლევა

2013 წელს, საქართველოში ჩატარდა სოციალურ-დემოგრაფიული კვლევა - „ოჯახის სოციალურ-დემოგრაფიული მოდერნიზაციის თავისებურებანი“, რომელიც სხვადასხვა საკითხთან ერთად შეისწავლიდა 18-49 წლის ქალებისა და მამაკაცების რეპროდუქციულ ქცევას, მასთან დაკავშირებულ ორიენტაციებს, მოლოდინებსა და განზრახვებს.

2013 წლის მონაცემებით, საქართველოში შობადობის დონე დაბალია, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი (1.7‰) კი მოსახლეობის მარტივი აღწარმოების ზღვარს დაბლას, რის შედეგადაც, გარკვეული დროის შემდეგ, შესაძლოა მომავალი თაობა წინაზე ნაკლები აღმოჩნდეს. შობადობის შემცირების ძირითად მიზეზს წარმოადგენს რეპროდუქციულ ქცევაში მომხდარი ცვლილებები. როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, ქალების მიერ

დასახელებული ბავშვების იდეალური, სასურველი და მოსალოდნელი რაოდენობა არ არის მაღალი და იმაზე მიგვანიშნებს, რომ მოსალოდნელია შობადობის დონის შემდგომი კლება. ზოგადად, კაცებისა და ქალების რეპროდუქციული ორიენტაციები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ერთმანეთისგან (ცხრილი 6) (შუმტაკაშვილი და წიკლაური, 2014).

ცხრილი 6

ქორწინებაში მყოფი მამაკაცებისა და ქალების რეპროდუქციული ორიენტაციები

ბავშვების რაოდენობა	კაცები	ქალები
იდეალური	3.3	3.0
სასურველი	2.6	2.4
მოსალოდნელი (სულ)	2.5	2.4
ფაქტობრივი	1.5	1.7

წყარო: შუმტაკაშვილი და წიკლაური, შობადობა და რეპროდუქციული ქცევა საქართველოს ქალაქებში, 2014

ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობაში რეპროდუქციული ქცევა მნიშვნელოვნად განსხვავდება მათი მშობლების რეპროდუქციული ქცევისგან, როგორც ერთი ქალის მიერ მთელი ცხოვრების მანძილზე გაჩენილი ბავშვების საშუალო რაოდენობით (შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი), ასევე ისეთი სტრუქტურული მახასიათებლებით, როგორებიცაა ასაკი და ქორწინებითი მდგომარეობა. დღეს, საქართველოში, ადამიანები ძირითადად ორიენტირებულნი არიან ორბავშვიან ოჯახებზე. ქორწინებაში მყოფი რესპონდენტების მიერ დასახელებული ბავშვების საშუალო სასურველი და ბავშვების მოსალოდნელი (სულ) რაოდენობა დაახლოებით 2.5-ს შეადგენს. თუმცა გარე ფაქტორების გათვალისწინებით (სოციალურ-ეკონომიკური პირობები, უნაყოფობა და სხვ.), ბავშვების ფაქტობრივი რაოდენობა უფრო ნაკლები იქნება. ამჟამად, ქალები აჩენენ უფრო ნაკლებ ბავშვს, ვიდრე მათი მშობლები, რაც მიუთითებს რეპროდუქციულ ქცევაში მომხდარ ცვლილებებზე. კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაა რეპროდუქციული განწყობის თვალსაზრისით. დაქორწინებული ქალები საშუალოდ აპირებენ კიდევ მხოლოდ 0.62 ბავშვის ყოლას. კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ ამჟამად ქალებს ჰყავთ იმაზე ნაკლები ბავშვი ვიდრე მათ

მშობლებს. მართალია, 20-39 წლის ასაკობრივი ჯგუფის ქალები ორიენტირებულნი არიან ჰყავდეთ იმდენი შვილი, რამდენიც ჰყავდათ მათ მშობლებს, თუმცა 40-49 წლის ასაკობრივი ჯგუფის ქალებს ფაქტობრივად ჰყავთ იმაზე ნაკლები შვილი, ვიდრე მათ მშობლებს ჰყავდათ (შუშტაკაშვილი და წიკლაური, 2014).

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ როდესაც ქორწინებაში მყოფმა ქალებმა ბავშვების მოსალოდნელი (სულ) რაოდენობა უფრო ნაკლები დაასახელეს, ვიდრე სასურველი რაოდენობა, ყველაზე მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი მიზეზები შემდეგნაირად დალაგდა: „მატერიალური პირობები“ - გამოკითხულთა 44.2%-მა დაასახელა; „ჯანმრთელობის მგდომარეობა“ - 42.9%; „სხვა“ მიზეზები - 13% (შუშტაკაშვილი და წიკლაური, 2014).

კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოში, რეპროდუქციული ასაკის ქალების მიერ დასახელებული ბავშვების საშუალო იდეალური და სასურველი რაოდენობა არ განსხვავდება დასაქმების სტატუსის მიხედვით. თუმცა დასაქმებულ ქალებს ჰყავთ და მოსალოდნელია, რომ ეყოლებათ უფრო ნაკლები შვილი, ვიდრე იმ ქალებს, რომლებიც არ არიან დასაქმებულნი. აგრეთვე საქართველოს ქალაქებში რეპროდუქციული ასაკის იმ ქალებს, რომელთაც უფრო მაღალი განათლების დონე აქვთ, მოსალოდნელია, რომ ეყოლებათ უფრო ნაკლები შვილი, ვიდრე მათ, ვისაც შედარებით დაბალი განათლების დონე აქვთ (შუშტაკაშვილი და წიკლაური, 2014).

საქართველოში, შობადობის კონტროლის ძირითად საშუალებას წარმოადგენს აბორტი. ოჯახის დაგეგმვა ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირებით განისაზღვრება, რაც გულისხმობს კონტრაცეპციის სხვადასხვა მეთოდებისა და აბორტის გამოყენების შესაძლებლობას. 1990-იანი წლების დასაწყისამდე, საქართველო აბორტების მაჩვენებელით ლიდერობდა კავკასიის რეგიონში. 1990-იანი წლებიდან აბორტების მაჩვენებლები კლების ტენდენციით ხასიათდებოდა და ამასთანავე იზრდებოდა თანამედროვე კონტრაცეპციული მეთოდების გამოყენება. თუმცა საქართველოში, ჩატარებული სხვადასხვა დემოგრაფიული და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევების შედეგებიდან ჩანს, რომ აბორტების დონე კვლავ საკმაოდ მაღალია. გამოკვლევის დროს, 233 ქალმა მიუთითა, რომ ერთი აბორტი

მანც აქვს გაკეთებული და მათ შორის მხოლოდ 4-მა ქალმა აღნიშნა, რომ აბორტი გაიკეთა არასასურველი სქესის გამო. გამოკითხული რესპონდენტების პასუხებიდან ჩანს, რომ საქართველოს ქალაქებში მცხოვრები მოსახლეობა ორიენტირებულია ჰყავდეთ 2 შვილი, რესპონდენტებმა ბავშვების სასურველ საშუალო რაოდენობად დაასახელეს 2.51 ბავშვი, მათ შორის 1.23 ბიჭი და 1.28 გოგონა. ამასთან ერთად, საქართველოს ქალაქებში ოჯახების თითქმის ნახევარი წარმოადგენს ორშვილიან ოჯახებს. კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ რესპონდენტებს საშუალოდ ჰყავთ 1.79 შვილი, მათ შორის 0.91 ბიჭი და 0.89 გოგონა. როგორც ჩანს, საქართველოს ქალაქებში ფაქტობრივად ჰყავთ და ორიენტირებულები არიან ჰყავდეთ ორი შვილი და ბიჭი შვილისათვის უპირატესობის მინიჭება არ ვლინდება (შუმტაკაშვილი და წიკლაური, 2014).

2013 წლის კვლევა, ისევე როგორც წინა კვლევები, გვიჩვენებს რეპროდუქციული ორიენტაციების, მოლოდინებისა და განზრახვების ცვლილების უარყოფით ტენდენციებს - ქალები აჩენენ უფრო ნაკლებ ბავშვს, ვიდრე მათი მშობლები. ასევე შემცირებულია ბავშვის ყოლის განწყობა დაქორწინებულ ქალებში, გაზრდილია მატერიალური მდგომარეობის როგორც ხელისშემშლელი ფაქტორის როლი. ვთვლი, რომ სამომავლოდ საკვლევი უნდა იყოს ის ხელშემწყობი ფაქტორები, რომლებიც გააძლიერებენ რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის სოციო-დემოგრაფიულ ორიენტაციებს ახალგაზრდა ოჯახებსა და ქალებში, რათა ამ ორიენტირებზე შემუშავდეს სამომავლო დემოგრაფიული პოლიტიკა.

4. „რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის კვლევა ახალგაზრდებში“ (2017 წელი)

2016 წლის 31 დეკემბრიდან 2017 წლის 8 იანვრამდე პერიოდში, ჩემს მიერ ჩატარდა კვლევა სახელწოდებით “რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის კვლევა ახალგაზრდებში” (18-35 წლის ასაკობრივი ჯგუფი). კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით, ელექტრონული გამოკითხვის გზით და მოიცვა საქართველოს მასშტაბით 563 რესპოდენტი. კვლევის ინსტრუმენტად შემუშავებულ იქნა სტრუქტურული კითხვარი დახურული, ნახევრად დახურული და ღია კითხვებით. კვლევის მიზანს წარმოადგენდა რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის მიმართ ახალგაზრდების დამოკიდებულების შესწავლა, მათზე ცხოვრებისეული გარემო პირობებისა და ფაქტორების გავლენისა და შობადობის საკითხებში სახელმწიფოს როლის განსაზღვრა.

განაალიზდა და შეფასდა ახალგაზრდების დამოკიდებულება შობადობის, ქორწინების, ბავშვის სქესის, გენდერული როლის, ქორწინების გარეშე ბავშვის გაჩენისა და შობადობაზე მოქმედი სხვა ფაქტორების მიმართ.

4.1. საკითხის აქტუალობა და კვლევის მიზანი

დემოგრაფიული განწყობისა და ქცევის შესწავლისკენ მიმართული კომპლექსური კვლევები დღეს სამწუხაროდ არ ხორციელდება. საქართველოში რეპროდუქციული ორიენტაციების კვლევები XX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება. ზოგ მათგანში მეტი ყურადღება ექცევა რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის სიღრმისეულ შესწავლას, ზოგი კი ამ საკითხს ნაწილობრივ, მხოლოდ რამდენიმე შეკითხვით ეხება. შესაბამისად, საჭიროდ მივიჩნიე, რომ ჩამეტარებინა მრავალპლანიანი კვლევა ახალგაზრდების რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის შესასწავლად.

ჩემი კვლევა მიმართულია 18-35 წლის ახალგაზრდებზე, რომლებიც XXI საუკუნის საქართველოში სოციალურ-კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების ერთ-ერთი შემოქმედი და თაობათა აღწარმოების სუბიექტი არიან/გახდებიან. შობადობა მოსახლეობის აღწარმოების ერთ-ერთი წარმმართველი და უმნიშვნელოვანესი

შემადგენელი კომპონენტია. შესაბამისად, ახალგაზრდების რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის შესწავლა, მიმდინარე პროცესების ანალიზი და სამომავლო ტენდენციების განსაზღვრა, ყველა დროში არსებითია, განსაკუთრებით კი დღეს, როდესაც მოსახლეობის კლება ასეთი თვალშისაცემია.

დემოგრაფიული პროცესების შესწავლისთვის მნიშვნელოვანია მოსახლეობის დემოგრაფიული განწყობისა და დემოგრაფიული ქცევის კვლევა და მიღებული შედეგების ანალიზი. დემოგრაფიული განწყობისა და დემოგრაფიული ქცევის ცენტრალურ საკითხს კი რეპროდუქციული განწყობა და რეპროდუქციული ქცევა წარმოადგენს. კვლევის მიზანაც სწორედ რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის მიმართ ახალგაზრდების დამოკიდებულების შესწავლა იყო. განსაკუთრებით კი ისეთი ასპექტების კვლევა, როგორებიცაა: ახალგაზრდებში რეპროდუქტული განწყობისა და არსებული მდგომარეობის (შობადობის კუთხით) კვლევა/შეფასება, რეპროდუქციულ განწყობაზე („ბავშვის ყოლის მოთხოვნილებაზე“) ცხოვრებისეული გარემო პირობების გავლენა და შობადობის ხელშემწყობი/ხელშემშლელი ფაქტორების გამოვლენა, შობადობის სოციალურ-ეკონომიკური მექანიზმის შესწავლა, შობადობის პერსპექტივაში მოსალოდნელი ტენდენციების გამოვლენა, ქორწინების მიმართ დამოკიდებულება და ქორწინების გარეშე ბავშვის გაჩენის მიმართ ახალგაზრდების დამოკიდებულების შესწავლა და შობადობის საკითხებში სახელმწიფოს როლის განსაზღვრა.

4.2. მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდი და ინსტრუმენტი

სხვადასხვა დემოგრაფიულ კვლევებში, კერძოდ კი რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის შესწავლაში პრიორიტეტულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენება. ჩემს მიერ ჩატარებულ კვლევაშიც გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, კვლევა ჩატარდა ელექტრონული გამოკითხვის მეთოდის მეშვეობით. კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა სტრუქტურირებული კითხვარი დახურული, ნახევრად დახურული და ღია კითხვებით.

შერჩევა

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 18-35 წლის 563 რესპონდენტი. ახალგაზრდათა ამ ასაკობრივი ჯგუფის შერჩევა მოხდა იმ პრინციპით, რომ აღნიშნულ ასაკში მყოფი ადამიანები ყველაზე აქტიურ რეპროდუქციულ ფაზაში არიან (ფსიქო-ფიზიოლოგიური სიმწიფის გათვალისწინებით) და შესაბამისად, აქტიურად მონაწილეობენ თაობათა აღწარმოების პროცესში.

ანალიზის ტექნიკა

კვლევის მოსამზადებელ ეტაპზე მოხდა მეორადი მონაცემების ანალიზი⁸, აღნიშნულ საკითხზე არსებული ლიტერატურისა და კვლევების შესწავლა, რის შემდეგაც შედგა კითხვარის მონახაზი, რომლის მიხედვითაც ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუ. ამ ეტაპის დასრულების შემდეგ, ელექტრონულ პროგრამაში - www.surveymonkey.com, შედგა კითხვარი დასრულებული სახით (იხ. დანართი).

გამოკითხვა მიმდინარეობდა ერთი კვირის მანძილზე - 2016 წლის 31 დეკემბრიდან 2017 წლის 7 იანვრის ჩათვლით პერიოდში. მონაცემთა შეყვანა და დამუშავება მოხდა სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით. მოხდა „surveymonkey“-ის მიერ მოწოდებული Excel-ის მონაცემთა ბაზის პირველადი გაწმენდა, რის შემდეგაც კოდირებული მონაცემები დამუშავდა SPSS-ის პროგრამაში (წინასწარ შექმნილ ბადაში). მოხდა მონაცემთა როგორც ერთ, ისე ორგანოზომილებიანი ანალიზი შემდეგი მეთოდების გამოყენებით: მონაცემთა სიხშირული ანალიზი, საშუალო / მოდა / მედიანას დათვლა, კროსტაბულაცია.

კვლევის შეზღუდვები

რაც შეეხება კვლევის შეზღუდვებს, უნდა აღინიშნოს, რომ რამდენადაც მოსახერხებელია ელექტრონული გამოკითხვის მეთოდის გამოყენება (დროის, ფინანსებისა და მანძილის ბარიერის შემცირების თვალსაზრისით), იმდენად გასათვალისწინებელია მის

⁸ მონაცემები, რომლებიც უკვე შეგროვილია სხვა მკვლევარებისა და ინსტიტუტების მიერ განსხვავებული მიზნებით. მათი ანალიზი კი გულისხმობს იმ კვლევების აღმოჩენას, რომლებიც ემყარება სხვათა მიერ შეგროვილ მონაცემებს (ფრანკფორტ-ნაჩმისი, ჩ., და ნაჩმისი, დ., 2009).

გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები. აღნიშნული კვლევის შემთხვევაში, ეს უმეტესად ეხებოდა ინტერნეტის ან აპარატურის მუშაობის ხარვეზებს, რის გამოც საკმაოდ ბევრმა რესპონდენტმა (25%) ვერ მოახერხა კითხვარის შევსების დასრულება და მათი შედეგები მხოლოდ ნაწილობრივ აისახა ელექტრონულ ბაზაში. შესაბამისად, საჭირო გახდა აღნიშნული დაუსრულებელი კითხვარების ამოღება და შერჩევის მოცულობამაც მნიშვნელოვნად დაიკლო. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 750-მა რესპონდენტმა, მაგრამ ზემოთ აღნიშნული ტექნიკური პრობლემების გამო, დავამუშავე მხოლოდ სრულად შევსებული 563 კითხვარის მონაცემები.


ეთიკური საკითხები

კვლევა ჩატარებულია ეთიკური ნორმების დაცვით. რესპონდენტთა კვლევაში ჩართვა მოხდა ნებაყოფლობით, კითხვარის პრეამბულაში მითითებული კვლევის ძირითადი მიზნებისა და ამოცანების გაცნობით, აგრეთვე საკვლევი საკითხის შესწავლაში მათი ჩართვისა და ღიაობის მნიშვნელობის გაცნობით. რესპონდენტები დაცულნი იყვნენ ზიანის მიყენებისგან, რადგან კითხვარი არ იყო მიმართული მათი პირადი ცხოვრების, სამსახურეობრივ და პოლიტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ დეტალებზე (პასუხების მეშვეობით მიღებული ინფორმაცია უფრო მეტად სტატისტიკურ-დემოგრაფიული სახის გახლდათ). ამდენად, რესპონდენტებს არ მოეთხოვებოდათ ღრმად პიროვნული ინფორმაციის გაცხადება/გამოაშკარავება. კითხვარში არ იყო ისეთი კითხვები, რომლებიც გამოიწვევდა რესპონდენტთა ემოციურ ტრავმას. კითხვარის სპეციფიკა მდგომარეობდა იმაში, რომ ის უფრო მეტად მიმართული იყო მომავალზე, პერსპექტიულ დაგეგმვაზე, სურვილებსა და განწყობებზე. ხოლო კითხვები წარსული გამოცდილების შესახებ, უფრო სტატისტიკური ხასიათის გახლდათ. კვლევა სრულად იცავდა რესპონდენტთა ანონიმურობასა და კონფიდენციალობას.


5. „რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის კვლევა ახალგაზრდებში“ - შედეგები

5.1. დემოგრაფიული ბლოკი

18-35 წლის 563 გამოკითხული რესპონდენტიდან 72% იყო ქალი, ხოლო 28% კაცი. მოდალურ ასაკად დაფიქსირდა 24 წელი - მთელი რესპონდენტების 21.5% გახლავთ ამ ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი (გრაფიკი 7; გრაფიკი 8).




გრაფიკი 7. რესპონდენტთა სქესობრივი განაწილება



გრაფიკი 8. რესპონდენტთა ასაკობრივი განაწილება


საინტერესოა, რესპონდენტთა განათლების სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში განხილვა. გამოკითხულთა უმრავლესობას (68.7%) უმაღლესი განათლება აქვს, ამათგან ქალების 72.7%-ს და კაცების 58.3%-ს. არასრული უმაღლესი განათლება აქვს რესპონდენტთა 25.3%-ს, რომელთა შორისაც კაცები (31.4%) სჭარბობენ ქალებს (22.9%). პროფესიულ-ტექნიკური განათლება კი ქალების მხოლოდ 1%-ს აქვს, მაშინ როდესაც კაცებში ეს მაჩვენებელი ხუთჯერ მაღალია (5.1%). საშუალო (3%) და არასრული საშუალო (0.9%) განათლების მქონეთა წილი რესპონდენტებს შორის ძალზე დაბალია, თუმცა ორივე შემთხვევაში, ამ კატეგორიებშიც კაცები სჭარბობენ ქალებს (გრაფიკი 9).



გრაფიკი 9. რესპონდენტთა განაწილება განათლების დონისა და სქესის მიხედვით


რესპონდენტების უმრავლესობა (77.3%) მართლმადიდებელია, მათ შორის ქალების 82.2% და კაცების 64.5%. ხვედრითი წილის მიხედვით, მეორე, ყველაზე დიდ ჯგუფს წარმოადგენენ ის ადამიანები, რომლებიც არ არიან რელიგიურები - 19.7%. ამ შემთხვევაში კაცები (30.3%) ორჯერ სჭარბობენ ქალებს (15.6%); მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილნი მუსლიმები (1.1%), სომხური სამოციქულო ეკლესისა (0.2%) და სხვა რელიგიების (4.5%) მიმდევრები (კათოლიკე, პროტესტანტი, ბუდისტი, აგნოსტიკი, მაზდეანელი, წარმართი, ათეისტი, აპათეისტი); 0.4%-მა კი პასუხად დააფიქსირა - „მიჭირს პასუხის გაცემა“.

რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის შესწავლისას მნიშვნელოვანია არა მხოლოდ რელიგიური კუთვნილების, არამედ რელიგიურობის ფაქტორის გათვალისწინებაც - თუ რამდენად ხშირად ესწრება ადამიანი რელიგიურ ღვთისმსახურებას. რესპონდენტთა უმეტესობა რელიგიურ ღვთისმსახურებას იშვიათად (42.8%) ან საერთოდ არ ესწრება (34.4%), მათ მოსდევს ის კატეგორია, რომლებიც მხოლოდ მთავარ დღესასწაულზე (9.8%) და თვეში რამდენჯერმე (9.1%) ესწრებიან რელიგიურ ღვთისმსახურებას; რესპონდენტთა მხოლოდ ყველაზე მცირე ნაწილი ესწრება ყოველკვირეულად (3.9%) რელიგიურ ღვთისმსახურებას (გრაფიკი 10).



გრაფიკი 10. რესპონდენტთა განაწილება რელიგიურობისა და სქესის მიხედვით

რესპონდენტების განაწილებას სქესისა და საქმიანობის მიხედვით შემდეგი სახე აქვს: გამოკითხულთა შორის დასაქმებულია ნახევარზე მეტი (57.6%), მათ მოსდევს სტუდენტთა (25.7%) და შემდგომ თვითდასაქმებულთა (6.8%) კატეგორია. საინტერესოა, რომ ამ უკანასკნელ ჯგუფში ძირითადად კაცები (12.2%) არიან წარმოდგენილნი და სამჯერ სჭარბობენ თვითდასაქმებული ქალების რაოდენობას (4.7%). უმუშევრები რესპონდენტთა 7%-ს შეადგენენ, დიასახლისები კი - 1.8% (სადაც მხოლოდ ქალები არიან წარმოდგენილნი 2.5%-ით), ხოლო „სხვა“ კატეგორიაში (2.3%) ერთიანდებიან: სპორტსმენები, პრაქტიკანტები, მოხალისეები და აბიტურიენტები (გრაფიკი 11).



გრაფიკი 11. რესპონდენტთა განაწილება საქმიანობისა და სქესის მიხედვით

რაც შეეხება მატერიალურ მდგომარეობას, გამოკითხულთა 71% აფიქსირებს, რომ საშუალო შემოსავლები აქვთ (ახერხებენ ოჯახის ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას), მაღალი შემოსავლები (შეუძლიათ გართობისა და დასვენების ხარჯები გაწიონ) აქვს რესპონდენტთა 18.1%-ს, დაბალი (შემოსავალი კვებაზე და ჩასაცმელზე ძლივს ჰყოფნით) - 9.2%-ს, ძალიან დაბალი (შემოსავალი კვებაზეც არ ჰყოფნით) - 0.9%-ს, ძალიან მაღალი კი - 0.7%-ს.

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რესპონდენტები შემდეგნაირად ნაწილდებიან: თბილისი - 80.2%, სხვა ქალაქი - 13.4%, სოფელი - 6.4%.

5.2. ქორწინების მიმართ დამოკიდებულება

რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის შესწავლისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ქორწინება, ქორწინების ასაკი და ქორწინების დემოგრაფიული მნიშვნელობის კვლევა, რადგან ჩამოთვლილი საკითხები მჭიდრო კავშირშია მოსახლეობის აღწარმოებასთან.

ქორწინება წარმოადგენს სოციალურ-დემოგრაფიულ პროცესს, რომელიც განპირობებულია და რეგულირდება სოციალურ-კულტურული ნორმებით. ქორწინება არის კანონით ან ჩვეულებით ნებადართული კავშირი ქალსა და კაცს შორის, რომელიც აწესრიგებს მათ ურთიერთობას, შვილებისადმი დამოკიდებულებას და განსაზღვრავს თითოეული მათგანის ადგილს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ქორწინების ასაკი ახასიათებს ადამიანის წარმოდგენას, მის ორიენტაციას ქორწინების მიმართ. ქორწინების იდეალური ასაკის შესახებ წარმოდგენა ყალიბდება ეკონომიკური და სოციალური პირობების, მორალის, რელიგიის და სხვა ფაქტორების ზეგავლენით. საქართველოში, როგორც ქალების, ისევე კაცებისთვის, ქორწინების იდეალური ასაკი და ქორწინების ფაქტობრივი ასაკი საშუალოდ უმნიშვნელოდ განსხვავდება ერთმანეთისგან (წულაძე გ. , 2012). საქართველოში მინიმალურ საქორწინო ასაკად საქართველოს


კანონმდებლობით დადგენილია 18 წელი⁹ (საქართველოს კანონი, მუხლი 1108 ქორწინების ასაკი, 2012).

კვლევით მიღებული მონაცემების მიხედვით, საინტერესოა ქორწინების საუკეთესო ასაკის გენდერულ ჭრილში განხილვა. ქალისთვის ქორწინების საუკეთესო ასაკად როგორც ქალების (59.9%) ისე მამაკაცების (47.8%) მიერ მიჩნეულია 25-29 წელი. 20-24 წელი კი მამაკაცთა მეტი რაოდენობისთვისაა (31.2%) მიჩნეული ქალის ქორწინების საუკეთესო ასაკად, ვიდრე თავად ქალების მიერ (18.2%). საინტერესოა ტენდენცია, რომ რესპონდენტ ქალებს შორის, არც ერთი არ ასახელებს ქალის ქორწინებისთვის საუკეთესო ასაკად 18 წლამდე ასაკობრივ კატეგორიას, მამაკაცთა ძალიან მცირე რაოდენობის აზრით (0.6%) კი, ეს ასაკი საუკეთესოა ქალის ქორწინებისთვის (გრაფიკი 12).

რაც შეეხება მამაკაცის ქორწინების საუკეთესო ასაკს, რესპონდენტთაგან არავინ მიიჩნევს, რომ მამაკაცის ქორწინების საუკეთესო ასაკი 18 წლამდეა. რესპონდენტთა ნახევარი, უპირატესობას ანიჭებს 25-29 წელს. საინტერესოა, რომ ქალებისთვის (36%) მეტად მისაღებია მამაკაცის ქორწინების ასაკად 30-34 წელი, მაშინ როდესაც ამ მოსაზრებას მამაკაცთა მხოლოდ 17.2% იზიარებს (გრაფიკი 13).

ორივე განხილული კითხვის შემთხვევაში, ძალიან დაბალი პროცენტული წილი ირჩევს ქორწინების საუკეთესო ასაკად (როგორც ქალისთვის ისე მამაკაცისთვის) 35 წელზე მეტი ასაკის კატეგორიას. ხოლო ორივე შემთხვევაში მამაკაცთა 12.7% და ქალთა 9.6% მიიჩნევს, რომ ქორწინებისთვის სასურველი ასაკი არ არსებობს.

⁹ 16 წელს მიღწეული არასრულწლოვანი პირის ქორწინება დაიშვება მშობლების ან მზრუნველის წინასწარი წერილობითი თანხმობით (საქართველოს კანონი, მუხლი 1108 ქორწინების ასაკი, 2012).




გრაფიკი 12. ქორწინების საუკეთესო ასაკი ქალისთვის

გრაფიკი 13. ქორწინების საუკეთესო ასაკი კაცისთვის

ქორწინების ასაკი

დაქორწინებულ რესპონდენტებს შორის, ქალთა ქორწინების ფაქტობრივმა საშუალო ასაკმა 22.55 წელი შეადგინა. ყველაზე მეტი ქალი (17%) 22 წლის ასაკში დაოჯახდა. ქორწინება 21-24 წლის ასაკში დაახლოებით 12-14%-ს შორის მერყეობს, შემდგომ კი მკვეთრად იკლებს. კვლევის ფარგლებში, 18 წლამდე ქორწინების ექვსი შემთხვევა (6.4%), ყველაზე ზედა ქორწინების ასაკად კი - 33 წელი (ერთი შემთხვევა - 1.1%-ით) დაფიქსირდა.

კვლევის შედეგების მიხედვით, დაქორწინებულ მამაკაცთა ქორწინების ფაქტობრივ საშუალო ასაკად დაფიქსირდა 23.64 წელი. ამ შემთხვევაში ქორწინების რამდენიმე მოდალური ასაკი გვაქვს: 21, 23 და 27 წელი (18.2%-ით თითოეული მათგანი). კაცთა შორის ქორწინების ყველაზე ადრეული ასაკად - 18 წელი გამოვლინდა (ერთი შემთხვევა - 4.5%-ით), ყველაზე ზედა ასაკად კი დაფიქსირდა 30 წელი (ასევე ერთი შემთხვევა - 4.5%-ით) (გრაფიკი 14).



გრაფიკი 14. გამოკითხული ვაჟებისა და ქალების განაწილება ქორწინების ფაქტობრივი ასაკის მიხედვით

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კვლევა ცალსახად გვიჩვენებს, რომ როგორც ქალების, ასევე კაცების უმრავლესობა ქორწინების საუკეთესო ასაკად პირველ რიგში (პირველ ადგილას) ასახელებს პიროვნული სიმწიფის ასაკს (25-29 წელი). მეორე ადგილზე პროცენტული განაწილებით, კაცები ქალისთვის ქორწინების საუკეთესო ასაკად ასახელებენ 20-24 წელს, მაშინ როდესაც ქალები კაცებისთვის საუკეთესო ასაკად თვლიან 30-34 წელს. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ახალგაზრდები ქორწინებას დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან და ქორწინებისთვის მზაობად სხვადასხვა ასპექტებს მიიჩნევენ, მაგ: სამუშაო, ანაზღაურება, კარიერული წინსვლა და სხვა. რადგან ქორწინების მიმართ დამოკიდებულება მჭიდრო კავშირშია მოსახლეობის აღწარმოებასთან, ჩემი აზრით, მეტად სასარგებლო და საშური იქნება კვლევების ჩატარება ქორწინების სოციო-კულტურული და ფსიქოლოგიური ასპექტების შესწავლის მიმართულებით. კვლევების შედეგად გამოვლენილი განწყობები და ტენდენციები კი, სამომავლოდ გასატარებელი დემოგრაფიული პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად უნდა იქცეს.


ქორწინებისა და სქესის ურთიერთმიმართება

რესპონდენტთა უმეტესობა - 73.5% ქორწინებაში არასდროს ყოფილა, 17.5% კი დაოჯახებულია. მათ შემდეგ მოდის თანამცხოვრებთა კატეგორია - 5.5%, განქორწინებული/გაშორებული - 3.3%, ქვრივი - 0.3% (ერთი შემთხვევა).


საინტერესოა გამოკითხულ ახალგაზრდათა ოჯახური მდგომარეობის განხილვა გენდერულ ჭრილში. ქორწინებაში მყოფთა შორის ქალები (19.1%) სჭარბობენ კაცებს (13.2%) და პირიქით, მათ შორის ვინც არასდროს ყოფილა ქორწინებაში, კაცთა წილი (76.8%) ოდნავ მეტია ქალებისაზე (72.3%). განქორწინების შემთხვევებით ქალები (4.3%) ოთხჯერ სჭარბობენ კაცებს (0.7%), თანამცხოვრებთა შორის კი მამაკაცები (9.3%) ორჯერ აღემატებიან ქალებს (4%) (გრაფიკი 15).

საინტერესოა გავიგოთ ქორწინებაში არ მყოფთა მოსაზრება, იმის თაობაზე, უახლოეს მომავალში - 5 წელში, აპირებდნენ თუ არა დაქორწინებას, რამაც შემდეგი სურათი მოგვცა: კაცების მესამედზე მეტი (35%) ხოლო ქალების მეოთხედი (26.1%) აპირებს (პასუხი „დიახ“) ოჯახის შექმნას. ქალების მეტი წილი (34.1%) ფიქრობს, რომ ამ ხნის განმავლობაში უფრო შექმნიან ოჯახს ვიდრე არა, რაც მამაკაცების ანალოგიურ პასუხს (26.4%) სჭარბობს. ოჯახის შექმნას ამ პერიოდში უფრო არ აპირებს, ვიდრე აპირებს რესპონდენტთა 23.3%, ხოლო უახლოეს 5 წელიწადში ოჯახის შექმნას არ აპირებს დაუოჯახებელ რესპონდენტთა 16.1% (მათ შორის ქალების 15.1% და კაცების 18.6%) (გრაფიკი 16).

როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტთა 1/3 უახლოესი 5 წლის მანძილზე აპირებს ქორწინებას, რაც იმედს გვაძლევს, რომ საქართველოს მოსახლეობის აღწარმოებაში ისინი თავის წვლილს შეიტანენ. საკმაოდ მაღალია პროცენტი იმ პირებისა, რომლებიც უახლოეს 5 წელში არ აპირებენ ოჯახის შექმნას (გამოკითხულთა 16,1%). სამომავლოდ საკვლევი უნდა გახდეს ახალგაზრდების ძირითადი მოტივები, განწყობები და სურვილები, რათა დაიგეგმოს ახალგაზრდა ოჯახების წამახალისებელი და მხარდამჭერი პოლიტიკა ქვეყნის დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესების მიზნით.



გრაფიკი 15. რესპონდენტთა განაწილება ოჯახური მდგომარეობისა და სქესის მიხედვით



გრაფიკი 16. დამოკიდებულება უახლოეს 5 წელიწადში ოჯახის შექმნასთან დაკავშირებით

5.3. რეპროდუქციული განწყობა და ქცევა

ბავშვების იდეალური რაოდენობა

სპეციალისტების უმრავლესობას მიაჩნია, რომ ოჯახში ბავშვების იდეალური რაოდენობა განპირობებულია სოციალური ნორმების ზემოქმედებით. ოჯახში ბავშვების იდეალური რაოდენობა წარმოადგენს კოლექტიური მისწრაფების, სოციალური ნორმის ანარეკლს ინდივიდის ცნობიერებაში. ეს არის სოციალურად ნორმირებული სრული მოთხოვნილება ბავშვების ყოლისადმი. ბავშვების იდეალური რაოდენობა არის წარმოდგენა, ოჯახში ბავშვების საუკეთესო რაოდენობის შესახებ (წულაძე გ., 1981).


გამოკითხულთა პასუხების მიხედვით, ბავშვების იდეალური რაოდენობის საშუალომ 2.94 შეადგინა, ხოლო ყველაზე ხშირად დასახელებული რიცხვი – 3 ბავშვი (49.9%) იყო, რომელსაც მოსდევს 2 ბავშვი (21.7%) და შემდგომ - 4 ბავშვი (12.9%).

საინტერესოა ცალ-ცალკე განვიხილოთ ქალებისა და კაცების შეხედულება ოჯახში ბავშვების იდეალურ რაოდენობასთან დაკავშირებით. მხოლოდ ორი რესპონდენტის აზრით

(0.5%) ოჯახში არ უნდა იყოს ბავშვი; ერთბავშვიან (1.3%) და ორბავშვიან (21.7%) ოჯახებზე ერთნაირი მოსაზრება აქვთ ორივე სქესის წარმომადგენლებს; ქალების 50.8% და კაცების 47.7% იდეალურად სამბავშვიან ოჯახებს მიიჩნევენ. სამზე მეტ ბავშვიან ოჯახებს კი, კაცები უფრო იდეალურად მიიჩნევენ, ვიდრე ქალები.

ბავშვების იდეალური რაოდენობის გამოსავლენად დასმულ კითხვაზე - „თქვენი აზრით, რამდენი ბავშვი უნდა იყოს საერთოდ ოჯახში?“, კატეგორია, „სხვა“-ში, რესპონდენტთა 10.9%-მა შემდეგი პასუხები დააფიქსირა: „ოჯახის რესურსების შესაბამისად, რამდენის სრულყოფილად გაზრდასაც მოახერხებენ“ (4%); „რამდენსაც ოჯახი მოისურვებს (3.3%); „რაც მეტი მით უკეთესი“ (1.1%); „რამდენიც მეყოლება/ჩაისახება“ (0.4%); „რაოდენობის განსაზღვრა შეუძლებელია/ინდივიდუალურია ყველა ოჯახისთვის“ (0.4%); „არ აქვს მნიშვნელობა/არ აქვს მნიშვნელობა, მთავარია მყავდეს“ (0.4%); „რამდენსაც ღმერთი მოგცემს“ (0.2%); „ოჯახში ბავშვი არ არის აუცილებელი“ (0.2%); „მიჭირს პასუხის გაცემა“ (0.9%) (გრაფიკი 17).

კვლევის შედეგების მიხედვით, ოჯახში ბავშვების ყველაზე ხშირად დასახელებულმა რაოდენობამ შეადგინა 3 ბავშვი (ბავშვთა იდეალური რაოდენობის საშუალო კი - 2.94), რაც საკმაოდ იმედისმომცემი ტენდენციაა, თუ სამომავლოდ მისი რეალიზების ხარისხიც მეტ-ნაკლებად ასეთივე მაღალი დარჩება.



გრაფიკი 17. ოჯახში ბავშვების იდეალური რაოდენობის განაწილება რესპონდენტთა სქესის მიხედვით

ბავშვების სასურველი რაოდენობა


ბავშვების სასურველი რაოდენობა არის ის რაოდენობა, რომლის ყოლასაც ამჯობინებდა ადამიანი თავის ოჯახში, პირადი მისწრაფებებიდან გამომდინარე, ცხოვრების კონკრეტული პირობების გათვალისწინებლად. ბავშვების სასურველი რაოდენობა „ბავშვის ყოლის მოთხოვნის“ გამოხატულ მაჩვენებელს წარმოადგენს (წულაძე გ. , 2012).

შედეგების მიხედვით, ბავშვების სასურველი რაოდენობის საშუალო 2.79 ბავშვი შეადგინა, რაც ახლოს არის ბავშვების იდეალური რაოდენობის საშუალო მაჩვენებელთან - 2.94 ბავშვი. ამ შემთხვევაშიც, ახალგაზრდებისთვის 3 ბავშვის ყოლა ყველაზე მეტად აღმოჩნდა სასურველი (44.3%), რესპონდენტების მესამედისთვის 2-ბავშვიანი ოჯახები (29.5%) არის სასურველი, გამოკითხულთა 11.6% კი 4 ბავშვს ისურვებდა. საინტერესოა, რომ 5 და მეტი ბავშვის მსურველთა რაოდენობა (5.8%) თითქმის ორჯერ უსწრებს 1 ბავშვის მსურველების (3.9%) რაოდენობას, ხოლო არც ერთი ბავშვი არ სურს გამოკითხულთა 2.2%-ს. ბავშვების სასურველი რაოდენობის შემთხვევაშიც დასახელდა „სხვა“ (2.9%) პასუხები: „რაც მეტი მით უკეთესი“ (0.4%); „რამდენიც მეყოლება/რამდენიც ჩაისახება“ (0.4%), „რამდენსაც ღმერთი მომცემს“ (0.2%); „არ აქვს მნიშვნელობა, მთავარია მყავდეს“ (0.2%); „მიჭირს პასუხის გაცემა“ (1.7%).

ბავშვების სასურველი რაოდენობის გენდერულ ჭრილში განხილვისასაც ისეთივე სურათი გვაქვს, როგორც ბავშვების იდეალური რაოდენობის შემთხვევაში. ქალების სურვილი, ჰყავდეთ 3 (45.9%) და 2 (31.1%) ბავშვი, უსწრებს მამაკაცებისთვის სასურველი ბავშვების იმავე რაოდენობას (შესაბამისად 40% და 25.3%); და პირიქით - 4 ბავშვის მსურველთა შორის მეტი მამაკაცია (14%), ვიდრე ქალი (10.7%); ხოლო 1 (6%) და „5 და მეტი“ ბავშვის (3.1%) ყოლის სურვილი მამაკაცებს შორის ორჯერ აღემატება ქალებში ანალოგიურ მაჩვენებელს (შესაბამისად 3.1% და 4.4%). არც ერთი ბავშვის ყოლის სურვილი (2.2%) კი ორივე სქესის შემთხვევაში თანაბარია (გრაფიკი 18).

საინტერესოა, რომ კვლევის შედეგების მიხედვით, ბავშვების იდეალური და სასურველი რაოდენობა ახლოს არის ერთმანეთთან და თითქმის 3 ბავშვს შეადგენს. რადგან

ბავშვების სასურველი რაოდენობა უფრო კონკრეტული მაჩვენებელია, ადამიანის კონკრეტული სურვილია (ვიდრე იდეალური რაოდენობა), უნდა ვივარაუდოთ, რომ რესპოდენტთა ეს სურვილი სტაბილურ სოციო-ეკონომიკურ პირობებში რეალიზირებული იქნება.



გრაფიკი 18. ბავშვების სასურველი რაოდენობის განაწილება რესპოდენტთა სქესის მიხედვით


ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა

ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა, არის ბავშვების ის რაოდენობა, რომლის ყოლასაც აპირებს ადამიანი საერთოდ „ბავშვის ყოლის მოთხოვნილებიდან“ გამომდინარე, კონკრეტული ცხოვრების პირობების გათვალისწინებით (წულაძე გ. , 2012). ბავშვების მოსალოდნელ რაოდენობას აქვს პროგნოსტიკული მნიშვნელობა, რომელიც სამომავლოდ ძირითადად მართლდება ხოლმე. გაირკვა, რომ ამ მაჩვენებელს სტაბილური ხასიათი აქვს და საშუალოდ საკმაოდ ზუსტად რეალიზდება (წულაძე და სხვ., 1993).

იმ რესპოდენტებისთვის, რომელთაც ბავშვი ჯერ არ ჰყავთ, ბავშვების მოსალოდნელი საშუალო რაოდენობა განისაზღვრა - 2.65 ბავშვით, რაც ასევე ახლოს დგას ბავშვების სასურველი რაოდენობის საშუალო მაჩვენებელთან - 2.79. ამ შემთხვევაში, 3 (38.5%) და 2 ბავშვის (33.5%) მოსალოდნელი ყოლის მაჩვენებლები ძალიან უახლოვდება

ერთმანეთს, რომელსაც მოსდევს 4 ბავშვის მოსალოდნელი ყოლის სიხშირე (8.7%); ამის შემდეგ კი (წინა კითხვებზე გაცემული პასუხებისგან განსხვავებით) მოდის 1 (4.6%) და შემდგომ უკვე „5 და მეტი“ ბავშვის მოსალოდნელი ყოლის სიხშირე (4.4%). რესპონდენტთა ყველაზე მცირე ნაწილისთვის (2.5%) ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა შეადგენს 0-ს. რაც შეეხება კატეგორიას „სხვა“ (7.9%) ამ შემთხვევაშიც იგივე პასუხებია დაფიქსირებული რაც ზემოთ განვიხილეთ, თითოეული მათგანი 0.2%-ით (ანუ თითო/ერთი რესპონდენტის მიერ გაცემული პასუხი) წარმოდგენილი (გრაფიკი 19).

რადგან ჩემი კვლევის ფარგლებში, ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობის საშუალო განისაზღვრა 2.65 ბავშვით და ასევე გამოკითხულთა დაახლოებით 1/3 - სთვის ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა არის 3 და 2 ბავშვი, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოცემული მოსალოდნელი რაოდენობის რეალიზაციის შემთხვევაში მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების რეჟიმი იქნება მიღწეული. თუმცა, ასე ცალსახად დასკვნას ვერ გამოვიტანთ, რადგან მხედველობაში უნდა მივიღოთ ყველა ის ფაქტორი, რომელიც აფერხებს მოსახლეობის რეპროდუქციული განწყობის რეალიზებას.



გრაფიკი 19. ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა (მათთვის ვისაც არ ჰყავს ბავშვი)


ბავშვების ფაქტობრივი რაოდენობა

ბავშვების ფაქტობრივი რაოდენობა არის ბავშვების ის რაოდენობა, რომელიც ადამიანს ჰყავს გარკვეული მომენტისათვის. კვლევისთვის და პროგნოზირებისთვის მიზანშეწონილია ფაქტობრივი და მოსალოდნელი (კიდევ) რაოდენობის შესახებ (იხ. ქვემოთ) კითხვებზე მიღებულ პასუხთა ჯამის დადგენა (წულაძე გ., 2012).


რესპონდენტთა 87%-ს არ ჰყავს ბავშვი, თუმცა მათ შორის ვისაც ჰყავს, ყველაზე მაღალი წილით ერთბავშვიანი ოჯახები (7.8%) არიან წარმოდგენილი, რომლებსაც რაოდენობრივად ორჯერ ჩამორჩება ორბავშვიანი ოჯახები (3.4%), ბოლოს კი ყველაზე მცირე რაოდენობით ფიქსირდებიან სამბავშვიანი ოჯახები (1.8%) (გრაფიკი 20).

ბავშვების მოსალოდნელი (კიდევ) რაოდენობა (ბავშვიანი ოჯახებისთვის)

ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობის გამოსავლენად ბავშვიანი ოჯახებისთვის ცალკე კითხვა იყო გამოყოფილი, რომელზე პასუხების მიხედვითაც გამოვლინდა, რომ ბავშვიანი ოჯახები საშუალოდ კიდევ 1.3 ბავშვის გაჩენას აპირებენ. ბავშვიანი რესპონდენტების ყველაზე დიდი რაოდენობა - 40.6% კიდევ 1 ბავშვის გაჩენას აპირებს, 29.7% კი - 2 ბავშვისას, აღარ აპირებს ბავშვის გაჩენას 15.6%, 3 ბავშვის გაჩენას აპირებს 9.4%, 4 და მეტი ბავშვის გაჩენას კი - 4.8% აპირებს (გრაფიკი 21).



გრაფიკი 20. ბავშვების ფაქტობრივი რაოდენობა




გრაფიკი 21. ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა (ბავშვიანი ოჯახებისთვის)

5.4. დამოკიდებულება ბავშვების რაოდენობასთან მიმართებაში

საინტერესოა, თუ განვიხილავთ ახალგაზრდების დამოკიდებულებას ბავშვების რაოდენობასთან მიმართებაში, რომელიც ფორმულირებული იყო შემდეგი დებულებებით: „მთავარია სამი და მეტი ბავშვის ყოლა, მათი აღზრდისთვის საჭირო მატერიალური სახსრები კი გამოიძებნება“ და „მთავარია ბავშვების აღზრდის ხარისხი და არა მათი რაოდენობა“. ეს ორი დებულება - ერთმანეთის საპირისპირო დებულებებია. გაცემული პასუხები შემდეგ სურათს იძლევა: პირველ დებულებას - „მთავარია სამი და მეტი ბავშვის ყოლა, მათი აღზრდისთვის საჭირო მატერიალური სახსრები კი გამოიძებნება“ რესპონდენტთა თითქმის ნახევარი „სრულად არ ეთანხმება“ (48.1%), ასევე დიდი წილი - მესამედზე მეტი „უფრო ეთანხმება, ვიდრე არ ეთანხმება“ (31.2%), ყველაზე ცოტა რესპონდენტი კი აღნიშნულ დებულებას „სრულად ეთანხმება“ (7.3%). თუ სქესის მიხედვით განვიხილავთ ამ საკითხის მიმართ დამოკიდებულებას, ქალები (49.8%) კაცებთან შედარებით (43.9%) მეტად იზიარებენ ამ მიდგომას („სრულად არ ეთანხმება“), შესაბამისად, მეორე დებულების - „მთავარია ბავშვების აღზრდის ხარისხი და არა მათი რაოდენობა“ მიმართ დამოკიდებულებისას გამოვლინდა, რომ ქალებისთვის (72.8%) უფრო პრიორიტეტული აღმოჩნდა ბავშვების აღზრდის ხარისხი და არა მათი რაოდენობა ვიდრე კაცებისთვის (65.1%). ზოგადად კი ორივე სქესის წარმომადგენლების უმრავლესობისთვის (70.7%) მნიშვნელოვანია ბავშვის აღზრდის ხარისხი და არა მათი რაოდენობა (გრაფიკი 22).

ბავშვების ყოლის, მათი რაოდენობისა და აღზრდის მიმართ დამოკიდებულების კვლევა მეტად მნიშვნელოვანი გახლავთ, რადგან მოტივები დიდწილად განსაზღვრავს ადამიანის სამომავლო ქცევას (ჩვენს შემთხვევაში რეპროდუქციულ ქცევას). რეპროდუქციული მოტივაცია ორ ძირითად ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ: 1) ბავშვების ყოლის ის მოტივები, რომლებიც ხელს უწყობენ ბავშვების ყოლას და 2) ბავშვების ყოლის ხელისშემშლელი მოტივები. ჩვენს კვლევაში მონაწილე ახალგაზრდებისათვის მცირეშვილიანობა განმტკიცებულია ბავშვთა აღზრდის ხარისხითა და მშობელთა პასუხისმგებლობის გაზრდის არგუმენტით, რაც თანამედროვე განვითარებული ქვეყნების ბავშვთა ყოლის მოტივებს ემთხვევა. ოჯახში, სულ უფრო და უფრო, წინა პლანზე გამოდის

მშობელთა პასუხისმგებლობა შვილებლისადმი, მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისადმი, განათლებისა და განვითარებისადმი. ეს პროცესი კი უდავოდ შეამცირებს ბავშვთა შობადობის ინტენსივობას, რაც მოსახლეობის რიცხოვნების შემცირების ერთ-ერთი ძირითად ფაქტორად იქცევა.




გრაფიკი 22. დებულებების - ბავშვების ყოლის რაოდენობასთან და მათი აღზრდის ხარისხთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხების განაწილება

5.5. ბავშვების ყოლის ხელისშემშლელი ფაქტორები

რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის კვლევისას, მეტად მნიშვნელოვანია იმ ფაქტორების კვლევა და გაანალიზება, რომლებიც აფერხებს ბავშვების სასურველი რაოდენობის ყოლას. ამ საკითხთან დაკავშირებით, რესპონდენტებს საშუალება მიეცათ აზრი დაეფიქსირებინათ (მიეთითებინათ 3 პასუხი) ნახევრად დახურულ კითხვაზე, რომლის შედეგებიც ასე გამოიყურება: რესპონდენტების 66% მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად „მატერიალურ პირობებს“ ასახელებს, ასევე დიდი პროცენტული წილი უჭირავს



„კარიერული წინსვლის შეფერხებას“ (30.7%) და „დროის დეფიციტს“ (29.7%), რომელსაც ახლოს მდგომი პროცენტული მაჩვენებლებით მოჰყვება „ცუდი საბინაო პირობები“ (13.8%), „მომავლის რწმენის უქონლობა“ (13.3%) და „სამუშაოზე მეტისმეტი დატვირთულობა“ (12.8%), ბოლოს კი - „სამუშაოს დაკარგვის შიშის“ (8.2%) და ოჯახში კონფლიქტური სიტუაციის“ (7.4%) ფაქტორები. ვინაიდან აღნიშნული კითხვა ნახევრად დახურული იყო, რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ, რომ სხვა ფაქტორებიც დაესახელებინათ, რომლებიც კატეგორიაში „სხვა“ (8.7%) გაერთიანდა: „მიჭირს პასუხის გაცემა/არ მიფიქრია“ (2.8%), „არაფერი არ აფერხებს/მყავს იმდენი, რამდენიც მინდოდა“ (1.5%), „გარემოს არასტაბილურობა/არათანაბარი გარემო“ (0.8%), „ბავშვის ყოლის სურვილის არ ქონა“ (0.8%), „შესაფერისი პარტნიორის არ ყოლა“ (0.5%), „ბავშვის აღზრდის სირთულე/შიში“ (0.5%), „ფსიქოლოგიურად მოუმზადებლობა/სუსტი ნერვები“ (0.3%), „მეუღლის სურვილი“ (0.3%), „სურვილის ცვლილება“ (0.3%), „ასაკი“ (0.3%), „რეპროდუქციული უნარის არ ქონა“ (0.3%), „ქვრივი ვარ“ (0.3%) (გრაფიკი 23).

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მთელი სიმძაფრით აისახება ახალგაზრდების ამჟამინდელ და სამომავლო ცხოვრებაზე (ჩვენს შემთხვევაში - ბავშვების ყოლის მიმართულებით). არასახარბიელო მატერიალური პირობები, კარიერული წინსვლის რთული გზა, დროის დეფიციტი, პერსპექტივის უქონლობა, ცუდი საბინაო პირობები და სხვა შემაფერხებელი ფაქტორები ამცირებს რეპროდუქციულ განწყობის მაჩვენებლებს და შესაბამისად, მისი რეალიზების ხარისხს რეპროდუქციულ ქცევაში.



გრაფიკი 23. ბავშვების სასურველი რაოდენობის ყოლის შემაფერხებელი მიზეზების განაწილება

აქვე შეგვიძლია განვიხილოთ რესპონდენტების დამოკიდებულება იმ დებულებების მიმართ, რომლებიც უშუალო კავშირშია ბავშვების სასურველი რაოდენობის ყოლის შემაფერხებელ ფაქტორებთან (გრაფიკი 24; გრაფიკი 25). გრაფიკებზე თვალსაჩინოდ არის ნაჩვენები რესპონდენტთა პასუხების განაწილება იმ დებულებებზე, რომლებიც უკავშირდება ეკონომიკური მდგომარეობისა და ქალების ემანსიპაციის კავშირს ბავშვების რაოდენობასთან. მიღებული შედეგები ემთხვევა და განამტკიცებს ზემოთ განხილულ ბავშვების სასურველი რაოდენობის ყოლის შემაფერხებელ მიზეზებს.



გრაფიკი 24. დებულებაზე - ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ბავშვების რაოდენობას ოჯახში - მიღებული პასუხების განაწილება


გრაფიკი 25. დებულებაზე - ქალების ემანსიპაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შობადობაზე - მიღებული პასუხების განაწილება

5.6. თაობებს შორის რეპროდუქციული ქცევის ევოლუცია


რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის შესწავლა საინტერესოა წინა თაობების რეპროდუქციული ქცევის გათვალისწინებით, რათა მოხდეს პროცესის დინამიკაში, თაობათა ცვლის ფონზე გაანალიზება. ამასთან საგულისხმოა, რომ რეპროდუქციული განწყობის ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა აქვს, იმას, თუ რამდენწევრიან ოჯახში იზრდებიან ის ადამიანები, რომლებიც მომავალში თავად ჩაერთვებიან თაობათა აღწარმოების პროცესში.

კვლევის შედეგების მიხედვით, საშუალოდ რესპონდენტთა ოჯახების უმრავლესობა 4 წევრისგან შედგება (35%), მშობლების მიერ გაჩენილი ბავშვების რაოდენობა კი საშუალოდ 2.28 ბავშვს (55%) წარმოადგენს, მაშინ როცა მათი ბებია-ბაბუების მიერ გაჩენილი ბავშვების რაოდენობა საშუალოდ დაახლოებით 3 ბავშვს უდრიდა (30%); სამშვილიანი ოჯახების

წილი დაკლებულია (23%), შესაბამისად იგივე ტენდენციაა სამზე მეტ შვილიანი ოჯახების განაწილებაში. ბებია-ბაბუებისა და მშობლების თაობას შორის შეინიშნება ბავშვთა რაოდენობის კლება და მცირეშვილიანი ოჯახების წლის ზრდა (გრაფიკი 26; გრაფიკი 27).



გრაფიკი 26. ოჯახების განაწილება წევრთა რაოდენობა მიხედვით




გრაფიკი 27. ბავშვების რაოდენობის ცვლილება მშობლებისა და ბებიების თაობაში


5.7. დამოკიდებულება ქორწინების გარეშე ბავშვის ყოლის მიმართ

კვლევის ფარგლებში მოხდა ქორწინების გარეშე ბავშვის გაჩენასთან დაკავშირებით ახალგაზრდების აზრის, მათი ღიაობისა და საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების შესწავლა. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა (47.6%) მიიჩნევს („სრულად ეთანხმება“), რომ ქალის მიერ ბავშვის გაჩენა ქორწინების გარეშე გამართლებულია. მცირე ნაწილი (11.1%) კი ამ დებულებას „სრულად არ ეთანხმება“. ამის საპირწოდენ, დებულება - „ქორწინების გარეშე ქალის მიერ ბავშვის გაჩენა ზნეობრივად გაუმართლებელია“, რესპონდენტთა უმრავლესობისთვის (69.2%) მიუღებელია („სრულად არ ეთანხმება“), მხოლოდ რესპონდენტთა უმცირესობა (6.1%) იზიარებს ამ მოსაზრებას („სრულად ეთანხმება“). საინტერესოა ამ საკითხის გენდერულ ჭრილში განხილვა. ორივე შემთხვევაში, მოცემულ დებულებებზე, როგორც ქალების, ასევე კაცების მოსაზრება ერთმანეთს ემთხვევა; თუმცა ქალების მეტი წილი (74.1%) მიიჩნევს, რომ ზნეობრივად გაუმართლებელი არ არის ქორწინების გარეშე ბავშვის გაჩენა, მაშინ როდესაც მამაკაცებში ამავე მოსაზრებას ბევრად ნაკლები იზიარებს (56.7%); შესაბამისად, ამავე დებულებას ზნეობრივად გაუმართლებლად მიიჩნევს კაცების თითქმის ორჯერ მეტი რაოდენობა (9.6%) ვიდრე ქალებისა (4.7%) (გრაფიკი 28; გრაფიკი 29).

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამოკითხულ ახალგაზრდებს შორის საკმაოდ ტოლერანტული დამოკიდებულებაა ქორწინების გარეშე ბავშვის გაჩენასთან დაკავშირებით. რაც თანამედროვე ეპოქაში საკმაოდ მზარდი და სულ უფრო მეტად მისაღები დამოკიდებულებაა. საქართველოში, 2015 წლის მონაცემებით, ყველა დაბადებულს შორის, რეგისტრირებულ ქორწინების გარეშე შობადობა, მხოლოდ დედის განაცხადის საფუძველზე, 2.3%-ს შეადგენს (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2016).




გრაფიკი 28. დებულებაზე - ქორწინების გარეშე გამართლებულია ქალის მიერ ბავშვის გაჩენა - პასუხების განაწილება




გრაფიკი 29. დებულებაზე - ქორწინების გარეშე ქალის მიერ ბავშვის გაჩენა ზნეობრივად გაუმართლებელია - პასუხების განაწილება

აქვე მინდა ხაზი გავუსვა იმ ფაქტს, რომ ხშირად, საზოგადოება უფრო ტოლერანტულია, როდესაც რაიმე ქცევას ზოგად, გლობალურ ჭრილში აფასებს, ხოლო თუ ეს ქცევა მას ან მის საახლოებლო წრეს ეხება, მათი დამოკიდებულება/შეფასება, მეტად „მკაცრი“ და „ტრადიციული“ ხდება. ამ ფაქტორის შესამოწმებლად და უფრო რეალური შედეგების მისაღებად, კვლევაში გამოყენებული იყო დებულებები, რომელთა მიზანს წარმოადგენდა გამოველინა ახალგაზრდების დამოკიდებულება იმ შემთხვევაში, თუ რესპონდენტის ახლობელი ქალი (შვილი, და, ნათესავი, მეგობარი) ქორწინების გარეშე ბავშვს გააჩენდა. საინტერესოა მიღებული შედეგების გენდერულ ჭრილში გაანალიზება. ამ შემთხვევაშიც საგულისხმოა, რომ მოსაზრება მამაკაცებსა და ქალებს შორის მეტ-ნაკლებად ემთხვევა ერთმანეთს და მიღებულ საერთო სურათს. განვიხილოთ შემდეგი დებულება - „ჩემმა ახლობელმა ქალმა, ქორწინების გარეშე ბავშვი რომ გააჩინოს მოვუწონებ და ყველანაირად დავეხმარები“, ამ შემთხვევაში, რესპონდენტების ნახევარი (50.8%) „სრულად ეთანხმება“ აღნიშნულ მოსაზრებას, მართალია ქალების ხვედრითი წილი (55.6%) კაცებისაზე (38.5%) მაღალია, პასუხს - „უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები“ ორივე

სქესთან მიმართებაში თანაბარი წილი უჭირავს, სხვა პასუხების შემთხვევაში კი - „უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები“ და „სრულად არ ვეთანხმები“ ქალების წილი (9.6% და 5.2%) კაცებთან შედარებით (18.9% და 14.2%) 2-3-ჯერ იკლებს (გრაფიკი 30). რაც შეეხება დებულებას - „ჩემმა ახლობელმა ქალმა, ქორწინების გარეშე ბავშვი რომ გააჩინოს გავწყვეტ მასთან ურთიერთობას“, რესპონდენტების სრული უმრავლესობა (91.4%) „სრულად არ ეთანხმება“ ამ მოსაზრებას. მომდევნო პასუხებშიც მათი პროცენტული წილი ორივე სქესის შემთხვევაში სულ უფრო და უფრო მცირდება. საერთო მაჩვენებლის მიხედვით, ურთიერთობას გაწყვეტდა რესპონდენტთა მხოლოდ 1.8% (მათ შორის ქალების 0.5% და კაცების 5.1%) (გრაფიკი 31).



გრაფიკი 30. დებულებაზე - ჩემმა ახლობელმა ქალმა ქორწინების გარეშე ბავშვი რომ გააჩინოს მოვუწონებ და ყველანაირად დავებმარები - პასუხების განაწილება




გრაფიკი 31. დებულებაზე - ჩემმა ახლობელმა ქალმა ქორწინების გარეშე ბავშვი რომ გააჩინოს გავწყვეტ მასთან ურთიერთობას - პასუხების განაწილება

კვლევაში ქორწინების გარეშე ბავშვის გაჩენის მიმართ დამოკიდებულების შესასწავლად გამოყენებულ იქნა როგორც რადიკალური დამოკიდებულების გამომხატველი (ზემოთ განხილული), ასევე უფრო შუალედური დებულებებიც, როგორებიცაა - „ჩემმა ახლობელმა ქალმა ქორწინების გარეშე ბავშვი რომ გააჩინოს შევეგუები, როგორც

არასასურველ ფაქტს/გავკიცხავ, მაგრამ ურთიერთობას არ გავწყვეტ/არ მოვუწონებ, მაგრამ დავებმარები“. როგორც კვლევის შედეგები გვიჩვენებს, ახლობელი ქალის მიერ ქორწინების გარეშე ბავშვის გაჩენის შემთხვევაში, რესპონდენტთა უმრავლესობა „სრულად არ ეთანხმება“ მოცემულ მოსაზრებას, რომ „შევეგუები, როგორც არასასურველ ფაქტს“ (68.4%), „გავკიცხავ, მაგრამ ურთიერთობას არ გავწყვეტ“ (65.2%), „არ მოვუწონებ, მაგრამ დავებმარები“ (43.3%). ასევე თვალშისაცემია, რომ მოსაზრებას „არ მოვუწონებ, მაგრამ დავებმარები“, რესპონდენტთა დიდი პროცენტული წილი (29.4%) „უფრო ეთანხმება, ვიდრე არ ეთანხმება“ (გრაფიკი 32).


მიღებული შედეგების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ახალგაზრდები ბავშვებს საზოგადოების ერთ-ერთ ღირებულ და საზრუნავ ობიექტად მიიჩნევენ. საჭიროების შემთხვევაში, ისინი მზად არიან დახმარება გაუწიონ მარტოხელა დედასა და ბავშვს და თავისი წვლილი შეიტანონ მის აღზრდაში.



გრაფიკი 32. დებულებებზე - ჩემმა ახლობელმა ქალმა/ქორწინების გარეშე ბავშვი რომ გააჩინოს არ მოვუწონებ, მაგრამ დავებმარები / გავკიცხავ, მაგრამ ურთიერთობას არ გავწყვეტ / შევეგუები, როგორც არასასურველ ფაქტს - პასუხების განაწილება

დასასრულს, საინტერესოა განვიხილოთ თუ რას ფიქრობენ რესპონდენტები შემდეგი მოსაზრების შესახებ - „ქორწინების გარეშე ბავშვის გაჩენისთვის ჩვენი საზოგადოება მზად არ არის“. უმრავლესობა (45%) ამ მოსაზრებას „უფრო ეთანხმება, ვიდრე არ ეთანხმება“, გამოკითხულთა მეოთხედი (26.6%) კი „სრულად ეთანხმება“. მხოლოდ მცირე ნაწილი (11%) „სრულად არ ეთანხმება“ მოცემულ დებულებას. სქესის მიხედვით ამ საკითხთან დამოკიდებულება ფაქტობრივად თანაბრად ნაწილდება (გრაფიკი 33).

ახალგაზრდების მიერ, ბავშვის ქორწინების გარეშე გაჩენის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების შესაფება საკმაოდ კრიტიკულია. ეს ფაქტი შესაძლებელია საფუძველს მოკლებული არც იყოს, რადგან ახალგაზრდები ისმენენ წინა თაობის, გარშემომყოფთა აზრსა და განწყობებს ამ საკითხთან დაკავშირებით. წინა თაობებს საკმაოდ ტრადიციული გაგება და დამოკიდებულება ჰქონდათ ქორწინებასა და რეპროდუქციასთან დაკავშირებული ფასეულობების მიმართ. შესაბამისად, ყველა განსხვავებული და საპირისპირო ქმედება, სირცხვილად, დანაშაულად მიიჩნეოდა. გარდა ამისა, ოცდაათიოდე წლის წინ, ქართულ საზოგადოებაში ეს თემა საკმაოდ დახურული და ტაბუირებული გახლდათ. თანამედროვე საზოგადოება/ახალგაზრდობა მეტად ღია და მიმღებია ამ კუთხით, რასაც მრავალი ფაქტორი უწყობს ხელს: ბავშვის გაჩენა ადამიანის ცნობიერი არჩევანის შედეგი ხდება; პიროვნება სულ უფრო და უფრო მეტად ხდება ავტონომიური თავის გადაწყვეტილებებსა და ქმედებებში; ადამიანები გახსნილად და თამამად საუბრობენ ე.წ. „დახურულ თემებზე“; წინა პლანზე გამოდის ბავშვის ფასეულობა და არა მათი „კანონიერად, თუ უკანონოდ გაჩენის“ აქტი; თანამედროვე საზოგადოებისთვის (პერსონიფიცირებული საზოგადოებისთვის) დამახასიათებელი ცნობიერების ჩამოყალიბებასა და გავრცელებას კი ხელს უწყობს გახსნილი სოციალური ურთიერთობები, მასმედია და საგანმანათლებლო პროგრამები.




გრაფიკი 33. დებულებაზე - ქორწინების გარეშე ბავშვის გაჩენისთვის ჩვენი საზოგადოება მზად არ არის - პასუხების განაწილება


5.8. გენდერული როლი ბავშვების ყოლისა და ბავშვების სქესის მიმართ

კვლევის ფარგლებში მოხდა ოჯახში გენდერული როლების შესწავლა - უმეტეს შემთხვევაში ვინ იღებს გადაწყვეტილებას (ქალი თუ კაცი), თუ რამდენი ბავშვი იყოლიონ. კვლევის შედეგების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ რესპონდენტების აზრით, ერთპიროვნულად („სრულად არ ვეთანხმები“) არც კაცი (48.8%) წყვეტს ამ საკითხს და არც ქალი (34.5%). რესპონდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილი ფიქრობს („სრულად ეთანხმება“), რომ უმეტეს შემთხვევაში ოჯახში კაცი წყვეტს (3,1%) / ქალი წყვეტს (5,9%) თუ რამდენი ბავშვი იყოლიოს. თვალსაჩინოა, რომ კაცებთან შედარებით (15.3%) ქალი რესპონდენტების თითქმის 2-ჯერ მეტი რაოდენობა (29%) მიიჩნევს, რომ უფრო მეტად ქალი წყვეტს ამ საკითხს. სხვა პასუხების დაფიქსირებისას კი, ამ საკითხთან დამოკიდებულება ორივე სქესის შემთხვევაში მსგავსია (გრაფიკი 34; გრაფიკი 35).

რამდენადაც თანამედროვე ოჯახში ცოლ-ქმრის როლები თითქმის გათანაბრებულია, კვლევამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ბავშვების ყოლის შესახებ გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად არც ქალი იღებს და არც კაცი (80%-მდე). შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბავშვების ყოლა და მათი რაოდენობა ცოლ-ქმარს შორის შეთანხმების შედეგია.



გრაფიკი 34. დებულებაზე - უმეტეს შემთხვევაში ოჯახში კაცი წყვეტს თუ რამდენი ბავშვი იყოლიოს - პასუხების განაწილება





გრაფიკი 35. დებულებაზე - უმეტეს შემთხვევაში ოჯახში ქალი წყვეტს თუ რამდენი ბავშვი იყოლიოს - პასუხების განაწილება

მეტად საინტერესოა, თუ რას ფიქრობენ რესპონდენტები შემდეგ დებულებებთან დაკავშირებით - „ცოლ-ქმარს აუცილებლად უნდა ჰყავდეს ერთი ბიჭი/გოგონა მაინც“. ბიჭის ყოლის შემთხვევაში ამ დებულებას „სრულად არ ეთანხმება“ რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (60.3%), გოგონას შემთხვევაში კი დაახლოებით რესპონდენტების ნახევარი (52.3%). ქალი რესპონდენტების შემთხვევაში მოსაზრებას „სრულად ეთანხმება“ მათი უმცირესობა (5,2%), მაშინ როდესაც იგივე პასუხს აფიქსირებს კაცების 3-ჯერ მეტი რაოდენობა (17.2%). გამოკითხული კაცებისთვის ოჯახში ბიჭის ყოლა უფრო აუცილებელი აღმოჩნდა, ვიდრე ქალი რესპონდენტებისთვის (გრაფიკი 36).

რაც შეეხება გოგონას ყოლის აუცილებლობას, ამ შემთხვევაშიც უმეტესობა (52.3%) „სრულად არ ეთანხმება“ აღნიშნულ მოსაზრებას. ბიჭის ყოლისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში, ორივე სქესის წარმომადგენლებს მეტ-ნაკლებად მსგავსი შეხედულება აქვთ აღნიშნულ დებულებასთან მიმართებაში. თუმცა საინტერესოა, რომ აქაც ქალებთან

შედარებით (16.5%), კაცი რესპონდენტების მეტი წილი (21.7%) „სრულად ეთანხმება“, რომ აუცილებელია ოჯახში ერთი გოგონა მაინც იყოს (გრაფიკი 37).

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდების უმეტესობაში (დაახლოებით 60%) ბავშვის სასურველი სქესის აუცილებლობაზე არც თუ დიდ აქცენტი კეთდება როგორც ბიჭის, ისე გოგონას შემთხვევაში.



გრაფიკი 36. დებულებაზე - ცოლ-ქმარს აუცილებლად უნდა ჰყავდეს ერთი ბიჭი მაინც - პასუხების განაწილება


გრაფიკი 37. დებულებაზე - ცოლ-ქმარს აუცილებლად უნდა ჰყავდეს ერთი გოგონა მაინც - პასუხების განაწილება

5.9. დამოკიდებულება აბორტის მიმართ

კვლევა ასევე ითვალისწინებდა ახალგაზრდების დამოკიდებულების შესწავლას აბორტის მიმართ. დებულებას - „სამედიცინო აუცილებლობის გარდა ქალმა აბორტი არ უნდა გაიკეთოს“ რესპონდენტთა თითქმის ნახევარი (44.3%) „სრულად ეთანხმება“, ხოლო თითქმის მეხუთედი (18.2%) „სრულად არ ეთანხმება“. ამ საკითხის მიმართ დამოკიდებულება გენდერულ ჭრილში განხილვისას თითქმის ერთნაირია.

ასევე საინტერესოა ახალგაზრდების აზრი, უნდა იყოს თუ არა ბავშვის სქესი ცნობილი ორსულობის 12 კვირამდე (ვადა, რომლის შემდეგ აბორტის გაკეთება სამედიცინო ჩვენების გარდა დაუშვებელია). მათი უმრავლესობა აფიქსირებს პასუხს „არა“ (41.9%), მეოთხედი (26.3%) კი - პასუხს „დიახ“. დანარჩენი პასუხები ნაწილდება „უფრო არა, ვიდრე დიახ“ (18.6%) და „უფრო დიახ, ვიდრე არა“-ს (13.2%) შორის. სელექციურ აბორტთან დაკავშირებით კი გამოკითხულთა 83.2% თვლის, რომ ის უარყოფით შედეგებს იწვევს. ორივე განხილული საკითხის გენდერულ ჭრილში განხილვისას, ქალი და კაცი რესპონდენტების მიერ ერთი და იგივე აზრი ფიქსირდება (გრაფიკი 38).

მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტთა თითქმის ნახევარი ეწინააღმდეგება აბორტის გაკეთებას (სამედიცინო აუცილებლობის გარდა), ყურადსაღებია იმ რესპონდენტების პოზიცია რომლებიც ემხრობიან აბორტს (18.2%). ეს საკითხი სასურველია სამომავლოდ ცალკე კვლევისა და განსჯის საგანი გახდეს.




გრაფიკი 38. დამოკიდებულება აბორტის მიმართ

5.10. დემოგრაფიული ვითარებისა და მასში სახელმწიფოს როლის შეფასება

კვლევის ფარგლებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, იმ საკითხს თუ როგორ აფასებს ახალგაზრდობა ქვეყნის დემოგრაფიულ ვითარებას და რამდენად მნიშვნელოვნად მიაჩნია ის. ამასთან, არსებითია მათი აზრის გაგება იმ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რაც სასურველია, რომ სახელმწიფომ გაატაროს შობადობის წასახალისებლად.

რესპონდენტების უმრავლესობა (67.6%) მიიჩნევს, რომ საქართველოში რთული დემოგრაფიული ვითარებაა. მხოლოდ მცირე ნაწილი (2.8%) თვლის, რომ ქვეყანაში არ არის რთული დემოგრაფიული ვითარება. შედეგების მიხედვით, რესპონდენტების ნახევარზე მეტს (55.6%) საქართველოს მოსახლეობის შემცირების პრობლემა აწუხებს, გამოკითხულთა მეთედს (10.5%) კი არ აწუხებს. სქესის მიხედვით დიფერენცირებას თუ მოვახდენთ, თითქმის ერთნაირი მაჩვენებლები გვაქვს. მცირე სხვაობა შეინიშნება მხოლოდ მათ შორის, ვისაც არ აწუხებს საქართველოს მოსახლეობის შემცირების პრობლემა. შედეგების მიხედვით, ქალებთან შედარებით (8.9%), კაცების თითქმის 2-ჯერ მეტ რაოდენობას (14,9%) არ აწუხებს აღნიშნული პრობლემა (გრაფიკი 39). კარგი იქნებოდა, სამომავლოდ ჩატარდეს სიღრმისეული კვლევები დემოგრაფიული ვითარებისა და მასში სახელმწიფოს როლის შესწავლის კუთხით.




გრაფიკი 39. დემოგრაფიული ვითარების შეფასება და დამოკიდებულება მოსახლეობის შემცირების პრობლემისადმი

ახალგაზრდები, რომლებსაც მოსახლეობის შემცირების პრობლემა აწუხებს ან უფრო აწუხებს, ვიდრე არ აწუხებს, ჯამში დიდ პროცენტულ წილს წარმოადგენენ - 80.5%. ამ პრობლემის გადასაჭრელად, მათი ნახევარი - 52.2% აფიქსირებს პასუხს - „ვაპირებ ბავშვის ყოლას“, დაახლოებით მესამედი - 27.7% კი „მაწუხებს, მაგრამ პირადად ვერაფერს ვიღონებ“; 14.8% თვლის, რომ აპირებს ბავშვის ყოლას, როგორც კი გაუუმჯობესდება ეკონომიკური პირობები; ყველაზე ნაკლები პროცენტული წილი - 5.3% მიემართება შემდეგ პასუხს - „ვაპირებ ბავშვის ყოლას, თუ იქნება სახელმწიფოს მხრიდან მხარდამჭერი დემოგრაფიული პოლიტიკა.

საგულისხმოა, რომ საქართველოს მძიმე დემოგრაფიული ვითარება ქართველი ახალგაზრდებისათვის გაცნობიერებული და სავალალოა, თუმცა საკმაოდ მაღალი პროცენტი - 27.7% თვლის, რომ ვერაფერს იღონებს მოსახლეობის შემცირების პრობლემის გადასაჭრელად. შეიძლება გამოვთქვათ ვარაუდი, რომ „სახეზეა“ სახელმწიფოს მხრიდან არსებული სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული ვითარების უგულვებელყოფა და უმოქმედობა, რაც ახალგაზრდებში იწვევს უპერსპექტივობის განცდას, აპათიას, ან საკუთარი თავის რეალიზებისათვის ალტერნატიული გზების გამოძებნის სურვილის გაჩენას - ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასვლას. აგრეთვე გასათვალისწინებელია, რომ რესპონდენტთა ძალზე მცირე ნაწილი აპირებს ბავშვის ყოლას, იმ შემთხვევაში თუ იქნება მხარდამჭერი დემოგრაფიული პოლიტიკა. ეს კი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ახალგაზრდები სკეპტიკურად უყურებენ სახელმწიფოს ჩართულობას ამ კუთხით. ქვეყანაში სათანადოდ არ ხორციელდება თანმიმდევრული მუშაობა კომპლექსური დემოგრაფიული პოლიტიკის გასატარებლად. ხოლო ერთული ღონისძიებები ცხადია არ არის საკმარისი და არც გადამწყვეტი შედეგების მომტანია. ამიტომ, ახალგაზრდების ცნობიერებაშიც არ არის გათავისებული დემოგრაფიული პოლიტიკის მიერ გატარებული / ან გასატარებელი იმ ღონისძიებების მნიშვნელობა და როლი, რამაც შესაძლოა მათსავე რეპროდუქციულ ქცევაზე იმოქმედოს.

მოცემული საკითხის გენდერულ ჭრილში განხილვისას საგულისხმო სხვაობებია შემდეგ პასუხებს შორის - „ვაპირებ ბავშვის ყოლას“, რომელსაც მამაკაცთა 63.2% აფიქსირებს,

მაშინ როდესაც ქალების მხოლოდ 48.3% აფიქსირებს ამავე პასუხს, და პირიქით - ქალების 31.7%-ს მართალია აწუხებს აღნიშნული პრობლემა, მაგრამ პირადად ვერაფერს იღონებს, მაშინ როდესაც მამაკაცთა ორჯერ ნაკლები (16.7%) რაოდენობა აფიქსირებს ამავე პასუხს (გრაფიკი 40).



გრაფიკი 40. საქართველოს მოსახლეობის კლების პრობლემასთან დაკავშირებით ახალგაზრდების დამოკიდებულების განაწილება

5.11. სახელმწიფოს მიერ შობადობის წასახალისებლად გასატარებელი ღონისძიებები

კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ახალგაზრდების აზრის გაგება იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ შობადობის წახალისებისთვის. ამის დასადგენად გამოყენებული იქნა ღია კითხვა. შესაბამისად, რესპონდენტები სრულად თავისუფლები იყვნენ პასუხის გაცემისას და მოსაზრებების დაფიქსირებისას. აღნიშნულ კითხვას რესპონდენტთა 66.4%-მა უპასუხა (გრაფიკი 41).

ახალგაზრდების უმრავლესობა - 45.5% თვლის, რომ შობადობის წახალისებისთვის აუცილებელია *დახმარებები*. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ აუცილებელია გრძელვადიანი (და არა ერთჯერადი) ფულადი დახმარებები და შეღავათები. საჭიროა არსებობდეს ყოველ მომდევნო ბავშვზე წამახალისებელი დახმარებები, რომლებიც დაინიშნება არა მხოლოდ მრავალშვილიანი ოჯახებისთვის, არამედ ერთი ბავშვის ყოლის შემთხვევაშიც. 2 წლამდე ბავშვები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ პირველადი საჭიროების ნივთებით. ახლამობილობიდან სკოლის ასაკამდე კი მაქსიმალური ეკონომიკური ხელშეწყობა უნდა ჰქონდეთ ოჯახებს სახელმწიფოსგან. რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევდა, რომ სახელმწიფომ თითოეულ ბავშვს ანაბარი უნდა გაუხსნას მათი მომავლის უზრუნველსაყოფად (თანხა კი განიკარგოს მხოლოდ ბავშვის საჭიროებისამებრ). ახალგაზრდები თვლიან, რომ სახელმწიფომ განსაკუთრებით უნდა წახალისოს/ხელი შეუწყოს მრავალშვილიანი (3 და მეტ ბავშვიანი) ოჯახები და დაეხმაროს, როგორც ფინანსურად, ასევე უზრუნველყოს ისინი ბინით; გაანთავისუფლოს/შეუმციროს გადასახადები; შემოიღოს მათთვის სპეციალური სოციალური პროგრამები, მოსახერხებელი საკრედიტო პირობები; უმაღლეს სასწავლებლებში მათი შვილებისთვის შესაძლებელი იყოს შეღავათიანი სწავლა. ახალგაზრდები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფომ სტუდენტ მშობლებს სხვადასხვა ტიპის დახმარება (ფულადი/ მედიკამენტებისა და ექიმთან ვიზიტის საფასურის განახევრება) უნდა გამოუყოს; ასევე განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს (წახალისება/დახმარებები) რეგიონში მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებს.

რესპონდენტთა ასევე დიდი წილი - 27.8% მიიჩნევს, რომ შობადობის წახალისებისთვის აუცილებელია *სამსახურთან დაკავშირებულ საკითხების* მოგვარება, როგორებიცაა: სამუშაო ადგილებისა (როგორც ქალაქში, ასევე რეგიონში) და ანაზღაურების (როგორც საშუალო ხელფასის, ისე სტაბილური შემოსავლების) გაზრდა, შრომის კანონმდებლობის შესრულების კონტროლი (8 საათიანი და უფრო ნაკლები სამუშაო რიტმის დარეგულირება). რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ სამსახურიდან მეტი ხელშეწყობა უნდა იყოს, განსაკუთრებით კი ორსულთათვის, რომლებიც შრომის ბაზარზე ხშირად დისკრიმინაციას განიცდიან; უნდა გაიზარდოს დეკრეტული შვებულების პერიოდი და

ანაზღაურება, თანაც ორივე მშობლისთვის (შემოვიდეს მამაკაცის დეკრეტში გასვლის კულტურა) სამსახურის შენარჩუნების გარანტიით; აგრეთვე გაიზარდოს შვებულების დღეები. გამოკითხულთა აზრით, სამსახურში ბავშვიანი დედებისთვის უნდა შეიქმნას უფრო ხელშემწყობი გარემო: მათ უნდა ჰქონდეთ შვებულების დღეების გაზრდილი რაოდენობა; სახლიდან ან ნახევარგანაკვეთიან გრაფიკზე მუშაობის შესაძლებლობა; უნდა იღებდნენ გარკვეულ ფინანსურ დახმარებას.

თითქმის იგივე პროცენტული წილი აქვს ქვეყნის *სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას* - 27.3%. რესპონდენტები თვლიან, რომ უნდა განვითარდეს ეკონომიკა და ქვეყანაში შეიქმნას სტაბილური სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა; მოხდეს მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისება; შემუშავდეს სხვადასხვა სოციალური პროგრამები და სიღარიბის დაძლევის ეფექტური გზები.

რესპონდენტთა 14.2%-სთვის მნიშვნელოვანია *ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესება/ხელმისაწვდომობა*. ისინი თვლიან, რომ უნდა გაუმჯობესდეს ჯანდაცვის პროგრამები და ხელმისაწვდომი უნდა იყოს სამედიცინო მომსახურება. გამოკითხულთა აზრით, საჭიროა უფასო გამოკვლევები ორსულობისას, სამშობიარო ხარჯების ნაწილობრივი ან სრული დაფარვა სახელმწიფოს მიერ (მათ შორის უფასო მშობიარობა/უფასო საკეისრო). აუცილებელია სამედიცინო დაზღვევა, განსაკუთრებით კი ბავშვების სამედიცინო დაზღვევის უზრუნველყოფა ზრდასრულ ასაკამდე. ბავშვებისა (გარკვეულ ასაკამდე მაინც) და დედებისთვის კი უფასო სამედიცინო დახმარება უნდა იყოს ხელმისაწვდომი, რომელიც დაფარავს ყველა სახის მკურნალობასა და მედიკამენტებს.

დიდი ნაწილი - 11% თვლის, რომ შობადობის წახალისებისთვის აუცილებელია *გარემოსა და სახელმწიფო პოლიტიკის გაუმჯობესება*. ქვეყანაში უნდა შეიქმნას ბავშვის გაჩენისა და განვითარებისთვის ხელსაყრელი, ყველასთვის ხელმისაწვდომი გარემო. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მშვიდობიანი და მომავალი თაობებისთვის უზრუნველყოფილი, მოწესრიგებული ქვეყნის შექმნა; შეიმუშაოს ქვეყნის მდგრადი განვითარების გეგმა და დაასტაბილუროს პოლიტიკური მდგომარეობა. ქვეყანაში უნდა იყოს მშვიდი, დაცული და კომფორტული გარემო/სტაბილურობის შეგრძნება. უნდა

გაუმჯობესდეს ცხოვრების დონე და ეკოლოგიური მდგომარეობა; შეიქმნას მეტი კეთილდღეობა; იყოს უკეთესი საცხოვრებელი პირობები და მოწესრიგდეს საბინაო პოლიტიკა. სახელმწიფომ უნდა შეუწყოს ხელი ქვეყანაში მოსახლეობის თანაბრად გადანაწილებას.

კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების მეათედი - 10.7% თვლის, რომ აუცილებელია *განათლების ხარისხის გაუმჯობესება/ხელმისაწვდომობა*. განათლება უნდა იყოს ხელმისაწვდომი/უფასო (მათ შორის უმაღლესი განათლება) და სწავლასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა შემცირდეს. აგრეთვე გაიზარდოს ბაღებსა და სკოლებში ბავშვის მოვლის ხარისხი და გაუმჯობესდეს პირობები; მოიხსნას ბაღების პრობლემა.

რესპონდენტთა 7% შობადობის წახალისების გზად *დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებას* მიიჩნევს. ისინი თვლიან, რომ საჭიროა სწორი, შედეგზე ორიენტირებული (გრძელვადიანი) დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება. აგრეთვე სხვა განვითარებულ ქვეყნებში არსებული დემოგრაფიული პოლიტიკის გათვალისწინება/გაზიარება და დემოგრაფიული საკითხის პრიორიტეტულ პრობლემად განხილვა. ასევე მნიშვნელოვანია სოციალური პოლიტიკის გაუმჯობესება და მოსახლეობის ინფორმირებულობა დემოგრაფიულ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

გამოკითხულთა 4.8% თვლის, რომ საჭიროა *მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება/ინფორმირება*. მათი აზრით, სახელმწიფომ საზოგადოებაში უნდა გაზარდოს განათლების დონე და აამაღლოს ცნობიერება („შეიცვალოს საბჭოთა იდეოლოგია“), ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა ქორწინების გარეშე ბავშვის გაჩენა, ბავშვის სქესის შერჩევა და სხვა. უნდა დაიწყოს ოჯახების შექმნისა და ბავშვების ყოლის პროპაგანდა, რათა საზოგადოებამ დაინახოს რამდენი სიკეთის მოტანა შეუძლია დიდ ოჯახებს. არსებობდეს გადაცემები, ტრენინგები, საინფორმაციო-საგანმანათლებლო აქტივობები ოჯახისა და ბავშვის აღზრდის თემებთან დაკავშირებით; სქესობრივ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე კი უნდა მოხდეს საგანმანათლებლო პოლიტიკის გატარება (სკოლის ასაკიდან).

რესპონდენტების ნაწილი - 4% პასუხობდა, რომ ზუსტად არ იცის, მაგრამ სახელმწიფომ *ყველაფერი* უნდა გააკეთოს შობადობის წასახალისებლად. შექმნას ყველა ის ძირითადი პირობა, რაც შობადობის ზრდას უკავშირდება.


გამოკითხულთა 3.7% კი თვლის, რომ შობადობას *არ სჭირდება წახალისება/არაფერი არ უნდა გააკეთოს სახელმწიფომ*. ამ რესპონდენტების აზრით, ჩვენს ქვეყანას არაფრის გაკეთება არ შეუძლია, რადგან ამას სჭირდება თანხები, რომელიც საქართველოს ბიუჯეტში არაა/ეკონომიკა ძალიან სუსტია, ახალშობილებზე ფულადი დახმარება კი არაფერს შეცვლის, მხოლოდ მოკლევადიან პერსპექტივაში შეიძლება გაზარდოს შობადობა. ნაწილის აზრით კი შობადობის წახალისება არ არის საჭირო ქვეყნის კეთილდღეობისთვის და რესურსების მობილიზება სხვა, უფრო მნიშვნელოვან პრობლემებზე უნდა მოხდეს. ზოგი მათგანი მიიჩნევს, რომ შობადობას წახალისება არ სჭირდება, რადგან ყველა ადამიანს აქვს უფლება საკუთარი სურვილისამებრ ჰყავდეს ან არ ჰყავდეს შვილი და სახელმწიფო არაფერ შუაშია, რადგან ეს პირადი არჩევანია/დამოკიდებულია წყვილებზე. ასევე დაფიქსირდა შემდეგი პასუხი - „თუ უნდათ არაფერი გააკეთონ, რიამე არ გააფუჭონ უკეთესია“.

რესპონდენტების 3.5%-ის აზრით საჭიროა *ახალდაქორწინებულთა წახალისება*, კერძოდ კი მათთვის შეღავათები უძრავი ქონების შესაძენად ან ბინის უფასოდ გადაცემა.

მცირე ნაწილი - 2.9% მიიჩნევს, რომ უნდა მოხდეს *აბორტის კონტროლი* ან აკრძალვა იმ შემთხვევაში, თუ სამედიცინო აუცილებლობა არაა; აგრეთვე აბორტის წინააღმდეგ მიმართული სარეკლამო კამპანიების წარმართვა და სელექციური აბორტების შემცირება. ასევე გამოითქვა მოსაზრება, რომ უნდა მოხდეს პრეზერვატივების იმპორტის/წარმოების აკრძალვა/შემცირება/ფასის გაზრდა.

გამოკითხულთა 2.7%-ის აზრით კი შობადობის წახალისებისთვის უნდა მოხდეს *დედების დახმარება/წახალისება*; განსაკუთრებით კი მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების წახალისება და დახმარება. რესპონდენტთა აზრით, დედობა უნდა გამოცხადდეს „პროფესიად“ და ამისთვის დედებს დაენიშნოთ მცირე ხელფასი, რადგან „იყო დედა ესეც საკმაოდ რთული სამუშაოა“.

რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ შობადობის წახალისებისთვის



გრაფიკი 41. სახელმწიფოს მიერ შობადობის წახალისებლად გასატარებელი ღონისძიებები

5.12. 2017 წლის კვლევის შედეგების შემჯამებელი ანალიზი

„რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის კვლევა ახალგაზრდებში“ არჩეული და ჩატარებული იქნა თემის აქტუალობის გათვალისწინებით. კვლევამ უჩვენა, რომ ბოლო ათწლეულების მანძილზე სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკის კუთხით დიდად არაფერი შეცვლილა (თუ არ გაუარესებულა). მაშინ როდესაც მსოფლიო ამ კუთხით წინ მიდის და დემოგრაფიული ასპექტები სულ უფრო და უფრო მეტ აქტუალობას იძენს.

საქართველოში კი ეს საკითხი იმდენად უგულვებელყოფილია, რომ სახეზე გვაქვს საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნების სწრაფი და შეუქცევადი კლება.

რეპროდუქციულ პროცესში (თაობათა აღწარმოების პროცესში) ახალგაზრდები მთავარი აქტორები არიან. აიღებენ კი ისინი თავის თავზე ამ მეტად საშურ ფუნქციას? აი, ძირითადი კითხვა, რომელზედაც ამ კვლევით გვსურდა პასუხის გაცემა, რეალური სურათის დახატვა და სავარაუდო პროგნოზების გაკეთება.

კვლევამ გვიჩვენა თაობათა შორის რეპროდუქციული ორიენტაციების შემცირების ტენდენცია. თუ წინა თაობებში (ბებია-ბაბუების თაობა) ბავშვების საშუალო რაოდენობა 3 ბავშვს უდრიდა, მშობლების მიერ გაჩენილი ბავშვების საშუალო რაოდენობა მცირდება და საშუალოდ - 2.28 ბავშვს შეადგენს. აგრეთვე დაკლებულია სამშვილიანი ოჯახების ხვედრითი წილი (23%); შესაბამისად, იგივე კლების ტენდენციაა 3-ზე მეტ შვილიან ოჯახებს შორის. ბებია-ბაბუებისა და მშობლების თაობას შორის შეინიშნება რეპროდუქციული ორიენტაციების კლება და შესაბამისად, მცირეშვილიანი ოჯახების წილის ზრდა.

ახალგაზრდების რეპროდუქციული განწყობებისა და ქცევის შესწავლისას გამოვლინდა, რომ მათ მიერ დასახელებული ბავშვების იდეალური და სასურველი რაოდენობა ერთმანეთთან ახლოს დგას და უახლოვდება - 3 ბავშვს. კვლევის შედეგების მიხედვით, ბავშვების სასურველი რაოდენობის საშუალოდ 2.79 შეადგინა, რაც ახლოს არის ბავშვებს იდეალური რაოდენობის საშუალო მაჩვენებელთან - 2.94 ბავშვი. ახალგაზრდების უმრავლესობისთვის 3 ბავშვის ყოლა აღმოჩნდა სასურველი (44.3%), რესპონდენტების მესამედისთვის 2-ბავშვიანი ოჯახები (29.5%) არის სასურველი, გამოკითხულთა 11.6% კი 4 ბავშვს ისურვებდა. რადგან ბავშვების სასურველი რაოდენობა უფრო მეტად ადამიანის კონკრეტული სურვილია (ვიდრე ბავშვების იდეალური რაოდენობა), უნდა ვივარაუდოთ, რომ რესპოდენტთა ეს სურვილი სტაბილურ სოციო-ეკონომიკურ პირობებში რეალიზებული იქნება.

ბავშვების ყოლის, მათი რაოდენობისა და აღზრდის მიმართ დამოკიდებულება და მოტივები დიდწილად განსაზღვრავს ადამიანის სამომავლო ქცევას (ჩვენს შემთხვევაში რეპროდუქციულ ქცევას). კვლევაში მონაწილე ახალგაზრდებისათვის წამყვანი მოტივია

ბავშვების აღზრდის ხარისხი და არა რაოდენობა, რაც თანამედროვე განვითარებული ქვეყნების ბავშვთა ყოლის მოტივებს ემთხვევა. მცირეწილიანობა განმტკიცებულია ბავშვების აღზრდის ხარისხითა და მშობელთა პასუხისმგებლობის გაზრდის არგუმენტით.

რამდენადაც ბავშვების ყოლა ოჯახის ძირითადი პრეროგატივა გახლავთ, ამდენად ამ ჭრილში მნიშვნელოვანი ფაქტორია ქორწინება. რესპოდენტთა 1/3 უახლოესი 5 წლის განმავლობაში აპირებს დაქორწინებას, რაც იმედს გვაძლევს, რომ საქართველოს მოსახლეობის აღწარმოებაში ისინი თავის წვლილს შეიტანენ. თუმცა საკმაოდ მაღალია იმ პირების პროცენტი, რომლებიც უახლოეს 5 წელში არ აპირებენ ოჯახის შექმნას (16.1%). სამომავლოდ საკვლევი უნდა გახდეს რეპროდუქციულ ქცევასთან დაკავშირებული ძირითადი განწყობები, სურვილები და მოტივები, რათა დაიგეგმოს ახალგაზრდა ოჯახების წამახალისებელი და მხარდამჭერი პოლიტიკა ქვეყნის დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესების კუთხით.

აღსანიშნავია ახალგაზრდების ტოლერანტული დამოკიდებულება ბავშვის ქორწინების გარეშე გაჩენის მიმართ. ახალგაზრდები ბავშვებს საზოგადოების ერთ-ერთ ღირებულ და საზრუნავ ობიექტად მიიჩნევენ. საჭიროების შემთხვევაში ისინი მზად არიან დახმარება გაუწიონ მარტოხელა დედასა და ბავშვს და თავისი წვლილი შეიტანონ მის აღზრდაში. წინა პლანზე გამოდის ბავშვების ფასეულობა და არა მათი „კანონიერად, თუ უკანონოდ გაჩენის“ აქტი;

ახალგაზრდების მიერ ბავშვის ქორწინების გარეშე გაჩენის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების შესაფება საკმაოდ კრიტიკულია. ეს ფაქტი შესაძლებელია საფუძველს მოკლებული არც იყოს, რადგან ახალგაზრდები ისმენენ წინა თაობის, გარშემომყოფთა აზრს ამ საკითხთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ოცდაათიოდე წლის წინ ქართულ საზოგადოებაში ეს თემა საკმაოდ დახურული და ტაბუირებული გახლდათ. თანამედროვე საზოგადოება/ახალგაზრდობა მეტად ღიაა და მიმდებია ამ კუთხით, რასაც მრავალი ფაქტორი უწყობს ხელს: ბავშვის გაჩენა ადამიანის ცნობიერი არჩევანის შედეგი ხდება; პიროვნება სულ უფრო და უფრო მეტად ხდება ავტონომიური თავის გადაწყვეტილებებსა და ქმედებაში; ადამიანები გახსნილად და თამამად საუბრობენ ე.წ. „დახურულ თემებზე“;

თანამედროვე საზოგადოებისთვის (პერსონიფიცირებული საზოგადოებისთვის) დამახასიათებელი ცნობიერების ჩამოყალიბებასა და გავრცელებას კი ხელს უწყობს გახსნილი სოციალური ურთიერთობები, მასმედია და საგანმანათლებლო პროგრამები.

კვლევამ აჩვენა, რომ ქართველი ახალგაზრდებისათვის საქართველოს მძიმე დემოგრაფიული ვითარება გაცნობიერებული და სავალალოა, თუმცა საკმაოდ მაღალი პროცენტი თვლის, რომ ვერაფერს იღონებს - 27.7%. შეიძლება გამოვთქვათ ვარაუდი, რომ საქმე გვაქვს იმ უმოქმედობასთან, რასაც იწვევს ქვეყნის მძიმე სიციალურ-ეკონომიკური ვითარება და პერსპექტიული გზების უქონლობა, აპათია, ან ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასვლის სურვილი.

კვლევაში რესპოდენტების მიერ დაფიქსირებულმა პასუხებმა, რომლებიც ეხება საკითხს, თუ რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ შობადობის წახალისებისათვის, შემდეგი სპექტრი მოიცვა: გამოკითხულთა უმრავლესობა (45.5%) თვლის, რომ აუცილებელია გრძელვადიანი ფულადი დახმარებები და შეღავათები არა მხოლოდ მრავალშვილიანი, არამედ ერთშვილიანი ოჯახებისთვის; სპეციალური სოციალური პროგრამები და მოსახერხებელი საკრედიტო პირობები; სტუდენტი ოჯახების მხარდაჭერა; რეგიონალური პროგრამების განხორციელება მრავალშვილიანი ოჯახებისათვის; ასევე მნიშვნელოვნად თვლიან შემდეგი ღონისძიებების გატარებას: სამსახურთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება; დეკრეტული შვებულების სისტემის დახვეწა; სტაბილური შემოსავლების გაზრდა; მშობლებისთვის შეღავათები სამსახურში; შვებულების დღეების გაზრდა; ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება; ბავშვების სამედიცინო დაზღვევის სრულყოფა; ქვეყანაში მშვიდი, დაცული და კომფორტული გარემოს შექმნა; მეტი კეთილდღეობა; ბაღებსა და სკოლებში მომხასურების ხარისხის ზრდა; დემოგრაფიული პოლიტიკის პრიორიტეტად გამოცხადება, უცხოეთის დემოგრაფიული პოლიტიკის გაზიარება და გატარება.

6. რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის ევოლუცია - კვლევების შედარებითი ანალიზი

რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის კვლევას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შობადობის შესწავლაში. იმისათვის რომ მოხდეს დღევანდელი სურათის სწორად შეფასება, განსაკუთრებით კი სამომავლო პერსპექტივებისა და მოსალოდნელი ტენდენციების პროგნოზირება, საჭიროა საკითხისადმი თანმიმდევრული, სისტემური მიდგომა, რეპროდუქციული ორიენტაციების სიღრმისეულად შესწავლა, მათი ცვლილების ევოლუციისთვის თვალის მიდევნება და კვლევის შედეგების შედარებითი ანალიზის გაკეთება. სწორედ ამ საკითხებს ეთმობა მოცემული თავი, სადაც შევეცდები რომ პარალელები გავავლო და თვალსაჩინოდ წარმოვადგინო საქართველოში რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის ცვალებადობა, არსებული კვლევის შედეგების საფუძველზე, გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე.

ჩატარებული სოციოლოგიურ-დემოგრაფიული კვლევებიდან, ზოგი უფრო სიღრმისეულად, ზოგი კი ზედაპირულად ეხებოდა რეპროდუქციული ორიენტაციების შესწავლას. შესაბამისად, პარალელების გაკეთება ხერხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, სადაც საერთო მონაცემები მოიპოვება. ამასთან, ყველა კვლევა რაოდენობრივია, რაც არ იძლევა საკითხში სათანადოდ ჩაღრმავების საშუალებას და იმ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ძიებას, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა რეპროდუქციული ორიენტაციების ცვლილებაზე. თუმცა, ამ ეტაპზე შევეცდები ჩემს ხელთ არსებულ მასალებზე დაყრდნობით, რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის ევოლუციაში მომხდარი ძირეული ცვლილებების ჩვენებას და ამ პროცესების განმაპირობებელი ფაქტორების ახსნას.

რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის კვლევის მთავარ კატეგორიებს წარმოადგენს ბავშვების იდეალური, სასურველი და მოსალოდნელი რაოდენობა, რომლებიც ხასიათდება შესაბამისი მაჩვენებლებით. აღნიშნული კატეგორიები ერთმანეთის მიმართ გარკვეულ კანონზომიერებას ამჟღავნებენ. კერძოდ, ოჯახში ბავშვთა საშუალო იდეალური რაოდენობის მაჩვენებელი აღემატება სასურველს, ხოლო სასურველი აღემატება


მოსალოდნელს (თუმცა გამორიცხული არ არის მაჩვენებლთა სიდიდეების დამთხვევა ან პირიქითი მდგომარეობა). მოცემული ნაშრომის ფარგლებში განხილული კვლევების შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოში მოსახლეობის რეპროდუქციული ორიენტაციები აღნიშნულ კანონზომიერებას იმეორებს, თუმცა მაჩვენებლები სტაბილური დაღმავალი ან აღმავალი ცვლილებით არ ხასიათდება, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმას, რომ დემოგრაფიული პროცესები მჭიდრო კავშირშია ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან და მის ერთგავრ ანარეკლს წარმოადგენს.

განვიხილოთ თითოეული კატეგორია ცალ-ცალკე (გრაფიკი 42). *ბავშვების იდეალური რაოდენობა*, რომელიც საზოგადოებაში გავრცელებულ რეპროდუქციულ ნორმას წარმოადგენს, თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე 1 ბავშვით შემცირდა და დღეისთვის 2.94-ს შეადგენს. რეპროდუქციული ორიენტაციების ყველა მაჩვენებელმა (განსაკუთრებით კი ბავშვების იდეალურმა რაოდენობამ), თვალშისაცემი ვარდნა 1990-იან წლებში განიცადა და XXI საუკუნის დასაწყისამდე მუდმივი კლების ტენდენციით ხასიათდება. ამ პერიოდში, ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა მოსახლეობის მარტივი აღწარმოების ზღვარს გაუთანაბრდა (2.15 ბავშვი – 1996 წელს). რეპროდუქციული ორიენტაციების ესოდენ სწრაფი ცვლილება ემთხვევა 1990-იან წლებში საქართველოში მიმდინარე მნიშვნელოვან პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცვლილებებს, რამაც ბუნებრივია, პირდაპირი ასახვა ჰპოვა დემოგრაფიულ და განსაკუთრებით კი რეპროდუქციულ ქცევაში. 1999 წლიდან კი აღინიშნება რეპროდუქციული ორიენტაციების ნელი ტემპით, თუმცა მაინც ზრდის ტენდენცია. შესაძლოა, რომ რეპროდუქციული ორიენტაციების ზრდა განპირობებული ყოფილიყო შემდეგი ძირითადი ფაქტორებით: ქვეყნის გამოსვლა პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისიდან; საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობის ახალი ტენდენციები, როგორებიცაა: საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, სამუშაო ადგილების გაჩენა, სახელმწიფო სტრუქტურების - საგანმანათლებლო და ჯანდაცვის სისტემების გამართვა; პატრიარქის შობადობის წამახალისებელი ინიციატივა და სხვა.

რაც შეეხება *ბავშვების სასურველ რაოდენობას*, რაც „ბავშვის ყოლის მოთხოვნების“ გამოხატულების მაჩვენებლს წარმოადგენს, მასაც ისეთივე ცვლილების ხაზი ახასიათებს, როგორც ბავშვების იდეალურ რაოდენობას. 1969 წლიდან 2017 წლამდე, თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე, ბავშვების სასურველი რაოდენობის მაჩვენებელი 1.11-ით შემცირდა (3.9-დან 2.79-მდე) თუმცა საინტერესოა, რომ ბავშვების იდეალური და სასურველი რაოდენობის მაჩვენებლები ერთმანეთთან ყველაზე ახლოს 1969 წლის შემდეგ 2017 წლის კვლევის მონაცემების დროს დაფიქსირდა და მათ შორის სხვაობამ მხოლოდ 0.15 შეადგინა. ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში კი ამ ორ კატეგორიას შორის განსხვავება დიდი იყო (0.3-0.65-ის ფარგლებში).

საინტერესოა, *ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობის* მაჩვენებლის დინამიკისთვის თვალის გადევნება. აღნიშნული მაჩვენებელი, რომელიც საკმაოდ რეალურად ასახავს როგორც რეპროდუქციულ განწყობას, ისე რეპროდუქციულ ქცევას, ბავშვების იდეალური და სასურველი რაოდენობებისგან განსხვავებით, ყველაზე ნაკლებად შეიცვალა. თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში, კლებამ მხოლოდ 0.23 შეადგინა (2.88-დან 2.65-მდე). უნდა აღინიშნოს მისი საგანგაშო ვარდნა 2003 წელს, როცა მარტივი აღწარმოების ზღვარს ქვევით დაეშვა და მხოლოდ 1.9 შეადგინა (სამწუხაროდ 2003 წელს ჩატარებული კვლევა არ იძლევა ამ პროცესის ახსნას). უკანასკნელ წლებში, ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობის მაჩვენებელი მატების ტენდენციითაც კი ხასიათდებოდა. რას უნდა მიუთითებდეს მისი მეტ-ნაკლები სტაბილურობა? რატომ იყო გასულ საუკუნეში ასეთი დიდი სხვაობა მოსახლეობის რეპროდუქციულ ორიენტაციებს შორის? ვთვლი, რომ ამ კითხვებს პასუხი მხოლოდ სიღრმისეული, კომბინირებული კვლევების ანალიზის შედეგად შეიძლება გაეცეს. თუმცა, ამ ეტაპზე, შესაძლოა გამოითქვას შემდეგი მოსაზრება. 1970-იან წლებში არსებობდა მაღალი რეპროდუქციული ნორმები, რომელსაც ქართველი მოსახლეობა იზიარებდა (რასაც ცხადყოფს საკმაოდ მაღალი რეპროდუქციული ორიენტაციების მაჩვენებლები ბავშვების იდეალური და სასურველი რაოდენობის შემთხვევაში - თითქმის 4 ბავშვი), მათი იდეალები და სურვილები მრავალშვილიანობისკენ იყო მიმართული. რეპროდუქციული ქცევის არსებული სოციალური ნორმა და პირადი მისწრაფებები ერთმანეთთან თანხვედრაში

მოდიოდა. მიუხედავად ამისა, ამავე პერიოდში, ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა 1-ზე მეტი ბავშვით ნაკლები იყო რესპონდენტთა სურვილებზე. ვინაიდან ბავშვის მოსალოდნელი რაოდენობა ითვალისწინებს კონკრეტულ ცხოვრებისეულ პირობებს და ინდივიდუალურ ოპტიმუმს წარმოადგენს, შესაძლოა დავასკვნათ, რომ იმ ხანადაც ქართველებისთვის მნიშვნელოვანი იყო ბავშვის აღზრდის ხარისხი და არა იმდენად რაოდენობა. არსებული გარემო-პირობები კი, როგორც ჩანს, მრავალშვილიანობის ამსახველი რეპროდუქციული განწყობის რეალიზაციის საშუალებას არ იძლეოდა. გასულ საუკუნეში, სახელმწიფოს სათანადო ყურადღება რომ მიექცია მოსახლეობის რეპროდუქციული ორიენტაციების კლებისთვის, გაეტარებინა შეზამასისი ღონისძიებები და შეემუშავებინა სისტემური დემოგრაფიული პოლიტიკა, დღეს ამ კუთხით, უკეთესი სურათი გვეჩვენება.



გრაფიკი 42. რეპროდუქციული ორიენტაციების დინამიკა საქართველოში 1969 -2017 წლებში

როგორც აღამოჩნდა, რეპროდუქციულ ორიენტაციებს შორის ყველაზე დიდი ვარდნა ბავშვების იდეალურმა და სასურველმა რაოდენობებმა განიცადა, სწორედ იმ კატეგორიებმა, რომლებიც დაკავშირებულია რეპროდუქციული ქცევის სოციალურ ნორმებთან და პირად მისწრაფებებთან, ცხოვრების კონკრეტული პირობების გაუთვალისწინებლად. ორივე მათგანზე დიდია სოციალური გარემოს გავლენა. შესაბამისად, ამ პროცესის ახსნა იმ დემოგრაფიული ფასეულობების ცვლილებაში უნდა ვეძიოთ, რომლებსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რეპროდუქციული ორიენტაციების ფორმირებაში. დემოგრაფიულ ფასეულობებში აისახება ამა თუ იმ ხალხის ცხოვრების წესი, ზნე-ჩვეულება, საქორწინო და საოჯახო ფორმები და ტრადიციები, ინტერესები და მოთხოვნები, ოჯახის დაგეგმვის გამოცდილება და საბოლოო ჯამში მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმი. „ბავშვის ყოლის მოთხოვნილების“ შემცირება, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ ქართველებისთვის არ არის დამახასიათებელი, ეს ტენდენცია ქვეყნის განვითარებისა და ცხოვრების წესის თანმიდევრი შეუქცევადი პროცესია. ადამიანები უფრო და უფრო მეტ ორიენტირს აკეთებენ ბავშვების აღზრდის ხარისხზე და არა მათ რაოდენობაზე. ამასთან, თანამედროვე ცხოვრების წესი და მოთხოვნები უბიძგებს მათ მეტი თვითაქტივობისკენ ოჯახს გარეთ. წინა პლანზე გამოდის ახალი ეპოქის გამოწვევები და მოტივები, რის შედეგადაც ყალიბდება სხვადასხვა ფასეულობები, რომელშიც ახალგაზრდები თავის თავს არა მხოლოდ მშობლებად, არამედ აქტიურ მოქალაქეებად წარმოიდგენენ, ესენია: ფართო ინტერესები და მათი დაკმაყოფილების მოთხოვნილება, პერსონალური და კარიერული წინსვლა, მყარი მატერიალური საფუძვლის შექმნა, დამოუკიდებლად ცხოვრების მოთხოვნილება, ქალთა ემანსიპაცია, ბავშვების აღზრდის ხარისხი და სხვა. ცხოვრების ახალი წესის პირობებში, თანდათან მცირდება ბავშვის ყოლის მოთხოვნილება, რადგან ბავშვის გაჩენა ადამიანის ცნობიერი არჩევანის შედეგი ხდება. შესაბამისად, ადამიანები ნაკლებად არიან ორიენტირებულნი ბავშვების ყოლისაზე, რაც ხსნის კვლევების შედეგად მიღებულ სურათს, თუ რატომ მცირდება ბავშვთა ფასეულობა, რატომ იკლებს მრავალშვილიანი და საშუალოშვილიანი ოჯახების ფასეულობა, მის უკუპროპორციულად იზრდება მცირეშვილიანობის ფასეულობა და შესაბამისად მკვიდრდება აღნიშნული

რეპროდუქციული ნორმა - რაოდენობრივად ცოტა ბავშვი ოჯახში, სამაგიეროდ, ბავშვთა აღზრდის ხარისხის ზრდა. მცირეშვილიანობა კი, თავისთავად შობადობის შემცირების ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორია.

რეპროდუქციული ორიენტაციების ჩამოყალიბებაზე, ცხოვრების წესის ცვლილებისა და სხვა გარემო ფაქტორების გარდა, ასევე მნიშვნელოვნად მოქმედებს ოჯახის ზომა, რომელშიც ადამიანი იზრდება. 2017 წლის კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე მეტი მცირეშვილიანი ოჯახების (მათგან 33% კი - 4-წევრიანი ოჯახების) წარმომადგენლები არიან. შესაბამისად, მათი მშობლების რეპროდუქციული ორიენტაციები უკვე შემცირებული იყო (რესპონდენტთა მშობლების (55%-ის) მიერ გაჩენილი ბავშვების რაოდენობა საშუალოდ 2.28-ს შეადგენს). ამასთან, სულ უფრო და უფრო გავრცელებულ სახეს იღებს ოჯახების ნუკლეარიზაციის¹⁰ პროცესი (განსაკუთრებით ურბანულ არეალებში). დიდი და მრავალწევრიანი ოჯახები ბებია-ბაბუის თაობებში რჩება, რომლის შემადგენელ ნაწილსაც ახალგაზრდა თაობა აღარ წარმოადგენს. შესაბამისად, ეს ყოველივე გავლენას ახდენს ახლებური იდეალების ფორმირებაზე - რეპროდუქციული განწყობის მაჩვენებლების შემცირებაზე და მცირეშვილიანობის რეპროდუქციული ნორმების დამკვიდრებაზე.

დროთა განმავლობაში, რეპროდუქციული ორიენტაციების ამსახველ თითოეულ კატეგორიას შორის სხვაობა შედარებით შემცირდა და მათი მაჩვენებლები ერთმანეთს დაუახლოვდა. საინტერესოა, რომ 2014 და 2017 წლის კვლევებს შორის, მართალია ბავშვების იდეალური რაოდენობა მცირედით დაკლებულია, მაგრამ ბავშვების სასურველი და მოსალოდნელი რაოდენობა გაზრდილია. ამასთან, 2017 წლის მონაცემებით, რეპროდუქციული ორიენტაციების მაჩვენებლები ერთმანეთთან ძალიან ახლოს დგანან (თითოეულ მათგანს შორის სხვაობა დაახლოებით 0.15-ს შეადგენს, რაც აქამდე ჩატარებულ არცერთ კვლევაში არ დაფიქსირებულა). რეპროდუქციული ორიენტაციების მაჩვენებლების ერთმანეთთან ესოდენ ახლოს დგომა შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ

¹⁰ დაქორწინებასთან დაკავშირებით, ოჯახიდან შვილების გამოყოფის ტენდენცია, რომელსაც თან სდევს ნუკლეარული ოჯახების (ოჯახი რომელიც შედგება ცოლ-ქმრისა/ან ერთ-ერთი მშობლისა და დაუქორწინებელი შვილებისგან/ან შვილების გარეშე) წილის ზრდა (წულაძე გ., 2012)


დღეს ახალგაზრდები უფრო პრაგმატულად უდგებიან ცხოვრებას. მათი იდეალები და სურვილები რეალური განხორციელების შესაძლებლობებს პასუხობს. ეს ყოველივე კი განაპირობებს რეპროდუქციული განწყობის დღევანდელ სურათს, რომელიც თავის მრივ, ახლოს იქნება მისი რეალიზაციის შედეგებთან - ფაქტობრივ მდგომარეობასთან.

რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის შესწავლისას მეტად მნიშვნელოვანია სტუდენტებისა და ახალგაზრდების რეპროდუქციული ორიენტაციების კვლევა, რადგან ყველაზე აქტიურად სწორედ ისინი არიან ჩართულნი ან უახლოეს პერიოდში ჩაერთვებიან თაობათა აღწარმოების პროცესში. ბავშვების იდეალური რაოდენობის დინამიკა სტუდენტთა შორის ბოლო 45-48 წელში მნიშვნელოვნად შეიცვალა (ცხრილი 7; გრაფიკი 43). ყველაზე დიდი კლება განიცადა 4 ბავშვის კატეგორიამ, რომელიც თითქმის 4-ჯერ (36.5 პროცენტული პუნქტით) შემცირდა - 49.4%-დან 12.9%-მდე. მის საპირისპიროდ კი, ოჯახში 2 ბავშვის ყოლას იდეალურად, გასულ საუკუნესთან შედარებით (7.1%), ახალგაზრდების 3-ჯერ მეტი წილი - 21.7% მიიჩნევს. რესპონდენტთა თითქმის ნახევრისთვის, დღეს იდეალურია 3-ბავშვიანი ოჯახი. დღევანდელი დემოგრაფიული ვითარების გათვალისწინებით, ეს ტენდენცია მეტად დამაიმედებელად უნდა მივიჩნიოთ. თუმცა მისი რეალიზებისთვის (შენარჩუნებისთვის მაინც, რადგან ზრდაზე რთულია საუბარი) აუცილებელია სახელმწიფოში შეიქმნას ერთი მხრივ, ხელსაყრელი სოციალურ-ეკონომიკური გარემო და მეორე მხრივ, შემუშავდეს სათანადო დემოგრაფიული პოლიტიკა.

ცხრილი 7


ბავშვების იდეალური რაოდენობის დინამიკა სტუდენტების კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით (1969/72 - 2017)

წლები	ბავშვების იდეალური რაოდენობა		
	2	3	4
1969-1972	7.1%	34.2%	49.4%
2017	21.7%	49.9%	12.9%



გრაფიკი 43. ბავშვების იდეალური რაოდენობის დინამიკა (1969/1972 – 2017)

როგორც ცნობილია, რეპროდუქციული განწყობის მახასიათებლებს პროგნოსტიკული მნიშვნელობა აქვთ, თუმცა ეს არ ნიშნავს მის გარდაუვალ რეალიზებას მომავალში. ბავშვებზე მოთხოვნილება რეპროდუქციული ქცევის განხორციელების მნიშვნელოვანი და აუცილებელი, მაგრამ არა ერთადერთი პირობაა. აუცილებელია არსებობდეს შესაბამისი სიტუაცია და განხორციელების შესაძლებლობა, რაც არც თუ ისე იშვიათად ემთხვევა ერთმანეთს. ამიტომ, ფაქტობრივად რეალიზებული რეპროდუქციული ქცევის შემთხვევები ნაკლებია, ვიდრე განზრახული. ამას ადასტურებს შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტისა და ბავშვების მოსალოდენლი რაოდენობის დინამიკის ცვლილების ანალიზი, გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე (გრაფიკი 44).



გრაფიკი 44. ბავშვების მოსალოდენლი რაოდენობისა და შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის დინამიკა 1969-2014

როგორც ჩანს, ორივე მაჩვენებელი თანადროულად იცვლება და ზუსტად ერთსა და იმავე პერიოდში აქვთ კლებისა თუ მატების ტენდენცია. მათ შორის (რეპროდუქციულ განწყობასა და ფაქტობრივ მდგომარეობას შორის) სხვაობა მერყეობს 0.26-დან 0.6-ის ფარგლებში. 1990-იანი წლებში, რეპროდუქციული ორიენტაციებისა და შობადობის დონის დაცემას ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობისა და შობადობის ჯამობრივ კოეფიციენტის მაჩვენებლებს შორის სხვაობის ზრდაც მოჰყვა, რაც ბუნებრივია, რადგან სტაბილური შობადობის პირობებში, ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა ფაქტობრივთან ახლოსაა, ხოლო როდესაც შობადობა სწრაფად იცვლება, ეს მაჩვენებელიც შორდება ფაქტობრივ მდგომარეობას. თუმცა დღეს, ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა და შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი კვლავ საკმაოდ ახლოს არის ერთმანეთთან. აღნიშნულ მაჩვენებლებს შორის არსებული ურთიერთმიმართების, კვლევის შედეგებისა და ოფიციალური წყაროების მონაცემების შედარებით გამოვლენილი ტენდენციები კიდევ ერთხელ ასაბუთებს იმას, რომ ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობის მაჩვენებელს საკმაოდ სტაბილური ხასიათი აქვს და საშუალოდ საკმაოდ ზუსტად რეალიზდება. შესაბამისად, ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა, უმეტესწილად, რეალურად ასახავს როგორც მშობლების განწყობას, ისე მათი მომავალი რეპროდუქციული ქცევის შედეგებს, რისი მეშვეობითაც შესაძლებელია შობადობის მომავალი ტენდენციების წარმოდგენა და მოსახლეობის პროგნოზირება.

რეპროდუქციული ქცევისა და შესაბამისად შვილიანობის ტიპის ცვლილებას თან სდევს ბავშვების რიგითობის ხვედრითი წილის ცვლაც. ამიტომ მნიშვნელოვანია აღნიშნული პროცესის დინამიკის განხილვა 1970-იანი წლებიდან დღემდე. მრავალშვილიანობიდან საშუალოშვილიანობის და შემდგომ მცირეშვილიანობის რეპროდუქციულ ნორმაზე გადასვლისას, იკლებს მეოთხე და მეხუთე ბავშვთა ხვედრითი წილი, რომლის ხარჯზეც იზრდება სხვა დანარჩენი რიგითობების წილი. კვლევების შედეგების შეპირისპირებისას ცხადად იკვეთება ტენდენცია, რომ ოჯახის ფუნქციონირების ცვლილებასა და გარეოჯახური ორიენტაციების გამლიერებას თან სდევს

მრავალშვილიანობის ნორმების შეცვლა საშუალოშვილიანობისა და შემდეგ მცირეშვილიანობის ნორმებით.


საქსტატის ოფიციალური მონაცემების მიხედვით (ცხრილი 8; გრაფიკი 45;), 1970-იანი წლებიდან დღემდე, მეხუთე ბავშვის ხვედრითმა წილმა 6.25-ჯერ დაიკლო (7.6%-დან 1.2%-მდე), 4 ბავშვისამ კი - 2.28-ჯერ (8%-დან 3.5%-მდე). შესაბამისად, მოიმატა პირველი - 4%-ით და მეორე ბავშვის - 7%-ით წილმა. საინტერესოა, რომ მესამე ბავშვის ხვედრითი წილი ფაქტობრივად უცვლელი დარჩა (მხოლოდ 0.1%-ით დაიკლო). ამ საანალიზო პერიოდში, ბავშვების რიგითობის ხვედრითი წილის ცვლილება თანმიმდევრული არ ყოფილა.

ცხრილი 8

ცოცხლად დაბადებულები დაბადების რიგითობის მიხედვით (%) 1970 – 2016

წლები	დაბადების რიგითობა				
	I	II	III	IV	V+
1970	36.6	31.1	16.7	8.0	7.6
1975	44.4	32.0	15.0	5.2	3.4
1980	48.6	33.0	12.1	3.8	2.5
1985	42.8	35.4	15.5	4.1	2.2
1990	44.6	34.0	15.6	3.9	1.9
1995	53.2	32.6	10.0	2.9	1.3
2000	51.9	33.3	10.8	2.7	1.3
2005	58.8	29.6	8.7	2.0	0.9
2010	49.6	35.6	11.3	2.3	1.1
2015	41.7	38.2	15.5	3.2	1.4
2016	40.6	38.1	16.6	3.5	1.2

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური



გრაფიკი 45. დაბადებუბის რიგიობის დინამიკა 1970-2016
წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

განსაკუთრებით თვალშისაცემია მესამე რიგიობის ბავშვთა ხვედრითი წილის დაცემა 1990-იანი წლებიდან (16%-დან) 2005 წლამდე (9%-მდე) პერიოდში, რასაც თან სდევდა პირველი რიგიობის ბავშვის ხვედრითი წილის მნიშვნელოვანი ზრდა (14%-იანი ზრდა), რომელმაც 2005 წლისათვის თითქმის 60%-ს მიაღწია. ზუსტად ამავე პერიოდს ემთხვევა შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის რადიკალური კლება (მოსახლეობის მარტივი აღწარმოების ზღვარს ქვევით ვარდნა) და ამავდროულად, მოსახლეობის რეპროდუქციული ორიენტაციების შემცირება (განსაკუთრებით კი ბავშვთა მოსალოდნელი რაოდენობის). თუმცა, იმედის მომცემია მესამე ბავშვის ხვედრითი წილის ხელახალი ზრდის ტენდენცია, რაც 2005 წლის შემდგომი პერიოდიდან აღინიშნება. ექსპერტთა აზრით, აღნიშნული, ერთი მხრივ, დაკავშირებულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია-II-ის, ინიციატივასთან, რომლის მიხედვითაც პატრიარქი მართმადიდებლურ ოჯახში დაბადებული ყოველი მესამე და მომდევნო რიგიობის ბავშვის ნათლია გახდება; ხოლო მეორე მხრივ, ბუნებრივი

მომრაობის მაჩვენებლების რეგისტრაციის გაუმჯობესებასთან.¹¹ ექსპერტების გარდა, საზოგადოების დიდი ნაწილიც, პატრიარქის აღნიშნულ ინიციატივას, შობადობის წამახალისებელ ფაქტორად მიიჩნევს, რაც 2017 წლის კვლევის შედეგებშიც ვლინდება. რესპონდენტთა ნახევარზე მეტი „ეთანხმება“ (55.6%) და „უფრო ეთანხმება, ვიდრე არ ეთანხმება“ (33.1%) მოსაზრებას, რომ ილია მეორის ინიციატივამ, მესამე რიგითობის ბავშვის მონათვლასთან დაკავშირებით, ხელი შეუწყო შობადობის წახალისებას.

7. დასკვნები და რეკომენდაციები

XXI საუკუნის დასაწყისში, დემოგრაფიული პროცესები საქართველოში მკვეთრად უარყოფითი ტენდენციებით ხასიათდება, რაც აუცილებელს ხდის ეფექტიანი და მიზანმიმართული დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელია მოსახლეობის აღწარმოების ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორის - შობადობის ისეთ დონემდე შემცირება, რომ ის საკმარისი აღარ აღმოჩნდება მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისთვისაც კი; ამას კი დეპოპულაცია მოჰყვება.

ქვეყანაში აუცილებელია დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება, რადგან ჯერ კიდევ, რეპროდუქციული განწყობის მაჩვენებლები სჭარბობს რეალიზებული რეპროდუქციული ქცევის მაჩვენებლებს. ადეკვატური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება ხელს შეუწყობს

¹¹ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების სანდოობა ყოველთვის იყო განხილვის საგანი, თუმცა 1990-იანი წლებში ქვეყანაში არსებულმა არასტაბილურმა სიტუაციამ გამოიწვია მოსახლეობის რეგისტრაციის სისტემის მოშლა, რის შედეგადაც დემოგრაფიული სტატისტიკური მონაცემების ხარისხი და სანდოობა მკვეთრად გაუარესდა. 2010 წლიდან საქართველოში სავალდებულო გახდა დაბადებულებისა და გარდაცვლილების რეგისტრაცია, რამაც გამოიწვია ოფიციალური დემოგრაფიული სტატისტიკური მონაცემების ხარისხისა და სანდოობის გაუმჯობესება (შუმტაკაშვილი და წიკლაური, 2014).

მოსახლეობის რეპროდუქციული განწყობისა და შობადობის დონის ზრდის რეზერვის¹² ნაწილობრივ რეალიზებას მაინც (სრულ რეალიზებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია) და შედეგად, შობადობის დონის ამაღლებას.

თანამედროვე ეტაპზე, შობადობის შემცირება უმთავრესად განპირობებულია „ბავშვის ყოლის მოთხოვნილების“ და „ბავშვების ფასეულობის“ შემცირებით. ამასთან, ბოლომდე არ ხდება ისედაც შემცირებული „ბავშვის ყოლის მოთხოვნილების“ დაკმაყოფილება. ამიტომ, შობადობის ოპტიმიზაციისკენ მიმართული დემოგრაფიული პოლიტიკა უპრიანი იქნება, წარმართოს შემდეგი ორი მიმართულებით:

- არსებული „ბავშვის ყოლის მოთხოვნილების“ რეალიზაციისათვის შესაბამისი პირობების შექმნა / სრულყოფა
- „ბავშვის ყოლის მოთხოვნილების“ საზოგადოებრივად საჭირო დონისა და შესაბამისი განწყობის შექმნისთვის აუცილებელი პოზიტიური საზოგადოებრივი აზრის ფრმირება

არსებული „ბავშვის ყოლის მოთხოვნილების“ რეალიზაციის სრულყოფის მნიშვნელოვან ღონისძიებებს წარმოადგენს: სხვადასხვა სახის დახმარებები და წახალისებები, ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესება და ხელმისაწვდომობა, დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება და ყველა იმ სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიების გატარება, რომელიც მიმართული იქნება ოჯახში ბავშვების სასურველი რაოდენობის ყოლისკენ - არსებული რეპროდუქციული განწყობის რეალიზებისკენ. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მხოლოდ დემოგრაფიული პოლიტიკის აღნიშნული ღონისძიებების გატარებას ვერ მოჰყვება დემოგრაფიული ვითარების არსებითი გაუმჯობესება, კერძოდ კი შობადობის რეგულირება სასურველ ფარგლებში. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება გარკვეულწილად გამოიწვევს რეპროდუქციული ორიენტაციებსა და ნორმების ზრდას. საწყის ეტაპზე, შობადობის დონის განმსაზღვრელი სხვადასხვა ხელისშემშლელი პირობის, როგორც „ბავშვის ყოლის

¹² სხვაობა ბავშვთა სასურველ და მოსალოდნელ რაოდენობებს შორის (2017 წლის კვლევის მონაცემების მიხედვით, შობადობის დონის ზრდის რეზერვმა 0.14 შეადგინა)

მოთხოვნების“ რეალიზაციის შემაფერხებელი ფაქტორების მოხსნამ, უნდა გამოიწვიოს შობადობის ზრდა, მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ მატერიალური მდგომარეობისა და სხვა პირობების კიდევ გაუმჯობესებას ასევე პერმანენტულად მოჰყვება შობადობის ზრდაც (წულაძე და ცხოვრებაძე, 1989). იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში ბავშვების რაოდენობა და მათზე მშობლების მოთხოვნილება ერთმანეთის ტოლია, მაშინ ცხოვრების პირობების ნებისმიერი გაუმჯობესება ამ რიცხვის გაზრდას ვერ გამოიწვევს. მაგრამ თუ ბავშვების ფაქტობრივი რაოდენობა „ბავშვის ყოლის მოთხოვნების“ დონეზე ნაკლებია, მაშინ ამ მოთხოვნების რეალიზაციისთვის საჭირო პირობების გაუმჯობესების შემთხვევაში, დაბადებულთა რიცხვი შესაძლოა გაიზარდოს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ადამიანს შეფასების სხვადასხვა კრიტერიუმი გააჩნია. ამიტომ, ცხოვრების ერთი და იგივე პირობები შეიძლება ერთმა აღიქვას, როგორც ხელშემწყობი, მეორემ კი პირიქით - არახელსაყრელი (მენაბდიშვილი, 2004).

ყოველივე ზემოთ განხილულს კვლავ რეპროდუქციულ განწყობასთან მივყავართ, რაც რეპროდუქციული ქცევის განხორციელების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. შესაბამისად, მოსახლეობის კვლავწარმოების ოპტიმალური რეჟიმის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და სათანადო ღონისძიებების (დემოგრაფიული მიზნების მქონე სოციალური პოლიტიკის) გატარება, ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია (თუ უფრო მნიშვნელოვანი არა) შობადობის ოპტიმიზაციისკენ მიმართული დემოგრაფიული პოლიტიკის მეორე ძირითადი მიმართულების გატარება - „ბავშვის ყოლის მოთხოვნების“, „ბავშვების ფასეულობისა“ და საზოგადოებრივად საჭირო ღონის შესაბამისი რეპროდუქციული განწყობის ფორმირება.

დემოგრაფიული პოლიტიკა აუცილებლად უნდა შეიცავდეს აღმზრდელობით-ფსიქოლოგიურ მიმართულებას, რაც გულისხმობს: მასობრივი ინფორმაციის ან სხვა საშუალებებით, რეპროდუქციული ორიენტაციების გარკვეული სტანდარტების პროპაგანდასა და ფიქსაციას, რაც ეკონომიკური და სოციალური ღონისძიებების განხორციელების პარალელურად, ფსიქოლოგიური და საზოგადოებრივი ფასეულობების

განმტკიცებას გულისხმობს. მისგან მიღებული ეფექტი საკმაოდ მაღალი იქნება, რაც რეზულტატით არ ჩამორჩება არსებული „ბავშვის ყოლის მოთხოვნილების“ რეალიზაციის პრობების სრულყოფით მიღებულ შედეგებს. მეცნიერთა აზრით, „ბავშვის ყოლის მოთხოვნილებისა“ და შესაბამისი განწყობის ფორმირებას გაცილებით ნაკლები მატერიალური სახსრები სჭირდება, ვიდრე არსებული „ბავშვის ყოლის მოთხოვნილების“ რეალიზაციის პრობების სრულყოფას. კარგი იქნებოდა, რომ შობადობის ოპტიმიზაციისკენ მიმართული დემოგრაფიული პოლიტიკის ობიექტი სკოლის ასაკის მოსწავლეებიც იყვნენ, რადგან ოჯახში ბავშვების რაოდენობის შესახებ წარმოდგენის ფორმირება, საკმაოდ პატარა ასაკში იწყება, 18 წლის ასაკში კი უკვე ყალიბდება „ბავშვის ყოლის მოთხოვნილების“ სახით, რაც სამომავლოდ თან სდევს ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე და განსაზღვრავს მის რეპროდუქციულ ქცევას. ცნობილია, რომ ადამიანები არასდროს გააჩენენ იმაზე მეტ ბავშვს, ვიდრე თავად მათ სურთ. ეს ფაქტი თავის გამოხატულებას ჰპოვებს რეპროდუქციულ განწყობაში (კონკრეტულად კი ბავშვთა სასურველი რაოდენობაში) და გვიჩვენებს შობადობის მაქსიმალურ ზღვარს. შესაბამისად ნათელია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს რეპროდუქციული განწყობის ფორმირების პროცესს, მასზე მოქმედი ფაქტორების შესწავლასა და კვლევას.

სახელმწიფო, ამა თუ იმ ფორმით, მეტ-ნაკლებად, ყოველთვის ზემოქმედებდა დემოგრაფიულ პროცესებზე. ამ ფაქტის გათვალისწინებით, უნდა აღვნიშნო, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ არის გაცნობიერებული დემოგრაფიული პროცესები თავად სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ჯგუფების, ოჯახისა და პიროვნებების მიერ. ჩვენს შემთხვევაში, საზოგადოება, ოჯახი და პიროვნებები უფრო მეტად არიან დემოგრაფიული პროცესების დარეგულირებისკენ მიმართულნი, ვიდრე სახელმწიფო. არადა, ამ უკანასკნელის ჩარევის გარეშე, საქართველოს დემოგრაფიული ვითარება სულ უფრო და უფრო სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანს.

ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული დემოგრაფიული პოლიტიკა უნდა დაიგეგმოს რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის ევოლუციის გაანალიზების საფუძველზე და უნდა ითვალისწინებდეს მოსახლეობის საჭიროებებსა და სურვილებს. ამის

განხორციელება კი ყველაზე უკეთ მულტიდისციპლინალური კვლევებისა და მათი სიღრმისეული ანალიზის მეშვეობით შეიძლება, რაშიც აისახება როგორც მოსახლეობის რეპროდუქციული განწყობები და ქცევა, ასევე არსებული პრობლემის გადაჭრის გზები, რადგან დემოგრაფიული ღონისძიებები თავად ადამიანებზე, მათ სურვილებსა და საჭიროებებზე უნდა იყოს ორიენტირებული.

დემოგრაფიული ქცევის შეცვლა მყისიერად არასდროს ხდება. მის ნებისმიერ კორექტირებას, განსაკუთრებით კი რეპროდუქციული ქცევის სტიმულირებას, კარგად დაგეგმილი, თანმიმდევრული დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება სჭირდება, რომლის შედეგებიც რამდენიმე თაობის შემდეგ აისახება მოსახლეობის დემოგრაფიულ ქცევაში. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ყველაზე რთული გახლავთ განწყობებისა და არაცნობიერი მისწრაფებების (ჩვენს შემთხვევაში რეპროდუქციული განწყობის) ცვლილება, რაც რეპროდუქციული ქცევისა და შობადობის საფუძველს წარმოადგენს. შესაბამისად, ამ საკითხის გადადებამ და უგულვებელყოფამ შესაძლოა გამოუსწორებელ შედეგებამდე მიგვიყვანოს. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს რეპროდუქციული ორიენტაციების კუთხით სიღრმისეული კვლევების განხორციელებას, რომელთა შედეგებზე დაყრდნობითაც შეძლებს შობადობის შელშემწყობი დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებას.

ამდენად, კვლევის შედეგებიდან თვალნათლივ ჩანს, რომ საქართველოში თანმიმდევრული დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების გარეშე, ქვეყანა დემოგრაფიული კრიზისიდან ვერ გამოვა და საფრთხის წინაშე დადგება ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი. დრო სწრაფად გადის და ამ პრობლემის გადადება დანაშაულის ტოლფასი იქნება, როგორც ჩვენი წინაპრების, ასევე ამჟამინდელი და მომავალი თაობების წინაშე.

ბიბლიოგრაფია

- ახალაია, ნ. (2005). მოსახლეობის რეპროდუქციული ქცევა თანამედროვე დემოგრაფიული კრიზისის პირობებში. *სამეცნიერო ჟურნალი დემოგრაფია*, N 1-2 (9-10), გვ.123-128.
- გაჩეჩილაძე, ე. (2004). საქართველოში ოჯახის დაგეგმვის ისტორიიდან. *დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები, შრომების კრებული*, II, გვ.112-119.
- გვრიტიშვილი, ც. (2001). მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა ორიათასწლეულის მიწურულის საქართველოში. *დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები, შრომების კრებული*, N1, გვ.178-180.
- გოგასაძე, გ. (2008). *მოსახლეობის გეორგაფია*. თბილისი: "საარი".
- დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი. (2010). *ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა საქართველოში, 2010, საბოლოო ანგარიში*. თბილისი: შპს "ვესტა".
- დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრი. (2006). *ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა საქართველოში, 2005, საბოლოო ანგარიში*. თბილისი: შპს "პოლიგრაფ +".
- ზაქარიაძე, ნ. (2005). *ტრადიციული დემოგრაფიული ფასეულობები საქართველოში*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის სტამბის გამომცემლობა.
- კოტრიკაძე, ბ. (1988). *შობადობა საქართველოში, ტენდენციები და მისი რეგულირების გზები*. თბილისი.
- მენაბდიშვილი, ნ. (2004). ბავშვებზე მოთხოვნილების დინამიკა ქართულ მოსახლეობაში. *მაკრო მიკრო ეკონომიკა*, N2, გვ.35-36.
- მენაბდიშვილი, ნ., და გვრიტიშვილი, ც. (2004). დემოგრაფიული ვითარება და კულტურული უწყვეტობის საკითხი ქართველი სტუდენტი ახალგაზრდობის ინტერესთა სისტემაში. *დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები, შრომების კრებული*, II, გვ.85-89.
- საქართველოს კანონი, მუხლი 1108 ქორწინების ასაკი*. (2012, 02 01). საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1541331>
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*. www.geostat.ge
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2009). *საქართველოს სტატისტიკური წელიწადი*. თბილისი. http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=643&lang=geo
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2016). *დემოგრაფიული ვითარება საქართველოში, სტატისტიკური კრებული*. თბილისი. <http://geostat.ge/index.php?action=wnews&lang=geo&npid=493>

- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2016). *ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები საქართველოში*. თბილისი.
<http://geostat.ge/index.php?action=wnews&lang=geo&npid=530>
- სახვაძე, ა. (2004). სიღარიბის სოციალურ-დემოგრაფიული შედეგები. *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები, შრომების კრებული, II*, გვ.205-219.
- უზნაძე, დ. (1949). *განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები* (ტ. 6). ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომები.
- ფრანკფორტ-ნაჩმაისი, ჩ., და ნაჩმაისი, დ. (2009). *კვლევის მეთოდები სოციოლოგიურ მეცნიერებაში*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ფრიდრიხ ებერტის ფონდი. (2017). *თაობა გარდამავალ პერიოდში. საქართველოს ახალგაზრდობის კვლევა 2016*. თბილისი: ფრიდრიხ ებერტის ფონდი.
- ღლონტი, ვ. (2013). *მოსახლეობის განვითარების დინამიკა საქართველოში 2012 წლამდე*.
<http://edu.aris.ge/ge/presentations/show/1064/>
- შუმტაკაშვილი, ვ., და წიკლაური, შ. (2014). შობადობა და რეპროდუქციული ქცევა საქართველოს ქალაქებში. *დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები, შრომების კრებული*, გვ.63-75.
http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/86162/1/Shromata_Krebuli.pdf
- ჩიქავა, ლ. (2002). *დემოგრაფიული კატეგორიები და კანონები*. თბილისი.
- წულაძე, გ. (1979). რეპრეზენტატული შერჩევის მოცულობის განსაზღვრა. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, N3*, გვ.62-66.
- წულაძე, გ. (1981). რეპროდუქციული განწყობის ცნების დაზუსტებისთვის. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, N4*, გვ.47-50.
- წულაძე, გ. (1984). *შობადობის სოციოლოგიის საკითხები*. თბილისი: მეცნიერება.
- წულაძე, გ. (2012). *დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი*. თბილისი: შპს "ვესტა".
- წულაძე, გ. (2012). *დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 2011*. თბილისი.
- წულაძე, გ., და სულაბერიძე, ა. (2015). *დემოგრაფიის საფუძვლები, სახელმძღვანელო*. თბილისი.
- წულაძე, გ., და ცხოვრებაძე, ზ. (1989). შობადობის ოპტიმიზაციისკენ მიმართული დემოგრაფიული პოლიტიკა. *ჟურნალი საქართველოს კომუნისტი, N7*, გვ.63-66.
- წულაძე, გ., და ხმალაძე, მ. (2001). შობადობის თანამედროვე ტენდენციები საქართველოში. *დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები, შრომების კრებული, I*, გვ.39-46.
- წულაძე, გ., მელაძე, გ., და გაჩეჩილაძე, ე. (1997). შობადობისა და რეპროდუქციული ქცევის ტენდენციები თანამედროვე საქართველოში. *ჟურნალი ეკონომიკა, N1-3*, გვ.75-78.

წულაძე, გ., ცხოვრებაძე, ზ., და მელაძე, გ. (1993). რეპროდუქციული ორიენტაციების პროგნოსტიკული შესაძლებლობები. *ჟურნალი ეკონომიკა*, N10-11, გვ.61-63.

ხმალაძე, გ. (1981). საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული განწყობის შესახებ. *თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია*, ტ. 7, გვ.204-209.

Blacke, J. (1989). *Family size and achievement*. University of California Press.

Caldwell, J. (1982). *Theory of Fertility Decline*. London: Academic Press.

Carvajal, M. J., & Geithman, D. T. (1976). *Family Planning and Family Size Determination*. University Press of Florida.

დანართი

რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის კვლევა ახალგაზრდებში

კითხვარი

გამარჯობა, მე გახლავართ მარიამ ღამბაშიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტატურის სტუდენტი, დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის მიმართულებით.

ვახორციელებ სოციოლოგიურ კვლევას თემაზე „რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის კვლევა ახალგაზრდებში“. თქვენი კვლევაში მონაწილეობა მნიშვნელოვანია, რათა მოხდეს რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის მიმართ საზოგადოებრივი აზრის შესწავლა.

კითხვარში არ ფიქსირდება თქვენი პირადი მონაცემები, შესაბამისად თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა დაცული იქნება. გთხოვთ გამოიჩინოთ გულისხმიერება და გულწრფელად უპასუხოთ დასმულ შეკითხვებს. ინტერვიუს მონაცემები გამოყენებული იქნება განზოგადებული სახით, სტატისტიკური დასკვნების მისაღებად.

გთხოვთ, კვლევაში მონაწილეობა მიიღოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენი ასაკი არის **18-35 წელი**.

წინასწარ მადლობას მოგახსენებთ თანამშრომლობისთვის!

1. სქესი
 1. მამრობითი
 2. მდედრობითი

2. თქვენი ასაკი (მიუთითეთ) ____

3. განათლება
 1. არასრული საშუალო
 2. საშუალო
 3. პროფესიულ-ტექნიკური
 4. არასრული უმაღლესი (სტუდენტი)
 5. უმაღლესი

4. რელიგია
 1. მართლმადიდებელი
 2. მუსლიმი
 3. სომხური სამოციქულო ეკლესია
 4. არ ვარ რელიგიურისხვა (მიუთითეთ) _____

5. რამდენად ხშირად ესწრებით რელიგიურ მსახურებას?
 1. ყოველკვირეულად
 2. თვეში რამდენჯერმე
 3. მხოლოდ მთავარ დღესასწაულებზე
 4. იშვიათად
 5. არ ვესწრები რელიგიურ მსახურებას

6. ეთნიკური კუთვნილება

1. ქართველი
 2. სომეხი
 3. აზერბაიჯანელი
- სხვა (მიუთითეთ) _____

7. საქმიანობა

1. უმუშევარი
 2. დასაქმებული
 3. თვითდასაქმებული
 4. სტუდენტი
 5. დიასახლისი
 6. შშმპ (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი)
- სხვა (მიუთითეთ) _____

8. როგორია თქვენი ოჯახის მატერიალური შემოსავლები

1. ძალიან დაბალი: შემოსავალი კვებაზეც არ გვყოფნის
2. დაბალი: შემოსავალი კვებაზე და ჩასაცმელზე ძლივს გვყოფნის
3. საშუალო: ოჯახის ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ვახერხებთ
4. მაღალი: შეგვიძლია გართობის და დასვენების ხარჯები გავწიოთ
5. ძალიან მაღალი

9. თქვენი საცხოვრებელი ადგილი

1. თბილისი
2. სხვა ქალაქი
3. სოფელი

10. თქვენი აზრით, რომელია ქორწინების საუკეთესო ასაკი ქალისთვის?

- | | |
|---------------|---|
| 1. 18 წლამდე | 5. 30-34წელი |
| 2. 18-19 წელი | 6. 35 წელზე მეტი |
| 3. 20-24 წელი | 7. ქორწინებისთვის სასურველი ასაკი არ არსებობს |
| 4. 25-29 წელი | |

11. თქვენი აზრით, რომელია ქორწინების საუკეთესო ასაკი მამაკაცისთვის?

- | | |
|---------------|---|
| 1. 18 წლამდე | 5. 30-34 წელი |
| 2. 18-19 წელი | 6. 35 წელზე მეტი |
| 3. 20-24 წელი | 7. ქორწინებისთვის სასურველი ასაკი არ არსებობს |
| 4. 25-29 წელი | |

12. ოჯახური მდგომარეობა

1. დაქორწინებული
2. თანამცხოვრები (გადადით კითხვა N15-ზე)
3. ქორწინებაში არასდროს მყოფი (გადადით კითხვა N15-ზე)
4. განქორწინებული/გამორეული
5. ქვრივი

13. რამდენი წლის იყავით როდესაც დაქორწინდით? (მიუთითეთ) ____

14. რამდენი წლის იყო თქვენი მეუღლე როცა იქორწინეთ? (მიუთითეთ) ____

15. თუ არ იმყოფებით ქორწინებაში, აპირებთ თუ არა ოჯახის შექმნას უახლოეს 5 წელიწადში?

1. დიახ

3. უფრო არა, ვიდრე დიახ

2. უფრო დიახ, ვიდრე არა

4. არა

16. თქვენი აზრით, რამდენი ბავშვი უნდა იყოს საერთოდ ოჯახში? (მიუთითეთ) ____

17. პირადად თქვენ რამდენი ბავშვის ყოლა გსურთ? (მიუთითეთ) ____

18. კიდევ რამდენი ბავშვის ყოლას აპირებთ (ვისაც არ გყავთ ბავშვი/ბავშვები)?
(მიუთითეთ) ____

19. პირადად თქვენ რამდენი ბავშვი გყავთ? (მიუთითეთ) ____

20. კიდევ რამდენი ბავშვის ყოლას აპირებთ (ვისაც გყავთ ბავშვი/ბავშვები)? (მიუთითეთ)

21. უახლოეს წლებში (5 წელიწადში) აპირებთ თუ არა ბავშვის ყოლას?

1. დიახ

2. არა

22. თუ გყავთ, ან აპირებთ იყოლიოთ იმაზე ნაკლები ბავშვი ვიდრე გსურთ, გთხოვთ მიუთითოთ არა უმეტეს 3 ძირითადი მიზეზი, რომელიც აფერხებს თქვენთვის სასურველი ბავშვების ყოლას:

1. მატერიალური პირობები
2. ჯანმრთელობის მდგომარეობა
3. ცუდი საბინაო პირობები
4. დროის დეფიციტი
5. სამუშაოზე მეტისმეტი დატვირთულობა
6. სამუშაოს დაკარგვის შიში
7. კარიერული წინსვლის შეფერხება
8. ოჯახში დამხმარის არ ყოლა
9. ოჯახში კონფლიქტური სიტუაცია
10. მომავლის რწმენის უქონლობა

სხვა (მიუთითეთ) _____

რამდენად ეთანხმებით შემდეგ დებულებებს? (ყოველ სტრიქონში ერთი პასუხი)

		სრულად კეთანხმები	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	სრულად არ ვეთანხმები
23.	მთავარია სამი და მეტი ბავშვის ყოლა, მათი აღზრდისთვის საჭირო მატერიალური სახსრები კი გამოიძებნება				
24.	უმეტეს შემთხვევაში ოჯახში ქალი წყვეტს თუ რამდენი ბავშვი იყოლიოს				
25.	ცოლ-ქმარს აუცილებლად უნდა ჰყავდეს ერთი ბიჭი მაინც				

26.	ქორწინების გარეშე გამართლებულია ქალის მიერ ბავშვის გაჩენა				
27.	ქორწინების გარეშე ქალის მიერ ბავშვის გაჩენა გაუმართლებელია ბავშვის პოზიციიდან				
28.	ქორწინების გარეშე ქალის მიერ ბავშვის გაჩენა გამართლებულია თუ გათხოვება არ სურს				
29.	ქორწინების გარეშე ქალის მიერ ბავშვის გაჩენა ზნეობრივად გაუმართლებელია				
30.	ჩემმა ახლობელმა ქალმა (შვილმა, დამ, ნათესავმა, მეგობარმა) ქორწინების გარეშე ბავშვი რომ გააჩინოს გავწყვეტ მასთან ურთიერთობას				
31.	ჩემმა ახლობელმა ქალმა (შვილმა, დამ, ნათესავმა, მეგობარმა) ქორწინების გარეშე ბავშვი რომ გააჩინოს შევეგუები, როგორც არასასურველ ფაქტს				
32.	ჩემმა ახლობელმა ქალმა (შვილმა, დამ, ნათესავმა, მეგობარმა) ქორწინების გარეშე ბავშვი რომ გააჩინოს არანაირი რეაქცია არ მექნება				
33.	ჩემმა ახლობელმა ქალმა (შვილმა, დამ, ნათესავმა, მეგობარმა) ქორწინების გარეშე ბავშვი რომ გააჩინოს თუ გათხოვების იმედი გადაწურული ჰქონდა, მაშინ მოვუწონებ				

34. რამდენი წევრისგან შედგება თქვენი ოჯახი? (მიუთითეთ) ____

35. რამდენი ბავშვი ჰყავს/ჰყავდა თქვენს მშობლებს? (მიუთითეთ) ____

36. რამდენი ბავშვი ჰყავს/ჰყავდა თქვენს ბებიას დედის მხრიდან? (მიუთითეთ) ____

37. რამდენი ბავშვი ჰყავს/ჰყავდა თქვენს ბებიას მამის მხრიდან? (მიუთითეთ) ____

რამდენად ეთანხმებით შემდეგ დებულებებს? (ყოველ სტრიქონში ერთი პასუხი)

		სრულად ვეთანხმები	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	სრულად არ ვეთანხმები
38.	მთავარია ბავშვების აღზრდის ხარისხი და არა მათი რაოდენობა				
39.	ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ბავშვების რაოდენობას ოჯახში				
40.	უმეტეს შემთხვევაში ოჯახში კაცი წყვეტს თუ რამდენი ბავშვი იყოლიოს				
41.	ქალების ემანსიპაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შობადობაზე				
42.	სამედიცინო აუცილებლობის გარდა ქალმა აბორტი არ უნდა გაიკეთოს				
43.	ცოლ-ქმარს აუცილებლად უნდა ჰყავდეს ერთი გოგონა მაინც				
44.	ქორწინების გარეშე ქალის მიერ ბავშვის გაჩენა გამართლებულია დედის მხრიდან, რადგან სიბერეში პატრონი ეყოლება				
45.	ქორწინების გარეშე ქალის მიერ ბავშვის გაჩენისთვის ჩვენი საზოგადოება მზად არ არის				
46.	ქორწინების გარეშე ქალის მიერ ბავშვის გაჩენა გამართლებულია თუ გათხოვების იმედი გადაწურული აქვს				
47.	ჩემმა ახლობელმა ქალმა (შვილმა, დამ, ნათესავმა, მეგობარმა) ქორწინების გარეშე ბავშვი რომ გააჩინოს გავკიცხავ, მაგრამ ურთიერთობას არ გავწყვეტ				
48.	ჩემმა ახლობელმა ქალმა (შვილმა, დამ, ნათესავმა, მეგობარმა) ქორწინების გარეშე ბავშვი რომ გააჩინოს არ მოვუწონებ, მაგრამ დავეხმარები				
49.	ჩემმა ახლობელმა ქალმა (შვილმა, დამ, ნათესავმა, მეგობარმა) ქორწინების გარეშე ბავშვი რომ გააჩინოს მოვუწონებ და ყველანაირად დავეხმარები				

50. უნდა იყოს თუ არა ბავშვის სქესი ცნობილი ორსულობის 12 კვირამდე (ვადა, რომლის შემდეგ აბორტის გაკეთება სამედიცინო ჩვენების გარდა დაუშვებელია)?

- | | |
|-------------------------|-------------------------|
| 1. დიახ | 3. უფრო არა, ვიდრე დიახ |
| 2. უფრო დიახ, ვიდრე არა | 4. არა |

51. თქვენი აზრით, იწვევს თუ არა უარყოფით შედეგებს სელექციური აბორტი?

- | | |
|-------------------------|-------------------------|
| 1. დიახ | 3. უფრო არა, ვიდრე დიახ |
| 2. უფრო დიახ, ვიდრე არა | 4. არა |

52. თქვენი აზრით, არის თუ არა საქართველოში რთული დემოგრაფიული ვითარება?

- | | |
|-------------------------|-------------------------|
| 1. დიახ | 3. უფრო არა, ვიდრე დიახ |
| 2. უფრო დიახ, ვიდრე არა | 4. არა |

53. პირადად თქვენ, გაწუხებთ თუ არა, საქართველოს მოსახლეობის შემცირების პრობლემა?

- | | |
|-------------------------|---|
| 1. დიახ | 3. უფრო არა, ვიდრე დიახ (გადადით კითხვა N55-ზე) |
| 2. უფრო დიახ, ვიდრე არა | 4. არა(გადადით კითხვა N55-ზე) |

54. თუ გაწუხებთ, პირადად თქვენ რის გაკეთებას აპირებთ ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად?

1. ვაპირებ ბავშვის ყოლას
2. ვაპირებ ბავშვის ყოლას, როგორც კი გამიუმჯობესდება ეკონომიკური მდგომარეობა
3. ვაპირებ ბავშვის ყოლას, თუ იქნება სახელმწიფოს მხრიდან მხარდამჭერი დემოგრაფიული პოლიტიკა
4. მაწუხებს, მაგრამ პირადად ვერაფერს ვიღონებ

55. თქვენი აზრით, შობადობის წახალისებას შეუწყობს თუ არა ხელი ილია II-ის ინიციატივამ მესამე რიგითობის ბავშვის მონათვლასთან დაკავშირებით?

- | | |
|-------------------------|-------------------------|
| 1. დიახ | 3. უფრო არა, ვიდრე დიახ |
| 2. უფრო დიახ, ვიდრე არა | 4. არა |

56. თუ ქვეყანაში გაუმჯობესდა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გაიზრდება თუ არა თქვენი სასურველი ბავშვების რაოდენობა?

- | | |
|-------------------------|-------------------------|
| 1. დიახ | 3. უფრო არა, ვიდრე დიახ |
| 2. უფრო დიახ, ვიდრე არა | 4. არა |

57. თუ ქვეყანაში შემუშავდა კარგი დემოგრაფიული პოლიტიკა, გაიზრდება თუ არა თქვენი სასურველი ბავშვების რაოდენობა?

- | | |
|-------------------------|-------------------------|
| 1. დიახ | 3. უფრო არა, ვიდრე დიახ |
| 2. უფრო დიახ, ვიდრე არა | 4. არა |

58. თქვენი აზრით, რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ შობადობის წახალისებითვის?
(ჩაწერეთ)

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Mariam Gambashidze

The Evolution of Reproductive Disposition and Behaviour in Georgia

Demography and Population Geography

Master's thesis is submitted to obtain the degree of Master in Demography and
Population Geography

Supervisor: Anzor Sakhvadze
Associated Professor

Tbilisi 2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ნინო მათეშვილი

შობადობის ტენდენციები საქართველოში 2000-იანი წლებიდან
დღემდე, კახეთის მაგალითზე

დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის მიმართულება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დემოგრაფიისა და მოსახლეობის
გეოგრაფიის მიმართულების მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ვაჟა ლორთქიფანიძე

პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი 2017

ანოტაცია

ქვემოთ მოცემულ ნაშრომში „შობადობის ტენდენციები საქართველოში 2000-იანი წლებიდან დღემდე, კახეთის მაგალითზე“ განხილულია შობადობის მდგომარეობა კახეთის რეგიონსა და საქართველოში 2000-2017 წლებში, განსაზღვრულია შობადობის დონის ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორები და გაანალიზებულია კავშირი რეგიონისა და ქვეყნის მოსახლეობის დემოგრაფიულ მდგომარეობას შორის. თემის შერჩევას გათვალისწინებულია საკითხის აქტუალობა, კერძოდ ის ფაქტი, რომ უკანასკნელ ხანებში ძალიან დამძიმდა დემოგრაფიული ვითარება ქვეყანაში. შობადობის დონის კლება, ემიგრაციის დონის მატება, სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურში მომხდარი ცვლილებები, გაუარესებული სოციალურ-ეკონომიკური ფონი და შესაბამისად, რეპროდუქციული განწყობა და ქცევა - ეს ყველაფერი პირდაპირ აისახება ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობაზე. მოსახლეობის შენარჩუნება და განახლება სულ უფრო რთული ხდება.

შობადობის შესწავლისთვის, მდგომარეობის შეფასების, სიტუაციის ანალიზისა და ტენდენციების დასადგენად გამოყენებულია როგორც საკითხის ირგვლივ უკვე არსებული თეორიული მასალა და სამეცნიერო წყაროები, ისე ოფიციალური სააღრიცხვო ორგანოების მიერ(საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური) მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაცია. ქვემოთ მოცემული ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს შობადობა, კვლევის ობიექტი კი ამ შემთხვევაში კახეთის მოსახლეობაში არსებული შობადობის მდგომარეობის შეფასება და პარალელების გავლება ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობასთან, რადგან რეგიონებში არსებული ვითარება ქმნის სწორედ მთელი მოსახლეობის დემოგრაფიულ პროფილს. ნაშრომში განხილულია, ერთის მხრივ, საკითხის ისტორიული რაკურსი - შობადობის მდგომარეობა და ტენდენციები XIX საუკუნის ბოლოდან XX საუკუნის დასასრულამდე, ხოლო, მეორეს მხრივ, წარმოდგენილია ჩვენი დროის - 2000-2016 წლების სტატისტიკური მასალა კახეთისა და საქართველოს მოსახლეობაში მიმდინარე პროცესების შესახებ, რომელიც შემდგომ გაანალიზებულია და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შეფასებულია ქვეყნის დემოგრაფიული პერსპექტივები.

ზოგადად, შობადობის კვლევა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან თაობათა განახლების პროცესში სწორედ ეს დემოგრაფიული მოვლენა თამაშობს გადამწყვეტ როლს. ჩვენს რეალობაში ბევრი ნაშრომი მიეძღვნა შობადობის ბიოლოგიური, დემოგრაფიული, სოციალური თუ ეკონომიკური კუთხით შესწავლას. ბევრი მათგანი ეხმიანება შობადობის კლების მიზეზებს, ბევრი ავტორი საუბრობს ეფექტიანი და მიზანმიმართული დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე. საგულისხმოა, რომ ბოლო წლების განმავლობაში პირველად იქნა შემუშავებული დემოგრაფიული პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტი, რომელიც კიდევ ერთხელ ამტკიცებს საკითხის მნიშვნელოვანებას.

ამ ნაშრომში განხილულია შობადობა განსხვავებული რაკურსით, კერძოდ წარმოდგენილია შობადობის პრობლემა რეგიონულ ჭრილში, კახეთის მაგალითზე. სიახლეს წარმოადგენს აქ მოცემული უახლესი სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, რომელიც განზოგადებულია მთელი საქართველოსთვის. ასევე, ნაშრომში წარმოდგენილი და თავმოყრილია ყველა თეორიული მიდგომა თუ მეცნიერული შეხედულება, რომლებიც დაეხმარება მკითხველს უკეთ გაერკვეს შობადობის არსსა და მნიშვნელობაში.

Childbirth Trends in Georgia from 2000s until today, Kakheti example

Abstract

In this thesis “Childbirth Trends in Georgia from 2000s until today, Kakheti example” there are reviewed tendencies of birth in the region in 2000-2017 years and defined the factors affecting the birth rate in the country and analyzed connection between demographic situation of the region and the country. The author chose the topic due to its actuality, especially now, when demographic situation is in crisis in our country. Decrease of birth rate, increase of emigration, changes in sex and age structures, worsen socio-economic conditions and reproductive disposition and behaviour – all of these effects on the whole population. It’s getting more and more difficult to keep and renew our population.

There are different academic and statistical sources used for the assessment of birth rates and trends in Georgia, especially in Kakheti. The subject of the research is birth and the research object is to evaluate birth trends and rates in population of Kakheti and to determine its influences on country’s demographic profile. On one hand, there are shown the historical vision of the issue and the other hand there is some statistical information, which helps the author to assess future demographic prospects of Kakheti region and the country.

In general, the research of demographic issues, is of great importance, because such demographic phenomenon is the main actor in the process of generation renewal. There are many academic thesis and works about biological, demographic, social or economic aspects of birth. Many of them echoe the issue of birth defects and they speak about affective and targeted demographic policy. It should be noted, that it’s first time when there is developed framework of demographic policy in Georgia. This indicates the importance of such cases.

The author reviewed the birth by another perspective, more specifically there is given the birth problems in the regional context, on the example of Kakheti. The novelty of this thesis is the newest statistical information and its analyses, which is generalized on the population of Georgia. Besides, there are collected and presented all the main theoretical or scientific approaches, which help the reader to understand the meaning and importance of this issue.

შინაარსი

შესავალი	7
1. შობადობა, როგორც დემოგრაფიის შესწავლის მთავარი ობიექტი.....	9
1.1. მეცნიერული დამოკიდებულებები შობადობის მიმართ	9
1.2. შობადობის, როგორც დემოგრაფიის პრობლემისა და ცნების შესახებ.....	11
1.3. შობადობა და დემოგრაფიული კანონები	14
1.4. მოსახლეობის აღწარმოებისა და შობადობის პრობლემა	21
1.5. შობადობის დამოკიდებულება რეპროდუქციულ ქცევაზე და მასზე.....	23
მოქმედი ფაქტორები.....	23
2. კახეთის მოსახლეობა ისტორიულ ჭრილში; შობადობის ტენდენციები რეგიონში 2000 - იანი წლებიდან დღემდე.....	29
2.1. კახეთის მოსახლეობის რაოდენობა	29
2.2. კახეთის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა.....	31
2.3. შობადობის ტენდენციები კახეთის მოსახლეობაში, 2000-იანი წლებიდან დღემდე	33
დასკვნა	46
ბიბლიოგრაფია.....	48
დანართები.....	49

შესავალი

XXI საუკუნის დასაწყისში საქართველო მსოფლიოში გამოირჩეოდა მოსახლეობის რაოდენობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი კლებით. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ამ პერიოდში საქართველოში სიკვდილიანობა აჭარბებდა შობადობას. პირიქით, საქართველოში უმნიშვნელო ბუნებრივი ზრდა შეინიშნებოდა. მოსახლეობის საშუალო წლიური კლება განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ჩვენი საუკუნის დასაწყისში, ისევე, როგორც წინა პერიოდში, ქვეყანა დატოვა ძალიან ბევრმა მოქალაქემ. თუმცა ამის შემდეგ დაიწყო შობადობის დონის კლება და ფაქტია, რომ ბოლო ხანებში საქართველო განსხვავებულ დემოგრაფიულ რეჟიმში ცხოვრობს.

სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობა დემოგრაფიული განვითარების თვალსაზრისით სხვადასხვა ფაზაში იმყოფება, რომელთა გავლას დროის განსხვავებული პერიოდი სჭირდება. განვითარებულმა და განვითარებადმა ქვეყნებმა ერთდროულად გაიარეს დემოგრაფიული გადასვლის პირველი ფაზა, შემდეგ კი სიტუაცია შეიცვალა.

დღეისათვის საქართველოს მოსახლეობა აღწარმოების თანამედროვე ტიპის მესამედან მეოთხე ფაზაში გარდამავალ პერიოდში იმყოფება: კლებულობს შობადობა, კლებულობს მოკვდაობა (მოსახლეობის დაბერების საფუძველზე), ძალიან მცირდება ბუნებრივი მატება, შეინიშნება დროდადრო კლებაც. აქ უკვე ვაწყდებით შობადობის პრობლემას, რომელიც უმნიშვნელოვანესია მოსახლეობს ბუნებრივი მოძრაობისა და კვლავწარმოების თვალსაზრისით.

შესაბამისად, შობადობის შესწავლა და ტენდენციის გამოვლენა ერთ-ერთი რეგიონის, ამ შემთხვევაში კახეთის მაგალითზე საჭიროდ და საინტერესოდ მიმაჩნია, რადგან ზოგადად, ქვეყნის დემოგრაფიულ სახეს მისი რეგიონები და იქ მცხოვრები მოსახლეობა ქმნის. რეპროდუქციული განწყობები და ქცევა, რომელიც განაპირობებს ამა თუ იმ საზოგადოებაში შობადობის ინტენსივობას და დონეს, ძირითადად გამოწვეულია ქვეყნის რეგიონების ისტორიულად და კულტურულად ჩამოყალიბებული ოჯახური ტრადიციებით, რელიგიით, მსოფლმხედველობითა და მათი სოციალურ-ეკონომიკური ყოფით. ჩემი განსაკუთრებული ყურადღება კახეთის რეგიონისადმი განპირობებულია

იმით, რომ აქ და ზოგადად, ქვეყანაში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესები ზუსტად იმეორებენ ერთიმეორეს დინამიკას და ლოგიკური მიზეზ-შედეგობრივი კავშირით ესადაგებიან ქვეყნის ზოგად დემოგრაფიულ სურათს.

მოცემულ ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება დავუთმე კახეთის რეგიონში მიმდინარე პროცესებს შობადობის თვალსაზრისით, მიზნად დავისახე, გამომევილინა ის გარემოებები, რომლებიც მოქმედებს შობადობის დონეზე რეგიონსა და ქვეყანაში, ასევე - შობადობის ტენდენციები ბოლო წლების სტატისტიკურ მასალაზე დაყრდნობით და ის, თუ რა მნიშვნელობა აქვს აქ მიმდინარე პროცესებს ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარებაში.

შობადობის შესახებ ბევრი სამეცნიერო და აკადემიური ნაშრომია შექმნილი მეცნიერული შესწავლის სხვადასხვა ეტაპზე. ისეთი ავტორები, როგორებიც არიან თოთაძე, წულაძე, ჩიქავა, ახალაია და სხვანი, სტატისტიკურ ინფორმაციაზე და თავიანთ შეხედულებებსა და თეორიულ ცოდნაზე დაყრდნობით აფასებდნენ შობადობის ზოგად პრობლემებს, მეზო(ქვეყნის) და მაკრო(მსოფლიო) დონეზე, თუმცა აქამდე ნაკლებად იყო შესწავლილი შობადობის რეგიონული ასპექტები, როგორც, მაგალითად, ჩემს ნაშრომშია წარმოდგენილი.

ჩემს საკვლევ საგანს წარმოადგენს შობადობა, როგორც დემოგრაფიის შესწავლის მთავარი ობიექტი და მასზე მოქმედი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მისი დონის ცვლილებაზე. ნაშრომის მიზანი კი კახეთის მოსახლეობის მაგალითზე არსებული რეგიონული ტენდენციების გამოვლენა და პარალელების გავლებაა ზოგადად საქართველოს მოსახლეობაში მიმდინარე პროცესების მიმართ, რომელთა გამო დღეს დემოგრაფიული კრიზისის ზღვარზე ვდგავართ. ამ ვითარებიდან გამოსავლის პოვნამდე კი მიზეზთა გამოვლენა და მათი კარგად გააზრებაა საჭირო.

1. შობადობა, როგორც დემოგრაფიის შესწავლის მთავარი ობიექტი

1.1. მეცნიერული დამოკიდებულებები შობადობის მიმართ

რით არის გამოწვეული შობადობის შესწავლისადმი ესოდენ დიდი ინტერესი? ადამიანები მათ გარემომცველ საგნებსა და მოვლენებთან მუდმივ ურთიერთქმედებაში იმყოფებიან. ისინი მრავალ საგანსა და მოვლენას აკვირდებიან და ბევრი მათგანის უშუალო მონაწილენიც არიან.

თუმცა შობადობისადმი ინტერესი მარტოდენ ზემოთქმულიდან არ გამომდინარეობს.

ჩვენი დროისათვის, შობადობის შესწავლასთან დაკავშირებული გარკვეული წარმატებისდა მიუხედავად, იგი იმ პრობლემატურ საკითხთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც გადაუდებელ გადაწყვეტას მოითხოვს.

რით არის გამოწვეული შობადობის პრობლემის გადაწყვეტის აუცილებლობა?

ბოლო დროს დედამიწის ზურგზე ძნელია ისეთი სახელმწიფოს მონახვა, რომელსაც არ აწუხებდეს შობადობის პრობლემა.

სხვადასხვა ქვეყანაში შობადობისადმი დამოკიდებულება სხვადასხვაა.

ძირითადად შეიძლება გამოვყოთ სამი სახის დამოკიდებულება:

1. შობადობის არსებული დონე არახელსაყრელია, რადგან ის მაღალია;
2. შობადობის არსებული დონე არახელსაყრელია, რადგან ის დაბალია;
3. შობადობის არსებული დონე ხელსაყრელია.

შობადობა „წმინდამეცნიერული“ პრობლემატურობის გარდა მწვავე პრაქტიკულ მნიშვნელობას სწორედ მაშინ იძენს, როდესაც მისი დონე არახელსაყრელია(ან საჭირო ხდება შობადობის არსებული დონის შენარჩუნება).

პირველ შემთხვევაში მისი მაღალი დონე და ამით გამოწვეული მოსახლეობის მატება წინ უსწრებს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

მეორე შემთხვევაში, შობადობის დაბალი დონე სოციალურ-ეკონომიკური საკითხის გარდა წინა პლანზე წამოსწევს ისეთ საგანს, როგორცაა მოსახლეობის აღწარმოება, რადგან შობადობის დაბალი დონე შესაძლებელია საკმარისი არ აღმოჩნდეს მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისათვისაც კი (წულაძე გ., 1984).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ცენტრალურმა და აღმოსავლეთ ევროპამ, მათ შორის საქართველომ, განიცადა ღრმა ცვლილებები ცხოვრების ყველა სფეროში. რა თქმა უნდა, ამან გავლენა მოახდინა დემოგრაფიულ ქცევაზე: ერთის მხრივ, გაიზარდა ახალი ოჯახების რაოდენობა, ხოლო პარალელურად, მკვეთრად შემცირდა შობადობა. 21-ე საუკუნის დასაწყისში პოსტ-საბჭოთა ქვეყნები წარმოადგენდნენ მსოფლიოში ყველაზე დაბალი შობადობის დონის მქონე სახელმწიფოების ჯგუფს (Sobotka, 2004).

ბევრი პოლიტიკოსი აღნიშნავს, რომ ქრონიკულად პროგრესირებადი შობადობის კლების ტენდენციისა და შრომითი რესურსის კლების მქონე საზოგადოებები აწყდებიან მთელ რიგ პრობლემებს სოციალურ ცხოვრებაში, მაგალითად, როგორც წესი, მათ უწევთ ხოლმე საპენსიო პოლიტიკის შეცვლა (დემოგრაფიული დაბერების გამო), ადამიანთა სამსახურიდან განთავისუფლებისთვის ასაკობრივი ზედა ზღვარის გადახედვა, ურბანული დაგეგმარების ცვლილება და სხვა მრავალი. შესაბამისად, ყოველთვის საინტერესოა შობადობის მიმდინარე ტენდენციის ცოდნა, როგორც მეცნიერული, ისე საზოგადოებრივი თვალსაზრისით (Balbo, 2009).

სოციალური გარდაქმნის ამ ეტაპზე, სამწუხაროდ, არ ტარდებოდა სათანადო კვლევები შობადობის, ნაყოფიერებისა და ამ მხრივ გადაწყვეტილების მიმღებ ინდივიდებში რეპროდუქციული განწყობების შესასწავლად. საერთაშორისო მკვლევარები ძირითადად ინტერესდებოდნენ პოსტ-საბჭოთა ბალკანური და აღმოსავლეთი ევროპის სახელმწიფოებით და ინტერესის მიღმა რჩებოდა კავკასიის რეგიონის ქვეყნები.

შობადობის საკითხი მეტ-ნაკლებად შესწავლილია ქართველი მეცნიერების მიერ, რომელთა ნაშრომების, კვლევების შედეგად დაგროვილი ინფორმაციისა და დღეს არსებული სტატისტიკური მონაცემების წყალობით შესაძლებელია შობადობის დონის ცვლილებისა და ტენდენციების გამოვლენა, რასაც ქვემოთ შევეცდები.

1.2. შობადობის, როგორც დემოგრაფიის პრობლემისა და ცნების შესახებ

შობადობა დემოგრაფიის ცენტრალური საკითხია. თანამედროვე პირობებში, მოკვდაობის შედარებით დაბალი დონის გამო მთლიანობაში მოსახლეობის კვლავწარმოება მხოლოდ და მხოლოდ შობადობის დინამიკით განისაზღვრება. შობადობის პრობლემის სიმწვავე იმ გარემოებითაც არის განპირობებული, რომ თუ მოკვდაობის (სიკვდილის) მიმართ ყველა ადამიანის, რა ადგილიც არ უნდა ეკავოს მას საზოგადოებაში, ნეგატიური ერთსულოვნება არსებობს, შობადობის მიმართ დამოკიდებულებაში კი ამჟამად აზრთა დიდი, ზოგჯერ მწვავე პოლიტიკამდე მისული, განსხვავებულობაა.

მაგრამ თავდაპირველად ცნებების შესახებ. დემოგრაფიაში, შობადობა - ესაა განსაზღვრულ სოციალურ გარემოში დაბადებათა სიხშირე ანუ შობადობა და დაბადებათა რიცხვი - სრულებითაც არ არის ერთიდაიგივე. შობადობა ინტენსივობის გამომხატველი ცნებაა, დაბადებათა რიცხვი კი - ექსტენსივობის (ბორისოვი ვ. ა., 1999).

სხვაგვარად, შობადობა - ბავშვთა შობის პროცესი ადამიანთა ერთობლიობაში, რომელიც თაობას ან მოსახლეობას შეადგენს. შობადობა მოკვდაობასთან ურთიერთქმედებისას ქმნის მოსახლეობის აღწარმოებას.

ადამიანის მიერ შთამომავლობის აღწარმოების უნარი შობადობის ბიოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს. ბავშვთა შობის პოტენციური შესაძლებლობა ეფუძნება ნაყოფიერებას, რომლის რეალიზაცია წარმოებს ქალების ერთობლიობაში რეპროდუქციული ქცევის შედეგად. რეპროდუქციული ქცევის საბოლოო შედეგი - ოჯახში

ბავშვების რაოდენობა ცხოვრების წესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული მის სხვა კომპონენტებთან.

შობადობის მაქსიმალურად შესაძლებელ დონეს აფასებენ ნაყოფიერების დონით. ნაყოფიერების დონის გაზომვის პირდაპირი მეთოდები არ არსებობს. მას აფასებენ ირიბად - განაყოფიერების უნარის ან ბუნებრივი შობადობის დონის საფუძველზე, რომელიც ყოველთვის მეტია რეალური შობადობის დონეზე.

შობადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქორწინების ინსტიტუტზე, ეს უკანასკნელი და მისი გავრცელება სხვადასხვა საზოგადოებაში მნიშვნელოვნად განსხვავდება. ქორწინებაში მყოფების შობადობა თითქმის ყოველთვის მეტია, ვიდრე ქორწინებაში არმყოფების. ქორწინებაგარეშე დაბადებული ბავშვების წილი უმრავლეს ქვეყანაში დიდი არ არის, თუმცა მისი ცვალებადობა ცალკეული ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია - 0-დან ზოგიერთ არაბულ ქვეყანაში, 70-80%-მდე ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის ზოგიერთ ქვეყანაში.

შობადობის გაზომვას აწარმოებენ სხვადასხვა კოეფიციენტის, შობადობის ცხრილებისა და ინდექსების საშუალებით. შობადობის მაჩვენებლებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ისეთებს, რომლებიც შობადობას ახასიათებენ არა დაბადებული ბავშვების რაოდენობის საფუძველზე, არამედ შეხედულებათა რაოდენობრივი შეფასების მიხედვით, რომლებიც მიიღება სპეციალური გამოკვლევების შედეგად ოჯახში ბავშვების იდეალური, სასურველი, მოსალოდნელი და სხვ. რაოდენობის დადგენით.

შობადობის დღევანდელი მდგომარეობის გაგებისა და მომავალი ტენდენციების განსაზღვრისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს მის ისტორიულ ევოლუციას, რომელიც დაკავშირებული იყო საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან. კაპიტალიზმამდე შობადობის დონე განისაზღვრებოდა ბუნებრივი შობადობის დონით და სხვადასხვა ასაკის დაქორწინებული ქალების წილით. ქორწინება ის ძირითადი ინსტრუმენტი იყო, რომელიც არეგულირებდა შობადობას. ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებები უძველესი დროიდან იყო ცნობილი, მაგრამ ისინი ძირითადად

გამოიყენებოდა ქორწინებაგარეშე ბავშვების გაჩენის თავიდან ასაცილებლად, ხოლო ქორწინებაში რეპროდუქციული ქცევა მიმართული იყო ბავშვების მაქსიმალურად შესაძლებელი რაოდენობის ყოლისაკენ. ამ დროს არ წარმოებდა ბავშვთა შობის ნებელობითი შეზღუდვა და ადგილი არ ჰქონდა ბავშვთა შობის შიგაოჯახურ რეგულირებას. მე-18 საუკუნის ბოლოდან თანდათან იწყება ამ უკანასკნელთა გამოყენება და გავრცელება თავდაპირველად დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. საქართველოში ეს პროცესი მე-19 საუკუნის პირველი ნახევრიდან დაიწყო. ამ მდგომარეობას მოჰყვა შობადობის შემცირება, რომელმაც თანდათან სულ უფრო გამოხატული და მნიშვნელოვანი ხასიათი მიიღო.

შობადობის კვლევის ისტორია იწყება მე-17 - მე-18 საუკუნეებში უკვე ჯორჯ გრაუნტის ნაშრომებში დადგენილ იქნა შობადობის მახასიათებლები. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე შობადობასთან დაკავშირებული საკითხები ძირითადად თეორიულ პლანში განიხილებოდა - მალთუსიანელებისა და მათი მოწინააღმდეგეების პოლემიკის სახით. ამასთან, ამ დროს უმრავლესი ქვეყნის შობადობის სტატისტიკა არ იყო დამაკმაყოფილებელი. მე-19 საუკუნის ბოლოს დაგროვდა საკმარისი მონაცემები, მაგრამ შობადობის შესწავლამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები ჯერ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ხოლო შემდგომში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გადადგა (წულაძე გ. , 2012).

გარდა იმისა, რომ შობადობის შესწავლის ბერკეტები გამრავალფეროვნდა, ხოლო მისი კვლევის ისტორიაც უკვე საკმარისად დიდ დროს მოიცავს, უნდა აღვნიშნოთ, რომ საკმაოდ დიდხანს ხდებოდა შობადობისა და ნაყოფიერების ცნებების აღრევა. თუ რა იგულისხმება, ამას ქვემოთ მოგახსენებთ.

შობადობისა და ნაყოფიერების განსხვავების აუცილებლობა 1960-იანი წლების ბოლოს მომწიფდა, შობადობის ფაქტორების შესწავლაში სოციოლოგიური მიდგომების განვითარებასთან დაკავშირებით. მკვლევარებმა შობადობის რეგულირების ნებელობითი ასპექტებისათვის სულ უფრო მეტი ყურადღების დათმობა დაიწყეს და ამასთან დაკავშირებით საჭირო გახდა „სუბიექტური“, ე.ი. გაჩენილი ბავშვების რიცხვისა და ვადებთან დაკავშირებით ადამიანთა ნებაზე დამოკიდებული ფაქტორების უფრო მკაფიოდ

გამოყოფა, „ობიექტური“, ე.ი. ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებელი ფაქტორებისაგან. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება ჩასახვისა და ბავშვების გარკვეული რიცხვის გაჩენისადმი ადამიანთა ფიზიოლოგიური უნარი, რაც ბიოლოგიურ მეცნიერებაში ძველთაგანვე ნაყოფიერებად იწოდება და მხოლოდ შემთხვევითი უაზრობით ამ სახელმა დემოგრაფიაში სხვა დამატება მიიღო (სხვა ობიექტებზე).

მიუხედავად ამისა, ტრადიცია ძალიან სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. სპეციალისტებმა მხოლოდ უკანასკნელ წლებში თქვეს მასზე თითქმის სრული უარი.

ნაყოფიერება - ეს ქალის, ვაჟის, ქორწინებითი წყვილის ჩასახვისა და ბავშვების გარკვეული რაოდენობის გაჩენის ბიოლოგიური უნარია. იზომება ქალის პოტენციურად შესაძლო ცოცხლადგაჩენათა რიცხვით, რომელიც დამოკიდებულია ორივე მეუღლის გენეტიკურ თვისებებზე და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, აგრეთვე ქორწინებაში მათი ფიზიოლოგიური თვისებების შეთავსებაზე (ზოგჯერ ჯანმრთელ მეუღლეებში მათი ბიოლოგიური შეუთავსებლობის გამო არ ხდება ფეხმძიმობა) (ბორისოვი ვ. , 1999).

1.3. შობადობა და დემოგრაფიული კანონები

კონკრეტულად შობადობაზე და მის ტენდენციებზე საუბარი უსარგებლო და უშინაარსო იქნება, თუ კი არ მიმოვიხილავთ იმ ძირითად დემოგრაფიულ ცნებებსა და კანონზომიერებებს, რომელთა გარეშე შობადობა, როგორც ერთი კონკრეტული პროცესი განყენებულად წარმოუდგენელია და ვერც მის მნიშვნელოვნებას გავიგებთ მთელ დემოგრაფიულ პროცესთა ჯაჭვში, რომელიც საბოლოოდ ქმნის საზოგადოებას, ერს.

დემოგრაფიულ მოვლენებსა და პროცესებს შორის მიზეზ-შედეგობრივ აუცილებელ, მყარ, მუდმივგანმეორებად, არსებით კავშირსა და ურთიერთგანპირობებულობას დემოგრაფიული კანონი ეწოდება.

თუ ბუნების კანონები გარემოებების განვითარების კანონზომიერებებს ასახავენ, ხოლო ეკონომიკური კანონები - ეკონომიკის სფეროსას, დემოგრაფიული კანონების მოქმედება მნიშვნელოვანწილად მოსახლეობის აღწარმოების არეალით შემოიფარგლება და დემოგრაფიულ ურთიერთობებს ასახვას. ისინი დემოგრაფიულ ურთიერთობათა განვითარების კანონებია, რომლებიც საზოგადოების განვითარების შესახებ კანონთა შემადგენლობაში შედიან და უფრო ზუსტად, მათ ერთ სპეციფიკურ ქვეჯგუფს წარმოადგენენ.

დემოგრაფიული კანონები შეიძლება დავყოთ საერთო/ზოგად, კერძო და სპეციფიკურ კანონებად. საერთო კანონები, როგორც წესი, მოქმედებენ კაცობრიობის არსებობის მთელ მანძილზე, თუმცა გზადაგზა გარკვეულ ტრანსფორმაციას განიცდიან: თაობათა განახლების ანუ მოსახლეობის აღწარმოების კანონი, დემოგრაფიული გადასვლის ანუ მოსახლეობის აღწარმოების ტიპების თანამედროვე ცვლის კანონი, მოსახლეობის რიცხოვნების განუხრელად ზრდის კანონი, სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კანონი. კერძო დემოგრაფიული კანონებისათვის დამახასიათებელია განცალკევებულ დემოგრაფიულ კანონზომიერებათა ასახვა, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია მოსახლეობის გაფართოებული, მარტივი ან შეკვეცილი დემოგრაფიული აღწარმოებისა და კომპენსაციის კანონი. რაც შეეხება სპეციფიკურ კანონებს, ისინი მოქმედებენ საზოგადოების განვითარების ცალკეულ ეტაპებზე. ასეთი კანონებია: შობადობის კლების კანონი, დემოგრაფიული დაბერების კანონი. უფრო დეტალურად კი რამდენიმე მათგანზე ქვემოთ მოგახსენებთ (ჩიქავა, 2002).

თაობათა განახლების ანუ მოსახლეობის აღწარმოების კანონი

თაობათა მუდმივი განახლება ანუ მოსახლეობის უწყვეტი აღწარმოება გულისხმობს შემდეგს: ადამიანი მოკვდავია, თანაც, მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა განსაზღვრულია ბიოლოგიურადაც, მით უმეტეს, გარემოსოციალურ ფაქტორთა ზემოქმედებით ხშირად

ბიოლოგიურ ზღვრამდეც ვერ აღწევს. რომ არა მომდევნო თაობების ახალ-ახალი ნაკადებით სისტემატური შევსება-განახლება, კაცობრიობა შეწყვეტდა არსებობას. ეს მყარი, მუდმივგანმეორებადი პროცესია, ამიტომაც წარმოადგენს დემოგრაფიულ კანონს (ჩიქავა, 2002).

როგორც ხედავთ ამ პროცესს განაპირობებს სწორედ შობადობა, რომელიც უზრუნველყოფს თაობათა ცვლას, ხოლო თავად აღწარმოების ნაირსახეობები/ტიპები განპირობებულია შობადობის ინტენსივობით (მარტივი, შეკვეცილი და გაფართოებული აღწარმოება), რაზეც საჭიროების შემთხვევაში, დეტალურად ქვემოთ მოგახსენებთ.

დემოგრაფიული კომპენსაციის კანონი

მისი არსი შემდეგში მდგომარეობს: ქვეყნებს შორის ხანგრძლივი ომების, მით უმეტეს მსოფლო ომების, აგრეთვე სტიქიური მოვლენებით (მიწისძვრა, ვულკანი და ა.შ.) გამოწვეული კატასტროფების პერიოდში იქმნება არაორდინალური პირობები მოსახლეობის აღწარმოებისთვის, არანორმალურ ხასიათს ღებულობს თაობათა განახლების პროცესი და რადიკალურად უარესდება დემოგრაფიული მაჩვენებლები - კლებულობს ქორწინება და შობადობა, მატულობს მოკვდაობა, განსაკუთრებით ახალგაზრდა მაღალი რეპროდუქტიულობის უნარის მქონე მამაკაცებისა.

მას შემდეგ, რაც მოსახლეობა ასე თუ ისე თავს დააღწევს ამგვარ ექსტრემალურ ვითარებას და დაუბრუნდება ცხოვრების ნორმალურ რიტმს, შედარებით ხელსაყრელი წინამძღვრების (მშვიდობა, დემობილიზაცია, დასაქმება ცხოვრების დონის ამაღლება და ა. შ.) შექმნის კვალობაზე მოსახლეობის აღწარმოება ღებულობს ახალ იმპულსს და ახდენს იმის კომპენსაციას, რაც დაკარგა მძიმე გარემო პირობების არსებობისას. ჩვეულებრივად, მატულობს ქორწინება, ასევე შობადობა და ჩვილიანობა ოჯახებში, კლებულობს მოკვდაობა, ყოველივე ეს აისახება დემოგრაფიულ მაჩვენებელთა გაუმჯობესებაში, რასაც კომპენსაციურ ეფექტს უწოდებენ. იგი დემოგრაფიულ ლიტერატურაში ცნობილია,

როგორც „ბეიბი-ბუმის“ ანუ ბავშვთა შობის „აფეთქების“ სახელწოდებით. ამ მოვლენის კლასიკური მაგალითებია დიდი ბრიტანეთი და აშშ, სადაც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში შობადობა 15-დან 13.9 პრომილემდე შემცირდა, ხოლო ომის დასრულების შემდეგ 20.5 პრომილემდე გაიზარდა (ჩიქავა, 2002).

მოსახლეობის რიცხოვნობის განუხრელად ზრდის კანონი

მოსახლეობის რიცხოვნობის განუხრელი მატების შესახებ განსახილველად საკითხის დასმა სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მთელ მსოფლიოში ეს პროცესი დროსა და სივრცეში (ე.ი. განვითარების ყველა საფეხურზე და ყველა რეგიონში) თანაბარზომიერად მიმდინარეობს.

მოსახლეობის რიცხოვნობის მატების განმსაზღვრელ დემოგრაფიულ, გარემოებუნებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორთა არაერთგვაროვნების გამო, ეს პროცესი ადამიანთა საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვანაირი სისწრაფით მიმდინარეობდა. მაგალითად, დაახლოებით 9 ათასი წლის წინათ მოსახლეობის რიცხოვნობის მატების ტემპი მთელი ათასწლეულის მანძილზე 10-20%-ს არ აღემატებოდა.

მეორე ათასწლეულის მეორე ნახევრიდან მსოფლიოს მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის საშუალო წლიურმა ტემპმა 0.3%-ს მიაღწია და 500 წლის განმავლობაში გაორმაგდა მაშინ, როცა წინა პერიოდში მსოფლიოს მოსახლეობის გაორმაგებას ორ ათასწლეულზე მეტი დასჭირდა. უკვე მე-19 საუკუნის დასაწყისისათვის პირველად მიაღწია ერთ მილიარდს. მოსახლეობის მატების საშუალო წლიური ტემპი შეადგენდა 0.8%-ს, 1960-1975 წწ კი - 2%-ს, რომელიც ცნობილია „დემოგრაფიული აფეთქების“ სახელწოდებით. ეს ძირითადად მაღალი შობადობის შენარჩუნებითა და მოკვდაობის ეგზოგენური ფაქტორების მნიშვნელოვანწილად დაძლევით იყო განპირობებული.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს მოსახლეობამ თავის პირველ მილიარდს თუ 1804 წელს მიაღწია და ამისათვის ათასწლეულები დასჭირდა, უკვე მეორე მილიარდს 1927 წელს

აღწევს, მესამე მილიარდს - 1960 წელს, მეოთხე მილიარდს - 1974 წელს, ხოლო მეხუთე მილიარდს - 1999 წელს. გაეროს ექსპერტთა პროგნოზული გათვლებით, 21-ე საუკუნეში მსოფლიოს მოსახლეობა თითქმის ყოველ 11 წელიწადში მოიმატებს თითო მილიარდით.

მატების ტემპი, რა თქმა უნდა, მსოფლიოს ყველა რეგიონში ერთნაირი არ არის. დედამიწის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ნაწილში მოსახლეობა ჯერ კიდევ არანორმალურად მაღალი ტემპებით მატულობს და დასაქმების თუ გამოკვების თვალსაზრისით მთელ რიგ პრობლემებს უქმნის ხელისუფლების ორგანოებს. ზოგან დაბალი, მაგრამ შედარებით ზომიერი ტემპებით იზრდება, ზოგან კი ეს ტემპი იმდენად დაბალია, რომ მარტივი აღწარმოების მიღწევაც შეუძლებელია და მოსახლეობის რიცხოვნობა აბსოლუტურად კლებულობს. მაგალითად, ახლო აღმოსავლეთს მთელი რიგი ქვეყნების, ეგვიპტის, სირიის მოსახლეობა ერთ პერიოდში იმდენად შემცირდა, რომ ჩვ. წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის არსებული დონის მისაღწევად მათ 500 წელზე მეტი დასჭირდათ (ჩიქავა, 2002).

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის კანონი

ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა განუსაზღვრელი როდია. იგი კოდირებულია ბიოლოგიურადაც. სრულიად ჯანმრთელია დამიანის ორგანიზმიც გარკვეული ხნის შემდეგ ბერდება, უძლურდება, იფიტება და კვდება. ე.ი. ბიოლოგიურ კვდომას ვერ აცდება. ჯერ-ჯერობით არსად დაფიქსირებულა, რომ ადამიანთა მოდგმის რომელიმე წარმომადგენელს 200 წელი და მეტი ეცოცხლოს.

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მთელ ჩვენს პლანეტაზე გაცილებით მცირე იყო წარსულში, ვიდრე დღესაა და დღევანდელთან შედარებით კიდევ უფრო ხანგრძლივი იქნება მომავალში, თანაც ამ პროცესს აქვს არა დროებითი და შემთხვევითი, არამედ ლოგიკურად თანმიმდევრული, არაუკუქცევადი და ურყევი ტენდენციის ხასიათი.

ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ყველა რეგიონში, კონტინენტსა თუ ქვეყანაში ერთნაირია, პირიქით, იგი საკმაოდ მაღალი კონტრასტულობით ხასიათდება.

მიუხედავად ამისა, დასკვნა ადამიანთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის თაობაზე ძალაში რჩება იმდენად, რამდენადაც თითოეულ აქ დასახელებულ და ყველა სხვა ტერიტორიული ერთეულში მცხოვრებთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა სისტემატურად იზრდებოდა და მომავალშიც გაიზრდება (ჩიქავა, 2002).

შობადობის კლების კანონი

თავდაპირველად ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში, შემდეგ კი თანდათანობით სხვაგანაც ბავშვთა შობის შიგა ოჯახური რეგულირება, უფრო ზუსტად, მისი გააზრებული შეზღუდვა და შემცირების მიმართულებით წარმართვა იყო მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის დამკვიდრების მთავარი სიმპტომი და მისი არსის გამომხატველი. თანამედროვე ეტაპზე თუ როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი მთელ მსოფლიოში, ასევე მის ცალკეულ რეგიონებსა და ქვეყნებში შეიძლება აშკარად დავინახოთ ქვემოთ მოტანილი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე.

უკანასკნელი 39 წლის მანძილზე (1962-1964 წლებიდან 2000 წლამდე) მთელ ჩვენს პლანეტაზე შობადობის ზოგადი კოეფიციენტი 37.7%-ით, ხოლო ჯამობრივი კოეფიციენტი 40.8%-ით შემცირდა, თანაც ამ პროცესს საყოველთაო ხასიათი ჰქონდა. იგი მსოფლიოს განვითარებულ რეგიონში შემცირდა, შესაბამისად 43.6% და 40.8%-ით, განვითარებად რეგიონში კი - 42,2% და 36.7%-ით. რამდენადმე განსხვავებული ტემპებით, მაგრამ მთლიანობაში უკლებლივ ყველა აქ დასახელებულ ქვეყანაში (ისე, როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში) ეს მაჩვენებელი სისტემატურად მცირდება, მცირდება ამჟამად და, რეალური პირობების კვალობაზე უნდა ვივარაუდოთ, რომ შემცირდება მომავალშიც.

ამრიგად, შობადობის დონეს აშკარად გამოკვეთილი დაცემის ტენდენცია ახასიათებს, თანაც, იმდენად მყარი და არაუკუქცევადი, რომ იგი დემოგრაფიული კანონის

მნიშვნელობას იძენს. რაც შეეხება იმას, რომ შობადობის კლების ტენდენცია დამახასიათებელია კაცობრიობის განვითარების არა ყველა საფეხურისათვის, არამედ მხოლოდ დღევანდელი ეტაპისათვის, როცა განვითარებულ რეგიონში უკვე დამკვიდრებულია, ხოლო განვითარებადში სულ უფრო ინტენსიურად მკვიდრდება მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპი, მაძლევს საფუძველს განვასხვავო ეს კანონი საერთო (ზოგადი) დემოგრაფიული კანონებისაგან და მივაკუთვნო სპეციალურ დემოგრაფიულ კანონთა ჯგუფს.

შესაძლო კითხვაზე - თუ როგორია ის გარემოპირობები, რომლებიც განსაზღვრავენ შობადობის კლების დემოგრაფიული კანონის მოქმედების გარდაუვალობას? - პასუხი მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

ა. ქალთა განათლებისა და დასაქმების დონის ამაღლებასთან, ბავშვთა ინტელექტუალური აღზრდისადმი გაზრდილი მოთხოვნების წაყენებასთან და რიგ სხვა გარემოებასთან დაკავშირებით, ადრინდელ ეტაპებთან შედარებით, ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების (ოჯახში მათი სასურველი ოდენობის) მკვეთრად შემცირება;

ბ. დაქვეითებული რეპროდუქტიული განწყობის შესაბამისი რეპროდუქტიული ქცევის ჩამოყალიბება;

გ. ბავშვთა შობის შიგაოჯახური გაცნობიერებული, გეგმაზომიერი რეგულირება;

დ. ჩასახვის საწინააღმდეგო თანამედროვე სრულყოფილი საშუალებების (კონტრაცეპტივები და სხვ.) ფართოდ გამოყენება.

შობადობის კლების დემოგრაფიული კანონის მოქმედება ხომ არ ნიშნავს იმის აღიარებას, რომ ერთ „მშვენიერ“ დღეს ეს პროცესი თითქოს შეიძლება შეწყდეს საერთოდ? - ცხადია, არა, ასეთი რამ გამორიცხებულია. საკითხი ეხება თანამედროვე ეტაპზე შექმნილი სპეციფიკური პირობების შესაბამისად, შობადობის დონის დაცემას, რომელიც მომავალშიც გაგრძელდება. იგი შედარებით უფრო ინტენსიურ ხასიათს მიიღებს განვითარებად რეგიონში, რამდენადაც იქ ჯერჯერობით შემცირების მეტი რეზერვი არსებობს და მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპზე გადასვლა გაცილებით სწრაფად

მიმდინარეობს, ვინემ ეს თავის დროზე მოხდა ევროპის კონტინენტზე. მსოფლიოს განვითარებად რეგიონში შობადობის კლების საწინააღმდეგოდ მოქმედი ფაქტორია მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში ახალგაზრდობის შედარებით მაღალი ხვედრითი წილი, რომელიც ჩვეულებრივ მაღალი რეპროდუქტიულობით ხასიათდება (ჩიქავა, 2002).

1.4. მოსახლეობის აღწარმოებისა და შობადობის პრობლემა

მოსახლეობის აღწარმოების პრობლემა კარგა ხანია, რაც არა თუ მეცნიერების, არამედ ამასთანავე, თანამედროვე საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო პოლიტიკური ცხოვრების უაღრესად აქტუალური და თანაც გლობალური საკითხი გახდა, რამდენადაც მოსახლეობის ჯერ ბუნებრივი მატების მაღალი ტემპი, რაც მე-20 საუკუნის შუადას დაიწყო, ხოლო შემდეგ 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან, მისი შემცირების ტენდენცია, მეტ-ნაკლები ზომით, მთელ მსოფლიოში შესამჩნევი შეიქმნა.

არაა სწორი შეხედულება, თითქოს მოსახლეობის ბუნებრივი გამრავლების საკითხისადმი დასაშვები იყოს თუნდაც რამდენადმე ინდიფერენტული დამოკიდებულება. მოსახლეობის გამრავლება, კერძოდ შობადობა დამოკიდებულია მრავალ ისეთ ბიოლოგიურ და სოციალურ ფაქტორზე, რომელთა უდიდესი ნაწილი, ცივილიზაციის განვითარების პროცესში განიცდის მუდმივი ცვალებადობის და ამდენადვე არ შეიძლება, ამა თუ იმ სახით, გავლენას არ ახდენდეს ქალთა, როგორც ფერტილობაზე (რეპროდუქციულობაზე, ნაყოფიერებაზე), ისე, კერძოდ, შობადობასა და ოჯახის ფორმირებაზე საერთოდ.

ისტორია მოგვითხრობს არათუ ოდესღაც ძლიერი ცალკეული გვარების, თემების, ოჯახების, სოფლების და ქალაქების, არამედ თვით სახელმწიფოების, საერთოდ, დიდი ცივილიზაციის აღორძინება-აყვავებისა და, ოდესღაც მაღალი კულტურის შემქმნელი ხალხების აორთქლება-განადგურების მიზეზები.

დღეს, მოსახლეობის აღწარმოების პრობლემები, საკმაოდ მწვავე დემოგრაფიული ვითარების პირობებში, უფრო შეცნობილი და, ამდენადვე უფრო აქტუალურია, ვიდრე ოდესმე, მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი აღმავლობისა და ახალი დიდი ინდუსტრიული რევოლუციის შედეგად მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების უახლესმა მოვლენებმა უღრმესი ძვრები გამოიწვია ადამიანთა ცნობიერებასა და ყოფიერებაში, საერთოდ, ცხოვრების ნორმებსა და ფორმებში.

თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის (ვაჭრობის, კომუნიკაციების), მოჩვენებით მაინც, უსასრულო დინამიზმის ვითარებაში, პლანეტაზე დაიწყო მოსახლეობის მოულოდნელი სწრაფი გამრავლება, რამაც მალე დიფერენციული ხასიათი მიიღო და მერმე, ასევე მოულოდნელად, დაიწყო ბუნებრივი გამრავლების ტემპების შენელება, რამაც ზოგიერთ რეგიონში (ინდუსტრიული ქვეყნებისა) დეპოპულაციის შიშიც დათესა.

საერთოდ, მოსახლეობის აღწარმოების შენელებას და მოსალოდნელ დეპოპულაციას, პერსპექტივაშიც და არსებულ სინამდვილეშიც სხვადასხვაგვარი მნიშვნელობა აქვს და განსხვავებულ შედეგებსაც მოასწავებს, კერძოდ მცირერიცხოვანი (3-5 მილიონი) და მრავალრიცხოვანი (80-100 და მეტი მილიონიანი) ერების სახელმწიფოებრივ თუ ნაციონალურ გაერთიანებათა ცხოვრებაში.

მოსახლეობის აღწარმოების პრობლემა რომ მრავალფაქტორიანი ფენომენია, ეს იქიდანაც ნათლად ჩანს, რომ ანალოგიურ სოციალურ და ეკონომიკურ, წარმოებრივ და საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ და, ბოლოს, თვით ერთნაირ ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებში მცხოვრები ხალხები ავლენენ განსხვავებულ დემოლოგიურ ხასიათებს და ამ მხრივ ყველაზე უფრო ნიშანდობლივია მათი ნაციონალური, რასობრივი, ეთნოგრაფიული, რელიგიური და საერთოდ ისტორიული წარსული (გუგუშვილი, 1986).

ცივილიზაციის მაღალ საფეხურზე, თანამედროვე ვითარებაში, დემოგრაფიული პროცესები არცთუ იმდენად, მაგრამ მაინც სულ უფრო მეტი ზომით ექვემდებარება საზოგადოებისა თუ სახელმწიფოს მხრივ აღნიშნული პროცესების მართვის ინტერესებს. მაგრამ ეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც და რა ზომითაც მოუწვდება მას ხელი, საერთოდ,

მოსახლეობის აღწარმოების(თანმიმდევრული ცვალებადობის) კანონზომიერებათა მეცნიერული ახსნა-გაგებისა და, მაშასადამე, მოწესრიგებისადმი, ე.ი. რამდენადაც შეძლებს ადამიანთა საზოგადოება ამ მხრივ თავისი ინტერესების(მაგალითად, ოჯახის სტრუქტურის, მისი სულადობრივი შედგენილობის, შვილთა შობისა და ა.შ.) ისე წარმართვას, რომ იგი როგორც სოციალური ფასეულობა, ცივილიზაციის განვითარების შესაბამის საფეხურებზე ოპტიმალურად მისაღებ ხასიათს იღებდეს.

ცხადია, შექმნილ ვითარებაში დემოგრაფიული პოლიტიკის მთავარი აზრი არ შეიძლება სხვა რამე იყოს, თუ არა მოსახლეობის აღწარმოების კრიტერიუმების შემუშავება და ისეთი ღონისძიებების გატარება, რომ თაობათა ცვლის ნორმალური დონე იქნეს შენარჩუნებული (გუგუშვილი, 1986).

1.5. შობადობის დამოკიდებულება რეპროდუქციულ ქცევაზე და მასზე

მოქმედი ფაქტორები

ვიცით, რომ სტატისტიკას შობადობასთან მიმართებაში შეუძლია პასუხი გაგვცეს კითხვაზე: რამდენი? მაგრამ ვერ გაგვცემს პასუხს კითხვაზე: რატომ? კერძოდ, როგორია მოთხოვნილება ბავშვებზე, როგორაა ის დიფერენცირებული და რა ფაქტორები ზემოქმედებს ბავშვების ყოლის მოთხოვნილებაზე? აღნიშნულ კითხვებზე პასუხი შეიძლება გაეცეს რეპროდუქციული ქცევის შესწავლით.

რეპროდუქციული ქცევა წარმოადგენს პიროვნების ქცევას, რომელიც განაპირობებს ოჯახში (ასევე ქორწინების გარეშე) ბავშვების გარკვეული რიცხვის ყოლას ან არყოლას. აღნიშნულ კატეგორიას უკავშირდება რეპროდუქციული განწყობა, რომელიც წარმოადგენს პიროვნების ფსიქიკურ მდგომარეობას, დამოკიდებულებას ბავშვთა გარკვეული რიცხვის დაბადებისადმი. ე.ი. რეპროდუქციული განწყობა უსწრებს რეპროდუქციულ ქცევას და არავითარ შემთხვევაში ისინი იდენტურ კატეგორიებს არ წარმოადგენს (ახალაია, 2005).

რეპროდუქციულ ქცევაზე და შესაბამისად მის მახასიათებელ მაჩვენებლებზე გავლენას ახდენს რიგი დემოგრაფიული, სოციალურ-დემოგრაფიული (ქორწინებითი მდგომარეობა და ქორწინების ხანგრძლივობა), საკუთრივ სოციალური, ეთნიკური, ეკონომიკური, რელიგიური და სხვა ფაქტორები. რიგი გამოკვლევებით დადგენილია მოცემული ფაქტორების გავლენის შედეგები რეპროდუქციულ ქცევაზე და შობადობაზე (ახალაია, 2005).

სხვაობა ბავშვთა სასურველ და მოსალოდნელ რიცხვს შორის წარმოადგენს შობადობის დონის ზრდის რეზერვს, რომელიც შესაძლებელია რეალიზებული იქნეს ნაწილობრივ მაინც (სრულ რეალიზაციაზე ძნელია ლაპარაკი) საზოგადოების მიერ ადეკვატური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებით. (ახალაია, 2005).

შობადობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბუნებრივ-ბიოლოგიური ფაქტორები, უპირველეს ყოვლისა კი ქალთა რეპროდუქციული ასაკის ხანგრძლივობა. ეს ასაკი მოიცავს ქალის სიცოცხლის იმ პერიოდს, როდესაც მას ბავშვის გაჩენა შეუძლია. რეპროდუქციული ასაკი, როგორც წესი, განისაზღვრება 16-დან 50 წლამდე. უნდა აღინიშნოს, რომ თბილ კლიმატურ სარტყლებში მცხოვრებ ქალთა რეპროდუქციული ასაკი აღემატება ცივ სარტყლებში მცხოვრებ ქალთა ანალოგიურ ასაკს. ქალმა რეპროდუქციული ასაკის განმავლობაში, როგორც წესი, შეიძლება იმშობიაროს საშუალოდ 10-12-ჯერ. ასეთ პირობებში შობადობის კოეფიციენტი შეიძლება მიაღწიოს მაქსიმალურ მაჩვენებელს და შეადგინოს 50-60 ‰. შობადობის ასეთ მაღალ დონეს ადგილი ჰქონდა და დღესაც აქვს სუსტად განვითარებულ საზოგადოებებში. აფრიკის რამდენიმე ქვეყანაში შობადობის დონე თითქმის 50-ს ტოლია. მეორე მხრივ, ადამიანთა გარკვეული ნაწილისათვის დამახასიათებელია ისეთი ფიზიოლოგიური მდგომარეობა, რომელიც გამორიცხავს შვილის ყოლის შესაძლებლობას. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს უშვილობასთან. უშვილო ოჯახები, რომლებიც მთელი ოჯახების 5-10%-ს შეადგენენ, უარყოფით გავლენას ახდენენ შობადობის დონეზე.

მსოფლიოში მიმდინარე თანამედროვე დემოგრაფიული ტენდენციები მიუთითებს იმაზე, რომ შობადობის დონეზე გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენენ სოციალური

(საზოგადოებრივი) ფაქტორები. შობადობაზე მოქმედი სოციალური ფაქტორებიდან განსაკუთრებული ადგილი უკავია ოჯახში ქალის უფლებრივ მდგომარეობას. ცნობილია, რომ ტრადიციული ტიპის საზოგადოებებში ბავშვთა ყოლაზე გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის მამაკაცს. აზიისა და აფრიკის საზოგადოებებში მიღებულია, რომ ოჯახში ერთი ვაჟიშვილი მაინც უნდა იყოს, რადგან ის განიხილება ოჯახის ქონების ძირითად მემკვიდრედ და გარდა ამისა, თუ მამაკაცს ვაჟიშვილი არ ჰყავს ეს უარყოფითად აისახება საზოგადოებაში მის სოციალურ მდგომარეობაზე/პრესტიჟზე. მაგ., ინდოეთში, ახლო აღმოსავლეთში თუ მამაკაცს გვარის გამგრძელებელი არ ჰყავს ის საზოგადოების „არასრულყოფილ“ წევრად ითვლება. გასაგებია, რომ ასეთ საზოგადოებებში მამაკაცის მოთხოვნით ბავშვთა გაჩენა მიმდინარეობს იქამდე, სანამ ოჯახს ვაჟი არ შეეძინება. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ქალთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად ამალდა მისი როლი ოჯახის დაგეგმვის საქმეშიც. დღესდღეობით, იმ ოჯახებში, სადაც ცოლ-ქმარი თანაბარი უფლებებით სარგებლობენ, სწორედ ქალის ნება-სურვილზეა დამოკიდებული ოჯახში ბავშვთა რაოდენობა. შობადობის დონე დაბალია მაღალგანვითარებულ საზოგადოებებში, ე.ი. იმ საზოგადოებებში, სადაც ოჯახურ ცხოვრებაში ქალი ისეთივე როლს თამაშობს, როგორც მამაკაცი.

საზოგადოებასა და ოჯახში მამაკაცისა და ქალის უფლებების გათანაბრებას („ქალთა ემანსიპაციას“), თან სდევს განქორწინებების რაოდენობის ზრდა, რაც უარყოფითად მოქმედებს შობადობაზე. განვითარებულ ქვეყნებში ყოველი მესამე ქორწინება განქორწინებით მთავრდება. განვითარებულ ქვეყნებში ყოველი მესამე ქორწინება განქორწინებით მთავრდება. თანამედროვე მსოფლიოში, კერძოდ კი განვითარებულ სამყაროში განუხრელად იზრდება მარტოხელა დედათა რაოდენობა. მარტოხელა დედად ითვლება ქალი, რომელსაც ბავშვი (ბავშვები) ჰყავს, მაგრამ არასდროს ყოფილა ქორწინებაში. ასეთი სოციალური სტატუსის მქონე ადამიანების რაოდენობის ზრდა შობადობის დონის შემცირების კიდევ ერთი მიზეზია.

საზოგადოების სოციალურ-კულტურული და განათლების დონის ამაღლებასთან ერთად ხდება შობადობის შემცირება. ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში შობადობა გაცილებით მაღალი იყო დაბალგანვითარებულ ხალხებში, ვიდრე განვითარებულ საბერძნეთსა და რომში. სოციოლოგიური გამოკვლევებით დადასტურდა, რომ განათლების დონის ამაღლებასთან ერთად საზოგადოებში მცირდება მოთხოვნილება ბევრი ბავშვის ყოლისა. უმაღლესი განათლების მიღების და შემდგომ სამსახურებრივი კარიერის აღმასვლის მიზნით, ახალგაზრდა ადამიანი ქორწინდება 25-30 წლის ასაკში და არა 20 წლამდე ასაკში, როგორც ეს ადრე ხდებოდა. ცნობილია, რომ თვით განვითარებად ქვეყნებშიც კი უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებს შორის შობადობის დონე გაცილებით დაბალია, ვიდრე განათლების არმქონე საზოგადოების ნაწილში. განვითარებულ საზოგადოებებში „დაგვიანებულმა ქორწინებებმა“ მასობრივი ხასიათი მიიღო, რის შედეგადაც შობადობის დონე მინიმუმამდე დაეცა.

გავრცელებულია აზრი, თითქოს შობადობა უფრო მაღალია ღარიბ, ვიდრე მდიდარ ოჯახებში. ეს აზრი ყოველთვის არ შეეფერება სინამდვილეს, რადგან განვითარებულ ქვეყნებში შობადობის მაჩვენებელი დაბალია, როგორც მდიდარ, ასევე ღარიბ ოჯახებში. უფრო მეტიც, მაგ., აშშ-ში შეძლებული ოჯახები უფრო მრავალშვილიანია, ვიდრე ღარიბი ოჯახები, რადგან მდიდრების ქონებრივი მდგომარეობა მათ საშუალებას აძლევს იყოლიონ მოსამსახურეები და ბავშვების გადიები. განვითარებად ქვეყნებში მრავალშვილიანობა დამახასიათებელია. როგორც მდიდარი, ასევე ღარიბი ოჯახებისთვის. განვითარებად საზოგადოებებში შობადობის დაბალი მაჩვენებლით, როგორც წესი, გამოირჩევიან ის ოჯახები, რომლებშიც მაღალი განათლების ცენზი გააჩნია ერთდროულად ცოლსაც და ქმარსაც. უმაღლესი განათლების მქონე ოჯახებში ცდილობენ აქცენტი გააკეთონ არა ბავშვთა რაოდენობაზე, არამედ მათი აღზრდის ხარისხზე, რაც განაპირობებს კიდევ მცირეშვილიანობას.

საცხოვრებელი ადგილების (ქალაქი და სოფელი) მიხედვით შობადობის დონის მაჩვენებლების ანალიზი საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ სასოფლო დასახლებებში შობადობა გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ქალაქებში. თუ გავითვალისწინებთ იმ

ფაქტს, რომ უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში მსოფლიოში სწრაფად იზრდებოდა საქალაქო მოსახლეობა, შეიძლება დავასკვნათ, რომ ურბანიზაციის პროცესმა განსაკუთრებული როლი ითამაშა შობადობის დონის შემცირებაში. ქალაქებში შრომათმოწყობის შესაძლებლობა გაცილებით მეტია, ვიდრე სოფლად. ურბანულ არეალებში დასაქმების შესაძლებლობა უფრო მაღალია, ვიდრე სოფლად, შესაბამისად აქ ქალების დასაქმების პროცენტიც მატულობს. ქალის დასაქმებაში კი, პირდაპირ აისახება შობადობის დონის შემცირებაზე.

შობადობაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენენ ეკონომიკური და პოლიტიკური კატაკლიზმები, კერძოდ ხანგრძლივი ეკონომიკური კრიზისები და განსაკუთრებით ომები. ასეთი მოვლენების დროს შობადობის დონე მკვეთრად ეცემა. ცნობილია, რომ შობადობა მნიშვნელოვნად შემცირდა, მაგ., აშშ-ში „დიდი დეპრესიის“ პერიოდში (1929-34 წლებში). ასევე, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში „პოლიტიკური და ეკონომიკური კოლაფსის“ შედეგად. (1990 წლებს პირველი ნახევარ). ომების დროს შობადობის მაჩვენებლის მნიშვნელოვანი შემცირება გამოწვეულია ორი მიზეზით. ჯერ ერთი, მამაკაცთა გარკვეული ნაწილი ფრონტზე იმყოფება, რაც ნიშნავს, რომ ისინი ამ პერიოდში მონაწილეობას ვერ მიიღებენ მოსახლეობის აღწარმოების პროცესში. გარდა ამისა, მათი გარკვეული ნაწილი ომში იღუპება, რის შედეგადაც საზოგადოების სქესობრივ სტრუქტურაში წარმოიშვება დისბალანსი, რაც თავის მხრივ შეუძლებელს ხდის ახალი ოჯახების შექმნას. მეორე მსოფლიო ომის დროს დაიღუპა 50 მილიონზე მეტი ადამიანი. მათ უმრავლესობას ახალგაზრდა მამაკაცები შეადგენდნენ, რის გამოც ომის შემდგომ წლებში ვერ შეიქმნა მილიონობით ახალი ოჯახი, შესაბამისად აღარ დაბადა ათეულობით მილიონი ბავშვი. ომებში მამაკაცების დაღუპვით გამოწვეული უარყოფითი დემოგრაფიული ტენდენციების აღმოფხვრა მუსლიმურ სამყაროში რელიგიის ჩარევის შედეგადაც მოხდა. ისლამი უშვებს მრავალცოლიანობის ინსტიტუტის არსებობას. მუსლიმურ საზოგადოებებში ერთ მამაკაცს ოფიციალურად ოთხი ცოლის ყოლა შეუძლია.

შობადობაზე განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს რელიგიური მრწამსი და მისა შედეგად ჩამოყალიბებული ტრადიციები. მსოფლიოში გავრცელებული ყველა რელიგია

მხარს უჭერს საზოგადოებაში მაღალი შობადობის არსებობას და მისი თავიდან აცილების ხელოვნური ხერხების (მაგ., აბორტების) წინააღმდეგ ილაშქრებს. ამ მხრივ, განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩევა ისლამი, ბუდიზმი, კათოლიციზმი. ზოგიერთ ქვეყანაში რელიგიების მიერ მრავალშვილიანობის ინსტიტუტის მხარდაჭერა იმდენად ძლიერია, რომ ეს სახელმწიფო პოლიტიკაზეც აისახება. ჯერ კიდევ ორი ათეული წლის წინათ ბევრ მუსლიმურ ქვეყანაში ქალის გათხოვების მინიმალური ასაკი 9 წლით, ხოლო პერუში, ესპანეთსა და ეკვადორში 14 წლით განისაზღვრებოდა. რაც უფრო ახალგაზრდა ასაკში ხდება ქორწინება, მით უფრო მაღალია შობადობის დონე მოცემულ საზოგადოებაში. ევროპაში ქორწინების ასაკი საკმაოდ მაღალია, კერძოდ ევროპის პროტესტანტულ სახელმწიფოებში ქალის გათხოვების მინიმალური ასაკი 18 წლით, ხოლო მამაცის - 20 წლით განისაზღვრება. განვითარებულ ქვეყნებში დაფიქსირებულია „არატრადიციული ორიენტაციის“ ადამიანების რაოდენობის განუხრელი ზრდა, რაც ამ ქვეყნებში ბუნებრივია ხელს უწყობს შობადობის შემცირებას. აშშ-ს ზოგიერთ შტატში ოფიციალურადაც კი არის ნებადართული ამგვარი ორიენტაციის ადამიანების ქორწინება (გოგსაძე, 2008).

2. კახეთის მოსახლეობა ისტორიულ ჭრილში; შობადობის ტენდენციები რეგიონში 2000-იანი წლებიდან დღემდე

2.1. კახეთის მოსახლეობის რაოდენობა

მოგეხსენებათ, კახეთის რეგიონის საზღვრები ისტორიულად მრავალგზის შეიცვალა დაპყრობითი ომებისა თუ სხვა გეო-პოლიტიკური მიზეზების გამო. მაგალითად, მაშინ, როდესაც კახეთის შემადგენლობაში ფშავ-ხევსურეთიც შედიოდა, მოსახლეობის რაოდენობა გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო, ვიდრე შემდგომ პერიოდებში, როდესაც მხოლოდ თუშეთი იყო მის შემადგენლობაში. იმდენად დიდი გახლდათ სხვაობები რეგიონის საზღვრებში სხვადასხვა დროს, რომ შეუძლებელია მოსახლეობის რაოდენობის ზუსტი დადგენა, თუმცა, როგორც ა. თოთაძე მოგვითხრობს თავის ნაშრომში „კახეთის მოსახლეობა“, პროფ. ვ. ჯაოშვილს უცდია ერთად ქართლ-კახეთის მოსახლეობის რაოდენობის გაანგარიშება 1770 წლისათვის თანამედროვე საზღვრებში. მისი გაანგარიშებით 1770 წლის ქართლ-კახეთში 297 ათასი კაცი ცხოვრობდა, 1800 წელს - 321 ათასი, ხოლო 1832 წელს - 359 ათასი (თოთაძე ა. , 2014).

მოგეხსენებათ, ჩვენი ქვეყნის თანამედროვე ისტორიაში კვლავ დგას ქვეყნის მთლიანობისა და ადმინისტრაციული საზღვრების შენარჩუნებასთან დაკავშირებული საკითხები (აფხაზეთის და ოსეთის მაგალითი), თუმცა დღეს, როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში შედარებით სტაბილური, მეტ-ნაკლებად დემოკრატიული და მშვიდობიანი გეო-პოლიტიკური ვითარებაა. შესაბამისად, როდესაც მოსახლეობის რაოდენობის ცვლილებებზე ვსაუბრობთ, ამ შემთხვევაში აქცენტი უნდა გაკეთდეს თავად მოსახლეობაში მიმდინარე ბუნებრივ და მექანიკურ პროცესებზე/მოძრაობაზე, რაზეც უფრო დეტალურად ქვემოთ მოგახსენებთ.

ისტორიულად ცნობილია 1897 წლის რუსეთის იმპერიაში ჩატარებული მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერა, რომლის მიხედვით კახეთის მოსახლეობამ 169 080 კაცი

შეადგინა, აქედან თელავის მაზრაში 66 767 კაცი, ხოლო სიღნაღის მაზრაში 102 313 კაცი ცხოვრობდა (თოთაძე ა. , 2014).

1917 წელს, სასოფლო-სამურნეო აღწერის მონაცემების მიხედვით, თელავის მაზრის მოსახლეობის მთელმა რაოდენობამ 62 968 კაცი შეადგინა, ხოლო სიღნაღის მაზრაში 113 121 კაცი ცხოვრობდა, ხოლო კახეთის მთელი მოსახლეობა 176 089 კაცს შეადგენდა (თოთაძე ა. , 2014)

რაც შეეხება მოსახლეობის 1926 წლის აღწერას, მონაცემების მიხედვით, კახეთის მოსახლეობას 261 70 კაცი შეადგინა. მე-19 საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული მისი მოსახლეობა განუწყვეტლივ იზრდებოდა როგორც ქალაქად, ისე სოფლად (თოთაძე ა. , 2014).

კახეთის მოსახლეობა 21-ე საუკუნეში ძირითადად კლების ტენდენციით ხასიათდება. თუ კი შევხედავთ დიაგრამას (იხ. დანართი, გრაფიკი 1), სადაც მოცემულია როგორც კახეთის მოსახლეობის რაოდენობები მთლიანად რეგიონში, ასევე - სოფელსა და ქალაქში 2000-2016 წლებში, აშკარად შევნიშნავთ მოსახლეობის რაოდენობის ძირითადად კლების ტენდენციას როგორც მთელ რეგიონში, ისე მის საქალაქო და სასოფლო დასახლებებში. თუ კი 2000 წელს რეგიონის მთელი მოსახლეობა 412.6 ათას კაცს შეადგენდა, 2005 წლისათვის ეს მაჩვენებელი 399.9 ათასამდე შემცირდა. ეს გამოწვეული იყო როგორც შობადობის კლებით, ისე აქტიური ემიგრაციით. უკვე 2005-2006 წლებში შეინიშნება მოსახლეობის რიცხოვნობის მატება, რაც გამოიწვია იმდროინდელმა რუსეთის პოლიტიკამ საქართველოს მოქალაქეებისადმი - ამ უკანასკნელთა მასობრივმა დეპორტაციამ სამშობლოში. კიდევ ერთი მცირე მატების პერიოდია 2009-2012 წლები, როდესაც მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა მთლიანად დამოკიდებულია მექანიკურ მოძრაობაზე - ამ პერიოდში შობადობის დონე რეგიონში ეცემა, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ მოსახლეობა იმიგრაციის ხარჯზე იმატებს. კახეთში მოსახლეობის რიცხოვნობა 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 317.5 ათასი ადამიანი ცხოვრობს, მათი დიდი უმრავლესობა სოფელში - 246.6 ათასი, ხოლო ქალაქად - 70.9 ათასი კაცი (საქსტატი).

2.2. კახეთის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა

რაც შეეხება რეგიონის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას, აღსანიშნავია, რომ ოდითგანვე კახეთის მოსახლეობა ჭრელი იყო. მკვიდრ ქართველ მოსახლეობასთან ერთად აქ თავი მოიყარა მეზობელი სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიელი ეთნოსების წარმომადგენლებმა, როგორებიც არიან აზერბაიჯანელები, სომხები, ოსები, ქისტები და ა.შ. მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთის იმპერიის მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა, როგორც მთელს ქვეყანაში, ისე კახეთის რეგიონშიც გამოჩნდნენ სლავური წარმოშობის ხალხები, როგორებიც არიან რუსები, უკრაინელები, პოლონელები.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია სომხებისა და ქართველების თანაცხოვრება საკვლევ რეგიონში, რაზეც ოდნავ უფრო დაწვრილებით ქვემოთ მოგახსენებთ.

მე-19 საუკუნის მდგომარეობით, თბილისის გუბერნიის სოფლები ხალხმრავალი, ხოლო ქალაქები მცირე მოსახლეობით გამორჩეოდა. სოფლის მოსახლეობა ეროვნებათა უფრო ფართო სპექტრით იყო წარმოდგენილი, თუმცა უმეტეს შემთხვევაში სოფლის მოსახლეობაში ქართველები და სომხები სჭარბობდნენ. მაშინ, როცა სოფლის მოსახლეობაში ქართველები გაცილებით სჭარბობდნენ სომხებს, სამაზრო ქალაქებში (გორის გარდა) სომხები რიცხობრივად საგრძნობლად მეტნი იყვნენ ქართველებზე. თვით თელავსა და სიღნაღში ძირითადად სომხები ცხოვრობდნენ, შესაბამისად 73 და 89 პროცენტი (იხ. დანართი, ცხრილი 1) (თოთაძე ა., 2014).

ეს გარემოება გამოწვეული იყო ერთადერთი მიზეზით - საქართველოში ვაჭრობასა და ხელოსნობას ძირითადად სომხები ეწეოდნენ. იყო შემთხვევები, როდესაც სოფლიდან ქალაქად წასული ქართველი გლეხი ვაჭრობის სფეროში ჩასაბმელად და სათანადო ადგილის დასაკავებლად ოჯახის წევრებიანად იცვლიდა სახელსა და გვარს და თავს ასაღებდა, როგორც სომეხი. სამწუხაროდ, ასეთი ადამიანების რიცხოვნობის შესახებ ინფორმაცია ვერ მოვიძიე, რაც ძალიან საინტერესო იქნებოდა.

დღესდღეობით კახეთის რეგიონის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით ასეთია: მხარის მოსახლეობის უმრავლესობა ქართველია - 271 298 კაცი, ქალაქად მათი რიცხვი 68 272, ხოლო სოფლად 203 026 ადამიანს შეადგენს. სიმრავლით მეორე ადგილზე აზერბაიჯანელები არიან, რომელთა საერთო რიცხვი რეგიონის მასშტაბით 32 354 კაცია, მათგან თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა კახეთის სოფლებში ცხოვრობს - 32 074 ადამიანი. რეგიონში ასევე არიან ქისტები - 5 581 ადამიანი, ოსები - 2 526 კაცი, სომხები - 2 191 ადამიანი, რუსები - 1 921 კაცი და სხვ. (იხ. დანართი, ცხრილი 2).

აღსანიშნავია, რომ ისტორიულ რაკურსთან შედარებით შეცვლილია სხვადასხვა ეთნოსების ხვედრითი წილი რეგიონის მთელ მოსახლეობაში. მ2014 წლის აღწერის მიხედვით, ქართველი მოსახლეობის შემდეგ მეორე ადგილზე აზერბაიჯანელები არიან. კერძოდ, კახეთის მასშტაბით სულ 32 354 აზერბაიჯანელი ცხოვრობს, მათგან რეგიონის საქალაქო დასახლებებში მხოლოდ 280 ადამიანი ცხოვრობს, დანარჩენი 32 074 კი კახეთის სოფლებშია თავმოყრილი. კახეთის მუნიციპალიტეტებიდან ყველაზე მეტი აზერბაიჯანელი სოფლის მოსახლეობით გამოირჩევა საგარეჯოს რაიონი - 17 159 ადამიანი, შემდეგ მოდის ლაგოდეხის რაიონი - 9 541 კაცი, მესამე ადგილს კი თელავის მუნიციპალიტეტი იკავებს სოფლის 4 945 აზერბაიჯანელი მოსახლით (საქსტატი).

უკეთესი წარმოდგენის შესაქმნელად, თუ როგორ შეიცვალა მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, წარმოგიდგენთ 1897 წელს ჩატარებულ მოსახლეობის აღწერის შედეგად გამოვლენილ მონაცემებს, კერძოდ: კახეთის მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები წარმოადგენდნენ და მათი რიცხვი 142 305 კაცს შეადგენდა (მთელი რეგიონის მოსახლეობის 84%), შემდეგ არიან სომხები - 11 146 კაცი, თათრები - 7 145 კაცი, რუსები - 5 107 კაცი, ხუნძები - 2 031 კაცი, უკრაინელები - 470 კაცი, ებრაელები - 132 კაცი, ოსები - 118 კაცი, პოლონელები - 143 კაცი, ლიტველები - 188 და ა.შ. მათ შორის ქართველთა და სომეხთა უმრავლესობა სიღნაღის მაზრაში ცხოვრობდა, შესაბამისად - 84 874 და 6 392 ადამიანი (თოთაძე ა. , 2014).

2.3. შობადობის ტენდენციები კახეთის მოსახლეობაში, 2000-იანი წლებიდან დღემდე

მოგეხსენებათ, შობადობა დემოგრაფიის უმთავრესი საკითხია, თუმცა იგი, როგორც დემოგრაფიული პროცესი, განყენებულად არ განიხილება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, აუცილებელია მიმოვიხილოთ კახეთის მოსახლეობისთვის დამახასიათებელი შობადობის მაჩვენებლები, როგორც ბუნებრივი მოძრაობის ნაწილი, მოკვდაობასთან, შობადობაზე მოქმედ სხვა პროცესებთან ერთად და წანამდღვრად აუცილებლად მოვიტანოთ მცირე ისტორიული რაკურსი შემდგომში ძირითადი საკვლევი საკითხების სიღრმისეული გააზრებისათვის.

როგორც თოთაძე გვამცნობს, კახეთის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შესახებ პირველი დეტალური სტატისტიკური ცნობები 1875-1879 წლებში გახდა ცნობილი, როდესაც კავკასიის სტატისტიკური კომიტეტის თაოსნობით სამეტრიკო წიგნებიდან შეგროვდა სტატისტიკური მონაცემები, რომელთა დამუშავებას დიდი დრო წაუღია და თბილისის გუბერნიის მონაცემები, რომელიც წარმოდგენილი იყო ქ. თბილისის, თბილისის გუბერნიის სამაზრო ქალაქებისა (მათ შორის ქ. სიღნაღი და ქ. თელავი) და თბილისის გუბერნიის სოფლებით, საკმაოდ დაგვიანებით - 1885 წელს გამოქვეყნებულა (თოთაძე ა. , 2014).

1874-1879 წლებში შობადობის დონე თბილისის სამაზრო ქალაქებიდან შესამჩნევად მაღალი იყო თელავში, ხოლო მოკვდაობის დონე ყველაზე დაბალი - სიღნაღში. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის დონეებში მნიშვნელოვანი განსხვავებაა სამაზრო ქალაქებს შორის, როგორც მთლიანად, ისე ქართველი და სომეხი ეროვნებების მიხედვითაც (ეროვნებით სომეხ მოქალაქეებზე აქცენტი გაკეთებულია ეპოქის შესაბამისად, როგორც იმ დროის ერთ-ერთ მრავალრიცხოვან და პრივილეგირებულ, შემღებულ ეთნიკურ ჯგუფზე) (იხ. დანართი, ცხრილი 3).

აღნიშნული მონაცემების მიხედვით ახალქალაქის მაზრის შემდეგ შობადობის ყველაზე მაღალი დონე დაფიქსირდა თელავის მაზრის სოფლის მოსახლეობაში (43.5

პრომილე). ეს მაჩვენებელი სიღნაღის მაზრაში, თბილისის გუბერნიის საშუალო მაჩვენებელზე (37.5 პრომილე) ოდნავ დაბალი იყო (35.5 პრომილე) (თოთაძე, 2014).

თბილისის გუბერნიის მაზრების მიხედვით მოკვდაობა, ისე, როგორც შობადობა, ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.

თელავისა და სიღნაღის მაზრებში მოკვდაობის მაჩვენებელმა, შესაბამისად, 24.9 და 21.7 პრომილე შეადგინა, რაც დაახლოებით გუბერნიის საშუალო მაჩვენებლის ტოლია. იმ პერიოდისათვის მოკვდაობის მაჩვენებელი თელავსა და სიღნაღის მაზრების სოფლის მოსახლეობაში, დაბალია და მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროპის უმრავლესი ქვეყნის მაჩვენებლებს.

ეროვნებების მიხედვით მოკვდაობის მაჩვენებელი ყველაზე დაბალია ქართველებში (21.9 პრომილე), ოსების გარდა, რომელთა შორის მოკვდაობის მაჩვენებელი 14.3 პრომილეს უდრიდა.

ამ პერიოდში დაბადებულთა ძირითადი ნაწილი ბავშვობისა და ახალგაზრდობის ასაკში იღუპებოდა. თელავისა და სიღნაღის მაზრებში მთელ გარდაცვლილებში 10 წლამდე გარდაცვლილთა რაოდენობამ შესაბამისად 30.5 და 29.1 პროცენტი შეადგინა (თოთაძე ა. , 2014).

ასეთი ვითარება ართულებდა არა მარტო დემოგრაფიულ მდგომარეობას, არამედ საერთოდ საზოგადოებრივ ცხოვრებას. მოსახლეობის უაღრესად დეფორმირებული სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა აფერხებდა ეკონომიკის წინსვლას, ხდებოდა თაობათა სწრაფი ცვლა, იზრდებოდა დაქვრივების მაჩვენებელი, ხშირად ბავშვები იზრდებოდნენ ერთი ან, არც ისე იშვიათად, ორივე მშობლის გარეშე (თოთაძე ა. , 2014).

მოგეხსენებათ, თაობათა ნორმალურ კვლავწარმოებას უზრუნველყოფს შობადობის საკმარისი დონე, შესაბამისად, ნორმალური მოკვდაობის პირობებში. თუ კი ეს ჯაჭვი დაირღვევა რაიმე არანორმალური მოვლენის, ძალის ჩარევით, მაშინ შობადობა ვერ დააკომპენსირებს მოკვდაობის შედეგად მიღებულ დანაკარგს.

საერთოდ, ყველგან იმ პერიოდში, მოკვდაობის ძირითადი მიზეზები იყო ეპიდემიები, კლიმატური პირობები, მატერიალური კეთილდღეობა, რომელზედაც მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული კარგი ან ცუდი ჰიგიენური და სანიტარული პირობები და სხვ.

თბილისის გუბერნიაში ბევრი ადამიანის სიცოცხლეს იწირავდა ტიფი, ტუბერკულოზი, ფილტვების ანთება, ციება, წყალმანკი, მშობიარობა და მშობიარობის შემდგომი ანთება. განსაკუთრებით ბევრი ადამიანი იღუპებოდა ეპიდემიური ავადმყოფობებით (ქუნთრუშა, დიფტერია, ყივანახველა, ანგინა). მაგალითად, თელავისა და სიღნაღის მაზრებში წყალმანკი ხშირად იწვევდა სიკვდილს. ეპიდემიური დაავადებები კი განსაკუთრებით უამრავი ბავშვის სიცოცხლეს იწირავდა და მოკვდაობის დონეს უაღრესად ზრდიდა (თოთაძე ა., 2014).

საქართველოში 1894-1898 წლებში ბევრი ადამიანი ავადდებოდა მალარიით. მალარიით დაავადების მაღალი მაჩვენებელი იყო თელავისა და განსაკუთრებით სიღნაღის მაზრებში, შესაბამისად 12 313 და 30 904 შემთხვევა, რომელთაგან ლეტალობით დამთავრდა 59 და 46 შემთხვევა (თოთაძე ა., 2014).

1875-1879 წლებიდან 1894-1898 წლებამდე პერიოდში გარკვეული ცვლილებები განიცადა მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლებმა. მაგალითად, თელავის მაზრის სოფლის მოსახლეობაში 1875-1879 წლებში საშუალოდ ყოველწლიურად მოსახლეობის 1000 კაცზე 43.5 ბავშვი იბადებოდა მაშინ, როცა ანალოგიური მაჩვენებელი 1894-1898 წლებში 34.8 ბავშვს უდრიდა. სიღნაღის მაზრაში კი შობადობის მხრივ ცვლილება არ მომხდარა, სამაგიეროდ შესამჩნევად გაიზარდა მოკვდაობის მაჩვენებელი - 21.7 პრომილედან 27.2 პრომილემდე, ანუ 1894-1898 წლებში საშუალოდ წელიწადში მოსახლეობის ყოველ 1000 კაცზე გაცილებით მეტი ადამიანი გარდაიცვალა, 1875-1879 წლების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. ამის შედეგად მოსახლეობის ბუნებრივი მატება აღნიშნულ პერიოდში შემცირდა თელავის მაზრის სოფლის მოსახლეობაში 19.2 პრომილედან 7.7 პრომილემდე. ამრიგად, კახეთში მნიშვნელოვნად შემცირდა მოსახლეობის ბუნებრივი მატება მაშინ, როდესაც მთლიანად გუბერნიის მასშტაბით ეს მაჩვენებელი უცვლელი დარჩა (14,5 პრომილე). თელავისა და სიღნაღის ბუნებრივი მატების

დონე დაახლოებით 2,2-2,5-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე თბილისის გუბერნიის სხვა მაზრებში (თოთაძე ა., 2014).

1990-იან წლებში საქართველოში მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცვლილებები მოხდა. ამავე დროს ცვალებადობა განიცადა დემოგრაფიულმა პროცესებმა, მათ შორის მნიშვნელოვანი და არსებითი - შობადობამ. ამასთან გაჩნდა როგორც დაბადებათა აღრიცხვასთან, ასევე შობადობის დონის განსაზღვრასთან დაკავშირებული პრობლემები.

ყოველ შემთხვევაში, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ 1990-იან წლების მეორე ნახევარში დაბადებათა არასრულმა რეგისტრაციამ დიდ მასშტაბს მიაღწია. მაგალითად, 1998 წელს საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის (შემდგომში სსსდ) მონაცემებით ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობას 46841 შეადგინა, ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით - 49240, ხოლო შეფასებითი მონაცემებით - 50000. ამდენად, 1998 წელს რეგისტრირებული არ იყო 2399 ცოცხლად დაბადებული მანც (5%).

1999 წელს არასრული რეგისტრაცია კიდევ უფრო გაიზარდა სსსდ მონაცემებით 1999 წელს ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა 40778-ის ტოლი იყო, ჯანდაცვის მონაცემებით - 46827-ის, ხოლო შეფასებითი მონაცემებით - 48888-ის. ცოცხლად დაბადებულთა არასრულმა რეგისტრაციამ 1999 წელს ჯანდაცვისა და სსსდ მონაცემებს შორის 6049 (14%), ხოლო შეფასებით და სსსდ მონაცემებს შორის 7222 (17%) შეადგინა.

უფრო მეტიც, სსსდ-ს მიერ წარმოდგენილი შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის მნიშვნელობიდან თუ გამოვალთ - 1,07 (1999 წ.), შეიძლება დავასკვნათ, რომ 1999 წლისათვის საქართველო იმ სამ ქვეყანას შორის იყო (ბულგარეთი, ლატვია), რომლებშიც მსოფლიოში შობადობის ყველაზე დაბალი დონე იყო (წულაძე და ხმალაძე, 2001).

რაც შეეხება თანამედროვე სტატისტიკას, 2000-2016 წლებში კახეთის რეგიონში არსებული შობადობის, მოკვდაობისა და ბუნებრივი მატების დონის ცვლილების ტენდენცია ასეთია: მთელს რეგიონში შობადობა 2000 წელს იყო 8.1, ქალაქის მოსახლეობაში - 14, ხოლო სოფლად 6.5 პრომილე.

2000-2003 წლებში რეგიონში შობადობის კოეფიციენტი იკლებს, თუმცა მხოლოდ ქალაქის მოსახლეობაში ამ მაჩვენებლის მატება შეინიშნება, სოფლის მოსახლეობაში კი შობადობის კოეფიციენტი მცირდება და ბოლო 15 წლის განმავლობაში დაფიქსირებულ უდაბლეს ნიშნულს - 4.8 პრომილეს აღწევს. აღნიშნულ ტენდენციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ქალაქის მოსახლეობაში შობადობის კოეფიციენტის ზრდა კახეთის მთელ მოსახლეობასა და სოფლის მოსახლეობაში შობადობის კოეფიციენტის საგრძნობი კლების, ასევე ქალაქისა და სოფლის მოსახლეობისთვის იგივე მაჩვენებლებს შორის დიდი სხვაობის ფონზე, სოფლიდან ქალაქისკენ მიმართული გამდიდრებული ემიგრაციით იქნა გამოწვეული, თანაც შიდა მიგრანტთა ამ კატეგორიას ძირითადად ახლგაზრდები შეადგენენ.

აღნიშნულ პერიოდში, საქართველოში ადგილი ჰქონდა შიდა მიგრაციას - ძირითადად სოფლებიდან და პატარა ქალაქებიდან თბილისში. საგანმანათლებლო მოტივების გარდა სოფლებიდან და ყოფილი ინდუსტრიული ქალაქებიდან მიგრაციის მთავარი ხელშემწყობი ფაქტორებია სოფლის მეურნეობის გარეთ დასაქმების შესაძლებლობის ნაკლებობა და სიღარიბისა და სოციალური იზოლირების მაღალი რისკი¹.

უკვე 2004 წლისათვის შობადობის კოეფიციენტის მკვეთრი მატება შეინიშნება როგორც მთელი კახეთის მოსახლეობისათვის (9.1 ‰), ისე ქალაქისა (18 ‰) და სოფლის მოსახლეობისათვის (6,9 ‰) ცალ-ცალკე. ეს უკავშირდება პოლიტიკური მმართველობის ცვლილებას 2003 წელს, ეკონომიკური და სოციალური პირობების გაუმჯობესებას, მოსახლეობაში „უკეთესობისკენ ცვლილების იმედის“ გაჩენას და ა.შ. შობადობის კოეფიციენტის მატების უწყვეტი ტენდენცია შემდგომშიც გრძელდება 2010 წლამდე როგორც საკვლევი რეგიონის მთელი მოსახლეობის, ისე ქალაქისა და სოფლის მოსახლეობისთვის.

უკვე 2010-2012 წლებში შობადობის კოეფიციენტი კვლავ კლებავს (13.2 ‰-დან 12.1 ‰-მდე შემცირდა), თუმცა ქალაქის მოსახლეობისთვის შობადობის კოეფიციენტი მკვეთრად ეცემა, თითქმის ნახევრდება და 32.9 ‰-დან 15.4 ‰-ზე დადის, ამის საპირწონედ

¹ file:///C:/Users/DG16/Downloads/FCR_GE_ExSumm_GE.pdf

კი სოფლის მოსახლეობისთვის შობადობის კოეფიციენტი მატულობს (8.3 ‰-დან 12.2 ‰-მდე). ეს კი სოფლად შობადობის დონის მატებაზე და შესაძლოა, უკუ-მიგრაციასა და სოფლად მოსახლეობის აკუმულაციაზე მიუთითებდეს.

რაც შეეხება ბოლო ხუთწლეულს, აღსანიშნავია, რომ რეგიონის მთელი მოსახლეობისთვის შობადობის კოეფიციენტი კლებულობს და 2016 წლის მონაცემებით 15.3 ‰-ს შეადგენს. მხარის ქალაქის მოსახლეობისთვის იგივე მაჩვენებელი 12.8 ‰, ხოლო სოფლის მოსახლეობისთვის 16 ‰ გახლავთ და მათი ცვლილება ბოლო 5 წლის განმავლობაში იმეორებს იგივე მრუდს, რასაც შზკ რეგიონული მაჩვენებელი (იხ. დანართი, გრაფიკი 2).

აქვე, უნდა ითქვას, რომ შობადობის კოეფიციენტები მუნიციპალიტეტების დონეზეც განსხვავდება. მაგალითისთვის, განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი. 2000 წლისათვის შობადობის ყველაზე მაღალი კოეფიციენტით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი გამოირჩეოდა - 9.97 ‰, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებლით - ახმეტის მუნიციპალიტეტი - 3.2 ‰. საინტერესოა 2001 წელს ახმეტის რაიონში შობადობის კოეფიციენტის საოცარი ზრდა, რომელმაც 16.7 ‰-ს მიაღწია. აღნიშნული ფაქტი უკავშირდება რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომის დაწყებას, რის გამოც კონფლიქტისგან თავის დასაცავად 10 000-ზე მეტი ჩეჩენი ლტოლვილი ჩამოვიდა კახეთის მთიანეთში და ძირითადად სწორედ ახმეტის რაიონში დასახლდა. რა თქმა უნდა, მათ შორის ბევრი იყო ქალბატონი, რომლებიც ფერტილურად აქტიურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, რამაც ცოტა ხანში შობადობის მაღალი მაჩვენებლის გამო გაზარდა შობადობის კოეფიციენტი ახმეტის მუნიციპალიტეტისთვის². რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტების შემთხვევაში, როგორცაა გურჯაანი, თელავი, ლაგოდეხი, საგარეჯო - ყველა მათგანის შემთხვევაში 2000-2003 წლებში შობადობის კოეფიციენტები იკლებს. რეგიონის მსგავსად, მუნიციპალიტეტების შემთხვევაშიც 2004 წელი გარდამტეხია და შეინიშნება კოეფიციენტების მატება. შედარებით დაბალი კოეფიციენტით ხასიათდება სიღნაღის მუნიციპალიტეტი, რომელიც 2000-2003 წლებში

² http://www.pankisi.org/cgi-bin/blosxom.cgi/georgian/history_geo

შობადობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება - 6.2 ‰-დან 4.7 ‰-მდე ეცემა (საქსტატი).

რაც შეეხება 2010-2016 წლების სტატისტიკას, აღნიშნული მაჩვენებელი აქაც განსხვავდება მუნიციპალიტეტების მიხედვით, კერძოდ შობადობა უმეტეს რაიონებში იკლებს. შობადობის კოეფიციენტის მკვეთრი მატება შეინიშნება საგარეჯოს, ლაგოდეხისა და ყვარლის მუნიციპალიტეტების შემთხვევაში და პერიოდის ბოლოს, შესაბამისად, 17.9 ‰, 16.7 ‰ და 15.90 ‰-ს შეადგენს; დანარჩენ რეგიონებში კი შობადობის ზოგადი კოეფიციენტი საშუალოდ 14 ‰-ს შეადგენს (საქსტატი). ეს სხვაობა განპირობებულია ზემოთ ხსენებულ მუნიციპალიტეტებში ტრადიციული მუსლიმი მოსახლეობის თავმოყრით და მათში არსებული მრავალშვილიანობის ტრადიციით, ასევე მაღალი ფერტილურობითა და ადრეული ქორწინებისკენ მიდრეკილებით (იხ. დანართი, ცხრილი 4).

შობადობის ფონზე, საინტერესოა, საკვლევ პერიოდში როგორ იყო მოკვდაობისა და ბუნებრივი მატების ცვლილება რეგიონში. ისტორიულად ცნობილია ზოგიერთი პერიოდის სტატისტიკური მონაცემები შობადობის, მოკვდაობისა და ბუნებრივი მატების მაჩვენებლების შესახებ, მაგალითად: კახეთში 1874-1879 წლებში შობადობის დონე სამაზრო ქალაქებში შესამჩნევად მაღალი იყო თელავში, ხოლო მოკვდაობის დონე ყველაზე დაბალი - სიღნაღში. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის დონეებში მნიშვნელოვანი განსხვავებაა სამაზრო ქალაქებს შორის, როგორც მთლიანად, ისე ქართველი და სომეხი ეროვნებების მიხედვითაც.

მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაჩვენებელი თელავსა და სიღნაღში მაღალი იყო და სამაზრო ქალაქებს შორის ყველაზე უკეთესიც ახალქალაქის შემდეგ. ბუნებრივი მატება თელავსა და სიღნაღში, შესაბამისად, ქართველებში 24, სომხებში - 18 და ქართველებში - 15, სომხებში - 3 პრომილე გახლდათ (თოთაძე, 2014).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისგან მიღებულ მასალაზე დაყრდნობით გამოიკვეთა შემდეგი ტენდენცია: თუ მოკვდაობას განვიხილავთ ქალაქი/სოფელი ჭრილში, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ კახეთის რეგიონის

ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მოკვდაობის მაჩვენებლებს შორის დიდი სხვაობაა. მოკვდაობის მაღალი დონე ქალაქად განპირობებულია რეგიონის მოსახლეობის დიდი ნაწილის ქალაქში თავმოყრით (ემიგრაცია სოფელი-ქალაქი მიმართულებით), მოსახლეობაში შობადობის დონის დაბალი მაჩვენებლით, ამასთან მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში 60 და მეტი ასაკის ადამიანთა სიმრავლით (იხ. დანართი, გრაფიკი 3).

2000-2004 წლებში ეს მაჩვენებელი მკვეთრად იზრდება, განსაკუთრებით ქალაქის მოსახლეობაში. გარდა ზრდასრულთა მოკვდაობისა, აღნიშნული მატება დაკავშირებულია ერთ წლამდე ასაკის ჩვილთა მოკვდაობის განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებელთან. მაგალითად, 2004 წელს საქართველოში 49 572 ბავშვი დაიბადა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად ნაკლები იყო ზემოთ აღნიშნული მიზეზის გამო, კერძოდ 2004 წელს ერთ წლამდე ასაკში 1178 ბავშვი გარდაიცვალა ანუ ყოველ 1000 დაბადებულზე 23.8 ბავშვი. 2003 წელს ეს მაჩვენებელი 24.8 ‰-ს უდრიდა და ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო პოსტ. საბჭოთა სივრცეში. ასევე დიდი იყო მკვდრადშობადობის დონეც, 2003-2004 წლებში მკვდრადშობადობის დონე 15.3 ‰ იყო. აღნიშნული მაჩვენებლები მხოლოდ 2007 წლიდან იკლებს³.

უკვე 2008-2009 წლიდან კახეთის ქალაქის მოსახლეობაში მოკვდაობა მკვეთრად იკლებს და საშუალოდ 13.5 ‰-ს ნიშნულთან მერყეობს. რაც შეეხება სოფლის მოსახლეობას, აქ მოკვდაობის მატება შეინიშნება, რაც ისევ და ისევ, შობადობის შემცირებასთან არის დაკავშირებული. რაც შეეხება მთელი მოსახლეობისთვის მოკვდაობის კოეფიციენტს, 2000 წელს იგი 11,7 ‰, 2004 წელს - 13.8 ‰, ხოლო 2015 წელს 15.9 ‰-ს მიაღწია (საქსტატი).

აუცილებელია მიმოვიხილოთ ბუნებრივი მატების კოეფიციენტი, რომელიც ასახავს რეგიონში მიმდინარე კვლავწარმოების პროცესს. ნიშანდობლივია, რომ 2000 წლიდან მოყოლებული კახეთის რეგიონი მუდმივად უარყოფითი ბუნებრივი მატებით ხასიათდება (გამონაკლისია 2008-2009-2010 წლები, როდესაც მცირედით გადადებითდა აღნიშნული მაჩვენებელი). 2002 წელს ბუნებრივი მატების კოეფიციენტი ყველაზე დაბალი ანუ ბუნებრივი კლების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - -5.4 ‰ იყო. 2004 წლიდან შობადობის

³ <http://www.hwngo.org.ge/analytics/54-demografiuli-mdgomareoba-saqartveloshi>

მატებისა და მოკვდაობის, კერძოდ - ჩვილთა და ბავშვთა მოკვდაობის - შემცირების კვალდაკვალ ბუნებრივი მატების კოეფიციენტი იზრდება და უახლოვდება ნულოვანი მატების ნიშნულს. 2008-2010 წლებში შეინიშნება კახეთის მოსახლეობის ოდნავი მატება და ეს ტენდენცია მეტ-ნაკლებად გრძელდება, თუმცა მატება ძალიან მცირეა. აღნიშნული ისევდაისევ უკავშირდება ზემოთ მოყვანილ არგუმენტს კახეთის სოფლის მოსახლეობაში მუსლიმთა (აზერბაიჯანელი, ქისტი) შედარებით სწრაფი გამრავლების შესახებ.

რაც შეეხება ბუნებრივი მატების კოეფიციენტს „ქალაქი-სოფელი“ ჭრილში, აღსანიშნავია, რომ ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით სოფლის მოსახლეობა ინარჩუნებს უფრო მეტად ერთგვაროვან ტენდენციას, ხოლო ქალაქის შემთხვევაში მკვეთრი ვარდნის ორი პერიოდი შეინიშნება - 2002-2004 წლები და შემდგომ 2008-2010 წლები. აღნიშნული ორივე მონაკვეთი უკავშირდება ზემოთ მოყვანილ არგუმენტებს, რასაც აქ აღარ განვავრცობთ (იხ. დანართი, გრაფიკი 4).

შობადობის განხილვა შეუძლებელია ცოცხლად დაბადებათა რაოდენობის დინამიკის მიმოხილვის გარეშე. გასაკვირი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამ მხრივ კლება შეინიშნება 2000-2003 წლებში, როდესაც კახეთში ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა 2108-დან 1552-მდე შემცირდა, შემდეგ დაფიქსირდა მკვეთრი მატება, რაც დაკავშირებულია ქვეყანაში ჩვილთა და ბავშვთა მოკვდაობის, ასევე მკვდრადშობადობის შემცირებასთან. ამასთან ამ პროცესზე გავლენა მოახდინა ქვეყანაში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა - „ვარდების რევოლუციის“ გზით ხელისუფლების შეცვლასა და საზოგადოებაში გაჩენილმა „უკეთესი ცხოვრების იმედმა“ დადებითად იმოქმედა როგორც მექანიკურ, ისე ბუნებრივ მოძრაობაზე - მოიმატა როგორც იმიგრაციამ, ისე შობადობის დონემ. ასევე ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობის მატების ტენდენციით ხასიათდება 2005-2009 წლები, როდესაც მათმა რაოდენობამ კახეთის რეგიონში 3655-დან 5378 მიაღწია (იხ. დანართი, გრაფიკი 5). ეს დაკავშირებულია ჩვილთა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებასთან, შობადობის ინტენსივობის ზრდასთან და ასევე, 2007 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ინიციატივასთან ყოველი მესამე და მეტი რიგითობის შვილის მის მიერ მონათვლის შესახებ, რამაც შობადობის მასტიმულირებელი ფუნქცია შეასრულა. უკვე 2009

წლიდან იწყება კლების ტენდენცია და 2011 წლიდან დღემდე კახეთში ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნება დაახლოებით 4900-5000 ნიშნულთან მეტ-ნაკლებად მერყეობს. აღნიშნული ტენდენცია განპირობებულია ბევრი მიზეზით, მათ შორის მკვდრადშობადობის შემთხვევათა მატებით. 2009 წელს 1000 ცოცხლადშობილზე 7,6 მკვდარი ბავშვი დაიბადა, 2012 წელს კი იგივე 1000 ცოცხლადშობილზე 11,5 გარდაცვლილი ახალშობილი გვყავდა. განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი უდრის 5 ან 6 მკვდრადშობილს. საგრძნობლადაა შეცვლილი 2013 წლის მონაცემები, გასულ წელს საქართველოში 9-11 მკვდრადშობილი დაიბადა⁴.

რაც შეეხება იგივე მაჩვენებელს სოფლისა და ქალაქის მოსახლეობაში, რეგიონის მთელი მოსახლეობის ცოცხლად დაბადებულთა დაახლოებით 65-70% სოფლად, ხოლო დანარჩენი ქალაქის მოსახლეობაში ფიქსირდება, რაც მეტყველებს შობადობის გაცილებით მაღალ დონეზე რეგიონის სოფლის მოსახლეობაში. ეს მაჩვენებელი სოფლისა და ქალაქის შემთხვევაში 2000-2016 წლებში რეგიონში არსებულ ზოგად ტენდენციას იმეორებს. თვალსაჩინო სხვაობა შეიმჩნევა მხოლოდ 2009-2012 წლებში, როდესაც კახეთის ქალაქის მოსახლეობაში ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა გაცილებით მკვეთრად ვარდება, ვიდრე სოფლად მცხოვრებთა რიცხვი, რაც ამ პერიოდში საქალაქო დასახლებებიდან ემიგრაციის გააქტიურებას უნდა უკავშირდებოდეს.

როდესაც შობადობის ტენდენციებზე ვსაუბრობთ, უმნიშვნელოვანესია მიმოვიხილოთ კახეთის რეგიონში შობადობა სქესისა და რიგითობის მიხედვით. თითოეული მათგანი მჭიდროდ არის დაკავშირებული და ურთიერთგანმსაზღვრელია. უფრო დეტალურად ქვემოთ ვისაუბროთ.

როგორც საქსტატი გვატყობინებს, 2005 წელს მთელს რეგიონში სულ 3366 ცოცხლად დაბადებული იყო, რომელთაგან 1830 ბიჭი, ხოლო 1536 გოგონა გახლდათ, სქესთა შორის თანაფარდობამ კი 1.19 შეადგინა. 2008 წელს ეს თანაფარდობა რეკორდულ ნიშნულს აღწევს - 1.28 (აღნიშნული მაჩვენებელი 2008 წელს მთელი საქართველოსთვისაც 1.28 იყო). 2010 წლამდე ცოცხლად შობილთა რიცხვი იმატებდა, სქესთა შორის თანაფარდობამ კი იკლო.

⁴ http://www.sazogadoeba.ge/index.php?post_id=1525

2010 წელს ცოცხლად დაბადებულთა რიცხვმა 5348 შეადგინა, რომელთაგან 2731 ბიჭი და 2647 გოგონა იყო, სქესთა შორის თანაფარდობა 1.03 იყო. აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ კახეთის რეგიონისთვის ცოცხლად შობილთა სქესთა შორის თანაფარდობის მაჩვენებელი 2006 წელს სქესთა მეორეული თანაფარდობის დადგენილ ნორმაზე (ყოველ 100 გოგონაზე 105-107 ბიჭი, თანაფარდობა 1.05-1.07) გაცილებით მაღალი, 2008 წელს კი ანომალურად დიდი იყო, ხოლო 2010 წლისთვის პირიქით - დევიაციური. ეს ტენდენცია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზეც კარგად ჩანს (იხ. დანართი, გრაფიკი 6).

ის ფაქტი, რომ ბიჭების რაოდენობა გოგონებზე მეტია ზოგადი კანონზომიერების შესაბამისად, გასაგებია, მაგრამ საინტერესო მიგნებამდე მივყავართ მათ შორის არსებულ სხვაობას. მაშინ, როცა ცოცხლად დაბადებულთა შორის აღნიშნული თანაფარდობა ნორმაზე - 1.05-1.07 - მეტია, კახეთის მაგალითზე 2005 და 2008 წლებში, შესაბამისად, 1.19 და 1.28, მიგვანიშნებს იმაზე, რომ ტრადიციული აღმოსავლური ერებისათვის დამახასიათებელი შვილების სქესის მიხედვით გადარჩევა კვლავ პოპულარულია საზოგადოებაში, რასაც თავის მხრივ, ხელს უწყობს სქესთა ადრეული დიაგნოსტიკის მასობრივი გავრცელება. ის ფაქტი, რომ ქართული ტრადიციული ოჯახისთვის ვაჟის ყოლა პრესტიჟული, სასურველი და აუცილებელია, თანაც არც თუ მაღალი შობადობის პირობებში და ამასთან, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ პირველი შვილების უმრავლესობა ბიჭი იბადება, ზემოთ აღნიშნული არგუმენტი უფრო დამაჯერებლად მოგვეჩვენება. შემდგომ პერიოდებში შობადობის კლების ხარჯზე ცოცხლად შობილთა შორის სქესთა თანაფარდობის მაჩვენებლებიც იგივე ტენდენციას იმეორებენ, რაც თვალსაჩინოა დიაგრამაზე. ასევე, ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ზოგადად არსებული კანონზომიერება - დაბადების რიგითობის ზრდის მიხედვით სქესთა მეორეული თანაფარდობის კლება, ე.ი. უკუპროპორციული დამოკიდებულება - კახეთის შემთხვევაში დარღვეულია და თითქმის საპირისპირო ხასიათს ატარებს.

რაც შეეხება სხვაობებს რეგიონში „ქალაქი-სოფელი“ ჭრილში, აღსანიშნავია, რომ აქ ბიჭებისა და გოგონების რაოდენობებს შორის სხვაობა უფრო თვალსაჩინოა, რაც აგრარული

საზოგადოებებისთვის დამახასიათებელია. მაგალითისთვის, 2005 წელს კახეთის სოფლის მოსახლეობაში ცოცხლად დაბადებულთა შორის 1036 ბიჭი, ხოლო 857 გოგონა იყო, მათ შორის თანაფარდობამ კი 1.20 შეადგინა მაშინ, როცა იმავე წელს იგივე მაჩვენებელი ქალაქის მოსახლეობისთვის 1.16 იყო. სოფლის მოსახლეობა მეტად ტრადიციული, უფრო მეტად დამოკიდებულია საზოგადოებრივ აზრზე და ტრადიციაზე, შესაბამისად მათში უფრო მეტად ხდება შვილების სქესის მიხედვით გადარჩევა, რაც უწინ ვაჟის გაჩენამდე მრავალი შვილის ყოლაში გამოიხატებოდა, 21-ე საუკუნეში კი ჯერ კიდევ მუცლად ყოფნის პერიოდში წყდება მათი გაჩენა - არ გაჩენის საკითხი (იხ. დანართი, ცხრილი 5). სქესთა შორის ასეთი განსხვავება ხანგრძლივად საბოლოო ჯამში ცუდია რეგიონის მოსახლეობისთვის, რადგან აღნიშნული მოვლენა დემოგრაფიული საფრთხეების შემცველია, კერძოდ ეს იწვევს სქესთა დისბალანსს, შემდგომ საცოლეების დეფიციტს, შობადობის კლებას და ა.შ., რაც მოსახლეობის კვლავწარმოებაზე უარყოფითად აისახება.

ზემოთ უკვე განვიხილეთ ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა და მისი ცვლის ტენდენციები. გარდა ამისა, უმნიშვნელოვანესია გავარკვიოთ დაბადებულთა შორის რიგითობა, რაც გარკვეული დასკვნების გაკეთების საფუძველია. დეტალურად ქვემოთ ვისაუბრებთ.

2005 წლიდან მოყოლებული 2010 წლამდე კახეთის რეგიონში პირველ შვილთა რიცხვი განუხრელად მატულობს და მონაცემები ასეთია: 2005 წელი - 2113 ცოცხლად დაბადებული ბავშვი, 2006 წელი - 2254 ბავშვი, 2007 წელი - 2496 ბავშვი, 2008 წელი - 2746 ბავშვი (იხ. დანართი, ცხრილი 6). რაც შეეხება მეორე და მესამე ბავშვთა რიცხოვნობას, რიგით მეორე ცოცხლად დაბადებულთა რიცხვი არასტაბილურად მატულობს, 2009-2013 წლებში ეს მაჩვენებელი ხან მატულობს, ხანაც იკლებს, ხოლო ბოლო 3 წლის განმავლობაში განუხრელად კლებულობს. რაც შეეხება მე-3 ბავშვებს, მათი რიცხვიც იმატებს, კლება შეინიშნა 2007 წელს და შემდეგ 2010 წელს (იხ. დანართი ცხრილი 6). დაბადებულთა შორის პირველ შვილთა ასეთი მაღალი ხვედრითი წილი და ის ფაქტი, რომ ძალიან დიდია თანაფარდობა რიგით პირველ და მეორე, პირველ და მესამე ცოცხლად დაბადებულთა შორის (შესაბამისად 1:2, 1:3), არც თუ კარგია მოსახლეობის მატების თვალსაზრისით. ეს

ნიშნავს იმას, რომ მოსახლეობას აქვს მიდრეკილება მცირეშვილიანობისა (1-2 შვილი) და შობადობის კლებისაკენ, რადგან ზემოთ აღნიშნული რიცხვები მეტყველებს იმაზე, რომ რეგიონის მოსახლეობის დიდი ნაწილი აჩენს ძირითადად ერთ ბავშვს, ხოლო 2, 3 ან მეტ შვილიანი ოჯახების ხვედრითი წილი მცირდება, შესაბამისად - შობადობა კლებულობს. თუმცა ის ფაქტი, რომ თუნდაც მცირე, მაგრამ მაინც არის მე-2 და მე-3 ბავშვთა რაოდენობის მატება დამაიმედებელია, რადგან დიდია შანსი იმისა, რომ ემიგრაციის შემცირებისა და შობადობის მატების ფონზე კახეთის მოსახლეობა მოახერხებს მარტივი აღწარმოების უზრუნველყოფას, რადგან ჯერ კიდევ არის მცირე, მაგრამ მზარდი ტენდენცია იმისა, რომ მოსახლეობას აქვს განწყობა, იყოლოს 2-3 ბავშვი.

თვალსაჩინოა სხვაობები მუნიციპალიტეტებს შორის, მაგალითად, თელავისა და საგარეჯოს რაიონები სხვა დანარჩენისგან გამოირჩევიან რიგით მეორე შვილების შედარებით მაღალი ხვედრითი წილით, რაც ერთ შემთხვევაში განპირობებულია ზოგადად, რეგიონის მოსახლეობის დიდი ნაწილის მის ფარგლებში თავმოყრით, მეორე შემთხვევაში კი ისევდაისევ დაკავშირებულია მუსლიმი მოსახლეობის მაღალ ფერტილურობასთან (იხ. დანართი, ცხრილი 7).

დასკვნა

ზემოთ ბევრი ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ მოსახლეობის ნორმალური აღწარმოებისთვის უმნიშვნელოვანესია შობადობის დონე. შობადობაზე გავლენას მრავალი ფაქტორი ახდენს, როგორც არის ქვეყანაში არსებული სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური მდგომარეობა, ასევე მოსახლეობის რეპროდუქციული განწყობა და ქცევა და ა.შ. ეს რთული და კომპლექსური პროცესია, სადაც რომელიმე ერთის ცალკე გამოყოფა არასწორი იქნება.

საქართველოს დემოგრაფიული პრობლემები და კერძოდ, შობადობის საკითხი არაერთგზის არის შესწავლილი სხვადასხვა მეცნიერისა თუ მკვლევარის მიერ, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ქვეყნის, არამედ რეგიონული ტენდენციის გამოვლენა, რადგან ქვეყნის მოსახლეობის 2/3 რეგიონებში ცხოვრობს და სწორედ ისინი ქმნიან ერის დემოგრაფიულ პროფილს. შესაბამისად, ჩვენ მიერ გამოვლენილი ტენდენციები საინტერესო და მნიშვნელოვანია.

ნაშრომის მეორე თავი ეძღვნება კახეთის მოსახლეობისთვის დამახასიათებელ შობადობის ტენდენციებს 2000-იანი წლებიდან დღემდე. როგორც სტატისტიკურ მონაცემებზე დაკვირვებამ აჩვენა, 21-ე საუკუნეში ისევე, როგორც ზოგადად ქვეყანაში, კახეთის მოსახლეობა იკლებს. კლების ძირითადი მიზეზი გახლავთ შობადობის დონის შემცირება და მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის საგრძნობი ცვლილება, რაც აისახება რეგიონში მცხოვრებ ადამიანთა შორის გაზრდილ შუა ხნისა და მეტი ასაკის ადამიანთა ხვედრით წილზე, ეს კი მოსახლეობის დაბერებისკენ მიდრეკილების მაჩვენებელია.

გარდა ამისა, ცოცხლად შობადობის ანალიზმა ბავშვთა რიგითობის მიხედვით აჩვენა, რომ კახეთის მოსახლეობაში იმატებს რიგით პირველი შვილების ხვედრითი წილი რაც ასევე მიგვანიშნებს იმაზე, რომ მოსახლეობაში შობადობის დონე კლებულობს, შესაბამისად იკლებს მათში რეპროდუქციული განწყობა და მოტივაცია, იყოლიონ 2, 3 ან მეტი შვილი, რაც დემოგრაფიული თვალსაზრისით მოსახლეობის ნორმალური აღწარმოებისთვის უმნიშვნელოვანესია.

ასევე, შობადობის კლება განპირობებულია იმითაც, რომ დიდია მოსახლეობის ემიგრაცია დედაქალაქისა და საზღვარგარეთის მიმართულებით. ემიგრანტთა დიდი ნაწილი კი სწორედ აქტიურ ფერტილურ ასაკში მყოფი ახალგაზრდობაა, რაც ასევე ცუდად აისახება შობადობაზე და შესაბამისად, თაობათა განახლების პროცესზე.

უმნიშვნელოვანესია ისიც, რომ კახეთის ისევე, როგორც მთელი ქვეყნის შემთხვევაში, დიდი გავლენა მოახდინა სოციალურ-ეკონომიკურმა პროცესებმა და პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა, რომელიც მრავლად მოხდა 2000-იანი წლებიდან დღემდე. ამასთან 1990-იანი წლებიდან გამოყოფილი არასტაბილურობაც დიდხანს ახდენდა გავლენას მოსახლეობის დემოგრაფიულ ქცევაზე, ცხოვრების დონესა და სოციალურ-პოლიტიკურ ყოფაზე. ეს პირველ რიგში აისახა შობადობაზე. 2000-იანი წლებიდან დღემდე შედარებით თითქოს დასტაბილურდა სიტუაცია და კახეთის მოსახლეობაში როგორც მატების, ისე კლების პერიოდები ფიქსირდება, თუმცა მატება იმდენად მცირე და არასტაბილურია, რომ შეუძლებელია დადებითი გრძელვადიანი პროგნოზის გაკეთება.


გარდა ამისა, ეს რეგიონი საინტერესოა თავისი მრავალეთნიკურობით. როგორც ზემოთ აღინიშნა, კახეთის იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც თავმოყრილნი არიან აზერბაიჯანელი მოქალაქეები, საკმაოდ დიდია შობადობის მაჩვენებელი. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მათი მაღალი ფერტილურობის წყალობით ხდება რეგიონის მოსახლეობის მცირე მატება. აღნიშნული ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ რელიგიურ ფაქტორსაც აქვს გავლენა შობადობის თვალსაზრისით, რაზეც შობადობის საკითხების შესახებ არსებულ სხვა ნაშრომებშიც არის საუბარი.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ შობადობა დემოგრაფიაში ერთ-ერთი უმთავრესი მოვლენაა, რომელიც ერთნაირად მნიშვნელოვან როლს თამაშობს როგორც ბუნებრივი მოძრაობის, ისე მოსახლეობის კვლავწარმოების პროცესში. მასზეა დამოკიდებული ერის არსებობის საკითხი. ჩვენ მიერ გამოვლენილი შობადობის ტენდენციები კახეთის რეგიონის მაგალითზე წარმოადგენს გამოსახულებას ზოგადად ქვეყანაში არსებული სიტუაციისა, რაც მოითხოვს ყურადღებას, შესწავლას, პრიორიტეტების განსაზღვრას ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე და შემდეგ საჭირო ნაბიჯების გადადგმას და მოქმედებას.

ბიბლიოგრაფია:

- ახალაია, ნ. (2005). მოსახლეობის რეპროდუქციული ქცევა თანამედროვე დემოგრაფიული კრიზისის პირობებში. *დემოგრაფია, სამეცნიერო ჟურნალი*, 123-124.
- ახალაია, ნ. (2005). მოსახლეობის რეპროდუქციული ქცევა თანამედროვე დემოგრაფიული კრიზისის პირობებში. *დემოგრაფია*, 127.
- ბორისოვი, ვ. ა. (1999). *დემოგრაფია*. მოსკოვი: NOTA BENE.
- გოგსაძე, გ. (2008). *მოსახლეობის გეოგრაფია*. თბილისი: "საარი".
- გუგუშვილი, პ. (1986). *დემოგრაფიული ნარკვევები*. თბილისი.
- თოთაძე, ა. (2014). *"კახეთის მოსახლეობა"*. თბილისი: "უნივერსალი".
- საზოგადოებრივი პორტალი*. (თ. გ.). მოპოვებული http://www.sazogadoeba.ge/index.php?post_id=1525-დან
- ჩიქავა, ლ. (2002). *დემოგრაფიული კატეგორიები და კანონები*. (37-71, რედ.) თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი.
- წულაძე, გ. (1984). *შობადობის სოციოლოგიის საკითხები*. თბილისი: "მეცნიერება".
- წულაძე, გ. (2012). *დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი*. თბილისი: გაერთიანებული ერების მოსახლეობის ფონდი.
- წულაძე, გ., & ხმალაძე, მ. (2001). შობადობის თანამედროვე ტენდენციები საქართველოში. *საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები, შრომების კრებული I*.
- Balbo, N. (2009). *Recent fertility trends and second birth decision-making in Georgia*. Milan, Italy: Carlo F. Dondena Centre for Research on Social Dynamics.
- ჯანმრთელი სამყარო, არასამთავრობო ორგანიზაცია*. (თ. გ.). მოპოვებული <http://www.hwngo.org.ge/analytics/54-demografiuli-mdgomareoba-saqartveloshi>-დან
- თ. გ.). მოპოვებული საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: www.geostat.ge-დან
- (თ. გ.). მოპოვებული პანკისი.ორგ: http://www.pankisi.org/cgi-bin/bloxom.cgi/georgian/history_geo-დან

დანართები:



გრაფიკი 1. მოსახლეობის რიცხოვნობა 2000-2017 წლებში კახეთის რეგიონში, პირველი იანვრის მდგომარეობით (ათასი კაცი)

წყარო: საქსტატი

ცხრილი 1

თბილისის სამაზრო ქალაქების - ქ. სიღნაღისა და ქ. თელავის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა 1880 წლის 1 იანვრისათვის

		აბსოლ.	%
თელავი	ქართველები	2089	27.2
	სომხები	5596	72.8
	სულ	7685	100

სიღნაღი	ქართველები	862	27.2
	სომეხები	7085	89.2
	სულ	7947	100

წყარო: თოთაძე, ანზორ, „კახეთის მოსახლეობა“, 2014, გვ. 49

ცხრილი 2

კახეთის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა 2014 წლის აღწერის მიხედვით რეგიონულ და ქალაქი/სოფელი ჭრილში


	კახეთი სულ	ქალაქი	სოფელი
ქართველი	271,298	68,272	203,026
აზერბაიჯანელი	32,354	280	32,074
სომეხი	2,191	922	1,269
რუსი	1,921	793	1,128
ოსი	2,526	293	2,233
იეზიდი	504	435	69
უკრაინელი	202	84	118
ქისტი	5,581	118	5,463
ბერძენი	158	68	90
ასირიელი
სხვა	1,806	250	1,556
უარი პასუხზე	...	0	...
არ არის მითითებული	32	...	24
სულ	318,583	71,526	247,057

წყარო: საქსტატი

დაბადებულთა რაოდენობა სიღნაღისა და თელავის მაზრებში, 1875-1879 წლებში

	დაბადებულთა რაოდენობა		მოსახლეობის 1000 კაცზე
	5 წელიწადში	საშუალოდ წელიწადში	
თელავის მაზრა	1070	2014	43.5
სიღნაღის მაზრა	12677	2535	35.5

წყარო: თოთაძე, ანზორი, „კახეთის მოსახლეობა“, გვ. 58



გრაფიკი 2. კახეთის მოსახლეობისთვის დამახასიათებელი შობადობის კოეფიციენტები 2000-2016 წლებში, რეგიონულ და ქალაქი/სოფელი ჯრილში (ყოველ 1000 კაცზე)


წყარო: საქსტატი

შობადობის ზოგადი კოეფიციენტები კახეთის მუნიციპალიტეტებში,

2000 - 2016 წლები (‰, ყოველ ათას კაცზე)

	ახმეტა	გურჯაანი	დ.წყარო	თელავი	ლაგოდეხი	საგარეჯო	სიღნაღი	ყვარელი
2000	3.20	7.40	9.97	8.20	9.40	8.50	6.20	6.70
2001	16.70	6.90	10.10	7.70	8.50	8.10	5.70	6.70
2002	12.20	6.80	10.20	7.10	7.60	8.00	5.20	6.10
2003	10.20	5.90	10.20	6.80	7.40	7.60	4.70	5.60
2004	13.20	8.50	8.30	8.80	10.80	12.00	7.90	6.30
2005	8.10	8.30	8.90	7.90	10.70	9.90	6.90	6.70
2006	9.10	9.80	7.50	9.70	11.20	9.70	7.20	9.40
2007	9.00	10.10	8.90	10.30	11.90	10.40	7.60	10.10
2008	9.70	11.50	11.40	12.50	13.80	14.20	10.50	11.70
2009	10.40	12.80	13.40	12.90	14.90	14.90	11.20	12.80
2010	11.70	12.90	13.00	13.10	13.80	14.70	12.10	12.80
2011	11.30	10.60	10.50	11.20	13.30	14.10	9.40	10.50
2012	11.80	11.30	10.00	11.90	12.10	16.00	9.00	12.00
2013	12.40	11.30	10.90	12.70	13.30	15.20	10.40	12.30
2014	17.09	14.50	16.50	17.10	17.70	19.10	13.10	15.50
2015	15.50	15.00	16.40	16.10	16.80	18.20	14.10	16.60
2016	15.30	13.00	15.80	15.40	16.70	17.90	14.00	15.90


წყარო: საქსტატი



გრაფიკი 3. კახეთის მოსახლეობის მოკვდაობის კოეფიციენტები რეგიონულ და ქალაქი/სოფელი ჰრილში,


2000-2016 წლები (ყოველ ათას კაცზე)

წყარო: საქსტატი




გრაფიკი 4. კახეთის მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტი რეგიონულ და ქალაქი - სოფელი ჭრილში, 2000-2016 წწ (ყოველ ათას კაცზე, ‰)

წყარო: საესტატი



გრაფიკი 5. ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა 2000-2016 წლებში კახეთის რეგიონში

წყარო: საესტატი



გრაფიკი 6. ცოცხლადშობადობის ტენდენცია კახეთის რეგიონში, 2005-2016 წწ

წყარო: საქსტატი

ცხრილი 5

ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა კახეთის რეგიონში, ქალაქი/სოფელი ჭრილში, 2005-2016 წწ

		2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
სულ	ორივე სქესი	3366	3840	4103	4981	5378	5348	4678	4931	5014	5261	5212	4870
	ბიჭები	1830	2071	2167	2803	2731	2843	2449	2659	2682	2754	2768	2576
	გოგონები	1536	1769	1936	2178	2647	2505	2229	2272	2332	2507	2444	2294
ქალაქი	ორივე სქესი	1473	1896	2001	2482	2703	1280	1048	989	4055	1086	1040	912
	ბიჭები	794	1008	1068	1389	1359	646	532	524	2185	569	533	459
	გოგონები	679	888	933	1093	1344	634	516	465	1870	517	507	453
სოფელი	ორივე სქესი	1893	1944	2102	2499	2675	4068	3630	3942	959	4175	4172	3958
	ბიჭები	1036	1063	1099	1414	1372	2197	1917	2135	497	2185	2235	2117
	გოგონები	857	881	1003	1085	1303	1871	1713	1807	462	1990	1937	1841

წყარო: საქსტატი

კახეთის მოსახლეობაში ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა რეგიონის მიხედვით, 2005-2016 წწ

რეგიონი	2005	2006	2007	2008	2009	2010
კახეთი	3366	3840	4103	4981	5378	5348
1	2113	2254	2496	2746	2820	2706
2	930	1111	1164	1598	1771	1884
3	246	347	334	479	581	586
4	54	87	72	111	137	117
5+	23	41	37	47	69	55
უცნობი	0	0	0	0	0	0
რეგიონი	2011	2012	2013	2014	2015	2016
კახეთი	4678	4931	5014	5261	5212	4870
1	2207	2281	2157	2185	2148	1909
2	1750	1837	1979	2039	1904	1768
3	556	617	659	796	868	876
4	108	130	161	168	220	228
5+	57	66	58	69	66	89
უცნობი	0	0	0	4	6	0

წყარო: სავსტატი

კახეთის მოსახლეობაში ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა რეგიონობისა და სქესის მიხედვით მუნიციპალიტეტების ჭრილში, 2016 წ

	ორივე სქესი	ბიჭები	გოგონები		ორივე სქესი	ბიჭები	გოგონები		ორივე სქესი	ბიჭები	გოგონები
კახეთი	4870	2576	2294	გურჯაანი	696	368	328	საგარეჯო	936	510	426
1	1909	1001	908	1	275	158	117	1	313	164	149
2	1768	918	850	2	265	127	138	2	354	184	170
3	876	490	386	3	124	65	59	3	206	128	78
4	228	122	106	4	26	14	12	4	59	31	28
5+	89	45	44	5+	6	4	2	5+	4	3	1
უცნობი	0	0	0	უცნობი	0	0	0	უცნობი	0	0	0
ახმეტა	509	271	238	დედოფლისწყარო	333	174	159	სიღნაღი	413	232	181
1	179	98	81	1	126	67	59	1	178	93	85
2	168	84	84	2	106	54	52	2	142	86	56
3	97	54	43	3	68	35	33	3	64	38	26
4	39	21	18	4	19	11	8	4	17	11	6
5+	26	14	12	5+	14	7	7	5+	12	4	8
უცნობი	0	0	0	უცნობი	0	0	0	უცნობი	0	0	0
თელავი	814	400	414	ლაგოდეხი	697	378	319	ყვარელი	472	243	229
1	358	179	179	1	274	141	133	1	206	101	105
2	314	149	165	2	258	145	113	2	161	89	72
3	108	58	50	3	124	67	57	3	85	45	40
4	28	12	16	4	25	16	9	4	15	6	9
5+	6	2	4	5+	16	9	7	5+	5	2	3
უცნობი	0	0	0	უცნობი	0	0	0	უცნობი	0	0	0

წყარო: სავსტატი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Nino Mateshvili

ChildBirth Trends in Georgia from 2000s until Today, Kakheti Example

Department of Demography and Human Geography

Master thesis is submitted to obtain the degree of Master in Demography and
Population Geography

Supervisor: Vaja Lortkipanidze

Tbilisi 2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

თამრიკო თარულავა

საოჯახო პოლიტიკა თანამედროვე საქართველოში

დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის მიმართულება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის
მიმართულების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ვაჟა ლორთქიფანიძე

პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

შინაარსი

შესავალი

1. საოჯახო პოლიტიკა საქართველოში
2. ოჯახის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები: ქორწინება, განქორწინება
3. ოჯახის განვითარებაზე მოქმედი სხვა ფაქტორები
4. შობადობის შემცირება
5. ქორწინების გარეშე შობადობა
6. ქალთა დასაქმება და რეპროდუქციული ქცევა
7. ოჯახის ტიპის ცვლილება
8. ოჯახის ფორმირების პრობლემები
9. სახელმწიფო საოჯახო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, გენერალური მიზანი და სტრატეგიული პროგრამა
10. ოჯახის სოციალურ-კულტურული განვითარება
11. საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია
12. მართლმადიდებლობა და ოჯახი

დასკვნა

ბიბლიოგრაფია

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში საუბარი შეეხება საოჯახო პოლიტიკას თანამედროვე საქართველოში, შესაბამისად ჩემი თემის კვლევის საგანი იქნება საოჯახო პოლიტიკა, ხოლო კვლევის ობიექტი საქართველოში მიმდინარე პროცესები, განხორციელებული პროგრამები და დაგეგმილი სტრატეგია რომელიც კავშირშია ოჯახთან, როგორც მნიშვნელოვან სოციალურ ინსტიტუტთან და გავლენას ახდენს მის გაძლიერებასა და განვითარებაზე. ძირითად ნაწილში გადმოვცემ ოჯახის განვითარებაზე მოქმედ ფაქტორებს, როგორც ვიცით ოჯახი ძირითადად დაფუძნებულია ქორწინებაზე, ქორწინებას თან ახლავს განქორწინებაც ან ერთერთი მეუღლის გარდაცვალებით ქორწინების შეწყვეტა.

ქორწინების და განქორწინების გარდა ოჯახის განვითარებასა და მის სტაბილურობაზე მრავალი სხვა ფაქტორიც ახდენს გავლენას, მაგ: როგორცაა ბავშვთა ყოლის მოთხოვნილება, ოჯახის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები შეიძლება დავყოთ გარეგან და შინაგან ფაქტორებად, შიგა ფაქტორები ძირითადად ფუნქციონირებს აღწარმოებითი, აღმზრდელობითი რეალიზაციის ეფექტიანობაში გამოვლინდება. გარე ფაქტორებში კი მოიაზრება პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული და სხვა ფაქტორები.

ნაშრომში ასევე ვისაუბრებთ შობადობის შემცირებაზე და მის გამომწვევ მიზეზებზე, რომელსა გვიჩვენებს კვლევები, ქალთა დასაქმებასა და რეპროდუქციულ ქცევაზე, ქორწინების გარეშე შობადობაზე და საზოგადოების დამოკიდებულებაზე ამ საკითხთან დაკავშირებით.

როგორც ვიცით გლობალიზაციის პირობებში ბევრი რამე შეიცვალა, მოხდა ფასეულობების გადაფასება, ძველის ახლით ჩანაცვლება და ა.შ. ეს რა თქმა უნდა შეეხო ოჯახსაც, რომელიც ყველაზე ფასეული სოციალური ინსტიტუტია და ადამიანის ყველაზე ფუნდამენტურ და ინდივიდუალურ და კოლექტიურ საჭიროებებს პასუხობს. დროთა განმავლობაში შეიცვალა ოჯახის ტიპები, მაგ: ადრე უფრო გავრცელებული დიდი ოჯახები იყო სადაც რამდენიმე თაობა ერთად ცხოვრობდა, თანამედროვეობაში კი პირიქით გახშირდა ახალგაზრდა ოჯახები და წყვილები რომლებიც ცხოვრობენ უფრო თაობისგან დამოუკიდებლად.

გარდა ოჯახის ტიპის ცვლილებისა, ოჯახის ფორმირებაც ძალზედ საინტერესოა, რომელსაც თან ახლავს მთელი რიგი პრობლემები სხვადასხვა ტიპის საზოგადოებაში, ოჯახის შექმნისას უმეტესად პატნიორის არჩევა უჭირთ ხოლმე და ეს ხშირად ხდება გაუგებრობის მიზეზიმ, რაც გამომწვეულია სოციო-კულტურული ფაქტორებით.

ტექსტის ძირითად ნაწილში ვრცლად ვისაუბრებთ სახელმწიფო საოჯახო პოლიტიკის ძირითად პრინციპებზე, გენერალურ მიზანსა და სტრატეგიულ პროგრამებზე, ოჯახის სოციალურ-კულტურულ განვითარებაზე. განვიხილავთ საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფციას რომელიც პარლამენტმა მიიღო, როგორც დემოგრაფიული უსაფრთხოების სტრატეგია 2017-2030 წლებისთვის და მისი განხორციელების 2017-2020 წლების სამოქმედო გეგმა.

ნაშრომის ძირითადი ნაწილის ბოლოს ვისაუბრებ მართლმადიდებლობასა და ოჯახის ურთიერთმიმართებაზე, ქრისტიანული წესჩვეულებებით შექმნილ ოჯახებზე და ჯვრისწერის მნიშვნელობაზე შეუღლებისას და წარმოგიდნე, ქრისტიანული წესჩვეულებებით შექმნილ ოჯახებზე და ჯვრისწერის მნიშვნელობაზე შეუღლებისას და წარმოგიდნე, ქრისტიანული წესჩვეულებებით შექმნილ ოჯახებზე და ჯვრისწერის მნიშვნელობაზე შეუღლებისას და წარმოგიდნე, ქრისტიანული წესჩვეულებებით შექმნილ ოჯახებზე და ჯვრისწერის

მნიშვნელობაზე შეუღლებისას და წარმოგიდგენთ საზოგადოების დამოკიდებულებას სამოქალაქო და საეკლესიო ქორწინებაზე.

ბოლოს დასკვნის სახით გავაკეთებ ჩემი ნაშრომის მოკლე რეზიუმეს, სადაც შევაჯამებ და გამოვეყოფ ძირითად მახასიათებლებს, რომელიც მნიშვნელოვანი და აქტუალური იქნება ნაშრომის ძირითადი აზრის გადმოსაცემად.

Annotan

On this thesis will deal with family policy in modern Georgia, according to my thesis the subject of the research will be domestic policy and the object of the research is ongoing processes in Georgia, realized programs and planned strategy, which is linked to the family, as an important social institution and it influences to the intensification and develop of the family. In the main part of my thesis, this is about the factors, which affects to family development. As we know, family is based on marriage, which is accompanied to a divorce or the death of one of the mates.

Many other factors affect the development and stability of the family, such as the need for children, and the factors that affect family development, may be external and internal factors, and the internal factors are mainly revealed in the efficacy of reproductive and educative realization. External factors include political, economic, social, demographic and other factors.

We will also talk about the decrease of birth rate and the causes of its problems, which is approved in researches, women's employment and reproductive treatment, marriage without birth and public attitudes towards this issue.

As we know many things have changed in terms of globalization, reversed values, replacement of older ones, etc. This certainly influences the family, which is the most valuable social institution and answers the most fundamental and individual and collective needs of the human being. Over time family types have changed, for example, there were more prevalent large families, where several generations lived together, and in recent times young families and couples who live in a more independent way.

In addition to family type change, family formation is also very interesting, which is accompanied by a number of problems in different types of society, and most of them have difficulties to choose a family, and this is often caused by misunderstandings caused by socio-cultural factors.

At the end of the main part of text we will talk about the basic principles of state policy, general purpose and strategic programs, socio-cultural development of the family. Consideration of the demographic security concept of Georgia is adopted by the Parliament.

Finally, I will do a brief summary of my work, in which I am going to summarize and elucidate the main features that are important and relevant to the main point of view the work.

შესავალი

საოჯახო პოლიტიკა არის საქართველოს სახელმწიფო ერთიანი სოციალურ-დემოგრაფიული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი და წარმოადგენს სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და ორგანიზაციული, ღონისძიებების სისტემას, მიმართულს ოჯახის ღირსეული ცხოვრების უზრუნველსაყოფად. იგი სახელმწიფოს პრიორიტეტია და რეალიზდება უშუალოდ ოჯახის მიერ, სახელმწიფოსთან პარტნიორული ურთიერთობების საფუძველზე. ასეთი პოლიტიკით სახელმწიფო ეხმარება ოჯახს და არ ცვლის და არ ითვისებს მის რომელიმე ფუნქციას.

საოჯახო პოლიტიკის რეალიზაციაში, სახელმწიფო ინსტიტუტებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება არასამთავრობო ორგანიზაციათა აქტივობას, მათ ფართო მასშტაბურ ჩართვას ოჯახის პრობლემების გადაწყვეტაში. სწორედ ამ მიზნით გაეროს ოჯახის არასამთავრობო ორგანიზაციათა კომიტეტმა შეიმუშავა დოკუმენტი „ოჯახის საკითხებზე სახელმძღვანელო პრონციპები“, რომელიც მოიცავს საერთაშორისო დოკუმენტების დებულებებს და საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე, საფუძვლად ედგება ცალკეულ ქვეყნებში საოჯახო პოლიტიკის ეროვნული სისტემის ფორმირებასა და განვითარებას. სწორედ ამ დოკუმენტების შესაბამისად განისაზღვრა საქართველოს სინამდვილეში საოჯახო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, გენერალური მიზანი, ამოცანები და მიმართულებები.

2008 წლის შუა პერიოდისთვის მსოფლიოს მოსახლეობამ 6705 მილიონს მიაღწია. მსოფლიოში 2000-იან წლებში საშუალოდ წელიწადში დაახლოებით 140 მილიონამდე ადამიანი იბადებოდა და 60 მილიონამდე კვდებოდა. მარტო ერთი წლის განმავლობაში, 2007 წლიდან 2008 წალმდე, მსოფლიოს მოსახლეობა 80 მილიონით გაიზარდა. მსოფლიოს მოსახლეობის ზრდა და აქედან გამომდინარე დემოგრაფიული პრობლემები მსოფლიოს

წინაშე მდგარ 5 მთავარ პრობლემათა შორის ერთერთ მნიშვნელოვან პრობლემად არის მიჩნეული.

აღსანიშნავია, რომ დემოგრაფიული განვითარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად განსხვავდებიან განვითარებული და ნაკლებად განვითარებული ქვეყნები. განვითარებული ქვეყნების შობადობის დონე თითქმის 2-ჯერ ნაკლებია განვითარებადი ქვეყნების დონესთან შედარებით, რაც ვერ უზრუნველყოფს თაობათა განახლებას.

მსოფლიო ზოგადი დემოგრაფიული ვითარებისგან განსხვავებით საქართველოში განსხვავებული მდგომარეობა ჩამოყალიბდა. შობადობის, მოკვდაობისა და მოსახლეობის აღწარმოების თვალსაზრისით საქართველოს განვითარებული ქვეყნების მსგავსია, ხოლო გარე მიგრაციის თვალსაზრისით კი ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მსგავსი, რაც კიდევ უფრო ძაბავს შექმნილ დემოგრაფიულ ვითარებას.

დემოგრაფიული ვითარება საქართველოში უკვე კარგა ხანია არაღამაკმაყოფილებელია, 1992 წლიდან შობადობის დონე ვერ უზრუნველყოფს თაობათა განახლებას და ამდენად დამკვიდრებულია მოსახლეობის აღწარმოების შეკვეცილი რეჟიმი, რასაც მოჰყვება მოსახლეობის კლება ბუნებრივი გზით, ამავე დროს 1992 წლიდან გარე მიგრაციამ საქართველოდან მიაღწია აქამდე არნახულ მასშტაბს და 2000-იან წლებში მისი კლების მიუხედავად შესამჩნევ დონეზე რჩება. ყოველივე აღნიშნულს მოჰყვა საქართველოს მოსახლეობის შემცირება. 2008 წლის იანვრისთვის საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა ერთი მილიონი ადამიანით 1990 წელთან შედარებით. ხოლო 2014 წლის აღწერის მონაცემებით 1,8 მილიონი ადამიანით ნაკლები ცხოვრობს ვიდრე 1990 წელს. ამასთან აღსანიშნავია, რომ საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პერსპექტივები კიდევ უფრო ნეგატიურ სურათს წამოგვიდგენს. მოსალოდნელია შობადობის შემცირება, მოკვდაობის დონის ზრდა და საერთო ჯამში მოსახლეობის კიდევ უფრო შემცირება.

როდესაც დემოგრაფიულ პროცესებზე, ზოგადად დემოგრაფიულ ვითარების გაუმჯობესებაზეა მსჯელობა, ყოველთვის დემოგრაფიული პოლიტიკა მოიაზრება. თუმცა სპეციალისტები ერთმანეთისგან განასხვავებენ და შესაბამისად სხვადასხვა შინაარსსა და დატვირთვას აძლევენ დემოგრაფიულ, სოციალურ-დემოგრაფიულ და საოჯახო პოლიტიკის ცნებებს.

ქართული საზოგადოების მხრიდან ქვეყნის დემოგრაფიულ პრობლემებზე მსჯელობა მაშინაც კი მიმდინარეობდა, როდესაც დემოგრაფიული ვითარება დღევანდელთან შედარებით ნაკლებად მძიმე იყო. მიუხედავად ამისა დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებისკენ მიმართული წინადადებები უფრო მოსაზრებების დონეზე გამოითქმოდა, ერთერთი პირველი მცდელობა იყო „ საქართველოს დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამა“, რომელიც შეიმუშავა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სამთავრობო დემოგრაფიულმა კომისიამ 1988 წელს. მეცნიერულად შემუშავებული დემოგრაფიული პოლიტიკის მიმართულებები საქართველოსთვის 1989 წლის დასარულსა და 1990 წლის დასაწყისში გვხვდება. ისინი გულისხმობდა დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღებას 1990-2005 წლების პერიოდში .

შემდგომში საქართველოში გასატარებელი დემოგრაფიული პოლიტიკა- „ საქართველოს სახელმწიფო ერთიანი სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკა“ , პროექტის სახით 1990 იანი წლების ბოლოს იქნა შემუშავებული და ფართო საზოგადოებას 2001 წლის მაისში მიეწოდა.

2007 წლის შემოდგომაზე საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა კონცეფცია „ თანამდროვე დემოგრაფიული ვითარება საქართველოში და დემოგრაფიული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები“.

მოცემული პროექტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში 2010-2020 წლებში მოსალოდნელი დემოგრაფიული განვითარების მოდელის განსაზღვრა და შესაბამისი სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებების შემუშავება.

ცნობილია რომ ოჯახი არის ქორწინების თუ ნათესაობის საფუძველზე შექმნილი მცირე სოციალური ჯგუფი, რომლის წევრები დაკავშირებული არიან ერთმანეთთან ყოფაცხოვრების ერთიანობით, ურთიერთ მხარდაჭერითა და მორალური პასუხისმგებლობით. ოჯახის სოციალურ აუცილებლობას განაპირობებს საზოგადოების ფიზიკური და სულიერი განახლების მოთხოვნილება. ამ სოციალური ერთეულის ბიოლოგიურ სანყის ქორწინება და შობადობა წარმოადგენს. მათი და ნათესაობის გათვალისწინებით ოჯახი სოციო-ბიოლოგიურ ინსტიტუტს შეიძლება მივაკუთვნოთ. ამასთან ოჯახი საზოგადოების სპეციფიკური ქვესისტემაა, რომელიც ურთიერთგანმსაზღვრელ კავშირშია საზოგადოების სხვა ქვესისტემებთან (თუმცა გარკვეული დამოუკიდებლობითაც ხასიათდება). მათ აქვთ განვითარების ფაზები და ოჯახის წევრთა გარკვეული სტრუქტურა. ოჯახის სტრუქტურა გამომდინარეობს მისი მრავალფეროვანი ფუნქციებიდან, რომლებიც მთელი საზოგადოების, თუ პიროვნების მოთხოვნილებების კვალდაკვალ იცვლება, ერთი რიგის ფუნქციები თითქმის მუდმივად ინარჩუნებენ ძირითადობას (შთამომავლობის შექმნი, აღზრდის და სხვა). მეორენი სხვადასხვა კულტურულ-ისტორიული, თუ სოციალური-ეკონომიკური წყობის პირობებში სხვადასხვა ძალით მოქმედებენ (მაგ: მეურნეობრივი) სუსტებიან (ეკონომიკური) ან ქრებიან (მწარმოებლური). მესამენი კი თანდათან მზარდ საზოგადოებრივ მნიშვნელობას იძენენ (სოციალიზაციის, ოჯახის წევრთა ემოციური ურთიერთობების განხორციელების, დასვენების ორგანიზაციის და სხვა ფუნქციები). თანამედრვე პირობებში ოჯახის სიმტკიცე სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანია - სახელმწიფო ახდენს მისი შექმნის თუ დაშლის, ქორწინების, განქორწინების ფიქსაციას.

ოჯახს შეისწავლის მრავალი მეცნიერება სოციოლოგია, ეთნოგრაფია, სამართალი, ფსიქოლოგია, დემოგრაფია და სხვა.დემოგრაფიაში ოჯახი შეისწავლება მოსახლეობის აღწარმოების თვალსაზრისით, რის გამოც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მის რეპროდუქციულ ფუნქციას, რომელიც სხვა ფუნქციებთან ურთიერთკავშირში განიხილება. ამავე დროს შესწავლის ობიექტს წარმოადგენს თვით ოჯახების წარმოქმნისა და განვითარების პროცესი. ამასთან განიხილება ოჯახის შემადგენლობის ცვალებადობა, რომელიც გავლენას ახდენს მოსახლეობის აღწარმოებაზე: დაქორწინება, ბავშვების გაჩენა, განქორწინება ან ოჯახის რომელიმე წევრის სიკვდილი, ახალგაზრდა ოჯახის წარმოქმნა, ვითარდება რა ოჯახი, გაივლის რიგ ეტაპებს, რომელთა თანმიმდევრობა ოჯახის სიცოცხლის ციკლს წარმოქმნის.

რაც შეეხება ტერმინის წარმოშობის ისტორიას, „ოჯახი“ თურქული წარმოშობისაა, თავდაპირველად ქართულში მის ნაცვლად გამოიყენებოდა ტერმინი „სახლი“ და „კომლი“.

ოჯახის განვითარების ერთერთი უმთავრესი საფუძველია ქორწინება. ქორწინებითი მდგომარეობა არის ადამიანის დამოკიდებულება ქორწინების ინსტიტუტის მიმართ, რომელიც განისაზღვრება ქვეყანაში არსებული წეს-ჩვეულებებითა ან სამართლებრივი ნორმების შესაბამისად. ქორწინების სახისა და ფორმის მიუხედავად, განასხვავებენ: ქორწინებაში არმყოფებს და ქორწინებაში მყოფებს. ქორწინებაში არმყოფები თავის მხრივ იყოფიან: ქორწინებაში არასდროს მყოფებად, ქვრივებად და განქორწინებულებად.

ქორწინებათა ისეთი ზოგადი მაჩვენებელიც კი, როგორცაა ქორწინებათა რაოდენობა მოსახლეობის 1000 სულზე დაანგარიშებით, უჩვენებს რეგისტრირებულ ქორწინებათა სიხშირის კლებას საქართველოში 1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით მნიშვნელოვან კლებას - 1992 წლიდან.

რეგისტრირებული ქორწინების საერთო კლება, საქართველოში, ძირითადად განაპირობა 25 წლამდე ასაკის ვაჟებისა და ქალების ქორწინების სიხშირის შემცირებამ, თუმცა აღნიშნულს ხელს უწყობდა „საქორწინო ბაზარზე“ შექმნილი მდგომარეობა.

1960-2007 წლების პერიოდის მანძილზე საქართველოში ქორწინების კოეფიციენტი მკვეთრ ცვლილებას განიცდიდა როგორც მამაკაცებში, ასევე ქალებშიც, მაგალითისთვის 1960 წელს მამაკაცების ქორწინების კოეფიციენტი შეადგენა 1,39-ს, ხოლო ქალების 1,15-ს, ხოლო 1990-იანი წლებიდან დაიწყო მკვეთრი კლება და ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია 2000 წელს, მამაკაცებში 0,48 და ქალებში 0,45, შემდეგ წლებში კი ისევ დაიწყო მატება მაგრამ ნელი ტემპით.

ცვალებადობას განიცდიდა ქორწინების ასაკიც, პირველი ქორწინების ასაკი 1960-1980 წლებში საშუალოდ უფრო მაღალი იყო ვიდრე 1990-იან წლებში. 2000-იან წლებში, განსაკუთრებით 2003 წლიდან, ქორწინების საშუალო ასაკი მატულობს.

ყურადღება მისაქცევია ხელახლა ქორწინებათა ძალიან დაბალი მაჩვენებელი, 2007 წლის მონაცემებით განქორწინებულთა 1,4% კვლავ დაქორწინდა, მაჩვენებელი ქალებსა და მამაკაცებში ამ პერიოდისთვის დაემთხვა ერთმანეთს.

ოჯახის განვითარებაზე ასევე დიდ გავლენას **განქორწინება**.

ვინაიდან არსებობს ქორწინება შესაბამისად არსებობს ქორწინების შეწყვეტა, ქორწინების შეწყვეტა გულისხმობს საქორწინო კავშირის დაშლას ერთერთი მეუღლის სიკვდილის ან ქორწინების გაუქმების შედეგად.

განქორწინება ქორწინების რეგისტრაციის გაუქმების შედეგად საქორწინო წყვილების დაშლის პროცესია.

განქორწინება რთული სოციალური პროცესია, განქორწინების დონე განისაზღვრება მრავალი გარემოებით, რომელთა შორის წამყვანი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარების მოცემული ეტაპისათვის დამახასიათებელ სოციალურ-კულტურულ ნორმებს, ქორწინების გაბატონებულ ნორმებს, ქალის მდგომარეობას საზოგადოებაში, ოჯახის ცხოვრების წესს და სხვა. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ქვეყანაში მოქმედ ქორწინების გაუქმებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობას.

საერთოდ საქართველოს ევროპული ტიპის დემოგრაფიული ქცევა ახასიათებს. ამ თვალსაზრისით, გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს განქორწინება, საქმე ისაა, რომ განქორწინების დონე საქართველოში ტრადიციულად ყოველთვის დაბალი იყო. ამას, ერთი მხრივ ქორწინების და ოჯახური ყოფის მკაცრი სოციალურ-დემოგრაფიული ტრადიციები განაპირობებდა, მეორეს მხრივ საბჭოური მმართველობის პერიოდში, განსაკუთრებით 1980-იან წლებამდე არსებული იდეოლოგია. განქორწინება ამორალურ საქციელად ითვლებოდა და პიროვნება რომელიც განქორწინდებოდა სასჯელს იმსხურებდა, რაც გამოიხატებოდა სამსახურიდან გათავისუფლებაში ან ამხანაგურ სასამართლოზე გაკიცხვას იღებდა.

აქედან გამომდინარე განქორწინების დინამიკა საქართველოში შეიძლება დავყოთ ორ ეტაპად. კომუნისტური და პოსტკომუნისტურ პერიოდებად.

1960-1992 წლებში განქორწინების ზოგადი კოეფიციენტი 3,5-3,8ჯერ გაიზარდა, 1992 წლიდან 2009 წლამდე აღინიშნება ნელი, მაგრამ არსებითი შემცირება, ხოლო 2009 წლიდან შესამჩნევი ზრდა და 2012 წლისთვის ამ მაჩვენებელმა 1960 წლის პერიოდში ყველაზე მაღალ მაჩვენებელს მიაღწია და 1,6 პრომილე შეადგინა.

საერთოდ, განქორწინებათა დაბალი დონით საქართველო ყოველთვის გამოირჩეოდა საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის რესპუბლიკებისგან. მაგალითად, 1970 წელს საქართველოში განქორწინების ზოგადი კოეფიციენტი 3,5-ჯერ ჩამორჩებოდა რუსეთის

ანალოგიურ მაჩვენებელს, 1990 წელს -- 2,5-ჯერ, ხოლო 1997 წლისთვის თითქმის 8-ჯერ დაბალი იყო.

ბუნებრივია განქორწინებათა ინტენსივობა დამოკიდებულია ქორწინებათა სიხშირეზე. თუ 1990 წლამდე ქორწინებათა სტატისტიკა მეტნაკლებად მონესრიგებული იყო. 1990 წლიდან, როდესაც საქართველოში გახშირდა ჯვრისწერა, ქორწინებათა სტატისტიკა არასრულად ასახავდა ქორწინების მაჩვენებელს, რამაც პრაქტიკულად გავლენა იქონია განქორწინებათა აღრიცხვის სიზუსტეზე.

საქმე ისაა, რომ საკმაო რაოდენობის წყვილი ქორწინების ოფიციალურ, სამოქალაქო რეგისტრაციას არჩევდა ჯვრისწერას. ჯვრისწერა სახელმწიფოს მიერ დღემდე ბოლომდე არ არის აღიარებული ოფიციალურად და გათანაბრებული სამოქალაქო ქორწინებასთან. ამიტომ ამას ოფიციალური სტატისტიკა არ აღრიცხავს. ამის გამო, ჯვარდწერილები განქორწინების შემთხვევაში განქორწინებულთა საერთო რაოდენობაში არ აღირიცხება. ამას ემატება განსაკუთრებით 2000 წლის შემდეგ თანაცხოვრების ცალკეული შემთხვევები, რომელთა რაოდენობა მართალია ბევრი არ არის მაგრამ გარკვეულ გავლენას ახდენს ქორწინების და განქორწინების სტატისტიკაზე.

განქორწინებათა დონის შემცირება 1990-2000 წლებში სავარაუდოდ გამომწვეული იყო ამ პერიოდში ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარებით. ოჯახში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონის საფუძველზე (უმუშევრობის ზრდა, ოჯახთა გაღარიბება, შემოსავლის მნიშვნელოვანი შემცირება და სხვა.) წყვილებმა ამჯობინეს განქორწინებათა გადავადება, რამდენადაც ცალ-ცალკე ცხოვრება, რომ არათფერი ვთქვათ მცირეწლოვან ბავშვებზე, ბევრად გაუუარესდებათ ყოფით პირობებს.

განქორწინებულთა 65-67 % საქართველოში უშვილოა. 1990-იან წლებში განქორწინებულ წყვილებს საშუალოდ 0,4-0,5 ბავშვი ჰყავდათ, ფაქტიურად არ გაზრდილა ეს მაჩვენებელი 2000-2012 წლებში.

განქორწინების ანალიზისას , გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ განქორწინების იურიდიული რეგისტრაცია ფაქტობრივი განქორწინებიდან მხოლოდ გარკვეული პერიოდის შემდეგ წარმოებს. ამიტომ, ქორწინების ხანგრძლივობის ოფიციალური მაჩვენებლები აღემატება ფაქტობრივ მაჩვენებლებს და შესაბამისად, განქორწინების ფაქტობრივ მაჩვენებლებს და შესაბამისად , განქორწინების ფაქტობრივი პერიოდი მეტია იურიდიულად რეგისტრირებულ განქორწინებაში ყოფნის პერიოდზე.

სამუხაროდ მეცნიერულ დონეზე კომპლექსური კვლევა განქორწინების მიზეზებზე არ ჩატარებულა. ამ თვასაზრისით საინტერესოა პროფ. მზია ბექაიას 1975 წელს და 1985 წელს ჩატარებული პერმანენტული კვლევები.

მან შეისწავლა განქორწინებულთა მიზეზები 1970 წელს, წლის შემდეგ, იგივე განქორწინებულ პერსონათა შორის ჩაატარა სოციოლოგიური გამოკვლევა, რომლის მიზანი იყო, გაერკვია განქორწინების დადებითი და უარყოფითი მხარეები. საქმე ისაა, რომ იმ პერიოდში კომუნისტური საზოგადოება ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად აღიქვამდა განქორწინებას და მის დადებით მხარეზე საუბარს საერთოდ ტაბუ ჰქონდა დადებული. ამ თვალსაზრისით, მის მიერ 1975 წელს ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევა რბილად რომ ვთქვათ, მნიშვნელოვანი პროგრესი იყო საბჭოთა მეცნიერებაში.

გამოკვლევის შედეგებმა აჩვენა რომ სხვა ქვეყნებში ჩატარებული ანალოგიური კვლევის შედეგები, რომ განქორწინების ძირითად მიზეზებად ეკონომიკური, ფსიქოლოგიური და ბიოსოციალური ფაქტორებია, რომლებიც თავის თავში შეიცავენ როგორც ობიექტურ, ისე

სუბიექტურ მხარეებს, რომლებიც კონფლიქტურ სიტუაციას ხშირად მწვავე კონფლიქტში გადაზრდიან.

დემოგრაფია განქორწინებას განიხილავს როგორც მოსახლეობის საქორწინო და საოჯახო სტრუქტურის ფორმირების ფაქტორს, მის ურთიერთკავშირს სხვა დემოგრაფიულ პროცესებთან და მის გავლენას მოსახლეობის აღწარმოებაზე. დემოგრაფიის ანტერესებს არა ქორწინების გაუქმების ცალკეულ შემთხვევები, არამედ ასეთ შემთხვევათა ერთობლიობა საქორწინო კოჰორტებში.

განვიხილოთ ოჯახის განვითარებაზე მოქმედი სხვა ფაქტორებიც:

ოჯახის სტაბილურობა ბევრად განსაზღვრავს ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების რეალიზაციას და შესამაბისად ქვეყნის დემოგრაფიული განვითარებას, ხოლო ოჯახის სტაბილურობაზე ზემოქმედებენ შიგა და გარე ფაქტორები, გარე ფაქტორების ცვლილება მნიშვნელოვნად ზემოქმედებს შიგა ფაქტორების მდგრადობაზე, რაც საბოლოო სახით ძირითად ფუნქციათა აღწარმოებითი, აღმზრდელობითი (ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და სხვა) რეალიზაციის ეფექტიანობაში გამოვლინდება და სტაბილურ სოციალურ-დემოგრაფიულ ქცევაში აისახება.

თაობათა აღწარმოებაზე მოქმედ მრავალ ფაქტორთაგან მნიშვნელოვან შიგა ფაქტორად გვევლინება მსოფლიოსა და ევროპის განვითარებული ქვეყნების მსგავსი ცხოვრებისა და ქცევის ინტერნაციონალური დონეზე ფორმირებული სტილის გარკვეული უნიფიკაცია და სტანდარტიზაცია ოჯახში. სწორედ ამის შედეგად, 1960-იანი წლების შუა პერიოდში, ოჯახში ფორმირებულმა „ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების“ შესუსტებამ, მომავალ თაობაში უკვე ფორმირებული სასურველი ოჯახის ტიპი, როგორც შიგა ფაქტორი, დემოკრატიზაციისა და

პიროვნების თავისუფლების პროგრესულ პროცესთან ერთად მნიშვნელოვნად მოქმედებს მომავალში ახალგაზრდა ოჯახის სოციალურ დემოგრაფიულ ქცევაზე.

ოჯახის სტაბილიზაციაზე და სოციალურ-დემოგრაფიულ განვითარებაზე მოქმედი გარე ფაქტორები სტრუქტურულად შემდეგნაირად შეიძლება დავაჯგუფოთ: პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული.

საოჯახო პოლიტიკის სისტემა ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-დემოგრაფიულ პროცესებსა და ოჯახის განვითარებაზე მოქმედ პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკური, ეთნიკური, რეგიონული და სხვა ფაქტორთა ანალიზიდან გამომდინარეა და წარმოადგენს ქვეყნის სოციალურ-დემოგრაფიული და ოჯახის სტაბილური განვითარების კანონზომიერებათა შესახებ მეცნიერულად დასაბუთებულ შეხედულებათა სისტემას. იგი ითვალისწინებს ქვეყნის სოციალურ-დემოგრაფიული განვითარების და ოჯახის სტაბილურობის მიზნებს და ამოცანებს მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში.

იგი სამ ურთიერთგანმაპირობებელ სოციალურ, დემოგრაფიულ და საოჯახო პრობლემათა გადაწყვეტას გულისხმობს და ამდენად წარმოგვიდგება როგორც ცალკეული მიმართულების ღონისძიებათა ერთიანი კომპლექსური სისტემა.

სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის ერთიანი სისტემის მიზნები საკმაოდ მრავალფეროვანია და იგი შეიძლება გატარებულ იქნას როგორც:

- უშუალოდ დემოგრაფიული პროცესების გაუმჯობესებისკენ პირდაპირ მიმართული პოლიტიკა.
- უშუალოდ ოჯახის სტაბილურობისკენ მიმართული პოლიტიკა.
- სხვადასხვა მიზნებით გატარებული, მაგრამ სასურველი ამ შესაძლებელი სოციალურ-დემოგრაფიული შედეგების მისაღებად გათვალისწინებული პოლიტიკა (სოციალურ-

დემოგრაფიული ჯგუფების აქტივაზიცია, ქორწინებათა ზრდა, განქორწინებათა შემცირება, ავადობის და მოკვდაობის შემცირება და ა.შ.)

შობადობის შემცირება

თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარეობს შობადობის დონის შემცირება, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მრავალი მიზეზის გამო. თუმცა შობადობის შემცირების ძირითად მიზეზად მიჩნეულია ოჯახში „ბავშვების ყოლის მოთხოვნის“ შემცირება. ბავშვების გაჩენა ბიოლოგიური შინაარსის მქონეა, ბავშვების ყოლა კი სოციალური შინაარსის და გულისხმობს ბავშვების ყოლის ფასეულობას, მათდამი მისწრაფებას. „ბავშვების ყოლის მოთხოვნის შემცირება აერთიანებს როგორც ბიოლოგიურ, ასევე სოციალურ ელემენტებს.

ადამიანებისთვის უფრო მეტად ფასეული ხდება თვითაქტივობა, თვითკმაყოფილება, პრესტიჟი, წარმატება სხვა მსგავსი მისწრაფებები, რასაც სადღეისოდ შეიძლება მეტი ფასეულობა გააჩნდეს, ვიდრე ბავშვებს. ამიტომ ადამიანები უფრო მეტად არიან ორიენტირებული აღნიშნული მისწრაფებების მოპოვებისკენ, ვიდრე ბავშვების ყოლისაკენ.

ქორწინების გარეშე შობადობა

რეგისტრირებული ქორწინების გარეშე შობადობა საერთო შობადობის ნაწილია, წარმოქმნილი რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებით. მთელ რიგ კულტურებში მიუხედავად მკაცრი სოციალური თუ რელიგიური შეზღუდვებისა იგი ყოველთვის მაინც

არსებობდა. ქორწინების გარეშე დაბადებად ითვლება ქალის მიერ ბავშვის გაჩენა, რომელიც მოცემული მომენტისთვის არ იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში დემოკრატიისა ლიბერალიზმის ფონზე, ინდივიდუალიზმის ფართოდ განვითარებამ, ოჯახის მოდერნიზაცია განაპირობა. ოჯახის თანამედროვე სოციალურ-დემოგრაფიული მოდერნიზაცია განიხილება, როგორც ახალი სოციალურ-დემოგრაფიულ ფასეულობათა შესაბამისი ნორმების ჩამოყალიბება ოჯახში. ამ თვალსაზრისით შეიძლება გამოიყოს მისი ერთერთი მიმართულება იურიდიულად გაუფორმებელი ანუ არარეგისტრირებული ქორწინება.

თანამედროვე ოჯახში ოფიციალური ქორწინება აუცილებლად აღარ მიაჩნიათ და ოჯახის მის გარეშეც იქმნება, შესაბამისად ბავშვთა შობა ყოველთვის აღარ ხდება რეგისტრირებულ ქორწინებაში.

2013 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკვლევამ მოგვცა საინტერესო მაჩვენებლები საზოგადოების დამოკიდებულებისა არარეგისტრირებული ქორწინების გარეშე შობადობისადმი. საქართველოს სამ ქალაქში თბილისში, ქუთაისსა და კასპში გამოკითხულ იქნა 18-50 წლის 1212 რესპონდენტი და მათგან 45,2% ორივე სქესის რესპონდენტი იმყოფება რეგისტრირებულ და რელიგიურ ქორწინებაში, მხოლოდ რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება 27%, ხოლო მხოლოდ რელიგიურ ქორწინებაში 12,3%. იმ რესპონდენტი მამაკაცების წილი, რომლებიც იმყოფებიან რელიგიურ ქორწინებაში და პარტნიორთან ქორწინების რეგისტრაციის გარეშე ცხოვრობს შეადგენს 12,7%-ს, ქალთა შორის 11,9%-ს.

გამოკითხულთა 79,6%-მა ერთდროულად დაინერა ჯვარი და ოფიციალურად იქორწინა კიდევაც, 10,4% ჯერ ოფიციალურად იქორწინა და გარკვეული დროის შემდეგ დაინერა ჯვარი. ქორწინებამდე ურთიერთობის საშუალო ხანგრძლივობა 4,2 წელია.

რესპონდენტთა უმრავლესობა თვლის, რომ წყვილს ქორწინების გარეშეც შეუძლია იცხოვროს ერთად, ეს ეხება როგორც დაქორწინებულ, ისე განქორწინებულ და ქორწინებაში არასდროს მყოფ რესპონდენტებს.

როგორც ზემოთხსენებულმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რესპონდენტთა უმრავლესობა 69,5% თვლის, რომ აუცილებელია საეკლესიო ქორწინება იურიდიულად იყოს აღიარებული სახელმწიფოს მიერ, ამ შეხედულებას არ ეთანხმება 16,8%, არ აქვს გამოკვეთილი აზრი 13,7%-ს.

გამოკვლევით აშკარა ტენდენცია იკვეთება - რაც უფრო ახალგაზრდავდება რესპონდენტთა ჯგუფი, მით უფრო იმატებს საეკლესიო ქორწინებაში მყოფი ადამიანების პროცენტული მაჩვენებელი.

რესპონდენტთა შეხედულებით, ქორწინების გარეშე ქალის მიერ ბავშვის გაჩენას 14,6% ყოველმხრივ გამართლებულად თვლის, აქედან თბილისში გამოკითხული ადამიანების 21,2%, ქუთაისში- 7,5% და კასპში 9,1%. 26,5% თვლის რომ გამართლებულია, მაგრამ ჩვენი საზოგადოება ჯერ მზად არ არის, ასევე 26,5% თვლის, რომ გამართლებულია თუ ქალს გათხოვების იმედი აღარ აქვს. ზნეობრივად გაუმართლებლად თვლის 11,4%, ყოველმხრივად გაუმართლებლად თვლის 21%, (აქედან თბილისში 15,4%, კასპში 13,4% და ქუთაისში 33,5%).

გამოკვლევა ადასტურებს, რომ მიმდინარე ტრანსპორმაცია გარკვეულწილად აისახება ოჯახის წევრების მეტ ინდივიდუალიზმსა და ავტონომიაში. ცალკეულ წყვილთა გამონაკლისების გარდა, ფარულად არსებობს ოჯახის ისეთი ალტერნატიული ფორმა,

როგორცაა თანაცხოვრება. საერთოდ თანაცხოვრების ზრდა განქორწინებათა და იმ პრობლემების ერთგვარი ფუნქციური ადაპტირებაა, რომელთა წინაშეც დღეს დგას რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ცოლქმარი. მათი გადანწყვეტილებაა ჯერ ერთად სცადონ ცხოვრება და შემდეგ იურიდიულ დააკანონ ურთიერთობა. მიუხედავად ამისა საქართველოში ოჯახი მაინც ყველაზე ღირებულ სოციალურ ინსტიტუტად რჩება.

მიუხედავად საქორწინო სფეროში არსებული განსხვავებული ტენდენციისა, საზოგადოებაში მაინც არსებობს ტრადიციული ოჯახისადმი ორიენტაცია. კვლევის თანახმად გამოჩნდა რომ ოჯახი მიუხედავად რეგისტრაციის ფორმისა ეფუძნება სიყვარულს და აგებული უნდა იყოს ადამიანებს შორის ურთიერთპატივისცემის , ღია ურთიერთობებისა და ურთიერთმხარდაჭერის სურვილზე.

ქალთა დასაქმება და რეპროდუქციული ქცევა

ყოფილი საბჭოთა კავშირის ევროპული სივრცის ქვეყნები მსოფლიო გლობალური ეკონომიკური კრიზისით ხასიათდება, რაც მეტად აქტუალურს ხდის დასაქმების, განსაკუთრებით ქალთა დასაქმების პრობლემეტიკის შესწავლას რეპროდუქციულ ქცევასთან კონტექსტში, არსებული მძიმე დემოგრაფიული ვითარების ფონზე, როგორც ცნობილია, ქალის სოციალური სტატუსი ქორწინებასა და დედობასთან მჭიდრო კავშირშია. ოჯახის რეპროდუქციული გეგმები ხშირად აიძულებს თანამდროვე ქალს უარი თქვას პროფესიულ კარიერაზე. რის გამოც მათი ნაწილი უარს ამბობს იყოლიოს შვილი და შვილები რათა არ დაკარგოს კვალიფიკაცია იძულებული დეკრეტული პაუზის გამო. ქალთა უმუშევრობა დღეს, არსებული ეკონომიკური კრიზისის პირობებში ოჯახის

ეკონომიკურ მდგომარეობაზე ხშირად მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს, რაც თავის მხრივ ოჯახის რეპროდუქციულ გეგმებს ზღუდავს, იქმნება დახურული ციკლი.

ცნობილია, რომ ქალის შრომითი და საზოგადოებრივი აქტივობა ხშირად წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან. იგი უპირისპირდება საყოფაცხოვრებო ვალდებულებებს ოჯახში, ქალს საზოგადოებრივ-საწარმოო საქმიანობამ და სხვადასხვა ტიპის დატვირთვამ მთელი რიგი სიძნელეები წამოჭრა, ხოლო შექმნილმა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ, ქალის შიდაოჯახურ შრომასთან ერთად დაქირავებული შრომის მომეტებული აქტივობა გამოიწვია. ცხოვრებისეულმა პრაქტიკამ ცხადჰყო, რომ ქალის - საზოგადოებრივ-საწარმოო და საოჯახო დატვირთვა ყოველთვის არ არის თანაბარი სოციალური ეფექტის მქონე.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა მოიტანა, რამაც თავისი გავლენა იქონია მათ ცხოვრების წესზე, შეიცვალა ქალისა და მამაკაცის ტრადიციული როლი ოჯახში და ოჯახს გარეთ.

საკმაოდ სერიოზული პრობლემების მიღმა რჩება ქალთა შრომის და საერთოდ უფლებების უფლებების დაცვის პრობლემა, რომელიც დღესაც და მომავალშიც ჩვენი საზოგადოების შესწავლის საგანია.

დასაქმებულ ქალთა რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის შეფასებისას მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თუ როგორ არის განაწილებული და ათვისებული მისი სადღეღამისო და თავისუფალი დრო. ბუნებრივია რომ მათი დროის მნიშვნელოვანი ნაწილი ოჯახის გარეთ იხარჯება. ეს არის სამუშაო დრო, დანარჩენი დრო არასამუშაოდ ითვლება, რომელიც საოჯახო მეურნეობასა და ოჯახის წევრთა მომსახურებაზე დახარჯულ დროს მოიცავს. არასამუშაო დროის ნაწილი, რომელიც ზემოთაღნიშნული დროის

გამოკლების შემდეგ რჩება თავისუფალი დროა. სწორედ თავისუფალი დროის ხარჯვის პრიორიტეტებში უნდა ვეძიოთ რეპროდუქციული განწყობის რეგერვი.

ქალის არასამუშაო და თავისუფალი დროის ბიუჯეტის შესწავლა საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ ის რეალური შესაძლებლობანი, რითაც იგი ახორციელებს ოჯახში ამა თუ იმ ფუნქციას. არასამუშაო დროის სტრუქტურაში ერთერთი მთავარი ადგილი უჭირავს საოჯახო საქმიანობის წარმართვას დასაქმებული ქალის დროის ბიუჯეტის შესწავლამ აჩვენა, რომ დროის განაწილება ოჯახში დიდაა დამოკიდებული ბავშვთა რაოდენობაზე, მათი რიცხვის ზრდით მნიშვნელოვნად იზრდება შრომის ყველა სახეობაზე დანახარჯი.

ოჯახის ტიპის ცვლილება

არავინ დაობს იმაზე რომ ოჯახი ყველაზე ფასეული სოციალური ინსტიტუტია, რომელიც ადამიანის ყველაზე ფუნდამენტურ და ინდივიდუალურ და კოლექტიურ საჭიროებებს უსახობს. საზოგადოების ყოველი წევრი, დაბადების მომენტიდან სიცოცხლის ბოლომდე, სოციალურ სტატუსთან და ეთნიკურ მიკუთვნებულობასთან ერთად ფლობს ისეთ მახასიათებლებს, როგორცაა საოჯახო ქორწინებითი მდგომარეობა. ადამიანები ქმნიან ოჯახს არა იმიტომ რომ იგი საზოგადოებაში სასიცოცხლო ფუნქციას ასრულებს არამედ იმიტომ რომ იგი მილიონობით ადამიანისთვის უდიდეს ფასეულობას წარმოადგენს.

ოჯახის თანამედროვე მოდელზე გადასვლას განვიხილავთ სოციალურ ფასეულობათა ცვლილების საფუძველზე, რადგან ფასეულობითი ორიენტაცია პიროვნების შინაგანი სტრუქტურის დიდმნიშვნელოვანი ნაწილია.

საზოგადოებისთვის ოჯახის შექმნის თვალსაზრისით, ქორწინება უმნიშვნელოვანესი ფუნქციის მატარებელ ინსტიტუდს იყო აღიარებული. თუმცა ფასეულობათა გადაფასებამ ამ მოსაზრებაში ბზარი შეიტანა. გამოკვლევამ გამოავლინა ოჯახურ-ქორწინებით ურთიერთობებს შორის თანაცხოვრების ინსტიტუტისადმი ლოიალური დამოკიდებულების გაძლიერება, ასეთი ქმედება სულ უფრო დასაშვები ხდება. მნიშვნელობას კარგავს წყვილის ქორწინების გარეშე ცხოვრების ნეგატიური პოზიციის დაცვა, რესპონდენტების დიდი ნაწილი (53,1%) თვლის რომ წყვილს ქორწინების რეგისტრაციის გარეშეც შეუძლია იცხოვროს ერთად.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მიერ 2013 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით შეიცვალა არა მხოლოდ დამოკიდებულება ქორწინების რეგისტრაციის გარეშე ცხოვრებისადმი არამედ რეალურად რესპონდენტების 15,4 % თავის პარტნიორთან ერთა ცხოვრობს იურიდიული და რელიგიური ქორწინების გარეშე. ასეთი აღმოჩნდა მამაკაცი რესპონდენტების 18,9% და ქალის 12,7 %.

ფასეულობათა გადაფასებამ , ოჯახის, როგორც, ყველაზე მნიშვნელოვანი ფასეულობის შეცვლამ მიგვიყვანა ოჯახის მოღერნიზაციამდე, რამაც აუცილებლად ასახვა უნდა ჰქონდეს ოჯახის სტრუქტურაზე.

ოჯახის სტრუქტურაზე და ტიპებზე სასაუბროდ, მათ დასახასიათებლად, მათში მიმდინარე ცვლილებების აღსაწერად საკმარისი არ არის სოციოლოგიური გამოკვლევა, არამედ აუცილებელია აღწერის მასალები.

იმ შემთხვევაში როცა ახლად დაქორწინებული წყვილი ცალკე მშობლების გარეშე სახლდება და საკუთარ „მკვიდრ“ ოჯახს აფუძნებს, სახეზე გვაქვს ფინანსურად დამოუკიდებელი ერთეული „ნეოლოკალური“ სტრუქტურა. სადაც ყველა პრობლემა მეუღლეთა შორის ურთიერთობიდან წარმოდგება. რაც შეეხება მოსახლეობის

დამოკიდებულებას ამ თემასთან დაკავშირებით, ზემოთხსენებული კვლევის შედეგად გამოკითხული რესპონდენტი მამაკაცების 74,3% თვლის რომ ოჯახის ბედნიერებისთვის მშობლებთან ერთად ცხოვრება არ არის აუცილებელი, ხოლო 9,1% ეთანხმება ამ მოსაზრებას, 16,6% -ს კი არ აქვს გამოკვეთილი აზრი ამ თემაზე. გამოკითხულ ქალთა 81,4% მამაკაცების მსგავსად თვლის რომ მშობლებთან ერთად ცხოვრება არ არის ბედნიერებისთვის აუცილებელი.

მეოცე საუკუნეში ე.წ. გაფართოებული ოჯახები ნელნელა „მკვიდრ“ ოჯახებად გადაიქცა, ოჯახების ასეთ მონაცობას დროთა განმავლობაში უპირატესობა მიენიჭა, რადგან ოჯახის სტრუქტურის სახეცვლილებამ უფრო მეტი ინდივიდუალიზმისა და დამოუკიდებლობის შესაძლებლობა მისცა ახალ თაობას, წინამორბედთან შედარებით.

იმ მიზეზებიდან, რის გამოც ახალგაზრდა ოჯახები დამოუკიდებლად ცხოვრების სურვილის მიუხედავად, ჯერ კიდევ მშობლებთან ცხოვრობენ ,ყველზე ხშირია ფინანსური მდგომარეობა, სოციოლოგთა აზრით, განსაზღვრავს ძალაუფლების განაწილებას ოჯახში, რაც იმის მაჩვენებელია რომ ოჯახის წევრები არა მხოლოდ მატერიალურად არიან დამოკიდებულნი ერთმანეთზე არამედ უფლებივადაც. გამოდის რომ თუ ახალგაზრდა ოჯახი მატერიალურად მშობლებზეა დამოკიდებული, მათ არ შეუძლიათ დამოუკიდებლად მართონ საკუთარი ოჯახი.

ქართულ ყოფაში ოჯახის მართვის ფორმაა ტრადიციული, სადაც მეუღლეთა პარტნიორობაში დომინირებულია ქმარი, იმისდა მიუხედავად ომ რესპონდენტების 90%-ზე მეტი თვლის რომ ოჯახში ორივე მეუღლის შეთანხმების საფუძველზე უნდა ხდებოდეს გადაწყვეტილების მიღება.

ოჯახის ფორმირების პრობლემები

პირველი მოვლენა რომელსაც მოსდევს შეუღლება არის პარტნიორის არჩევა, სხვადასხვა ტიპის საზოგადოებაში პარტნიორის არჩევის ფაქტორები განხვავებულია, მათ შორის ფართოდ გავრცელებული და მნიშვნელოვნად მოქმედია სოციო-კულტურული ფაქტორები.

თანამედროვე საზოგადოებაში ქორწინების ძირითადი საფუძველი სიყვარულია, თუმცა მას სხვა მოტივებიც განსაზღვრავენ, ქორწინების მიზანი ორი ადამიანის ერთმანეთის მიმართ პასუხისმგებლობის აღიარებაა მათი საერთო ბედი თუ ყოფიერების მონყოლაში.

საქორწინო პარტნიორის შერჩევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება დამოუკიდებლობას, თავისუფალ არჩევანს, მნიშვნელოვანია პარტნიორის აღმსარებლობა და ეთნიკური წარმომავლობა.

საზოგადოებაში სოციალურ მიკუთვნებულობას მეუღლის არჩევისას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ. რაც სავარაუდოდ განქორწინების მაღალი მაჩვენებლის ერთერთი მიზეზია.

საზოგადოებაში დამკვიდრებული აზრის თანახმად ქორწინების საუკეთესო ასაკად ითვლება 25 წელი ქალისთვის, ხოლო მამაკაცისთვის 27-28 წელი.

ზოგადად ქორწინების გადავადების მიზეზებში სახელდება როგორც სუბიექტური ისე ობიექტური მიზეზები, ქალებისთვის გვიანი ქორწინების მიზეზები სიხშირის მიხედვით ასე ნაწილდება, ესენია: სასურველი პარტნიორის შერჩევა,სამსახური, კარიერა, ცუდი ეკონომიკური პირობები, განათლება, უმუშევრობა. მამაკაცებისთვის გვიანი ქორწინების მიზეზია ცუდი ეკონომიკური პირობები, სასურველი პარტნიორის შერჩევა, უმუშევრობა და საბინაო პირობები.

გამოკვლევებით დასტურდება რომ ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობა პირდაპირპროპორციულად ახდენს გავლენას ქორწინებაზე. ამ მხრივ ქვეყანაში არსებული მდგომარეობი გამოსწორება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქორწინების გადავადების შემცირებას.

როგორც უკვე რამდენჯერმე ვახსენეთ ჩვენს თანამედროვეობაში მივიღეთ ოჯახის ტრადიციული ტიპისგან განსხვავებული თანამედროვე ოჯახი, საინტერესოა თვით მეუღლეთა ურთიერთობები და მოვალეობათა გადანაწილება თანამედროვე ოჯახში. ოჯახური ცხოვრება განიხილება არა მასში მონაწილე ცალკეული ადამიანების მიხედვით, არამედ მათი როლებით განპირობებული ურთიერთობებით. ჩვეულებრივ ერთი ოჯახის წევრები ერთჯერქვემ ცხოვრობენ და ერთი საოჯახო მეურნეობაც აქვთ . ოჯახი ქცევის მდგრად და ურთიერთქმედების ნიმუშებს ემყარება. მის წამყვან კომპონენტად შიდაოჯახური ურთიერთობები გვევლინება.

ოჯახური ურთიერთდამოკიდებულებიდან უმთავრესი ცოლქმრული ურთიერთდამოკიდებულებაა, რომელიც განსაზღვრავს ოჯახის სახეს. ოჯახური სიმტკიცის ზნეობრივი საფუძველი სიყვარული, ერთგულება და ურთიერთპატივისცემაა. ოჯახის სიმტკიცის აუცილებელ პირობა საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილ სიყვარულით ქორწინება მიაჩნია.

ტრადიციულად ოჯახში ქმარი ასრულებდა „მარჩენალის“ როლს, ხოლო ქალი ქმრის და ბავშვების მოვლით იყო დაკავებული. დღეს მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა, „ორთოდოქსალური“ ოჯახებიდან, სადაც ცოლი „სახლის დიასახლისია“ ქმარი კი „მარჩენალი“, მივედით თანამედროვე ოჯახებამდე, სადაც ორივე მეუღლე მუშაობს და ოჯახის მატერიალურ უზრუნველყოფას ორივე აგვარებს.

თანამედროვე საზოგადოებისთვის დამახასიათებელი „ეგალიტარული“ ოჯახი, რომელიც გულისხმობს ცოლ-ქმარს შორის საოჯახო მოვალეობების სამართლიან გადანაწილებას,

თითოეული პარტნიორის ინტერესებისა და საჭიროების გათვალისწინებას და თანაბარ პატივისცემას. საზოგადოებაში გამოკვეთილია დადებითი დამოკიდებულება იმისადმი, რომ მეუღლეები ოჯახში ყველა საკითხს შეთანხმებულად უნდა წყვეტდნენ (94,3%), მათ შორის ქალი რესპონდენტების 97,4%, ხოლო მამაკაცების 90,5%, თუმცა რეალურად რესპონდენტთა შორის ასეთი ოჯახები არც თუ ისე ბევრია.

საოჯახო პოლიტიკის მეთოდოლოგიური საფუძვლები

როგორც მრავალი ქვეყნის გამოცდილება მოწმობს, ქვეყნის დემოგრაფიული პრობლემების გადაჭრა მხოლოდ დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებით ნაკლებ ეფექტიანია, მასთან ერთად სრულიად ახალი საოჯახო პოლიტიკის გატარება დაიწყოს. საქმე ისაა, რომ მსოფლიოში ლიბერალური და დემოკრატიული პროცესების შემდგომმა განვითარებას აშკარად დაადასტურა ოჯახის ავტონომიურობისა და დამოუკიდებლად განვითარების აუცილებლობა, ამან კი, მანამდე არსებული სახელწიფო სოციალურ-დემოგრაფიული პოლიტიკისგან განსხვავებული საოჯახო პოლიტიკის შემუშავება მოითხოვა, იგი მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ოჯახის სახელმწიფო პროგრამების მეშვეობით, დამოუკიდებლად, ავტონომიურად გადაწყვიტა ოჯახის არა მხოლოდ დემოგრაფიული, კერძოდ, ოჯახში სასურველ ბავშვთა რაოდენობის ყოლა, არამედ სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და სხვა პრობლემები.

ბუნებრივია, ისევე როგორც დემოგრაფიული პოლიტიკას, საოჯახო პოლიტიკის შემუშავებს თავისი ეტაპები გააჩნია. ამ თვალსაზრისით პირველ ეტაპზე, მთავრობის პოლიტიკური ნებიდან გამომდინარე, აუცილებელია ქვეყანაში და კერძოდ, ოჯახში არსებული სოციალურ-დემოგრაფიული ქცევის მეცნიერულ დონეზე შესწავლა, რასაც

სპეციალური სოციოლოგიური, სტატისტიკური და დემოგრაფიული გამოკვლევა ესაჭიროება. მომდევნო ეტაპზე კი უკვე ხდება დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის ცალკეული მიმართულებების მიხედვით ღონისძიებების შემუშავება და დაფინანსების წყაროების მოძიება.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის, განსაკუთრებით კი ოჯახის დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემების გადაჭრა, როგორც სამართლებრივი, ასევე სოციალურ-ეკონომიკური და პროპაგანდისტული თვალსაზრისით, მაკრო, მეზო და მიკრო დონეზე არსებითად განსხვავებულ მიდგომებს მოითხოვს, დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის შემუშავებული ღონისძიებები, მათი ეფექტიანობის მიზნით, აუცილებელია კომპლექსურად ერთიანი სისტემის სახით იქნას გატარებული. ამასთან, დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდის თვალსაზრისით, მიკრო და მეზო დონეზე აუცილებელია სოციალური პოლიტიკის ცალკეული ღონისძიებების გატარება როგორც მთელ მოსახლეობაში, ასევე ცალკეულ სოციალურ-დემოგრაფიულ ჯგუფებში.

დემოგრაფიული პოლიტიკა ქვეყნის ხელისუფლების პოლიტიკურ ნებას წარმოადგენს და გენერალური მიზნიდან გამომდინარე, იგი შეიძლება გატარდეს შობადობის ზრდის, ასევე შემცირების მიმართულებით, რაც გულისხმობს შობადობის ოპტიმიზაციას ქვეყნის დემოგრაფიული განვითარებისთვის საჭირო დონეზე.

მოკვდაობის მიმართულებით, ნებისმიერი ქვეყნის დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის ძირითად მიზანს მისი შემცირება და მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა უნდა წარმოადგენდეს, სხვა შემთხვევაში ასეთი სახელმწიფოს არსებობა არაჰუმანურია და მას მსოფლის მაღალი საზოგადოება დაუპირისპირდება.

საოჯახო პოლიტიკის პროგრამული მიმართულებების ცალკეული ღონისძიებების შემუშავებისას უნინარესად გათვალისწინებული უნდა იქნას ოჯახის განვითარებაზე მოქმედი

ფაქტორები, რომელთა გათვალისწინებასაც დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის ეფექტიანობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ.

სახელმწიფო საოჯახო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს წარმოადგენს :

- სახელმწიფოობრიობა
- ოჯახის დამოუკიდებლობა და ავტონომიურობა საკუთარი განვითარებისთვის გადანაცვეტილებათა მიღებაში
- სახელმწიფო საოჯახო პოლიტიკის ეკონომიკური, სოციალური, სამართლებრივი და იდეოლოგიური ღონისძიებების არარეგლამენტურობა ოჯახის ქცევაზე, ოჯახის მიერ მხარდაჭერის ფორმების თავისუფლად არჩევის უფლება
- თავისუფალი არჩევანის საფუძველზე ოჯახის ყველა წევრის თანასწორუფლებიანობა მიუხედავად ეროვნულობის, რელიგიური მრწამსისა და სოციალური წარმოშობისა
- ყოველი ბავშვის ინტერესეთა თანაბარი პრიორიტეტი, მიუხედავად მათი დაბადების რიგითობისა, წარმომავლობისა და ოჯახში ცხოვრების სტაჟისა
- ქალთა და მამაკაცთა თანასწორობა, საოჯახო ვალდებულებებზე თანაბარი პასუხისმგებლობა
- ოჯახისა და სახელმწიფოს პარტნიორობა, სახელმწიფოს მიერ ოჯახის სოციალური უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველყოფა
- საოჯახო პოლიტიკის ერთიანობა და რეგიონალიზმი
- საოჯახო პოლიტიკის ღონისძიებათა თანმიმდევრულობა და სტაბილურობა

სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციათა კონკრეტულ მიზნობრივ პროგრამულ ღონისძიებათა სისტემის საფუძველზე შექმნას ოჯახის სპეციფიკურ ფუნქციათა აქტიური

თვითრეალიზაციის კეთილსასურველი პირობები. ოჯახის სოციალური უსაფრთხოების და სტაბილური განვითარებისთვის უზრუნველყოს ოჯახის წევრთა ღირსეული ცხოვრების დონე.

გენერალური მიზნიდან გამომდინარე, სახელმწიფო საოჯახო პოლიტიკის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

- ოჯახის ინსტიტუტის ფასეულობათა პროპაგანდა და მხარდაჭერა
- საოჯახო პოლიტიკის საკანონმდებლო ბაზის შექმნა
- ოჯახის ძირითად ფუნქციათა რეაბილიტაცია და მათი დამოუკიდებლად რეალიზაციის უზრუნველყოფა
- პიროვნულიდან ოჯახურ კეთილდღეობაზე გადასვლა, აქტიური და მოქნილი საოჯახო პოლიტიკით საბაზრო ეკონომიკას მისადაგებული ნეოტრადიციული ოჯახის ფორმირება
- საბაზრო ეკონომიკისადმი ოჯახის ცალკეული ტიპების ადაპტაციის ხელშეწყობა, ოჯახის თვითგანვითარების პოტენციალის სტიმულირება
- ოჯახის სოციალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო, მათ შორის რეგიონული პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია
- საქორწინ და საოჯახო ურთიერთობათა, რეპროდუქციულ, თვითმოვლით, აღმზრდელობით, კულტურულ და სხვა ფუნქციათა რეალიზაციისთვის ოჯახში სასურველი გარემოს ფორმირება
- პიროვნების სოციალურ-დემოგრაფიული თვითშეგნების განვითარება, ამ მიზნით ოჯახის დაგეგმვის მეთოდებისა და საშუალებების მუდმივი სრულყოფა
- მშობელთა და ბავშვთა პრობლემების მოგვარება, ბავშვთა გაშვილებისა და უზედამხედველო ბავშვთა მზრუნველობის საკითხთა სამართლებრივი და ინსტიტუციონალური რეფორმა
- ოჯახში სოციალური ანომალიების აღმოფხვრა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება

- საოჯახო პოლიტიკის სახელმწიფო სისტემის განვითარება, მასში არასამთავრობო ორგანიზაციების ფართოდ ჩართვით, სოციალური მუშაკის პროფესიის კადრების მომზადება

სახელმწიფო საოჯახო პოლიტიკის სტრატეგიული პროგრამისთვის აუცილებელია შემუშავდეს, საქართველოს საოჯახო პოლიტიკის საკანონმდებლო საფუძვლები, რომლებიც გაითვალისწინებს:

- საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე, ოჯახზე სოციალური პოლიტიკის ორიენტაციას. ამ მიზნით იურიდიულად უნდა გაფორმდეს საოჯახო პოლიტიკა როგორც სახელმწიფოს პრიორიტეტული მიმართულება. განისაზღვროს ამ სფეროში სახელმწიფო უსაფრთხოების ინდიკატორები
- მრავალპროფილიანი სოციალური მომსახურებისთვის ოჯახის მხარდამჭერ სოციალური სამსახურების ქსელების სამართლებრივ გარანტიებს
- ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე ცვლილებებს სოციალურ საკითხებზე საკანონმდებლო აქტებსა და ნორმატივებში
- ოჯახის სტატუსს (მრავალშვილიანი, ახალგაზრდა ა.შ)
- საოჯახო საკანონმდებლო კონცეფციას, თანამედროვე ცხოვრებისეული მოთხოვნების გათვალისწინებით

ოჯახის ეკონომიკური ფუნქციის აქტივაზიცია

- ოჯახის ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში კომლექსური ღონისძიებების გატარებით ხელი შეუწყოს ოჯახის საბაზრო ეკონომიკასთან ადაპტაციას.

ამ შემთხვევაში სახელმწიფოს სტრატეგიული პროგრამა გულისხმობს:

- სახელმწიფო და რეგიონული ეკონომიკური პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესში საოჯახო პოლიტიკის მიზნების გათვალისწინებას.

- საარესბო მინიმუმზე ნაკლები შემოსავლის მქონე ოჯახების ცხოვრების დონის ამაღლებას, შრომის ანაზღაურების, პენსიების, სტიპენდიების და დახმარებათა თანდათანობრივი ეტაპობრივი დაახლოება საარესბო მინიმუმთან.
- ოჯახის მიმართ საბაზრო ეკონომიკას მისადაგებული ახალი სოციალურ-ეკონომიკური რეალიზაციის მიზნით აუცილებელია საოჯახო ბიზნესის განვითარებისთვის ქვეყანაში საბანკო და სამომხმარებლო კრედიტის ფორმირება
- საოჯახო პოლიტიკის ეკონომიკური აქტივიზაციის მიზნები ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას საგადასახადო სისტემაში. მიზანშეწონილია ოჯახების მიმართ დიფერენცირებული საგადასახადო პოლიტიკის გატარება.
საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ოჯახის შიდა ეკონომიკურ საქმიანობას, რაც მისი კეთილდღეობის ზრდის მნიშვნელოვანი რეზერვი. ამ მიზნით საჭიროა:
 - საოჯახო ბიზნესისთვის კანონთა პაკეტის მომზადება.
 - უნდა შემუშავდეს რეგიონული მიზნობრივი პროგრამები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება ოჯახის ეკონომიკური აქტივიზაციის რეგიონული თავისებურებანი.
 - საოჯახო ბიზნესის განვითარებისთვის ოჯახის წევრთა პროფესიული მომზადების ფორმირება,
 - საოჯახო ბიზნესის რეგიონული პროგრამების შემუშავება.
 - ნედლეულისა და პროდუქციის მომარაგება - გასაღებისთვის ოჯახთშორისი სამეწარმეო კოოპერაციის ფორმირება.
 - კრედიტების გაცემა შინამეურნეობისთვის.
 - სოფლის მეურნეობაში ინვესტირებისა და დაკრედიტების თანაბრად, მარკეტინგულ მოღვაწეობასა და ფასების სტიმულირებაზე ყურადღების გამახვილება, რაც უზრუნველყოფს მოსავლიანობის ზრდასა და ოჯახური მეურნეობის განვითარებას.

- ინტრასტრუქტურის განვითარება. გარკვეულ სტიმულს წარმოადგენს საზოგადოებრივი ინტრასტრუქტურის განვითარება როგორც ქალაქად, ისე სოფლად, რაც ხელს შეუწყობს წვრილი ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებას.
- სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების გათავისუფლება გადასახადებისგან.

ოჯახის ჯანდაცვის მომსახურების გაუმჯობესება

მიზანია შეიტანოს ოჯახში ჯანმრთელობის დაცვის თვითმომვლითი ფორმა, უზრუნველყოს ცხოვრების ჯანსაღი წესი და შექმნას საბაზრო ეკონომიკას მისადაგებული ოჯახის სამედიცინო მომსახურების ახალი სისტემა.

- ჯანდაცვის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს ოჯახის სადაზღვევო პრინციპებმა.
- უნდა განვითარდეს ოჯახის ექიმის მომსახურების ფორმები
- ჯანდაცვის სისტემის პარტნიორული თანამშრომლობის გაფართოება კვების მრეწველობასთან, განათლებასთან, საპენსიო უზრუნველყოფასთან და ა.შ.

აღნიშნული პრიორიტეტების განხორციელებასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია სამედიცინო დახმარების სფეროში განხორციელდეს ცვლილებები შემდეგი მიმართულებით:

- გაფართოვდეს პირველადი დახმარების სამედიცინო სფერო და გახდეს იგი ოჯახის და ჯანდაცვის სისტემის პარტნიორობის საფუძველი.
- ადგილობრივი სამედიცინო დახმარების სფეროს განვითარება, რომელიც შეცვლის ხანგრძლივი ჰოსპიტალური მკურნალობის მეთოდებს.
- სამედიცინო ინსტიტუციური ბაზის ფორმირება და გაფართოება. საკანონმდებლო სფეროს აქტიური ზემოქმედება ისეთ ქცევებზე როგორც არის სიგარეტისა და სპირტიანი სასმელების

გამოყენება, მათი დაბეგვრის გაზრდა. საზოგადოებრივ ადგილებში სიგარეტის მოწევის აკრძალვა. შესაბამისი საზოგადოებრივი აზრის ფორმირება და ჯანსაღი ცხოვრების წესის ფართო პროპაგანდა.

- მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ოჯახის დაგეგმვის მეთოდების დანერგვას. აუცილებელია ამ მხრივ პროპაგანდის გაძლიერება, საკონსულტაციო სამსახურების შექმნა და ღარიბი ოჯახების უფასოდ უზრუნველყოფა კონტრაცეფციის საშუალებებით.

ოჯახის სოციალურ-კულტურული განვითარება

ოჯახის სოციალურ-კულტურული განვითარების მიზანია მომავალ თაობებში ეროვნული ტრადიციების შენარჩუნების ფონზე თანამედროვე სოციალურ და კულტურული ფასეულობათ შეინარჩუნება, ცალკეული ეროვნული ჯგუფების დაუბრკოლებელი კულტურული განვითარება და მათი ჩართვა თანამედროვე მსოფლიოსთან ინტეგრირებული ქართული კულტურის განვითარებაში, ასევე ოჯახის სიმტკიცის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება, ოჯახისა, სკოლისა და სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა აღზრდის პროცესში ისეთი პედაგოგიური ხერხების პრიორიტეტული გამოყენება, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოზარდის გლობალიზაციის მიმდინარე ეტაპზე მულტიკულტურულ გარემოში განვითარებას, ტოლერანტული ჩვევების ჩანერგვას, გაუადვილებენ მას არსებობასა და მოქმედებას თანამედროვე პირობებში.

ოჯახის სოციალურ-კულტურული განვითარების სტრატეგიულ პროგრამას წარმოადგენს:

- დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობა გარკვეულად ცვლის ტრადიციული ოჯახისთვის დამახასიათებელ ეროვნულ ფასეულობებს. ამ ცვლილებების ცვლილებების

ფონზე ეროვნული იდეალებისა და გლობალიზაციით მოტანილი მოდერნისტული მოთხოვნების შეხამებაში, ბავშვის სრულყოფილ პიროვნებად და მოქალაქედ ფორმირებასა და მის სოციალიზაციაში ოჯახს განსაკუთრებული როლი ეკისრება.

- ოჯახის ზემოთხსენებული როლის შესრულების წინაპირობას სახელმწიფო ქმნის. ამ კუთხით სწორედ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს იმ განსაკუთრებული მატერიალური, სოციალური და კულტურული პირობების უზრუნველყოფაზე, რომელთა ფარგლებში ოჯახი შეძლებს აღმზრდელობითი ფუნქციის წარმატებით რეალიზაციას. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მას-მედიაში აგრესიული რეკლამების შეზღუდვას, მავნე ჩვევების (ალკოჰოლის მოხმარება, თამბაქოს მოწევა, ძალადობის კულტი, სექსუალური აღვირახსნილობა) მიზანმიმართულ თუ უნებურ პროპაგანდას. განსაკუთრებული როლი უნდა მიენიჭოს ანტინარკოტიკული ღონისძიებების პროპაგანდას. აგრეთვე ქალაქსა თუ სოფლად იმგვარი სოციალურ-კულტურული პროექტების მიზანდასახულ განხორციელებას, რომლებიც მიმართული იქნება ერთიანი და მტკიცე ოჯახის დასაცავად.
- სკოლისა და ოჯახის პარტნიორულ ურთიერთობაში აქტიურად უნდა ჩაერთოს საზოგადოების სამოქალაქო სექტორი. თანამედროვე დასავლური კულტურისა და ტრადიციული ეროვნული ფასეულობების შეხამების საქმეში მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული არასამთავრობო ორგანიზაციების უნარი და გამოცდილება.
- მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ეკლესიისა და სახელმწიფო ორგანოების კოორდინაციას საოჯახო პოლიტიკის სფეროში. რელიგიური ქორწინებისათვის იურიდიული მნიშვნელობის მინიჭება დადებითად იმოქმედებს ოჯახის სიმტკიცეზე, სავარაუდოდ გამოიწვევს განქორწინებათა შემცირებას, უბიძგებს ოჯახის შექმნის ინიციატორებს მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ საკუთარი ოჯახის მომავალს.
- მომავალ თაობებში სოციალურ- კულტურულ ქცევათა ახლებური ფორმირების ეფექტიანი მექანიზმების წარმოქმნას ხელი უნდა შეუწყოს სკოლებსა და სხვა სასწავლო

დანესებულებებში ქორწინებასა და ოჯახთან დაკავშირებული დისციპლინების შემოღებამ. მოსალოდნელია, რომ მათ საფუძველზე გაადვილდება შედარებით მცირერიცხოვანი ეროვნული ჯგუფების ინტეგრირება დემოკრატიული საქართველოს ერთიან სამოქალაქო საზოგადოებაში.

- 21-ე საუკუნის ქართული ოჯახის მოდელი ინაირად უნდა განისაზღვროს, რომ ბავშვების ეროვნულ ტრადიციებზე აღზრდა და მათი შემდგომი სოციალიზაცია ბუნებრივად და ჰარმონიულად უნდა შეერწყას გლობალიზაციის ისეთ მოთხოვნებს, რომელთა თავიდან აცილება შეუძლებელია და რომლების საზოგადოდ განსაზღვრავენ საზოგადოებრივ პროგრესს დღევანდელ მსოფლიოში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი დაეკისრება მას-მედიასა და მეცნიერულად დამუშავებულ საგამანათლებლო პროგრამებს, რომლებშიც დიდი ყურადღება მიენიჭება მულტიკულტურალიზმის პრინციპებისა და ეროვნული იდეოლოგიის შემოქმედებითი შერწყმის მეთოდოლოგიასა და პროპაგანდას.

ოჯახისათვის საკონსულტაციო მომსახურებისა და სოციალური დახმარების სისტემის ფორმირება, რომლის მიზანია საკონსულტაციო მომსახურებისა (იურიდიული, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური და სხვა სახის) და სოციალური დახმარების ფორმების ფართო ქსელის შექმნა. სტრატეგიულ პროგრამას წარმოადგენს:

- ოჯახის საკონსულტაციო და სოციალური მომსახურების ფორმების განვითარების შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის დამუშავება.
- საკონსულტაციო სოციალური მომსახურების სისტემის განვითარების საფინანსო-ეკონომიკური ბაზით უზრუნველყოფა.

- საკონსულტაციო სოციალური მომსახურების სპეციალური სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია.
- მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური დახმარების სისტემის შექმნა.

არასამთავრობო ორგანიზაციების როლი საოჯახო პოლიტიკის გაძლიერებაში, მათი მიზანია ხელი შეუწყონ სახელმწიფო საოჯახო პოლიტიკის ღონისძიებათა რეალიზაციას მიკროდონებზე. გაუწიონ ოჯახს შესაბამისი მხარდაჭერა და საჭიროების შემთხვევაში პატრონაჟი.

- საოჯახო პოლიტიკის სისტემის ფორმირების პროცესში რეფორმის პირველივე ეტაპზე, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ძირითადი ყურადღება უნდა დაეთმოს სოციალურ დახმარებებს .
- მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთა სოციალური მუშაკები ახორციელებენ სოციალური პოლიტიკის რიგ მიმართულებებს.
- ორიენტაცია აღებული უნდა იყოს ექსპერტულ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარების მინიმალურ , მაგრამ მდგრადი მხარდაჭერის ფორმაზე.
- უნდა დაიხვეწოს მხარდაჭერის მექანიზმები და მასშტაბი.
- აქცენტი უნდა გაკეთდეს მხარდაჭერის ისეთ ფორმებზე, როგორც არის არასამთავრობო ორგანიზაციათა მიერ კონსულტაციური და ფსიქოლოგიური დახმარება, ქმედითუნარდაქვეითებული ოჯახის წევრთა რეაბილიტაცია საზოგადოებრივი ადაპტაციის მიზნით, დამატებითი სწავლება, კვალიფიკაციის შეცვლა, შრომითი მონაწილეობა, დახმარება თვითდასაქმებაში და ინვესტიციების მობილიზება.

განსაკუთრებულ პირობებში მყოფი ბავშვების მხარდაჭერა

მიზანია ასეთი კატეგორიის ადამიანების - ინვალიდი, ობოლი, იძულებით გადაადგილებულ ოჯახთა და უზედამხედველო ბავშვების მიმართ სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციათა მხარდმჭერი და პატრონაჟის საოჯახო პოლიტიკის პროგრამათა რეალიზაცია.

განსაკუთრებულ პირობებში მყოფი ბავშვებისთვის მხარდამჭერ სტრატეგიულ პროგრამას წარმოადგენს:

- ინვალიდი ბავშვების დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების პირობების შექმნა.
- ინვალიდი ბავშვების სოციალური, ფსიქოლოგიური და პედაგოგიური რეაბილიტაციის შესაძლებლობათა გაუმჯობესება.
- ინვალიდი ბავშვების უზრუნველყოფა ტექნიკური და თვითმომსახურების შემამსუბუქებელი საშუალებებით.
- ფიზიკურად შეზღუდულ მომუშავე კადრების კვალიფიკაციის ამაღლება.
- ბავშვთა ინვალიდობის საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემის შექმნა და მეცნიერული გამოკვლევების ორგანიზება.
- ინვალიდი ბავშვებისთვის საჭირო დანესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა.
- ოკუპაციური თერაპიის დანერგვა და გავრცელება.

ობოლი ბავშვები

- ობოლ და მშობლების ზრუნვას მოკლებულ ბავშვთა მოქალაქეობრივი ჩამოყალიბებისა და სოციალური თვითრეალიზაციისათვის სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული პირობების შექმნა.
- ობოლი და მშობლების ზრუნვას მოკლებული ბავშვების ბავშვთა სახლებითა და სკოლა-ინტერნატებით უზრუნველყოფა.
- ობოლი და მშობლების ზრუნვას მოკლებული ბავშვებისათვის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის გაფართოება. მათი სულიერ-ზნეობრივი, ინტელექტუალური და შემოქმედებითი პოტენციალის ამაღლება.
- ბავშვთა სახლების აღზრდილების დასაქმება და შრიმითი აქტივობისთვის ხელშეწყობა.

იძულებით გადაადგილებულ ოჯახთ ბავშვები

- იძულებით გადაადგილებულ ბავშვთა ნორმალური და ჰარმონიული ფიზიკური, ფსიქოლოგიური, საგანმანათლებლო და კულტურული განვითარების პირობების შექმნა.
- იძულებით გადაადგილებული ბავშვებისთვის ნორმალური სანიტარული პირობების შექმნა და მათი ჯანმრთელობის დაცვა.
- იძულებით გადაადგილებული ბავშვებისათვის დასვენებისა და გაჯანსაღების კერების ორგანიზება.

უზედამხედველო ბავშვები

- უზედამხედველო ბავშვების უზედამხედველობა და სამართალდარღვევის პროფილაქტიკა, მათი სოციალური რეაბილიტაციის კომპლექსურად გადანყვეტა, მოქალაქეობრივი

ჩამოყალიბებისა და სოციალური თვითრეალიზაციისათვის სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული პირობების შექმნა.

- უზედამხედველო ბავშვების ბავშვთა სახლებითა და სკოლა ინტერნატებით უზრუნველყოფა.
- ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესება.
- უზედამხედველო ბავშვებისათვის საგამანათლებლო დაწესებულებების ქსელის გაფართოება. მათი სულიერ-ზნეობრივი, ინტელექტუალური შემოქმედებითი პოტენციალის ამაღლება.

საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია

საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული უსაფრთხოების შესახებ, რომელიც შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის და საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების თანახმად, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული მდრადი განვითარებისთვის 2030 წლის დღის წესრიგის მიზნების, ამოცანებისა და პრინციპების, შესაბამისად. ეს კონცეფცია განსაზღვრავს საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკის მიზნებს, ამოცანებს, პრინციპებსა და ძირითად მიმართულებებს. იგი არის ორიენტირი საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებებისთვის.

დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფციის ძირითადი მიზნები და ამოცანებია:

- არსებული დეპოპულაციისა და ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების შეჩერება. შობადობის სტაბილიზება, მოკვდაობის დონის შემცირება.
- ქორწინების სტიმულირება. ოჯახის სოციალური დაცვის უზრუნველყოფა და ოჯახში შობადობის ზრდის მატერიალური და მორალური სტიმულირება, ოჯახის ინსტიტუტის გამყარება.

- მოსახლეობის ჯანმრთელობის, მათ შორის რეპროდუქციული ჯანმრთელობის გაუმჯობესება.
- მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდა და სხვა.

როგორ ვნახეთ დემოგრაფიული უსაფუძვლების კონცეფცია ძალიან მრავალ და საინტერესო ასპექტს მოიაყვას მაგრამ მე ყურადღებას გავამახვილებ უფრო მეტად იმ თემებზე, რომლებიც უშუალოდ კავშირშია საოჯახო პოლიტიკასთან. ერთერთი ასეთია **სოციალურ-დემოგრაფიული პოლიტიკის სტრატეგია**, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-დემოგრაფიულ პროცესებსა და ოჯახის განვითარებაზე მოქმედ პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, ეთნიკურ, რეგიონულ და სხვა ფაქტორთა ანალიზიდან გამომდინარეობს და წარმოადგენს ქვეყნის სოციალურ-დემოგრაფიული და ოჯახის სტაბილური განვითარების კანონზომიერებათა შესახებ მეცნიერულად დასაბუთებულ შეხედულებათა სისტემას. იგი ითვალისწინებს საქართველოს სოციალურ-დემოგრაფიული განვითარების და ოჯახის სტაბილურობის სტრატეგიულ მიზნებს და ამოცანებს მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში.

იგი სამ ურთიერთგანმაპირობებელ - სოციალურ, დემოგრაფიულ და საოჯახო პრობლემათა გადანყვეტას გულისხმობს და ამდენად, წარმოგვიდგება, როგორც კომპლექსურ ღონისძიებათა ერთიანი სისტემა.

სოციალურ-დემოგრაფიული პოლიტიკის ერთიანი სისტემის მიზნები მრავალფეროვანია და იგი შეიძლება გატარებულ იქნეს, როგორც:

1. უშუალოდ დემოგრაფიული პროცესების გაუმჯობესებისაკენ და ოჯახის სტაბილურობისაკენ პირდაპირ მიმართული პოლიტიკა.
2. სხვადასხვა მიზნით გატარებული , მაგრამ სასურველი ან შესაძლებელი სოციალურ-დემოგრაფიული შედეგების მიღებისაკენ გათვალისწინებული პოლიტიკა (სოციალურ-

დემოგრაფიული ჯგუფების აქტივიზაცია, ქორწინებათა ზრდა, განქორწინებათა შემცირება, ავადობათა და მოკვდაობის შემცირება და ა.შ.).

3. ყოველგვარი განსაკუთრებული დემოგრაფიული მიზნების გარეშე გატარებული, მაგრამ სოციალურ და საოჯახო სფეროში მნიშვნელოვანი შედეგების მომტანი პოლიტიკა (მრავალშვილიანთა, მარტოხელების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, უზედამხედველო ბავშვების პრობლემათა მოგვარება და ა.შ.).

ასეთი მიდგომით სოციალურ-დემოგრაფიული პოლიტიკა მიმართულია როგორც მთლიანად მოსახლეობაზე, ისე მის ცალკეულ სოციალურ-დემოგრაფიულ ჯგუფზე, ოჯახზე და ინდივიდზე. ასეთი სახით იგი წარმოგვიდგება, როგორც დემოგრაფიულ პროცესთა მართვის ხელშეწყობი და ამასთან მნიშვნელოვანი სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, პრონატალური და სხვა სახის ღონისძიებათა კომპლექსის ერთიანი სისტემა. იგი განსაზღვრავს და ხელს უწყობს ოჯახის სტაბილიზაციას და ქვეყანაში სოციალურ-დემოგრაფიული კლიმატის ფორმირებას.

2030 წლამდე პერიოდში საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად სამიზნედ უნდა იქცეს:

- 2030 წლამდე პერიოდში მოსახლეობის რიცხოვნობის 4,5 მილიონამდე სტაბილიზაცია,
- დედათა სიკვდილიანობის და ჩვილთა მოკვდაობის არანაკლებ ორჯერ შემცირება. მოსახლეობის რეპროდუქციული ჯანმრთელობის განმტკიცება, ბავშვებისა და მოზარდების გაჯანსაღება.
- მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და განმტკიცება, აქტიური ცხოვრების ხანგრძლივობის ზრდა, ცხოვრების ჯანსაღი წესის გავრცელებისთვის პირობების შექმნა და მოტივაციის ჩამოყალიბება, სოციალურად მნიშვნელოვანი და გარემომამყოფთათვის საშიში

ავადმყოფობების დონის საგრძნობი შემცირება, ქრონიკულ დაავადებების მქონე ადამიანთა და ინვალიდთა ცხოვრების დონის გაუმჯობესება.

- ოჯახში მესამე და შემდგომი რიგითობის ბავშვის გაჩენის ხარჯზე შობადობის დონის (შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი 2,5-მდე) გაზრდა.
- ოჯახის ინსტიტუტის განმტკიცებას, ოჯახურ ურთიერთობათა სულიერ-ზნეობრივი ტრადიციების აღორძინება და შენარჩუნება.

დემოგრაფიული უსაფრთხოების პოლიტიკის ამოცანების გადასაწყვეტად საჭიროა:

- მოხდეს მშობლების შრომის პროფესიულ შრომასთან გათანაბრება, ე.ი. სახელმწიფომ, ოჯახში ბავშვების რიცხვის შესაბამისად, მათ აღმზრდელ დედას ან მამას აუნაზღაუროს საარსებო მინიმუმით გათვალისწინებული მინიმალური ხელფასი. ასეთ შემთხვევაში მოხდება ადამიანის „ოჯახური კარიერის“ უფლებრივი რეალიზება.
- „ ეკონომიკა გახდეს დემოგრაფიული“. ე.ი. სახელმწიფომ, სოციალურ-ეკონომიკური გაანგარიშებების საფუძვლად აიღოს რამდენიმეპილიანი (უმჯობესია სამპილიანი), სრული ოჯახი.
- გაძლიერდეს ბავშვიანი ოჯახებისათვის სახელმწიფო დახმარება, ოჯახებისთვის ბავშვების აღზრდაში დახმარების ჩათვლით, რისთვისაც აუცილებელია ბავშვის გაჩენასა და აღზრდასთან დაკავშირებით გაცემული დახმარებათა სისტემის განვითარება.
- გაძლიერდეს ბავშვიანი ოჯახებისთვის დამატებითი სახელმწიფო დახმარების მასტიმულირებელი როლი. ამასთან დაკავშირებით, გაფართოვდეს ბავშვებისთვის საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრისა და ბავშვიანი ოჯახებისათვის ხელმისაწვდომი ბინათმშენებლობის მასშტაბი.
- შეიქმნას ბავშვიანი არასრული და მცირემემოსავლიანი მრავალპილიანი ოჯახების, მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვების აღსაზრდელად ამყვანი და

აგრეთვე ინვალიდ-ბავშვებიანი ოჯახებისთვის დამატებითი დახმარების განწესების მექანიზმები, მომუშავე მშობლებისთვის ოჯახის შემოსავლისა და ბავშვების რაოდენობის შესაბამისი საგადასახადო შეღავათების სიდიდის ცვლილების ჩათვლით, განსხვავებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის დასაწესებულებების მიერ ბავშვიანი ოჯახებისთვის სოციალური მომსახურების სახელმწიფო დაკვეთების ფორმირება.

- მოხდეს სკოლამდელი ორგანიზაციების ყველა ფორმის (სახელწიფო, კერძო) განვითარების საფუძველზე სკოლამდელი განათლების მომსახურებაზე ოჯახები მოთხოვნის დაკმაყოფილება, მათი მომსახურების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის ამაღლება, მათ შორის განუღო მომსახურებაზე მიღებული სტანდარტები საფუძველზე, ბავშვების ასაკის მიხედვით მათ მოვლასა და აღზრდაზე მომსახურების განწესის მოქნილი ფორმების განვითარების სტიმულირება.
- ბავშვიანი ოჯახებისთვის ქალაქებსა და სოფლებში ხელსაყრელი საცხოვრებელი გარემოს შექმნა, ქალაქმშენებლობის, აგრეთვე სოციალურ და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ გადანაცვებებებთან შესაბამისი მოთხოვნების დაწესების ჩათვლით.
-

ოჯახის შექმნის, შობადობის განვითარებისა და ბავშვთა კეთილდღეობის სფეროებზე საქართველოს მთავრობის სხვადასხვა ღონისძიებების გავლენის მუდმივი მონიტორინგი

მოსახლეობის სტრუქტურა და განვითარება თანმიმდევრული და ეფექტიანი დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებაზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, სასურველია სოციალურ პოლიტიკასა და პროგრამებში მოსახლეობის დინამიკისა და შობადობის განვითარების მენისტრინგის განხორციელება.

ოჯახის შექმნის, შობადობის განვითარებისა და ბავშვთა კეთილდღეობის სფეროებზე საქართველოს მთავრობის და სხვადასხვა ღონისძიებების გავლენის მუდმივი მონიტორინგის პრიორიტეტებია:

ა) შობადობის განვითარების რეგულარული მონიტორინგი მოსახლეობის აღწერის მონაცემებისა და სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის გაუმჯობესებული სისტემის მეშვეობით.

ბ) შობადობასა და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის (როგორებიცაა შრომის ბაზრის რეგულაციები, საბინაო პოლიტიკა და სხვა) შესაძლო გავლენის მონიტორინგი და შეფასება.

გ) შესაბამის პოლიტიკასა და პროგრამებში შობადობისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მენისტრიმინგი.

მართლმადიდებლობა და ოჯახი

საინტერესოა მართლმადიდებლობის როლი და დამოკიდებულება ქორწინებასა და ოჯახისადმი. მითუმეტეს როცა ძალიან რთულ ეპოქაში გვინვეს ცხოვრება თითოეულ ჩვენგანს, გლობალიზაციამ თავისი დადებითი თუ უარყოფითი მხარეებით ყველას კარებთან დააკაკუნა და ნებსით თუ უნებლიედ ყველა ადამიანი ჩაერთო ამ პროცესში.

გლობალიზაციის პროცესში ჩართული ოჯახის მოდერნიზაციის ფონზე გარდამავალი ეკონომიკის და ღარიბ ქვეყნებში, უცხოეთიდან შემოსული ქცევის ახალი ნორმების გავლენით, თანდათან უნიფიცირებას განიცდის ეროვნული ტრადიციები და ერისთვის დამახასიათებელი სოციალურ-კულტურული ქცევა. ამასთან, სოციალურ-კულტურული

ფასეულოებები შედარებით ნელა იცვლება იქ სადაც რელიგიის გავლენა ძლიერია. ეს უკანასკნელი ასევე არსებით გავლენას ახდენს „ბავშვების ყოლის მოთხოვნილებაზე“ და მის რეალიზაციაზე.

ერის სოციალურ-დემოგრაფიულ პრობლემებზე სამსჯელოდ, 2007 წლის ოქტომბერში, საქართველოს საპატრიარქოს საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის დემოგრაფიულ კომისიაში, თვით სრულიად საქართველოს პატრიარქის ილია II-ს ინიციატივით გაიმართა შეხვედრა, შეხვედრას ესწრებოდნენ როგორც სასულიერო პირები, მეცნიერ-მუშაკები და საზოგადოების სხვა წევრები. შეხვედრის მონაწილეებმა თავიანთ გამოსვლაში ხაზი გაუსვეს ქვეყანაში შექმნილ მძიმე სოციალურ-დემოგრაფიულ ვითარებას და იმსჯელეს თუ როგორ უნდა შევეწყოთ ხელი შობადობის გაზრდას, ოჯახის ინსტიტუტის განმტკიცებას და ზოგადად სოციალური და დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებას, რაშიც უმთავრესი როლი ენიჭება სახელმწიფოს.

ამ შეხვედრაზე მიიღეს ერთერთი ყველასთვის ცნობილი გადაწყვეტილება რომ მესამე და ყოველ მომდევნო შვილს მშობლების თანხმობის შემთხვევაში მონათლავდა უწმინდესი პატრიარქი.

ამ მონოდებამ, როგორც მომდევნო წლებში გამოჩნდა, საზოგადოების, ოჯახისა და პიროვნების ფასეულობათა ორიენტაციებში, ცხოვრების დონის და მატერიალური მდგომარეობის მიუხედავად, წინა პლანზე წამოწია მესამე და შემდგომი რიგითობის ბავშვის ფასეულობა.

მართლმადიდებლური რელიგია განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ქორწინების, ოჯახისა და მეუღლეთა ურთიერთობისადმი, ოჯახური ცხოვრების წესი ადამიანური ყოფიერების წესია. „დაუტეოს კაცმან მამაი თვისი და დედაი თვისი და შეეყოს ცოლსა თვისსა, და იყვნენ ორივე იგი ერთ ხორც, ვითარმედ არღარა არიან ორ, არამედ ერთ ხორც“

ნათქვამია მათეს სახარებაში. როგორც უწმინდესი პატრიარქი ილია II ბრძანებს ოჯახი არის ერის, სახელწიფოს და საზოგადოების მთავარი ქვაკუთხედი. იგი პატარა სახელმწიფოა, ქრისტიანული გაგებით კი „მცირე ეკლესია“. ქრისტიანობა ქორწინებას ერთერთ საიდუმლოდ მიიჩნევს, ეს არის საიდუმლო არა მხოლოდ ადამიანური, არამედ ღვთიური სიყვარულისა. ოჯახური ცხოვრება ქრისტიანული ღვანლია, გზაა სულის ხსნისა, რადგან იგი გულისხმობს არა მარტო ერთად ცხოვრებას, არამედ ერთმანეთისთვის ცხოვრებას, ჭეშმარიტი ქრისტიანული ოჯახისთვის მარტო სიყვარული და ერთმანეთისკენ სწრაფვა არ არის საკმარისი. ოჯახი მოწოდებულია იქცეს „მცირე ეკლესიად“, მარადიული სიყვარულის ცოცხალ ხატად, რომელშიც ღვთის ცნებებს იცავენ და თაობიდან თაობას გადასცემენ (2014 წლის საშობაო ეპისტოლე).

„ ქრისტიანული წესით კაცმა და ქალმა, რომელთაც ერთიმეორე აირჩიეს საუკუნო ამხანაგად და სურთ იყვნენ მეუღლეებად, ჯვარი უნდა დაიწერონ, ჯვარდაუნერელობა კი სჯულის წინააღმდეგია.“

ჩვენს ქვეყანაში საეკლესიო ქორწინება ჯერ კიდევ არ არის გათანაბრებული იურიდიულ ქორწინებასთან, ამასთან სულ უფრო და უფრო იკიდებს ფეხს თანაცხოვრების ინსტიტუტი. ისევ უწმინდესის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ: „ თანამედროვე ცხოვრებაში ოჯახურ ფასეულობებს ენაცვლება მხარეთა მერკანტილური ინტერესები. ე.წ პარტნიორული ურთიერთობები, რომელსაც თან სდევს ქორწინების გარეშე ცხოვრების სხვადასხვა ფორმები. მეცნიერულ-ტექნიკურმა წინსვლამ კი ისეთი მძიმე ეთიკური საკითხები დააყენა დღის წესრიგში, როგორიც მანამდე არ სმენია კაცობრიობას არასოდეს“ ნათქვამია 2014 წლის საშობაო ეპისტოლეში.

როგორც გამოკვლევები გვიჩვენებს, ევროპაში იურიდიული რეგისტრაციის გარეშე ერთობლივი ცხოვრების ძირითად მიზეზად მიჩნეულია სქესობრივი ურთიერთობის ნორმების მკვეთრი ცვლილება. დღეს ის მორალური იმპერატივი, რომ სქესობრივი

ურთიერთობისა და ბავშვის გაჩენას წინ უნდა უძღოდეს ქორწინება, მნიშვნელობას კარგავს. ბევრი წყვილისთვის თანაცხოვრება, მართლაც ქორწინების პრელუდია ხდება . თუმცა სტატისტიკის მიხედვით, მათი მხოლოდ 50% ქორწინდება საბოლოოდ. მათ შორის კი ქორწინებაში ზუსტად იმდენივე რჩება , რამდენიც ყოველგვარი წინასწარი თანაცხოვრების გარეშე დაქორწინდა. თანამცხოვრებელთა 10% რჩება ბოლომდე ერთად ქორწინების გარეშე. ასეთი წყვილებისთვის თანაცხოვრება ქორწინების გრძელვადიანი ალტერნატივაა იმ სოციალური ინსტიტუტების ჩართვის გარეშე, რაც ქორწინებას აკანონებს.

დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მიერ 2013 წელს ჩატარებულმა გამოკვლევამ გამოავლინა, რომ ოჯახურ-ქორწინებით ურთიერთობებს შორის თანაცხოვრების ინსტიტუტისადმი ჩვენს საზოგადოებაში ლოიალური დამოკიდებულება გაძლიერდა. ასეთი ქმედება სულ უფრო დასაშვები ხდება. მნიშვნელობას კარგავს წყვილის ქორწინების გარეშე ცხოვრების ნეგატიური პოზიციის დაცვა. რესპონდენტების უმრავლესობა (53%) თვლის რომ წყვილს შეუძლია ქორწინების გარეშეც იცხოვროს ერთად.

ამ საკითხებისადმი მართლმადიდებელ მორწმუნეთა დამოკიდებულება ამგვარია: მათი უმრავლესობისთვის მიუღებელია თანაცხოვრება და მიაჩნიათ, რომ საეკლესიო ქორწინება სახელმწიფოს მხრიდან უნდა იყოს იურიდიულად აღიარებული .

მართლმადიდებლური რელიგია დიდ ყურადღებას უთმობს მშობლების და შვილების ურთიერთობას. ამ საკითხზე ხშირად ამახვილებს ყურადღებას მისი უწმინდესობა თავის ქადაგებებში. იმ ათ მცნებას შორის, რომელთა დაცვაც აუცილებელია ყველა მართლმადიდებლისთვის. ერთერთი სწორედ ამ საკითხს ეხება, „ პატივი ეცი მამასა და დედასა შენსა, რაითა კეთილ გეყოს შენ და დღეგრძელ იყვნე ქვეყანასა ზედა“. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა რომ საქორწინო პარტნიორს სიყვარულით, საკუთარი ნების გამოხატვით ირჩევს ადამიანი, გამოკითხული ადამიანების 42,8 % თვლის რომ მშობლის თანხმობა აუცილებელია.

ქორწინება დასაბამს აძლევს ცოლქმრულ კავშირს, მათ ურთიერთობებს და პასუხისმგებლობას ერთმანეთის, შვილების, გარემომცველი ადამიანებისა და საზოგადოების მიმართ. მართლმადიდებლობა აყალიბებს ამ ურთიერთობის მარეგულირებელ ზნეობრივ წესებსა და მოთხოვნებს, რომელთა დაცვაც აუცილებელია თითოეული მორწმუნისათვის. ერთერთი არის მეუღლეთა ერთგულება.

მართლმადიდებლური ეკლესია გვასწავლის, რომ მეუღლეები ერთმანეთს სიყვარულით უნდა ემსახურონ, თუმცა იერარქია ყოველთვის უნდა იყოს დაცული. სახარებაში ვკითხულობთ „ცოლნი დაემორჩილენით თვისთა ქმართა , ვითარცა უფალსა, რამეთუ არს ქმარი ცოლისა, ქმართა გიყვარდეთ ცოლნი თვისნი, ვითარცა ქრისტემან შეიყვარა ეკლესია, და თავი მისცა მისთვის“. ის რომ მამაკაცი თავია ოჯახის, ეს არ ნიშნავს მის ბატონობას, არამედ მის მსხვერპლშენიერულ მსახურებას, მის პასუხისმგებლობას ცოლისა და შვილებისადმი. იგია მათი დამცველი, მომპოვებელი პურისა და ამასთან ღვთისმსახური თავისი სახლისა. ქალი პასუხისმგებელია სახლზე, მისი წევრებისათვის ზრუნვაზე, შვილების აღზრდაზე. იგი ღვთის მცნებების გათვალისწინებით უნდა დაემორჩილოს ქმარს, თუნდაც რომ ერთი შეხედვით ამის განხორციელება შეუძლებელი იყოს, რადგან ამით აღასრულებს უფლის ნებას, თუმცა ეს არ ნიშნავს ცოდვასა და არასწორ ქმედებაში მორჩილებას (2014 წლის საშობაო ეპისტოლე).

დღეს ბევრს ლაპარაკობენ გენდერულ თანასწორობაზე, ქალისა და მამაკაცის თანაბარ როლზე. ქრისტიანულ სწავლებაც ეთანხმება მოსაზრებას რომ საზოგადოებაში როგორც მამაკაცის, ისე ქალის როლი ძალზედ მნიშვნელოვანია, წმინდა პავლე მოციქული გვამცნობს რომ, „ არა არს რჩევა მამაკაცისა, არც დედაკაცისა, რამეთუ თქვენ ყოველნი ერთ ხართ ქრისტე იესუს მიერ“. მამაკაცებს მოუწოდებს უფალი: „ქმარი ეგრეთვე თანამკვიდრ ეყვენით შენდობით, ვითარსა უძღუერესსა ჭურჭელსა, დედათა მისცემდით პატივსა, ვითარცა

თანამკვიდრთა მადლისა ცხოვრებისაითა, რაითა არა დაბრკოლდებოდინ ლოცვასა თქვენსა“.

დემოკრატიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულმა კვლევამ ოჯახის უფროსის ინსტიტუტისადმი მორწმუნეთა დამოკიდებულების შესასწავლად, გვაჩვენა რომ ის თანდათან კარგავს მნიშვნელობას. თუ 2004 წელს ოჯახის უფროსის ინსტიტუტს ემხრობოდა რესპონდენტთა 76% , 2015 წელს მათი რიცხვი საკმაოდ შემცირდა და 35 % შეადგინა. საკითხისადმი დამოკიდებულება შეიცვალა ორივე სქესის წარმომადგენლებში, მაგრამ მკვეთრად გაიზარდა იმ ადამიანების რაოდენობა რომელთაც არ აქვთ გამოკვეთილი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით. სახეზეა ავთორიტარული ოჯახიდან, სადაც გადანყვეტილებას ერთი პიროვნება იღებს, გადასვლა დემოკრატიულ ოჯახზე, სადაც გადანყვეტილების მიღება ოჯახის წევრებს შორის შეთანხმებით ხდება.

თანამედროვე ოჯახში გაიზარდა მამაკაცის ოჯახური მოვალეობები. ცოლ-ქმარს შორის ოჯახური პასუხისმგებლობის თანასწორი განაწილება ხდება . მკვიდრდება ოჯახის იმგვარი ტიპი, სადაც მეუღლეები ოჯახში ყველა საკითხს ურთიერთშეთანხმებით უნდა წყვეტდნენ, ცოლ-ქმრის შემოსავალი მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით უნდა დაიხარჯოს, ქალსა და მამაკაცს ერთნაირი წვლილი უნდა შეჰქონდეთ საოჯახო საქმიანობაში, ქმარმა იმდენივე დრო უნდა დაუთმოს ბავშვის აღზრდას, რამდენიც ცოლმა.

ოჯახის სიმტკიცის განმსაზღვრელი ფაქტორები

ერთერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა რომელიც კაცობრიობისა წინაშე დგას, ოჯახის პრობლემაა, რომელიც იმის გარკვევას გულისხმობს, თუ როგორი ურთიერთობა უნდა არსებობდეს მეუღლეთა, ისე მშობლებსა და შვილებს შორის.

სტატისტიკური მონაცემებით გაზრდილია განქორწინების მაჩვენებელი, ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია ნულიდან ათ წლამდე ხანგრძლივობის ქორწინებებში, განსაკუთრებით კი ერთ წლამდე ასაკის ხანგრძლივობის ქორწინებებში. ამ მიზეზების შესწავლა ღრმა და საფუძვლიან კვლევას საჭიროებს.

ოჯახი ქცევის მდგრად და ურთიერთქმედების ნიმუშებ ემყარება. ურთიერთობას ოჯახის წევრთა შორის განსაზღვრავს წევრთა გრძნობები და მდგომარეობა, აღზრდის მეშვეობით გადმოცემული ტრადიცია, სამართალი და რელიგიის მცნებები.

ქრისტიანული რელიგია ოჯახის სიმტკიცის ზნეობრივ საფუძველს ცოლ-ქმრულ ერთგულებას, ურთიერთსიყვარულსა და ურთიერთპატივისცემაში ხედავს. „ვიდოდეთ სიყვარულით“.

მეუღლეთა ურთიერთობას განსაზღვრავენ გარეგანი და შინაგანი ძალები. აღზრდის მეშვეობით გადმოცემული ტრადიცია, სამართალი, რელიგიური წეს-ჩვეულებები, ყველა ეს ძალა ხელს უწყობს ოჯახის შეკავშირებას გარედან. შინაგანი ძალები კი წარმოიშობიან პირადი მოთხოვნებით, მიდრეკილებით, გრძნობებით, მისწრაფებებით. ოჯახი მდგრადია და კონფლიქტებიც ნაკლებადაა იქ, სადაც მეუღლეებს საერთო ზნეობრივი იდეალები, საერთო გემოვნება და მისწრაფებები, რაც ოჯახური ურთიერთობისას ხანისთვის მსგავსება - თანხმობაში გადაიზრდება, ეს კი განამტკიცებს სიყვარულს. ოჯახის შემაკავშირებელი გარეგანი ფაქტორები რელიგიურ და ეროვნულ ერთგვაობას გულისხმობს. რადგან ამ შემთხვევაში სოციალიზაციის გზით ერთნაირი ზნეობრივი ნორმების, ფასეულობების, ქცევის ნორმების შეთვისება ხდება.

მართლმადიდებლური ეკლესია სათუთად უფროსილდება ოჯახის სიმტკიცესა და ერთიანობას: „ან უკუ რომელნი, იგი ღმერთმან შეაუღლნა, კაცი ნუ განაშორებს“ ნათქვამია მათეს სახარებაში.

დასკვნა

და ბოლოს დასკვნის სახით შემიძლია ვთქვა, რომ საოჯახო პოლიტიკა ერთერთი ძირითადი და მნიშვნელოვანია სახელმწიფო გაძლიერებისთვის, ვინაიდან თითოეული ოჯახის გაძლიერება და განვითარება ქვეყნის, მთლიანი სახელმწიფოს განვითარების საწინდარია.

საერთოდ სახელმწიფო ამა თუ იმ ფორმით, მეტ-ნაკლებად ყოველთვის ზემოქმედებდა დემოგრაფიულ პროცესებზე. მოცემულ შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება იმას თუ როგორ არის დემოგრაფიული პროცესები გაცნობიერებული თვით სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ჯგუფების, ოჯახისა და პიროვნების მიერ. აქ ძირითადი ისაა თუ რა მიზანს და ამოცანას ისახავს ეს პოლიტიკა მეგა, მაკრო, მეზო და მიკრო დონეზე.

მეგა გულისხმობს მსოფლიო დონეზე მიღებული აუცილებელი არ არის შეესაბამებოდეს სახელმწიფოს ეროვნულ დემოგრაფიული უსაფრთხოების ინტერესებს.

შეიძლება გამოვყოთ დემოგრაფიულ პროცესებზე სოციალური გავლენის იერარქიული დონეები და დემოგრაფიულ პოლიტიკის სუბიექტები მაკრო დონეზე - საზოგადოება, მეზო დონეზე - საზოგადოებრივი ჯგუფები, ხოლო მიკრო დონეზე - ოჯახი და პიროვნება.

მაკრო და მეზო დონეზე მიღებული გადაწყვეტილების მიზნები უნდა შეესაბამებოდეს მიკრო დონეზე - ოჯახისა და პიროვნების ინტერესებს. მხოლოდ სამივეს ინტერესთა შეთანხმებით შეიძლება მივალწიოთ თაობათა განახლების საზოგადოებრივად საჭირო ბავშვთა რაოდენობის თანდათან ეტაპობრივ მიახლოებას მიკრო დონეზე.

საოჯახო პოლიტიკის რეალიზაციაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სახელმწიფო ინსტიტუტებთან ერთად განსაკუთრებული წვლილის შეტანა შეუძლია ეკლესიას და არასამთავრობო ორგანიზაციებს. ყურადღება უნდა გამახვილდეს და გაძლიერდეს ოჯახის მხარდამჭერი პროგრამები რათა თითოეულ ოჯახში აღზრიდილი ბავშვები მეტნაკლებად სრულყოფილად იყვნენ სოციალიზებული და დანარჩენ საზოგადოებაში და ჰქონდეთ ჯანსაღი დამოკიდებულება დანარჩენი საზოგადოების წევრების მიმართ.

როგორც ძირითად ნაწილში ვახსენეთ ოჯახებში ბავშთა ყოლის მოთხოვნილება ნელნელა მცირდება, ამის ერთერთ მიზეზად ურბანიზაცია სახელდება და სხვადასხვა თანამედროვე მისწრაფებები და ინტერესები რაც უჩნდება თანამედროვე ადამიანს და ის შემდგომ ნაკლებად არის დაინტერესებული წმინდა ოჯახური ცხოვრებით და რამდენიმე შვილის ყოლის სურვილი დღითდღე უქვეითდებათ საზოგადოების წევრებს. შედეგები კი მძიმედ აისახება ჩვენს ქვეყანაზე და უარყოფით გავლენას ახდენს მის სამომავლო განვითარებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ახალაია ნ. „მოსახლეობის რეპროდუქციული ქცევა თანამედროვე დემოგრაფიული კრიზისის პირობებში“ უურნალი დემოგრაფია 2005.
- გუგუშვილი, თ „დემოგრაფიული ნარკვევები“

- „ დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები“, შრომების კრებული, თბილისი 2014, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი.
- დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები“, შრომების კრებული, თბილისი 2015, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი.
- „ საქართველოში მართლამდიდებელ მორწმუნეთა დამოკიდებულება სოციალურ-დემოგრაფიული ქცევისა და ოჯახის პრობლემებისადმი“, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა, თბილისი 2016
- „ საქართველოს დემოგრაფიული განვითარების სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკა“, ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდი, თბილისი 2010
- „ საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია 2017-2030 წლები“.

წულაძე გ. მალლაფერიძე ნ. სულაბერიძე ა. „ დემოგრაფია“ სახელმძღვანელო

Tamriko Parulava

Family policy in modern Georgia

Department of Demography and Human Geography

Master thesis is submitted to obtain the degree of Master in Demography and Population
Geography

Supervisor: Vaja Lortkipanidze

Tbilisi ,2017



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სტუდენტი : თამარ ასანიძე

მიგრაციული პროცესების მიმოხილვა თანამედროვე საქართველოში

მიმართულება - დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია

ნაშრომი შესრულებულია დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი : პროფესორი, ეკონომიკურ
მეცნიერებათა დოქტორი - ვაჟა ლორთქიფანიძე

თბილისი, 2017

სარჩევი

• ანოტაცია-----	3
• შესავალი-----	6
• თავი I. მიგრაცია, მისი განმარტება და ძირითადი სახეები-----	9
• თავი II. მიგრაციის სფეროში არსებული თეორიები-----	14
• თავი III. მიგრაციული პროცესები საქართველოში. მისი მაჩვენებლები-----	21
• თავი IV. საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა 1990 - 2014 წლებში მიგრაციული პროცესების გავლენით და მიგრაციის სფეროში არსებული პროგრამები-----	28
4.1. მიგრაციული პროცესების ზოგადი მიმოხილვა-----	28
4.2 . მოსახლეობის რიცხოვნობა საყოველთაო აღწერების შედეგების მიხედვით --	30
4.3. საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაციის დინამიკა 1990-იან წლებში----	32
4.4. გარე მიგრაციის გეოგრაფია-----	33
4.5. შიდა მიგრაციის ძირითადი თავისებურებები საქართველოში-----	38
4.6. საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის პროგრამები-----	42
4.7. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამები-----	44
• დასკვნა-----	47
• დანართები-----	49
• გამოყენებული-----	50

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი საქართველოში მიმდინარე მიგრაციული პროცესების მიმოხილვის საფუძველზე, მიზნად ისახავს ქვეყანაში მიგრაციის კუთხით არსებული მდგომარეობის ანალიზს. ვინაიდან დამოუკიდებელი საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა გამუდმებით კლებას განიცდის, როგორც მთლიანად ქვეყნის, ასევე ცალკეული რეგიონების თვალსაზრისითაც, საინტერესო იყო ამ პროცესებში მექანიკური მოძრაობის მასშტაბი და მნიშვნელობა. მიგრაციულ მონაცემებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ მიგრაციას ნამდვილად დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მოსახლეობის, როგორც რაოდენობრივი, ასევე ეროვნული შემადგენლობის, სტრუქტურისა და ტერიტორიული გადანაწილების ცვლილების თვალსაზრისით. საქართველოსთვის დამახასიათებელი შობადობის დაბალი, შიდა მიგრაციის გაზრდილი და გარე მიგრაციის თითქმის მუდმივად უარყოფითი მაჩვენებლებით, შედეგად მივიღეთ საქართველოს მოსახლეობის შემცირებული საერთო რაოდენობა.

ნაშრომში განხილულია კონკრეტულად მიგრაციის, როგორც ტერმინის და მისი ძირითადი სახეების განსაზღვრება. წარმოდგენილია მკვლევრებისა და მეცნიერების მიერ შემუშავებული მიგრაციის სფეროში არსებული მნიშვნელოვანი თეორიები, რომლებიც არც თუ ისე უმნიშვნელო როლს თამაშობენ მიგრაციული პროცესების ანალიზის დროს. შემდგომ საუბარი გრძელდება უშუალოდ საქართველოში არსებულ მიგრაციულ ვითარებაზე. არსებული მდგომარეობა განხილულია, როგორც სტატისტიკური თვალსაზრისით, ასევე ამ სფეროში არსებული სტატისტიკური მონაცემების სანდოობასთან დაკავშირებული სირთულეების მითითებით. მოცემულია ინფორმაცია სრულიად საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის დროში ცვლილების შესახებ, რომელიც ძირითადად წარმოდგენილია საერთაშორისო და შიდა მიგრაციების მიმოხილვით. ასევე მოყვანილია ის სახელმწიფო თუ საერთაშორისო პროგრამები, რომლებიც საქართველოში დაბრუნებული ემიგრანტების რეინტეგრაციისთვის იქნა შემუშავებული და რომელთა არსებობამაც შესაძლოა გარკვეულწილად ხელი შეუწყოს ემიგრაციაში წასული

მოსახლეობისთვის სამშობლოში დაბრუნებას. ნაშრომის დასასრულს კი მოცემულია, მასში არსებული ინფორმაციის საფუძველზე, ჩამოყალიბებული დასკვნა-რეკომენდაციები, რომლებიც შექმნილი მდგომარეობის ანალიზსა და ავტორის თვალით დანახულ საჭიროებებს მოიცავს.

Annotation

The present work, based on the review of the ongoing migration processes in Georgia, aims to analyze the existing situation in the country in terms of migration. Since the number of population of independent Georgia continuously experiences the decline as a whole country so in view of the separate regions, the mechanical movement scale and importance was interesting for us in these processes. Based on the migration data, it turns out that the migration actually is of the greatly important for the population of Georgia, as quantitative, so for national composition, structure and in terms of the change of territorial redistribution. As a result of the constantly negative index of law birth rate, increased inner migration and external migration characteristic for Georgia, we received the decreased total amount of the population of Georgia.

In the thesis work, there is discussed specifically the definition of migration, as a term and its main types. Here are represented the significant theories that exist in the migration sphere developed by the researchers and scientists, which is playing far not so insignificant role during the analyzing of the migration processes. Then the conversation is continued directly on the migration situation that exists in Georgia. The current situation is discussed as in terms of the statistics so by indicating the difficulties connected with the trustworthiness of the statistic data existing in this sphere. Here is given the information about the quantitative change of the population of the whole Georgia, which is mainly presented by the reviewing of the international and inner migrations. Here is also given those state or international programs, which were elaborated for the reintegration of the emigrants

returned in Georgia and the existence of which can in some point support the return of the population went into the emigration. In the end of the thesis work, on the basis of the existed information, here are given the established conclusions-recommendations which include the analysis of the created situation and the needs seen with the Authors eyes.

შესავალი

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ საქართველოს მოსახლეობა მუდმივად კლებას განიცდის. 1989 წლიდან დღემდე მოსახლეობის რაოდენობა საგრძნობლად 1 687 037 ადამიანით შემცირდა. 25 წლის განმავლობაში მოსახლეობის მასშტაბური შემცირება, განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ იგი ამჟამადც განაგრძობს კლებას, ქვეყნისათვის შესაძლოა ზიანის მომტანი იყოს. სახელმწიფოს ხომ სწორედ ხალხი ქმნის და აყალიბებს.

მოსახლეობის ამგვარი კლება გამოწვეულია სხვადასხვა დემოგრაფიული თუ სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა მიზეზებით. საკმაოდ მნიშვნელოვანია მიგრაციის როლი. ექსპერტული გაანგარიშებებით დღესდღეობით ქვეყნის ფარგლებს გარეთ, დროებით, მუდმივად და გაურკვეველი ვადით ემიგრირებულთა რაოდენობა 1,1 – 1,3 მილიონს შორის მერყეობს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე არ მოგვეპოვება ქვეყნიდან გასულთა და შემოსულთა შესახებ მეტნაკლებად სრული ინფორმაცია. რის გამოც ოფიციალური მონაცემები გარე მიგრაციის შესახებ არასანდოობით გამოირჩევიან. (მელაძე.გ., *საქართველო და გლობალური დემოგრაფიული პროცესები*, (2013), გვ167).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტების შეფასებით 2005-2010წწ. ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნებს შორის, მოსახლეობის მიგრაციული მატების უარყოფითი საშუალოწლიური კოეფიციენტი საქართველოში ყოველ 1000 მცხოვრებზე ყველაზე მაღალი იყო და 11,5-ს შეადგედა.¹

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მსოფლიოს მასშტაბით საქართველოში დაფიქსირებულ კოეფიციენტზე უარესი მაჩვენებელი მხოლოდ პოლინეზიის, მიკრონეზიის ზოგიერთ ჯუჯა და ჩრდილოეთ ამერიკის ასევე ჯუჯა სახელმწიფოშია აღნიშნული.²

¹ იგივე გვ.169

² იგივე გვ. 170

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მონაცემების მიხედვით, 2005-2006 წწ. საქართველოდან თავშესაფრის მთხოვნელთა რაოდენობის კლების შემდგომ, 2009 წლის ჩათვლით სულ უფრო მატულობდა მათი რიცხვი. აღნიშნულ წელს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის რეკორდულმა რაოდენობამ (11,0 ათასი) მოითხოვა თავშესაფარი, რის შედეგადაც საქართველო იმ ქვეყნების პირველ ათეულში მოხვდა, რომელთა მოსახლეობაც ყველაზე ხშირ შემთხვევაში ითხოვდა თავშესაფარს.³

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ აღნიშნული ინფორმაცია ეყრდნობა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ოფიციალურ მონაცემებს, რომელშიც რა თქმა უნდა არ იგულისხმება საქართველოდან არალეგალურად ემიგრირებულთა რაოდენობა. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია მათი ზუსტი აღრიცხვა. რაც მიგვითითებს იმაზე, რომ დღესდღეობით საქართველოს ფარგლებს გარეთ წასული ადამიანების რეალური რაოდენობა გაცილებით მეტია იმ რიცხვთან, რომელიც ოფიციალურ მონაცემებშია მითითებული.

საქართველოში მიმდინარე მიგრაციული პროცესების ანაზღაურების დროს მსგავს სირთულეებს აწყდებიან ქართველი მკვლევარ-მეცნიერებიც, რადგან მონაცემები, რომლებზე დაყრდნობითაც ხორციელდება ამ სფეროში არსებული მდგომარეობის ანალიზი ხშირად განსხვავებული და წინააღმდეგობრივიც კია.

არსებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით საქართველოს მოსახლეობისთვის დამახასიათებელია საერთაშორისო და შიდა მიგრაციების მაღალი მაჩვენებელი. საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის კლება და სტრუქტურული ცვლილება გარკვეულწილად გარე მიგრაციით არის გამოწვეული. შიდა მიგრაციის საფუძველზე კი იცვლება ქვეყნის მოსახლეობის განსახლება.

როგორც წესი, მიგრაციულ ნაკადებში მოსახლეობის ახალგაზრდა ნაწილი მონაწილეობს. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, მიგრანტთა 80%-მდე 50 წლამდე ასაკისაა, მათ შორის ყველაზე დიდი რაოდენობა კი 30 წლამდე ასაკის ადამიანია.

³ იგივე გვ 174

ე.ი ქვეყნიდან გაედინება შრომითი რესურსი, რაც ხელს უწყობს მოსახლეობის დაბერებასაც. რა თქმა უნდა, უარყოფითთან ერთად მიგრაციას დადებითი მხარეც აქვს. მაგალითად, საერთაშორისო მიგრაციის შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს განათლების მიღება, ახალი ცხოვრების სწავლა, გამგზავნ ქვეყანაში შემოსავლების შემოდინება და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავრობა, თანდათან უფრო მეტ ყურადღებას აქცევს ქვეყანაში მიმდინარე მიგრაციულ პროცესებს. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ შემუშავებულ იქნა მიგრაციის მარეგულირებელი სხვადასხვა სააჭირო საკანონმდებლო ბაზა, რომელიც დამოუკიდებლობა მოპოვებულ საქართველოში თავდაპირველად ძალზედ გაუმართავი იყო. ასევე შეიქმნა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს უამრავ ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტს. აღნიშნული ორგანიზაცია მუშაობს რეინტეგრაციის საკითხებზე, მიგრაციის სტრატეგიაზე, მოქალაქეობის არმქონეობის შემცირებაზე, მიგრაციის მონაცემთა ანალიტიკურ სისტემაზე, მიგრაციის რისკების ანალიზზე, მიგრაცია და განვითარებაზე და უცხოელთა ინტეგრაციაზე და სხვა.

თავი I.მიგრაცია, მისი განმარტება და ძირითადი სახეები

მიგრაციული პროცესები დღეს განსაკუთრებულად აქტუალურია, თუმცა მისი, როგორც უმნიშვნელოვანესი სოციალური მოვლენის ჩამოყალიბება, კაცობრიობის არსებობის დასაწყისიდან იღებს სათავეს და მუდმივად ხორციელდება. ადამიანი ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან გადაადგილდებოდა ერთი ადგილიდან მეორეზე, გადაადგილების მიზანი კი სხვადასხვა იყო : ახალი, საცხოვრებლად უკეთესი გარემოს ათვისების სურვილი, საკვების მოპოვება, განათლების მიღება, მოგზაურობა, პოლიტიკური დესტაბილიზაციისგან თავის დაღწევა და სხვა. ადამიანთა ამგვარი გადაადგილება თითოეულ პერიოდში გამოირჩეოდა შესაბამისი ფორმით, მასშტაბით, გეოგრაფიული მიმართულებით და შედეგებით. ამ გადაადგილებების ისტორიაში შესაძლებელია გამოვყოთ 7 პერიოდი:

- უძველესი ხანა, რომელიც სათავეს იღებს დაახლოებით 700 ათას წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე და გრძელდებოდა ჩვენი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნემდე. ეს ხანა მოიცავს ორ ისტორიულ ეპოქას - პირველყოფილ თემურ წყობილებას და მონათმფლობელობის თითქმის მთელ პერიოდს;
- IV- IX საუკუნეები - ადრინდელი ფეოდალიზმის ეპოქა;
- X-XV საუკუნეები - განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქა;
- XVI-XVIII საუკუნეები - გვიანდელი ფეოდალიზმის და ადრინდელი კაპიტალიზმის ეპოქები („ აბსოლუტიზმის ხანა“)
- XIX საუკუნე - განვითარებული კაპიტალიზმის პერიოდი ;
- XX საუკუნის პირველი ნახევარი - მსოფლიო ომების პერიოდი;
- თანამედროვე პერიოდი - XX საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე.⁴

⁴ გოგსაძე. გ., მოსახლეობის გეოგრაფია., (2008).,თბილისი. გვ 85

ტერმინების „მიგრაცია“ და „მიგრანტი“ სწორად განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსთვის. წინააღმდეგ შეთხვევაში ფაქტობრივად შეუძლებელი იქნება მიგრაციული პოლიტიკის მთავარი მიმართულებებისა და პროცესების მართვისათვის საჭირო ბერკეტების შემუშავება. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანთა გადაადგილების ისტორია საუკუნეებს მოიცავს ამ პროცესის აღმნიშვნელი ტერმინის - „მიგრაცია“ უნივერსალური განმარტება დღემდე არ არსებობს. ყველაზე ზოგადად, მიგრაციას განმარტავენ, როგორც ადამიანთა ნებისმიერ გადაადგილებას, გარდა სამხედრო გადაადგილებისა.

სხვადასხვა ქვეყანებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული მიგრაციის დეფინიცია შინაარსობრივად შესაძლოა მსგავსი, მაგრამ ფორმალურად განსხვავებული იყოს ერთმანეთისაგან. მაგალითად, საქართველოს მიგრაციის სამთავრობო კომისიის მიერ შედგენილ მიგრაციის ტერმინთა განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ:

- „*მიგრაცია არის საერთაშორისო საზღვარზე ან ქვეყნის შიგნით გადაადგილების პროცესი. იგი გულისხმობს მოსახლეობის ნებისმიერი სახით გადაადგილებას, მიუხედავად ხანგრძლივობისა, შემადგენლობისა და გამომწვევი მიზეზებისა; მიგრაცია მოიცავს ლტოლვილთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა, გამოსახლებულ პირთა და ეკონომიკურ მიგრანტთა გადაადგილებას.*”⁵

დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიურ ლექსიკონში კი მიგრაცია განმარტებულია, როგორც ადამიანთა გადაადგილება ამა თუ იმ ტერიტორიის საზღვრებს იქით საცხოვრებელი ადგილის, სამუშაოდ ან მეტნაკლებად ხანგრძლივი დროის შეცვლის მიზნით. (წულაძე.გ. დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2000წ. გვ.153)

- „*მიგრანტი*” მოიაზრებს ყველა იმ შემთხვევას, როდესაც პირი მიგრაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს, როგორც ნებაყოფლობით, ასევე იძულებით.

⁵ <http://migration.commission.ge/files/glosaary.pdf>

გადაადგილების მაშტაბის მიხედვით განასხვავებენ გარე (საერთაშორისო მიგრაცია) და შიდა მიგრაციას. შიდა მიგრაცია გულისხმობს ადამიანების გადაადგილებას ქვეყნის ერთი რეგიონიდან მეორეში ახალ საცხოვრებელ ადგილზე დამკვიდრების მიზნით, ან ამგვარი შედეგით. აღნიშნული მიგრაცია შეიძლება იყოს დროებითი ან მუდმივი. შიდა მიგრანტები გადაადგილდებიან, მაგრამ რჩებიან წარმოშობის ქვეყნის საზღვრებში (მაგ. სოფლად დასახლებულთა მიგრაცია ქალაქებში).⁶ საერთაშორისო მიგრაცია კი იმგვარი პროცესია, როდესაც ადამიანები ტოვებენ თავიანთ წარმოშობის ან ჩვეული ბინადრობის ქვეყანას სხვა ქვეყანაში მუდმივი ან დროებითი დამკვიდრების მიზნით. საერთაშორისო მიგრაციის შემთხვევაში მიგრანტები კვეთენ საერთაშორისო საზღვარს.⁷

გარე მიგრაციაზე საუბრისას, უაღრესად საინტერესოა თვალსაჩინო ფრანგი მეცნიერის, ფილოსოფოსისა და სოციოლოგის ნობელის პრემიის ლაურეატის ალფრედ სოვის მოსაზრებები. კერძოდ, მის მიერ აღნიშნული მიგრაციული პროცესების განხილვა სამი თვალსაზრისით: 1. თვითონ მიგრანტთა ინტერესებიდან გამომდინარე; 2. იმ ქვეყნების ინტერესებიდან გამომდინარე საიდანაც ხდება მიგრაცია; 3. იმ ქვეყნების ინტერესებიდან გამომდინარე, რომელშიც ხდება მიგრაცია. დღეს საერთაშორისო ურთიერთობების, საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განსახილველი და საპოლემიკო თემაა ის, თუ როგორ ხდება ამ სამი ინტერესის დაბალანსება, როდესაც სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი პრობლემები წარმოშობიშვება ამ მიმართულებით.

სამართლებრივი თვალსაზრისით საერთაშორისო მიგრაციები შეიძლება იყოს ლეგალური ან არალეგალური ხასიათის. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ ლექსიკონში არალეგალური მიგრაცია განმარტებულია , როგორც გადაადგილება, რომელიც ხორციელდება გამგზავნი, სატრანზიტო და მიმღები ქვეყნების მარეგულირებელი ნორმების დარღვევით. სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიგრაციის

⁶ <http://migration.commission.ge/files/glosaary.pdf>

⁷ იგივე, 46გვ.

მკაფიო და საყოველთაოდ აღიარებული განსაზღვრება არ არსებობს. დანიშნულების ქვეყნის თვალთახედვით, ეს არის აღნიშნულ ქვეყანაში არალეგალური შესვლა, დარჩენა ან მუშაობა, რაც ნიშნავს იმას, რომ მიგრანტს არ აქვს ნებართვა, ან მოცემული ქვეყნის საიმიგრაციო რეგულაციებით განსაზღვრული (ქვეყანაში) შესვლის, დარჩენის ან მუშაობისთვის აუცილებელი დოკუმენტები. გამგზავნი ქვეყნის თვალთახედვით, კანონიერი საფუძვლის არარსებობად მიჩნეულია შემთხვევები, როდესაც პირი საერთაშორისო საზღვარს კვეთს ნამდვილი პასპორტის ან სამგზავრო დოკუმენტის გარეშე ან არ ასრულებს ქვეყნის დატოვებისთვის განსაზღვრულ ადმინისტრაციულ მოთხოვნებს. თუმცა, არსებობს ტენდენცია, შეიზღუდოს ტერმინის „არალეგალური მიგრაცია“ გამოყენება და იგი გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მიგრანტთა უკანონო გადაყვანისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევებში.⁸

იძულებითი მიგრაცია ზოგადი ტერმინია, რომელიც გამოიყენება მიგრაციული ნაკადების დასახასიათებლად, რომელთა შემთხვევაშიც არსებობს იძულების ელემენტი, მათ შორის სიცოცხლისა და არსებობის მიმართ საფრთხე, რომელიც გამოწვეულია ბუნებრივი, თუ ადამიანის ჩარევით განპირობებული მიზეზებით. მაგ., ლტოლვილთა და ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა ნაკადები, ასევე ბუნებრივი, ეკოლოგიური, ქიმიური და ბირთვული კატასტროფებით, შიმშილობით და განვითარების პროექტებით გამოწვეული გადაადგილება⁹

რეალიზაციის საშუალებების მიხედვით მიგრაცია იყოფა ორგანიზებულ (როდესაც მას სახელმწიფო ან ორგანიზაცია ახორციელებს) და არაორგანიზებულ (როდესაც ის ინდივიდუალურად წარმოებს) *მიგრაციად.*(*დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი*, წულაძე, გ. გვ 153. (2000)).

⁸ იგივე, გვ 48

⁹ იგივე, გვ 36

გადაადგილების ხანგრძლივობის მიხედვით გამოყოფენ მუდმივ და დაბრუნებით მიგრაციას. დაბრუნებითი მიგრაცია გულისხმობს პირის გადაადგილებას, რომელიც ბრუნდება თავისი წარმოშობის ან ჩვეული ბინადრობის ქვეყანაში, ჩვეულებრივ, სულ მცირე ერთი წლის ყოფნის შემდგომ სხვა ქვეყანაში. ამასთან დაბრუნება შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი ან არანებაყოფლობითი. მუდმივი მიგრაციის დროს მიგრანტი სამშოლოს ტოვებს და საცხოვრებლად ახალ ქვეყანაში მკვიდრდება¹⁰

¹⁰ <http://migration.commission.ge/files/glosaary.pdf>

თავი II. მიგრაციის სფეროში არსებული თეორიები

საერთაშორისო მიგრაციები გლობალიზაციის ეპოქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელი მოვლენაა. ამ პროცესში ჩაბმული ადამიანების რაოდენობა განუხრელად იზრდება, რაც გამოწვეულია მრავალი, მათ შორის ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური, პოლიტიკური, ბუნებრივ-გეოგრაფიული და ომის ფაქტორებით. 1960 - 2005 წლებში მიგრანტთა რაოდენობა მსოფლიოში ორნახევარჯერ 75 მილიონიდან 191 მილიონამდე გიზარდა. (გოგსაძე, გ. *მოსახლეობის გეოგრაფია*, თბილისი, (2008.)). უკანასკნელი, თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა მასობრივი იმიგრაციის ქვეყნების რიცხვიც. 1960 წელს 500 ათასზე მეტი იმიგრანტი მსოფლიოს მხოლოდ 30 ქვეყანაში იყო დაფიქსირებული, ხოლო 2005 წლისათვის ასეთი ქვეყნების რიცხვი 64-მდე ავიდა. (გოგსაძე, გ. *მოსახლეობის გეოგრაფია*. თბილისი, (2008.)).

მსოფლიოში მიმდინარე ამგვარი ფართომასშტაბიანი მიგრაციული პროცესებით დაინტერესებულმა მეცნიერებმა ჩამოაყალიბეს თეორიები, რომლებიც აანალიზებენ და ხსნიან მიგრაციის გამომწვევ მიზეზებს და შედეგებს. თეორიებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოთხი მათგანი: 1) ნეოკლასიკური მაკროეკონომიკური თეორია; 2) დუალისტური / სემენტური შრომის ბაზრის თეორია; 3) მსოფლიო სისტემების თეორია; 4) ოჯახის გადაწყვეტილება და შრომითი მიგრაციის ახალი ეკონომიკური თეორია.

ნეოკლასიკური მაკროეკონომიკური თეორია მიიჩნევს, რომ მიგრაცია არ არის განპირობებული მხოლოდ ადამიანის ინდივიდუალური არჩევანით, არამედ წარმოადგენს ოჯახურ სტრატეგიას. ამრიგად, ინდივიდი ერთპიროვნულად კი არ იღებს გადაწყვეტილებას ემიგრაციის შესახებ, არამედ ოჯახი ახდენს არსებული რესურსების დივერსიფიკაციას, რითაც ამცირებს შესაძლო საფრთხეს, რომელიც მის კეთილდღეობას დაემუქრება იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის შემოსავლები სხვადასხვა მიზეზის გამო შემცირდება. ამრიგად, გადაწყვეტი აქტორი აქ ინდივიდი კი არა, ოჯახია, ხოლო ინდივიდი, გარკვეულწილად, ოჯახის “ნების” შემსრულებელი ხდება, რადგანაც მისი

ემიგრაციის მიზანს, არა პირადი მოთხოვნილებების და სურვილების დაკმაყოფილება, არამედ სამშობლოში დარჩენილი ოჯახის წევრების მატერიალური უზრუნველყოფა წარმოადგენს. ოჯახების მიგრაციული სტრატეგია შემოსავლების დივერსიფიკაციას ისახავს მიზნად, და როგორც წესი, ყველაზე ხშირად სოფლის მეურნეობით დაკავებულ შინამეურნეობებს ახასიათებთ, რომლებიც ამგვარად ცდილობენ დაიზღვიონ თავი იმ შემთხვევაში, თუ ცუდი ბუნებრივი პირობების გამო ვერ მოახერხებენ საკმარისი ოდენობის მოსავლის აღებას. შესაბამისად, მიგრაციის ახალი ეკონომიკური თეორია უფრო უკეთ ხსნის მიგრაციას, ტრადიციული აგრარული საზოგადოებებიდან, სადაც უფრო ძლიერია ნათესაური ურთიერთობები. („შრომითი ემიგრაცია დაბა თიანეთიდან : ემიგრაციული ქსელების განვითარება,“ თ.ზურაბაშვილი თბ., 2007).

დუალისტური / სეგმენტური შრომის ბაზრის თეორიის მიხედვით ქვეყნები ჭარბი შრომითი რესურსებით და ნაკლები კაპიტალით ხასიათდებიან დაბალი საშუალო ხელფასით, მაშინ როცა განვითარებულ ქვეყნებს მწირი შრომითი რესურსებით, ახასიათებთ უფრო მაღალი საშუალო ხელფასი. ხელფასებს შორის სხვაობა აყალიბებს მიგრაციულ ნაკადებს. მიგრაციული პროცესების შედეგად განვითარებადი ქვეყნებიდან ადამიანების გადინება იწვევს საშუალო ხელფასების გარკვეული რაოდენობით ზრდას, მაშინ როცა მასპინძელ ქვეყნებში მიგრანტთა შრომითი რესურსის მატება საშუალო ხელფასის შემცირებას განაპირობებს. დროთაგანმავლობაში საპირისპირო ნაკადები ჩნდება. ხდება ინვესტიციების გადაადგილება კაპიტალით მდიდარი ქვენიდან ღარიბი ქვეყნებისკენ. კაპიტალისტისთვის, რომელიც დაინტერესებულია საერთაშორისო დონეზე ინვესტიციების დაბანდებით მიმზიდველია განვითარებადი ქვეყნები, რადგან აქ ლოკალური შრომითი რესურსი იაფია, ფინანსური კაპიტალის გადაადგილებას ჰუმანური კაპიტალის ადგილმონაცვლეობაც ახლავს თან, რომელსაც მაღალკვალიფიციური შრომითი რესურსი წარმოადგენს განვითარებული ქვეყნებიდან. თუმცა ამ ნაკადებთან ერთად კვლავ ნარჩუნდება დაბალკვალიფიციური შრომითი რესურსის მიგრაციული ნაკადები. ეს მაკროეკონომიკური თეორია თავისთავში მიკროეკონომიკურ მოდელსაც მოიცავს, რომლის

მიხედვით თითოეული ინდივიდი ამ სივრცითი გადაადგილებიდან დადებით ფინანსურ სარგებელს ელის. („შრომითი ემიგრაცია დაბა თიანეთიდან: ემიგრაციული ქსელების განვითარება,“ თ.ზურაბაშვილი თბ., 2007).

მსოფლიო სისტემების თეორია მაკრო-დონის თეორიათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც გადამწყვეტ ფაქტორად საერთაშორისო მიგრაციის დროს არა ინდივიდს, არა ოჯახს, არამედ მსოფლიოში არსებულ ეკონომიკურ სისტემას მიიჩნევს. მსოფლიო სისტემების თეორია ეფუძნება ემანუელ ვალერშტაინის ნაშრომებს და იმპერიალიზმის ადრეულ მარქსისტულ კრიტიკას, რომლის მიხედვითაც, საერთაშორისო მიგრაცია გამოწვეულია “მსოფლიო ბაზრის სტრუქტურით, რომელიც განვითარდა და გაფართოვდა XVI საუკუნის შემდეგ. ადამიანები, რომლებიც ტრადიციულ საზოგადოებებში ცხოვრობენ, რაც არ უნდა ღარიბები იყვნენ, როგორც წესი, არ მიდიან ემიგრაციაში. მხოლოდ მას შემდეგ იწყებს ამ ქვეყნის მოსახლეობა საზღვარგარეთ გამგზავრებას, რაც “პერიფერიული” ქვეყანა გლობალიზაციურ პროცესებში და მსოფლიო სავაჭრო ურთიერთობებში ერთვება, რასაც, თავისთავად, თან სდევს გარკვეული კულტურული და სოციალური ცვლილებები. ამრიგად, მიგრაცია არის იმ მოვლენების ბუნებრივი შედეგი, რომელიც თან სდევს კაპიტალისტურ განვითარებას – როგორც წესი, აქ იგულისხმება კოლონიალიზმის პერიოდი, როდესაც მეწარმეები განვითარებული ქვეყნებიდან, ხსნიდნენ საწარმოებს “პერიფერიულ” ქვეყნებში, რათა იაფი მუშახელის, ნედლეულისა და რესურსების საშუალებით გაეზარდათ მოგება. სწორედ ამიტომ, ხშირად პირველ ხანებში ემიგრაცია ყოფილი კოლონიებიდან მიმართულია იმ ქვეყნებისკენ, რომლებთანაც კავშირები “კოლონიალურ” პერიოდში დამყარდა – მაგალითად, პაკისტანელები და ინდოელები ტრადიციულად დიდ ბრიტანეთში მიდიან ემიგრაციაში, ალჟირელები – საფრანგეთში, ფილიპინელები – ამერიკის შეერთებულ შტატებში და ა.შ. მსოფლიო სისტემების თეორიის მიმდევრები თვლიან, რომ, როდესაც ემიგრაცია ტრადიციული და ნაკლებად განვითარებული ქვეყნებიდან მდიდარი და განვითარებული ქვეყნებისკენ მიემართება, ხოლო მიგრანტები იწყებენ სამშობლოში ფულადი დახმარებების გაგზავნას, მიგრანტების

სამშობლო ქვეყანა უფრო მეტად ერთვება საბაზრო ურთიერთობებში, რაც კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს მიგრაციის დონის ზრდას. („შრომითი ემიგრაცია დაბა თიანეთიდან : ემიგრაციული ქსელების განვითარება,“ თ.ზურაბაშვილი თბ., 2007).

სოციალური კაპიტალის თეორია მიგრაციის ნეოკლასიკური თეორიისგან განსხვავებით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ გადაწყვეტილების მიღება ემიგრაციის შესახებ არ ხდება მხოლოდ და მხოლოდ რაციონალური გამოთვლების საფუძველზე, რომლებსაც პოტენციური ემიგრანტი ინდივიდუალურ დონეზე იღებს, ოჯახის წევრებისა და ახლობლების აზრისა და ჩარევის გათვალისწინების გარეშე. სოციალური კაპიტალის თეორია ასევე ეჭვქვეშ აყენებს „მიზიდვისა და განზიდვის“(push and pull) ფაქტორების როლს საზღვარგარეთ გამგზავრების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სოციალური კაპიტალის თეორიის თანახმად, ემიგრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება იმ სოციალური კავშირების ზემოქმედების ქვეშ, რომლებიც აკავშირებთ საზღვარგარეთ წასულ ემიგრანტებს და მათ სამშობლოში დარჩენილ ოჯახის წევრებს, ნათესავებსა და მეგობრებს. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ემიგრაციის ყველა ფაქტი განპირობებულია ემიგრაციული ქსელების არსებობით – თავდაპირველად ემიგრაცია გამოწვეულია ეკონომიკური, პოლიტიკური ანდა სოციალური ფაქტორებით. მაგრამ სოციალური კაპიტალის თეორიის თანახმად, მიგრაციის თითოეული ფაქტი ხელს უწყობს ემიგრაციული ქსელების ჩამოყალიბებასა და განვითარებას, ხოლო ემიგრაციული ქსელები კი უკვე გვევლინებიან, როგორც დამოუკიდებელი აქტორები ემიგრაციის პროცესში. დუგლას მასეის განმარტებით, “ემიგრაციული ქსელი არის ადამიანებს შორის არსებული კავშირების კრებული, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებს მიგრანტებს, ყოფილ მიგრანტებს, და არამიგრანტებს მშობლიურ და მიმღებ ქვეყნებში ნათესაობის, მეგობრობის და საერთო წარმომავლობის საშუალებით“. ასეთ კონტექსტში მიგრანტები განიხილებიან არა როგორც “თავგადასავლების მარტოხელა მაძიებელნი, არამედ, როგორც აქტორები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან საზოგადოებებთან, როგორც მიმღებ, ასევე მშობლიურ ქვეყანაში, ხოლო მათი სოციალური კავშირები ხელს უწყობენ და სტრუქტურირებენ მათ

გადასვლას ერთი საზოგადოებიდან მეორეში”. ეს კავშირები, როგორც წესი, საკმაოდ ეფექტურად ფუნქციონირებენ. ისინი საკმაოდ მყარია, რადგანაც ბუნებრივად ჩამოყალიბდნენ ნათესაური და მეგობრული კავშირების საფუძველზე ემიგრაციამდელ პერიოდში. ამრიგად, ემიგრანტების “პირველი ტალღა”, რომელიც, როგორც წესი, ძირითადად შედგება ყველაზე მოტივირებული, ენერგიული და გამბედავი ადამიანებისგან, რომლებმაც გარისკეს წასვლა ისეთ ქვეყნებში, სადაც მათ არავის დახმარების იმედი არ ჰქონდათ, სულ უფრო და უფრო მეტ მიმდევართან ხდება დაკავშირებული.

როგორც წესი, ემიგრაციის ხარჯი მაქსიმალურია მაშინ, როდესაც ემიგრანტი მიდის სრულიად უცხო ქვეყანაში, სადაც მას არანაირი გარეშე დახმარების იმედი არ აქვს. უცხო ქვეყანაში ჩასვლის შემდეგ, ის იძულებულია თავად გაიკვილოს გზა, დამოუკიდებლად იმოგოს სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი; ამასთანავე, ის აყალიბებს ახალ კავშირებს ადგილობრივ მოსახლეობასთან და სხვა ემიგრანტებთან; შეიძლება გაიცნოს მისი სამშობლოდან წასული სხვა ემიგრანტებიც. ამ პროცესში ეცნობა მიმღები ქვეყნის ცხოვრების წესს, ხდება სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წევრი, ასე თუ ისე მკვიდრდება ახალ ქვეყანაში. თანდათან, მას საშუალება უჩნდება, რომ მოახდინოს გარკვეული რესურსების აკუმულირება, რომლებიც შეუძლია მოახმაროს თავისი ახლობლების, ნათესავების და მეგობრების ემიგრაციას. ამიტომ შემდგომი “ტალღების” ემიგრანტების საზღვარგარეთ გამგზავრების ხარჯები საგრძნობლად მცირდება, რადგან მიმღებ ქვეყანაში უკვე დამკვირდებულ ემიგრანტებს შეუძლიათ გაუწიონ მნიშვნელოვანი დახმარება თავის ახლობლებს, თუ მათაც ექნებათ სურვილი, რომ ემიგრაციაში წავიდნენ. რაც უფრო ვითარდება ემიგრაციული ქსელები, მით უფრო ნაკლები დანახარჯებით და მეტი ეფექტურობით შეუძლიათ მათ ფუნქციონირება. ძალიან მალე ქსელური კონსოლიდაციის და ექსპანსიის პროცესები გარდაიქმნებიან ისეთ ფენომენად, რომელიც საკუთარ თავს ასაზრდოებს. ემიგრაციული ქსელების მეშვეობით ადამიანები სხვადასხვა სახის დახმარებას იღებენ – ეს შეიძლება იყოს ფინანსური დახმარება საზღვარგარეთ გასამგზავრებლად, მიმღებ ქვეყანაში ჩასვლის შემდეგ საცხოვრებელი ადგილით

უზრუნველყოფა პირველ ხანებში მაინც, დახმარება სამსახურის შოვნაში, და სხვა. („შრომითი ემიგრაცია დაბა თიანეთიდან : ემიგრაციული ქსელების განვითარება,“ თ.ზურაბაშვილი თბ., 2007).

სოციალური ქსელების თეორიის კრიტიკოსები ყურადღებას ამახვილებენ იმ გარემოებაზე, რომ თავისთავად ქსელებს არ შესწევთ იმის ძალა, რომ შექმნან სამუშაო ადგილები. ნათელია, რომ თუ სოციალური კაპიტალის თეორიის ლოგიკას მივყვებით, რა თქმა უნდა, დადგება დრო, როდესაც მიმღებ ქვეყანაში ყველა სამუშაო ადგილი დაკავებული იქნება და ახლად ჩასული ემიგრანტები საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან და შეძლებენ სამსახურის/საცხოვრებელი ადგილის შოვნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა ემიგრანტების მიერ დაკავებული ადგილები გამოთავისუფლდება. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ სულ უფრო და უფრო მეტი ერთნაირი უნარ-ჩვევების მქონე ემიგრანტი ჩავა, ამან, შესაძლოა, ხელფასების შემცირება ან ემიგრანტებს შორის უმუშევრობა გამოიწვიოს. ლათის და მისი თანაავტორების აზრით, “თუ ემიგრანტების შემოდინება უსწრებს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებს, დასახლებულ პუნქტებში შეიძლება სამუშაო და საცხოვრებელი ადგილების დეფიციტი შეიქმნას”. შედეგად – ემიგრაციული ქსელები ლატენტურ ხასიათს იღებენ, სუსტდებიან და შეიძლება გაქრნენ. ასეთ შემთხვევაში, ემიგრაციულმა ქსელმა შეიძლება გააგრძელოს თავისი არსებობა მხოლოდ მაშინ, თუ ის შესძლებს მიმართულება შეუცვალოს მიგრაციულ ნაკადებს და მიმართოს ისინი ახალი მიმღები ადგილისკენ, თუმცა, როგორ და რანაირად მოხდება ის, რომ პირველი ტალღის ემიგრანტები გაემგზავრებიან ამ და არა სხვა ქვეყნებში, გაუგებარი რჩება („შრომითი ემიგრაცია დაბა თიანეთიდან : ემიგრაციული ქსელების განვითარება,“ თ.ზურაბაშვილი თბ., 2007).

დასკვნის საახით შეიძლება ითქვას, რომ ყველა ზემოთ ხსენებულ თეორიაში მოცემულია თანამედრვე მიგრაციების სტრუქტურა და დინამიკა. თუმცა კონკრეტული თეორიები მიემართებიან/ხსნიან კონკრეტული მიგრაციული ნაკადების ხასიათს,

გვიჩვენებენ განსხვავებას რეგიონებს შორის, რომელიც გამომდინარებს ლოკალური ისტორიიდან, პოლიტიკიდან და გეოგრაფიიდან.

დუგლას მასეი ახდენს ყველა აღნიშნული თეორიის გენერალიზაციას და აღნიშნავს, რომ ეს კონცეფციები 4 ძირითად ელემენტს ეყრდნობიან :

1. სტრუქტურული ძალები, რომელნიც განაპირობებენ ემიგრაციას განვითარებადი ქვეყნებიდან;
2. სტრუქტურული ძალები, რომლებიც იმიგრანტებს იზიდავენ განვითარებულ ქვეყნებში;
3. საერთაშორისო მიგრანტთა მოტივაციები, მიზნები და მოლოდინები, რომლებიც პასუხობენ/ეხმიანებიან ამ სტრუქტურულ ძალებს;
4. ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურები/ინსტიტუტები, რომლებიც აკავშირებს ემიგრაციას და იმიგრაციას. (D. S. Massey. *“Why Does Immigration Occur? A Theoretical Synthesis”*, p.44.)

თუ კი საერთაშორისო მიგრაციის არსის გასაგებად ამ ოთხი თეორიიდან ცალკე რომელიმე ერთს განვიხილავთ არასრულყოფილ და მცდარ შედეგებამდე მივალთ, რაც თავისთავად მცდარი დასკვნისკენ გვიბიძგებს. ერთობლივი განხილვით კი საშუალება მოგვეცემა თანმიმდევრულად და სწორად გავიგოთ საერთაშორისო მიგრაციის მნიშვნელობა.

მე-20 საუკუნეში წამყვანი თეორიული მიდგომა, რომელიც ბიძგს აძლევს ემიგრაციას განვითარებადი ქვეყნებიდან მსოფლიო სისტემების თეორიაა. მსოფლიო სისტემების თეორია, სემენტური შრომის ბაზრის თეორია და ნეოკლასიკური მაკროეკონომიკური თეორია იძლევა იმის ახსნას, თუ რატომ იზიდავენ განვითარებული ქვეყნები ემიგრანტებს. სოციალური კაპიტალის თეორია და მსოფლიო სისტემების თეორიები კი ხსნიან, როგორ წარმოიშობა სტრუქტურული კავშირები, რომლებიც აკავშირებს მიგრანტთა გამგზავნ და მიმღებ ქვეყნებს ერთმანეთთან.

თავი III. მიგრაციული პროცესები საქართველოში. მისი მაჩვენებლები

ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა, როგორც ისტორიულად, ასევე XX საუკუნეში უმეტესად სამშობლოში ცხოვრობდა. ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ 1979 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მასალების მიხედვით საბჭოთა კავშირის ქართველთა 96,5% საქართველოს სსრ-ში ცხოვრობდა. (გაჩეჩილაძე. გ., (1997). „მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალურ ეკონომიკური შედეგები“, გვ. 9). საქართველო გლობალური მიგრაციის სისტემის ნაწილი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გახდა. (იხ. ცხრილი. N1). თუმცა, ჩვენი ქვეყნისთვის, უარყოფითი მიგრაციული სალდო დამახასიათებელი გახდა უკვე 1950-იანი წლების ბოლოდან, მას შემდეგ იგი ყოველწლიურად იზრდებოდა და მაქსიმუმს 1994 წელს მიაღწია. 1995 წლიდან იწყება მიგრაციის უარყოფითი სალდოს შემცირება თუმცა იგი უარყოფით ნიშანს 2004 წლამდე ინარჩუნებს. საინტერესოა რა იყო მიზეზი მიგრაციული ნაკადების უცაბედი და საკმაოდ მასშტაბური ცვლილებისა? რამ გამოიწვია მიგრაციის სალდოს, რომელიც 13 წლის განმავლობაში მუდმივად უარყოფით ნიშანს ინარჩუნებდა, დადებითად შეცვალა? თანაც მაშინ, როდესაც 2003 წლისათვის მიგრაციის უარყოფითი სალდო -6,4 %ი -ის ტოლი იყო. 2004 წელს კი საგრძნობლად შეიცვალა და 1.3 %ი გახდა.

საქართველოში მიმდინარე მიგრაციული პროცესების განხილვისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მონაცემები, რომლებზე დაყრდნობითაც ხორციელდება ამ სფეროში, არსებული მდგომარეობის ანალიზი, ხშირად განსხვავებული და წინააღმდეგობრივიც კია. ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ 2002 წერს ჩატარდა. მანამდე მოსახლეობის საყოველთაო აღწერა საქართველოში 1989 წელს იქნა ჩატარებული. აღწერათაშორის პერიოდში, კერძოდ კი, 1990-იან წლებში საქართველოში მომხდარ ცნობილ პოლიტიკურ, სოციალურ- ეკონომიკურ და საზოგადოებრივ მოვლენებს მოჰყვა დემოგრაფიული მოვლენებისა და მიგრაციის

რეგისტრაციის გაუარესება, რის შედეგადაც გართულდა მოსახლეობის რაოდენობისა და სხვა დემოგრაფიული მაჩვენებლების ზუსტი განსაზღვრა. აღნიშნულიდან გამომდინარე ოფიციალური სტატისტიკის პარალელურად გაჩნდა არაოფიციალური სტატისტიკაც, მეცნიერული შეფასება - გაანგარიშებების სახით. ასეთი მონაცემები კი, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა და განსხვავდება საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის შესაბამისი მონაცემებისა და მაჩვენებლებისაგან. (წულაძე, გ., მაღლაფერიძე, ნ., სულაბერიძე, ა., მამარდაშვილი, გ. (2008) „საქართველოს დემოგრაფიული განვითარება გუმინ, დღეს და ხვალ.“). მიგრაციულ-დემოგრაფიული აღრიცხვიანობა, დამოუკიდებლობა მოპოვებულ საქართველოში რთული იყო არამარტო ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური დესტაბილიტაციის მიზეზით, არამედ იმათაც, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ საქართველოს მოსახლეობამ აქტიურად იწყო ქვეყნის დატოვება, რამაც წარმოშვა მასშტაბური მიგრაციული ნაკადები. ასეთი პროცესებისათვის კი სახელმწიფო მზად არ იყო. მაგალითად საკმაოდ მცირე და დასახვეწი იყო მიგრაციის სფეროს საკანონმდებლო ბაზა და აქედან გამომდინარე მიგრაციულ-დემოგრაფიულ ტერმინოლოგიაც კი.

ცხრილი N 1¹¹

საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაციის სალდო 1990- 2016 წწ.

წელი	მიგრაციული სალდო		წელი	მიგრაციული სალდო	
	ათასი	%		ათასი	%
1990	-13,2	-2,4	2004	5,5	1,3
1991	-22,6	-4,1	2005	76,3	17,5
1992	-139,3	-25,8	2006	-12,1	-2,8
1993	-140,9	-27,4	2007	-20,7	-4,7
1994	-142,6	-29,3	2008	-10,2	2,3
1995	-127,2	-28,2	2009	34,2	7,8
1996	-123,1	-27,5	2010	18,1	4,1

¹¹ მასალა მოწოდებულია საქართველო სტატისტიკის ერვნული სამსახურის მიერ

1997	-59,9	-13,5	2011	20,2	4,5
1998	-39,2	-8,7	2012	21,5	21,5
1999	-36,3	-8,1	2013	-2,6	-2,6
2000	-35,2	-8,0	2014	-6,5	-6,5
2001	-31,2	-7,1	2015	-3,4	-3,4
2002	-29,1	-6,7	2016	-2,2	-8,1
2003	-27,6	-6,4	2017	-	-

სახელმწიფომ, რომ შეძლოს მის ქვეყანაში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესების კონტროლი, ამ პროცესების თავისებურებების, ცვლილებების, შედეგების და სხვა მასთან დაკავშირებული საკითხების ანალიზი, ამავდროულად შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება და ღონისძიებების გატარება, აუცილებელია გააჩნდეს რეგულირების და შესაბამისად კონტროლის სისტემები, რომელიც ეყრდნობა ქვეყანაში არსებულ საკანონმდებლო ბაზას.

დამოუკიდებელ საქართველოში ძალიან მწირი და გაუმართავი იყო მიგრაციის სფეროში არსებული საკანონმდებლო ბაზა. თუმცა ბოლო პერიოდში სახელმწიფოს მიერ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებულ საკითხებს და იხვეწება მისი რეგულირების საკითხებიც.

2010 წელს შეიქმნა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, რომელიც მსჯელობს და გადაწყვეტილებებს იღებს მიგრაციის მართვასთან დაკავშირებულ სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე. თანდათან შემუშავდა და მოქმედებაში მოვიდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი ადგილობრივი კანონმდებლობა :

1. საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“.

ამ კანონის მიზანია - საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქის უფლება, დატოვოს თავისი ქვეყანა და თავისუფლად დაბრუნდეს უკან, განსაზღვროს საქართველოს მოქალაქეთა საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესები და პირობები, აგრეთვე მოაწესრიგოს ამასთან დაკავშირებით წარმოშობილი სხვა

ურთიერთობები. (<http://migration.commission.ge/files/804.pdf> წაკითხვის თარიღი : 30 მაისი). ეს კანონი საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა 1993 წლის 7 დეკემბერს მიიღო, მას შემდეგ კანონში რამდენჯერმე შევიდა ცვლილება.

2. საქართველოს კანონი „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიციების შესახებ.“ ([http:// migration.commission.ge /files/5301.pdf](http://migration.commission.ge/files/5301.pdf))

კანონის მიზანია - განსაზღვროს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან მიმართებით საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპები და ჩამოაყალიბოს ამ პოლიტიკის განსახორციელებლად საქართველოს სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის საფუძვლები, ასევე განსაზღვროს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულისა და დიასპორული ორგანიზაციის სამართლებრივი სტატუსი. ([http:// migration.commission.ge /files/5301.pdf](http://migration.commission.ge/files/5301.pdf)) კანონი საქართველოს პარლამენტმა მიიღო 1992 წლის 12 ივნისს.

3. საქართველოს კანონი „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“.

კანონი არეგულირებს სახელმწიფო საზღვრის სტატუსს, აგრეთვე სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის დადგენასა და დაცვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს საქართველოს ხმელეთზე, შიდა და ტერიტორიულ წყლებში (ტერიტორიულ ზღვაში), საჰაერო სივრცეში, განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში და კონტინენტურ შელფზე. (<http://migration.commission.ge/files/1536.pdf>). კანონი მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ 2013 წლის 30 დეკემბერს. (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2177545>)

4. საქართველოს კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ,, ([http:// migration.commission.ge/ index.php? article_id = 54&clang =0](http://migration.commission.ge/index.php?article_id=54&clang=0))

კანონის მიზანია - უზრუნველყოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობა ტრეფიკინგის მსხვერპლთა უფლებების დაცვით, დახმარებითა და რეაბილიტაციით; განსაზღვროს ტრეფიკინგის დანაშაულზე სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელების თავისებურებები;

განსაზღვროს ადამიანით ვაჭრობის თავიდან აცილებისათვის, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციისათვის სახელმწიფო ორგანოების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და იურიდიული პირების თანამშრომლობის პრინციპები. (<http://migration.commission.ge/files/2944.pdf#>). საქართველოს პარლამენტმა აღნიშნული კანონი 2006 წლის 28 აპრილს მიიღო. (<http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/344>)

5. საქართველოს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ (http://migration.commission.ge/files/aliens_law_geo.pdf)

ეს კანონი არეგულირებს უცხოელთა საქართველოში შემოსვლის, ყოფნის, ტრანზიტით გავლისა და საქართველოდან გასვლის სამართლებრივ საფუძვლებსა და მექანიზმებს, აგრევე განსაზღვრავს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს, საქართველოში მყოფ უცხოელთა საქართველოდან გაძევების ფორმებსა და პროცედურებს, გაძევების პროცესში მონაწილე სახელმწიფო დაწესებულებათა კომპეტენციის ფარგლებსა და პასუხისმგებლობას. (http://migration.commission.ge/files/aliens_law_geo.pdf) ამ კანონის კონსოლიდირებული, ვერსია საქართველოს პარლამენტმა 2014 წლის 5 აპრილს მიიღო. (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2278806>)

6. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“.

კანონი განსაზღვრავს საქართველოს მოქალაქეობის ძირითად პრინციპებს, ადგენს საქართველოს მოქალაქეობის სამართლებრივ მდგომარეობას და საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და შეწყვეტის საფუძვლებს. (http://migration.commission.ge/files/matsne-citizenship_geo_.pdf) კანონის საბოლოო ვერსია საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა 1993 წლის 25 აპრილს. (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/32596>)

7. საქართველოს კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ“

კანონი განსაზღვრავს შრომითი მიგრაციის სფეროსთვის მიკუთვნებულ საკითხებს, უთიერთობებსა და სუბიექტებს, შრომითი მიგრაციის სფეროში სახელმწიფო მმართველობის განმახორციელებელ ორგანოებს და მათ უფლება- მოვალეობებს და ადგენს შრომითი მიგრაციის სფეროში სახელმწიფო მმართველობის პრინციპებსა და მექანიზმებს. იგი არეგულირებს შრომითი მიგრაციის სფეროსთვის მიკუთვნებულ ირთიერთობებს, რომლებიც საქართველოს მოქალაქის, საქართველოსი მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელის, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომით მოწყობას და მის მიერ ანაზღაურებადი შრომით საქმიანობის განხორციელებას უკავშირდება. ეს კანონი საქართველოს პარლამენტმა მიიღო 2015 წლის 1 აპრილს. (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2806732>)

8. საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ”

ამ კანონის თანახმად ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, გარანტირებული აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მომისვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევანის უფლება. ამ უფლების შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრტელობის დაცვის, დანაშაულის ტავიდან აცილების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.¹² საქართველოს პარლამენტმა აღნიშნული კანონი მიიღო 1996 წლის 27 ივნისს.

9. საქართველოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ”

კანონის მიზანია განსაზღვროს იმ ტერიტორიების სტატუსი, რომლებიც ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად და დაადგინოს ამ ტერიტორიების განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი. კანონის კონსოლიდირებული

¹² http://ssa.gov.ge/files/01_GEO/KANONMDEBLOBA/Sakanonmdeblo/48.pdf

ვერსია საქართველოს პარლამენტმა 2008 წლის 23 ოქტომბერს მიიღო.
(<https://matsne.gov.ge/ka/document/view/19132>)

10. საქართველოს კანონი „საერთაშორისო დაცვის შესახებ“

ამ კანონის მიზანია შექმნას თავშესაფარის პროცედურებისთვის საჭირო სამართლებრივი ჩარჩო. ასევე უზრუნველყოს თავშესაფარის მაძიებლის ლტოლვილის, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირისა და დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის უფლებების დაცვა. და უზრუნველ ყოს თავშესაფარის პროცედურა ამ კანონით გათვალისწინებული საერთაშორისო დაცვის მექანიზმების გამოყენებით. (<http://migration.commission.ge/files/matsne-3452780-1.pdf>)

კანონის საბოლოო ვერსიისა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა 2016 წლის 1 დეკემბერს. (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3452780>)

გარდა ამ კანონებისა მიგრაციის სფეროში არსებობს მთავრობის დადგენილებები და პრეზიდენტის ბრძანებულებები, რომლებიც მიმართულია მიგრაციული პროცესების მართვა/რეგულირებისაკენ და ყველა ეს სახელმწიფო დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს ძირითად კანონს - კონსტიტუციას.

თავი IV. საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა 1990 - 2014 წლებში მიგრაციული პროცესების გავლენით და მიგრაციის სფეროში არსებული პროგრამები.

4.1. მიგრაციული პროცესების ზოგადი მიმოხილვა

21-ე საუკუნეში მიგრაციულ პროცესებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით საკმაოდ აქტიური ხასიათი აქვს. ალბათ არ არსებობს ისეთი ქვეყანა, სადაც ვერ შევხვდებით მიგრანტს. მით უფრო დღევანდელ სამყაროში, რომელიც დატვირთულია პოლიტიკური დაძაბულობებით და ომებით სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის, ქვეყანათა სოციალურ - ეკონომიკური თუ ტექნოლოგიური განვითარებულობის დონის განსხვავებულობით, ტურიზმის სფეროს გააქტიურებით, კაპიტალიზმის გავრცელებით და ა.შ მიგრაცია თანდათან კიდევ უფრო ფართო ხასიათს იღებს. მაგალითად 2015 წლის პირველ 9 თვეში ევროკავშირის სასაზღვრო უწყების „ფრონტექსის“ მონაცემებით ევროპის სახელმწიფოებში 710 ათას მიგრანტზე მეტი ჩავიდა, რამაც უკიდურესად დაძაბა სასაზღვრო ქვეყნების მდგომარეობა. რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ იტალია, მალტა და საბერძნეთი. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით საბერძნეთის საზღვრებს ყოველ კვირას ადგება 9000 მიგრანტი, რაც მიმდინარე კრიზისულ პერიოდში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.¹³

მიგრაციულ პროცესებს აძლიერებს ისიც, რომ მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობა ძალიან გაიზარდა და თუ დედამიწაზე ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის 700 000 ადამიანს უდრიდა, 2017 წლის 31 მარტის მონაცემების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი 7 519 028 970-მდე გაიზარდა.¹⁴ ამასთან საერთაშორისო მიგრაცია 1960-იანი წლებიდან

¹³ <https://geocodna.wordpress.com/2016/წაკითხვის-თარიღი-მაისი,-7,-2017/>.

¹⁴ <http://www.internetworldstats.com/stats.htm> .

სამჯერ გაიზარდა და 77 მილიონიდან თითქმის 244 მლნ ადამიანი შეადგინა,¹⁵ რაც მთელი მოსახლეობის 3.3%-ია.¹⁶

მიგრაციულ პროცესებს საქართველოშიც აქტიური ხასიათი აქვს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ყოველწლიურად უფრო მეტი ადამიანი ტოვებს ჩვენს ქვეყანას. ამაზე მეტყველებს მიგრაციული სალდოს მუდმივად უარყოფითი მაჩვენებელი. იზრდება გაუკაცრიელებული სოფლების და საქალაქო აგლომერაციების რიცხვი, რომლებიც სწორედ სოფლებიდან და რაიონებიდან მიგრირებული ადამიანების მიერ იქმნება. ხშირად შევხვდებით ქუჩაში არაქართველ ადამიანებს, რომლებიც საქართველოში განათლების მიღების, მუდმივად საცხოვრებლად, ტურისტული თვალსაზრისით თუ სხვადასხვა მიზეზით ჩამოდიან. დინამიურია შიდა ტურიზმიც. მაგალითად 15 წლის და უფროსი ასაკის ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა, 2015 წლის მონაცემების მიხედვით შეადგენდა 1 030.1 ათასს 2015 წელს იგივე მაჩვენებელი 1 080.0 ათასის ტოლი იყო.¹⁷ აღნიშნულთან ერთად საყურადღებოა ასევე 1990-იან და 2008 წლებში არსებული საომარი მოქმედებების დროს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის რაოდენობა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით შეიძლება თავისუფლად ვთქვათ, რომ მიგრაციის სფეროში მიმდინარე პროცესების, მათი გამომწვევი მიზეზების და მათ მიერ მიღებული შედეგების ანალიზი საქართველოს სოციალურ - ეკონომიკური და დემოგრაფიული განვითარებისთვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მისი აქტუალურობიდან გამომდინარე.

¹⁵ <http://www.migrationpolicy.org/programs/data-hub/charts/international-migrants-country-destination-1960-2015?width=1000&height=850&iframe=true>

¹⁶ <http://www.migrationpolicy.org/programs/data-hub/international-migration-statistics>

¹⁷ წყარო: საქართველოს სტატისკის ეროვნული სამსახური

4.2 . მოსახლეობის რიცხოვნობა საყოველთაო აღწერების შედეგების მიხედვით

საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერების ამჟამად არსებული სტატისტიკური მასალების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობას 1939 წლიდან 1989 წლამდე მუდმივად ზრდა ახასიათებდა. აღნიშნული მაჩვენებელი მაქსიმუმს 5 400 841 ადამიანს, 1989 წელს აღწევს და შემდგომ კლებას განიცდის. (იხ. ცხრილი N1) შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 1989 წლისათვის მოსახლეობის რაოდენობის გაზრდილი მაჩვენებელი არაქართველი მოსახლეობის საქართველოში გადმოსახლების და „პოლიტიკური ნების” შედეგი იყო. (საბჭოთა კავშირის მმართველთათვის არ იქნებოდა სასურველი, რომელიმე საბჭოთა ქვეყნისთვის დეპოპულაცია ყოფილიყო დამახასიათებელი.) 1990 წლის შემდგომ მოსახლეობის რიცხოვნობა კვლავ მცირდება და 2002 წლისთვის 4 371 535 ადამიანის, 2014 წელს კი 3 713 804 ადამიანის ტოლია. (იხ. ცხრილი N3). კარგად ჩანს, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია 25 წლის განმავლობაში. საინტერესო და მნიშვნელოვანია რა ადგილი უჭირავს მიგრაციას ამგვარი ვითარების ჩამოყალიბებაში.

ცხრილი N2¹⁸

მოსახლეობის რიცხოვნობა მოსახლეობის აღწერების შედეგებით (1939-2002წწ.)

აღწერის თარიღი	მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობა
1939	3540023
1959	4044045
1970	4686358

¹⁸ წყარო : საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

1979	4993182
1989	5400841
2002	4371535
2014	3713804

ცხრილი N 3¹⁹

მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრის მდგომარეობით 1990 წლიდან 2017 წლის ჩათვლით

წელი	მოსახლეობის რიცხოვნობა	წელი	მოსახლეობის რიცხოვნობა
1990	5424,4	2004	4315,2
1991	5453,3	2005	4321,5
1992	5467,4	2006	4401,3
1993	5345,8	2007	4394,7
1994	4929,9	2008	4382,1
1995	4794,2	2009	4385,4
1996	4674,5	2010	4436,4
1997	4558,4	2011	4469,2
1998	4504,9	2012	4497,6
1999	4469,8	2013	4483,8
2000	4435,2	2014	3713,8
2001	4401,4	2015	3713,7
2002	4371,5	2016	3720,4
2003	4342,6	2017	3718,2

¹⁹ წყარო : საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

4.3. საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაციის დინამიკა 1990-იან წლებში

საქართველოდან წამსვლელთა ყველაზე დიდი ნაკადი 1992- 1994 წლებში ფიქსირდება, რაც დაკავშირებული იყო ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების გარდატეხასთან. ქვეყნიდან ემიგრირებულ მოსახლეობას შორის დიდი იყო, როგორც ეთნიკურად ქართველი, ასევე სხვა ეთნოსის წარმომადგენელი ადამიანების წილი. ქვეყნიდან გასვლა დაიწყო სლავურმა მოსახლეობამ, რომლებიც საქართველოში საბჭოთა პერიოდში ჩამოსახლდა. ემიგრაციულ პროცესებში აქტიურად ჩართული იყვნენ ასევე ეთნიკურად ოსებიც, რადგან პოლიტიკური კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში მკვეთრად გამწვავდა 1990 წლის ბოლოდან, 1991 წელს კი ომის სახე მიიღო. ამიტომაცაა, რომ მოსახლეობის ემიგრაცია 1991 -1992 წლებში განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლით გამოირჩეოდა. (იხ. ცხრილი N 4)

შემდგომ წლებში ემიგრაციული ნაკადები ჯერ სტაბილურობას ინარჩუნებდა, 1995 წლიდან კი თანდათანობით კლება დაიწყო. 1990 წელს ყოფილი საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ წავიდა 4 980 კაცი, 1991 წელს - 3 876, 1992 წელს - 2 920, 1993 წელს „ შორეულ საზღვარგარეთში” ემიგრაციაში წავიდა 5 049 კაცი, 1994წელს - 4 676, 1995 წელს - 3 885 და 1996 წელს- 2 527. საერთო ჯამში 1990- 1996 წლებში საქართველოდან ემიგრაციაში წასულთა ძირითადი მიმართულებები იყო საბერძნეთი, ისრაელი, გერმანია და აშშ. (გაჩეჩილაძე, რ., *მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალურ ეკონომიკური შედეგები, თბილისი, (1997) გვ.29*).

ცხრილი N 4 ²⁰

საქართველოდან მოსახლეობის გარემიგრაციული სალდოს ინტენსივობა ეთნიკურ ჯგუფებში

ეროვნება	მოცემული ეთნოსის ყოველ 1000 მცხოვრებზე მიგრაციის სალდო			
	1989	1990	1991	1992
რუსი	-11,9	-21,2	-44,6	-41,5
უკრაინელი	-13,4	-22,3	-51,5	-52,6
ბელორუსი	-11,8	-11,3	-51,5	-52,6
ქართველი	0,1	1,4	1,2	0,4
აზერბაიჯანელი	17,8	-27,3	-18,1	-12,0
სომეხი	-5,8	-5,2	-7,8	-3,8
ებრაელი	1,2	0,6	-4,8	-4,3
აფხაზი	-	0,8	0,8	0,4
ოსი	-3,6	-6,3	-32,9	2,1
ბერძენი	-	-7,5	-15,4	-5,6
სულ	2,6	2,9	-5,5	-4,5

4.4. გარე მიგრაციის გეოგრაფია

გარე მიგრაციაზე საუბრისას ყოველთვის საინტერესოა, რომელ ქვეყნებში მიემგზავრებიან ადამიანები. ამის ცოდნა გვიჩვენებს, თუ რომელია გამგზავრებისთვის

²⁰ წყარო : ტუხაშვილი, მ. საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია , 1996. თბილისი. გვ 10

მაღალი ინტერესის ქვეყნები. ამასთან, მიმღები ქვეყნების ცოდნამ შესაძლოა გარკვეული როლი ითამაშოს მიგრაციის მიზეზების დადგენაშიც.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ უმრავლეს შემთხვევაში მიგრაციულ პროცესებში მოსახლეობის ახალგაზრდა ნაწილი მონაწილეობს. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, მიგრანტთა 80%-მდე 50 წლამდე ასაკისაა, ხოლო მათ შორის ყველაზე დიდი რაოდენობა 30 წლამდე ასაკისაა. ე.ი ერთი მხრივ გაედინება შრომითი რესურსები, ხოლო მეორე მხრივ ეს იწვევს მოსახლეობის დაბერებასაც. მათი ძირითადი რაოდენობა ჯანმრთელი, სიძნელეებთან მებრძოლი და ამტანია. ასევე, ისინი საკმაოდ მაღალი განათლებისა და კვალიფიკაციისაა არიან.

მიგრანტთა 57% მამაკაცია, 43%-მდე კი ქალი. გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო ყველაზე მაღალია სამეცნიერო ხარისხის მქონე მიგრანტებში. მიგრანტებს შორის ყველაზე მაღალია უმაღლესი განათლების მქონეთა რაოდენობა.

სწავლის მიზნით განხორციელებულმა მიგრაციულმა პროცესებმა მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში დიდი როლი შეასრულა ქართული ინტელიგენციის ჩამოყალიბებაში. ასეა დღესაც, სწავლას დამატებული ეკონომიკური ფაქტორი. ე.ი მიგრაციას აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები.

საქართველოს მოსახლეობის გადაადგილება რუსეთის მიმართულებით ყოველთვის საგრძნობად მაღალი იყო. რუსეთის ფედერაცია წამყვან როლს ასრულებდა და ასრულებს საქართველოს მოსახლეობის მიგრაციულ გაცვლაში. საქართველოდან მიგრანტების 75% რუსეთის სახელმწიფოზე მოდის, 13% - უკრაინაზე, დანარჩენი 12% - ყველა სხვა ქვეყანაზე.

2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით საქართველოდან სულ გასულია 113 726 ათასი ადამიანი. აქედან საბერძნეთში გავიდა 16 % - 19 ათასი მიგრანტი; გერმანიაში 4,3 % - 5 ათასი, ამერიკაში 3,8 % - 4,2 ათასი, უკრაინაში 1,8 % - 2 ათასი, თურქეთში 1,3% - 1,5 ათასი ემიგრანტი.(ლორთქიფანიძე. ვ., მოხსენება, (2017))

ეროვნების მიხედვით, მიგრანტთა მხოლოდ 13,2 % ქართველია, თითქმის ამდენივე 11,1% ეროვნებით სომეხი, აზერბაიჯანელი დაახლოებით 14%. ეს მაჩვენებელი ყველაზე

მაღალი რუს ადამიანებში იყო და 2002 წლის მონაცემებით დაახლოებით 36%-ს უდრიდა, 2014 წლის მონაცემებით კი - 4%-ს. რუსეთის ფედერაციაში საქართველოდან ყველაზე დიდი რაოდენობა 43 ათასი ადამიანი 1991 წელს ჩავიდა. 1992 წელს - 54 ათასი და 1993 წელს - 69 ათასამდე, 1994 წელს - 66 ათასი, ჩასულთა შორის ეროვნებით ქართველი 13 ათასი იყო. 1995 წელს - 51 ათასი, ხოლო მათ შორის ეროვნებით ქართველი 10 ათასი იყო. ე.ი 1995 წლიდან ქართველი ეროვნების ადამიანების ემიგრაცია რუსეთში მნიშვნელოვნად შემცირდა.(ლორთქიფანიძე. ვ., მოხსენება, (2017))

საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემების მიხედვით იმ ადამიანთა ხვედრითი წილი, რომელსაც როდესმე უცხოვრია საზღვარგარეთ 12 თვეზე დიდხანს მოსახლეობის 5%-ს შეადგენდა.(ლორთქიფანიძე. ვ., მოხსენება, (2017))

ტერიტორიული თვალსაზრისით მონაცემები ასე გამოიყურება: იმიგრანტთა 45,5% განაწილებულია თბილისში, 12,9% იმერეთში, 11% კი ქვემო ქართლში.(ლორთქიფანიძე. ვ., მოხსენება, (2017))

ემიგრანტთა ყველაზე დიდი ნაწილი ცხოვრობს რუსეთში 21,7%; საბერძნეთში - 15,9%; თურქეთში - 11,2%; იტალიაში 10,9 % გერმანიაში -7,1% აშშ-სი - 5,7% ; ესპანეთში - 4,1%; საფრანგეთში - 3,7%; უკრაინაში - 3,7%; აზერბაიჯანში 2,0%.(ლორთქიფანიძე. ვ., მოხსენება, (2017))

საერთო ჯამში 1990 – 1996 წლებში საქართველოდან რუსეთში 87 300 ადამიანი წავიდა, მას მოსდევს ამიერკავკასიის რესპუბლიკები 22 400 ადამიანით და უკრაინა 12 500 ემიგრანტით. „შორეული საზღვარგარეთის” ქვეყნებიდან ყველაზე დიდია ემიგრაციული ნაკადები საბერძნეთსა და ისრაელში, ხოლო შემდგომ აშშ და გერმანიაა. უნდა აღინიშნოს, რომ შრომითი ემიგრაციის შემთხვევაში მოწინავეა რუსეთის ფედერაცია, ასევე საბერძნეთი და გერმანია, რომელთაც უნდა დავუმატოთ თურქეთი და კვიპროსი, რომლებიც რეგისტრირებული ემიგრაციის ქვეყნებში ნაკლებად ფიგურირებენ. (გაჩეჩილაძე,რ. მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალური ეკონომიკური შედეგები., თბილისი., (1997). გვ. 47.)

სხვადასხვა ფაქტორების და მათ შორის მიგრაციული პროცესების გავლენით, საქართველოში დროთა განმავლობაში შეიცვალა მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. შემცირდა, როგორც ქართველების, ისე ყველა სხვა ეროვნების ადამიანების რიცხვი. თუ 1989 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემების მიხედვით საქართველოში ეთნიკურად ქართველთა რაოდენობა 3 787 390 ადამიანს უდრიდა (70,1%), 2002 წლისთვის ეს რიცხვი 3 661 173 (83,8%), 2014 წელს კი 3 224 600 (86,8%) ადამიანამდე შემცირდა. (ლორთქიფანიძე. ვ., მოხსენება, (2017)). ერთი შეხედვით პროცენტული და აბსოლუტური მაჩვენებლები თითქოს ურთიერთ გამომრიცხავია, ვინაიდან აბსოლუტური მაჩვენებლის შემცირების პარალელურად იზრდება პროცენტული მაჩვენებელი. რეალურად ეს გამოწვეულია იმით, რომ 1989 წლიდან მოყოლებული საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა მუდმივად მცხირდება. ამასთან ქვეყანას, ეთნიკურად ქართველ მოსახლეობაზე მეტი არაქართველი მოსახლეობა ტოვებს. სწორედ არაქართველთა ქვეყნიდან გასვლის ხარჯზე იზრდება ეთნიკურად ქართველთა ხვედრითი წილი მთელს მოსახლეობაში. (იხ. ცხრილი N 5)

ცხრილი N 5

საქართველოს ეროვნული შემადგენლობის აღრიცხვა 1989 და 2002 წლის მოსახლეობის აღწერების მიხედვით

ეროვნება	1989	2002	2014
ქართველი	3 787 390	3 661 173	3 224 600
აზერბაიჯანელი	307 556	284 761	233 000
სომეხი	437 211	248 929	168 100

რუსი	341 172	67 671	26 500
ებრაელი	24 795	3 772	-
ბერძენი	100 324	15 166	5 500
ქურთი	33 331	2 514	-
იეზიდი	-	18 329	12 200

ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს მთელი ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა იკლებს, როგორც ქართველების რაოდენობის ასევე სხვა ეროვნების ადამიანების რაოდენობის შემცირების ხარჯზე. 1989 -2014 წლებში სულ დაკლებულია 728 976 ადამიანი. აქედან არაქართველების კლება 602 759 ადამიანს უდრის, ქართველების კი 562 790. ანუ ქვეყნას მუდმივად ტოვებს უამრავი არაქართველი ეროვნების ადამიანი თუმცა ქართველ ემიგრანტთა საერთო რაოდენობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია.

როგორც უკვე ზემოთ ითქვა, მიგრაციული პროცესების მასშტაბი მთელ მსოფლიოში საგრძნობლად იზრდება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მსოფლიოში დღესდღეობით 65 მილიონი მიგრანტი ფიქსირდება. ამგვარი ვითარების ჩამოყალიბებაში რა თქმა უნდა, დიდ როლს თამაშობს ზოგადად მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობის ზრდა, გადაადგილების საშუალებებისა და ტურიზმის განვითარება და კიდევ სხვა უამრავი ფაქტორი. ჩვენი ქვეყნისთვისაც დამახასიათებელია მიგრაციულ პროცესებში აქტიური ჩართულობა, როგორც ემიგრაციის ასევე იმიგრაციის კუთხით. მაგალითად 2015 წლისათვის საქართველოდან რუსეთის ფედერაციის მიმართულებით გაემგზავრა დაახლოებით 450 000 ადამიანი, ყაზახეთსა და ყირგიზეთში 3000 -3000 , ტაჯიკეთში 1000, სომხეთში 41 000, თურქეთში 7000, კვიპროსში 17000, ისრაელში 9000, საბერძნეთში 83000, უკრაინაში 64 000, აზერბაიჯანში 51 000, იტალიაში 12000, გერმანიაში 23000, ესპანეთში

9000, საფრანგეთში 8000, კანადაში 2000, აშშ-ში 24 000.²¹ მიგრანტების ამ რაოდენობაში მოიაზრება, როგორც დროებითი, ასევე მუდმივი მიგრანტები, ხოლო მასში საქართველოს მოქალაქეებთან ერთად იგულისხმება ის ადამიანებიც, რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებში ჩვენი ქვეყნის გავლით გაემგზავრნენ.

4.5. შიდა მიგრაციის ძირითადი თავისებურებები საქართველოში

საქართველოში შიდა მიგრანტების განსაკუთრებით დიდი რაოდენობა გაჩნდა 1993 წლიდან აფხაზეთის ომის დროს. სადაც მიმდინარეობდა ფაქტობრივად ეთნიკური წმენდა. ამას ემატებოდა ეკონომიკური ხასიათის ემიგრაცია რუსეთის ფედერაციის მიმართულებით. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით 1997 წლის 1 იანვრის მონაცემებით საქართველოში დევნილთა რაოდენობა 286 621 ადამიანს შეადგენდა, აქედან 270 ადამიანი სწორედ აფხაზეთიდან იყო. თუმცა როგორც რ. გაჩეჩილაძე ვარაუდობს ეს მონაცემი არაზუსტი უნდა იყოს, რადგან 1989 წლის მონაცემების მიხედვით აფხაზეთში მუდმივად, ქართველი ეროვნების 239 872 ადამიანი ცხოვრობდა. ამასთან ქართველებთან ერთად სხვა ეროვნების ადამიანებმაც საზღვარგარეთს მიაშურეს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით შიდა პოლიტიკური მიგრანტების რიცხვი ოფიციალურ სტატისტიკაზე ნაკლები 230-250 ათასი უნდა ყოფილიყო. (გაჩეჩილაძე. რ., მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალურ ეკონომიკური შედეგები., თბილისი. 1997. გვ 49)

აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი აფხაზეთის მიმდებარე ტერიტორიებზე დასახლდა, დაახლოებით 47% დამკვიდრდა სამეგრელოში, 27% კი

²¹ <http://www.migrationpolicy.org/programs/data-hub/international-migration-statistics>

თბილისში ჩამოსახლდა. ისინი ძირითადად დიდ ქალაქებში გადანაწილდნენ. 1990 წელს საქართველოს ქალაქებში 20 039 ადამიანით მეტი ადამიანი მოვიდა ვიდრე წავიდა. 1991 წელს კი 13 842. ორივე წლისთვის ქალაქში მიგრირებულთათვის დამახასიათებელი იყო ის, რომ უმეტესობა სოფლიდან იყო. 1990 წლისთვის მათი წილი 50,5%, 1991 წლისთვის კი 52,5% იყო. ქალაქიდან წამოსული მოსახლეობა უმეტესად სხვა ქალაქში სახლდებოდა. ²²

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, შიდა მიგრანტი 28,5%-ია. აქედან კაცების რაოდენობა 22,6%-ს უდრის, ქალების კი 66,4%. მიგრაციული ნაკადები ყველაზე მაღალია თბილისში, რომელზეც მიგრანტთა 33,1 % მოდის. მეორე ადგილს იკავებს იმერეთი. აქ მიგრანტთა 15,1%-ია დასახლებული. შემდეგია სამეგრელო 9,6 %-ით. (ლორთქიფანიძე. ვ., მოხსენება, (2017))

ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა სოფლის მოსახლეობის რაოდენობას საგრძნობლად აღემატება და 2 122 623 ადამიანს უდრის, სოფლის მოსახლეობის რაოდენობა კი 1 591 181. განსაკუთრებით თვალშისაცემია თბილისის მოსახლეობის რაოდენობის მასშტაბურობა. აქ მთელი მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი 1 108 717 კაცი ცხოვრობს. 2002 წლის აღწერის მონაცემებით თბილისში მცხოვრებთა რაოდენობა 1 081 679 ადამიანი იყო. ამ რაოდენობაში ეროვნებით ქართველთა რაოდენობა დაახლოებით 910 712 ტოლი იყო, სომხების - 82 586, აზერბაიჯანელების - 10 942, ხოლო რუსების დაახლოებით 32 580 ადამიანის ტოლი. 2002 წლის აღწერასთან შედარებით დედაქალაქის მოსახლეობის რაოდენობა 2,5%-ით არის გაზრდილი, რაც ძირითადად განპირობებულია მცხეთისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტების სოფლის ტიპის დასახლებების ქ.თბილისთან შეერთებით. (მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები, გვ.3)

საქართველოს სხვა რეგიონებში ძირითადად მოსახლეობის შემცირება შეინიშნება. ყველაზე მნიშვნელოვანი შემცირება აღინიშნება რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, ხოლო ყველაზე ნაკლები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში . 1989 წლიდან 2014 წლის ჩათვლით რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის

²² იგივე გვ. 50

მოსახლეობის რიცხოვნობა 59 757 კაციდან 32 089 კაცამდე , ანუ 25წლის განმავლობაში ჯამში ამ რეგიონის მოსახლეობა 27 668 (46,3%) კაცით შემცირდა, რაც საგრძნობლად მაღალი მაჩვენებელია. არანაკლებად მძიმე ვითარებაა სამეგრელო-ზემო სხვანეთის რეგიონში. აქ მცოვრებთა რაოდენობა 1989-2014 წლებში 424 756 ადამიანიდან, 330 761 ადამიანამდე, ე.ი 93 985(22,1%) ადამიანით შემცირდა. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 1989 – 2014 წლებში 392 432 მოსახლიდან 333 953მოსახლემდე ანუ 58 479(14,9%) ადამიანით შემცირდა. რაც არც თუ ისე მაღალი მაჩვენებელია. მოსახლეები სშედარებით ნაკლები შემცირებაა დამახასიათებელი შიდა ქართლისთვის. აქ 1989 -2014 წლებში მოსახლეობის რაოდენობა 321 598 ადამიანიდან 263 382 ადამიანამდე შემცირდა, რაც სულ 58 216(18,1%) ადამიანით სემცირებას გულისხმობს.²³ დანარჩენი რეგიონებისთვის დამახასიათებელი იგივე მაჩვენებლები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.(იხ.ცხრილი N 6).

ცხრილი N6

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა რეგიონულ ჭრილში (1989-2014)

რეგიონი	1989	2002	2014	სხვაობა (ათასი კაცი)	%
თბილისი	1 246 936	1 081 679	1 108 717	138 219	11,1%
აჭარის ა.რ	392 432	376 016	333 953	-58 479	-14,9
გურია	158 053	143 357	113 350	-44 703	-28,3
იმერეთი	766 892	699 666	533 906	-232 986	-30,3
კახეთი	441 045	407 182	318 583	122 462	-27,8
მცხეთა- მტიანეთი	133 864	125 443	94 573	39 291	-29,4
რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	59 757	50 969	32 089	-27 668	-46,3

²³ მასალა მოწოდებულია საქართველოს სტისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ.

სამეგრელო-ზემსვანეთი	424 746	466 100	330 461	-93 985	-22,1
სამცხე ჯავახეთი	235 512	207 598	160 504	75 008	-31,8
ქვემო ქართლი	608 491	497 530	423 986	-184 505	-30,3
შიდა ქართლი	321 598	314 039	263 382	-58 213	-18

მოსახლეობის რაოდენობის შემცირებაზე საუბრისას, მიგრაციის მაჩვენებელთან ერთად რა თქმა უნდა, მხედველობაში უნდა მივიღოთ ბუნებრივი მატების მაჩვენებელიც. თუკი საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებს დავყვართ ვნახავთ, რომ საქართველოსთვის 2007 წლიდან მოსახლეობის ბუნებრივი მატება 8 109 ადამიანს უდრის. ამავე წელს მიგრაციული სალდოს მაჩვენებელი უარყოფითი - 20 700 ადამიანი იყო. 2008 წელს ბუნებრივი მატება 13 554-ის ტოლია, მიგრაციული სალდო ისევ უარყოფითი 10 200 ადამიანით. 2009 წელი ბუნებრივი მატება 16 752-ია, მიგრაციული სალდო 34 200. 2010 წელი ბუნებრივი მატება 14 721, მიგრაციული სალდო 18 100. 2011წელი ბუნებრივი მატება 8 196, მიგრაციული სალდო 20 200. 2012 წელი ბუნებრივი მატება 7 683, მიგრაციული სალდო - 21 500. 2013 წელი ბუნებრივი მატება 9 325, მიგრაციული სალდო - 2 600. 2014 წელი ბუნებრივი მატება 11 548, მიგრაციულ სალდო - 6 500. 2015 წელი ბუნებრივი მატება 10 128, მიგრაციული სალდო - 3 400. 2016 წელი ბუნებრივი მატება 5 798, მიგრაციული სალდო - 2 200.²⁴ როგორც ვხედავთ, უმეტეს შემთხვევაში მოსახლეობის ბუნებრივი მატება ქვეყნიდან გასულთა რაოდენობაზე უფრო ნაკლებია. ეს კი რა თქმა უნდა უარყოფითად მოქმედებს მოსახლეობის რაოდენობაზე და იწვევს მის შემცირებას.

²⁴ http://www.geostat.ge/?action=page&p_id=172&lang=geo,
http://www.geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo

4.6. საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის პროგრამები²⁵

მიგრაციული პროცესების არსებობა საჭირო, მაგრამ ამავედრულად სახიფათოა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი მასშტაბურ ხასიათს იღებს. მას ბევრ დადებით თვისებასთან ერთად უარყოფითიც ბევრი მოეძებნება. მაგალითად მიგრანტთა გამგზავნი ქვეყნები განიცდიან სამუშაო ასაკის (15-65 წელი) ადამინთა ნაკლებობას, ირღვევა მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, მოსახლეობა განიცდის დაბერებას²⁶ ასაკოვან ადამინთა ხვედრითი წილის ზრდის გამო და სხვა. ამასთან ქვეყნებს შიგნით მიმდინარეობს მთელი რიგი დამაბულობები ადგილობრივ მოსახლეობასა და მიგრანტებს შორის, მაგალითად კულტურული შეუთავსებლობა და სხვა ეთნიკური უთანხმოებები. ასევე მიგრატმა შესაძლოა ჩაანაცვლოს ადგილობრივი მუშახელი, რაც ზოგჯერ მიმღები ქვეყნის მოქალაქეების უკმაყოფილებას იწვევს და ა.შ. ამ და სხვა სახის პრობლემების პრევენციისა თუ ინტერვენციის მიზნით სახლემწეობები დგამენ სხვადასხვა სახის ნაბიჯებს. ასეთი ქვეყნების რიგს მიეკუთვნება საქართველოც. ეს ჩვენთვის განსაკუთრებით საჭირო და სავალდებულოც კია, რადგან საუბარია საქართველოს არა მხოლოდ სატრანზიტო და ემიგრაციის, არამედ იმიგრაციის ქვეყნად ჩამოყალიბებაზე. მიგრაციული პროცესები საქართველოდან/ საქართველოსკენ უფრო მრავალფეროვანი ხდება წარმოშობისა და დანიშნულების ქვეყნების, ასევე ემიგრაციისა და იმიგრაციის მახასიათებლების მიხედვით. ამას ადასტურებს წინა თავში მოყვანილი ინფორმაციაც. ამიტომაც საქართველო მუდმივად აუმჯობესებს საერთაშორისო დაცვის მექანიზმებს და ამკვიდრებს ისეთ პოლიტიკას, რომელიც საშუალებას იძლევა დააკმაყოფილოს როგორც იმიგრანტების, ასევე

²⁵ http://migration.commission.ge/index.php?article_id=16&clang=0

²⁶ 65 წლის და უფროსი ასაკის პირთა რაოდენობის ფარდობითი შეფასებისთვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შეიმუშავა 3 საფეხურიანი სკალა: 4%ზე ნაკლები - ახალგაზრდა მოსახლეობა, 4-7 % - მოსახლეობა სიღარიბის ზღვარზე, 7%ზე მეტი- დაბერებული მოსახლეობა

დაბრუნებული მიგრანტების საჭიროებები მათი წარმატებული ინტეგრაციისა და რეინტეგრაციის უზრუნველსაყოფად. ამის დასტურია ის, რომ 2016 წლის მაისში თვეში შემუშავებულ იქნა რეინტეგრაციის გზამკვლევი დაბრუნებული მიგრანტებისთვის. რეინტეგრაციის გზამკვლევი მოამზადა და გამოსცა სამოქალაქო განვითარების სააგენტომ (სიდა) და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს (GPAM) - ფარგლებში და მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოსთან თანამშრომლობით. მოცემული გზამკვლევი წარმოდგენილია რამდენიმე თემატური ბროშურის სახით და ემსახურება საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების ინფორმირებულობის გაზრდას რეინტეგრაციისთვის საჭირო სხვადასხვა საკითხებზე, როგორც არის:

- ბიზნესი - ბიზნესის დაწყება, გადასახადები, მეწარმეობის ხელშემწყობი პროგრამები;
- დასაქმება - დასაქმების პორტალები, პროფესიული მომზადება-გადამზადების კურსები, სტაჟირება;
- ჯანდაცვა - საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, C ჰეპატიტის პროგრამა, სასწრაფო სამედიცინო დახმარება;
- რეინტეგრაციის პროგრამები - სახელმწიფო პროგრამა, IOM-ის პროგრამები;
- განათლება - სკოლამდელი განათლება, ზოგადი განათლება, პროფესიული განათლება, უმაღლესი განათლება;
- სოფლის მეურნეობა - მიწის რეგისტრაცია, სოფლის მეურნეობის სახელმწიფო პროგრამები;
- ტრანსპორტი - მუნიციპალური ტრანსპორტი, ავტომობილის რეგისტრაცია, ჯარიმები;
- ტრეფიკინგი და ოჯახური ძალადობა - ტრეფიკინგის და ოჯახური ძალადობის დეფინიცია, სახელმწიფო სერვისები.

4.7. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამები ²⁷

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის მხარდასაჭერად ამჟამად ახორციელებს ორ პროგრამას:

1. ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობისა და თანამშრომლობის პროგრამა - More for More-ს, რომელიც სხვა კომპონენტებთან ერთად, ითვალისწინებს საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის მხარდაჭერის მრავალმხრივ ღონისძიებებს;
2. ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის პროგრამა (AVRR). More for More-ს პროგრამას IOM ახორციელებს საქართველოს სამთავრობო სტრუქტურებთან, ძირითადად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან თანამშრომლობით.

პროექტი ითვალისწინებს საქართველოში ახალდაბრუნებულ იმ მიგრანტთა მხარდაჭერას, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას რეინტეგრაციაში. პროექტში მონაწილეობა შეუძლია საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტს, თუ იგი:

- არის საქართველოს მოქალაქე, ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელსაც გააჩნია საქართველოში მუდმივი ბინადრობის უფლება;
- იმყოფებოდა საზღვარგარეთ არალეგალურად, ან საზღვარგარეთ ჰქონდა განაცხადი თავშესაფრის მიღებაზე, ან სარგებლობდა დროებითი ჰუმანიტარული სტატუსით;
- საქართველოში დაბრუნდა მობილურობის ცენტრში რეგისტრაციამდე არაუმეტეს 6 თვით ადრე. საქართველოში ბენეფიციარის დაბრუნების თარიღი უნდა იყოს დოკუმენტურად დადასტურებული (შესაბამისი ჩანაწერი პასპორტში, ცნობა საზღვრის კვეთის შესახებ და სხვა);
- იმყოფებოდა საზღვარგარეთ 1 წელის ან მეტი ხნის განმავლობაში. პროექტში მონაწილეობა არ შეუძლია პირს, თუ იგი:

²⁷ <http://migration.commission.ge/files/reintegracia.pdf>

- საზღვარგარეთ წასული იყო ლეგალურად სასწავლო პროგრამით, ან სამუშაო კონტრაქტით;
- არის AVRР -ის „ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის პროექტის“, ან სხვა სარეინტეგრაციო პროგრამის მონაწილე საქართველოში. პროგრამის ფარგლებში დაბრუნებულ მიგრანტს შეიძლება გაეწიოს შემდეგი სახის დახმარება:
 - აეროპორტში დახვედრა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთათვის;
 - გადამისამართება შესაბამის სახელმწიფო, ან კერძო პროგრამებში ჩართვისათვის;
 - დასაქმებისათვის საჭირო დოკუმენტების (CV, სამოტივაციო წერილი და სხვ.) მომზადებაში დახმარება;
 - პროფესიული მომზადება/გადამზადების დაფინანსება/თანადაფინანსება;
 - დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა ახალჩამოსული პირებისთვის, მხოლოდ განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში;
 - საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში;
 - სამედიცინო დახმარება სიცოცხლისთვის საშიში მწვავე და ქრონიკული დაავადებების მქონე ბენეფიციარებისთვის;
 - მცირე ბიზნესის დაწყების ხელშეწყობა პროექტის იმ მონაწილეებისთვის, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი უნარ- ჩვევები და წინაპირობები. მობილურობის ცენტრებში ინდივიდუალურად ხდება ცალკეული ბენეფიციარის საჭიროებების შეფასება და დახმარების შესაძლებლობების განსაზღვრა. AVRР-პროგრამა ითვალისწინებს მსოფლიოს 29 ქვეყნიდან დაბრუნებულ მიგრანტთა მხარდაჭერას. ეს ქვეყნებია: საბერძნეთი, ბელგია, დანია, იტალია, შვეიცარია, ავსტრია, გერმანია, ესტონეთი, ჰოლანდია, ფინეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, სლოვაკეთი, პოლონეთი, ირლანდია, დიდი ბრიტანეთი, კანადა, ლუქსემბურგი, ნორვეგია, ჩეხეთი, ბრაზილია, ბელარუსი, თურქეთი, უკრაინა, მაკედონია, რუმინეთი, მოლდოვა და ისრაელი.

პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც აღნიშნულ ქვეყნებში იმყოფებიან თავშესაფრის მაძიებლის სტატუსით, მაგრამ უარი

ეთქვათ ლტოლვილის სტატუსის მიღებაზე, ან არიან არალეგალური მიგრანტები და სურთ სამშობლოში ნებაყოფლობითი დაბრუნება. სარეინტეგრაციო დახმარების გაცემის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება იმ ქვეყანაში, საიდანაც მიგრანტი გეგმავს დაბრუნებას. დახმარების პაკეტისა და გრანტის ოდენობა ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია. სარეინტეგრაციო დახმარების პაკეტისა და გრანტის ოდენობის შესახებ დაბრუნების ქვეყანა გადაწყვეტილებას იღებს ცალკეული ბენეფიციარის მიხედვით.

თუ ადამიანი გადაწყვეტს ნებაყოფლობით დაბრუნდეს სამშობლოში და სურთ დაბრუნებაში დაეხმაროს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), უნდა მიმართოს დაბრუნების ქვეყანაში ამავე ორგანიზაციის წარმომადგენლობას.

ზოგადად, სარეინტეგრაციო დახმარების პაკეტი შესაძლოა მოიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:

- ზოგადი კონსულტირება;
- სხვადასხვა სახის ტრენინგი;
- სამედიცინო დახმარება;
- დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა;
- მცირე ბიზნესის წამოწყება;
- გადამისამართება სახელმწიფო და კერძო პროგრამებში;
- დასაქმების ხელშეწყობა.

სტატისტიკური მონაცემებზე დაყრდნობით, ირკვევა, რომ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ საქართველოში განხორციელებული სპეციალური პროგრამების მეშვეობით 1232 დაბრუნებულ ადამიანს გაეწია დამხმარება, რომელიც გამოიხატებოდა ძირითადად მცირე ბიზნესის ხელშეწყობაში.²⁸

²⁸ http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/5895/1/Chelidze_Natia.pdf

დასკვნა

საქართველოში მიმდინარე მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებით შეიძლება ვთქვათ, რომ იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ინარჩუნებს აქტიურ ხასიათს. ეს ეხება, როგორც შიდა ასევე საერთაშორისო მიგრაციულ პროცესებს. მათი ზეგავლენით იცვლება ჩვენი ქვეყნის სტრუქტურული და სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობა. ტრანსფორმაციას განიცდის ქვეყნის ეროვნული შემადგენლობა და მოსახლეობის ტერიტორიული განაწილება. უფრო და უფრო მეტი ადამიანი გადადის ქალაქში საცხოვრებლად. მაგალითად 2014 წლის აღწერის მონაცემებით ქალაქის მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში 4,9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 57,2 %-ს გაუტოლდა.

ამჟამინდელი მდგომარეობით საქართველოს მოსახლეობა, როგორც უკვე ვნახეთ გამუდმებით კლებას განიცდის, რასაც ხელს უწყობს მიგრაციული სალდოს მუდმივად უარყოფითი ხასიათი და დაბალი ბუნებრივი მატება. მართალია დროთა განმავლობაში, დამოუკიდებლობა მოპოვებული საქართველოდან მოსახლეობამ იწყო გადინება და ფარგლებს გასულ ადამიანთა შორის ქართველთა ხვედრითი წილი სხვა ეროვნების ემიგრანტთა ხვედრით წილზე ნაკლები იყო, თუმცა არც მცირე რაოდენობას შეადგენდა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროგნოზის თანახმად, თუკი გაგრძელდება საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შემცირება 2030 წლისათვის შესაძლოა ქვეყნის არსებობას საფრთხე დაემუქროს.

გარე მიგრაციის სალდოს მუდმივად უარყოფითი ხასიათი საყურადღებო ფაქტია, მით უფრო მაშინ, როდესაც საყოველთაოდ ცნობილია, რომ მიგრაციაში ძირითადად შრომისუნარიანი და განათლება მიღებული ადამიანები მიდიან. გამოდის, რომ საქართველო თანდათან კარგავს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელზედაც სახელმწიფოს მომავალი ფუნქციონირება არის დამოკიდებული. მაღალკვალიფიციური მუშა ხელის

არსებობა ხომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარებულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტია.

აღსანიშნია ის ფაქტი, რომ სახელმწიფო უმოქმედოდ არ არის. პარლამენტისა და მთავრობის მიერ შემუშავდა და ძალაში შევიდა მიგრაციული პროცესების მარეგულირებელი სხვადასხვა აუცილებელი დოკუმენტი. შემუშავებული და ძალაში შესულია პრეზიდენტის ბრძანებულებები და მთავრობის დადგენილებები. ასევე ხელმოწერილია სხვადასხვა საერთაშორისო აქტები.

დანართი



Ivane Javakhishvili Tbilisi state University
Faculty of Social and Political Sciences

Student : Tamar Asanidze

Review of migration processes in modern Georgia

Program – Demography and geography of the population

The work is done in the demography and for the graduate degree of geography of
the population

Head : Professor, Doctor of Economic Sciences – Vazha Lortkipanidze

Tbilisi, 2017

გამოყენებული ლიტერატურა

- მელაძე.გ. „საქართველო და გლობალური დემოგრაფიული პროცესები,“ თბილისი, 2013წ.
- წულაძე.გ. „დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი,“ თბილისი, 2000წ.
- წულაძე, გ. „დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი“, თბილისი, . 2000წ.
- ზურაბიშვილის, თ. „შრომითი ემიგრაცია დაბა თიანეთიდან : ემიგრაციული ქსელების განვითარება,“თბილისი, 2007წ.
- D. S. Massey. “Why Does Immigration Occur? A Theoretical Synthesis“
- გაჩეჩილაძე. გ., „მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალურ ეკონომიკური შედეგები” თბილისი 1997.
- წულაძე, გ., მაღლაფერიძე, ნ., სულაბერიძე, ა., მამარდაშვილი, გ. (2008) „საქართველოს დემოგრაფიული განვითარება გუშინ, დღეს და ხვალ.”
- ლორთქიფანიძე. ვ., მოხსენება, (2017))
- „მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები”
- A. Sauvy, 1990 La terre et les hommes „le monde où il va, le monde d'où il vient”
- მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი,
<http://migration.commission.ge/files/glosaary.pdf>
- <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2177545>
- <http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/344>
- http://ssa.gov.ge/files/01_GEO/KANONMDEBLOBA/Sakanonmdeblo/48.pdf
- <https://geocodna.wordpress.com/2016>
- <http://www.internetworldstats.com/stats.htm> .
- <http://www.migrationpolicy.org/programs/data-hub/charts/international-migrants-country-destination-1960-2015?width=1000&height=850&iframe=true>
- http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/5895/1/Chelidze_Natia.pdf
- ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები

http://www.geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo

➤ მიგრაცია

http://www.geostat.ge/?action=page&p_id=172&lang=geo

➤ შრომითი ემიგრაცია პოსტსაბჭოთა საქართველოში.

http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/5895/1/Chelidze_Natia.pdf